

Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

**5 Classics of Marxism**

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

**http://ciml.250x.com**






Georgian Section

**www.joseph-stalin.net**

**SHMG Press**

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

# ლენინი



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლენინი

## თხზულებანი

**44**

იბეჭდება
საბჭოთა კავშირის
კომუნისტური პარტიის
ცენტრალური კომიტეტის
დადგენილებით

ИНСТИТУТ МАРКСИЗМА-ЛЕНИНИЗМА при ЦК КПСС

# В. И. ЛЕНИН

## СОЧИНЕНИЯ

*Издание четвертое*

ИЗДАТЕЛЬСТВО ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
МОСКВА · 1967

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის
ისტორიის ინსტიტუტი — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული
მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი

# ვ. ი. ლენინი

## თხზულებანი

გამოცემა მეოთხე

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი . 1970

# ვ. ი. ლენინი

## ტომი

## 44

*1917 წლის ოქტომბერი — 1920 წლის ნოემბერი*

3К13+3КП1—19+9(с)21/2
3კ13+3კპ1—19+9(с)21/2
ლ 433

1—1—2
70 ადგ.

# წინასიტყვაობა

ორმოცდამეოთხე ტომში შეტანილია წერილები, დეპეშები, ბარათები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც დაწერილი და ნაკარნახევია 1917 წლის ოქტომბერში — 1920 წლის ნოემბერში; ისინი უკავშირდებიან ლენინის ნაწარმოებებს, რომლებიც შესულია ამ გამოცემის 26—31 ტომებში,ავსებენ და აფართოებენ მათ.

ამ პერიოდის მიმოწერა ცხადყოფს ვ. ი. ლენინის მრავალმხრივ მოღვაწეობას ახალი, საბჭოთა სახელმწიფო აპარატის შესაქმნელად და მუშაობის მოსაწესრიგებლად, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სახელმძღვანელოდ, ქვეყნის თავდაცვის მოსაწყობად.

ტომში შესულ დოკუმენტებში ლენინი იძლევა მითითებებს კონტრრევოლუციურ ამბოხებათა გასანადგურებლად, რევოლუციური წესრიგის უზრუნველსაყოფად, მსოფლიოში პროლეტარიატის დიქტატურის პირველი ქვეყნის დასაცავად. მიმოწერა ახასიათებს ლენინს როგორც ინტერვენტებსა და თეთრგვარდიელებზე გამარჯვებათა ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს. მიწერილობა წითელი გვარდიის შტაბისადმი, წერილები რსდმპ (ბ) პეტროგრადის კომიტეტისადმი, უმაღლესი სამხედრო საბჭოსადმი, საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატისადმი, გ. ვ. ჩიჩერინისა და მ. მ. ლიტვინოვისადმი, ე. მ. სკლიანსკისადმი, დეპეშები აღმოსავლეთისა და სამხრეთის ფრონტების რევოლუციური სამხედრო საბჭოებისადმი, არმიების

სარდლების, ს. ი. გუსევის, ი. ტ. სმილგას, მ. მ. ლაშევიჩის, გ. ი. სოკოლნიკოვისადმი და მრავალი სხვა დოკუმენტი გვიჩვენებენ ლენინის მოღვაწეობას გარეშე და შინაური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის, სამოქალაქო ომის ფრონტებზე საომარი მოქმედების ხელმძღვანელობის საქმეში.

ტომში გამოქვეყნებულია ვ. ი. ლენინის 1919 წლის 17 ივნისის წერილი რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისადმი, რომელიც, ისე როგორც მთელი რიგი სხვა დოკუმენტები, გვიჩვენებს, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი მას მიაჩნდა ქვეყნის თავდაცვის ხელმძღვანელობის კოლექტიურ ორგანოდ. ვ. ი. ლენინი უარყოფდა ტროცკის მოსაზრებას მთავარსარდლის განმტკიცების შესახებ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ და წერდა, რომ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებაში „არის ის, რასაც ტროცკიმ გვერდი აუარა: ცეკას უმრავლესობა დარწმუნდა, რომ... მთავარსარდლობაში **უთანხმოებაა**, და სერიოზული გაუმჯობესების ძიებაში, ძირეული ცვლილებების საშუალებათა ძიებაში, გადადგა გარკვეული ნაბიჯი“ (ეს ტომი, გვ. 239).

სამოქალაქო ომის გადამწყვეტ ფრონტებზე ლენინის მოწოდებით ჩვენი ქვეყნის ბევრმა სამრეწველო ქალაქმა გაგზავნა თავისი საუკეთესო კომუნისტები და უპარტიოები. ლენინი დაუცხრომლად ადევნებდა თვალყურს მობილიზაციის მიმდინარეობას, წითელი არმიისათვის რეზერვების მომზადებას. წარუდგინა რა სამხრეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს ივანოვოვოზნესენსკელ კომუნისტთა ჯგუფი, ლენინმა სთხოვა გაენაწილებინათ ისინი სწორად და მზრუნველობით. „ძალიან გთხოვთ მაცნობოთ ამ წერილის მიღება, — წერდა იგი,—და ის, თუ სად და როგორ დანიშნეთ ამხანაგები“ (გვ. 293).

საბჭოთა რესპუბლიკა, რომელიც მტრულ კაპიტალისტურ გარემოცვაში იყო, განსაკუთრებულ სიძნელეებს განიცდიდა. ტომში შესული დოკუმენტები შეიცავენ დიდ მასალას იმის შესახებ, თუ როგორ ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინი საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას, გვიჩვენებენ მის განსაკუთრებულ გამჭრიახობასა და მსოფლიო ასპარეზზე ძალთა განაწილების ღრმა გაგებას. მხოლოდ ვ. ი. ლენინის უდიდესი მეცადინეობის მეოხებით, ტროცკისა და „მემარცხენე კომუნისტების“ ოპოზიციური ჯგუფის წინააღმდეგ პარტიის შეუპოვარ

ბრძოლაში 1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას გერმანიასთან, რომლის დადება ლენინური ტაქტიკის სიბრძნისა და მოქნილობის, იმის უნარის მკაფიო მაგალითი იყო, რომ განსაკუთრებით რთულ ვითარებაში შემუშავებულიყო ერთადერთი სწორი პოლიტიკა. ბრესტის ზავის ხელმოწერასთან და „მემარცხენე კომუნისტების" წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებულ საკითხებს ეძღვნება 1917 წლის 15 (28) ნოემბრის წერილი გენერალ-მაიორს. ი. ოდინცოვისადმი, 1918 წლის 14 (27) იანვრის ბარათი კ. ბ. რადეკისადმი, 1918 წლის 25 თებერვლის რადიოგრამა საზავო დელეგაციისადმი, 1918 წლის 27 თებერვლის დეპეშა ირკუტსკში და სხვ.

საბჭოთა მთავრობა ვ. ი. ლენინის მეთაურობით თანმიმდევრულად ახორციელებდა მშვიდობის, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას. როცა ანტანტის იმპერიალისტებმა დაიწყეს ანტისაბჭოთა ინტერვენცია, საბჭოთა სახელმწიფომ არაერთგზის მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს წინადადებით დაედოთ ზავი. 1918 წლის 10 ოქტომბრის წერილში გ. ვ. ჩიჩერინისა და ლ. მ. კარახანისადმი ვ. ი. ლენინი წერდა: „ვილსონისადმი ნოტის შესახებ, ვფიქრობ, უნდა გაიგზავნოს. შეადგინეთ არქისაფუძვლიანად, ზრდილობიანად, მაგრამ გესლიანად. აღნიშნეთ, რომ ჩვენ ყველა შემთხვევაში მოვალეობად მიგვაჩნია კაპიტალისტებისა და მილიარდერების მთავრობებსაც კი შევთავაზოთ ზავი, რათა ვცადოთ შევაჩეროთ სისხლისღვრა და რათა თვალი ავუხილოთ ხალხებს" (გვ. 122). საბჭოთა მთავრობის მზადყოფნას — დაეწყო საზავო მოლაპარაკება ანტანტის სახელმწიფოთა ხელმძღვანელებთან — ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამს თავის 1919 წლის 6 მაისის წერილშიც გ. ვ. ჩიჩერინისა და მ. მ. ლიტვინოვისადმი. მიმოწერა ლ. ბ. კრასინთან, მ. მ. ლიტვინოვთან, გ. ვ. ჩიჩერინთან და სხვებთან ეძღვნება კაპიტალისტურ ქვეყნებთან სავაჭრო, ეკონომიური ურთიერთობის დამყარების საკითხებს. მათ შორის არის წერილები ამერიკის საქმიანი წრეების წარმომადგენელ ვ. ბ. ვანდერლიპთან მოლაპარაკების შესახებ (იხ. გვ. 427—428, 450). ერთ-ერთ წერილში ვ. ი. ლენინი წერდა, რომ „ინგლისის ბურჟუაზიისათვის უფრო

ხელსაყრელია სავაჭრო შეთანხმებანი საბჭოთა რესპუბლიკებთან, ვიდრე უშემოსავლო და გამაჩანაგებელი ცდებიც კი დათრგუნოს ისინი" (გვ. 406).

ტომში ქვეყნდება დიდძალი დოკუმენტები, რომლებიც ახასიათებენ ვ. ი. ლენინის მოღვაწეობას სოციალისტური ეკონომიკის სულ სხვადასხვა დარგში: მუშაობის მოწესრიგება ნაციონალიზებულ საწარმოებში, ფინანსური საქმის ორგანიზაცია, კოოპერაციის გამოყენება მოსახლეობის მომარაგების, სოფლის მეურნეობის აღმავლობის, კომუნებისა და არტელების შექმნის მიზნით.

ტომში იბეჭდება ლენინის წერილები, რომლებიც ავსებენ და განმარტავენ რკპ (ბ) IX ყრილობის მიერ დამტკიცებული ერთიანი სამეურნეო გეგმის ძირითად პრინციპებს. მთელი რიგი წერილები ეძღვნება ქვეყნის ელექტრიფიკაციის პროპაგანდას. ლენინს აინტერესებდა ქვანახშირის ბუდობები ბრიანსკის რაიონში, უხტის, ბერჩოგურისა და ჩელეკენის ნავთობი, ფიქალის დამუშავება, ტორფის, როგორც სახალხო მეურნეობის ელექტრიფიკაციის ბაზის, გამოყენება. იგი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ტექნიკის განვითარებას, სახალხო მეურნეობაში უახლესი მიღწევების უსწრაფესად დანერგვას, მეცნიერთა და სპეციალისტთა ფართოდ გამოყენებას. ტომში შეტანილი დოკუმენტები მეტყველებენ ლენინის ზრუნვაზე ნიჟნი ნოვგოროდის რადიოლაბორატორიისათვის, რომელიც არსებითად ერთ-ერთი პირველი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი იყო. 1918 წლის 21 ოქტომბრის ბარათში ნ. პ. გორბუნოვისადმი ლენინი წერდა: „ძალიან გთხოვთ **დააჩქაროთ**, რამდენადაც შესაძლებელია, დასკვნა სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილებისათვის რადიოლაბორატორიის საკითხზე. **ძალზე საჩქაროა.** მომწერეთ, როდის იქნება დასკვნა" (გვ. 127). 1919 წლის 2 ივლისის დეპეშა პოროხოვის დეპუტატთა რაიონული საბჭოსადმი, 1920 წლის 3 მაისის წერილი ნ. ა. სემაშკოსადმი, 1920 წლის 28 ოქტომბრის წერილები ა. ი. რიკოვისა და ი. ი. რადჩენკოსადმი და სხვ. ახასიათებენ ლენინის დამოკიდებულებას გამოგონებებისა და გამომგონებლებისადმი.

სახალხო მეურნეობაში მეცნიერული ცოდნის, მეცნიერების მიღწევათა გამოყენებაში, აღნიშნავს ლენინი, მთავარი როლი უნდა შეასრულონ მეცნიერებმა. ტომში გამოქვეყნე-

ბულია ლენინის 1919 წლის 15 სექტემბრის წერილი გორკისადმი, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლება დიდად აფასებს მეცნიერებს, რომლებმაც გადაწყვიტეს თავიანთი ცოდნა და შრომა მოახმარონ ხალხს. „„ინტელექტუალურ ძალებს", — წერდა ლენინი, — რომლებსაც სურთ მეცნიერება შეიტანონ ხალხში (და არა ლაქიობა გასწიონ კაპიტალის წინაშე), ჩვენ ვუხდით ს ა შ უ ა ლ ო ზ ე მ ე ტ ჯამაგირს. ეს ფაქტია. ჩვენ მათ ვუფრთხილდებით. ეს ფაქტია" (გვ. 273). ამავე დროს იგი განუმარტავდა გორკის, რომ საბჭოთა მთავრობა იძულებულია მიიღოს ზომები იმათ წინააღმდეგ, ვინც მონაწილეობს კონტრრევოლუციურ შეთქმულებებსა და ამბოხებებში, რომლებიც დაღუპავს უქადიან ათიათასობით მუშასა და გლეხს.

ლენინი არაერთგზის აღნიშნავდა, რომ საჭიროა მეცნიერება, იდეოლოგია ჩავაყენოთ ახალი სოციალისტური წყობის სამსახურში. მან მკაცრად გააკრიტიკა პროლეტკულტის იდეოლოგთა შეხედულებანი, რომლებიც ილაშქრებდნენ კულტურულ მშენებლობაში საბჭოთა სახელმწიფოსა და პარტიის ხელმძღვანელი როლის წინააღმდეგ. ლენინის ყურადღებას იპყრობდა ყველაფერი, რაც დაკავშირებული იყო მშრომელთა კულტურული დონის ამაღლებასთან: ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ, ლიტერატურის საკითხები, მასობრივ გამოცემათა ხარისხი, საბიბლიოთეკო საქმე, რადიომაუწყებლობის, კინოს განვითარება და სხვ. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში სახალხო განათლების ძირითადი ამოცანა იყო წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. „...ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ **სხვა ამოცანებზე უფრო მნიშვნელოვანია**", — წერდა ლენინი 1920 წლის აგვისტოში (გვ. 416).

ვ. ი. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა პროპაგანდასა და აგიტაციას. როცა წერილი მიიღო „მოსწავლეთა ჯგუფისაგან, რომლებსაც აინტერესებდათ კომუნიზმი", უსურვა მათ „უსწრაფესი წარმატებანი კომუნიზმის შესწავლის, მისი ათვისებისა და რუსეთის კომუნისტური პარტიის რიგებში პრაქტიკულ მუშაობაზე გადასვლის საქმეში" (გვ. 117—118). ვ. ი. ლენინი

დიდ ყურადღებას აქცევდა მის მიერ წამოყენებული „მონუმენტური პროპაგანდის“ გეგმის განხორციელებას, რომ მოსკოვისა და პეტროგრადის ქუჩებზე შენობები დამშვენებულიყორევოლუციური წარწერებით და რევოლუციური მოძრაობისა და კულტურის გამოჩენილ მოღვაწეთა ძეგლებით.

პარტია და მთავრობა უდიდეს ღონისძიებებს ახორციელებდნენ, რათა რუსეთს თავი დაეღწია ნგრევისა და შიმშილის მარწუხებისათვის. 1918 წლის 28 მაისის წერილში ა. გ. შლიაპნიკოვისადმი ლენინი წერდა: „ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა გ ა დ ა ი ყ ვ ა ნ ო ს პარტიული ძალების **მაქსიმუმი** სურსათზე. რადგან ჩვენ ა შ კ ა რ ა დ დავიღუპებით და დავღუპავთ მ თ ე ლ რევოლუციას, თუ უახლოეს თვეებში არ დავამარცხეთ შიმშილი“ (გვ. 59). წერილი სურსათის კომისარიატისა და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სასურსათო განყოფილებისადმი, ბარათი მდივნისადმი, დეპეშა ხარკოვსა და მოსკოვში, წერილი ვ. ა. ანტონოვ-ოვსეენკოსა და გ. კ. ორჯონიკიძისადმი, დეპეშა ს. ვ. მალიშევისადმი, დეპეშა მე-10 და მე-4 არმიების რევოლუციური სამხედრო საბჭოებისადმი, წერილი მოსკოვის დეპუტატთა საბჭოს სასურსათო განყოფილების სასოფლო-სამეურნეო ქვეგანყოფილებისადმი, დეპეშა პოდოლსკის სამაზრო სასურსათო კომიტეტისადმი ასახავენ ვ. ი. ლენინის მოღვაწეობას წითელი არმიისა და სამრეწველო ქალაქების მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის საქმეში.

„პიტერი და მოსკოვი უპუროდაა. საჭიროა გმირული ზომები. მიდეპეშეთ ზუსტი პასუხი დაუყოვნებლივ“, —სწერს ვ. ი. ლენინი სარატოვის საგუბერნიო აღმასკომის თავმჯდომარეს ვ. ა. რადუს-ზენკოვიჩს 1919 წლის 11 ივლისს (გვ. 248). „რადაც უნდა დაგიჯდეთ, მოამარაგეთ ურალის ყველა მუშა, განსაკუთრებით ეკატერინბურგის რაიონი, კიზელი და ქვანახშირის სხვა რაიონები საჭირო სურსათის სრული მარაგით“, — აძლევს ვ. ი. ლენინი დირექტივას პერმისა და ეკატერინბურგის სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფალთ 1919 წლის ნოემბერში (გვ. 302). იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ბავშვთა მომარაგებას. მხარი დაუჭირა რა წინადადებებს სურსათით ბავშვთა უზრუნველყოფის შესახებ, ვ. ი. ლენინი სწერდა ა. დ. ციურუპას: „იქნებ, კიდევ რამე ავიღოთ და გავაკეთოთ ბავშვებისათვის? **საჭირო კია**“ (გვ. 162).

მიმოწერა გვიჩვენებს, თუ როგორ ხდებოდა პარტიული

და სახელმწიფო ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების შემუშავება, ახასიათებს ვ. ი. ლენინის მუშაობის სტილს.

ვ. ი. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ხელმძღვანელობის კოლექტიურობას. როგორც ტომში შესული დოკუმენტები მოწმობენ, ყველა დიდმნიშვნელოვან საკითხზე იგი ეთათბირებოდა თავის თანამებრძოლებს და სხვა ხელმძღვანელ მუშაკებს, შეჰქონდა ეს საკითხები ცენტრალური კომიტეტის, სახკომსაბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად. „არ შემიძლია საბჭოში ჩემი კოლეგების ნებისა და გადაწყვეტილების წინააღმდეგ წავიდე", — ხაზგასმით აღნიშნავდა ვლადიმერ ილიას ძე წერილში მ. თ. ანდრეევასადმი (გვ. 31). ამასთან ერთად ლენინს საჭიროდ მიაჩნდა ხელმძღვანელობის კოლექტიურობის სწორი შეხამება თითოეული მუშაკის პირად პასუხისმგებლობასთან მინდობილი საქმისათვის. „ძალიან მაშინებს, — სწერდა იგი 1918 წლის 26 აგვისტოს ა. პ. სმირნოვს, — რომ თქვენ სარატოვში კოლეგიობანას თამაშობთ, როცა საქმე მოითხოვს პასუხისმგებელ ხელმძღვანელთა ენერგიასა და სისწრაფეს..." (გვ. 112). ლენინი მკაცრად ილაშქრებდა კუთხურობის, ანარქიზმის, უდისციპლინობისა და ზემდგომი ორგანიზაციების განკარგულებებისადმი ცალკეულ მუშაკთა დაუმორჩილებლობის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ. იგი ასწავლიდა საბჭოთა დაწესებულებებისა და პარტიული ორგანოების მუშაკებს საქმიანობას, ოპერატიულობას საკითხთა გადაწყვეტაში, იმის უნარს, რომ მთავარი ყურადღება მიაქციონ უმნიშვნელოვანეს ამოცანას, ბოლომდე მიიყვანონ დაწყებული საქმე.

ტომში შეტანილი მთელი რიგი დოკუმენტები გვიჩვენებენ ვ. ი. ლენინის ბრძოლას რევოლუციური, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის. 1918 წლის 15 აპრილის ბარათში იუსტიციის კომისარიატისადმი ლენინი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა კოდიფიკაცია, საბჭოთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულის გამოცემა, მოსახლეობაში იურიდიული პროპაგანდის გაშლა, მშრომელთა მასების მიზიდვა სახალხო სასამართლოების მუშაობაში მონაწილეობისათვის. საჭიროა, აღნიშნავდა იგი, გადამწყვეტი ბრძოლა ხაზინის მქურდაობის, სპეკულაციის, ხულიგნობის წინააღმდეგ; სასჯელის მკაცრი ზომების შემოღებას მოითხოვდა იგი მექრთამეებისათვის. ვლადიმერ ილიას ძე მოითხოვდა ყველა საბჭოთა

დაწესებულებისაგან, სახელმწიფო აპარატის ყველა მუშაკისაგან რესპუბლიკაში მოქმედი კანონების მტკიცედ დაცვას. იგი წერდა, რომ მარტო დეკრეტის გვერდის ავლის წინადადებისათვის უნდა მივცეთ პასუხისგებაში. ვ. ი. ლენინი დაუყოვნებლივ ეხმაურებოდა სიგნალებს სოციალისტური კანონიერების დარღვევის თაობაზე, იძლეოდა მითითებებს ამა თუ იმ საქმის უფრო ღრმად შესწავლის შესახებ. გადაჭრით აღკვეთავდა ცალკეულ პასუხისმგებელ მუშაკთა მხრივ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენებას.

საბჭოთა რუსეთის კომუნისტური პარტია გამოდიოდა როგორც უდიდესი პატრიოტული და ინტერნაციონალური ძალა. ლენინი გულდასმით ადევნებდა თვალყურს მოვლენების განვითარებას უნგრეთში, ცდილობდა გაემხნევებინა უნგრელი კომუნისტები, რომლებიც დიდ სიძნელეებს წააწყდნენ. წერილში ბელა კუნისადმი ლენინი წერდა: „ჩვენ ვიცით უნგრეთის მძიმე და საშიში მდგომარეობა და ყველაფერს ვაკეთებთ, რაც შეგვიძლია... ეცადეთ გაუძლოთ რაც შეიძლება დიდხანს... გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება“ (გვ. 257 — 258). „კომუნისტური მოძრაობა ყველა ქვეყანაში შესანიშნავად იზრდება. საბჭოთა წყობილება მუშათა მასებისათვის პრაქტიკული ლოზუნგი გახდა ყველგან. ეს უდიდესი წინგადადგმული მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ნაბიჯია“,—ასეთი სიტყვებით მიესალმა ლენინი 1919 წლის ოქტომბერში ჰოლანდიელ კომუნისტებს (გვ. 281). „დარწმუნებული ვარ, რომ ახალი დემოკრატია, ესე იგი პროლეტარული დემოკრატია, — სწერდა იგი რაიმონდ რობინსს 1918 წლის 30 აპრილს, — დამყარდება ყველა ქვეყანაში და მოსპობს ყველა დაბრკოლებასა და იმპერიალისტურ-კაპიტალისტურ სისტემას...“ (გვ. 45).

44-ე ტომში შეტანილი ყველა დოკუმენტი იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის მიხედვით (50 და 51 ტომები).

**სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი**

# 1917 წელი

1

## მიწერილობა წითელი გვარდიის შტაბს [1]

გთხოვთ ყოველი ღონე იხმაროთ დაუყოვნებლივ შესრულებისათვის.

ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1917 წლის
30 ოქტომბერს (12 ნოემბერს)

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

2

## რსდმპ (ბ) პეტროგრადის კომიტეტს

**პეტროგრადის კომიტეტს**

ძალიან ვთხოვ პეტროგრადის კომიტეტს, ახლავე გამოიტანოს გადაწყვეტილება შემთანხმებლობის წინააღმდეგ და მოიტანოს ცენტრალურ კომიტეტში [2].

ლენინი

დაწერილია 1917 წლის
2 (15) ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით
1960 წელს ჟურნალში
„ვოპროსი ისტორიი კპსს" № 2

მთლიანად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

3

## ი. მ. სვერდლოვს

ამხ. ს ვ ე რ დ ლ ო ვ ს

ამის მომტანს აქვს მანდატები ადგილობრივი საბჭოსაგან.

სურს მუშაობა პ ი ტ ე რ შ ი.

მშვენიერ შთაბეჭდილებას ტოვებს.

სურს „საბრძოლო“ მუშაობა მასებში (აგიტატორი და სხვ.).

**ძალიან** გირჩევთ მისცეთ მას შესაძლებლობა, მაშინვე გამოიჩინოს თავი პიტერში მასებთან სამუშაოზე[3].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია არა უადრეს 1917 წლ ს
8 (21) ნოემბრისა

პირველად დაიბეჭდა 1957 წელს
ჟურნალში „ისტორიჩესკი არხივ“
№ 5

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

4

## ამერიკის, საფრანგეთისა და ინგლისის მუშათა პრესის ინფორმირების საერთაშორისო ასოციაციას[4]

მზად ვარ გიპასუხოთ თქვენს კითხვებზე, თუ მომცემთ სავსებით ფორმალურ და ზუსტ გარანტიას, ჯერ ერთი, რომ ინფორმაციას მიაწვდით მ თ ე ლ მუშათა პრესას, ესე იგი ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ს ტ უ რ ი მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი ს პრესის ორგანოებსაც (ჰეივუდი, სმპ* ამერიკაში, ტომ მანი და ბრიტანეთის სოციალისტური პარტია ინგლისში, ლორიო და მისი მეგობრები საფრანგეთში და ა. შ.), მეორე, რომ ჩემი პასუხი გამოქვეყნდება ს რ უ ლ ი ა დ უ ც ვ ლ ე ლ ა დ, ესე იგი

---

* სოციალისტური მუშათა პარტია ამერიკაში. რ ე დ.

თქვენ უფლება გაქვთ არ გამოაქვეყნოთ ჩემი პასუხი, მაგრამ თუ თქვენ მას გამოაქვეყნებთ, არა გაქვთ უფლება რაიმე შეცვალოთ ჩემს ტექსტში.

ვინ არის აქ, ლონდონში, ნიუ-იორკსა და პარიზში თქვენი „საერთაშორისო ასოციაციის" პასუხისმგებელი წარმომადგენელი?

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1917 წლის ნოემბერში, 10 (23) რიცხვამდე

პირველად დაიბეჭდა ფრანგულ (ფაქსიმილე) და რუმინულ ენებზე 1960 წლის 26 იანვარს გაზეთში „*Scînteia*" № 4740, *Bucuresti*

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა 1960 წლის 27 იანვარს გაზეთ „პრავდაში" № 27

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

**5**

## გენერალ-მაიორ ს. ი. ოდინცოვს

თქვენ შემომთავაზეთ შტაბის იმ ოფიცერთა და გენერალთა ჯგუფის შექმნა, რომლებსაც უმაღლესი სამხედრო განათლება აქვთ და სურთ შეუდგნენ დაზავების სამხედრო-ტექნიკური საკითხების დამუშავებას, რაც საშუალებას მისცემდა რუსეთს, მისი ინტერესების დაურღვევლად, მიეღწია საომარი მოქმედების შეჩერებისათვის.

ძალიან გთხოვთ, იმის გამო, რომ ეს საკითხი უკიდურესად სასწრაფოა, ხვალ დილიდანვე შეკრიბოთ თქვენი ჯგუფი და გამომიგზავნოთ ხვალ საღამოს დაზავების ხელშეკრულების ძირითადი საკითხების, პუნქტებისა და მოსაზრებების თუნდაც მოკლე კონსპექტი (ფრონტის ხაზის განსაზღვრა, სხვა ფრონტებზე ჯარის გაუყვანლობის პირობა, კონტროლის ზომები და ასე შემდეგ და ა. შ.), აგრეთვე დაასახელოთ პირი ან პირები, რომლებსაც შეეძლებათ, საქმის სრული ცოდნით, მონაწილეობა მიიღონ უშუალოდ მოლაპარაკებაში.

ძალიან გთხოვთ პასუხი გამომიგზავნოთ შიკრიკის საშუალებით.

დაწერილია 1917 წლის
15 (28) ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

6

## რსდმპ (ბ) პეტროგრადის კომიტეტს

პეტროგრადის კომიტეტს

ხომ არ შეუძლია რომელიმე ამხანაგს მომწეროს, მიიღო თუ არა გუშინ პეტროგრადის საბჭომ რეზოლუცია სასამართლოების შესახებ? და რა გაკეთდა პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი?[5]

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1917 წლის
25 ნოემბერს (8 დეკემბერს)

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

7

## დეპეშა მოქმედ არმიას

მოქმედი არმია
სემენიკს, იმ ნაწილების კომიტეტის თავმჯდომარეს,
რომლებიც არ შედიან 21-ე საარმიო კორპუსის
დივიზიების შემადგენლობაში

მიწები ცოცხალი და მკვდარი ინვენტარით გადაეცემა საადგილმამულო კომიტეტებს. როგორც სახალხო ქონება უსასტიკესად უნდა იქნეს დაცული.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1917 წლის
26 ნოემბერს (9 დეკემბერს)

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ტელეგრაფის ბლანკის
ტექსტის მიხედვით

8

## რსდმპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს

### განეცკის საქმე

განეცკის საკითხზე ვიწრო შემადგენლობის ცკ-მა მიიღო გადაწყვეტილება ა რ დ ა ნ ი შ ნ ო ს იგი წარმომადგენლად სტოკჰოლმში.

მაშასადამე, გ ა ა უ ქ მ ე ს ცკ-ის წინა გადაწყვეტილება.

წინადადება შემომაქვს გაუქმდეს ეს გადაწყვეტილება შემდეგი მოტივებით:

რა მოსაზრებებია განეცკის წინააღმდეგ?

იგი ცნობილია 1903 წლიდან, პოლონელთა ცკ-ის წევრია, მრავალ წელს მუშაობდა როგორც ცეკისტი, ჩვენ გვინახავს მისი მუშაობა კრაკოვში, გამგზავრებანი რუსეთში და სხვ., გვინახავს იგი ყველა ყრილობაზე და სხვ. და სხვ.

მოსაზრებებია მხოლოდ ბურჟუაზიულ ცილისწამებათა ლაშქრობა, ზასლავსკის ყვირილი.

პირდაპირ ულირსი იქნებოდა მუშათა პარტიისათვის ასე აჰყვეს ინტელიგენტურ ჭორს. და ჯერ ვ ი ნ მ ე მ დაამტკიცოს რაიმე ცუდი განეცკის შესახებ, მანამდე იგი არ უნდა გადავაყენოთ.

„მაგრამ განეცკი ვაჭრობდა პარვუსთან“, — ამბობს „ყველა“.

განეცკი საარსებო საშუალებას შოულობდა როგორც მ ო ს ა მ ს ა ხ უ რ ე სავაჭრო ფირმაში, რომლის აქციონერი იყო პარვუსი. ასე მითხრა განეცკიმ. ეს არავის არ გაუბათილებია.

აკრძალული ხომ არ არის სამსახური კაპიტალისტთა სავაჭრო საწარმოებში? სად? პარტიის რომელი გადაწყვეტილებით?

ჩვენს შორის არ არიან ადამიანები, რომლებიც მსახურობენ რ უ ს, ინგლისურ და სხვა კაპიტალისტთა სავაჭრო ფირმებში?

ან რ უ ს კაპიტალისტებთან ტექნიკოსებად, გამგეებად, მოსამსახურეებად ყოფნა შეიძლება, ხოლო გ ე რ მ ა ნ ე ლ კაპიტალისტებთან არ შეიძლება, თუნდაც ნეიტრალურ ქვეყანაში ცხოვრობდე?? და ამას გადაწყვეტს „ინტერნაციონალისტური“ პარტია??

დაე გადაწყვიტოს ეს პირდაპირ, დაე გამოიტანოს საერთო დადგენილება, დაე დაასაბუთოს ნაბიჯი განეცკის წინააღმდეგ.

როცა ბუხარინს უნდოდა წასულიყო და ემსახურა პარვუსის საქმეში როგორც ლ ი ტ ე რ ა ტ ო რ ს, ჩვენ მას ეს გადავათქმევინეთ, რადგან ეს მაინც სავაჭრო ფირმა არ არის. მაგრამ, რ ო ც ა გ ა დ ა ვ ა თ ქ მ ე ვ ი ნ ე თ, როდი ვდევნიდით **მე-კებს**, რომლებიც პარვუსთან მსახურობდნენ. ზურაბოვი და ბევრი სხვა, ჩვენ მათ როდი ვდევნიდით, ბრალს როდი ვდებდით.

ვინ და სად დასდო მათ ბრალი?

რატომ დ ღ ე მ დ ე არ დავკითხეთ კოპენჰაგენში მცხოვრები **მე-კები** და სხვ., რომლებმაც იცოდნენ განეცკის ვაჭრობის ამბავი და **არ** დაგმეს იგი? ჩვენ შეგვეძლო ამის გაკეთება და კიდევაც უნდა გაგვეკეთებინა.

არ არის დადგენილი არც ერთი ფაქტი განეცკის წინააღმდეგ, არ არის გამოტანილი აკრძალვა ყველა ქვეყნის კაპიტალისტთა სავაჭრო ფირმებში სამსახურისა, არ არის შემოწმებული ზასლავსკის მსგავს **აშკარა** ცილისმწამებელთა ხმები და ცილისწამებანი, —და „გადავაყენოთ" ?? არაფერი, გარდა უპასუხისმგებლო ჭორიკანათა ჭორის წინაშე „შიშისა" აქ არ არის.

არ ეკადრება მუშათა პარტიის იხელმძღვანელოს ჭორის ასეთი აყოლიებით. თუ ჭორს აყოლილი ამხანაგები „აღელვებული", „შეშფოთებული" არიან, რატომ არ უნდათ **შეიწუხონ** ცოტათი თავი? განა არ სჯობია თავი შეიწუხონ და იპოვონ ჭეშმარიტება, ვიდრე იმეორონ ჭორი? თვით პიტერში შეიძლება (თუ აღელვებულ ამხანაგს სურს თავი შეიწუხოს და არა უშრომლად გადაწყვიტოს) ვიპოვოთ კოპენჰაგენელი მ ო წ მ ე ე ბ ი, ისევე როგორც მოსკოვში. მაშ რატომ არ აკეთებენ ამას განეცკის ანონიმური ბრალმდებლები ჩვენი პარტიის რიგებიდან??

ასეთი დამოკიდებულება აქ არმყოფი ამხანაგისადმი, რომელიც 10 წელზე მეტს მუშაობდა, უდიდესი **უ ს ა მ ა რ თ ლ ო ბ ა ა**.

დაწერილია 1917 წლის
ნოემბერში, არა უგვიანეს 29 (12)
დეკემბრისა

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

9

## დეპეშა დამფუძნებელი კრების არჩევნების კომისიას [6]

ფსკოვი

ვრჩები ბალტიის ფლოტის დეპუტატად, გთხოვთ შემცვალოთ შემდეგი კანდიდატით ბოლშევიკების სიიდან*.

ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1917 წლის
30 ნოემბერს (13 დეკემბერს)
პირველად დაიბეჭდა 1958 წელს
ჟურნალში „სოვეტსკი მორიაკ"
№ 5

იბეჭდება
ტელეგრაფის ბლანკის
ტექსტის მიხედვით

10

## რსდმპ (ბ) პეტროგრადის კომიტეტს

1917 წ. 8. XII.

**პეტროგრადის კომიტეტს**

გთხოვთ მოიყვანოთ პარტიის **აბსოლუტურად** საიმედო წევრები სულ ცოტა 100 კაცი № 75 ოთახში, III სართული,— დარბევების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტი. (**კომისართა** სამსახურის შესასრულებლად) [7].

საქმე არქიმნიშვნელოვანია. პარტია პასუხისმგებელია. მიმართეთ რაიონებსა და ქარხნებს.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1917 წლის
8 (21) დეკემბერს
პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

---

* ანალოგიური შინაარსის დეპეშები გაიგზავნა პეტროგრადსა და მოსკოვში. რ ე დ.

## 11

## ვ. ა. ანტონოვ-ოვსეენკოს

ამხანაგი ანტონოვი, რომელიც მიემგზავრება მოსკოვს და იქიდან სამხრეთში საომარი მოქმედებისათვის კალედინის[8] წინააღმდეგ, ვალდებულებას კისრულობს ყოველდღე პირდაპირი მავთულით (პირადად ან ადიუტანტის მეშვეობით) აცნობოს სახალხო კომისართა საბჭოს, თუ სახელდობრ ვის დანიშნავს იგი, ან სხვა სამხედრო ხელისუფალნი, პასუხისმგებელ პირებად ცალკეული ოპერაციების გამგებლობისათვის, განსაკუთრებით ჯარების გადაყვან-გადმოყვანისა და შეკრების და სარდლობის შესრულებისათვის.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1917 წლის
8 (21) დეკემბერს
პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ვ. ი. ლენინის ხელმოწერილი
მანქანაზე დაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით

## 12

## ბ. ი. ბლაგონრავოვსა და ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს

1917 წ. 8. XII.

ამხ. ამხ. ბლაგონრავოვსა და ბონჩ-ბრუევიჩს

დაპატიმრებებს, რომლებიც უნდა მოხდეს ამხ. პეტერსის მითითებებით, **უაღრესად** დიდი მნიშვნელობა აქვს, უნდა შესრულდეს დიდი ენერგიით*. **განსაკუთრებული** ზომები უნდა

---

* ლაპარაკია კონტრრევოლუციონერთა დაპატიმრებაზე. რ ე დ.

იქნეს მიღებული ქაღალდების მოსპობის, გაქცევის, დოკუმენტების დამალვისა და სხვ. აღსაკვეთად.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1917 წლის
8 (21) დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით
1960 წელს ჟურნალში
„ვოპროსი ისტორიი კპსს" № 6

მთლიანად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 13

## დეპეშა ვ. ვ. ვოროვსკის

სტოკჰოლმი, ვოროვსკის

სასწრაფოდ მოძებნეთ და გამოგზავნეთ აქ მაღალი კვალიფიკაციის სამი ბუღალტერი ბანკების რეფორმაზე სამუშაოდ. რუსული ენის ცოდნა სავალდებულო არ არის. ანაზღაურება თქვენვე დაუწესეთ ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1917 წლის
დეკემბერში,
8 (21) დეკემბრის მერე

პირველად დაიბეჭდა 1927 წლის
6—7 ნოემბერს გაზეთ
„იზვესტიაში" № 256

იბეჭდება
ტელეგრაფის ბლანკის
ტექსტის მიხედვით

## 14
## ვ. ვ. ოზოლენსკის

1917 წ. 18. XII.

ამხ. ობოლენსკი!

რეკომენდაციას ვაძლევ ამის მომტან ამხანაგ სოლოვიოვს (ტელეფონი 265-24), ნავთობის საქმის მცოდნესა და ნაციონალიზაციის პროექტის ავტორს. უნდა გამოიყენოთ!

ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი

მისი ბარათი (ნავთობის საქმეზე) მივეცი შლიაპნიკოვს. ეგზ. არის თ ქ ვ ე ნ თ ვ ი ს ა ც (შლიაპნიკოვთან)[9].

დაწერილია 1917 წლის 18 (31) დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით 1958 წელს წიგნში „ვ. ი. ლენინის მოღვაწეობის შესახებ 1917—1922 წლებში", მოსკოვი

მთლიანად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 15
## პ. ა. კოზმინს

1917 წ. 20. XII.

ამხ. კოზმინ!

გუშინ გელოდით, რომ მესაუბრა სტანიცა კამენსკაიას მე-2 ფოლადსამსხმელო ქარხნის დელეგატთა საქმეზე. თხოულობენ დაფინანსების შეწყვეტას და კომისიის გაძევებას, რომელიც რეაქციულ და მექთახორა კომისიად მიაჩნიათ. თუ დღეს საღამოს ერთმანეთს ვერ შევხვდით, დამირეკეთ ტელეფონით, გეთაყვა[10].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1917 წლის 20 დეკემბერს (1918 წლის 2 იანვარს)

პირველად დაიბეჭდა 1927 წლის ნოემბერში ჟურნალში „სოვეტსკოე მუკომოლიე ი ხლებოპეჩენიე" № 8

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 16

## შარლ დიუმას [11]

21/XII—1917.

ძვირფასო მოქალაქე შარლ დიუმა!

მე და ჩემი მეუღლე დიდი სიამოვნებით ვიხსენებთ იმ დროს, როცა გავიცანით პარიზში, ბონიეს ქუჩაზე. დიდი მადლობელი ვართ თქვენი აზრთა გაზიარებისათვის და ძალზე ზუსტი ინფორმაციისათვის საფრანგეთში სოციალისტური მოძრაობის შესახებ.

ძალიან ვწუხვარ, რომ ჩვენი პირადი ურთიერთობა შეუძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც ჩვენ გაგვთიშა ესოდენ ღრმა პოლიტიკურმა უთანხმოებებმა. მთელი ომის განმავლობაში ვიბრძოდი „ეროვნული დაცვის“ ტენდენციის წინააღმდეგ, ყოველთვის ვუჭერდი მხარს გათიშვას, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ტენდენცია სრულიად ანგრევს სოციალიზმს.

თავისთავად იგულისხმება, რომ ამ წერილს გწერთ არა როგორც მთავრობის წევრი, არამედ როგორც კერძო პირი.

მიიღეთ, ძვირფასო მოქალაქევ, ჩვენი სალამი და საუკეთესო სურვილები ჩემგან და ჩემი მეუღლისაგან.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1917 წლის 21 დეკემბერს (1918 წლის 3 იანვარს)

პირველად დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე 1959 წლის 6 მარტს *„The Times Literary supplement“* (ლონდონი) № 2975

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა 1963 წლის 14 — 20 აპრილს „ნედელიაში“ (გაზეთ „იზვესტიის“ საკვირაო დამატება) № 16

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

## 17

## დეპეშა ვ. ა. ანტონოვ-ოვსეენკოს

სახკომსაბჭო გამოთქვამს რწმენას, რომ ამხ. ანტონოვი იმოქმედებს მომავალში, ისე როგორც წინათ, სრული კონტაქტით უკრაინის იმ ცენტრალურ საბჭოთა ხელისუფლებასთან, რომელსაც სახკომსაბჭო მიესალმა, და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დანიშნულ საგანგებო კომისართან [12].

დაწერილია 1917 წლის
30 დეკემბერს (1918 წლის
12 იანვარს)

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

# 1918 წელი

18

## დეპეშა ლ. მ. კარახანს*

ბრესტ-ლიტოვსკი
რუსეთის საზავო დელეგაციას
კარახანს
პირი უმაღლეს მთავარსარდალს კრილენკოს

მივიღე თქვენი დეპეშა მე-8 არმიის რევკომის წევრების—კუზმინისა და რეიზონის[13] ცნობის შესახებ. ამ დეპეშას გადავცემ უმაღლეს მთავარსარდალს ჩემი რჩევით: არ აჰყვეს კიევის რადის პროვოკაციას, არ დაუჯეროს მას, იმოქმედოს შეიარაღებულად, ორგანიზებულად და რაც შეიძლება გადაჭრით რუმინეთის კონტრრევოლუციური სარდლობის წინააღმდეგ, კალედინელთა და კიევის რადაში მათ დამქაშთა წინააღმდეგ.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის
3 (16) იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება
ტელეგრაფის ლენტის
ტექსტის მიხედვით

19

## მიწერილობა

ევალებათ ამხანაგ ჯარისკაცებსა და მატროსებს, რომლებიც საყარაულო სამსახურს ეწევიან თავრიდის სასახლეში, არ და-

* გადაცემულია პირდაპირი მავთულით. რ ე დ.

უშვან არავითარი ძალმომრეობა დამფუძნებელი კრების კონტრრევოლუციური ნაწილის მიმართ და, თავისუფლად გამოუშვებენ რა ყველას თავრიდის სასახლიდან, არავის არ შეუშვან იქ განსაკუთრებული ბრძანებების უქონლად[14].

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)*

დაწერილია 1918 წლის
5 (18) იანვარს ღამით

დაბეჭდილია 1918 წლის
12 (25) იანვარს გაზეთ
„რუსკიე ვედომოსტში“ № 5

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 20

## ტელეფონოგრამა
## იუსტიციის სახალხო კომისარიატს

ეს-ეს არის მივიღე მოხსენება, რომ წუხელ მატროსები მისულან მარინეს საავადმყოფოში და მოუკლავთ შინგარევი და კოკოშკინი. გიბრძანებთ დაუყოვნებლივ: ჯერ ერთი, დაიწყოთ უმკაცრესი გამოძიება; მეორე, დააპატიმროთ მატროსების დახოცვაში დამნაშავენი[15].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის 7 (20)
იანვარს

დაიბეჭდა 1918 წლის 21 (8)
იანვარს გაზეთ „პრავდაში“
(საღამოს გამოშვება) № 6

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით

---

* დოკუმენტს ხელს აწერს აგრეთვე სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნების საქმეთა კომისიის კომისარი და პეტროგრადის დაცვის საგანგებო კომისიის წევრი მ. ს. ურიცკი. რ ე დ.

## 21
## კ. ა. მეხონოშინს

1918 წ. 7. I.

ამხ. მეხონოშინს

ამის მომტანი—ამხ. რახია ძველი პარტიული მუშაკია, პირადად ვიცნობ, აბსოლუტურად სანდო კაცია. **მეტისმეტად** მნიშვნელოვანია დაეხმაროთ მას — მისცეთ (ფინეთის პროლეტარიატისათვის) იარაღი: დაახლოებით 10 000 თოფი ვაზნებიანად, დაახლოებით 10 სამდუიმიანი ზარბაზანი ყუმბარებიანად.

**ძალიან** გთხოვთ შეასრულოთ ციფრების შეუმცირებლად.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის
7 (20) იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 22
## მიწერილობა ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს

მიწერილობა

აცნობეთ გვარდიული ეკიპაჟის მატროსებს (ჩამოართვით ხელწერილი, რომ ეს მათ ეცნობათ), რომ ისინი პასუხს აგებენ დაპატიმრებული ოფიცრების სიცოცხლისათვის და რომ მათ, მატროსებს, არ მიეცემათ პროდუქტები, იქნებიან დაპატიმრებული და სამართალში მიცემული.

მიიღეთ სასწრაფო ზომები: (1) გაიგზავნოს კარგად შეიარაღებული დაცვა შენობასთან; (2) ჩაწერეთ გვარდიული ეკიპაჟის მატროსების რაც შეიძლება მეტი გ ვ ა რ ი[16].

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია არა უადრეს 1918
წლის 8 (21) იანვრისა

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
წიგნში: ვლად. ბონჩ-ბრუევიჩი.
„თებერვლისა და ოქტომბრის
რევოლუციების საბრძოლო
პოსტებზე“, მოსკოვი

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 23

## სურსათის კომისარიატს და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სასურსათო განყოფილებას [17]

1918 წ. 13. I.

ამის მომტანები ამხ. სუვოროვი და ანტროპოვი ურალის საბჭოების საოლქო კომიტეტის რწმუნებულები არიან. საჭიროა დაავალოთ მათ, მიიღონ უაღრესად რევოლუციური ზომები, რათა დააჩქარონ პურით დატვირთული ვაგონების გაგზავნა ციმბირიდან პიტერში.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის 13 (26) იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 24

## ზარათი მდივანს

გადაეცით შლიხტერსა და ნევსკის და სთხოვეთ ა რ ქ ი ენერგიულად დაეხმარონ ამ ადამიანებს, რომლებიც საუცხოო შთაბეჭდილებას ტოვებენ, რადგან მხოლოდ ასეთმა რაზმებმა (40—60 კაცი ადგილიდან) შეიძლება გვიხსნან შიმშილისაგან.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის 13 (26) იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

25

## დეპეშა ხარკოვსა და მოსკოვში

ხარკოვი. სახალხო სამდივნო, ანტონოვის შტაბი,
ორჯონიკიძეს
მოსკოვი. მთავარსარდალ მურალოვს,
დეპუტატთა საბჭოს პრეზიდიუმს

ჩვენ მივიღეთ ცნობა, რომ ორიოლსა და კურსკს შორის შეიქმნა ხერგილი, რომელიც ხელს უშლის ქვანახშირითა და პურით დატვირთული მატარებლების მოძრაობას. ყოველგვარი შეჩერება ქმნის შიმშილისა და მრეწველობის შეფერხების საფრთხეს. ეჭვი გვაქვს რკინიგზელთა საბოტაჟზე, რადგან იქ არაერთხელ ყოფილა ამისი შემთხვევა. დაბეჯითებით გთხოვთ მიიღოთ უაღრესად ულმობელი რევოლუციური ზომები. გთხოვთ გაგზავნოთ აბსოლუტურად საიმედო ადამიანთა რაზმი. ყოველი საშუალებით გაგზავნეთ პურით დატვირთული ვაგონები პეტროგრადში, თორემ შიმშილი გვემუქრება. დასხით ორთქლმავლებზე რამდენიმე მატროსი ან წითელგვარდიელი. გახსოვდეთ, რომ თქვენზეა დამოკიდებული პიტერის გადარჩენა შიმშილისაგან.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის
13 (26) იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ნ. პ. გორბუნოვის ხელით
დაწერილი ტექსტის მიხედვით

26

## კ. ბ. რადეკს

1918 წ. 14. I.

ძვირფასო რადეკ! ტროცკი ან კამენევი გაგაცნობთ ჩემს თვალსაზრისს. მე თქვენ პრინციპულად სრულიად არ გეთანხ-

მებით: გაებმებით მახეში, რომელსაც ორივე ჯგუფის იმპერიალისტები უგებენ საბჭოების რესპუბლიკას[18].

საუკეთესო სალმით თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის
14 (27) იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

27

## ვ. ა. ანტონოვ-ოვსეენკოსა და გ. კ. ორჯონიკიძეს

1918 წ. 15. I.

ხარკოვში

ანტონოვსა და სერგოს

ღვთის გულისათვის, მიიღეთ უ ა ლ ო ს ა დ ენერგიული და რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ზომები **პურის, პურისა** და **პურის** გასაგზავნად!!! თორემ პიტერს შეიძლება სული ამოხდეს. განსაკუთრებული მატარებლები და რაზმები. შეგროვება და ჩაბარება. გააცილეთ მატარებლები. მაცნობეთ ყოველდღე. ღვთის გულისათვის!

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის
15 (28) იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

28

## ნ. ი. პოდვოისკისა და ნ. ვ. კრილენკოს*

1918 წ. 15. I.

ამხ. პოდვოისკისა და ამხ. კრილენკოს

თანდართული წერილი დღეს მივიღე ამხ. ლ უ ტ ე რ ა ა ნ ი ს ა გ ა ნ, ჰოლანდიელისაგან, „ტრიბუნისტთა[19] მემარ-

* დოკუმენტზე ვ. ი. ლენინს წააწერია შემდეგი შენიშვნა: „B. Luteraan. Oostenburgermiddenstraat 59III, Amsterdam. Holland". რ ე დ.

ცხენე პარტიის წევრისაგან. იგი გავიცანი 1915 წელს ბერნში.

ლუტერაანი გვთხოვს მივცეთ მას სამგზავრო ფული და ჩავრიცხოთ რუსეთის წითელ გვარდიაში.

გთხოვთ, პრინციპული მოტივებით, დააკმაყოფილოთ მისი თხოვნა. იქნებ შეიძლება იგი დროებით ჩავრიცხოთ გერმანულად მოლაპარაკე ლატვიელებთან ან ესტებთან, სანამ არ ისწავლის რუსულად ლაპარაკს [20].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის
15 (28) იანვარს

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით
1957 წელს წიგნში: ე. ერიკალოვი.
„წითელი გვარდია საბჭოების
ხელისუფლებისათვის
ბრძოლაში“, მოსკოვი

მთლიანად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 29

## სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატს

1918 წ. 17. I.

გთხოვთ მისცეთ ფინეთის რკინიგზის კომისარს 25 000 შაშხანა და 30 ტყვიამფრქვევი, რომლებიც საჭიროა რუსი ჯარისკაცების დასაცავად ფინეთში თეთრგვარდიელთა ბურჟუაზიული რაზმების მხეცობისაგან.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

დაწერილია 1918 წლის
17 (30) იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 30

## დეპეშა ვ. ა. ანტონოვ-ოვსეენკოს

ხარკოვი, ანტონოვს

მივესალმები გამარჯვებას [21]. სასწრაფოდ გადავცემ მოსკოვში თქვენს მოთხოვნას. მთელი ძალ-ღონე მოახმარეთ პიტერში პურისა და პურის შემოზიდვას.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის
17 (30) იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ტელეგრაფის ლენტის
ტექსტის მიხედვით

## 31

## დეპეშა კ. მანერსა და კ. ვიიკს

ს ა ს წ რ ა ფ ო. მ თ ა ვ რ ო ბ ი ს

ჰელსინგფორსი

მანერს, მთავრობის თავმჯდომარეს,
და კარლ ვიიკს

საჭიროა ფინეთში მცხოვრებ შვედ მუშათა კავშირების სახელით უფრო ხშირად და დაწვრილებით გზავნოთ რადიოცნობები შვედურ ენაზე და დეპეშები შვეციაში, რათა გააბათილოთ შვეციის ბურჟუაზიული პრესის უაღრესად ყალბი ცნობები ფინეთის ამბების შესახებ [22]. გთხოვთ მაცნობოთ, იღებთ თუ არა ყველა ზომას.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის
24 იანვარს (6 თებერვალს)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 32

## დეპეშა არტურ ჰენდერსონს [23]

რუსეთის სოციალისტური მთავრობა წუხს, რომ არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სამოკავშირეო სოციალისტურ კონფერენციაში, რადგან იგი ეწინააღმდეგება ინტერნაციონალიზმის პრინციპებს. ჩვენ ვილაშქრებთ იმის წინააღმდეგ, რომ მუშათა კლასი დაიყოს იმპერიალისტურ დაჯგუფებათა შესაბამისად. თუ ინგლისელი ლეიბორისტები ეთანხმებიან რუსეთის მშვიდობიან განზრახვებს, რომლებიც უკვე მოიწონეს ცენტრალურ სახელმწიფოთა სოციალისტურმა პარტიებმა, ასეთი დაყოფა მით უფრო შეუწყნარებელია.

დაწერილია 1918 წლის
24 იანვარს (6 თებერვალს)
გაიგზავნა ლონდონში

დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე
1918 წლის 14 თებერვალს
გაზეთში „*The Call*" № 97

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება
გაზეთის ტექსტის მიხედვით
თარგმანი ინგლისურიდან

## 33

## დეპეშა უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკს*

დღევანდელი დეპეშა ზავისა და ყველა ფრონტზე არმიის საყოველთაო დემობილიზაციის შესახებ გააუქმეთ ყველა თქვენს ხელთ არსებული საშუალებით. ლენინის ბრძანებაა [24].

დაწერილია 1918 წლის
29 იანვარს (11 თებერვალს)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს წიგნში: ა. ლ. ფრაიმანი, „პეტროგრადის რევოლუციური დაცვა 1918 წლის თებერვალ—მარტში", მოსკოვი—ლენინგრადი

იბეჭდება
ტელეგრაფის ლენტის
ტექსტის მიხედვით

* გადასცა პირდაპირი მავთულით ვ. ი. ლენინის მდივანმა. რ ე დ.

## 34

## დეპეშა უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკს*

გადაეცით არმიის ყველა კომისარსა და ბონჩ-ბრუევიჩს შეაჩერონ ტროცკისა და კრილენკოს ხელმოწერილი ყველა დეპეშა არმიის დაშლის შესახებ. ზავის პირობებს ვერ მოგცემთ, რადგან ზავი ფაქტობრივად ჯერ არ დადებულა. გთხოვთ შეაჩეროთ ყველა დეპეშა, რომლებიც იუწყებიან ზავის შესახებ, განსაკუთრებულ ნებართვამდე.

დაწერილია 1918 წლის
30 იანვარს (12 თებერვალს)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს წიგნში: ა. ლ. ფრაიმანი. „პეტროგრადის რევოლუციური დაცვა 1918 წლის თებერვალ—მარტში",
მოსკოვი—ლენინგრადი

იბეჭდება
ტელეგრაფის ლენტის
ტექსტის მიხედვით

## 35

## ა. ლ. კოლეგაევს

1918 წ. 30. I.

ამხ. კოლეგაევ! დაეხმარეთ, გეთაყვა, ამის მომტანებს რჩევით და მითითებებით (რუსეთის მიწათმოქმედ კომუნისტთა პირველი საზოგადოება) იმის თაობაზე, როგორ და სად იშოვონ მიწა. საუცხოო თაოსნობაა, ყოველნაირად დაუჭირეთ მხარი [25].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის 30
იანვარს (12 თებერვალს)

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

* გადაცემულია პირდაპირი მავთულით. ამ დეპეშის ტექსტი მოყვანილია ცენტრობალტის გენერალური საზღვაო შტაბის დეპეშაში. რ ე დ.

## 36

## გ. ე. ზინოვიევს

1918 წ. 30. I.

ამხ. ზინოვიევ!

გთხოვთ გაგზავნოთ პეტროგრადის საბჭოსაგან შესაფერისი კაცი კ ვ ი რ ა ს დღის 2 საათზე, ობუხოველ მუშათა კრებაზე, რომლებმაც შექმნეს რუსეთის მიწათმოქმედ კომუნისტთა 1-ლი საზოგადოება — მითითებებისათვის, რჩევისათვის, დახმარებისათვის.

კარგი იქნება აირჩიოთ გ ა მ ო ც დ ი ლ ი პრაქტიკოს-ორგანიზატორი.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის
30 იანვარს (12 თებერვალს)

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 37

## დეპეშა ვ. ა. ანტონოვ-ოვსეენკოს

ნიკიტოვკა
მთავარსარდალ ანტონოვს

ბენზინის ნაკლებობის გამო არის საფრთხე გაჩერდეს მაღაროები, შეუძლებელი იქნება წყლის ამოტუმბვა. ძალიან გთხოვთ, თუ არის თუნდაც ოდნავი სამხედრო შესაძლებლობა, გაგზავნოთ მთელი ბენზინი მაღაროებში, ხარკოვის სახალხო მეურნეობის საოლქო საბჭოს განკარგულებაში, სუმსკაია, 27.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის
30 იანვარს (12 თებერვალს)

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

38

## დეპეშა ვ. ა. ანტონოვ-ოვსეენკოს

ნიკიტოვკა

მთავარსარდალ ანტონოვს*

კოჟევნიკოვის დანიშვნის საწინააღმდეგო არაფერი არა გვაქვს. მიაღწიეთ კონტაქტს ობოლენსკისთან და სრულიად უკრაინის ცაკთან. ობოლენსკისთან და ცაკთან შეუთანხმებლად ნუ იმოქმედებთ; თუ ამ უკანასკნელთა მხრივ საწინააღმდეგო არაფერია, თანახმა ვართ დაინიშნოს კოჟევნიკოვი დონის აუზის საგანგებო კომისრად.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის
30 იანვარს (12 თებერვალს)
პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება ვ. ი. ლენინისა და
ი. ბ. სტალინის მიერ დაწერილი
ტექსტის მიხედვით, რომელსაც
ხელს აწერს ვ. ი. ლენინი

39

## განკარგულება მდივანს

გადაეცით ეს დეპეშა ჩიჩერინს და სთხოვეთ სასწრაფოდ გაუგზავნოს შეკითხვა და პროტესტი შვეციის ელჩს [26].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის
14 თებერვალს
პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

---

* დეპეშის მისამართი და ტექსტი: „საწინააღმდეგო არაფერი არა გვაქვს“ და „ობოლენსკისთან და ცაკთან შეუთანხმებლად ნუ იმოქმედებთ“ დაწერილია ლენინის ხელით. რ ე დ.

## 40

## დეპეშა კ. მანერს

**ს ა ს წ რ ა ფ ო დ**
მთავრობის. **საიდუმლო**

ჰელსინგფორსი, მანერს
ფინეთის სახალხო მთავრობა

გთხოვთ დაუყოვნებლივ გაიგოთ ცენტრობალტისაგან ოლანდთან შვეციის კრეისერების მოსვლისა და შვედების ჯარების გადმოსხმის შესახებ. გთხოვთ, რაც შეიძლება მალე მაცნობოთ ტელეგრაფით, რა ცნობები აქვს ამის შესახებ ფინეთის მუშათა მთავრობას და როგორია მისი დამოკიდებულება მთელი ამ საკითხისადმი და შვეციის სამხედრო ძალის ჩარევისადმი [27].

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის
14 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 41

## რადიოდეპეშა ცენტრობალტს

ნუთუ ჭეშმარიტებას შეესაბამება ცნობა, რომ ოლანდის კუნძულთან მივიდნენ შვეციის სამხედრო გემები და, გადმოსხეს რა რაზმი, აიძულეს ჩვენები უკან დაეხიათ? დაცვისა და რეპრესიის რა სამხედრო ღონისძიებები განახორციელა ცენტრობალტმა? რომელი სამხედრო გემები, სახელდობრ როდის გაგზავნა ოლანდისაკენ?

მიპასუხეთ დაუყოვნებლივ. ძალზე შეშფოთებული ვართ. ვერ შევრიგებივართ იმ აზრს, რომ ცენტრობალტი და ჩვენი რევოლუციური ფლოტი უმოქმედოდ იყვნენ. ველი პასუხს.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის
14 თებერვალს ღამით

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეგამოცემაში, ტომი 50 5

იბეჭდება
ტელეგრაფის ლენტის
ტექსტის მიხედვით

42

## დეპეშა უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო მდივანს ე. ვ. ლუგანოვსკის

ხარკოვი
სახალხო მდივანს ლუგანოვსკის

დღეს სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარმა პოდვოისკიმ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა კუდინსკის:

„თქვენთვის მიცემულ რწმუნებათა თანახმად მიიღეთ შესასრულებლად შემდეგი: უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიის რაიონში თქვენი მოქმედება ზუსტად უნდა იყოს შეთანხმებული უკრაინის საბჭოთა ხელისუფლებისა და მისი ორგანოების მოქმედებასთან, ამიტომ თქვენი საგანგებო რწმუნებანი, ხელისუფლების ამა თუ იმ ორგანოების დაქვემდებარების აზრით, შეეხება მხოლოდ და მხოლოდ ბრიანსკის, სმოლენსკის, ვიტებსკის, ორიოლის, ვორონეჟის, ტულის გუბერნიებს".

იმედი მაქვს, რომ დაკმაყოფილდებით ამით და რომ კუდინსკი დაგემორჩილებათ.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის
15 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

43

## დეპეშა დონის ოლქის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარეს

მ თ ა ვ რ ო ბ ი ს. **ს ა ი დ უ მ ლ ო დ**

ვორონეჟი
დონის ოლქის საოლქო სამხედრო-რევოლუციური
კომიტეტის თავმჯდომარეს

მივიღეთ თქვენი 31/I* დეპეშა შახტნაიას და კამენოლომნის აღების შესახებ. მივესალმები საბჭოთა ჯარების წარმატებებს.

* 1918 წლის 13 თებერვალს ახალი სტილით. რ ე დ.

განსაკუთრებით გმადლობთ ცნობისათვის ცარიცინის გავლით 60 ვაგონი ქვანახშირის გამოგზავნის შესახებ. დაბეჯითებით გთხოვთ მაცნობოთ ტელეგრაფით ქვანახშირით და პურით დატვირთული მატარებლების ნომრები და გამოგზავნის ზუსტი საათები და დღეები. ძალზე საჭიროა. გამოგზავნეთ მეტი პური. ალექსეევის ჯაშუშის წერილი ჯერ არ არის მიღებული. გადაიღეთ ფოტოსურათი და გამოგზავნეთ უაღრესად საიმედო კაცის ხელით[28].

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის
16 თებერვალს
პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

44

## დეპეშა ვ. ა. ანტონოვ-ოვსეენკოს

**მთავრობის**

ნიკიტოვკა
მთავარსარდალ ანტონოვს

მივიღე დეპეშა, რომ თქვენ დაგინიშნავთ ფალკოვსკი. დაბეჯითებით გთხოვთ იმოქმედოთ მხოლოდ სრული თანხმობით ლუგანოვსკისთან და მისი, როგორც სუვერენული უკრაინის რესპუბლიკის სახალხო მდივნის, მითითებებით. თუ წარმოიშობა უთანხმოებანი მასთან, მოაგვარეთ სკრიპნიკის, ზატონსკის, ბოშის მეშვეობით, ბოლოს და ბოლოს, მიდეპეშეთ მე, მაგრამ ნურასოდეს ნუ შეუბრუნებთ სიტყვას ლუგანოვსკის. რუმინეთის მთავრობის მდიდარი საწყობები უნდა დაიცვათ უაღრესად მკაცრად, რომ ხელუხლებელი გადასცეთ რუმინელ ხალხს რუმინეთის კონტრრევოლუციის დამხობის შემდეგ.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის
17 თებერვალს
პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

45

## ა. ი. რიკოვს

**რიკოვს**

ჯერ ერთი, არის თუ არა აღწერის მონაცემები,

(1) სადაა (**მისამართები**)

(2) **სახელდობრ ვის აქვს** (გვარები და მისამართები) მთელი ეს ტვირთი.

მეორე, სად (ვინ, როდის?) გასცა განკარგულება მათი დაცვის შესახებ?

ვ ი ნ აგებს პასუხს მათი დაცვისათვის?

მესამე, ვ ი ნ აგებს პასუხს მათი სწორი (რაციონირებული, ნ ო რ მ ი რ ე ბ უ ლ ი, საბარათო) განაწილებისათვის?

მეოთხე, რ ა გაკეთდა (ვ ი ს მიერ?) იმისათვის, რომ ღარიბობას **უფასოდ დაურიგდეს** ამ და საერთოდ კონფისკებული პროდუქტების ნაწილი? [29]

დაწერილია 1918 წლის
18 თებერვალზე გვიან

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

46

## ბარათი ვ. ნ. პოდბელსკის მოსკოვში პირდაპირი მავთულით 1918 წლის 22 თებერვალს [30]

შემოწმებული ახალი ცნობები არა მაქვს, გარდა იმისა, რომ გერმანელები, საერთოდ რომ ითქვას, წინ მიიწევენ განუხრელად, რადგან არ ხვდებიან წინააღმდეგობას. მდგომარეობა მიმაჩნია მეტისმეტად სერიოზულად და ჩვენი მხრივ ოდნავი დაყოვნება შეუწყნარებელია. რაც შეეხება ცნობას, რომ ავსტრია-უნგრეთი არ მონაწილეობს ომში, პირადად მე, ტროცკისაგან განსხვავებით, არ მიმაჩნია ეს ცნობა შემოწმებულად,

ამბობენ, დაიჭირეს რადიო და იყო დეპეშები ამის შესახებ სტოკჰოლმიდანო, მაგრამ მე ასეთი დოკუმენტები არ მინახავს.

ლ ე ნ ი ნ ი

„იზვესტია სოვეტოვ რაბოჩიხ, სოლდატსკიხ ი კრესტიანსკიხ დეპუტატოვ გორ. მოსკვი ი მოსკოვსკოი ობლასტი" № 31, 1918 წლის 23 (10) თებერვალი

იბეჭდება ტელეგრაფის ლენტის ტექსტის მიხედვით

## 47

## რსდმპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს

გთხოვთ შეუერთოთ ჩემი ხმა, რომ ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის ყაჩაღებს ჩამოერთვას კარტოფილი და იარაღი[31].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის 22 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1922 წელს ნ. ლენინის (ვ. ულიანოვის) თხზულებათა კრებულში, ტომი XV

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 48

## რადიოგრამა საზავო დელეგაციას

სადგური ნოვოსელიე

საზავო დელეგაციას

ჩიჩერინს, იოფეს, კარახანს, სოკოლნიკოვს

სავსებით როდი გვესმის თქვენი დეპეშა. თუ მერყეობთ, ეს შეუწყნარებელია[32]. გაგზავნეთ პარლამენტიორები და ეცადეთ მალე გაემგზავროთ გერმანელებთან.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის 25 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს ლენინის XI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 49

## დეპეშა ირკუტსკში

ზავი ჯერ არ არის ხელმოწერილი, მაგრამ დელეგაცია გაემგზავრა ბრესტ-ლიტოვსკში ცაკისა და სახკომსაბჭოს მიერ მიღებული ზავის პირობების ხელმოსაწერად. თქვენი რეზოლუცია მივიღეთ. გერმანელი თეთრგვარდიელები და მათი რეგულარული არმიის ნაკრები ნაწილები, შეუერთდნენ რა ჩვენს თეთრგვარდიელებს, მტაცებლური თავხედობით უტევენ პეტროგრადს. არის ცნობები, რომ მოწინავე რაზმებს კვალდაკვალ მისდევენ გერმანელთა დიდი ძალები. ჩვენი ჯარების უმრავლესობა გარბის*. სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია. დაკავებულია დვინსკი, რეველი, ვენდენი, ვოლმარი, მინსკი, ფსკოვი. განწყობილება მხნეა. მუშათა მასები დაიძრნენ საბჭოთა რესპუბლიკის დასაცავად. ბოლშევიკების ცეკა მხარს უჭერს ზავის ხელმოწერას. მემარცხენე ესერების ცეკა წმიდათაწმიდა ომის მომხრეა.

რაც შეეხება ოქროს, გირჩევთ საბადოს ოქროში გადაიხადოთ მოპოვების თვითღირებულების ფასი. განსაკუთრებული დეკრეტი სახკომსაბჭოსაგან ოქროს შესახებ არ ყოფილა.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის
27 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ნ. პ. გორბუნოვის ხელით დაწერილი ტექსტისა და ვ. ი. ლენინის დამატების მიხედვით

## 50

## ფ. ე. ძერჟინსკის

1918 წ. 4/III (19/II).

ამხ. ძერჟინსკი! ამის მომტანი, სიდორენკო, ჩემი პირადი მდივანი იყო რამდენიმე დღეს. მე სავსებით კმაყოფილი ვიყავი

* დეპეშის ტექსტი სიტყვებიდან „არის ცნობები“ სიტყვებამდე „სოციალისტური სამშობლო“ დაწერილია ვ. ი. ლენინის ხელით. რ ე დ.

მისი მუშაობით. დათხოვნილია ერთი შემთხვევის გამო, როცა მთვრალი გაჰყვიროდა, როგორც გადმომცეს, „ლენინის მდივანი ვარო“.

სიდორენკომ მითხრა, ღრმად მოვინანიეო. პირადად მეც მინდა სავსებით დავუჯერო მას; ახალგაზრდა ყმაწვილია, ჩემი აზრით, ძალიან კარგია. ახალგაზრდობას ლმობიერად უნდა მოვეპყრათ.

ყველა ამ ფაქტის საფუძველზე თვითონ იმსჯელეთ, იმის მიხედვით, თუ რა ადგილს უმზადებთ მას.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**51**

## მ. თ. ანდრეევას

მარიამ თევდორეს ასულო!

სამწუხაროდ, კოლეგებს (ჩემს კოლეგებს საბჭოში) შეუძლებლად მიაჩნიათ, რომ დაგრთოთ ნახვის ნება (საგამომძიებლო კომისიის გვერდის ავლით); მით უმეტეს, რომ საექიმო დახმარება (თუ ავად არიან) არის.

არ შემიძლია საბჭოში ჩემი კოლეგების ნებისა და გადაწყვეტილების წინააღმდეგ წავიდე.

ახლა აბსოლუტურად არ შემიძლია გესაუბროთ, რადგან **შეუძლებელია** მოვწყდე. მოგწერთ „პროვოკატორისა და შანტაჟისტის“ საქმეზე (ეს იყო **აშკარა შ ა ნ ტ ა ჟ ი ს ტ ი**: კარტაშოვი დიდი ხანია ც ი ხ ე შ ი ა, მე ვიკითხე).

ძალიან გთხოვთ მაპატიოთ.

გართმევთ ხელს. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის
12 მარტზე გვიან—1919 წლის
სექტემბერზე ადრე

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

52

## გ. კ. ორჯონიკიძეს

ამხანაგო სერგო!

ძალიან გთხოვთ სერიოზული ყურადღება მიაქციოთ ყირიმსა და დონის აუზს იმ თვალსაზრისით, რომ შეიქმნას ერთიანი საბრძოლო ფრონტი დასავლეთიდან შემოსევის წინააღმდეგ. დაარწმუნეთ ყირიმელი ამხანაგები, რომ ვითარება თავს ახვევს მათ თავდაცვას და მათ უნდა დაიცვან თავი მიუხედავად საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციისა. გააგებინეთ მათ, რომ ჩრდილოეთის მდგომარეობა არსებითად განსხვავდება სამხრეთის მდგომარეობისაგან ომის გამოც. უკრაინის წინააღმდეგ გერმანელთა ფაქტობრივი ომის გამო ყირიმის დახმარება, რომელიც (ყირიმი) გერმანელებს შეუძლიათ სხვათა შორის შესანსლონ, არა მარტო მეზობლური მოვალეობის აქტია, არამედ აგრეთვე თავდაცვისა და თავის შენახვის მოთხოვნაა. შესაძლოა, რომ სლუცკიმ ვერ გაიგო შექმნილი სიტუაციის მთელი სირთულე და რაღაც სხვა გაუბრალოებულ ხაზს ადგას— მაშინ მას უკან უნდა დაახევინოთ გადაჭრით, რისთვისაც მე დამიმოწმეთ. პურისა და ლითონის დაუყოვნებლივი ევაკუაცია აღმოსავლეთისაკენ, ძირგამომთხრელი ჯგუფების შექმნა, ყირიმიდან ველიკოროსიამდე დაცვის ერთიანი ფრონტის შექმნა და საქმეში გლეხების ჩაბმა, უკრაინაში მყოფი ჩვენი ნაწილების გადაჭრით და უსიტყვოდ გადაკეთება უკრაინულ ყაიდაზე — ასეთია ახლა ამოცანა. უნდა აუკრძალოთ ანტონოვს თავს უწოდებდეს ანტონოვ-ოვსეენკოს, — მას უნდა ერქვას უბრალოდ ოვსეენკო. იგივე უნდა ითქვას მურავიოვზე (თუ იგი დარჩება პოსტზე) და სხვებზე.

რაც შეეხება დონეცის რესპუბლიკას, გადაეცით ამხანაგებს ვასილჩენკოს, ჟაკოვსა და სხვებს, რომ, როგორც არ უნდა ცდილობდნენ გამოყონ უკრაინიდან თავიანთი ოლქი, იგი, ვინიჩენკოს გეოგრაფიის მიხედვით, მაინც შეტანილი იქნება უკრაინაში და გერმანელები შეეცდებიან მის დაპყრობას. ამიტომ სრულიად უაზროა დონეცის რესპუბლიკის მხრივ უარი თქვას

დანარჩენ უკრაინასთან დაცვის ერთიან ფრონტზე. მექლაუკი პიტერში იყო, და დათანხმდა ეცნო დონეცის აუზი უკრაინის ავტონომიურ ნაწილად; არტემიც დაეთანხმა ამას; ამიტომ დონეცის აუზიდან რამდენიმე ამხანაგის ჯიუტობა წააგავს სრულიად აუხსნელ და მავნე ჰირვეულობას, რომელიც ყოვლად შეუწყნარებელია ჩვენს პარტიულ რიგებში.

შეაგნებინეთ ყოველივე ეს, ამხ. სერგო, ყირიმელ და დონეცელ ამხანაგებს და მიაღწიეთ დაცვის ერთიანი ფრონტის შექმნას.

ლ ე ნ ი ნ ი

14 (1). III. 1918

ფულის შესახებ მიეცით განკარგულება გასცენ დაცვისათვის საჰირო, მაგრამ იყავით არქიფრთხილად, მიეცით მხოლოდ ყველაზე საიმედო ადამიანებს და უაღრესად სერიოზული კონტროლით, რადგან „წაგლეჯის“ ან ტყუილად გადაყრის მსურველი ახლა ბევრია*.

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით 1957 წელს წიგნში „სსრ კავშირის სამოქალაქო ომის ისტორია, 1917—1922“, ტომი 3

მთლიანად დაიბეჭდა 1960 წელს წიგნში „სსრ კავშირის სამოქალაქო ომის ისტორიიდან“, ტომი 1

იბეჭდება ი. ბ. სტალინის ხელით დაწერილი ტექსტის მიხედვით და ვ. ი. ლენინის დამატებით

**53**

## ფოსტისა და ტელეგრაფის კოლეგიას

1918 წ. 26. III.

გთხოვთ მაცნობოთ:

(1) არსებობს თუ არა ტელეგრაფის უწყებაში სამუშაო დროის ასეთი განაწილება: 24 საათი მორიგეობა და შემდეგ სამი დღე დასვენება?

* დოკუმენტის ხელმოწერა, თარიღი და ტექსტი სიტყვებიდან „ფულის შესახებ“ ფრაზის ბოლომდე დაწერილია ვ. ი. ლენინის ხელით. რ ე დ.

(2) თუ არსებობს, რა დროიდან და ვისი განკარგულებით ან გადაწყვეტილებით? გთხოვთ გამომიგზავნოთ ზუსტი ტექსტი და მისთვის პასუხისმგებელი პირები.

(3) რა ზომები, როდის და ვის მიერ არის მიღებული სამუშაოს ასეთი აშკარად არასწორი და შეუწყნარებელი განაწილების შესაწყვეტად.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**54**

## დეპეშა პეტროგრადის შრომის კომუნის სახკომსაბჭოს [33]

მთავრობის
სასწრაფო
**მაცნობეთ მიტანა**

1918 წ. 28. III.

პეტროგრადი, სმოლნი
პეტროგრადის შრომის კომუნის სახკომსაბჭოს.
პირები შლიაპნიკოვს, საევაკუაციო კომისიის თავმჯდომარეს, და გორბუნოვს, სახკომსაბჭოს მდივანს

მივიღე გორბუნოვის ბარათი. მხურვალე პროტესტს ვაცხადებ მრეწველობის ევაკუაციის შეჩერების წინააღმდეგ [34]. ლარინსა და მილიუტინს უფლება არა აქვთ შეცვალონ გადაწყვეტილება. თუ ვინმე უკმაყოფილოა ჩემი განკარგულებით, დაე გაასაჩივროს იგი სახკომსაბჭოში ან ცაკში, ხოლო ჩემი განკარგულების გაუქმებამდე მისი შესრულება სავალდებულოა. განსაკუთრებით აღშფოთებული ვარ იმით, რომ გუტუევის კუნძულის მილიარდიანი მარაგი ხელუხლებელია. ეს სირცხვილია. რადაც უნდა დაგიჯდეთ, დაიწყეთ და უაღრესად სასწრაფოდ აწარმოეთ ამ მარაგის ევაკუაცია [35]. სახკომსაბჭოს კვირა-

ში 2-ჯერ გამოუგზავნეთ ზუსტი ანგარიშები იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა ფაქტობრივად ევაკუაციისათვის, რამდენი ვაგონია ევაკუირებული.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 55

## სახკომსაბჭოს მდივანს

აქ სხედან, როგორც ჩანს, **სხვა** საკითხზე გამოძახებულები. მათი გარეკვა საჭირო არ არის.

მაგრამ თქვენ და სხვა მდივნებს გიცხადებთ საყვედურს: ასჯერ არის ნათქვამი, რომ უნდა მოიწვიოთ **მხოლოდ** შესაბამის საკითხზე.

დაწერილია 1918 წლის
მარტ—აპრილში

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 56

## ლ. ა. ფოტიევას

თქვენ კი არ „დაგჯაბნეს“, არამედ მეტისმეტად რბილად გექცევიან.

1) ჩამოართვით ხელწერილი ყველა მდივანს, რომ სახკომსაბჭოს ს ხ დ ო მ ე ბ ი ს დ რ ო ს **მ ხ ო ლ ო დ** ბარათები მოგვაწოდონ, ლაპარაკი კი აკრძალულია.

2) გააკარით ასეთივე განცხადება სამდივნოში.

დაწერილია არა უადრეს
1918 წლის მარტისა —
არა უგვიანეს 1919 წლის
სექტემბრისა

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 57

## დეპეშა პეტროგრადის შრომის კომუნის სახკომსაბჭოს

პეტროგრადის შრომის კომუნის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს

ტელეფონით გადმოცემული თქვენი განცხადების თანახმად მოველით, რომ დაუყოვნებლივ და ფორმალურად იქნებიან გაწვეული წითელგვარდიელთა რაზმები, რომლებიც, თუმცა უმნიშვნელო რიცხვით, მაგრამ შევიდნენ ფინეთში საბჭოთა ხელისუფლების ნების წინააღმდეგ. მოვითხოვთ, რომ ამის შესახებ გამოტანილ იქნას პეტროგრადის კომუნის სახკომსაბჭოს ფორმალური დადგენილება. დაბეჯითებით გთხოვთ დაუყოვნებლივ გვაცნობოთ ამ დადგენილების ზუსტი ტექსტი.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის 1 აპრილს
პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ტელეგრაფის ბლანკის ტექსტის მიხედვით

## 58

## საუბარი ვ. ვ. კუიბიშევთან პირდაპირი მავთულით

აპარატთან არის დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარე კუიბიშევი, სამარიდან.

ამხანაგო ლენინ, ორენბურგში კვლავ წამოჰყო თავი დუტოველობამ; მიღებულია ცნობა, რომ ორენბურგიდან 20 ვერსზე უტევენ კაზაკთა რაზმები. ილეცკი გარშემორტყმულია კაზაკებით, კაზაკები მობილიზაციას უკეთებენ მთელ სტანიცებს, სჩადიან საშინელ მხეცობას, მოკლულია ადმასკომის სამი წევრი, საბჭოს კაზაკთა სექციის თავმჯდომარე ზახაროვი. ორენბურგის ბურჟუაზია აქტიურ მონაწილეობას იღებს. ორენბურგი სთხოვს სახალხო კომისართა საბჭოს დახმარებას, რათა ძირფესვიანად მოსპოს დუტოვის ავანტიურა, თორემ კვლავ შეიქმნება უსაძრაობა, რაც შიმშილით დაღუპავს თურქესტანის მხარის 12 000 000 მცხოვრებს. ორენბურგიდან ილეცკისაკენ გაგზავნილი ერთი რაზმი გარშემორტყმული და მთლიანად მოსპობილია; ფიქრობენ, რომ დაიღუპა მთავრობის კომისარი ცვილინგი. სამარა დაძაბავს

მთელ ძალებს, რათა დაეხმარის ორენბურგს, მაგრამ დუტოველთა საბოლოო ლიკვიდაციისათვის ადგილობრივი ძალები არ კმარა, საჭიროა დახმარება ცენტრიდან. მე დავამთავრე, ველი პასუხს.

ახლავე ვიხმარ ყოველ ღონეს, რათა დაუყოვნებლივ ვაცნობოთ სამხედრო უწყებას და გაგიწიოთ დახმარება.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის აპრილში, არა უადრეს 2, არა უგვიანეს 4 რიცხვისა

პირველად დაიბეჭდა 1935 წლის 26 იანვარს გაზეთ „პრავდაში" № 25

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

59

## დეპეშა ციმბირის საბჭოების ცაკს

სავსებით ვიწონებ ციმბირის საბჭოების ცაკის რეზოლუციას [36]. გირჩევთ მოამზადოთ სასურსათო და სხვა პროდუქტების საწყობები, თუნდაც რეკვიზიციის გზით, იმისათვის, რომ სერიოზულად დავაყენოთ თავდაცვა. ელჩებთან მოლაპარაკება ჩვენთან უნდა დაიწყოს დღეს [37]. ცხადია, არავითარ დაპირებას ახლა არ შეიძლება დავუჯეროთ და ერთადერთი სერიოზული გარანტიაა სოლიდური სამხედრო მომზადება ჩვენი მხრივ.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის 5 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი პირის მიხედვით

60

## ციმბირის საბჭოების ცაკს

მივიღე იაკოვლევის [38] ბარათი. ვიწონებ მზადებისა და მობილიზაციის გეგმებს. თუ წინ წამოიწიეს, წინააღმდეგობა გაუ-

წიეთ. გადავეცი სამხედრო კომისარიატს. შევეცდებით დაგეხმაროთ ფულის გამოგზავნით, თუმცა ჩვენ არაჩვეულებრივად დიდი სიძნელეები გვაქვს.

გთხოვთ მაცნობოთ უფრო ხშირად.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის 6 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 61

## ი. მ. სვერდლოვსა და ს. პ. სერედას

1918 წ. 8. IV.

ამხ. სვერდლოვს
და ამხ. სერედას

ამის მომტანი—ამხ. ხარლოვი, რომელიც 11 თვეს მუშაობდა ფსკოვის გუბერნიის გლეხთა საბჭოებში, სპეციალობით აგრონომია 5 წლის პრაქტიკით. ბოლშევიკების პარტიის წევრია 1905 წლიდან (პეტროგრადში ვასილის კუნძულზე ირიცხებოდა 1917 წლის მარტიდან). გთხოვთ ესაუბროთ მას მიწათმოქმედების კომისარიატში მუშაობისა და მასში მისი შესაძლო მონაწილეობის შესახებ.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 62

## დ. პ. ბოგოლეპოვსა და ა. დ. ციურუპას

1918 წ. 10. IV.

ამხ. ბოგოლეპოვს
(ფინანსთა კომისრის მოადგილეს)
ამხ. ციურუპას
(ან ამხ. ბრიუხანოვს)

ამ ბარათის მომტანებმა, ფ ს კ ო ვ ი ს საგუბერნიო საბჭოს წარმომადგენლებმა, დღემდე ვერ მიაღწიეს **სასურსათო**

და ფინანსურ დახმარებას, რაც უაღრესად და აბსოლუტურად ესაჭიროებათ. ფსკოვის გუბერნიის მდგომარეობა (განსაკუთრებით გერმანელთა შემოსევის გამო; დაკავებულია გ უ ბ ე რ ნ ი ი ს დ ა ა ხ ლ ო ე ბ ი თ $^{1}/_{9}$) საშინელია. გთხოვთ უაღრესად — მოიფიქროთ, რა სასწრაფო ზომებით დაეხმაროთ მათ, და დამირეკოთ მოლაპარაკებისათვის ამის შესახებ.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

63

## იუსტიციის კომისარიატს

ვთხოვ იუსტიციის კოლეგიის წევრებს (სასურველია **ყველას**) მინახულონ (დღისა და საათის შესახებ შევთანხმდებით) საუბრისათვის იმის შესახებ,

1) სახელდობრ რა გაკეთდა კანონთა და განკარგულებათა კრებულის გამოცემისათვის,

2) — კოდიფიკაციისათვის,

3) — ბურჟუაზიისა და ხაზინის მქურდავების და სხვათა უფრო ჩქარი და უფრო ულმობელი გასამართლებისათვის,

4) — მოსახლეობაში, მუშებსა და ღარიბეს გლეხებს შორის იურიდიული პროპაგანდისათვის

(ა) ბეჭდვითი;

(ბ) ლექციური (ან კურსები და ა. შ.),

5) — სასამართლოს (ნაფიცი მსაჯულები) და საგამომძიებლო საქმეში ღარიბობის ჩაბმისათვის,

6) — შრეიდერის ძალების გამოყენებისათვის და სხვ.

**სახკომსაბჭოს** თავმჯდომარე ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

დაწერილია 1918 წლის 15 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

64

## რიბინსკის საბჭოთა და მუშათა ორგანიზაციებს [39]

ამხ. დირენკოვის ნაამბობმა, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებს რიბინსკში შრომის დისციპლინის ამაღლებისათვის, თუ როგორ უჭერენ ამ ღონისძიებებს მხარს მუშები, დამანახვეს, რომ რიბინსკელი ამხანაგები დღევანდელი ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე გადაუდებელი ამოცანების გადაჭრას სწორად ჰკიდებენ ხელს, და ვთხოვ ქ. რიბინსკის საბჭოთა ხელისუფლებისა და მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებს მიიღონ ჩემგან სურვილები, რომ კიდევ უფრო ენერგიულად იმუშაონ და მიაღწიონ საუკეთესო წარმატებებს ამ სარბიელზე.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვლადიმერ ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია არა უადრეს 1918 წლის 15 აპრილისა

დაბეჭდილია 1918 წლის 16 (29) მაისს გაზეთში „იზვესტია რიბინსკოგო სოვეტა რაბოჩიხ, კრესტიანსკიხ ი სოლდატსკიხ დეპუტატოვ" № 105

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით

65

## დ. პ. ბოგოლეპოვსა და ი. ე. გუკოვსკის

1918 წ. 16. IV.

ამხანაგებს ბოგოლეპოვსა და გუკოვსკის

გიგზავნით აქციების კანონის პროექტს. სავალდებულო და სასწრაფოა.

1) განიხილეთ,

2) დასახეთ თქვენი შესწორებები,

3) ჩააბით მაშინვე თქვენი ნაცნობი სპეციალისტები განხილვაში (მოითხოვეთ მათგან აზრის გამოთქმა—უკეთესია

წერილობით); პროფესორებს შეიძლება შ ე უ კ ვ ე თ ო თ აზრის გამოთქმა.

4) ყველაფერი ეს უნდა დამთავრდეს **ხვალამდე,** რადგან ხვალ, 17. IV, ჩვენ სახკომსაბჭოში უნდა **დავამტკიცოთ** დეკრეტი [40].

ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**66**

## დეპეშა ნიჟნი ნოვგოროდის საბჭოს თავმჯდომარეს

ნიჟნი ნოვგოროდი
დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარეს

ფინანსთა კომისრის განცხადებით, დაბრკოლებები ექმნება სახელმწიფო ბანკის სრულ რევიზიას, რომელიც დანიშნესმან და კონტროლმა. წინადადებას გაძლევთ შეუქმნათ შესაძლებლობა სახელმწიფო ბანკის სრულ ყოველმხრივ რევიზიას და ხელი შეუწყოთ გამოგზავნილ რევიზორებს. გთხოვთ მაცნობოთ ტელეგრაფით, რომ რევიზიას შექმნილი აქვს სრული შესაძლებლობა შეასრულოს დავალება*.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის 17 აპრილს
პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება ტექსტის მიხედვით, რომელიც დაწერილია ი. ე. გუკოვსკის ხელით, შევსებული და ხელმოწერილია ლენინის მიერ

---

* ტექსტი სიტყვებიდან „გთხოვთ მაცნობოთ" დაწერილია ვ. ი. ლენინის ხელით. რ ე დ.

## 67

## დეპეშა სიმბირსკის საბჭოს თავმჯდომარეს *

სიმბირსკი

დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარეს

მაცნობეთ ტელეგრაფით ჩუვაშეთის ქალთა და ვაჟთა სამასწავლებლო სემინარიების თავმჯდომარეთა არჩევის გარემოებები და პირობები. მაინტერესებს ინსპექტორ ივანე იაკობის ძე იაკოვლევის ბედი, რომელიც 50 წელს მუშაობდა ჩუვაშთა ეროვნული აღმავლობისათვის და რომელმაც ცარიზმისაგან გადაიტანა მრავალი დევნა. ვფიქრობ, რომ იაკოვლევი არ უნდა მოვწყვიტოთ მისი ცხოვრების საქმეს [41].

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის
20 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1923 წლის
19 იანვარს გაზეთ „პროლეტარსკი
პუტში“ (ულიანოვსკი) № 16

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 68

## მცირე სახკომსაბჭოს [42]

1918 წ. 21. IV.

მცირე საბჭოს

წითელი ჯვრის რეორგანიზაციის საქმეზე, რომელიც შევიტყვე ვ. მ. ბონჩ-ბრუევიჩის მეშვეობით, გირჩევთ დაბეჯითებით

1) მოსთხოვოთ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ახსნა-განმარტება

(ა) კომიტეტის ყველა წევრს

(§ 3 განყოფილება I),

(ბ) ყველა უწყებას, ვისაც უ ნ დ ა გაეგზავნა წარმომადგენლები, —

— ახსნა-განმარტება იმის შესახებ, თუ როდის შეკრებილა კომიტეტი, სად არის მისი ოქმები და სხვ.

* დოკუმენტის ზედა ნაწილში ვ. ი. ლენინმა წააწერა: „გთხოვთ გამომიგზავნოთ პირადად ანგარიში ამ დეპეშისათვის“. რ ე დ.

საჭიროა არა მარტო შევახუროთ, **არამედ სამართალში მივცეთ** მთელი რიგი პირები (ისინი უნდა ვიპოვოთ) დეკრეტის შეუსრულებლობისათვის.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

69

## დეპეშა პ. თ. ვინოგრადოვს

არხანგელსკი
საგუბერნიო აღმასკომი ვინოგრადოვს

სახკომმა ციურუპამ წარმომიდგინა თქვენი 21. IV. № 1192 დეპეშა მისდამი, რომელშიც უაზროს უწოდებთ ცენტრალური საბჭოთა ხელისუფლების განკარგულებას.

გიცხადებთ ოფიციალურად საყვედურს ამისათვის და გაფრთხილებთ, რომ, თუ უკან არ წაიღებთ ესოდენ შეუწყნარებელ გამოთქმას, აღვძრავ სამართალში თქვენი მიცემის საკითხს, რადგან, თუ ჩვენ კეთილსინდისიერად ვასწავლით დისციპლინას მუშებსა და გლეხებს, ვალდებული ვართ დავიწყოთ საკუთარი თავით.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია არა უადრეს 1918
წლის 21 აპრილისა

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით
1940 წელს ჟურნალ „ბოლშევიკ-
ში" № 3
მთლიანად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 70

## გ. ვ. ჩიჩერინს

ამხ. ჩიჩერინს

ხომ არ შეიძლება „მოამზადოთ“ მირბახის ჩამოსვლისათვის ჩვენი კონსტიტუციის ისეთი განმარტება, რომ ე ლ ჩ ე ბ ი თავიანთი რწმუნების სიგელებს აბარებდნენ ცაკის თავმჯდომარეს?

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის 23 აპრილზე ადრე

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 71

## ა. ი. რიკოვს

რაც შეიძლება დააჩქარეთ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში ძველი ქაღალდის ფულის ახალი ფულით შეცვლის საკითხის განხილვა: გუკოვსკი ჯიუტობს, ჩემი აზრით კი ეს უნდა დავაჩქაროთ [43].

თქვენი აზრი?

დაწერილია 1918 წლის 23 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 72

## სახკომსაბჭოსთან არსებულ ბეჭდვითი სიტყვის ბიუროს

1918 წ. 27. IV.

ბეჭდვითი სიტყვის ბიუროს
ამხ. აქსელროდ!

ძალიან გთხოვთ დაეხმაროთ ამის მომტანს, ამხ. გომბერგს, შეაგროვოს მთელი მასალები (ბეჭდური) ჩვენი რევოლუციის

შესახებ. ამ საქმეს დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამაზე დამოკიდებულია ამერიკისა და მთელი მსოფლიოს ინფორმირება.

სალამი! ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**73**

## რაიმონდ რობინსს [44]

1918 წ. 30. IV.

ძვირფასო მისტერ რობინს,

ფრიად გმადლობთ თქვენი წერილისათვის. დარწმუნებული ვარ, რომ ახალი დემოკრატია, ესე იგი პროლეტარული დემოკრატია, დამყარდება ყველა ქვეყანაში და მოსპობს ყველა დაბრკოლებასა და იმპერიალისტურ-კაპიტალისტურ სისტემას ახალ და ძველ სამყაროში.

გულითადი სალმით და მადლიერებით
თქვენი ერთგული ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა რუსულ ენაზე 1957 წელს წიგნში „სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები", ტომი I

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით
თარგმანი ინგლისურიდან

**74**

## ა. დ. ციურუპას

ამხ. ც ი უ რ უ პ ა ს

საპრონოვი მოსკოვის დეპუტატთა ს ა გ უ ბ ე რ ნ ი ო საბჭოდან გვიხატავს მოსკოვის გუბერნიაში სურსათის კატასტრო-

ფულ მდგომარეობას და მოითხოვს აუცილებლად გაიზარდოს განწესები. დაწესდეს გაცემის თუნდაც მინიმალური ნორმა. გლეხობას მივცეთ მეტი, თორემ შ ე ჭ ა მ ე ნ მ თ ე ლ თ ე ს ლ ს და ა რ მ ო ხ ნ ა ვ ე ნ.

რა შეიძლება გაკეთდეს? რა გააკეთეთ?

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია არა უადრეს
1918 წლის აპრილისა

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

75

## პ. პ. მალინოვსკის [45]

რატომ, სახკომსაბჭოს დადგენილების საწინააღმდეგოდ და მიუხედავად უმუშევრობისა (და მიუხედავად 1. V),

არ არის დაწყებული სამუშაოები მოსკოვში

1) მეფეთა ძეგლების კ ა რ გ ა დ დახურვისათვის?

2) მეფის არწივების მოხსნისათვის?

3) ყ ვ ე ლ ა საზოგადოებრივ შენობაზე ა ს ო ბ ი თ წარწერის (რევოლუციურის და სოციალისტურის) მომზადებისათვის?

4) სხვადასხვა დიდი რევოლუციონერის ბ ი უ ს ტ ე ბ ი ს (თუნდაც დროებითი) დადგმისათვის?

დაწერილია 1918 წლის
1 და 13 მაისს შუა

პირველად დაიბეჭდა 1963 წლის
20 აპრილს გაზეთ „სოვეტსკაია
კულტურაში“ № 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

76

## დეპეშა ურალის ნაციონალიზებულ საწარმოთა საოლქო გამგეობას ვ. ნ. ანდრონიკოვს

ეკატერინბურგი
საოლქო გამგეობა
ანდრონიკოვს

ხმები ბოგოსლოვსკის ოლქის დენაციონალიზაციის შესახებ სულელური მონაჩმახია [46].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის
2 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1927 წელს
წიგნში „ურალის მუშათა კლასი
ომისა და რევოლუციების წლებში",
ტ. III, სვერდლოვსკი

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

77

## რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს [47]

1) ამხ. სპირიდონოვასა და კარელინის წინადადება ის არის, რომ ბოლშევიკებმა მიწათმოქმედების კომისარიატი სრულ ფაქტობრივ მფლობელობაში მისცენ მემარცხენე ესერებს, მასთან ბოლშევიკებს დაუტოვონ მხოლოდ პოლიტიკური წარმომადგენლობა.

2) ასეთი წინადადების საფუძველია ის, რომ, ამხ. სპირიდონოვას და კარელინის აზრით, მიწათმოქმედების კომისარიატი იშლება, მუშაობა მემარცხენე ესერებისათვის შეუძლებელი ხდება, ისინი იძულებული იქნებიან წავიდნენ ყველანი, რადგან მათ თითქოს „ერეკებიან" და ა. შ.

3) თათბირი (ლენინისა ბოლშევიკებთან მიწათმოქმედების კოლეგიიდან) ესერების მიერ დასმული საკითხის გადაწყვეტას გადასცემს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. თავის მხრივ

თათბირს ესერების მოსაზრებანი მიაჩნია უსაფუძვლოდ და მათი წინადადება მიუღებლად*.

დაწერილია 1918 წლის 3 მაისს
პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

78

## პროექტი რადიოგრამისა საზავო დელეგაციას კურსკში

უკრაინაში სახელმწიფო გადატრიალებაა[48].

ბურჟუაზიულ-მემამულური ძალაუფლების სრული აღდგენა.

დონის როსტოვი გერმანელებმა აიღეს[49].

ინგლისელები იმუქრებიან თავიანთი და იაპონელთა შემოტევით.

გერმანელები მოითხოვენ, რომ ფინელებმა აიღონ ინო და მურმანსკის გზა ინგლისელთა წინააღმდეგ საბრძოლველად[50].

ჩვენთან მიმდინარეობს პარტიის ცენტრალური კომიტეტის საგანგებო თათბირი ყოველივე ამის შესახებ[51].

თქვენი პოლიტიკაა მთელი ძალებით დააჩქაროთ დაზავებისა და ზავის დადება, რა თქმა უნდა, ახალი ანექსიების ფასად.

დაწერილია 1918 წლის 6 მაისს
პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის XI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

79

## ა. დ. ციურუპას[52]

საჭირო იყო შეგედგინათ ოქმი რევიზორთა დაშვებაზე უარის თქმის შესახებ და წინადადებით მოგემართათ ჩემთვის, რომ უარის მთქმელნი **სამართალში მიმეცა.**

დაწერილია 1918 წლის
7 ან 8 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

* მე-3 პუნქტის ტექსტი დაწერილია ვ. ნ. მეშჩერიაკოვის ხელით. დოკუმენტს ხელს აწერენ ვ. ნ. მეშჩერიაკოვი, ს. პ. სერედა, ნ. მ. პეტროვსკი. რ ე დ.

## 80
## დეპეშა ციმბირის საბჭოების ცაკს

ირკუტსკი
ციმბირის საბჭოების ცაკი
პირი პროკოპიევს

პროკოპიევი და სხვები დეპეშებით იკლებენ ლარინს და სთხოვენ ფულს.

ვაცხადებ, რომ ჩემს 23. IV დეპეშაზე ზუსტი ციფრებით პასუხი არ მიმიღია*. ვაცხადებ, რომ ასეთი დამოკიდებულება საქმისადმი, როცა პასუხს არ იძლევიან, თუ რა მიზნებს მოახმარეს ასობით მილიონი და რატომ და რამდენია საჭირო ნორმის ზევით, შეუწყნარებელია.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის 8 მაისს
პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 81
## ა. დ. ციურუპას [53]

ამხანაგ **ციურუპას**
სურსათის სახალხო კომისარს

ამის მომტანი, ანდრია ვასილის ძე ი ვ ა ნ ო ვ ი, პუტილოვის ქარხნის მუშაა (იცნობს შლიაპნიკოვი და აქვს ძველი პ ა რ ტ ი უ ლ ი მოწმობები ცარიზმის დროიდან).

ვუამბე მას გუშინდელი დეკრეტისა და დადგენილების შესახებ იმის თაობაზე, რომ შრომის კომისარიატმა სასწრაფო მობილიზაცია უყო მუშებს. ვუთხარი ჩემი აზრი:

თუ პიტერის ს ა უ კ ე თ ე ს ო მუშები ვერ შექმნიან შ ე რ ჩ ე ვ ი თ 20 000 კაცისაგან შემდგარ საიმედო მუშათა არმიას, რათა მოაწყონ დისციპლინირებული და ულმობელი

---

* იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 50, დოკუმენტი 122, რ ე დ.

ს ა მ ხ ე დ რ ო ლაშქრობა სოფლის ბურჟუაზიისა და მექრთამეების წინააღმდეგ, მაშინ შიმშილი და რევოლუციის დაღუპვა გარდუვალია.

გთხოვთ დაუდასტუროთ ეს ამის მომტანს და მისცეთ მოკლე განცხადება, რომ ასეთ რაზმებს მისცემთ სრულ რწმუნებებს ზუსტად ასეთივე პირობებით.

ძალიან გთხოვთ მისცეთ მას ასეთი განცხადება პ ი ტ ე რში წ ა ს ა კ ი თ ხ ა ვ ა დ, ხოლო ეს წერილი დაუბრუნოთ მომტანს.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

დაწერილია 1918 წლის 10 მაისს
პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით

82

## მ. ბ. ბრონსკის

ამხ. ბრონსკი!

მაშ ასე, ჩვენ დავთქვით ზ უ ს ტ ა დ, რომ

(1) ხვალინდელ თათბირზე გერმანელებთან თ ქ ვ ე ნ **პ ი რ ვ ე ლ ი** აიღებთ სიტყვას (თქვენამდე ა რ ა ვ ი ნ რუსთაგან) [54],

(2) რომ თქვენ ჯერ კითხულობთ თეზისებს (შემდეგ სიტყვას, ან მოხსენებას, ან კომენტარს),

(3) რომ თეზისებს თქვენ ხ ვ ა ლ კრების წინ (ესე იგი დილით **2 საათამდე**: უფრო გვიან მე წავალ) მაჩვენებთ.

ეს არქისაჭიროა. ეს ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს დირექტივაა. ეს სავალდებულოა!

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის
14 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

83

## რაიმონდ რობინსს

1918 წლის 14 მაისი

პოლკოვნიკ რობინსს

ძვირფასო ბატონო რობინს,

ამასთან გაახლებთ ამერიკასთან ჩვენი ეკონომიური ურთიერთობის წინასწარ გეგმას. ეს წინასწარი გეგმა დეტალურად შეიმუშავა საგარეო ვაჭრობის კომისიამ ჩვენს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში [55].

იმედი მაქვს, რომ ეს წინასწარი გეგმა შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს თქვენთვის, როცა ესაუბრებით ამერიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს და ექსპორტის ამერიკელ სპეციალისტებს.

მიიღეთ ჩემი დიდი მადლობა,

გულწრფელად თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე 1920 წელს წიგნში „*Russian-American relations. March, 1917—March, 1920. Documents and papers*", *New York*

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა 1957 წელს წიგნში „სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები", ტომი I

იბეჭდება წიგნის „სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები" ტექსტის მიხედვით

84

## უმაღლეს სამხედრო საბჭოს

1918 წლის 16 მაისი

უმაღლესი სამხედრო საბჭოს თავმჯდომარეს

წინადადება ეძლევა უმაღლეს სამხედრო საბჭოს გაგზავნოს პარლამენტიორები — ფრონტზე შესაბამის სამხედრო ხელისუფალთა მეშვეობით — დაზავების დასადებად და სამხრეთ-

აღმოსავლეთ (დონის) ფრონტზე სადემარკაციო ხაზის დასადგენად. სამხედრო ხელისუფალთათვის სათანადო მითითებათა მისაცემად გაცნობებთ, რომ ხარკოვში ამჟამად არიან ჩვენი პარლამენტიორები გენერალური შტაბის ბრიანსკის რაზმების სამხედრო ხელმძღვანელის სიტინის მეთაურობით, რომელსაც მიცემული აქვს ინსტრუქციები მიაღწიოს საერთო დაზავებას ვორონეჟისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტებზე. გევალებათ მიაღწიოთ დაზავებას განსაკუთრებით სამხრეთ-აღმოსავლეთის (დონის) ფრონტზე რაც შეიძლება მალე, ამასთან უკიდურეს შემთხვევაში დაეთანხმეთ იმას, რომ საფუძვლად მიიღოთ სამხედრო ძალთა ახლანდელი განლაგება.

სიტინს მიცემული აქვს მითითებები მიაღწიოს გერმანელთა სარდლობის მეშვეობით პირდაპირ კავშირს ჩვენს სარდლობასთან სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტზე შეთანხმებული მოქმედებისათვის.

იმავე მიზნებით უმაღლესმა სამხედრო საბჭომ ყველა მისთვის ხელმისაწვდომი საშუალებით იქონიოს განუწყვეტელი კავშირი როგორც სიტინთან, ისე ჩვენს სარდლობასთან სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტზე.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 85

## გ. ვ. ჩიჩერინს [56]

### ჩიჩერინს

ჩემი აზრით, ბრესტის ხელშეკრულებას არ შეუძლია აგვიკრძალოს ვიბრძოლოთ მეამბოხე-მეკობრეების (შეიარაღებული სავაჭრო გემების) წინააღმდეგ და უნდა ვიპოვოთ ფორმა, რომ ჩვენმა საზღვაო ძალებმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიონ მეამბოხეებს.

ლენინი

დაწერილია 1918 წლის 16 მაისს
პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 86

# ბარათების გაცვლა ა. დ. ციურუპასთან

### ა. დ. ციურუპას

1) ეცნობა თუ არა თქვენი პროექტი (მომარაგების კომისარიატის ორგანიზაციისა) **ყველა** უწყებას?

2) დღის წესრიგის განხილვისას აიღეთ დღეს სიტყვა ხვალ ამის დაყენების შესახებ.

3) თქვენს პროექტში ხომ არ სჭარბობს ბიუროკრატიული ფორმალობა? ხომ არ ჩავრთოთ დეკრეტში 20—50 **მუშის** მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა (უმკაცრესი რეკომენდაციებით) **პურის** გუბერნიების მომარაგების **თითოეულ** კომისარიატში? [57].

### ა. დ. ციურუპას პასუხი

1) პროექტი განხილულია ოლქის მუშაკებთან, მოიწონეს რიკოვმა და სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ იმ ნაწილში, რომელიც ეხება მომარაგების კომისარიატის (ცენტრალურის) შექმნას.

2) სიტყვას დღის წესრიგის განხილვისას ავიღებ.

3) პროექტი ითვალისწინებს მომარაგების კომისარიატების აგებას დეპუტატთა საბჭოების ხაზით; მომარაგების კომისარიატები არ უნდა იყოს ვეებერთელა. პუნქტის ჩასმა პურის გუბერნიების თითოეულ კომისარიატში 20—50 მუშის მონაწილეობის შესახებ შესაძლებელია, მაგრამ ტექნიკურ აპარატში მონაწილეობისათვის როგორც თემებში გასაგზავნი კადრებისა.

კომისარიატების შემადგენლობაში ამდენი მუშაკების შეყვანა პროტესტებს გამოიწვევს ადგილებზე.

### ა. დ. ციურუპას

რა თქმა უნდა, არა კომისარიატების შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა შ ი, არამედ კადრებში

1) აგიტატორებისა,

2) კონტროლიორებისა,

3) შემსრულებლებისა.

დაწერილია 1918 წლის 20 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

87

## ა. დ. ციურუპას

უნდა შეადგინოთ სურსათის კომისარიატის ცირკულარი—ან, იქნებ, უკეთესია სახკომსაბჭოს დეკრეტი — უაღრესად დაწვრილებითი ახსნა-განმარტებით:

— რომ დელეგატთა კომიტეტები უნდა დაუშვან სამუშაოდ საგუბერნიო სასურსათო კომიტეტებთან ე რ თ ა დ და მ ა თ ი ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ბ ი თ;

— რომ შეუწყნარებელია დელეგატთა კომიტეტების ცალკე არსებობა და ცალკე ოპერაციები;

— რომ ასეთი რამ მუდამ იწვევს სპეკულანტთა შეღწევას;

— რომ განსაკუთრებით სასურველია დელეგატთა კომიტეტების დახმარება და მათი მონაწილეობა აგიტაციაში კულაკებისა და სპეკულანტების წინააღმდეგ, საგუბერნიო სასურსათო კომიტეტების აგიტატორთა რაზმების ხელმძღვანელობით და ა. შ.

ეს ყველაფერი არქიდაწვრილებით და **არქიპოპულარულად** ჩამოაყალიბეთ **და დაბეჭდეთ.**

დაწერილია 1918 წლის 20 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

88

## ა. ა. იოფესა და ვ. რ. მენჟინსკის

ამხ. იოფესა და მენჟინსკის

1918. 24/V.

ძვირფასო ამხანაგებო! მივიღე თქვენი პესიმისტური და გაჯავრებული წერილები (20. V მივიღე დღეს, 24. V). თქვენი ბრალდებების ნაწილი ჩიჩერინის მიმართ მე მეხება. მაგალითად, მე მოვითხოვდი კონცესიების შესახებ თეზისების გაგზავნას გერმანელთა მ ე შ ვ ე ო ბ ი თ, რათა გვეჩვენებინა მათთვის, რამდენად სერიოზულად გვსურს საქმიანი ეკონომიური ურთი-

ერთობა. (თეზისები შემუშავებულია ერთსულოვნად რადეკისა და სხვა „მემარცხენე სულელთა“ მონაწილეობით.) ჩვენი კონცესიების პირობები ისეთია, რომ სარგებლობის მეტს არაფერს არ მოგვიტანს, თუ გერმანელები ამ პირობებს მიიღებენ.

თქვენს პოლიტიკას, რომელიც განსაკუთრებით დაწვრილებითაა ჩამოყალიბებული ამხ. იოფეს წერილებში, სავსებით ვიწონებ.

უკმაყოფილებას ჩიჩერინის გამო, ჩემი აზრით, აზვიადებთ. მაგრამ ყოველ შემთხვევაში თანახმა ვარ დაგეხმაროთ და გთხოვთ მთელი ძალ-ღონე მოახმაროთ საქმის გაუმჯობესების **პრაქტიკულ** ხერხებს. ამისთვის შემოგთავაზებდით კონკრეტული წინადადებანი ზუსტად დააფორმულოთ (დეპეშებისა და წერილების პირები მე გამომიგზავნეთ, **სასტიკად** პრაქტიკულ და მოკლე ნაწილში, რადგან ყველაფრის წასაკითხავად აბსოლუტურად არა მცალია). მაშინ პირობას გაძლევთ მივაღწიო შესრულებას და შევამოწმო, შესრულებულია თუ არა.

რანაირად გადავიტანოთ **მეტად** სიმძიმის ცენტრი ბერლინში (თანახმა ვარ დავეხმარო ამას), ამაზე უნდა იფიქროთ და წარმოადგინოთ **ძალიან ტაქტიკური** (NB) და კონკრეტულ-**პრაქტიკული** ღონისძიებანი ამისათვის. ყველა შესაძლო ღონისძიებას მივიღებ და შევეცდები განვახორციელო.

თუ შეიძლება ხელი შევუწყოთ იმას, რომ მივიღოთ ზავი ფინეთთან, უკრაინასა და თურქეთთან (ეს მთავარია), უნდა ყოველთვის და ყველაფერი გავაკეთოთ ამისათვის (რა თქმა უნდა, **რაღაც** ახალი ანექსიებისა და ხარკის გაუღებლად ამას ვერ მივიღებთ). ასეთი ზავის დასაჩქარებლად ბევრ რამეს მივცემდი.

თქვენც ნუ ინერვიულებთ. დიპლომატიის გასწორება (და ახლის შექმნა) ძნელი საქმეა. Festina lente*.

საუკეთესო სალამი. თქვენი ლენინი

* — ნაჩქარევად ნუ აკეთებ. რ ე დ.

P. S.

28/V. შიკრიკმა გამასწრო.

ჩიჩერინმა გადმომცა ტექსტი ნოტისა, რომელიც იოფემ თ ა ვ ი ს ი თ გაუგზავნა გერმანიის მთავრობას, დათანხმდა რა შავი ზღვის ფლოტის გემების მიცემაზე (ესე იგი მათ გაყვანაზე ნოვოროსიისკიდან სევასტოპოლში) [58] მ ხ ო ლ ო დ უკრაინასთან ზავის პირობით. ამ დროს კი ჩვენმა მთავრობამ ნათელ ნოტაში (რომელიც რაღიოთი ეცნობა იოფესაც) შესაძლებლად ცნო დათანხმდეს გემების გაყვანაზე სევასტოპოლში **სხვა** პირობებით, სახელდობრ: 1) ზ ა ვ ი ს ა მ ი ვ ე ფრონტზე, ესე იგი უკრაინასთანაც, ფინეთთანაც, **თ უ რ ქ ე თ თ ა ნ ა ც** 2) არა—სევასტოპოლის ანექსია.

როგორ ჩაიდინა იოფემ ასეთი შეცდომა? როგორ დათმო ასე „ჩალის ფასად?“ როგორ შეიძლებოდა საერთოდ ესოდენ დიდმნიშვნელოვან საკითხზე ნოტის გაგზავნა თ ა ვ ი ს ი თ, ისე რომ არავის არ ჰკითხა რჩევა, არ მესმის...

N.B. გამოგზავნეთ „Arbeiterpolitik“, შტუტგარტის „სოციალ-დემოკრატი“ [59] და **ა მ გ ვ ა რ ი** გამოცემები, ყველა, **მთლიანად**, 5—10 ეგზ. თითოეული.

დაიწყეთ თუ არა რაიმე ლ ე გ ა ლ უ რ ი ს გამოცემა გერმანულად? სახელდობრ რისა? როგორია გამოცემის გეგმა და როდის იწყება?

სალამი! ლ ე ნ ი ნ ი

გაიგზავნა ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**89**

## რეზოლუცია საზღვაო გენერალური შტაბის უფროსის მოხსენებითს ბარათზე

გამოუვალი მდგომარეობის გამო, რაც დაამტკიცეს უმაღლესმა სამხედრო ავტორიტეტებმა, ფლოტი დაუყოვნებლივ მოსპეთ.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

დაწერილია 1918 წლის 24 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1938 წელს ჟურნალ „მორსკოი სბორნიკში“ № 6

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 90

## ს. გ. შაუმიანს

1918 წლის 24 მაისი. მოსკოვი

ძვირფასო ამხანაგო შაუმიან!

ვსარგებლობ იშვიათი შემთხვევით, რათა ერთხელ კიდევ გამოგიგზავნოთ ორიოდ სიტყვა (ამას წინათ ასევე იშვიათი შემთხვევით გამოგიგზავნეთ წერილი; მიიღეთ თუ არა? [60]).

ბაქოს მდგომარეობა ძნელია საერთაშორისო თვალსაზრისით. ამიტომ გირჩევთ სცადოთ ბლოკი ჟორდანიასთან. თუ შეუძლებელია, საჭიროა ლავირობა და გადაწყვეტილების გ ა ჭ ი ა ნ უ რ ე ბ ა, სანამ არ განმტკიცდებით სამხედრო თვალსაზრისით. სალი გათვალისწინება და დიპლომატია გაჭიანურებისათვის — გახსოვდეთ ეს.

მოაგვარეთ რადიო და ასტრახანით გამომიგზავნეთ წერილები.

საუკეთესო სალამი. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაიგზავნა ბაქოში

„ბიულეტენი დიქტატური ცენტროკასპია ი პრეზიდიუმა ვრემენნოგო ისპოლნიტ. კ-ტა" № 33, 1918 წლის 8 სექტემბერი

იბეჭდება „ბიულეტენების" ტექსტის მიხედვით

## 91

## დეპეშა კინეშმის საბჭოს [61]

კინეშმა

დეპუტატთა საბჭოს

კინეშმის რაიონის ყველა მუშას. ამხანაგო მუშებო, მწარმოებელი რაიონების სოფლის ბობოლები მალავენ და არ აბარებენ დამშეული მუშებისათვის პურის უდიდეს მარაგს. ბობოლები ამჯობინებენ გაყიდონ პური საშინელ სპეკულანტურ ფასად, რის გადახდაც შეუძლია მხოლოდ ქალაქის ბურჟუაზიას

და არა ულარიბეს დამშეულ მოსახლეობას. ეწევიან რა პურის სპეკულაციას, ბობოლები ისწრაფვიან გასწიონ იმ საქონლის სპეკულაციაც, რომელსაც იღებენ პურის სანაცვლოდ. ქალაქის ბურჟუაზია აგიტაციას ეწევა პურის მონოპოლიის, მტკიცე ფასების მოსპობისა და პურის თავისუფალი ვაჭრობის შემოღებისათვის. აგიტაციიდან ბურჟუაზია გადადის პროვოკაციებზე, უნარიანად და შეუმჩნევლად უბიძგებს მშიერ მუშებს გამოსვლებისათვის, მღელვარებისა და უწესრიგობისათვის, ცდილობს ხელთ იგდოს ძალაუფლება. სახალხო კომისართა საბჭო მთელი ძალებით იბრძვის და იცავს პურის მონოპოლიას, ურომლისოდაც კეთილად იცხოვრებს მხოლოდ ბურჟუაზია, ულარიბესი მოსახლეობა კი სრულიად უპუროდ დარჩება. ამხანაგო მუშებო, ნუ აჰყვებით ბნელი ძალების პროვოკაციას, ნუ შეუწყობთ ხელს ბურჟუაზიასა და კონტრრევოლუციონერებს, რომლებსაც სურთ თქვენი ხელით გლიჯონ ნარი და დალუპონ რევოლუციის ყველა მონაპოვარი. თქვენი დაუფიქრებელი გამოსვლებით და დამოუკიდებელი საქონელგაცვლით ნუ შეგაქვთ დეზორგანიზაცია მძიმე მუშაობაში თქვენთვის პურის საშოვნელად. სახალხო კომისართა საბჭო ახლა უდიდესი ოდენობით აწარმოებს საქონლის გაცვლას პურზე, შეუდგა შეიარაღებული რაზმებით სოფლის ბურჟუაზიისაგან პურის მარაგის რეკვიზიციას. თუ გსურთ დაეხმაროთ, ხელი შეუწყოთ თქვენს მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას, იმოქმედეთ ორგანიზებულად: გამოყავით თქვენი რიგებიდან სასურსათო საქმის საუკეთესო მცოდნენი საბჭოთა სასურსათო ორგანოებში სამუშაოდ, შექმენით პატიოსანი, მოუსყიდველი, მტკიცე რევოლუციონერების, მუშათა და გლეხთა ინტერესების ერთგული დამცველების საბრძოლო რაზმები. პროვოკატორები და კონტრრევოლუციის აგენტები დაუყოვნებლივ დააკავეთ და მოსკოვში გამოგზავნეთ. გახსოვდეთ მტკიცედ: ან ორგანიზებულად, ღირსეულად გადავლახავთ ჩვენს თავს დატეხილ გაუგონარ სიძნელეებს, ანდა ყველაფერი გარდუვალად განწირულია სრული დაღუპვისათვის. მესამე არ არის. სახალხო კომისართა საბჭო ამ ღონისძიებათა ახლო შედეგების მო-

ლოდინში გთხოვთ, ამხანაგო მუშებო, რევოლუციურ გამძლეობას და შეგნებას რევოლუციის მონაპოვართა გადასარჩენად და პროლეტარული დიქტატურის გასამარჯვებლად.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)*

დაწერილია 1918 წლის 24 მაისს
დაიბეჭდა 1918 წლის 29 მაისს გაზეთში „რაბოჩი ი კრესტიანინ" № 55

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტის მიხედვით

92

## ა. გ. შლიაპნიკოვს

შ ლ ი ა პ ნ ი კ ო ვ ს

ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა გ ა დ ა ი ყ ვ ა ნ ო ს პარტიული ძალების **მაქსიმუმი** სურსათზე.

რადგან ჩვენ ა შ კ ა რ ა დ დავიღუპებით და დავღუპავთ მ თ ე ლ რევოლუციას, თუ უახლოეს თვეებში არ დავამარცხეთ შიმშილი.

საჭიროა თქვენც დ რ ო ე ბ ი თ გაგგზავნოთ სურსათზე (ამასთან გიტოვებთ შრომის სახალხო კომისრის წოდებას). დარწმუნებული ვარ, რომ ცენტრალური კომიტეტის დირექტივას შეასრულებთ.

ვფიქრობ, თქვენ უნდა წახვიდეთ ყუბანში, რათა დაგვეხმაროთ იქიდან პურის ამოქაჩვაში.

საჭიროა დღესვე გადაწყვიტოთ და შეუთანხმდეთ მაშინვე ციურუპას.

დაწერილია 1918 წლის 28 მაისს
პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* დეპეშას ხელს აწერს აგრეთვე სურსათის სახალხო კომისარი ა. დ. ციურუპა. რ ე დ.

## 93
## ბარათების გაცვლა ა. დ. ციურუპასთან

ვ. ი.! როგორ გადაწყდა პურის აღებისათვის საბრძოლველად არმიის გამოყენების საკითხი? და თუ იგი დადებითად გადაწყდა, როგორ იქნება ეს საქმე გაფორმებული — X სამხედრო კომისარიატთან შეთანხმების წესით თუ დეკრეტის გამოცემის წესით*.

ყოველივე ეს ძალიან საჭიროა ვიცოდეთ, რადგან დღეს დაპატიმრეს კუდინსკი (როგორც ჩანს, ამხ. ძერჟინსკის კომისიამ); ჩვენს საქმეს სრული შეჩერება მოელის.

ა. ც ი უ რ უ პ ა

Xსწორედ ასეთი წესით. **დღესვე** (ჩემი ჯიხურიდან) დაურეკეთ ტროცკის, რათა ხვალ მან **ყველაფერი** აამოქმედოს.

აი ახლა მივწერე შლიაპნიკოვს, რომ გაემგზავროს ყუბანში. იგი დ ღ ე ს უნდა შეგითანხმდეთ თქვენ. გირჩევთ **დღესვე** დანიშნოთ იგი სახკომსაბჭოს სახელით.

სტალინი თანახმაა წავიდეს ჩრდილოეთ კავკასიაში. გაგზავნეთ იგი. იგი იცნობს ადგილობრივ პირობებს. მასთან შლიაპნიკოვიც კარგად იქნება.

ა. ც.

სავსებით გეთანხმებით. გაატარეთ ორივე დ ღ ე ს.

დაწერილია 1918 წლის 28 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 94
## გაზეთ „იზვესტია ვციკის" რედაქციას

1918 წ. 30. V.

„ი ზ ვ ე ს ტ ი ა ც ი კ ი ს" რედაქციას

ამის მომტანები ელეცის დეპუტატთა საბჭოს წარმომადგენლები არიან. ძალიან გთხოვთ დაბეჭდოთ გაზეთში ინტერვიუ მათთან. სანიმუშო მაზრაა წესრიგის, კ უ ლ ტ უ რ უ ლ ი მ ა მ უ ლ ე ბ ი ს აღრიცხვისა და მათში მეურნეობის წარმოების მხრივ, ბურჟუაზიის დ ა თ რ გ უ ნ ვ ი ს მხრივ.

ამხანაგური სალმით

ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* ხაზგასმულია ვ. ი. ლენინის მიერ. რ ე დ.

## 95

## გ. ე. ზინოვიევს

1918 წ. 31. V.

ამხ. ზინოვიევ!

ამის მომტანს—ამხ. ბახს აქვს მანდატი ციმბირის ცენტრო-ტრანსპორტისაგან. თხოულობს დააჩქაროთ მისთვის მიცემა და ციმბირში გაგზავნა 137 ავტომობილისა, რომელთა შესახებ ავტოსექციამ (პიტერისა ) (პეტროგრადის კომუნა) სთხოვა ავტოცენტრს წაეღო ისინი პიტერიდან როგორც უსარგებლო. ჩვენ დავადგინეთ, სატვირთო ავტომობილები ყ ვ ე ლ ა გადავცეთ სასურსათო უწყებას [62].

სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 96

## დეპეშა ვიქსელ მუშებს [63]

ყაზან-მოსკოვის კულებაკი
ვიქსა
ვედერნიკოვს

დიდი იმედი მაქვს, რომ ვიქსელი ამხანაგი მუშები პურისათვის ტყვიამფრქვევებით მასობრივი მოძრაობის თავიანთ საუცხოო გეგმას განახორციელებენ როგორც ჭეშმარიტი რევოლუციონერები, ესე იგი მისცემენ რაზმს რჩეულ, საიმედო, არამძარცველ ადამიანებს, რათა ციურუპასთან სრული თანხმობით განწესებების შესაბამისად იმოქმედონ შიმშილისაგან ყველა მშიერის და არა მარტო საკუთარი თავის გადარჩენის საერთო საქმისათვის.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის 31 მაისს
პირველად დაიბეჭდა შემოკლებით
1918 წლის 2 ივნისს გაზეთ
„იზვესტია ვციკში" № 111
მთლიანად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 97

## ამერიკელ სოციალისტ-ინტერნაციონალისტებს [64]

ამერიკელი ამხანაგის ალბერტ რ. ვილიამსის მეშვეობით ვუთვლი ჩემს სალამს ამერიკელ სოციალისტ-ინტერნაციონალისტებს. მტკიცედ მწამს, რომ ბოლოს და ბოლოს სოციალური რევოლუცია გაიმარჯვებს ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში. როცა იგი მოხდება ამერიკაში, ბევრად გადააჭარბებს რუსეთის რევოლუციას.

დაწერილია 1918 წლის მაისში
პირველად დაიბეჭდა 1925 წელს ჟურნალ „ოგონიოკში" № 4 (95)
1960 წელს დაიბეჭდა წიგნში: ალბერტ რის ვილიამსი. „ლენინისა და ოქტომბრის რევოლუციის შესახებ", მოსკოვი

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

## 98

## ა. ა. იოფეს

1918. 2/VI.

ამხ. იოფე! თქვენთან მოდიან სოკოლნიკოვი და ბუხარინი, მგონი ლარინიც [65]. ვსარგებლობ შემთხვევით, რომ რამდენადმე გაგაფრთხილოთ. ვზივარ „წასასვლელთა" სხდომაზე (ულარინოდ). მესმის სიტყვები იმის წინააღმდეგ, რომ „იოფეს საგარეო საქმეთა კომისარიატი ბერლინში გადააქვსო".

უთანხმოებას თქვენსა და ჩიჩერინს შორის ზოგჯერ იყენებენ — უფრო შეუგნებლად, ვიდრე შეგნებულად, — ამ უთანხმოებათა გამწვავების აზრით ან მიმართულებით.

დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ფხიზლად იქნებით და საშუალებას არ მისცემთ გაამწვაონ ეს უთანხმოებანი. გულდასმით ვადევნებდი თვალყურს თქვენს წერილებს და დარწმუნებული ვარ ურყევად, რომ ეს უთანხმოებანი უმნიშვნელოა (ქაოსია ყველგან, უწესობაა ყველგან — ყველა კომისარიატში

და ამ ბოროტებისაგან განკურნება ნელა მიმდინარეობს). მოთმინება და სიმტკიცე, და უთანხმოებანი მოგვარდება. ჩიჩერინი ჩინებული მუშაკია. თქვენი ხაზი სავსებით ლოიალურად ახორციელებს ბრესტის ხელშეკრულებას, წარმატება თქვენ უ კ ვ ე გაქვთ, ჩემი აზრით,—აქედან კი გამომდინარეობს, რომ უთანხმოებებს ადვილად მოვაგვარებთ.

თუ გერმანელი ვაჭრები მიიღებენ ეკონომიურ სარგებლობას, შეიგნებენ რა, რომ ომით ჩვენგან ვ ე რ ა ფ ე რ ს ვერ წაიღებენ, ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ს დავწვავთ, — თქვენს პოლიტიკას კვლავაც ექნება წარმატება. ნედლეულს გერმანელებს მივცემთ. საჭიროების შემთხვევაში გამომიგზავნეთ თქვენი ზუსტი მოთხოვნების პირები. პირდაპირი მავთული მოაწყვეთ **რაც შეიძლება მალე.**

ბუხარინი ლოიალურია, მაგრამ ყელამდე ჩაეფლო „მემარცხენულ სისულელეში". სოკოლნიკოვი კვლავ შეირყა. ლარინი ბობოქარი ინტელიგენტი, პირველხარისხოვანი ყბედია. ამიტომ იყავით არქიფხიზლად ყველა ამ საუცხოო და უმშვენიერეს დელეგატთან. სოკოლნიკოვი უძვირფასესი მუშაკია, მაგრამ ზოგჯერ (და სწორედ ახლა) მას „მოუვლის" ხოლმე და „ურევს" პარადოქსების გულისათვის. თუ არ მიიღებთ სიფრთხილის ზომებს, იგი თქვენც აგირევთ. ხოლო ბუხარინი — სამმაგად. Prenez garde!*.

იმედი მაქვს, რომ კრასინი და განეცკი, როგორც საქმიანი ადამიანები, დაგეხმარებიან და მთელი საქმე მოგვარდება.

თქვენი წერილის „დანართისათვის" გმადლობთ. ველი კიდევ. საუკეთესო სალამი.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S.

NB: გერმანელთა მიერ დატყვევებულ რუს ბოლშევიკთა შორის (Zivilgefangene**) იყო ბრიუსელელი პ ო პ ო ვ ი, რომელიც ბელგიაში წაიყვანეს. ხომ არ შეიძლება მისი პოვნა და სამსახურში აყვანა? [68]

* — იყავით ფრთხილად. რ ე დ.

** — სამოქალაქო ტყვეები, ესე იგი ტყვედ წამოყვანილი სამოქალაქო პირები. რ ე დ.

P. P. S. შიკრიკით — და არა ფოსტით — შეეცადეთ თანდართული გაგზავნოთ შვეიცარიაში [67].

გაგზავნილია ბერლინში
პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 99

## დეპეშა ვ. ლ. პანიუშკინს

ტულა

საგუბერნიო საბჭო
გადაეგზავნოს პანიუშკინს

მაოცებს ცნობების უქონლობა. მაცნობეთ სასწრაფოდ, რამდენი პურია ჩაბარებული, რამდენი ვაგონი გამოიგზავნა, რამდენი სპეკულანტი და კულაკია დაპატიმრებული.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის 3 ივნისს
პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 100

## ბარათების გაცვლა ა. დ. ციურუპასთან [68]

**ც ი უ რ უ პ ა ს:**

მტრებისა და „მერყეევების“ გააფთრებული აგიტაციისა და პიტერში, მოსკოვში და სხვ. მ უ შ ე ბ ზ ე მისი გავლენის გამო

თქვენ უნდა გამოაქვეყნოთ (და **ქარხნებში** დაურიგოთ ფურცლად) რაღაც წერილისმაგვარი მუშებისადმი:

თქვენ გაშინებენ-თქო —

მერყევები თესავენ პანიკას —

ლაპარაკობენ „დამოუკიდებელ დამზადებებზე“ —

აკრიტიკებენ „ცენტრს“, დანაშაულს სხვას აბრალებენ —

და სხვ.

თქვენ კი, მუშებმა, არ დაუჯეროთ მოწუწუნეებს და პანიკის მთესველებს და კრიტიკანებს-თქო,

**არამედ მოკიდეთ ხელი საქმეს**: დაე **ყოველმა** ქარხანამ გამოგვიგზავნოს დასახმარებლად ნდობით აღჭურვილი ადამიანები **გარანტიით, თავდებობით,** ჩვენ მათ ვაჩვენებთ, სად არის დაბრკოლება, სად არის სიძნელე, **ისინი ჩვენ დაგვეხმარებიან.**

თავს გაართმევთ თუ არა ასეთი ადამიანების დაბინავებას?

### ა. დ. ციურუპას პასუხი

სწორია, გავართმევთ თავს. თქვენს წინადადებას ვიღებთ შესასრულებლად. მუშების პატარა ჯგუფმა უკვე მოისმინა ჩვენთან მთელი რიგი ინფორმაციები სასურსათო საქმეზე (ლექციებისმაგვარი) და ამ დღეებში მიდის ჩვენს წარმომადგენელთან ერთად ტამბოვისა და ვორონეჟის გუბერნიე-
×
ბის რაიონში. ჩვენ მივმართეთ დეპუტატთა ყველა საბჭოს*, ბოლშევიკების კომიტეტებსა და პროფესიულ კავშირებს მოგვცენ საიმედო ადამიანები.

**ციურუპას:**

× შედის თუ არა აქ **საქარხნო** კომიტეტები თუნდაც **დიდი** ქარხნებისა და ფაბრიკებისა. ეს მნიშვნელოვანია.

დაწერილია 1918 წლის 7 ივნისს
პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 101

## ა. დ. ციურუპას

1918 წ. 7. VI.

ამხ. ციურუპას ან მის მოადგილეს

ამხ. ციურუპა! გიგზავნით ვიშნი ვოლოჩეკის დეპუტატთა საბჭოს წარმომადგენლებს.

იქ საშინელი შიმშილობაა. საჭიროა სასწრაფოდ დაეხმაროთ ყოველი ღონით და მისცეთ თუნდაც რაიმე ახლავე.

* ხაზგასმულია ვ. ი. ლენინის მიერ. რ ე დ.

მე უკვე ვესაუბრე ამ ამხანაგებს რაზმების შექმნისა და სასურსათო მუშაობის ამოცანების შესახებ, მაგრამ საჭიროა თქვენც მოელაპარაკოთ.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 102

## ა. პ. სმირნოვს

1918 წ. 7. VI.

ამხ. სმირნოვ!

ამის მომტანებს აინტერესებთ საბჭოების არჩევნების საკითხი. მე ვუთხარი, რომ თავიანთი წარმომადგენლების გაწვევის უფლება ყოველთვის აქვთ.

აუხსენით თქვენი გამოცდილება და მიეცით მითითებები.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 103

## ა. დ. ციურუპას

1918 წ. 10. VI.

ამხ. ციურუპას ან მის მოადგილეს

ამის მომტანები არიან ამხანაგები მალცევის ქარხნებიდან (20 000-მდე მუშა, მათ ოლქში 100 000-მდეა). სასურსათო მდგომარეობა კატასტროფულია.

გთხოვთ მოუსმინოთ მათ და

(1) მიიღოთ სასწრაფო ზომები, რათა ახლავე დაეხმაროთ თუნდაც მინიმუმის ფარგლებში, მაგრამ დაეხმაროთ დაუყოვნებლივ;

(2) ჩააბათ მალცევის რაიონის წარმომადგენლები მცირე სასურსათო საბჭოში;

(3) დაძაბოთ ძალები მალცევის მუშებისაგან რაზმების შესაქმნელად.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე

ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

104

## ა. დ. ციურუპას

1918 წ. 11. VI.

ამხ. ციურუპას ან მის მოადგილეს

ამხ. ციურუპა!

ამის მომტანები ბრიანსკის ქარხნის წარმომადგენლები არიან. ვინაიდან გუშინ თქვენ (ან ამხ. სვიდერსკი) კარგად შეუთანხმდით მალცეველებს, დარწმუნებული ვარ, ბრიანსკელებსაც შეუთანხმდებით. ძალიან, ძალიან გთხოვთ მიიღოთ ისინი დაუყოვნებლივ და გააკეთოთ ყოველივე შესაძლებელი.

სალამი! თქვენი ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

105

## დეპეშა გ. ე. ზინოვიევს

პეტროგრადი

სმოლნი

ზინოვიევს

არ მახსოვს, რომ მიმეცეს ომსკთან ურთიერთობის ნებართვა.

შევეკითხები პოდბელსკის.

გირჩევთ არავითარი არც პირდაპირი, არც არაპირდაპირი გარიგება ომსკელ კონტრრევოლუციონერებთან არ დადოთ [69].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის 11 ივნისს
პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 106

## დამატება დეპეშისა ა. ს. იაკუბოვს, ი. ვ. სტალინსა და ა. გ. შლიაპნიკოვს

ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ რ ი გ გ ა რ ე შ ე
სასურსათო

ცარიცინი სურსათის სამხარეო
საგანგებო კომისია
1) იაკუბოვს
2) სტალინს
3) შლიაპნიკოვს

სამარის, ომსკის ამბების, პერმ—ვიატკის რკინიგზის მოძრაობის შეწყვეტის, პერმ—ეკატერინბურგ—ტიუმენის ტრანსპორტის მდგომარეობის სრული გაურკვევლობის გამო, რამაც სავსებით მოგვწყვიტა ციმბირი, არ ველოდები თქვენს თანხმობას და სანაოსნო გზით ვგზავნი ვიატკის, უფის გუბერნიებიდან ტექნიკოს-მუშაკებს, რომელთა შესახებ გაცნობეთ 363 დეპეშით. გთხოვთ მიიღოთ ისინი, დაუყოვნებლივ მისცეთ საქმე, დააგზავნოთ დამზადების ადგილებში და, თუ საჭიროა, პურის გამოგზავნისა და მოძრაობის ადგილებში. გამოგზავნილთა შორის გამოინახებიან სრულიად შესაფერისი თვალსაჩინო ადამიანები ტექნიკური მუშაობისათვის ცენტრში, სურსათის სამხარეო საგანგებო კომისიაში სამუშაოდ და თვალსაჩინო ორგანიზატორები ადგილებზე პურის შეგროვებისათვის. ამ ადამიანების გამოყენება, რომელთა პატიოსნებისათვის მზად ვარ პასუხისმგებლობა ვიკისრო, საჭიროა და აუცილებელია, რადგან მეტ და უკეთეს ტექნიკურ ძალას ვერ ვიშოვით. შესთავაზეთ მათ თვითონ მოიფიქრონ შრომისათვის ანაზღაურების განაკვეთები და, თუმცა დარწმუნებული ვარ მათს საკმაო თავმდაბლობაში, გირჩევთ არ მოერიდოთ მათი შრომის ანაზღაურებას. მიდეპეშეთ.

სურსათის სახალხო კომისარი ც ი უ რ უ პ ა

დაბეჯითებით გირჩევთ მიიღოთ და დააყენოთ სამუშაოზე ციურუპას გამოგზავნილი ადამიანები, რაკი იგი თავდებობს მათ. ძალზე საჭიროა გამოვიყენოთ გამოცდილი, პატიოსანი პრაქტიკოსები.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის 11 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

107

## გ. ე. ზინოვიევს

1918 წ. 11. VI.

პეტროგრადი
სმოლნი
ზინოვიევს

დაბეჯითებით გირჩევთ გამოიყენოთ მომენტი ვიატკით ურალში რაც შეიძლება მეტი რაზმების ყველაზე გაძლიერებული და დაჩქარებული გაგზავნისათვის. ციურუპა თანახმაა. იარაღი არის ვოლოგდაში.

ლ ე ნ ი ნ ი

გადაეცით **ახლავე** პიტერში და მაცნობეთ, **როდის** მიიღო პიტერმა.

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

108

## გ. ე. ზინოვიევს

პეტროგრადი
სმოლნი
ზინოვიევს

იმედია, მიიღეთ ჩემი თხოვნა გაგზავნოთ მეტი რაზმები ურალში. დავძენ კიდევ, რომ ძალზე საჭიროა გაგზავნოთ იქ

რაც შეიძლება მეტი მუშა ჩამორჩენილთა აგიტაციისა და ხელმძღვანელობისათვის. მიპასუხეთ დაუყოვნებლივ.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის 14 ივნისს
პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 109

## რესპუბლიკის სახალხო განათლებისა და ქონების კომისარიატებს

წინადადება გეძლევათ დაუყოვნებლივ წარმოადგინოთ ცნობები იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა 1918 წლის 13. IV დეკრეტის შესასრულებლად, განსაკუთრებით 1) ძველი ძეგლების მოხსნისათვის, 2) მათი თუნდაც დროებითით, ახლით შეცვლისათვის და 3) საზოგადოებრივ შენობებზე ძველი წარწერების ახლით შეცვლისათვის (დეკრეტის § 5) [70].

ორი თვით გაჭიანურება დეკრეტის შესრულებისა, რაც ერთნაირად საჭიროა პროპაგანდის თვალსაზრისითაც და უმუშევართა დასაქმების თვალსაზრისითაც, შეუწყნარებელია.

დაწერილია 1918 წლის 15 ივნისს
პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXI კრებულში

სახკომსაბჭოს თავმჯდ.*

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 110

## ა. დ. ციურუპას

### 1

### ციურუპას

ძალიან მაშინებს, რომ ჯეროვნად არ ვაფასებთ „პენზის" საშიშროებას—სასურსათოსაც და საერთო-პოლიტიკურსაც და რომ „აგიტატორებს" ფაქტობრივად ვერ გავგზავნით.

* სახკომსაბჭოს ბლანკზე არის ამ დოკუმენტის მანქანით დაბეჭდილი ტექსტი, რომელსაც ხელს აწერს ვ. ი. ლენინი და რომელიც განსახკომს გაეგზავნა. რ ე დ.

სასწრაფოდ ხომ არ მივიღოთ ზომები, რათა ავიყვანოთ კარ-გი (პიტერის და ა. შ.) სასურსათო რაზმი, გავგზავნოთ იგი **ახ-ლავე** და დავუსახოთ მას ამოცანა: პირველ რამდენიმე კვირას იყვნენ აგიტატორები.

2

**ციურუპას**

ჩემი აზრით, საჭიროა არქისასწრაფოდ დაუკავშირდეთ
1) პიტერს,
2) სვერდლოვს

პენზასა და პენზის გუბერნიაში პიტერელი და მოსკოველი მუშებისაგან 50 კაცის (აგიტატორების) გაგზავნის შესახებ.

დაწერილია 1918 წლის 17 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 111

## ნ. პ. გორბუნოვს

გორბუნოვს

უთხარით მინკინს, რომ სიზრანი აიღეს ჩეხებმა[71]. მაგრამ პანიკას არ უნდა მიეცეს. ჩვენი ძალები ემზადებიან საკადრისი პასუხის გასაცემად. საჭიროა, პენზელებიც მტკიცედ და ენერგიულად მოემზადონ. ჩვენი წარმატება უზრუნველყოფილია, თუ გულხელს არ დავიკრეფთ.

დაწერილია 1918 წლის 18 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 112

## ა. ა. იოფეს

18/VI.

ამხ. იოფე!

უაღრესად გაოცებული და აღშფოთებული ვარ შვეიცარიიდან ცნობების უქონლობის გამო. ამბობენ, იქ ყოველ კვირას შიკრიკები ჩადიან. და არც ერთი სიტყვა!

რას შვრებიან ბერზინი და შკლოვსკი?

გადაუგზავნეთ მათ, თუ შეიძლება, ეს წერილი და მიიღეთ ზომები პასუხის მისაღებად.

საჭიროა ს ა ს წ რ ა ფ ო დ ჩამოიტანოთ შვეიცარიიდან Junius-ის ბროშურა,

კარლ ლიბკნეხტის ბროშურა,

„Berner Tagwacht"-ის ამონაჭრების ნაკრები და სხვ. (ყველა **დოკუმენტი** გერმანიასა და ავსტრიაში **მემარცხენეთა** მოძრაობის შესახებ) [72].

ხელახლა უნდა გამოიცეს ეს წიგნად (რამდენიმე ნაკვეთად) ახლავე შვეიცარიაში.

შეუკვეთეთ ვინმეს გერმანიაში (ბერლინში) **ასეთივე** სამუშაო Partei-Archiv-ის ან რომელიმე სხვა ბიბლიოთეკის მონაცემების მიხედვით, რომელსაც აქვს ომის დროის გაზეთების კომპლექტები (რიულეს სტატია გათიშვის შესახებ *„Vorwärts"*-ში, 12. I. 1915 ან 1916 [73] და სხვ.).

Referenten-Material Niederbarnim-იდან (ციტირებულია Legien-ის ბროშურაში: „Warum müssen die Gewerkschaftsführer u. s. w.") [74] და **ყოველივე ამგვარი** შეაგროვეთ ახლავე.

ღმერთმანი, აღმაშფოთებელია, რომ ა რ ა ფ ე რ ი არ კეთდება ამ დარგში.

ამ სამუშაოზე შეიძლება (და უნდა) დ ა ვ ი ქ ი რ ა ო თ 2 გერმანელი (ბორჰარდტი გამოდგება) და 2 შვეიცარიელი და მაშინვე გამოვცეთ გერმანულადაც, ფრანგულადაც, ინგლისურადაც.

ლ ე ნ ი ნ ი

ნოვოროსიისკში გემების საქმე ჯერ კიდევ არ გამორკვეულა საბოლოოდ. მაგრამ ჩვენ მივიღეთ **ყველა** ზომა, და იმედი მაქვს, ბრძანებას შეასრულებენ [75].

დაწერილია 1918 წლის 18 ივნისს
გაგზავნილია ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 113

## დეპეშა ს. გ. შაუმიანს

ბაქო, შაუმიანს
გადაეცეს ასტრახანსა და კუშკას, შემდეგ
რადიოტელეგრაფით

დეკრეტი ნავთობის მრეწველობის ნაციონალიზაციის შესახებ ჯერ არ ყოფილა[76]. ვვარაუდობთ ნავთობის მრეწველობის ნაციონალიზაციის დეკრეტირებას ნავიგაციის დასასრულს. ჯერჯერობით ვაწყობთ ნავთობპროდუქტების ვაჭრობის სახელმწიფო მონოპოლიას. ყოველი ღონე იხმარეთ, რომ რაც შეიძლება მალე გაიტანოთ ნავთობპროდუქტები ვოლგაზე. აცნობეთ ყოველდღიურად გლავკონეფტს ნავთობის მრეწველობის მდგომარეობის შესახებ.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის 18 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ტელეგრაფის ბლანკის ტექსტის მიხედვით, რომელსაც ხელს აწერს ვ. ი. ლენინი

## 114

## ი. ე. გუკოვსკის

ჩვენ გადავწყვიტეთ გავძარცვოთ ყველა კომისარიატი, რათა სასწრაფოდ გავაძლიეროთ ს უ რ ს ა თ ი ს კ ო მ ი ს ა რ ი ა ტ ი თუნდაც 2—3 თვით, რადგან სხვანაირად სული გაგვძვრება.

თქვენგან გვინდა წამოვიყვანოთ ზ ა ქ ს ი.

დაწერილია 1918 წლის 22 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 115

## სახკომსაბჭოს სამდივნოს

### 1

1) მოძებნეთ დიდი ხნის წინათ მიღებული (პიტერში) დადგენილება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაისვას საკითხები დღის წესრიგში.

2) დღის წესრიგის შემდგენელი, მდივანი (გორბუნოვია თუ არა ჩვენთან მდივანი? რა დომხალი გვაქვს) ხელს უნდა აწერდეს ქვემოთ: შეადგინა ამა და ამ მდივანმა (და მე ვაფრთხილებ, რომ დ ა ვ ი თ ხ ო ვ მდივნებს, რომლებსაც არ სურთ შეასრულონ წესები).

### 2

მოვაგონებ

ყველა მდივანს, რომ მათ დღის წესრიგში არ უნდა შეიტანონ საკითხები, სანამ არ მოსთხოვენ მომხსენებელს (ან საკითხის შემომტანს) ხ ე ლ წ ე რ ი ლ ს,

1) შეეკითხნენ თუ არა ფინანსთა უწყებას (ფინანსთა კომისარიატი+კონტროლი), თუ საქმე ეხება ხარჯებსა და ასიგნებებს;

2) შეეკითხნენ თუ არა უწყებებს, რომლებსაც ე ხ ე ბ ა თ ის საკითხი, რაზედაც ლაპარაკია.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

ყველა მდივანმა ხელი უნდა მოაწეროს აქ,
რომ წაკითხული აქვთ ეს.

დაწერილია 1918 წლის 26 ივნისს
პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 116

# ბარათების გაცვლა ა. დ. ციურუპასთან

**ციურუპას**

1) როდის და ვის გზავნით ადგილებზე (შლიხტერს, ბრიუხანოვს, კიდევ? და სად?).

2) ელაპარაკეთ თუ არა პრავდინს (იგი დღეს ჩამოვიდა ტულიდან, ე ლ ე ც ი დ ა ნ, ორიოლიდან).

პური არის,

წესრიგი სანიმუშოა,

ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ა ღ ა რ ი ბ ო ბ ი ს ა.

3) ვის და რომელ რაზმებთან ერთად გზავნით ტამბოვში? ხომ არ გავგზავნოთ იქ ბრიუხანოვი? იქ საჭიროა უ ვ ე ლ ა ზ ე ენერგიული ადამიანი.

(დღეს ჩემთან იყვნენ ტამბოვიდან; მოსავალი უმაგალითოა; არის ძ ვ ე ლ ი პურიც; შეიძლება გავტეხოთ კულაკები, მაგრამ გვაკლია **ორგანიზატორები** და **რაზმები**).

4) ნუთუ შევურიგდებით დიქტატურის (სასურსათო) უქონლობას მოსკოვში? სკანდალია! სირცხვილია!

შლიხტერი მიემგზავრება ტულის გუბერნიის ეფრემოვის მაზრაში. გავგზავნე ამხანაგი პეტერბურგში ზინოვიევთან მისი რაზმისათვის მუშების შესაგროვებლად. ახლა მიმდინარეობს საქონლის სასწრაფო დატვირთვა. 5 დღის შემდეგ წამოვა*.

ა. ც.

**ციურუპას**

**ხ უ თ ი** დღე ზინოვიევთან დეპეშების გაცვლაზე (რომელიც დიდი ხანია კითხულობს, სად გაგზავნოს რაზმები) და საქონლის დატვირთვაზე (1 დღე??).

ეს **საშინელი** საქმის გაჭიანურებაა. დანიშნეთ 10 მოხელეარამზადა სურსათის კომისარიატიდან და მოსთხოვეთ: 1 დ ღ ე შ ი ან 2 დ ღ ე შ ი გააკეთონ ყველაფერი, თორემ ანგარიშს გავუსწორებთ და სამართალში მივცემთ.

დაწერილია 1918 წლის 26 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* ხაზგასმულია ვ. ი. ლენინის მიერ. რ ე დ.

## 117

## ა. პ. სმირნოვს, გ. ი. პეტროვსკისა და ი. ე. გუკოვსკის

1918 წ. 28/VI.

ამხ. სმირნოვს
ან პეტროვსკის, შინაგან საქმეთა სახკომს
და ამხ. გუკოვსკის, ფინანსთა სახკომს

დაბეჯითებით ვუწევ რეკომენდაციას ამის მომტანს, ამხ. სიმონ ივანეს ძე ლებედევს, ტამბოვის გუბერნიის ტემნიკოვის დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარეს.

თხოულობს $1^1/_2$ მ ი ლ ი ო ნ ს ე ს ხ ს. ნაამბობიდან ჩანს, რომ მაზრაში საქმეები სანიმუშოდაა. ძალზე მისაბაძი მაგალითია სანიმუშო მაზრისა, სადაც დეპუტატთა ყ ვ ე ლ ა საბჭოში ნამდვილად გააძევეს კულაკები. ჩემი აზრით, ასეთ მაზრას პირველ რიგში უნდა გაეწიოს დახმარება.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 118

## დეპეშა ი. ბ. სტალინს

საიდუმლოდ
სახკომ სტალინს
ცარიცინი

დღეს, 30 ივნისს, მიღებულია ცნობა იოფესაგან ბერლინიდან, რომ კიულმანს წინასწარი საუბარი ჰქონდა იოფესთან. ამ საუბრიდან ჩანს, რომ გერმანელები თანახმა არიან აიძულონ თურქები შეწყვიტონ საომარი ოპერაციები ბრესტის საზღვრის იქით და დაგვიწესონ ზუსტი სადემარკაციო ხაზი. პირობას იძლევიან არ შეუშვან თურქები ბაქოში, მაგრამ სურთ მიიღონ ნავთობი. იოფემ უპასუხა, რომ მტკიცედ დავიცავთ ბრესტის

ხელშეკრულებას, მაგრამ სავსებით ვეთანხმებით პრინციპს — ვაძლიოთ, რათა მივიღოთ. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ამ ცნობას და შეეცადეთ გადასცეთ იგი შაუმიანს რაც შეიძლება მალე, რადგან ახლა არის უაღრესად სერიოზული შანსები შევინარჩუნოთ ბაქო. ნავთობის ნაწილს, რა თქმა უნდა, მივცემთ.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის 30 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ტელეგრაფის ლენტის ტექსტის მიხედვით

**119**

## დეპეშა ვ. ლ. პანიუშკინს

ნოვოსილი
საგანგებო სამხედრო კომისარს
პანიუშკინს

თქვენს თხოვნას გადავცემ საგანგებო კომისიას. თქვენ კი გთხოვთ იმოქმედოთ მტკიცედ, წინასწარ ზუსტად გაიანგარიშოთ და აწონ-დაწონოთ ძალები, რადგან, თუ დაიწყებთ, ბოლომდე უნდა მიიყვანოთ.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის ივნისის დამლევს — არა უგვიანეს 2 ივლისისა

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**120**

## ა. ა. იოფეს

1918 წ. 1. VII.

ძვირფასო ამხ. იოფე!

გაჯავრებული ვარ თქვენზე, სიმართლე რომ გითხრათ, უკიდურესად. ხალხი ცოტაა, ყველა ძალზე გადაიღალა მუშა-

ობით, თქვენ კი ასეთ რამეს სჩადიხართ: ბევრ ს ა ქ მ ი ა ნ ს წერთ პ ი რ ა დ წერილში ჩემდამი (უკანასკნელში, ფანქრით) და შიგ რთავთ მთელ რიგ პ ი რ ა დ გამოხდომებს, გალაშქრებებს, გესლიან სიტყვებს და სხვ. ჩიჩერინის წინააღმდეგ („არანამდვილი" მ-რი* და ა. შ.). ჩიჩერინს კი სწერთ: „პერსპექტივები ლენინისათვის გაგზავნილ წერილშია".

ეს ეშმაკმა იცის რა არის!

რა თქმა უნდა, ჩიჩერინი მთხოვს წერილს, მე არ შემიძლია ვუჩვენო, რადგან არ მინდა კინკლაობის იარაღი ვიყო. გამოდის, რომ ფუჭდება საქმე, ფუჭდება ურთიერთობა.

ჩიჩერინი საუცხოო, უკეთილსინდისიერესი, ჭკვიანი, მცოდნე მუშაკია. ასეთი ადამიანები უნდა დავაფასოთ. მისი სისუსტე ისაა, რომ „მეთაურობაში" მოიკოჭლებს, მაგრამ ეს არაფერია. განა ცოტაა ამქვეყნად ადამიანები, რომლებსაც საწინააღმდეგო სუსტი მხარე აქვთ!

ჩიჩერინთან მუშაობა შეიძლება, ადვილია მასთან მუშაობა, მაგრამ მუშაობის ჩაშლა მასთანაც შეიძლება.

თქვენ კრიჭაში უდგახართ მას, მაგრამ საგარეო საქმეთა კომისარიატს უფლება აქვს თქვენც გიჩივლოთ, რადგან ანგარიშს არ უწევთ მას, ხოლო საგარეო საქმეთა სახკომის უ ც ნ ო ბ ე ბ ლ ა დ და ნებადაურთველად, რა თქმა უნდა, ელჩებს უფლება არა აქვთ გადადგან გადამწყვეტი ნაბიჯები.

იმედი მაქვს, ყოველ ღონეს იხმართ, რათა აღმოფხვრათ ეს Mißstände**.

კრასინი რომ „დასძარით", ძალიან კარგია. მთელი ძალით შეუჩნდით შკლოვსკის: იგი ზარმაცია; მოითხოვეთ ანგარიშები და ანგარიშები, დაემუქრეთ.

გართმევთ ხელს. ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* როგორც ჩანს: მინისტრი. რ ე დ.

** — ნაკლოვანებები. რ ე დ.

## 121

## დეპეშა ლ. ბ. კრასინს

**საიდუმლოდ**

ბერლინი, რუსეთის საელჩო
პირადი ლენინისაგან კრასინს

სავსებით ვაფასებ იოფეს მუშაობას და უთუოდ ვიწონებ მას, მაგრამ დაბეჯითებით მოვითხოვ, რომ იოფე იქცეოდეს როგორც ელჩი, რომელზე მაღლა დგას საგარეო საქმეთა სახკომი, და დაიცვას ზრდილობის წესები, არ ილანძღებოდეს და აბუჩად არ იგდებდეს სხვებს, ყოველივე მნიშვნელოვანის შესახებ შეეკითხოს საგარეო საქმეთა სახკომს. მხოლოდ მაშინ შემიძლია დავუჭირო მხარი ელჩ იოფეს და დავუჭერ კიდეც. თქვენი ტაქტის იმედი მაქვს, რომ შეაგონებთ ამას ელჩ იოფეს და ველი პასუხს.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის 3 ივლისს
პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 122

## დეპეშა დ. ე. ივაშჩენკოს

ორშა

ორშის სადგურის კომისარს ივაშჩენკოს

გმადლობთ 36 ვაგონის გატარებისათვის გერმანიაში: ეს ჩვენი გაჭირვებული სამხედრო ტყვეებისთვისაა. გთხოვთ გაამათილოთ ყველა საზიზღარი ცილისწამება და გახსოვდეთ, რომ მთელი ძალებით უნდა დავეხმაროთ ჩვენს სამხედრო ტყვეებს.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის 4 ივლისს
პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 123
## პასუხი პირდაპირი მავთულით
## პ. ა. მეხონოშინს [77]

ლენინი უპასუხებს:

კოლეგაევმა მითხრა პირადად მე, შემდეგ ზინოვიევსა და ბევრ სხვას, რომ იგი, კოლეგაევი, ეწინააღმდეგება მემარცხენე ესერული პარტიის ახლანდელ პოლიტიკას. ეჭვი არ მეპარება, რომ მირბახის მოკვლის უგუნურ-ისტერიული და პროვოკაციული ავანტიურა და მემარცხენე ესერების ცენტრალური კომიტეტის ამბოხება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ჩამოაშორებს მათ არა მარტო მათი მუშებისა და გლეხების უმრავლესობას, არამედ ბევრ ინტელიგენტსაც. მთელი ამბოხება ლიკვიდირებულია ერთ დღეში მთლიანად. დაპატიმრებულია მრავალი ასეული ადამიანი.

ოქმით გააფორმეთ მურავიოვის განცხადება მემარცხენე ესერების პარტიიდან მისი გასვლის შესახებ, განაგრძეთ ფხიზელი კონტროლი. დარწმუნებული ვარ, რომ ამ პირობების დაცვით სავსებით შევძლებთ გამოვიყენოთ მისი საუცხოო საბრძოლო თვისებები. ბრძოლა ჩეხოსლოვაკებისა და კაზაკების წინააღმდეგ სამმაგი ენერგიით უნდა ვაწარმოოთ.

ლენინი

დაწერილია 1918 წლის 7 ივლისს
გადაცემულია ყაზანში

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 124
## დეპეშა ს. პ. ნაცარენუსს

პეტროზავოდსკი, საგანგებო კომისარს
ნაცარენუსს

თქვენ გევალებათ:

1. ყოველი ღონე იხმაროთ რკინიგზის ლიანდაგის რადიკალური დანგრევისათვის რაც შეიძლება მნიშვნელოვან მანძილზე.

2. უცხოელები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ უწყობენ ხელს ინგლისელ-ფრანგ იმპერიალისტთა მძარცველურ ლაშქრობას, დააპატიმრეთ, წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში — დახვრიტეთ.

3. საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქენი, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ უწყობენ ხელს იმპერიალისტურ ძარცვას, — დახვრიტეთ.

ორი მილიონი მანეთი იგზავნება თქვენს განკარგულებაში. თქვენთვის გამოსაგზავნი სამხედრო დახმარების შესახებ გეცნობებათ განსაკუთრებით*.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის 7 ივლისს
პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება უცნობი ხელით დაწერილი, ვ. ი. ლენინის მიერ შევსებული და ხელმოწერილი ტექსტის მიხედვით

## 125

## ი. ე. გუკოვსკის [78]

### 1

გ უ კ ო ვ ს კ ი ს

მთელი რიგი საჩივრებია, რომ თქვენ (თქვენს კომისარიატს) ჯერ კიდევ **არ მიგიციათ** დავალებები:

{ 1) სრული ტექსტი,
2) წარწერები ყველა ენაზე და ა. შ. }

ახალი ფულის ნახატის თაობაზე.

მე უკვე შევუკვეთე ეს ზაქსს. **ეს ხომ წვრილმანია.**

გააკეთეთ ან დაავალეთ გააკეთონ ხ ვ ა ლ დ ი ლ ი თ.

* დეპეშის უკანასკნელი ფრაზა დაწერილია ვ. ი. ლენინის ხელით. რ ე დ. 7. ტ. 44

2

თქვენ ს ა ბ ო ტ ა ჟ ს ე წ ე ვ ი თ, ღმერთმანი! რა დიდი საქმეა? ეს ხომ საბოლოო **არ** არის. სასაცილოა ეს მივიჩნიოთ მნიშვნელოვნად.

დაწერილია 1918 წლის 11 ივლისს

პირველად დაიბეჭდა: პირველი დოკუმენტი 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში; მეორე—1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**126**

## ი. ე. გუკოვსკის

1

ჩივიან, რომ თქვენ ჯერაც არ მიგიციათ ახალი ფულის ტექსტი, რითაც აძნელებთ ნიმუშების მომზადებას და მათ გასინჯვას. მიეცით დაუყოვნებლივ, ამასთან შეინახეთ ძველი ნიმუშები ოქროზე გადახურდავების საკითხის შესახებ (დეკრეტებით გადახურდავების შეჩერება განსაკუთრებით).

2

ს ა ბ ჭ ო თ ა წარწერა გააკეთეთ.

3

1) მიეცით არსებული ნიმუშები საუკეთესო ექსპერტებს.
2) შეუკვეთეთ მათი ყალბი პირები.
3) განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულმა კოლეგიამ შეუკვეთოს ნახატები (ყველა კუპიურისა).
4) დაევალოს პოპოვიცკის შეადგინოს გაანგარიშება:
(ა) რამდენი შეიძლება ვაწარმოოთ თვეში ასეთი კრედიტკა კუპიურების ჩვეულებრივი, ესე იგი ნორმალური განაწილების დროს.

($a_1$) ორიოლის მანქანებზე,
($a_2$) ჩვეულებრივ ბრტყელ მანქანებზე,
($a_3$) დიდი კუპიურები (ესე იგი მაღალი ღირებულების კუპიურები) ორიოლის მანქანებზე, დაბალი — ჩვეულებრივ ბრტყელზე?

(ბ) როგორია ახალი კრედიტკების ღირებულება ძველებთან შედარებით?

(გ) სახელდობრ როდის შეიძლება დამზადდეს კლიშე (ესე იგი ნახატის დამტკიცებიდან რამდენი დღის შემდეგ) და რა ვადაში შეიძლება დაიწყოს ახალი კრედიტკების წარმოება?

(დ) ხომ არ მოითხოვს ახალი ხერხი ახალ მასალებსა და დამხმარე ნივთიერებებს და ა. შ. ძველთან შედარებით?

რა ეღირება ბლანკი (საბჭოთა ხელისუფლების ყველა ოფიციალური ქაღალდისათვის)?

დაწერილია 1918 წლის
ივლისის პირველ ნახევარში

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

127

## დეპეშა ვორონეჟის საგუბერნიო სამხედრო კომისარს

ვორონეჟი
საგუბერნიო სამხედრო კომისარს

წავიკითხე თქვენი ბარათი ტროცკისადმი. ჩვენ მას სავსებით ვეთანხმებით, რომ სარატოვიდან მიღებული დეპეშა ნდობისა და გავრცელების ღირსია, რადგან გამოგზავნეს ადამიანებმა, რომლებიც გულწრფელად გმობენ მემარცხენე ესერული ცეკას ავანტიურას [79].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის 12 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 128

## საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატს

ძალიან გთხოვთ ყოველი ღონე იხმაროთ, რათა დააჩქაროთ კასპიის ზღვაში ყველა შესაფერისი ტიპის სამხედრო-საზღვაო გემების მიწოდება[80].

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1918 წლის 13 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 129

## ნ. ი. პოდვოისკის

პოდვოისკის

რატომ არ გამოგზავნეთ კურსკიდან 4 პოლკი + ასარხის პოლკი (?)

+ სლუვისის დივიზია?

დაგვიანება გვღუპავს ჩეხოსლოვაკიის ფრონტზე, თქვენ კი დაიგვიანეთ![81]

დაწერილია 1918 წლის 16 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 130

## დეპეშა პერმის საბჭოს

1918 წ. 17. VII.

პერმი
დეპუტატთა საბჭოს
პირი ცეკას წევრ სმილგას

მივიღე საჩივარი სტანისლავ პალინსკისაგან, ძველი პოლონელი რევოლუციონერისაგან, რომელსაც რეკომენდაციას აძლევს სტეკლოვი. პალინსკი დაპატიმრებულია ბერეზნიკის

სოლის ქარხანაში, პერმის გუბერნიის საფოსტო სადგური ვერხსტია. მას ბრალად ედება კონტრრევოლუციონერობა და ჩეხოსლოვაკთა თანაგრძნობა.

პალინსკი იწერება, რომ უსოლიეს დეპუტატთა სამაზრო საბჭოს იურიდიულმა კომისიამ ვერ ნახა მის საქმიანობაში დამნაშავეობა.

დაბეჯითებით გთხოვთ სასტიკად გააკონტროლოთ ეს საქმე, მიუკერძოებლად გაარჩიოთ იგი და მისცეთ პალინსკის პოლონეთში გამგზავრების საშუალება.

შესრულება მიდეპეშეთ.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**131**

## დეპეშა ფ. ი. კოლესოვს

1918 წ. 17. VII.

ტაშკენტი
თურქესტანის რესპუბლიკის
სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს
კოლესოვს

ყოველ შესაძლო ღონეს ვხმარობთ, რათა დაგეხმაროთ. გიგზავნით პოლკს.

ჩეხოსლოვაკთა წინააღმდეგ ვიღებთ ენერგიულ ზომებს და ეჭვი არ გვეპარება, რომ გავსრესთ მათ. ნუ მიეცემით სასოწარკვეთილებას, ეცადეთ ყოველნაირად მუდმივი და მტკიცე კავშირი დაამყაროთ კრასნოვოდსკთან და ბაქოსთან.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

„ვოლჟსკი დენ“ (სამარა) № 29, 1918 წლის 20 ივლისი

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 182

## ნ. ი. პოდვოისკის

პოდვოისკის

ვერ გიპასუხეთ მე-2 დეპეშაზე, რადგან ასეთი დანიშვნა ჩემზე არ არის დამოკიდებული და საერთოდ ალბათ შეუძლებელია, როგორც **მთელი** საერთო წესის დარღვევა[82].

ჩეხოსლოვაკიის (და კულაკური) საფრთხე ისე სერიოზულია, რომ, ჩემი აზრით, იქნებ თქვენ იკისროთ (ტროცკიც, ალბათ, დათანხმდება) დასავლეთისა და სამხრეთის (გერმანელების) ფრონტების და ა. შ. შემოვლა იქიდან ჩეხოსლოვაკიის ფრონტზე ჯარების გაგზავნის **დასაჩქარებლად**?

დაწერილია 1918 წლის 19 ივლისს
პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 183

## ს. პ. სერედას

1918 წ. 19. VII.

ამხ. სერედა!*

ამის მომტანები მოსკოვის დეპუტატთა საგუბერნიო საბჭოს მიწგანის წევრები არიან. გთხოვთ მიიღოთ ისინი—საკითხი მნიშვნელოვანია. ჩემი აზრით, უნდა გაერთიანდეს „საბჭოთა მეურნეობები" და კომუნები. უნდა განიხილოთ დახმარებისა და კონტროლის პრაქტიკული ღონისძიებები. შეეცადეთ დაეხმაროთ ტრაქტორებით.

თქვენი ლენინი

P. S. განიხილეთ, საჭიროა თუ არა სახკომსაბჭოს დეკრეტი მოსკოვის გუბერნიისათვის. ძალიან გთხოვთ დააჩქაროთ.

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* დოკუმენტის ზემო ნაწილში ვ. ი. ლენინმა გააკეთა წარწერა: „(ამხ. ბრიუხანოვისთვისაც)". რ ე დ.

## 134

## დეპეშა ს. პ. ნაცარენუსს

პეტროზავოდსკი

საგანგებო სამხედრო კომისარს ნაცარენუსს

თქვენს დეპეშას ვგზავნი სურსათის კომისარიატში. სურსათის საქმე ახლა ძალზე ცუდადაა. ალბათ ვერ დაგეხმარებით. უნდა დარაზმოთ ყველაფერი და ყოველივე საუკეთესო და უალრესად საიმედო ჩეხოსლოვაკიის ფრონტზე რაზმების გასაგზავნად. ჩეხოსლოვაკებზე გაუმარჯვებლად პური არ იქნება.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის 24 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 135

## ი. ლარინს

ამხ. ლარინ!

საჭიროა დაიწეროს პატარა (პატარა ფორმატის 30—40 გვერდი) ბროშურა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს **შემადგენლობისა** და **საქმიანობის** შესახებ.

ეს არქისაჭიროა ევროპისათვისაც და **გლეხებისათვისაც.** ნათლად, უბრალოდ, ფაქტებით მოუთხრეთ:

(α) მ უ შ ა თ ა ორგანიზაციების მონაწილეობა,

(β) არა სინდიკალისტური, არამედ სახელდობრ კომუნისტური (მარქსისტული) ხასიათი აგებულებისა (ესე იგი ახალი სოციალური წყობისა, წესწყობილებისა),

(γ) კაპიტალისტთა დაქვემდებარება (ესე იგი წინააღმდეგობის გატეხა),

(δ) პრაქტიკული წარმატებანი (აღრიცხვაზე აყვანილია მ თ ე ლ ი მანუფაქტურა: ციფრები), 5—10 **საუკეთესო** მაგალითი და ა. შ.

(ε) რა დარჩა კიდევ გასაკეთებელი?

(η) პროფესიულ კავშირთა **ახალი** როლი:

(αα) მათი ზრდა,
(ββ) მათი რიცხობრივი შემადგენლობა **ახლა**,
(γγ) მათი როლი: ისინი **მ ა რ თ ა ვ ე ნ** წარმოებას.
(ϑ) ნაციონალიზებულ საწარმოთა რიცხვი და ა. შ.[83]

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის ივლისის
დამლევს—აგვისტოს დამდეგს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**136**

## ა. დ. ციურუპას

ამხ. ციურუპა! ავადმყოფის შესახედაობა გაქვთ. ნუ დაკარგავთ დროს,— ორი თვით დასვენება. თუ არ დამპირდებით ზუსტად, ვიჩივლებ ცენტრალურ კომიტეტში.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის ივლისში

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**137**

## პ. ა. კობოზევს, კ. ხ. დანიშევსკის, კ. ა. მეხონოშინს, თ. თ. რასკოლნიკოვს*

1918 წ. 1. VIII.

ამხანაგებს კობოზევს, დანიშევსკის, მეხონოშინსა
და რასკოლნიკოვს

ამხანაგებო!

ვსარგებლობ ხელსაყრელი შემთხვევით, რათა მოგწეროთ რამდენიმე სიტყვა.

---

* წერილის კონვერტზე ვ. ი. ლენინმა დააწერა: „ამხანაგებს კობოზევს, დანიშევსკის, მეხონოშინსა და რასკოლნიკოვს. ყაზანში მთავარსარდლის შტაბს (ლენინისაგან)“. რ ე დ.

საკმაოდ ენერგიულად მუშაობენ თუ არა სამხედრო ხელმძღვანელები და ვაცეტისი? კარგია თუ არა კომისართა კონტროლი მათ მიმართ?

როგორი აზრია ბლოხინზე? მართალია თუ არა, რომ იგი საუცხოოა? თუ ეს ასეა, საკმაო გასაქანს აძლევენ თუ არა მას?

მე, რა თქმა უნდა, ვმსჯელობ გარედან და ადვილად შეიძლება შევცდე. მაგრამ მაშინებს, ხომ არ ახშობენ „შტაბები" ცოცხალ მუშაობას ქვემოთ, მასობრივ მუშაობას? საკმარისია თუ არა სამხედრო საქმეში კავშირი ღარიბთა მასებთან?

კეთდება თუ არა **ყველაფერი მისი** აღმავლობისა და მოზიდვისათვის?

ახლა რევოლუციის **მთელი** ბედი **ერთ** რამეზეა დამოკიდებული: სწრაფი გამარჯვება ჩეხოსლოვაკებზე ყაზან—ურალ—სამარის ფრონტზე.

ყველაფერი დამოკიდებულია ამაზე.

საკმაოდ ენერგიულია თუ არა სარდლობა? საკმაოდ ენერგიულია თუ არა შეტევა?

გთხოვთ მიპასუხოთ თუნდაც რამდენიმე სიტყვით ტელეგრაფითაც და კარგი შემთხვევის გამოყენებითაც.

სალამი! ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს ჟურნალში „პროლეტარსკაია რევოლუცია" № 3

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 138

## ა. ა. იოფეს

3/VIII.

ამხანაგ იოფეს

ყველაფერი, რასაც უკანასკნელ წერილებში იწერებით, უაზრობაზე უაზრობაა.

ანტანტასთან გაუწყვეტლობის „წინანდელი" პოლიტიკის განხორციელება ოჩევგის შემდეგ — სასაცილოა [84]. ხომ არ შეიძლება შვილიანი ქალი კვლავ უმანკო გახადოთ.

სასაცილოცაა ინტერვენცია ან დახმარება უწოდო იმას, რომ ჩვენ განვაგრძობთ სწორედ ლავირობას, გერმანელებს კი საშუალებას ვაძლევთ აიღონ ანტანტის მიერ **უკვე აღებული** და ამით ვაძნელებთ და ვაჭიანურებთ რუსეთის დახრჩობას ინგლის—ამერიკა—იაპონიის მიერ.

არ იცით რა ფაქტები და არ ჩაუფიქრდით რა მათ, თქვენ მემორანდუმით და სხვ. შეცდომა დაუშვით. თუ ამას დაჟინებით იცავთ, შემოიტანეთ განცხადება ცენტრალურ კომიტეტში. სანამ განცხადებას შემოიტანთ ცენტრალურ კომიტეტში, სანამ ცენტრალური კომიტეტი დათანხმდება თქვენს გადადგომას, სანამ შემცვლელს გამოგიგზავნიდნენ, ვიდრე იგი ჩამოვიდოდეს, თქვენ, რა თქმა უნდა, როგორც პარტიის წევრი (რასაც თქვენ თვითონაც იწერებით), შეასრულებთ თქვენს მოვალეობას.

Gruss!* ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის 3 აგვისტოს
გაგზავნილია ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 139

## ი. ა. ბერზინს

1918 წ. 3. VIII.

ამხ. ბერზინ!

ამის მომტანები იტალიელი სამხედრო ტყვეები არიან, რომლებმაც წარმოგვიდგინეს უფის დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარის რეკომენდაცია. მე ისინი ორჯერ ვნახე და ძალიან კმაყოფილი ვარ შთაბეჭდილებით მათთან საუბრისაგან. უნდა დაიცვათ მაქსიმუმ სიფრთხილე და დაეხმაროთ მათ ყოველნაირად იტალიელთა შორის მუშაობისა და იტალიურ ენაზე **გამოცემათა** ორგანიზაციისათვის.

წერილებისათვის გმადლობთ.

* — სალამი! რ ე დ.

თქვენ, როგორც ჩანს, ენერგიულად მუშაობთ. სალამი!

ღვთის გულისათვის, **ნუ დაიშურებთ** ფულს გამოცემებისათვის (გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ, ინგლისურ ენებზე) და რაც შეიძლება მალე, მალე.

აქ კრიტიკული მომენტია: ბრძოლა ინგლისელებთან და ჩეხოსლოვაკებთან, და კულაკებთან. წყდება რევოლუციის ბედი.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ბერნში

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით
1925 წლის 21 იანვარს გაზეთ
„პრავდაში" № 17

მთლიანად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

140

## ა. დ. ციურუპას და ვ. ლ. პანიუშკინს

ამხ. ციურუპას და პანიუშკინს

პანიუშკინის მოხსენებიდან ჩანს, რომ იგი საუცხოოდ მუშაობს, მაგრამ ყველაფერს ეპოტინება, ხელს ჰკიდებს 100 საქმეს.

ეს შეუწყნარებელია.

პანიუშკინს უნდა მიეცეს ზედმიწევნით განსაზღვრული, ზუსტი, წერილობით ფიქსირებული **დავალება**:

(1) **გაძარცვოს** და ჩამოართვას **მთელი** ზედმეტი პური მთელი ტულის გუბერნიის კულაკებსა და ბობოლებს,

(2) **წაიღოს** მთელი ეს პური **მაშინვე** მოსკოვში,

(3) **არავითარ სხვა საქმეს ამ დავალების მთლიანად შესრულებამდე ხელი არ მოჰკიდოს.**

საქმის შესასრულებლად წაიყვანოს მეტი სატვირთო ავტომობილი.

დაწერილია 1918 წლის
ზაფხულში, 5 აგვისტოზე ადრე

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 141

## ა. დ. ციურუპას

ციურუპას

მთელი ძალებით ახლა უნდა დავაწვეთ იმას, რომ ფაქტობრივად ორივე დეკრეტი (მოსავლის აღების რაზმებისა და კოლექტიური მატარებლების შესახებ) პრაქტიკულად გაერთიანდნენ და მოგვცენ **ჩვენი** რაზმები[85].

**რა კეთდება ამისათვის?**

1) ინსტრუქცია: კოლექტიურ მატარებლებში **ამდენი** და **ამდენი** უნდა იყოს (1—5-ზე, მაგალითად) პროფესიული კავშირებისაგან,

2) განვითარდეს და გაძლიერდეს დეკრეტის § 7 კოლექტიური მატარებლების შესახებ,

3) მათი თანაფარდობა (საქმით რომ = **დახმარებას**) სარეკვიზიციო რაზმებთან...

4) დაინიშნოს ისინი **ყველა** maximum 2 (საუკეთესო) მაზრაში და **გაიწმინდოს** ისინი პირწმინდად.

დაწერილია 1918 წლის 8 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 142

## ნ. პ. ბრიუხანოვს და სურსათის კომისარიატის კოლეგიის სხვა წევრებს

ბრიუხანოვს და სურსათის კომისარიატის კოლეგიის სხვა წევრებს

თქვენი ბარათიდან ვასკვნი, რომ სურსათის კომისარიატს სწორად არ ესმის და სწორად არ იყენებს დეკრეტებს.

„მუშებს განსაკუთრებული სურვილი არ ეტყობათ....“ (წავიდნენ მოსავლის აღების რაზმებში).

სად არის დამამტკიცებელი საბუთები? სად არის სურსათის კომისარიატის მიმართვა? რომელი რიცხვისა?

რომელ ქარხნებში გაიგზავნა? როდის და რამდენი?

ვშიშობ, რომ სურსათის კომისარიატს არაფერი ეს არ გაუკეთებია (თუ ვიმსჯელებთ ამხ. ბრიუხანოვის დუმილის მიხედვით), არამედ, ეშმაკმა იცის, რა ბიუროკრატიულად აჭიანურებდა საქმეს? რადგან მუშების დაუხმარებლად სურსათის კომისარიატი ნულია.

ციტატიდან (ნევსკის 8. VIII დეპეშიდან) არ ჩანს არაფერი ცუდი, რადგან მასში **არ არის** აღძრული საკითხი არც პროფესიული კავშირების წევრთა %-ის შესახებ, არც ხელმძღვანელი ორგანიზაციის შესახებ, არც მონაწილეობისა და მოსავლის აღების შესახებ (§ 7 დეკრეტისა კოლექტიური მატარებლების შესახებ), ესე იგი არ არის აღძრული საქმიანი საკითხები.

მაშ რა არის ცუდი ნევსკის დეპეშაში, გარდა კარგისა? ნევსკი მოუწოდებს მუშებს: წადით და დაეხმარეთ (პირობებზე დუმს, ჩვენ კი ეს პირობები დავსახეთ და კარგიც დავსახეთ), სურსათის კომისარიატი კი შარსა სდებს სიტყვას (ტყუილად სდებს შარს)... და არაფერს არ აკეთებს!

ან ჩვენ დავრაზმავთ მუშათა მასებს პურისათვის (და კულაკების დათრგუნვისათვის) სერიოზული მოძრაობის გასაშლელად — ამას სურსათის კომისარიატი არ შვრება, — ან არავითარი სურსათის კომისარიატი სულაც არ არის საჭირო.

დაწერილია 1918 წლის აგვისტოში,
8 რიცხვზე გვიან

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 143
## გ. თ. ფედოროვს*

1918 წ. 9. VIII.

ამხ. ფედოროვ!

ნიჟნი ნოვგოროდში აშკარად მზადდება თეთრგვარდიელთა აჯანყება. უნდა დაძაბოთ მთელი ძალ-ღონე, შეადგინოთ დიქტა-

* კონვერტს ვ. ი. ლენინმა წააწერა: „ამხანაგ გრიგოლ ფედოროვს, ნიჟნი ნოვგოროდის დეპუტატთა საგუბერნიო საბჭოს თავმჯდომარეს, შრომის კომისარიატის კოლეგიის წევრს“. რ ე დ.

ტორთა საშეული (თქვენ, მარკინი და სხვ.), **დაუყოვნებლივ** მოაწყოთ მასობრივი ტერორი, დ ა ხ ვ რ ი ტ ო თ და გ ა-ი ყ ვ ა ნ ო თ ა ს ო ბ ი თ მეძავი, რომლებიც ათრობენ ჯარისკაცებს, ყოფილ ოფიცრებს და ა. შ.

არც ერთი წუთი დაყოვნება.

არ მესმის, როგორ შეუძლია რომანოვს ასეთ დროს წასვლა!

ამის მომტანს არ ვიცნობ. მას ჰქვია ალექსი ნიკოლოზის ძე ბობროვი, ამბობს, რომ მუშაობდა ვიბორგის მხარეზე პიტერში (1916 წლიდან)... მანამდე 1905 წელს ნიჟნში ვმუშაობდიო.

მისი მანდატების მიხედვით, ნდობას იმსახურებს. შეამოწმეთ და ჩააბით მუშაობაში.

პეტერსი, საგანგებო კომისიის თავმჯდომარე, ამბობს, რომ მათგანაც არიან ს ა ი მ ე დ ო ადამიანები ნიჟნში.

უნდა იმოქმედოთ გამალებით: მასობრივი ჩხრეკა. დახვრეტა იარაღის შენახვისათვის. მენშევიკთა და არასაიმედოთა მასობრივი გაყვანა. საწყობებში დაცვის შეცვლა, დააყენეთ საიმედოები.

ამბობენ, თქვენთან წამოვიდნენ რასკოლნიკოვი და დანიშევსკი ყაზანიდან.

წაუკითხეთ ეს წერილი მეგობრებს, მიპასუხეთ ტელეგრაფით ან ტელეფონით.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ნიჟნი ნოვგოროდში

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით 1938 წელს ჟურნალ „ბოლშევიკ-ში" № 2

მთლიანად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება ხელნაწერის ფოტოპირის მიხედვით

## 144

## დეპეშა ა. დ. მეტელევს[86]

9/VIII.

ვოლოგდა

საგუბერნიო აღმასკომი, მეტელევს
პირი სამერსა და ელიავას

მოსკოვში ჩამოსვლა მოხსენებისათვის საჭირო არ არის. უნდა დარჩეთ ვოლოგდაში და დაძაბოთ მთელი ძალ-ღონე, რათა დაუყოვნებლივ, ულმობლად გაუსწორდეთ თეთრგვარდიელებს, რომლებიც აშკარად ამზადებენ ვოლოგდაში ღალატს, და მოამზადოთ დაცვა.

სიცრუე არხანგელსკის შესახებ გააბათილეთ წერილობით.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის 9 აგვისტოს
პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 145

## ა. დ. ციურუპას

10/VIII—18.

1

**ც ი უ რ უ პ ა ს:**

(1) ეს არქისკანდალია, საშინელი სკანდალია, რომ სარატოვში პური არის, ჩვენ კი არ შეგვიძლია მისი წამოღება!! ხომ არ მივავლინოთ ყოველ საკვანძო სადგურში 1—2 სასურსათო მუშაკი? კიდევ რა ვქნათ?

(2) პროექტი დეკრეტისა — თითოეულ პურის თემში 25—30 მ ძ ე ვ ა ლ ი ბ ო ბ ო ლ ე ბ ი ს ა გ ა ნ, რომლებიც საკუთარი თავით აგებენ პასუხს **მ თ ე ლ ი** ნამეტის შეგროვებისა და ჩაბარებისათვის.

(3) შეუკვეთეთ პოპოვს **ს ა ს წ რ ა ფ ო დ**: სათემო განწესები, ესე იგი რამდენი ნ ა მ ე ტ ი პური **უნდა იყოს** თითოეულ თემში. რამდენი უნდა მოგვცეს თითოეულმა?

2

ციურუპას

1) „მძევალთა" შესახებ არ გიპასუხიათ.

2) როდის დ ა ა მ თ ა ვ რ ე ბ ს პოპოვი თავის მუშაობას? (მას **მოკლე** ვადა უნდა მისცეთ.)

3

წინადადება შემომაქვს „მძევლები" კი არ წ ა მ ო ი ყ ვ ა ნ ო თ, არამედ დ ა ნ ი შ ნ ო თ გვარებით თ ე მ ე ბ ი ს მიხედვით.

დანიშვნის მიზანი: სწორედ ბობოლები, რადგან ისინი აგებენ პასუხს კონტრიბუციისათვის, **საკუთარი თავით** ა გ ე ბ ე ნ პ ა ს უ ხ ს ნამეტი პურის დაუყოვნებლივ შეგროვებისა და ჩაბარებისათვის.

ასეთი ინსტრუქცია (დანიშნონ „მძევლები") ეძლევა

(α) ღარიბთა კომიტეტებს,

(β) ყველა სასურსათო რაზმს.

ძალა? სწორედ ახლა **ფრონტისპირა** ზოლში **ძ ა ლ ა ი ქ ნ ე ბ ა**[87].

დაწერილია 1918 წლის 10 აგვისტოს
პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 146
## უმაღლეს სამხედრო საბჭოს

1918 წლის 10 აგვისტო.

**ფრ. საიდუმლოდ**

მ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს საკუთარ ხელში

საჭიროდ მიმაჩნია ყოველნაირად გაძლიერდეს აღმოსავლეთის ფრონტი. წინადადებას ვაძლევ უმაღლეს სამხედრო საბ-

ჭოს შეიმუშაოს დასავლეთის ფრონტიდან რაც შეიძლება მეტი ნაწილების მოხსნის გეგმა. ეს გეგმა უნდა განხორციელდეს უმოკლეს ვადაში. უნდა წავიდეს ყველა ბრძოლისუნარიანი ნაწილი. რკინიგზები მიიღებენ მიწერილობას დაუყოვნებლივ გაატარონ ფრონტზე უკვე მიმავალი ნაწილები და ყოველი ღონისძიებით მოემზადებიან ახალი ნაწილების მისაღებად და გადასაყვანად.

წინადადებას ვაძლევ უმაღლეს სამხედრო საბჭოს თვალყური ადევნოს რკინიგზების მიერ განწესების სწორად და სწრაფად შესრულებას. დაყოვნებათა შესახებ უმაღლესი სამხედრო საბჭოს თავმჯდომარემ მომახსენოს მე.

გეგმის უსწრაფესად შესრულებისათვის პასუხისმგებლობას ვაკისრებ უმაღლეს სამხედრო საბჭოს.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა (ფაქსიმილე) 1930 წელს წიგნში „სამოქალაქო ომი. 1918—1921“, ტ. III

იბეჭდება ე. მ. სკლიანსკის ხელით დაწერილი და ვ. ი. ლენინის ხელმოწერილი ტექსტის მიხედვით

## 147

## დეპეშა ს. პ. ნაცარენუსს

1918. წ. 11. VIII.

პეტროზავოდსკი

საგანგებო სამხედრო კომისარ ნაცარენუსს

ძალიან მოხარული ვარ, რომ თქვენ ენერგიულად აბათილებთ ჩემსა და ტროცკის შიშს, რაც გამოწვეულია ფრონტებიდან მასობრივი წამოსვლით*. გამოგზავნეთ საიმედო კაცის ხელით დაწერილებითი ცნობები ჯარების რიცხვის, განლაგებისა და განწყობილების შესახებ.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 50, დოკუმენტი 252. რე დ.

148

## დეპეშა ვოლოგდის საგუბერნიო აღმასკომს

1918 წ. 11. VIII.

ვოლოგდა, საგუბერნიო აღმასკომს
პირი კედროვს

საჭიროა დაუყოვნებლივ მობილიზაცია უყოთ ბურჟუაზიას სანგრების სათხრელად და საერთოდ მაქსიმალური ენერგიით წასწიოთ წინ საფორტიფიკაციო სამუშაოები. მიდევნეთ შესრულება. გამოგზავნეთ უაღრესად საიმედო ადამიანის საშუალებით დაწვრილებითი ცნობები და ანგარიშები ამ გადაუდებელ სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა (ფაქსიმილე) 1930 წელს წიგნში „სამოქალაქო ომი. 1918—1921", ტ. III

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

149

## დეპეშა ა. ე. მინკინს

პენზა
საგუბერნიო აღმასკომი, მინკინს

მივიღე თქვენი დეპეშა კულაკთა ბუნტის ჩახშობის შესახებ. რკინა უნდა სჭედო, სანამ ცხელია, და ამისათვის კულაკთა დათრგუნვა გამოიყენოთ პურის სპეკულანტთა ყველგან ულმობელი დათრგუნვისათვის, მსხვილი ბობოლებისაგან პურის კონფისკაციისათვის და იმ ღარიბობის მასობრივი მობილიზაციისათვის, რომელსაც პური მიეცა. მიდევნეთ შესრულება. უნდა საბოლოოდ განვამტკიცოთ ღარიბობის ხელისუფლება ფრონტისპირა ზოლში.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის 12 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა (ფაქსიმილე) 1930 წელს წიგნში „სამოქალაქო ომი. 1918—1921", ტ. III

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 150

## დეპეშა დ. ტ. პეტრუჩუკს[88]

ორშა

საჭიროების შემთხვევაში პირდაპირი მავთულით სარგებლობის ნებართვა მოგეცემათ. ჩემი რჩევაა თანდათანობით მიიღოთ გახრწნილი ნაწილებისა და ხულიგნური ელემენტების განიარაღებისა და გაძევების ღონისძიებანი. აიყვანეთ ამ უმნიშვნელოვანესი საქმისათვის დასახმარებლად ადგილობრივი აღმასკომისა და საოლქო კომიტეტის წევრები, რადგან ეს უპირველესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. აცნობეთ ეს დეპეშა ადგილობრივ აღმასკომებსა და პარტიულ კომიტეტებს.

დაწერილია 1918 წლის
15 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 151

## ა. დ. ციურუპას

ხომ არ შეიძლება ისე მოვაწყოთ, რომ რაზმები პურისთვის მიდიოდნენ (დ ა ს ა მ ზ ა დ ე ბ ლ ა დ და სამარშრუტო მატარებლით წამოსაღებად) ორნაირი განაწესით:

ან ერთხელ (ერთ თემში და ა. შ., მაზრის პურის გასალეწად და ა. შ.) — და მაშინ პრემია ნაკლებია,

ან კისრულობს ვალდებულებას იმუშაოს ხანგრძლივად (ა რ ა ერთხელ, არამედ 3—4 თვით და ა. შ. ან **კიდევ** ერთხელ სურსათის კომისარიატის გამოძახებით და ა. შ.) — და მაშინ პრემია მეტია.

(ორივე შემთხვევაში დაუდეთ პირობად მოვალეობა კ ი დ ე ვ ა ც დაამზადოს, კ ი დ ე ვ ა ც გალეწოს, და თ ვ ი თ ო ნ ზ ი დ ო ს ბეღლებში და ააშენოს ბეღლები ან ფარდულები და ა. შ.).

დაწერილია 1918 წლის აგვისტოს
პირველ ნახევარში

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 152

## ე. მ. სკლიანსკის

1918 წ. 16. VIII.

ფრ. საიდუმლოდ

ამხ. სკლიანსკის

ამასთან გიგზავნით ამხანაგ ვოროვსკის წერილს თანდართული დოკუმენტებით (რეგისტრირებულია სახკომსაბჭოს საქმეთა სამმართველოში 1918 წ. 16. VIII. № 2509), გთხოვთ უაღრესად სერიოზული ყურადღება მიაქციოთ აქ მხილებულ ბოროტმოქმედებასა და დანაშაულს[89].

საჭიროა დანიშნოთ რაც შეიძლება ნაკლები ამხანაგები, საიმედო და გამოცდილი (შესაძლებლობის მიხედვით სულ დიდი 2—3), მოიწვიოთ ერთი კაცი საგანგებო კომისიიდან, მოაწყოთ ასეთი საგამომძიებლო კომისიის საშუალებით უმკაცრესი გამოძიება, ჯერ უთუოდ საიდუმლო, რათა (1) გამოავლინოთ სათანადო დაწესებულებაში საქმის წარმოების ჩვეულებრივი წესი, (2) **გამოარკვიოთ** კონტრრევოლუციონერ დამნაშავეთა **კავშირურთიერთობა** და (3) დააპატიმროთ ისინი ყველანი ისე, რომ არავინ არ გაგექცეთ.

შესრულება რეგულარულად მომახსენეთ.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 153

## დეპეშა ს. პ. სერედას

1918 წ. 16. VIII.

ელეცი
სახკომ სერედას

ძალზე საჭიროა საქმე ისე დააყენოთ, რომ თემებმა ერთიმეორის მიყოლებით ჩააბარონ და უკლებლივ გაიტანონ მთელი ნამეტი პური. სანიმუშო თემებისათვის ნუ დაიშუ-

რებთ მანქანებსა და პრემიებს. მაცნობეთ, რამდენია სულ ნამეტი და რომელი თემი შეძლებს უფრო ადრე ჩააბაროს მთელი ნამეტი.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 154

## დეპეშა ს. ვ. მალიშევს [90]

1918 წ. 17. VIII.

სამარის გუბერნიის ეკატერინოგრადი
(ეკატერინენშტადტი) სერგეი მალიშევს

მივესალმები წარმატებას. მიდეპეშეთ სასწრაფოდ და რეგულარულად, სახელდობრ რამდენია ჩაბარებული და მიტანილი სარატოვში და როდის. განსაკუთრებით საჭიროა კი არ დაფანტოთ, არამედ მთლიანად შეაგროვოთ მთელი ნამეტი პური ჯერ ერთ თემში და მისცეთ მას ვეებერთელა პრემია. მიდეპეშეთ შესრულება.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაბეჭდილია შემოკლებით 1918 წლის 18 სექტემბერს „სარატოვსკაია კრასნაია გაზეტაში" № 164

მთლიანად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 155

## ტელეფონოგრამა ნ. ი. მურალოვს

სერედა სასწრაფოდ მოითხოვს 200 ფუთ ბენზინს პურის წასაღებად ელეცის მაზრაში. არ დაგავიწყდეთ, რომ პურის საკითხი მთავარი და ძირეულია. უნდა ყველაფერი გაკეთდეს.

მიპასუხეთ დაუყოვნებლივ, სახელდობრ როდის გაუგზავნით სერედას (მიწათმოქმედების სახალხო კომისარ სერედას. ელე-ცი) 200 ფუთ ბენზინს.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის
არა უადრეს 17 — არა
უგვიანეს 19 აგვისტოსი

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**156**

## დეპეშა თ. თ. რასკოლნიკოვს

ნიჟნი ნოვგოროდი
საგუბერნიო აღმასკომს რასკოლნიკოვისათვის

გასამკეცებული ყურადღებით ადევნეთ თვალი ყაზანის ფრონტის მომარაგებას, იქ რეზერვების დაჩქარებით გაგზავნას და იმას, რომ ბრძოლა თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ ნიჟნში დაიწყოს დაუყოვნებლივ და წარმოებდეს სავსებით მტკიცედ. განსაკუთრებით ადევნეთ თვალყური საარტილერიო ქონების დაცვას, მიდეპეშეთ შესრულება.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის 19 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს
ჟურნალ „პროლეტარსკაია
რევოლუციაში" № 3

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**157**

## დეპეშა ს. პ. სერედას

1918 წ. 19. VIII.

ელეცი
მიწსახკომ სერედას

დღეს გეგზავნებათ ცისტერნა ბენზინი 500 ფუთი, მაგრამ რატომ უვლით გვერდს უმნიშვნელოვანეს საკითხებს: რამდენი პური შეაგროვეთ, რამდენი ჩააბარეთ, და შემდეგ აუცილებ-

ლად გამოიტანეთ მთელი ნამეტი პური ჯერ ერთი თემიდან და მიეცით ამ თემს დიდი პრემია. ჩვენ არ დავიშურებთ ფულს ღარიბობისა და საშუალო გლეხობის დასახმარებლად, თუ ისინი ეხმარებიან მშივრებს.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა
1931 წელს ლენინის
XVIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 158

## დეპეშა ა. ე. მინკინს [91]

მინკინს

სისულელეა იმის კითხვა, შეუძლია თუ არა ფინსახკომს, ამასთან ერთი ოლქისას, გააუქმოს ჩემი განკარგულება. თუ ეს განკარგულება არ შესრულდა, დამნაშავეებს სამართალში მივცემ. ლატვიელთა ასეული ჯერჯერობით დატოვეთ პენზაში ჩემბარის დათრგუნვამდე. გადაეცით აღმასკომის ყველა წევრსა და ყველა კომუნისტს, რომ მათი მოვალეობაა ულმობლად დათრგუნონ კულაკობა და კონფისკაცია უყონ ამბოხებულთა მთელ პურს. აღშფოთებული ვარ თქვენი უმოქმედობით და სისუსტით. მოვითხოვ დაწვრილებითს ანგარიშებს ყველა ჩემი განკარგულების შესრულების შესახებ და დათრგუნვისა და განსაკუთრებით კონფისკაციის ღონისძიებათა შესახებ*.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის
19 აგვისტოს
გაგზავნილია პენზაში

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

---

* გადაცემულია პირდაპირი მავთულით. რ ე დ.

## 159

## დეპეშა პენზის საგუბერნიო აღმასკომს

1918 წ. 19. VIII.

პენზა, საგუბერნიო აღმასკომს
პირი კომუნისტთა საგუბერნიო კომიტეტს

უაღრესად აღშფოთებული ვარ, რომ გარკვეულს არაფერს იწერებით იმის შესახებ, თუ, ბოლოს და ბოლოს, ხუთი თემის კულაკთა ულმობელი დათრგუნვისა და მათთვის პურის კონფისკაციის რა სერიოზული ღონისძიებები განახორციელეთ. თქვენი უმოქმედობა დანაშაულებრივია. საჭიროა მთელი ძალები გაიგზავნოს ერთ თემში და გამოიტანოთ იქიდან მთელი ნამეტი პური. მიდეპეშეთ შესრულება.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა
1931 წელს ლენინის
XVIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 160

## დეპეშა ლ. დ. ტროცკის

ს ა ი დ უ მ ლ ო დ

სვიაჟსკი, ტროცკის
პირი ვაცეტისს

თქვენი სამხედრო მოსაზრებების თაობაზე ინსტრუქტორთაგან რაზმების შედგენის შესახებ დაე თვით სამხედროებმა გადაწყვიტონ, მე ვერ ვიმსჯელებ ამაზე. ვიცი მხოლოდ, რომ ჩვენი ინსტრუქტორები განსაკუთრებით საჭირო არიან მუშათა არმიისათვის ოფიცერთა სრული არასაიმედოობის პირობებში. რაც შეეხება ფულად ჯილდოს, თანახმა ვარ, დავიცავ და განვახორციელებ თქვენს გადაწყვეტილებას[92]. გამოქვეყნება საჭირო არ არის.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის
19 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 161

## გ. ვ. ჩიჩერინს

1918 წ. 19. VIII.

ამხ. ჩიჩერინ!

ამის მომტანი, ამხ. ლატუკა, ფინელი სოციალ-დემოკრატია, რომელიც ბევრს გვეხმარებოდა, როცა ფინეთში ვიმალებოდით[93]. ახლა საჭიროა მას **ყოველნაირად** დავეხმაროთ. მას სურს შვეიცარიაში წასვლა.

თუ შეიძლება მოელაპარაკეთ მას და დაეხმარეთ განახორციელოს თავისი სურვილი, მოუნახეთ ადგილი საელჩოში. იგი ჟურნალისტია.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 162

## გ. ვ. ჩიჩერინს

1918 წ. 19. VIII.

ამხ. ჩიჩერინ!

ამის მომტანია la camarade Jeanne Labourbe*, რომლის შესახებაც გელაპარაკეთ.

მიიღეთ, გეთაყვა, და მოელაპარაკეთ დაწვრილებით.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 163

## ნ. პ. გორბუნოვს

გორბუნოვს

ზედმეტია და სისულელე, რომ ქალალდების გასინჯვის შემდეგ თქვენ წერთ „ვ. ი.-ს გადასათვალიერებლად“ (!??) ((ეს ისეც ცხადია)) ან „ვფიქრობ ასე და ასეა“.

* — ამხანაგი ჟანა ლაბურბი. რ ე დ.

**3 სტრიქონში უნდა გადმოსცეთ საქმის არსი. თორემ რაღა საჭიროა თქვენ რომ ნახოთ.**

დაწერილია 1918 წლის 20 აგვისტოზე ადრე

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 164

## დეპეშა ტამბოვის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს

1918 წ. 20. VIII.

ტამბოვი
საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს

უსმანის მაზრაში აღებულია მემამულეთა პური 7000 დესეტინა ნათესიდან საფონოვის, ბარიატინსკის, ნოვონიკოლსკის თემებში, ჩაბარებულია ელევატორში. მიდეპეშეთ დაუყოვნებლივ: რამდენი ფუთი პურია ამ ელევატორში, საიმედოა თუ არა დაცვა, რატომ აყოვნებთ პურის გაგზავნას მოსკოვში, ვინ არის დამნაშავე საზიზღარ დაყოვნებაში, არის თუ არა ღარიბთა კომიტეტები [94] უსმანის მაზრაში და საიმედო არიან თუ არა?

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 165

## დეპეშა ვ. ნ. ხარლოვს

1918 წ. 21. VIII.

სარატოვი
ამხ. სახკომ ხარლოვს

თქვენ მიერ ნაჩვენები ნამეტის ოდენობა აშკარად შემცირებულია. შეაგროვეთ უფრო ზუსტი ცნობები. საჭიროა გამო-

იყოს სანიმუშო, ესე იგი ღარიბთა საუკეთესო ორგანიზაციის მქონე სოფლები და თემები, რათა, ჯერ ერთი, განისაზღვროს დაუმალავად ნამეტი პურის რაოდენობა, მეორე, რათა დიდი პრემიით დავაჯილდოვოთ თემები, რომლებმაც მთლიანად გაიტანეს და ჩააბარეს უკლებლივ მთელი ნამეტი პური. გადაეცით ეს ყველა სასურსათო მუშაკს და მიდეპეშეთ პასუხი. საჩქაროდ დატვირთეთ პ ური.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის XVIII კრებულში — იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**166**

## 1-ლი არმიის პოლიტიკურ კომისარს მედვედევს*

1918 წ. 21. VIII.

ამხ. მედვედევ! ამხანაგმა ბოშმა მიამბო თქვენი შეხვედრის შესახებ ფრონტზე, ფრონტის საქმეების მდგომარეობაზე და თქვენს ეჭვებზე. თქვენ ვითომდა დარწმუნებული იყავით, რომ შეიძლებოდა აგეღოთ და კიდევაც უნდა აგეღოთ სიზრანი, მაგრამ არ გინდოდათ აქეთ მოგეწერათ.

თუ ეს ასეა, თქვენ მართალი არა ხართ. კომისარი სწორედ იმიტომ არის დაყენებული, რომ ჩიოდეს. აუცილებლად მომწერეთ (და მიდეპეშეთ) ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი და უფრო ხშირად.

თქვენ არც ერთხელ არც ერთი სტრიქონი არ მოგიწერიათ.

არ ვარგა! არაპარტიულია და თქვენი სახელმწიფოებრივი მოვალეობის შეუსრულებლობაა! ღმერთმანი, არ ვარგა.

სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში — იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* წერილის კონვერტზე ვ. ი. ლენინმა დააწერა: „**ამხ. მედვედევს** (პოლიტიკურ კომისარს) (ლენინისაგან)". რ ე დ.

## 167

## უმაღლეს სამხედრო საბჭოს

1918 წ. 21. VIII.

ამის მომტანები თურქესტანის ცაკის წარმომადგენლები არიან. თხოულობენ რაზმს 100—200 კაცის შემადგენლობით კრასნოვოდსკის წინააღმდეგ (ასტრახანიდან) მოძრაობისათვის. გთხოვთ განიხილოთ მათი თხოვნა და დაეხმაროთ ყოველნაირად, მე კი მაცნობეთ ტელეფონით უმაღლესი სამხედრო საბჭოს დასკვნა.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში — იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 168

## დეპეშები ა. კ. პაიკესს*

### 1

სარატოვი, პაიკესს

ახლა ტელეფონით დაველაპარაკები სამხედროებს ყველა თქვენი მოთხოვნის შესახებ [95]. დროებით გირჩევთ დანიშნოთ თქვენი უფროსები და დახვრიტოთ შეთქმულები და მერყევები ისე, რომ არავის არ ჰკითხოთ და არ დაუშვათ იდიოტური საქმის გაჭიანურება. ჩემი პასუხის მისაღებად კი ან დაიცადეთ ტელეგრაფში, ან დააწესეთ მორიგეობა რიგრიგობით, ან დანიშნეთ დრო ერთი ან ორი საათის შემდეგ. მიპასუხეთ.

ლ ე ნ ი ნ ი

### 2

სარატოვი, პაიკესს

ახლა მოველაპარაკე არალოვს. მისი სიტყვით, უკვე ყველაფერი კეთდება თქვენთვის ყუმბარების გამოსაგზავნად. დატვირ-

* გადაცემულია პირდაპირი მავთულით. რ ე დ.

თვა დღეს დაიწყება, ისე რომ 2—3 დღის შემდეგ დამთავრდეს. უფრო ენერგიულად იმოქმედეთ კულაკების წინააღმდეგ.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის 22 აგვისტოს
პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერების მიხედვით

## 169

## დეპეშა რკპ (ბ) პენზის საგუბერნიო კომიტეტს

1918 წ. 22. VIII.

პენზა
საგუბერნიო კომიტეტი, ტურლოს
პირი მინკინს

არ მესმის, როგორ შეეძლო მინკინს უარი ეთქვა და არ შეესრულებინა საგუბერნიო კომიტეტის უმრავლესობის დადგენილება [96]. იმედი მაქვს, რომ ეს მხოლოდ გაუგებრობაა. მოვითხოვ, რომ ომის კრიზისულ დროს ყველა ერთსულოვნად მუშაობდეს რაც შეიძლება მეტი სიმტკიცით, ემორჩილებოდნენ უმრავლესობას, ხოლო კონფლიქტები გადასცენ ცეკას და არ შეაჩერონ მუშაობა.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 170

## დეპეშა თ. ი. კოლესოვს

ტაშკენტი
კოლესოვს

კავკასიისა და ბაქოს შესახებ ცოტა რამ ვიცით. ცნობები არ არის შემოწმებული. ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებაა. მისი ჯარები მოწყვეტილი არიან ცარიცინს, რომელ-

საც სამხრეთიდან ალყა შემოარტყეს კაზაკებმა. ბაქოში გადმოსხდნენ ინგლისელები, და მდგომარეობა იქ მერყევია. გერმანელები თანახმა არიან მოგვცენ გარანტია, რომ არ შეუტევენ ბაქოს, თუ იქიდან გავრეკავთ ინგლისელებს. ვინ იცის, როგორ იქნება იქ საქმეები. სამხედრო დახმარების შესახებ არ ვიცით, სად არის იგი. ვფიქრობთ, შეფერხდა ცარიცინთან*.

ელჩებისა და კონსულების მიმართ გირჩევთ დაცდის პოზიციას დაადგეთ, დაუწესოთ მათ სამმაგი მეთვალყურეობა და დააპატიმროთ საეჭვო პირები, რომლებსაც მათთან ურთიერთობა აქვთ.

ვფიქრობთ და ვამზადებთ ზოგიერთ დახმარებას თქვენთვის, მაგრამ დანამდვილებით ვერ შეგპირდებით, რადგან ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, მოვახერხებთ თუ არა ინგლისელების გარეკვას ბაქოდან, თუ ისინი შეძლებენ კასპიის ზღვის სანაპირო ნაწილის დაპყრობას.

დაწერილია 1918 წლის
23 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 171

## დეპეშა ა. გ. შლიხტერს

ვიატკა
შლიხტერს

ველაპარაკე ტელეფონით სურსათის კომისარიატს და დავეთანხმენ, რომ ახლა ძალზე საჭირო იქნებოდა დარჩენილიყავით ვიატკაში; ჯერ ერთი, იმისათვის, რომ დაეხმაროთ და კონტროლი გაუწიოთ კოტლასის ყველაზე ენერგიული დაცვის საქმეს და ყოველი შემთხვევისათვის მოამზადოთ კოტლას-ვიატკის გზის მთლიანად მოსპობისათვის ასაფეთქებელი საშუალე-

* იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 131. რ ე დ.

ბანი. მეორე და მთავარი, ვიატკის სამხრეთით კულაკურ ამბოხებათა დათრგუნვის წარმატებით მიმდინარეობასთან დაკავშირებით განახორციელოთ უაღრესად ენერგიული სასურსათო ოპერაციები, რათა ულმობლად გაიქლიტოს კულაკობა, მოხდეს მთელი მათი პურის კონფისკაცია, გამოგზავნოთ პური ვოლოგდისა და ნიჟნის გავლით, აგრეთვე, რათა განამტკიცოთ ღარიბთა ორგანიზაციები.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის
23 აგვისტოს
პირველად დაიბეჭდა 1930 წლის
22 იანვარს გაზეთ „კრასნაია
ზვეზდაში" № 19

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**172**

## დეპეშა ს. პ. სერედას

ელეცი
მიწსახკომ სერედას

რაც შეიძლება უკეთ გამოიყენეთ კარგი ამინდი. მოითხოვეთ სასურსათო ან მოსავლის ამღები რაზმი ყოველი თემისათვის. ნუ გავიწყდებათ, რომ პური სასწრაფოდ საჭიროა და უნდა გაიტანოთ მთელი ნამეტი პური თუნდაც ერთი სანიმუშო თემიდან.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის
26 აგვისტოს
პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

173

## დეპეშა ა. პ. სმირნოვს

1918 წ. 26. VIII.

სარატოვი
შინსახკომ სმირნოვს
(ხოლო თუ წასულია, კვალდაკვალ ურბახში)

მოვითხოვ, რომ აუცილებლად შეუთანხმდეთ პაიკესს, რომელიც საუცხოოდ მუშაობს და სწორად მოითხოვს ორი მაზრის დამოუკიდებლობას. ძალიან მაშინებს, რომ თქვენ სარატოვში კოლეგიობანას თამაშობთ, როცა საქმე მოითხოვს პასუხისმგებელ ხელმძღვანელთა ენერგიასა და სისწრაფეს ადგილებზე სოფლად და არა ქალაქად.
მიდეპეშეთ პაიკესთან მოლაპარაკების შემდეგ.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

174

## დეპეშა ს. პ. სერედას

1918 წ. 27. VIII.

ელეცი
მიწსახკომ სერედას

თუ მასობრივ ლეწვას აფერხებს, როგორც თქვენ მიდეპეშებთ, შვრიის თესვა და მოსავლის აღება, საქმეს უნდა ვუშველოთ დიდძალ მლეწავთა რაზმების გამოგზავნით. ძალზე საჭირო იქნება დაჩქარდეს მომარაგების საქმე მოსკოველ მუშათა მოზიდვით, ამისათვის აუცილებლად მოაწყვეთ ეს დაუყოვნებლივ. ჩვენ აუცილებლად უნდა ვუჩვენოთ მოსკოვის მუშებს თვალსაჩინოდ და მათი მასობრივი გამოცდილებით, რომ

მხოლოდ მათი მონაწილეობა აჩქარებს სურსათით მომარაგებას. გააკეთეთ ეს დაუყოვნებლივ.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

175

## დეპეშა პენზის საგუბერნიო აღმასკომს

1918 წ. 28. VIII.

პენზა
საგუბერნიო აღმასკომს
პირი კომუნისტთა საგუბერნიო ორგანიზაციას

ძალზე სამწუხაროა შინაგანი კონფლიქტები კომუნისტთა შორის. სირცხვილი იქნება, თუ ისინი არ მოწესრიგდა. ახლავე აირჩიეთ კომისია ორ დღეში მოსაწესრიგებლად, მაგალითად, თვალსაჩინო მუშაკთა შორის მაზრების განაწილების გზით, რათა გააშველოთ მოჩხუბარნი. კომისიის გადაწყვეტილება მიდეპეშეთ.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

176

## ვ. მ. ალტფატერს

1

ამხ. ა ლ ტ ფ ა ტ ე რ ს

როგორ დგას ვოლგასა და კასპიის ზღვაში წყალქვეშა ნავების გაგზავნის საკითხი?
სწორია თუ არა, რომ **მხოლოდ** ძველი წყალქვეშა ნავები შეიძლება გაიგზავნოს?

რამდენია?

როდის გაიცა განკარგულება გაგზავნის შესახებ? ს ა ე რ თ ო დ რ ა გ ა კ ე თ დ ა?

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის 28 აგვისტოს

2

ა მ ხ ა ნ ა გ ა ლ ტ ფ ა ტ ე რ ს

შეუძლებელია დავჯერდეთ ასეთ გაურკვევლობას — „ვეძებთ" (**საკუთარ ქონებას**?? საჭიროა ხ ვ ა ლ ი ს ა თ ვ ი ს წარმომიდგინოთ „მძებნელთა" **სახელები**, თ ა რ ი ღ ი, რა დროიდან ეძებენ, და ა. შ.).

„ირკვევა გაგზავნის შესაძლებლობა" — ესეც წარმოუდგენლად გაურკვეველია.

**როდის** და ვ ი ნ გასცა განკარგულება „გამოერკვიათ"? გთხოვთ ხვალ (30/8) მაცნობოთ ეს ზუსტად, ოფიციალურად.

რადგან წყალქვეშა ნავების გაგზავნის დაყოვნება არ შეიძლება არც ერთი წუთით.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის 29 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1938 წლის 23 თებერვალს გაზეთ "პრავდაში" № 53

იბეჭდება ხელნაწერების მიხედვით

177

## დეპეშა ვ. ნ. ხარლოვს

1918 წ. 29. VIII.

სარატოვის პეტროვსკი
მიწსახკომ ხარლოვს

თუ თქვენს მაზრაში მთელი ძალები მობილიზებულია, ცხადია, აქედან უნდა მოითხოვოთ მლეწავ მუშათა რაზმები, რადგან პურის აღება ბევრად უნდა დაჩქარდეს. მიდეპეშეთ

ყოველდღიურად, რამდენი ვაგონი, რა მარკით, საიდან იგზავნება. შეპირდით დიდ პრემიას იმ თემს, რომელიც პირველი გაზიდავს მთლიანად მთელ ნამეტ პურს. თემების მიხედვით შეადგინეთ უმდიდრეს გლეხთა სიები, რომლებიც საკუთარი თავით აგებენ პასუხს დამშეული დედაქალაქების პურით მომარაგების მუშაობის სწორი მიმდინარეობისათვის.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 178

## ა. დ. ციურუპას [97]

ც ი უ რ უ პ ა ს

არ გირჩევთ ა ხ ლ ა ასე მოიქცეთ (რადგან აქ რაღაც საშუალოა: ან ულტიმატუმი — ყველას გადადგომა, ან ყ ვ ე ლ ა ს მერყეობა ე რ თ ი ს სიმტკიცის დროს) — სჯობს **დააწვეთ მთელი** ძალებით ელეცს + პეტროვსკი + სხვა საუკეთესო მაზრები.

გაგზავნეთ, მაგალითად, ორი ათასი მლეწავი მუშა.

და რამდენიმე დღის შემდეგ, როცა მიიღებთ თ უ ნ დ ა ც ცნობას: **მ ო დ ი ს** ამდენი და ამდენი ასობით ვაგონიო, დააყენეთ საკითხი უფრო მაგრად.

დაწერილია 1918 წლის 29 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 179

## ს. პ. სერედას

ამხ. სერედა! ძალიან ვნანობ, რომ არ მოხვედით. ტყუილად დაუგდეთ ყური „ზედმეტად გულმოდგინე“ ექიმებს [98].

რატომ ა რ გ ა მ ო დ ი ს საქმე ელეცის მაზრაში? ეს ძალიან მაწუხებს, ხოლო უფრო მეტად ის, რომ „გვერდს უვლით“ ამ საკითხს. აშკარად არ გამოდის. 19 თემიდან, სადაც ღარიბთა კომიტეტებია, **არც ერთი** ნათელი, ზუსტი ანგარიში!

არც ერთი Σ*, რამდენი ვაგონია, რა ვადებში?!!

ა რ ც ე რ თ თ ე მ შ ი (საჭირო კი იყო 19-ში) არ არის ჩამოყვანილი 3—5 ჭკვიანი მუშა პიტერიდან (15—50 თანაშემწით მოსკოვიდან). ა რ ს ა დ არ არის მონაცემები, რომ მუშაობა **დუღდეს**!

რა მოხდა? ძალიან გთხოვთ მიპასუხოთ. დანიშნეთ კორესპონდენტები ჩემთვის თ ი თ ო ე უ ლ თემში, მიეცით მათ ეს ჩემი წერილი, დაე ყ ვ ე ლ ა მ მიპასუხოს.

სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის
6 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 180

## დეპეშა ლ. დ. ტროცკის

**ს ა ი დ უ მ ლ ო დ**

**შიფრით**

(ორიგინალი დამიბრუნეთ)
(გამომიგზავნეთ შიფრის პირი)

ს ვ ი ა ჟ ს კ ი, ტ რ ო ც კ ი ს

გაოცებული და შეშფოთებული ვარ ყაზანის წინააღმდეგ ოპერაციის შენელებით, განსაკუთრებით თუ სწორია, რაც მე მაცნობეს, რომ თქვენ სრული შესაძლებლობა გაქვთ არტილერიით მოსპოთ მოწინააღმდეგე. ჩემი აზრით, არ შეიძლება

* — თანხა. რ ე დ.

ქალაქების დანაწება და კვლავ გადადება, რადგან საჭიროა ულმობელი გაჟლეტა, თუკი სწორია, რომ ყაზანი რკინის რკალშია[99].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის
10 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა
(ფაქსიმილე) 1930 წელს
წიგნში „სამოქალაქო ომი.
1918—1921", ტ. III

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

181

## დეპეშა ლ. დ. ტროცკის

ფრიად საიდუმლოდ

ყაზანი ან სვიაჟსკი
ტროცკის

მოგესალმებით სიმბირსკის აღების გამო[100]. ჩემი აზრით, უნდა მაქსიმალურად დაძაბოთ ძალები ციმბირის გაწმენდის დასაჩქარებლად. ნუ დაიშურებთ ფულს პრემიებისათვის. მიდეპეშეთ, გადარჩენილია თუ არა ფასეულობანი ყაზანში და რამდენი. ხვალ უკვე მოვკიდებ ხელს საქმეებს.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის
12 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება
ტელეგრაფის ბლანკის
ტექსტის მიხედვით

182

## გრიგოლ ნაუმოვიჩს, მოსწავლეთა ჯგუფისათვის, რომლებსაც აინტერესებთ კომუნიზმი

1918 წ. 16. IX.

ძვირფასო ამხანაგებო. ძალიან გამახარა თქვენი წერილის მიღებამ. სულით და გულით გისურვებთ უსწრაფეს წარმატე-

ჩემი აზრით, ჩვენ არ უნდა დავიწყოთ მოლაპარაკება ბრესტის გადასინჯვის შესახებ, რადგან ახლა წინ წახტომა გამოვა... უნდა **დავიცადოთ.**

გამოჯანმრთელდით!

სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის სექტემბრის დამლევს — ოქტომბერში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**186**

## ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს [102]

1918. 1/X.

ძვირფასო ვლადიმერ დიმიტრის ძევ! მხოლოდ დღეს დილით გადმომცეს საშინელი ამბავი. არ შემიძლია მოსკოვში წამოსვლა, მაგრამ თუნდაც წერილში მინდა მაგრად, მაგრად ჩამოგართვათ ხელი, რათა გამოვთქვა ჩემი და ყველა ჩვენთაგანის სიყვარული ვერა მიხეილის ასულისადმი და გაგამხნევოთ თუნდაც ცოტათი, რამდენადაც ეს შეუძლია ადამიანს, თქვენს საშინელ მწუხარებაში. კარგად იზრუნეთ ქალიშვილის ჯანმრთელობისათვის. ერთხელ კიდევ მაგრად, მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ვ. ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1953 წელს წიგნში „ხახელოვანი ბოლშევიკი ქალები“, მოსკოვი

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**187**

## დეპეშა ა. ა. იოფეს

ამხ. იოფეს, ბერლინი

თურქეთის ოქმზე ხელისმოწერის თანახმანი არა ვართ, სანამ ბაქოს არ გადასცემენ ჩვენს ხელისუფლებს, რადგან უამპუნქტოდ არის ყველა საფუძველი ეჭვი შევიტანოთ, რომ არ-

სებობს საიდუმლო შეთანხმებები ანტანტასთან მისთვის ბაქოს გადაცემის შესახებ. ასეც ვაქვეყნებთ[103].

ს ვ ე რ დ ლ ო ვ ი, ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის 7 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1957 წელს წიგნში „სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები", ტ. I

იბეჭდება ტელეგრაფის ლენტის ტექსტის მიხედვით

**188**

## ლ. ა. ფოტიევას და ლ. ბ. კრასინს

ლიდ. ალ. (და კრასინს)

სიამოვნებით ვაწერ ხელს დეპეშას ნავთობის, გემებისა და სხვ. შესახებ.

მუხინის შესახებ თანახმა არა ვარ ხელი მოვაწერო[104].

(1) კრასინი იწერება, რომ მუხინი ფ უ ლ ს უ მ ა ლ ა ვ- დ ა ს ტ ა ლ ი ნ ს. ამის გაკეთების **უფლება არა** ჰქონდა, თუნდაც „**თ ა ვ ი ს ი** (!!??) უფროსების განკარგულებით", — რადგან სტალინი აგრეთვე უფროსია და თუ „თავისი" არა, უფრო დიდი.

(2) ფორმალურად სწორი არ არის და საერთოდ შეუწყნარებელია ამის გადაწყვეტა ს ტ ა ლ ი ნ ი ს დ ა უ კ ი თ ხ ა- ვ ა დ (სტალინი კი მოსკოვშია!!).

სალამი! ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის 9 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ბებს კომუნიზმის შესწავლის, მისი ათვისებისა და რუსეთის კომუნისტური პარტიის რიგებში პრაქტიკულ მუშაობაზე გადასვლის საქმეში.

კომუნისტური სალმით

ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1962 წლის 21 აპრილს გაზეთ „იზვესტიაში" № 96

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი პირის მიხედვით

**183**

## დეპეშა ელეცის მაზრის ღარიბთა კომიტეტებს

1918 წ. 17. IX.

ელეცი
ელეცის მაზრის ღარიბთა ყველა სათემო კომიტეტს
ცირკულარულად

მივიღე თქვენი დეპეშები [101].

შეუძლებელია დავუჯეროთ ზოგად და გაურკვეველ გამოთქმებს, რომლებიც ძალიან ხშირად ფარავენ მუშაობის სრულ წარუმატებლობას. საჭიროა ყოველკვირეული ზუსტი ციფრები: პირველი, სახელდობრ რომელმა თემმა, პურის ნამეტის სახელდობრ რა ნაწილი შეაგროვა და რამდენი ჩააბარა, მეორე, სახელდობრ რამდენი ფუთი პურია ჩაბარებული, სახელდობრ რომელ ელევატორებსა და ჩასაბარებელ ბეღლებში.

ასეთი ცნობების უქონლად ყოველივე დანარჩენი ფუჭი სიტყვებია. გვიპასუხეთ უფრო ზუსტად.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით 1927 წლის 21 იანვარს გაზეთ „კრასნაია ზვეზდაში" № 17
მთლიანად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 189

## ბარათი გ. ვ. ჩიჩერინს ან ლ. მ. კარახანს და წერილი ა. ა. იოფეს, ი. ა. ბერზინს, ვ. ვ. ვოროვსკის

ამხ. ჩიჩერინს ან კარახანს

ძალიან გთხოვთ ხვალ, პარასკევს, გაგზავნოთ ბერლინში 12 ეგზემპლარი ჩემი სტატიისა კაუცკის წინააღმდეგ „პრავდიდან“ [105] იოფესათვის, ბერზინისათვის, ვოროვსკისათვის და ჩემი შემდეგი მოკლე წერილი მათდამი:

ძვირფასო ამხანაგებო! ძალიან კარგად მაქვს შეგნებული კაუცკის წინააღმდეგ ჩემი მეტისმეტად მოკლე სტატიის ნაკლოვანებები. მაგრამ მაინც საჭიროა რაც შეიძლება მ ა ლ ე დავიკავოთ პოზიცია, გამოვთქვათ საკუთარი აზრი. ძალიან გთხოვთ გადათარგმნოთ და გამოსცეთ ფურცლად.

10/X. 1918.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1957 წელს
ჟურნალში „ნოვაია ი ნოვეიშაია
ისტორია“ № 4

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 190

## გ. ვ. ჩიჩერინსა და ლ. მ. კარახანს

ამხანაგებს ჩიჩერინსა და კარახანს

ვილსონისადმი ნოტის შესახებ, ვფიქრობ, უნდა გაიგზავნოს.

შეადგინეთ არქისაფუძვლიანად, ზრდილობიანად, მაგრამ გესლიანად.

აღნიშნეთ, რომ ჩვენ ყველა შემთხვევაში მოვალეობად მიგვაჩნია კაპიტალისტებისა და მილიარდერების მთავრობებსაც კი შევთავაზოთ ზავი, რათა ვცადოთ შევაჩეროთ სისხლისღვრა და რ ა თ ა თ ვ ა ლ ი ა ვ უ ხ ი ლ ო თ ხ ა ლ ხ ე ბ ს.

ყაზანის, სიმბირსკის, სიზრანისა და სამარის დაცემამ აშკარად ამხილა ასეთი ხმები-თქო....

ხომ არ სურთ კაპიტალისტებს ტყეების ნაწილი ჩრდილოეთში, ციმბირის ნაწილი? % 17 მილიარდიდან?[106]. თუ სურთ, ამას ხომ ვერ დამალავენ. ჩვენ გთავაზობთ: უთხარით პირდაპირ **how much?*** ბრესტის ზავის შესახებ—გერმანია დათანხმდება გაიყვანოს ჯარები. მაშ რაღაშია საქმე? ხომ არ გსურთ თ ქ ვ ე ნ ი ჯ ა რ ე ბ ი დააყენოთ გერმანელთა ჯარების ნაცვლად?

**დ ა ა ს ე შ ე მ დ ე გ.**

წინადადებას გაძლევთ ახლავე შეადგინოთ ასეთი ნოტის პროექტი, და ჩვენ მას ერთად განვიხილავთ[107].

NB [პარასკევს დილით „პრავდას" სურდა დაებეჭდა ჩემი სტატია კაუცკის წინააღმდეგ. მიიღეთ თუ არა სვერდლოვისაგან ჩემი ბარათი თხოვნით გადაუგზავნოთ 12 ეგზემპლარი იოფეს ბ ე რ ზ ი ნ ი ს ა და ვ ო რ ო ვ ს კ ი ს თ ვ ი ს, რათა მათ გამოსცენ ფურცლად? და გაუგზავნოთ პარასკევ საღამოსვე?]

რა ამბებია ლიტვინოვისაგან?[108].

რა გაკეთდა **იაპონური** ფურცლების გამოსაცემად?

სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. მოლაპარაკება შ ე ი ძ ლ ე ბ ა ტელეფონით.

დაწერილია 1918 წლის
10 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 191

## ი. ა. ბერზინს

1918. 15/X.

**ა მ ხ. ბ ე რ ზ ი ნ ს**

ძვირფასო ამხანაგო! მივიღე თქვენგან დაცალკევებული, როგორც ყოველთვის, უცხოური გაზეთები (ხომ არ შეიძლება

* — **რ ა მ დ ე ნ ი? რ ე დ.**

## 184

## „პრავდის“ რედაქციას

1918 წ. 18. IX.

ამის მომტანი ამხ. მიხეილ ნიკოლოზის ძე ს ა ნ ა ე ვ ი*, პარტიის სერგაჩის სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარე (და ალმასკომის წევრი), მოგვითხრობს ძალიან საინტერესო ამბებს სოფლად კლასობრივი ბრძოლისა და ღარიბთა კომიტეტების შესახებ.

ძალზე საჭიროა, რომ სწორედ ასეთი ფ ა ქ ტ ო ბ რ ი ვ ი მასალა ადგილებიდან დაიბეჭდოს გაზეთში (თორემ მეტისმეტად ბევრი „ზოგადი“ მსჯელობაა). ძალიან გთხოვთ ჩაიწეროთ ამხანაგის ნაამბობი და დაბეჭდოთ.

ამხანაგური სალმით ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 185

## ლ. ბ. კამენევს

კ ა მ ე ნ ე ვ ს

ძვირფასო ლ. ბ.! გამოჯანმრთელდით მალე.

„ლავირობის სახელოვანი თეორიის“ შესახებ.

ყველა თეორია კარგია, თ უ შეესაბამება ობიექტურ სინამდვილეს.

ჩვენი სინამდვილე კი შეიცვალა, რადგან, თუ გერმანია დამარცხებულია, შეუძლებელი ხდება ლავირობა, რადგან არ არის 2 მეომარი მხარე, რ ო მ ე ლ თ ა შ ო რ ი ს ა ც ჩ ვ ე ნ ვ ლ ა ვ ი რ ო ბ დ ი თ!!

Attention**. ინგლისი გადაგვყლაპავს, რომ არ იყოს... წითელი არმია.

---

* როგორც ჩანს, შეცდომაა: ლაპარაკია მიხეილ ივანეს ძე სანაევზე. რ ე დ.

** — ყურადღება. რ ე დ.

ვისმეს შეუკვეთოთ გააკეთოს ამონაჭრები: (ა) ყველაფერი რუსეთის შესახებ; (ბ) ყველაფერი ყველა ქვეყნის სოციალისტური პარტიების შესახებ).

ამ გაზეთებიდან ვხედავ, სხვათა შორის, რომ გრაბერი და გრიმი სულელურად და საზიზღრად დაესხნენ თავს გილბოს. როგორ შეგვეძლოთ დაგვენახათ რაიმე ცუდი იმაში, რომ მან ფული აიღო? არ მესმის.

ხომ არ შეიძლება გავკიცხოთ ძალიან კარგი ამხანაგი საქმის ფორმალურად გაურჩევლად!? პარტიის წევრთაგან (თქვენგან დანიშნულმა) ვინ გაარჩია საქმე? არავინ! ხოლო გილბოს მონაცემებიდან და ჟენევის კომისიის გადაწყვეტილებებიდან ცხადზე ცხადია, რომ საქმე გილბოს სასარგებლოდაა.

*NB*: გამომიგზავნეთ: *Longuet*. „La politique internationale du marxisme. Karl Marx et la France"*. *Vandervelde*. „L'Etat et le socialisme"** და **ყველა** ამგვარი ბროშურა ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ და იტალიურ ენებზე, **ყველა**, **ყველა**, **ყველა**! კიდევ: „La Russie socialiste" (*socialistes-révolutionaires de gauche*). იხ. „La Feuille" (Genéve)[109], 3. X. 1918***. *Pierre Loti*. „Quelques aspects du vertige mondial", Paris (Flammarion). *Leon Frapie*. „Les contes de la guerre" (ibid.)****.

---

* — ლონგე. „მარქსიზმის საერთაშორისო პოლიტიკა. კარლ მარქსი და საფრანგეთი". რედ.

** როგორც ჩანს, იგულისხმება ე. ვანდერველდეს ბროშურა „Le Socialisme contre l'Etat" („სოციალიზმი სახელმწიფოს წინააღმდეგ"). Paris, 1918. რედ.

*** ვფიქრობ, რომ მემარცხენე ესერები აქ საშინლად ტყუიან. ახლავე უნდა შეუკვეთოთ (თუნდაც ლეიტეიზენს) კომპილაცია „პრავდიდან" და „იზვესტიიდან" მემარცხენე ესერების სიცრუის წინააღმდეგ (და კიდევ „ზნამია ტრუდოვოი კომუნიდან" და „ვოლია ტრუდიდან"[110]).

****— პიერ ლოტი. „მსოფლიო თავბრუდახვევის ზოგიერთი ასპექტი", პარიზი (ფლამარიონი). ლეონ ფრაპიე. „მოთხრობები ომის შესახებ" (იქვე). რედ.

ეს-ეს არის მივიღე სვერდლოვისაგან თქვენი გამოცემების კომპლექტი (ცოდვა არ იქნებოდა ჩემთვისაც გამოგეგზავნათ ეს კომპლექტი).

ცოტაა! ცოტაა!! ცოტაა!!!

**დაიქირავეთ** მთარგმნელთა ჯგუფი და გამოეცით 10-ჯერ მეტი. **Peluso**-ს შეუძლია (და უნდა) წეროს სამ-სამი პატარა ბროშურა კვირაში (ყველა თემაზე, კომპილაციები ჩვენი გაზეთების მიხედვით—თქვენ მიეცით **თ ე მ ე ბ ი** და ს ა კ ო მ პ ი ლ ა ც ი ო სტატიების სია). მისი სტატია „Droit du Peuple"-ში* („კონტრრევოლუციონერები") **კარგია.** გადაუხადეთ მას კარგად და **გამოეცით 1 0-ჯ ე რ მეტი.** (მთარგმნელები უნდა დაიქირაოთ, რომ გამოსცეთ 4 ენაზე: ფ რ ა ნ გ უ ლ ა დ, გ ე რ მ ა ნ უ ლ ა დ, ი ნ გ ლ ი ს უ რ ა დ და **ი ტ ა ლ ი უ რ ა დ.** თქვენ ა რ ა ფ ე რ ი ა რ ა გ ა ქ ვ თ 2 უკანასკნელზე. სკანდალია! სკანდალია!!)

ფული ბ ე ვ რ ი გაქვთ. (გამოგზავნეთ აუცილებლად თქვენ მიერ დახარჯული თანხების ა ნ გ ა რ ი შ ი.) მოგცემთ **კიდევ და კიდევ, უთვალავად.** მოიწერეთ, რამდენი.

უნდა გამოიცეს 100-ჯერ მეტი, 4 ენაზე, 4—8—16—32-გვერდიანი ფურცლები. **დაიქირავეთ** ამისათვის ხალხი.

*NB*: შეაგროვეთ „სპარტაკის" კომპლექტი (მე ვნახე 1918 წლის 11. IX. ნომერი) [111] და ხელახლა გამოეცით მთელი კომპლექტი 4 ე ნ ა ზ ე. აგრეთვე იუნიუსი და ლიბკნეხტი. შეუკვეთეთ **ისტორია** სოციალ-შოვინიზმთან ბრძოლისა ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში. შეადგინეთ ამისათვის ჯგუფი (გორტერი, ბალაბანოვი+? +?? და ა. შ.).

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. რას ემყარება თქვენი ოპტიმიზმი de l'Entente**-ის ქვეყნებში რევოლუციის შესახებ? ფაქტები? მოსაზრებები? თუ საჭიროა, დაშიფრეთ, მაგრამ მოიწერეთ უფრო ზუსტად.

* — „ხალხის უფლება" — გაზეთი, შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის, აგრეთვე კანტონ ვოს და ქალაქ ლოზანის პარტიული სექციების ყოველკვირეული ორგანო. რ ე დ.

** — ანტანტის? რ ე დ.

*NB*: თუ ავად ხართ, იმკურნალეთ ს ე რ ი ო ზ უ ლ ა დ და **არ წამოხვიდეთ** სანატორიუმიდან. ურთიერთობა ტელეფონით, ხოლო ვიზიტებზე მოადგილე გამოგზავნეთ ხოლმე.

გაგზავნილია ბერნში

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით
1925 წლის 21 იანვარს გაზეთ
„პრავდაში" № 17

მთლიანად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**192**

## ა. ა. იოფეს

1918. 18. X.

ამხ. იოფე!

გამომიგზავნეთ, თუ შეიძლება, „Sozialistische Auslandspolitik"-ის ის №, სადაც დაბეჭდილი იყო მარტოვის სტატია დიქტატურის შესახებ [112].

ა ს ე თ ი რამ მაშინვე უნდა გამოგზავნოთ ხოლმე.

აგრეთვე — გაზეთების ა მ ო ნ ა ჭ რ ე ბ ი (ძნელსაკითხავი ცნობის ნაცვლად) — ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი, რაც ეხება გათიშვას სოციალ-შოვინისტებთან და კაუცკელებთან (თარგმნილი გერმანულად ჰოლანდიური და სკანდინავური ენებიდან).

ჩვენ უნდა შევასრულოთ ბიუროს როლი ინტერნაციონალური ხასიათის იდეური მუშაობისათვის, ჩვენ კი არაფერს არ ვაკეთებთ!!

უნდა გამოსცეთ 100-ჯერ მეტი. ფული არის. უნდა დავიქირაოთ მთარგმნელები. ჩვენ კი არაფერს არ ვაკეთებთ! სკანდალია...

გაუგზავნეთ, თუ შეიძლება, ეს წერილი ვოროვსკისაც, ხოლო თანდართული გადაეცით, თუ შეიძლება, კუთვნილებისამებრ[113].

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 193

## ა. ა. იოფეს

1918. 18/X.

პატივცემულო ამხ. იოფე! თქვენი 13. X წერილი მივიღე მას **შემდეგ**, რაც გამოგიგზავნეთ წერილი.

არა ვარ „დიპლომატიობის“ განგრძობის წინააღმდეგი. მაგრამ მისი მნიშვნელობა შემცირდა. მთელი საქმე ის არის, მოასწრებს თუ არა ანტანტა გადასხას შავ ზღვაში დიდი ძალა. ამ საფრთხის შესახებ მე დიდი ხანია ყველას და ყველგან ველაპარაკები და წერილში ცაკისადმი ნათლად ვთქვი[114]. ძირეული განსხვავება 1918 წლის II-თან შედარებით ის არის, რომ მაშინ ჩვენ გ ვ ქ ო ნ დ ა შესაძლებლობა მიგვეცა მიწა და მოგვეგო დრო, ახლა ასეთი შესაძლებლობა ა რ ა რ ი ს.

Mit besten Grüßen Ihr *Lenin**

გაგზავნილია ბერლინში
პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 194

## ნ. პ. გორბუნოვს

1918 წ. 21. X.

ამხ. გორბუნოვ!

ძალიან გთხოვთ **დააჩქაროთ**, რამდენადაც შესაძლებელია, დასკვნა სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილებისათვის რადიოლაბორატორიის საკითხზე. **ძალზე საჩქაროა.** მომწერეთ, როდის იქნება დასკვნა[115].

სალამი! ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

* — საუკეთესო სალმით თქვენი ლ ე ნ ი ნ ი. რ ე დ.

## 195

## განცხადება საბჭოთა ჟურნალისტების პროფესიული კავშირების კომიტეტს

გთხოვთ ჩამრიცხოთ საბჭოთა ჟურნალისტების პროფესიული კავშირის წევრად.

ვ ლ . უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

დაწერილია არა უგვიანეს 1918 წლის 22 ოქტომბრისა
დაიბეჭდა 1918 წლის 24 ოქტომბერს გაზეთ „პრავდაში“ № 230

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით

## 196

## დეპეშა პ. პ. სიტინს

3 მისამართი: კოზლოვი, სიტინს
ცარიცინი, ტროცკის ცარიცინი, ვოროშილოვს

მოგვდის ვოროშილოვის სასოწარკვეთილი დეპეშები, რომ ვერ იღებს ყუმბარებსა და ვაზნებს მიუხედავად მისი მრავალგზის დაბეჯითებითი მოთხოვნისა.

წინადადება გეძლევათ დაუყოვნებლივ შეამოწმოთ ეს, მიიღოთ უაღრესად სასწრაფო ზომები დასაკმაყოფილებლად და გვაცნობოთ, რა გაკეთდა. დაასახელეთ შესრულებისათვის პასუხისმგებელი პირები.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი*

დაწერილია 1918 წლის 24 ოქტომბერს
პირველად დაიბეჭდა 1936 წელს ჟურნალ „პარტრაბოტნიკში“ (სტალინგრადი) № 16—17

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* დოკუმენტს ხელს აწერს აგრეთვე სრულიად რუსეთის ცაკის თავმჯდომარე ი. მ. სვერდლოვი. მისივე დაწერილია ფრაზა: „აღნიშნეთ შესრულებისათვის პასუხისმგებელი პირები“. რ ე დ.

197

## ი. ა. ბერზინს

1918 წ. 25. X.

ამხ. ბერზინს

ძვირფასო ამხ. ბ.!

რა მოხდა, ჰერცოგი რატომ გარიცხეს?*

ვფიქრობ, მხარი უნდა დავუჭიროთ მას. გამრიცხველები ხომ არამზადები, ოპორტუნისტები არიან.

მომწერეთ ამის შესახებ.

იმედი მაქვს, მისპეთ გილბოს „საქმე" იმ აზრით, რომ სავსებით აღიარეთ იგი რეაბილიტირებულად. გადაეცით მას ჩემი სალამი. სად არის?

როდის გამოვა „სახელმწიფო და რევოლუციის" ფრანგული გამოცემა?[116] მოვასწრებ თუ არა წინასიტყვაობის დაწერას ვანდერველდეს წინააღმდეგ?

გამომიგზავნეთ: *Vandervelde*. „Le Socialisme contre l'Etat"; „La Belgique envahie et le Socialisme international"; „Trois aspects de la révolution russe**. სამივე გამოცემულია Berger-Levrault, Raris, 5—7, rue des Beaux-Arts***.

გთხოვთ, შეაგროვოთ ყველა ასეთი ბროშურა (ინგლისური, ფრანგული, იტალიური, გერმანული).

მაცნობეთ უფრო ხშირად საფრანგეთის ამბები. რა ხდება იქ? როგორი ამბებია იქ?

სალამი! თქვენი ლენინი

გაგზავნილია ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1925 წლის 21 იანვარს გაზეთ „პრავდაში" № 17

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* ლაპარაკია იაკობ ჰერცოგის გარიცხვაზე შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან. *რედ.*

** — ვანდერველდე. „სოციალიზმი სახელმწიფოს წინააღმდეგ. „ოკუპირებული ბელგია და საერთაშორისო სოციალიზმი"; „რუსეთის რევოლუციის სამი მხარე". *რედ.*

*** — ბერჟე-ლევრო, პარიზი, 5—7, ბოზარის ქუჩა. *რედ.*

## 198

## დეპეშა ურალის სახალხო მეურნეობის საბჭოს

პერმი, ურალის სახალხო მეურნეობის საბჭო
პირები უსოლიე, ალმასკომს,
უსოლიე, ბერეზნიკის ქარხნის საქარხნო სამმართველოს

წინადადებას ვაძლევ ბერეზნიკის ქარხანას დაუყოვნებლივ დაიწყოს მუშაობა რადიუმის ქარხნის მოსაწყობად თანახმად სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს დადგენილებისა [117]. საჭირო სახსრები გამოყო სახკომსაბჭომ. სამუშაოები უნდა წარმოებდეს ინჟინერ-ქიმიკოს ბოგოიავლენსკის ხელმძღვანელობით და პასუხისმგებლობით, რომელსაც წინადადებას გაძლევთ გაუწიოთ სრული მხარდაჭერა.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი*

დაწერილია 1918 წლის 28 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი და ვ. ი. ლენინის ხელმოწერილი ტექსტის მიხედვით

## 199

## მოსკოვის სახალხო სასახლეების ქონების სამმართველოს [118]

ძალიან ვთხოვ მოსკოვის სახალხო სასახლეების ქონების სამმართველოს დააკმაყოფილოს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის საბავშვო სახლების განყოფილების თხოვნა.

1/XI. 1918.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* დეპეშას ხელს აწერენ აგრეთვე სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ქიმიური განყოფილების გამგე ლ. ი. კარპოვი და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების გამგე ნ. პ. გორბუნოვი. რ ე დ.

## 200

## ი. ა. ბერზინს

1/IX.

ძვირფასო ბერზინ!

მივიღე თქვენგან ბევრი წიგნი. დიდად გმადლობთ.

გავიგე, რომ თქვენთან ყველა წაჩხუბებულია. აი თუნდაც შკლოვსკი და ზალკინდი.

თუ რაიმე მოხდა, მომწერეთ; ხელს მოვაწერ თქვენს ბ რ ძ ა ნ ე ბ ე ბ ს (თქვენდამი დაქვემდებარებული პირებისათვის), რათა არ გაბედონ ჩხუბი და ზუსტად შეასრულონ თქვენი ბრძანებები.

იწექით და იმკურნალეთ კ ა რ გ ა დ; თქვენ უნდა ცხოვრობდეთ ა რ ა ბერნში, არამედ მთებში მზეზე, სადაც არის ტელეფონიც და რკინიგზაც, ხოლო ბერნში უნდა გზავნიდეთ მდივანს და უნდა მოდიოდნენ თქვენთან.

„სახელმწიფო და რევოლუციის" გერმანულ თარგმანში სამწუხარო შეცდომა გაიპარა: ბოლოსიტყვაობა ა რ ა რ ი ს დათარიღებული. მ თ ე ლ ი საქმე კი ის არის, ვუჩვენოთ, რომ ბ ო ლ ო ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა დაწერილია ოქტომბრის რევოლუციის შ ე მ დ ე გ. სახელდობრ: 30. XI. 1917. ხომ არ შეიძლება ჩააწებოთ ფურცელი ამის შესახებ?

თქვენთან მოდიან საქმიანი ამხანაგები. ფ უ ლ ს ნ უ დ ა ი შ უ რ ე ბ თ, განსაკუთრებით **მ ა თ ი** მეშვეობით, საფრანგეთში პროპაგანდისათვის.

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

NB: **ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი** მოამზადეთ იმ შემთხვევისათვის, თუ ანტანტა აიძულებს შვეიცარიას გაგასახლონ. *Bereit sein*!!* [119]

P. S. თუ „სახელმწიფო და რევოლუციის" ფრანგული თარგმანი მზად არის, გამოუშვით მ ა შ ი ნ ვ ე, მაგრამ გამომცემლის წინასიტყვაობაში გალანძღეთ კაუცკიც და **ვანდერველ-**

* — ი ყ ა ვ ი თ მ ზ ა დ!! რ ე დ.

**დეც** („Le Socialisme contre l'Etat"), რადგან ვანდერველდემ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი მ თ ა ვ ა რ ი სახელმწიფოს შესახებ მ ი- ჩ ქ მ ა ლ ა, დამალა, დაამახინჯა.

გიგზავნით დაახლოებით $^1/_2$ ბროშურას კაუცკის წინააღმდეგ. ძალიან გთხოვთ **რაც შეიძლება მალე** გადასცეთ სათარგმნად და მაცნობოთ დეპეშით: Antikautsky ითარგმნება გერმანულ, ფრანგულ თუ იტალიურ ენაზე. თორემ აქ მივცემ.

იმედია, „Staat und Revolution"-ი* გაგზავნეთ ბერლინში? **რ ა ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა მ ე ტ ი!**

დაწერილია 1918 წლის
1 ნოემბერს
გაგზავნილია ბერნში

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით
1925 წლის 21 იანვარს გაზეთ
„პრავდაში" № 17
მთლიანად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 201

## დეპეშა მე-2 არმიის სარდალს

მივესალმები წითელი არმიის მამაც ჯარებს, რომლებმაც აიღეს იჟევსკი. გილოცავთ რევოლუციის წლისთავს. გაუმარჯოს სოციალისტურ წითელ არმიას![120]

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის
7 ნოემბერს
გაგზავნილია ვიატსკიე პოლიანაში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს
წიგნში „სამოქალაქო ომი.
1918—1921", ტ. I

იბეჭდება
ტელეგრაფის ბლანკის
ტექსტის მიხედვით

---

* — „სახელმწიფო და რევოლუცია", რ ე დ.

## 202

## რ. ი. ბერზინს

ამხანაგ ბერზინს. ვსარგებლობ იშვიათი შემთხვევით, რათა თქვენი მეშვეობით გადავცე სალამი მე-3 არმიის ჯარებს და ვუსურვო ყოველგვარი წარმატება.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1918 წლის
ნოემბერში 9 და 23
რიცხვებს შუა

დაიბეჭდა 1918 წლის 23 ნოემბერს
გაზეთ „კრასნი ნაბატში“ (პერმი)
№ 60

იბეჭდება
გაზეთის ტექსტის მიხედვით

## 203

## ბ. ს. ვეისბროდს

ამხ. ვეისბროდ!

თქვენ აღმოჩნდით ვენაში... * იმედი მაქვს, ყოველ ღონეს იხმართ, რათა მონახოთ მემარცხენეები. შტრასერი (Josef Strasser), შეიძლება, დაგეხმაროთ მათ პოვნაში, თუმცა თვითონ, ალბათ, ვერ...* დაეხმარება მათ.

მოიწერეთ უფრო ხშირად, ყოველი შიკრიკის ხელით.

თუ შეიძლება (თუ კარგი კავშირი გაქვთ და სხვ.), სცადეთ როგორმე წამოიღოთ ჩემი ბიბლიოთეკა *Poronin* (Galizien)-დან**: მე იგი დავტოვე, ისევე როგორც ჩემი ნივთები, 1914 წელს იქ აგარაკზე, კიდევ უნდა გადამეხადა 50 კრონი; ახლა მივცემდი

* ხელნაწერი ნაწილობრივ დაზიანებულია. რ ე დ.

** — პორონინი (გალიცია). ამ ადგილას ხელნაწერში ჩანამატის იმ ნაწილში, რომლის წაკითხვაც მოხერხდა, ვ. ი. ლენინი წერდა: „...ვცხოვრობდი Poronin-ში ჩემი სახელით...“. რ ე დ.

100 000 000, რომ მიმეღო ბიბლიოთეკა. მაგრამ ეს...* პირადია [121].

ყველაზე საჭიროა ვიპოვოთ ვენაში მ ე მ ა რ ც ხ ე ნ ე ე ბ ი და **დავეხმაროთ** მათ ყოველნაირად. ძალიან მაშინებს, რომ თქვენ ამას ვერ შეძლებთ კავშირის უქონლობის გამო, მაგრამ სცადეთ ყოველი ღონე იხმაროთ.

მომწერეთ.

სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

11/XI. 1918.

გაგზავნილია ვენაში
პირველად დაიბეჭდა შემოკლებით 1940 წელს ჟურნალ „პროლეტარსკაია რევოლუციაში" № 4
მთლიანად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 204

## ნ. პ. ბრიუხანოვს

18 წ. 13/XI.

ამხ. ბრიუხანოვ. ძალიან გთხოვთ დაეხმაროთ ამის მომტანებს ამხ. სადკოვსა და რენკვისტს, ფინეთის კომუნისტური კლუბისა და ფინელი რკინიგზელების წარმომადგენლებს. ხომ არ შეიძლება მისცეთ მათ 9000 ფუთი, რაც მათ სჭირდებათ, მოსკოვის საწყობებიდან, ან, თუ ეს აბსოლუტურად შეუძლებელია, ტამბოვის შესანახი პუნქტებიდან? ს ა ჭ ი რ ო ა მ ა თ დავეხმაროთ [122]. სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი პირის მიხედვით

* წერილის ხელნაწერი ნაწილობრივ დაზიანებულია. რ ე დ.

## 205

## დეპეშა ი. ი. ვაცეტისს

1918 წ. 15. XI.

ს ა ს წ რ ა ფ ო

**უოველგვარ რიგ გარეშე**

სერპუხოვი
მთავარსარდალ ვაცეტისს
პირი ტროცკის

გთხოვთ დაღებითად გადაწყვიტოთ ოკუპირებული ქვეყნების ცენტრალური ბიუროს* პროექტი პოლონეთისა და ლიტვის დამკვრელი ბატალიონების ფორმირების შესახებ, განსაკუთრებით დასავლეთის ბრიგადის შესახებ სამხრეთის ფრონტზე. მოვაგონებ ტროცკის ჩვენს გადაწყვეტილებას.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 206

## სახალხო ბანკის მმართველს [123]

ჩემი აზრით, კმარა დღესასწაულობა. **სასაცილოა!**

„ვიდღესასწაულოთ“ 14. XII კოოპერაციული ბანკის კარგი, სწორი, მოხერხებული, სწრაფი **შეერთებით** სახელმწიფო ბანკთან.

19. XI. 1918.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

* იგულისხმება ოკუპირებული ოლქების კომუნისტური ორგანიზაციების ცენტრალური ბიურო. რ ე დ.

## 207

## დეპეშა ჩრდილოეთის რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭოს ტექნიკურ კომიტეტს

1918 წ. 21. XI.

პეტროგრადი
ჩრდილოეთის მეურნეობა, ტექკომიტეტი

გიცხადებთ სასტიკ საყვედურს საქმის გაჭიანურებისათვის და იმისათვის, რომ არ შეასრულეთ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების წინადადება მიაწოდოთ მასალები სამხედრო უწყების ცენტრალურ სამეცნიერო-ტექნიკურ ლაბორატორიას. მოვითხოვ მასალების დაუყოვნებლივ მიცემას და ცდების დაჩქარებისათვის ყოველნაირ დახმარებას. მაცნობეთ შესრულება[124].

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 208

## დეპეშა გ. ე. ზინოვიევს

1918 წ. 21. XI.

პეტროგრადი
სმოლნი, ზინოვიევს

დღეს სასტიკი საყვედური გავუგზავნე ჩრდილოეთის რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭოს ტექნიკურ კომიტეტს საქმის გაჭიანურებისათვის. განუმარტეთ ჩრდილოეთის რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭოს, რომ მისი მოვალეობაა დააჩქაროს ცდები და დაეხმაროს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამეცნიერო-ტექნიკურ განყოფილებას დავალებათა სწრაფად შესრულებაში. ხოლო თუ ტექნიკური კომიტეტის 13 ნოემბრის ნომერი 646 ქაღალდი არა მარტო საქმის გაჭიანურება და

გონებაჩლუნგობაა, არამედ ბოროტი საბოტაჟიც, მაშინ მოვითხოვ გამოძიებას და დამნაშავეთა დაპატიმრებას.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**209**

## დეპეშა ვ. მ. გიტისს

1918 წ. 23. XI.

ვოლოგდა
არმიის სარდალ გიტისს

სავსებით თანავუგრძნობ თქვენს გეგმას გაუშვათ ტყვეები, მაგრამ მხოლოდ უსათუოდ ცოტ-ცოტა და მხოლოდ ისინი, ვისაც ნამდვილად კარგად გაეწია პროპაგანდა. მიდეპეშეთ დაუყოვნებლივ, თუ საჭიროა, შიფრით, რამდენი ტყვე გყავთ, რა ეროვნებისა და რამდენს აქვს გაწეული პროპაგანდა.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**210**

## გ. ვ. ჩიჩერინს [125]

უნდა შეადგინოთ პასუხი ძ ა ლ ი ა ნ დაწვრილებითი და **გესლიანი**. ვცნობთ თუ არა გერმანიის მთავრობას? **ცნობს თუ არა მას** გერმანიის დეპუტატთა **ყველა** საბჭო? თუ ცნობენ, ჩვენც ვცნობთ.

„ზემოქმედება არ მოახდინოთ“? სიტყვით, პრესით? **დემოკრატიის თუ** დ ი ქ ტ ა ტ უ რ ი ს **თვალსაზრისით**? გთხოვთ გამოარკვიოთ, მაგრამ ვაცხადებთ, რომ, თუ **ულტიმატურად**

მოგვთხოვენ **არ გავწიოთ აგიტაცია**, ჩვენ ამის გულისათვის **არ გავწყვეტთ**.

დაწერილია 1918 წლის
23 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 211

## სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველს

მ ე მ ხ ა რ ს ვ უ ჭ ე რ ამ სასახლის გადაცემას მუზეუმად. მოითხოვეთ სვერდლოვის წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი თანხმობა[126].

26/XI.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის
26 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 212

## საუბარი პირდაპირი მავთულით ბ. მ. ვოლინთან
## 1918 წლის 29 ნოემბერს

აპარატთან არის ორიოლის საგუბერნიო აღმასკომისა და პარტიის საგუბერნიო კომიტეტის თავმჯდომარე ამხანაგი ვოლინი.

ეს-ეს არის სურაჟანიდან მიღებულია შემდეგი შინაარსის დეპეშა: „29 ნოემბერს უკრაინაში გაიმართება გერმანიის საბჭოების ყრილობა გომელში. საჭიროა გავგზავნოთ წარმომადგენლები. ჩვენ მივავლინეთ ინფორმაციების გამგე და სხვები. ვაწარმოებთ მოლაპარაკებას უკრაინაში დიდ გერმანულ საბჭოსთან. ვკრებთ გერმანიის არმიის მოხალისეებს წითელ არმიაში. გამოუგზავნეთ დირექტივები მოლაპარაკებისათვის ჩვენს წარმომადგენლებს უკრაინაში. ჩვენი წარმომადგენლები გარანტირებული არიან საფრთხისაგან, იმყოფებიან გერმანელთა დაცვაში. გერმანიის არმიის განწყობილება წმინდა ბოლშევიკურია". გადავწყვიტე დღეს გავგზავნო გომელში კომუნისტი, დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარე, და გერმანელი, კომუნისტი მაიერი, ინტერნაციონალური რაზმიდან. ორიოლის დეპუტატთა საბჭოს

თავმჯდომარე უნდა გამოვიდეს მარტო მისალმებით, თუ შეუძლია იკისროს პოლიტიკური დავალებები? მე გთხოვთ დირექტივებს. თუ თქვენ იცით ამ ყრილობის შესახებ და გაგზავნეთ თქვენი წარმომადგენლები, იქნებ, ზედმეტია ჩვენი დელეგაცია.

ლ ე ნ ი ნ ი: არაფერი არ ვიცი ამ ყრილობის შესახებ. გირჩევთ ახლავე დაამყაროთ ურთიერთობა უკრაინელ კომუნისტებთან და მათ ცენტრალურ კომიტეტთან კურსკის მეშვეობით. საჭიროა მკაცრად შეამოწმოთ ცნობები, რომ გერმანული საბჭოების უმრავლესობა ბოლშევიკების მხარეზეა. თუ ეს ასე არ არის, მაშინ ყრილობაზე უნდა წარმოთქვათ საფუძვლიანი და კარგად დასაბუთებული პრინციპული სიტყვა ბოლშევიზმისა და მისი ამოცანების შესახებ. ხოლო თუ გერმანელი ჯარისკაცები უკვე ბოლშევიკები ან სპარტაკელები არიან, მაშინ აუცილებლად შესთავაზეთ მათ დაუყოვნებლივი კავშირი ჩვენთან უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების უსწრაფესად აღდგენისათვის და არა მარტო თეთრგვარდიელების, არამედ აგრეთვე რადელების დაპატიმრებისათვის. ყოველ შემთხვევაში ყრილობაზე უნდა გაიგზავნონ ადამიანები, რომლებსაც უნარი შესწევთ მოგვცენ ყველაზე ზუსტი ანგარიში მთელი კამათისა და გადაწყვეტილებების შესახებ.

თუ უკვე გვიან არის ახალი წარმომადგენლების გაგზავნა ყრილობაზე, მაშინ შეეცადეთ გადასცეთ ტელეგრაფით ჩემი ბარათი იმათ, ვინც უკვე გაგზავნეთ. ველი პასუხს.

ვ ო ლ ი ნ ი: ვლადიმერ ილიას ძევ, მე გაცნობეთ, რომ გადავწყვიტე გავგზავნო გომელში დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარე. ის ამაღამ წავა. ამიტომ გთხოვეთ დირექტივები. ამასთან ერთად შევეცდები კავშირი დავამყარო კურსკთან.

ლ ე ნ ი ნ ი: ძალიან მოხარული ვარ, რომ გზავნით თავმჯდომარეს ყრილობაზე. იმედი მაქვს, კმაყოფილი ხართ ჩემი რჩევებით. მოაგვარეთ საქმე, რომ მაცნობოთ ყრილობის ყოველი დღის შესახებ[127].

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით

## 213

## დეპეშა გ. ე. ზინოვიევს

1918 წ. 30. XI.

პეტროგრადი
სმოლნი, ზინოვიევს
პირი სტრიევსკის

პეტროგრადის კავშირის წარმომადგენელი ვოლკოვი და ჩრდილოეთის საოლქო მუშათა კოოპერაციის კონფერენციის დელეგატი მისიურსკი აცხადებენ, რომ კონტრრევოლუციონერებისათვის დახმარების ნატამალიც არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო მუშა-მოსამსახურეებისათვის ერთი თვით ადრე ჯამაგირის გაცემაში, პირობას იძლევიან გააქარწყლონ შექმნილი გაუგებრობა, გამოთქვამენ სურვილს იმუშაონ სავსებით ლოიალურად ახალი დეკრეტის ნიადაგზე[128]. ხინჩუკი ადასტურებს დაპირებათა სისწორეს.

გთხოვთ განიხილოთ საკითხი გულდასმით და მისცეთ კოოპერატორებს შესაძლებლობა იმუშაონ.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 214

## დეპეშა გ. ე. ზინოვიევს

1918 წ. 3. XII.

პ ი რ ი სრულიად რუსეთის საგანგებო
კომისიის პ ი ტ ე რ ი ს
განყოფილების თავმჯდომარეს
ამხ. ზინოვიევ!

ამხ. კარლ მოორმა, შვეიცარიელმა, გამომიგზავნა გრძელი წერილი თხოვნით გაათავისუფლონ პალჩინსკი, რადგან იგი თითქოს დიდი ტექნიკური და ორგანიზაციული ძალა, მრავალი

შრომის ავტორია და ა. შ. მე მსმენია და წამიკითხავს პალჩინსკიზე როგორც სპეკულატორზე და სხვ. კ ე რ ე ნ ს კ ი ს დ რ ო ს.

მაგრამ არ ვიცი, არის თუ არა ახლა მონაცემები პალჩინსკის წინააღმდეგ? როგორი? სერიოზული? რატომ არ მიუყენეს მას კანონი ამნისტიის შესახებ?[129]

თუ იგი მეცნიერი, მწერალია, ხომ არ შეიძლება მას—მის წინააღმდეგ სერიოზული მამხილებელი მასალების არსებობის შემთხვევაში — შეუფარდდეს განსაკუთრებით შეღავათიანი პირობები (მაგალითად, შინაური პატიმრობა, ლაბორატორია და ა. შ.).

გთხოვთ მიპასუხოთ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ და დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

გაგზავნილია პეტროგრადში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**215**

## დეპეშა ტამბოვის საგუბერნიო აღმასკომს

1918 წ. 7. XII.

ტამბოვი, საგუბერნიო აღმასკომს
პირი ბორისოგლებსკი, სამაზრო აღმასკომს

მივიღე ივანე ბოგდანოვის საჩივარი, რომ საბოტაჟისათვის დააპატიმრეს მისი ვაჟიშვილი, 17 წლის ვლადიმერი, ბრონქიტით დაავადებული. გადასინჯეთ საქმე, შეამოწმეთ დაპატიმრებულის ავადმყოფობა, გამოუცდელობა, ახალგაზრდობა, განსაკუთრებით გამოიძიეთ, ხომ არ იყო ნამდვილი მესაბოტაჟე მიწათმოქმედების კომისარიატის 30 მოსამსახურე, რომლებმაც უარი თქვეს მუშაობაზე და დააკისრეს იგი ბოგდანოვს. შემოწმების შედეგი მიდეპეშეთ[130].

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 216

## ლ. ბ. კამენევს [131]

თუ თქვენ ჩასწვდებით, დაინახავთ, რომ სწორედ ეს ლავირობა არის **დ ა თ მ ო ბ ა უ ც ხ ო ს ა თ ვ ი ს**, სახელდობრ „თავისუფალი ვაჭრისათვის“.

დაწერილია 1918 წლის 10 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 217

## ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს

1918 წ. 11. XII.

ძვირფასო ვ. დ.!

გიგზავნით ბროშურას კანონების შესრულების შესახებ. შეადგინეთ **სათაური** რაც შეიძლება ნათელი, რაც შეიძლება მკაფიო, რაც შეიძლება მყვირალა.

და გამოეცით **რ ა ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა მ ა ლ ე** [132].

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 218

## დეპეშა ლ. დ. ტროცკის

1918 წ. 12. XII.

ვორონეჟი
და ადგილსამყოფელის მიხედვით
ტროცკის

ასტრახანიდან გვიდეპეშებენ, რომ საჭიროა გაძლიერდეს ფლოტილიის* მუშაობა საქართველოში ბოლშევიკების აჯან-

* ლაპარაკია ასტრახან-კასპიის სამხედრო ფლოტილიაზე. რ ე დ.

ყების და ინგლისის წინსვლის უდიდესი საფრთხის გამო. ხომ არ მიიჩნევთ სასარგებლოდ გაგზავნოთ ასტრახანში რასკოლნიკოვი, რომელიც რატომღაც მოსკოვში დახეტიალობს.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 219

## ა. გ. შლიაპნიკოვს

1918 წ. 12. XII.

ძვირფასო ამხ. შლიაპნიკოვ!

ვსარგებლობ იშვიათი შემთხვევით, რათა გამოგიგზავნოთ სალამი და მასალები გამოძიებისათვის[133]. კარგად მოიფიქრეთ წინასწარ და განიხილეთ საგანგებო კომისიის 2—3 **უ ა ღ რ ე ს ა დ  ს ა ი მ ე დ ო** წევრთან და დაიჭირეთ აქ დასახელებული არამზადები **ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ**. დააწექით მთელი ძალით, რათა დაიჭიროთ და დახვრიტოთ ასტრახანელი სპეკულანტები და მექრთამეები. ამ გარეწრებს ისე უნდა გაუსწორდეთ, რომ ყველას **წ ლ ო ბ ი თ** დაამახსოვრდეთ.

მასალები, როგორც მითხრეს, მოდის **პ ა ტ ი ო ს ა ნ ი** ვაჭრისაგან, რომელიც აქ დარჩა.

თქვენი თხოვნისა და დავალებათა შესახებ დავრეკე, ვთხოვე და გავუმეორე*. იმედი მაქვს ნაწილი — და ყველაზე არსებითი — შესრულდება. ყველაფრის შესრულება, რა თქმა უნდა, არ შეგვიძლია.

მიდეპეშეთ, რა არის განსაკუთრებით აუცილებელი შეუსრულებლიდან.

მთელი ძალით დააწექით ასტრახანის რკინიგზის შეკეთებას და ამ რკინიგზის ზიდვის უნარიანობის ზრდას.

---

* ლაპარაკია ასტრახანში იარაღისა და აღჭურვილობის გაგზავნის დაჩქარებაზე. რ ე დ.

რა მოხერხდა ზღვაზე? ჩვენს ფლოტთან? ბაზასთან ყიზლარის ახლოს?[134].

მოიწერეთ.

სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ასტრახანში

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

მთლიანად დაიბეჭდა 1956 წელს წიგნში: ვ. ი. ლენინი. „სამხედრო მიმოწერა“, მოსკოვი

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 220

## დეპეშები ლ. დ. ტროცკის

### 1

ტროცკის ადგილსამყოფელის მიხედვით

პერმი საშიშ მდგომარეობაშია[135]. საჭიროდ მიმაჩნია გაიგზავნოს მაშველი ძალები. პიტერს შეუძლია მოგვცეს საბჭოთა ღარიბების პოლკები, იქ ორი პოლკია, ან სხვა, რევოლუციური სამხედრო საბჭოს მითითებით. წინადადებას გაძლევთ გააკეთოთ სათანადო მითითებები რაც შეიძლება მალე. წინადადებას გაძლევთ მისცეთ მითითება რევოლუციურ სამხედრო საბჭოს*, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს პერმის კიზელის რაიონს, რომელიც ქვანახშირით ამარაგებს ქარხნებსა და მთელ რკინიგზას. კიზელის დაკარგვა შეაჩერებს მოძრაობას.

ლ ე ნ ი ნ ი**

დაწერილია 1918 წლის 12 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ტელეგრაფის ლენტის ტექსტის მიხედვით

* იგულისხმება აღმოსავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭო. რ ე დ.

** დეპეშას ხელს აწერს აგრეთვე ი. მ. სვერდლოვი. რ ე დ.

2

**ყველაფერი შიფრით**

1918 წ. 13. XII.

ვორონეჟი
ან ადგილსამყოფელის მიხედვით
ტროცკის

პერმიდან მიღებული ცნობები ძალზე შემაშფოთებელია. მას საფრთხე მოელის. ვშიშობ, რომ დავივიწყეთ ურალი. აუცილებლად შეუფუცხუნეთ ვაცეტისს და შეამოწმეთ, საკმაოდ ენერგიულად აძლევს თუ არა იგი მაშველ ძალებს პერმსა და ურალს. ლაშევიჩმა უთხრა ზინოვიევს, რომ უნდა გაიგზავნოს მხოლოდ ბრძოლებში გამოცდილი ნაწილები.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით
1938 წლის 23 თებერვალს გაზეთ
„პრავდაში" № 53

მთლიანად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

221

## გ. ი. პეტროვსკის [136]

**პ ე ტ რ ო ვ ს კ ი ს**

მოვითხოვ **დაუყოვნებლივ** დანიშნოთ **უმკაცრესი** გამოძიება და მომახსენოთ მისი დანიშვნისა და **შედეგის** შესახებ.

ლ ე ნ ი ნ ი

16/XII.

დაწერილია 1918 წლის
16 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 222

## ი. მ. სვერდლოვს

სვერდლოვს: მიიღეთ ცნობად!

გუშინ, 15/XII, ბუხარინმა მითხრა, რომ, ემ. იაროსლავსკის დამოწმებით, სპირიდონოვა ეწევა პ ა რ ტ ი უ ლ პროპაგანდას[137].

დაწერილია 1918 წლის
16 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 223

## ფ. ე. ძერჟინსკის

1918 წ. 21. XII.

სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიას
ამხ. ძერჟინსკი!

ამასთან ვგზავნი საჩივარს.

გთხოვთ აუცილებლად მოძებნოთ დამნაშავე საქმის გაჭიანურებაში (3. XII-დან 20. XII-მდე უ პ ა ს უ ხ ო დ!! ხოლო დეკრეტის თ ა რ ი ღ ი ა *21. XI. !!!)* და მისცეთ სამართალში[138]. ხომ არ შეიძლება ასეთი უმსგავსობა დაუსჯელი დარჩეს. როგორც ჩანს, არიან მესაბოტაჟეები კანცელარიაში.

შემდეგ საჭიროა, რომ თქვენ დანიშნოთ პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ე ლ ი პირი საწყობების სწრაფი, დაუყოვნებლივი გადაცემისათვის.

მაცნობეთ, რა გააკეთეთ.

სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 224

## დ. ა. ბულატოვს

1918 წ. 25. XII.

ტვერი
საგუბერნიო აღმასკომის თავმჯდომარეს
ბულატოვს

გავალებთ გამოიძიოთ საქმე თანდართული საჩივრის გამო და რაც შეიძლება მალე მაცნობოთ შედეგი.

მთავარი მაცნობეთ ტელეგრაფით („მასწავლებელ ივანოვას საქმის გამო").

განსაკუთრებით საჭიროა: შეამოწმეთ მითითება, რომ ღარიბთა კომიტეტში არიან ყოფილი და ახლანდელი შ ა ვ რ ა ზ მ ე ლ ე ბ ი: ტეტერინი, სკვორცოვი, კოზლოვი, ბასკაკოვი.

შემოწმება დაიწყეთ ფრთხილად, რომ ნაადრევად არ გახმაურდეს, რომ შეგეძლოთ დაიჭიროთ და ამხილოთ მთლიანად.

თუ სწორი აღმოჩნდა, საჯაროდ უნდა გაყაროთ ეს შავრაზმელები და გ ა მ ო ა ქ ვ ე ყ ნ ო თ ფურცლად თემსა და მაზრაში, რადგან ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ა მივაჩვიოთ მოსახლეობა იმას, რომ საქმიან საჩივრებს სერიოზული მნიშვნელობა აქვს და მათ სერიოზული შედეგები მოსდევს.

მიდეპეშეთ: „წერილი მივიღე, დავალებას შევასრულებ", შემდეგ გამოძიების მ ს ვ ლ ე ლ ო ბ ა ზ ე.

შედეგები გამომიგზავნეთ წერილით, გამოძიების ზუსტი შედეგები და მ ი ღ ე ბ უ ლ ი ზ ო მ ე ბ ი.

ვფიქრობ, თქვენ როგორც საგუბერნიო აღმასკომის თავმჯდომარეს განსაკუთრებული მანდატი ჩემგან ასეთი უბრალო საქმისათვის არ გჭირდებათ. თუ საჭიროა, გამოგიგზავნით.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი
(ლ ე ნ ი ნ ი)

*N B*: ამას თან ერთვის ვ. ს. ივანოვას საჩივარი[130].

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 225

## დეპეშა ს. ა. ბანკს [140]

ვიშნი ვოლოჩოკი
სახალხო მეურნეობის სამაზრო საბჭოს თავმჯდომარეს
ბანკს

სამხედრო საწყობები სამხედრო ხელისუფალთა განკარგულებაშია. სამხედრო ქონება გადაეცით სამხედრო უწყების აღრიცხვაზე; ყველა საწყობი გახსენით; ქონება გაანაწილეთ უწყებების მიხედვით; აღრიცხვა აწარმოეთ მიმდინარე მუშაობის დაურღვევლად.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის
25 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 226

## დეპეშა როდნიკის აღმასკომს [141]

1918 წ. 26. XII.

ივანოვო-ვოზნესენსკის გუბერნიის როდნიკი
როდნიკის აღმასკომს
პირი საგანგებო კომისიას

დაუყოვნებლივ ახსენით ლუქი პეტრე ილიას ძე სურკოვის საკუჭნაოსა და ოთახს სოფელ კუტილოვში. მაცნობეთ იმათი სახელები, ვინც ლუქი დაადო, და მათი მოქმედების ახსნა-განმარტება, რატომ ახდენენ წიგნების რეკვიზიციას. მიდეპეშეთ შესრულება.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 227

## დეპეშა რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

1918 წ. 27. XII.

სერპუხოვი
რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

სავსებით ვეთანხმები ტროცკის დეპეშას დაქმობილების შესახებ[142]. გთხოვთ სასწრაფოდ დაამუშაოთ ინსტრუქცია დაქმობილების შესახებ და განსაკუთრებით წაახალისოთ იგი ჩრდილოეთის ფრონტზე.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 228

## დეპეშა იუჟსკის ფაბრიკის გამგეობას

1918 წ. 28. XII.

ვიაზნიკი

იუჟსკის ნაციონალიზებული ფაბრიკის გამგეობას

სურსათის სახალხო კომისარიატმა უკვე გუშინწინ გასცა სასწრაფო განკარგულება ნიჟნიდან პურის დატვირთვის შესახებ ვიაზნიკის განმანაწილებელი პუნქტისათვის. გირჩევთ წახვიდეთ ნიჟნში. გაძლევთ რწმუნებას შეამოწმოთ, დააჩქაროთ, იჩივლოთ ჩემთან, თუ საქმე გაჭიანურდა[143].

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

229

## დეპეშა როდნიკის ალმასკომს

1918 წ. 28. XII.

ივანოვო-ვოზნესენსკის გუბერნიის როდნიკი ალმასკომს

გამომიგზავნეთ ფოსტით ყველა თქვენი დადგენილება ბიბლიოთეკების შესახებ. სურკოვი თანახმაა თავის ბიბლიოთეკა მისცეს ადგილობრივ მუშათა სამკითხველოს, და ეს სამართლიანი მგონია [144].

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

230

## სახალხო განათლების კომისარიატის საბიბლიოთეკო განყოფილებას [145]

1918 წ. 30. XII.

გთხოვთ მიიღოთ ამის მომტანი ამხ. პროკოფიევი. მისი თხოვნაა მოახდინოთ სურკოვის ბიბლიოთეკის რეკვიზიცია 40 000-კაციანი რაიონისათვის, ჩემი აზრით, სწორია; იქნებ, სარგებლობის რაღაც უფლებები დავუტოვოთ სურკოვს? გთხოვთ გამომიგზავნოთ ამ საკითხზე თქვენი დადგენილების პირი, აგრეთვე გთხოვთ დაეხმაროთ როდნიკელ ამხანაგებს მათი ბიბლიოთეკის გაფართოებაში. ხომ არ შეიძლება გაუგზავნოთ მათ მემამულეთა ერთ-ერთი რეკვიზირებული ბიბლიოთეკა? ამის შესახებაც გთხოვთ მაცნობოთ [146].

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 231

## ს. პ. სერედას

1) როდის გამოვა ბროშურა „გამოშვება VI. მასალები მიწის რეფორმის შესახებ“ ?

2) უნდა დაჩქარდეს დანარჩენი გამოცემები[147].

(ეს გამოცემა ძ ა ლ ზ ე საჭიროა.)

3) ჩემი აზრით, საჭიროა დაემატოს თუნდაც ნ ა ხ ე ვ ა რ ი ნ ა ბ ე ჭ დ ი, სადაც **ნათლად** იქნება გადმოცემული მიწსახკომის პ ო ლ ი ტ ი კ ა (თორემ სხვანაირად საშიშია, „ხალხში რომ გავა“, ბროშურამ დაბნეულობა არ გამოიწვიოს).

დაწერილია 1918 წლის დამლევს
პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 232

## ბარათი ფურცლების გამოცემის შესახებ

თანახმა ვარ.

საჭიროა მეტი და მეტი ასეთი ფურცლები (ფ რ ა ნ გ უ ლ ი, ი ტ ა ლ ი უ რ ი და უკრაინული თარგმანებით) მ ა შ ი ნ ვ ე გაიგზავნოს **სამხრეთშიც**, უკრაინაში, ინგლისელთა შესახვედრად[148].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წლის დამლევს
პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

# 1919 წელი

233

## ვ. ი. ნევსკის [149]

რა გაკეთდა მოძრაობის დ ა ს ა ჩ ქ ა რ ე ბ ლ ა დ?

როდის არის გაცემული განკარგულება მათი ს ა მ გ ზ ა ვ-რ ო სისწრაფით მოძრაობის შესახებ? შეუქვეთეთ ჩემთვის ცნობა მ ო ძ რ ა ო ბ ი ს ს ი ჩ ქ ა რ ი ს შესახებ.

დაწერილია 1919 წლის 1 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

234

## დეპეშა გ. ე. ზინოვიევს

1919 წ. 1. I.

პეტროგრადი
სმოლნი; ზინოვიევს

გავეცი განკარგულება გაგზავნონ ვაგონები პიტერში მოსკოვიდან და ნიჟნიდან სამგზავრო მატარებლებით. თვალყური ადევნეთ. თუ თქვენ გამოგრჩათ შეჩერება ერთი თვის წინათ და არ გაასაჩივრეთ დროზე, საკუთარ თავს დააბრალეთ აგრეთვე ისიც, რომ პარასკევს* ტელეფონით ჩვენი საუბრის შემდეგ არ მიიღეთ ზომები გაგზავნილი ვაგონების მოძრაობის სიჩქარის შესამოწმებლად.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* 1918 წლის 27 დეკემბერს. რ ე დ.

## 235

## ტელეფონოგრამა შინაგან საქმეთა კომისარიატს

1919 წლის 1 იანვარი.

მივესალმები და ვულოცავ ახალ წელს კომუნისტთა ფრაქციას. სულით და გულით ვისურვებ, რომ ჩვენ ყველამ ახალ წელს ნაკლები სისულელეები ჩავიდინოთ, ვიდრე ძველ წელს, და რომ საბჭოთა ხელისუფლების მშენებლობა, რაზედაც განსაკუთრებით მუშაობენ შინაგან საქმეთა კომისარიატის ამხანაგები, წარმატებით დამთავრდეს.

ლ ე ნ ი ნ ი

„პრავდა" № 3, 1919 წლის 4 იანვარი

იბეჭდება გაზეთის ტექსტთან შედარებული მანქანაზე დაბეჭდილი პირის მიხედვით

## 236

## ა. ნ. პროკოფიევს

1919 წ. 3. I.

ამხ. პროკოფიევ!

გიგზავნით ბრიუსოვის[150] წერილს. გთხოვთ დამიბრუნოთ და მაცნობოთ, როგორ მოათავეთ სურკოვის ბიბლიოთეკის საქმე.

იმედი მაქვს, თქვენ მაინც ყოველ ღონეს იხმართ, რომ სურკოვი **ცოტათი** დააკმაყოფილოთ: მაგალითად, მისცეთ მას სარგებლობის უფლება და ს ხ ვ ა  ა მ გ ვ ა რ ი.

თურმე, თქვენ უნდა მიგემართათ **სკოლის გარეშე განყოფილების** ს ა ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ო  გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს. გადავცემ იქ, რომ იზრუნონ თქვენთვის[151].

კომ. სალმით ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ნ. ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 237

## დეპეშა ლ. დ. ტროცკის

1919 წ. 3. I.

**დაიშიფროს**

ვორონეჟი და ადგილსამყოფელის
მიხედვით ტროცკის

ძალზე შეშფოთებული ვარ, ხომ არ გაგიტაცათ უკრაინამ საერთო სტრატეგიული ამოცანის საზიანოდ, რომელსაც დაბეჯითებით მოითხოვს ვაცეტისი და რომელიც გულისხმობს სწრაფ, გადამწყვეტ და საერთო შეტევას კრასნოვზე. მაშინებს მეტისმეტად, რომ ვაგვიანებთ ამას და რომ კრასნოველთა უკანასკნელი წარმატებანი ცარიცინთან კვლავ გამოიწვევენ ჩვენი შეტევის გადადებას და მომენტის დაკარგვას. სერიოზული მოქმედების ინიციატივა ხელიდან გვეცლება ასტრახანთანაც, კასპიის ზღვაზეც, ცარიცინთანაც, აღმოსავლეთშიც. ვაცეტისი მოითხოვს სწრაფ საერთო შეტევას კრასნოვზე, მაგრამ ვაცეტისს, როგორც ჩანს, არ ძალუძს დაძლიოს საქმის გაჭიანურება და უკრაინელთა და სხვა მეოლქეთა სეპარატიზმი. ხომ არ სჯობს მთელი ძალები მოახმაროთ კრასნოვზე საერთო შეტევის დაჩქარებასა და ბოლომდე მიყვანას?

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით
წიგნში „სამოქალაქო ომი.
1918—1921“, ტ. III

სრულიად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 238

## ვესიეგონის სამაზრო აღმასკომს და ტვერის საგუბერნიო აღმასკომს

1919 წ. 3. I.

გთხოვთ განიხილოთ საკითხი, რომ დაეხმაროთ რკპ ვესიეგონის კომიტეტს ხე-ტყით, ფინანსური სესხით და ბიბლიოთე-

კით ხანძრისაგან დაღუპული სახალხო სახლის აღსადგენად. თუ საჭირო იქნება ცენტრის დახმარება, მაცნობეთ და ამავე დროს გაგზავნეთ განცხადებები შესაბამის სახალხო კომისარიატებში [152].

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

„იზვესტია ვესიეგონსკოგო სოვეტა რაბოჩიხ, კრესტიანსკიხ ი კრასნოარმეისკიხ დეპუტატოვ" № 2 (30), 1919 წლის 18 იანვარი

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით

## 239

## დეპეშა რიაბინინს [153]

1919 წ. 5. I.

გორკინო, ჩრდილოეთის რკინიგზა
რიაბინინს, ხელოსნებისა და მუშების საერთო
კრების თავმჯდომარეს

არჩეულებს შეუძლიათ ჩამოვიდნენ, როცა სურთ. ვეცდები პირადად მივიღო, ხოლო თუ ვერ შევძელი, მაშინ მდივნის მეშვეობით.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 240

## დეპეშა სიმბირსკის გუბერნიის სურსათის კომისარს

პეტროგრადისა და მოსკოვის დამშეულ მუშათა 42 ორგანიზაციის კომიტეტი გიჩივით უთადარიგობას. მოვითხოვ თქვენი მხრივ მაქსიმალურ ენერგიას, არაფორმალურ დამოკიდებულებას დამშეული მუშების საქმისა და ყოველმხრივი დახმარებისადმი. წარუმატებლობის შემთხვევაში იძულებული ვიქ-

ნები დავაპატიმრო თქვენი დაწესებულებების მთელი შემადგენლობა და მივცე სამართალში. გავეცი სასწრაფო განკარგულება ორთქლმავლებისა და ვაგონების რაოდენობის გაზრდის შესახებ. დაუყოვნებლივ უნდა დატვირთოთ მანდ არსებული ორი მატარებელი 30-30 ვაგონი. მიდეპეშეთ შესრულება.

პური გლეხებისაგან მოვალე ხართ მიიღოთ დღისით და ღამით. თუ დადასტურდება, რომ 4 საათის შემდეგ არ მიგიღიათ პური და აიძულეთ გლეხები დილამდე ეცადათ, დაიხვრიტებით.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 6 იანვარს
პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით

## 241

## დეპეშა ს. ი. გუსევს
## უფის რევკომისათვის

არზამასი
აღმოსავლეთის ფრონტის რევოლუციური
სამხედრო საბჭო, გუსევს

გადაეცით უფაში რევკომს სახელმძღვანელოდ, რომ ესერებთან, რომლებიც მოლაპარაკებას გვთავაზობენ, დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოთ მოლაპარაკება, ამასთან ყოველი ღონე იხმაროთ, რომ თავიდან აიცილოთ პროვოკაციების ცდები და დაიცვათ ფრონტი, მაგრამ ამასთან უზრუნველყოთ ესერ პარლამენტიორთა აბსოლუტური პირადი ხელშეუხებლობა. მოლაპარაკების დროს მაშინვე გარკვევით უთხარით, რომ საბჭოთა კონსტიტუციის შეცვლაზე ლაპარაკიც არ შეიძლება, რადგან საბჭოთა ხელისუფლებამ როგორც ექსპლოატირებული კლასების ხელისუფლებამ ექსპლოატატორთა დასათრგუნავად სა-

ბოლოოდ დაამტკიცა თავისი აუცილებლობა ბურჟუაზიაზე გამარჯვებისათვის და ახლა საბჭოთა მოძრაობა ვრცელდება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

მოლაპარაკების მთელი მსვლელობის, ორივე მხარის მონაწილეების შესახებ განუწყვეტლივ გვაცნობეთ უშუალოდ ჩვენ [154].

ლ ე ნ ი ნ ი, ს ვ ე რ დ ლ ო ვ ი*

დაწერილია 1919 წლის 6 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1960 წელს წიგნში: ი. მ. სვერდლოვი. „რჩეული ნაწარმოებები სამ ტომად", ტ. 3**

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

# 242

## დეპეშა კასპია-კავკასიის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს, ასტრახანის საგუბერნიო აღმასკომს და რკპ (ბ) საგუბერნიო კომიტეტს

ა ს ტ რ ა ხ ა ნ ი***

შლიაპნიკოვს, საგუბერნიო აღმასკომი

კომუნისტთა საგუბერნიო პარტკომს

კონფლიქტი პარტიულ კომიტეტთან შეუწყნარებელია. ყოველი ღონე იხმარეთ ერთსულოვანი, შეთანხმებული მუშაობისათვის. პარტიის ყველა წევრი, რა პოსტიც უნდა ეკავოს მას, უნდა შედიოდეს ადგილობრივ ორგანიზაციაში. პარტიული კომიტეტი არ უნდა ერეოდეს დაწესებულებათა საქმიანობაში, რომლებიც უშუალოდ ექვემდებარებიან ცენტრს. მას უფლება აქვს მხოლოდ თავისი მოსაზრებანი წარადგინოს ცეკაში.

* დეპეშის უკანასკნელი ფრაზა და ხელმოწერა დაწერილია ი. მ. სვერდლოვის ხელით. რ ე დ.

** ამ გამოცემაში შეცდომით ნაჩვენებია, რომ დეპეშა დაწერილია ი. მ. სვერდლოვის ხელით. რ ე დ.

*** სიტყვა „ა ს ტ რ ა ხ ა ნ ი" დაწერილია ვ. ი. ლენინის ხელით. რ ე დ.

მთელ ადგილობრივ მუშაობას წარმართავს პარტიული ცენტ-რი. ჩარევა შეიძლება შიგნიდან ან თუ არის ცეკას სპეციალური დავალება ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხში. ანალოგიური ურ-თიერთობა უნდა დამყარდეს საგუბერნიო აღმასკომთან. მხო-ლოდ იმ შემთხვევაში, როცა არ სრულდება დეკრეტები და წარმოებს მუშაობა ცენტრალური ხელისუფლების დადგენი-ლებათა წინააღმდეგ, შეიძლება უშუალო ჩარევა. საჭიროა დიდი ტაქტი, მაშინ კონფლიქტები შეუძლებელი იქნება. ზო-გად მსჯელობას სამხედრო ნაწილებში რადიკალური წმენდის საჭიროების შესახებ ფასი არა აქვს. კონკრეტულ მითითებებს ამა თუ იმ ფაქტისა და პირების შესახებ მივიღებთ მხედველო-ბაში.

ლ ე ნ ი ნ ი*

დაწერილია 1919 წლის 7 ან 8 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ი. მ. სვერდლოვის ხელით დაწერილი და ვ. ი. ლენინის ხელ-მოწერილი ტექსტის მიხედვით

**243**

## მიწერილობა მთავარსარდალს [155]

ცენტრალური კომიტეტის ორი წევრის ამ მოთხოვნას ვუერ-თებთ ცენტრალური კომიტეტის კიდევ სამი წევრის ხელმოწე-რას და გადმოგცემთ ამ მოთხოვნას როგორც ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნას სამხედრო ხელისუფლებათა შესასრუ-ლებლად.

მოსკოვი, 8. I. 1919.

რკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები

ლ ე ნ ი ნ ი**

პირველად დაიბეჭდა (ფაქსიმილე) 1939 წელს „ვოენო-ისტორიჩესკი ჟურნალში" № 5

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* შემდეგ არის ვ. ი. ლენინის ხელით დაწერილი ი. მ. სვერდლოვის ხელმოწერა. რ ე დ.

** შემდეგ არის ი. მ. სვერდლოვისა და ი. ტ. სმილგას ხელმოწერა. რ ე დ.

## 244

## დეპეშა გ. კ. ორჯონიკიძეს

1919 წ. 9. I.

ასტრახანი
ფრონტის შტაბი
რადიოთი გადასაცემად ვლადიკავკავში
ორჯონიკიძეს

მივიღე თქვენგან პირველი დეპეშა. გმადლობთ, მოგესალმებით. გთხოვთ უფრო ხშირად გვიგზავნოთ ცნობები.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 245

## დეპეშა გ. ე. ზინოვიევს

1919 წ. 10. I.

პეტროგრადი
სმოლნი
ზინოვიევს

ლაპარაკი რავიჩთან და კალინინთან, ისევე როგორც შადურსკაიას დეპეშა მაფიქრებინებენ, რომ პიტერში ხელისუფლების უმაღლესი აპარატის ცხრა მეათედი უსაქმობას მისცემია. გირჩევთ, მოიფიქროთ და სასწრაფოდ განახორციელოთ გარდაქმნა, გადაიყვანოთ რამდენიმე ათეული, თუ ასეული არა, საუკეთესონი ტრანსპორტის ფაქტობრივ კონტროლზე, და თვითონ ჩაუდექით სათავეში სასურსათო მატარებლების ფაქტობრივ კონტროლს. სხვანაირად ხსნა არ არის.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

### 246

## დეპეშა რიაზანის საგუბერნიო აღმასკომს

1919 წ. 12. I.

რიაზანი
საგუბერნიო აღმასკომს

რა ზომები მიიღეთ მსხვილი სპეკულაციის გამო, რომელიც სახელმწიფო კონტროლმა აღმოაჩინა საზოგადოებრივ სასადილოებში? [156]

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

### 247

## დეპეშა სუზდალის სამაზრო აღმასკომს [157]

1919 წ. 12. I.

ვლადიმირის ოლქის სუზდალი
სამაზრო აღმასკომს

პირი ვ ლ ა დ ი მ ი რ ი, ს ა გ უ ბ ე რ ნ ი ო
ა ღ მ ა ს კ ო მ ს

უმკაცრესად შეამოწმეთ გადამღობი რაზმებისა და საგანგებო კომისიის საქციელი გავრილის პოსადში. აძლევენ თუ არა ქვითრებს ჩამორთმეულ პურზე, სწორია თუ არა ანგარიშგება, რას უშვრებიან ჩამორთმეულ პურს? მიდეპეშეთ შესრულება.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 248

## დავალება მდივანს [158]

პ ი რ ვ ე ლ ი ს ა ქ მ ი ა ნ ი ა ნ გ ა რ ი შ ი. შეიტყვეთ, ვინ არის პ ა შ კ ო ვ ი, მისწერეთ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, რომ ამ პ ი რ ვ ე ლ ს ა ქ მ ი ა ნ ა ნ გ ა-რ ი შ ს მივესალმები, პაშკოვისა მადლობელი ვარ, სხვე-ბისაგან მოვითხოვ **იმასვე**.

დაწერილია 1919 წლის 13 იანვარს
პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 249

## დეპეშა ა. პ. კუდრიავცევს

პეტროგრადი
სახალხო განათლების კომისარიატის
საბიბლიოთეკო განყოფილება
განყოფილების გამგეს კუდრიავცევს

დაიცავით დატაცებისაგან სტრუვეს ბიბლიოთეკა, რომელიც პოლიტექნიკურ ინსტიტუტშია. განსაკუთრებით მნიშვნელო-ვანი გადაეცით საჯარო ბიბლიოთეკას, დანარჩენი პოლიტექ-ნიკურ ინსტიტუტს. გერდის პორტრეტი, იაროშენკოს ნამუშე-ვარი, უნდა გადასცეთ ნინო ალექსანდრეს ასულ სტრუვეს პო-ლიტექნიკური ინსტიტუტის დირექტორის მეშვეობით.

შესრულება მიდეპეშეთ.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 13 იანვარს
პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 250

## ა. დ. ციურუპას[159]

ციურუპას:

დამშეულ ბავშვთა კვირეული **ყოველ შემთხვევაში** უნდა **მოამზადოთ**, გამოაცხადოთ და მოაწყოთ.

იქნებ შევუერთოთ იგი გ ა წ ე რ ა ს და ღარიბთა კომიტეტების გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ მობილიზაციას.

იქნებ კიდევ რამე ავიღოთ და გავაკეთოთ ბავშვებისათვის?

**საჭირო კია.**

ამას თან ვურთავ ხ ო რ ც ი ს შ ე ს ა ხ ე ბ: გთხოვთ დამიბრუნოთ რაც შეიძლება მალე სურსათის კომისარიატის **მოკლე** აზრითურთ[160].

დაწერილია არა უადრეს
1919 წლის 14 იანვრისა

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 251

## სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველს

1919 წ. 18. I.

გავალებთ დაუყოვნებლივ მომახსენოთ ყველა საჩივარი, რომლებსაც იღებს სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა სამმართველო მთავრობის ყველა ადგილსა და პირზე, ამასთან, წერილობითი სახით მიღებული საჩივრების შესახებ უნდა მომახსენოთ ოცდაოთხი საათის განმავლობაში, სიტყვიერი სახით— ორმოცდარვა საათის განმავლობაში.

სამმართველოში უნდა შემოიღოთ ასეთი საჩივრების განსაკუთრებული რეგისტრაცია, ამასთან, სამმართველოს კანცელა-

რიის მმართველს დაეკისროს ამ საჩივრების გამო ჩემი რეზოლუციების შესრულებისადმი გულდასმით ზედამხედველობა.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ვ. ი. ლენინის ხელმოწერილი
მანქანაზე დაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით

252

## ლ. დ. ტროცკის [161]

ამხ. ტროცკი!

დამიბრუნეთ ეს, თუ შეიძლება, და მომწერეთ თქვენი აზრი.

ჩემი აზრით, **უდიდესი უმსგავსობაა,** რომ ვაცეტისმა 3 პოლკი გაგზავნა ნარვასთან. **გააუქმეთ ეს**!!

21/I.

ლენინი

დაწერილია 1919 წლის 21 იანვარს
პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

253

## მ. კ. ვლადიმიროვს

1919 წ. 22. I.

ამხ. ვლადიმიროვ!

მივიღე თქვენი წერილი [162]. დიდად გმადლობთ. შევეცდები პროექტი გავატარო მაშინვე, თავდაცვის საბჭოს სხდომამდეც კი — გამოკითხვით.

კარგი იქნებოდა, რომ აძლევდეთ (ზოგჯერ მაინც) პრესაში მ ო წ ო დ ე ბ ე ბ ს მუშებისადმი.

სალამი! ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

254

## ა. ი. ლანდერს

1919 წ. 23. I.

ამხ. ლანდერ!

მივაქცევ თქვენს ყურადღებას სახკომსაბჭოში დღეს მიღებულ გადაწყვეტილებას: თქვენ მოგეცათ დავალება შეამოწმოთ შ ა ბ ა თ ა მ დ ე (სახკომსაბჭოს შაბათის სხდომამდე), როგორ შეასრულა პ რ ო დ ფ ა ზ ტ ო პ მ ა* (ან სურსათის კომისარიატის სხვა ორგანოებმა) სახკომსაბჭოს 1919 წლის 18. I. დადგენილება;

— გამოარკვიეთ გაჭიანურების მიზეზები;

— იპოვეთ დამნაშავენი[163].

დანიშნეთ მ ც ო დ ნ ე რევიზორი - კ ო მ უ ნ ი ს ტ ი, აუცილებლად დაუმატეთ მ უ შ ა და **იჩქარეთ**, რომ პ ა რ ა ს კ ე ვ ს დ ი ლ ი დ ა ნ დაიწყონ მუშაობა (თუ მუშა არ არის, დ ა ი წ ყ ო ნ უ მ ი ს ო დ, იგი მერე შეუერთდეს).

საქმე დიდმნიშვნელოვნად მიმაჩნია: ცნობებს უნდა იძლეოდეთ ი მ ა ვ ე დ ღ ე ს, უნდა შეამოწმოთ პროდფაზტოპის საქმის წარმოება, დეპეშების წესრიგი (წესრიგშია თუ არა ისინი. ადვილი საპოვნელია თუ არა, ამოწმებენ თუ არა პასუხის დროს და სხვ.).

ძალიან გთხოვთ გააკეთოთ ეს რაც შეიძლება მალე და მკაცრად.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

---

* სურსათის სახალხო კომისარიატის განყოფილება, რომელიც განაგებდა ფაბრიკების, ქარხნებისა და სათბობის ორგანიზაციების მუშათა სურსათით მომარაგებას. რ ე დ.

255

## დეპეშა ლ. დ. ტროცკის

საიდუმლოდ

კოზლოვი და ადგილსამყოფელის მიხედვით
რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარეს ტროცკის

ვილსონი გვთავაზობს დაზავებას და თათბირზე იწვევს რუსეთის ყველა მთავრობას. მეშინია, რომ მას სურს დაიტოვოს ციმბირი და სამხრეთის ნაწილი, რადგან იმედი არა აქვს სხვანაირად შეინარჩუნოს თუნდაც რაიმე. ეს გარემოება ორენბურგის, ლუგანსკისა და ჩერტკოვის აღებასთან დაკავშირებით გვაიძულებს, ჩემი აზრით, დავძაბოთ მთელი ძალები, რათა ერთ თვეში ავიღოთ როსტოვიც, ჩელიაბინსკიც, ომსკიც. უკანასკნელი შეესაბამება ჩვენს საუბარს. განსაკუთრებით შეამოწმეთ ვაცეტისის სტრატეგია ორენბურგის აღების შემდეგ, მაცნობეთ თქვენი აზრი. ვილსონთან წასვლა, ალბათ, თქვენ მოგიხდებათ [164].

ლენინი

დაწერილია 1919 წლის 24 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით

256

## დეპეშა სამარის საგუბერნიო აღმასკომს [165]

1919 წ. 27. I.

სამარა

საგუბერნიო აღმასკომს

დაუყოვნებლივ გამოგზავნეთ მოსკოვში მთელი მასალები მემარჯვენე ესერ ალექსანდრე მიხეილის ძე სმირნოვის წინააღმდეგ, მაცნობეთ მისი დაპატიმრების მიზეზები, შეამოწმეთ მისი განცხადება, რომ სურს იმუშაოს საბჭოთა ხელისუფლებასთან

ერთად კოლჩაკის წინააღმდეგ, შეუქმენით სმირნოვს ჯერჯერობით პატიმრობის ყველაზე შეღავათიანი პირობები.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**257**

## ე. მ. სკლიანსკის

1919 წ. 30. I.

ს კ ლ ი ა ნ ს კ ი ს

ზ. პ. კრჟიჟანოვსკაიასაგან, სკოლისგარეშე განათლების საკითხთა ყრილობის ერთი დელეგატის მეშვეობით.

8 ავიატორთა ჯგუფი მოქმედ არმიაში, ცარიცინის ფრონტზე, წითელი საჰაერო ფლოტი (23 ჰაერსანაოსნო რაზმი) — შოფერ **ბარანოვის** (წინათ იყო განსაკუთრებული ჰაერსანაოსნო დივიზიის მე-8 ნაწილში) მეთაურობით — თხოულობს გაიგზავნოს რევიზია და იტყობინება, რომ ავიარაზმები **მხოლოდ ქაღალდზე** ირიცხებიან და რომ საქმის მდგომარეობა **კატასტროფულია**[166].

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 258

## ლ. ბ. კრასინს

დაუყოვნებლივ გადაეცით ჩიჩერინს და თ ვ ა ლ ყ უ რ ი ა დ ე ვ ნ ე თ (ან ვისმეს დაავალეთ ადევნოს თვალყური), რომ **ენერგიულად** და **დაუცხრომლად** ახორციელებდნენ ამ პოლიტიკას [167].

დაწერილია 1919 წლის იანვარ—
თებერვალში

პირველად დაიბეჭდა 1960 წელს
ჟურნალში „ვოპროსი ისტორიი"
№ 7

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 259

## ე. მ. სკლიანსკის და ვ. ნ. პოდბელსკის

### 1

ს კ ლ ი ა ნ ს კ ი ს:

აიკრძალოს ეს დეპეშობანას თამაში[168].

დაწერილია 1919 წლის
10 თებერვალს

### 2

**ს კ ლ ი ა ნ ს კ ი ს ა და პ ო დ ბ ე ლ ს კ ი ს:**

არ შეიძლება ცირკულარით შეწყდეს ეს სულელური დეპეშები 100 მისამართით? [169]

დაწერილია 1919 წლის
11 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

260

## დეპეშა ა. გ. შლიაპნიკოვს

1919 წ. 12. II.

ასტრახანი

შლიაპნიკოვს

მივიღე თქვენი დეპეშა ბაქოს საქმეებზე [170]. იმედი მაქვს, გესმით საკითხის უდიდესი მნიშვნელობა და მიიღებთ უაღრესად ენერგიულ ღონისძიებებს, რათა ბაქოელთა განწყობილება გამოიყენოთ სწრაფი და გადამწყვეტი მოქმედებისათვის. უზრუნველყავით ჩვენთან გადმომსვლელთა უსაფრთხოება. მიდეპეშეთ დაწვრილებით.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

261

## გ. ი. პეტროვსკის [171]

ამხ. პეტროვსკი! მატყობინებენ, რომ ავტორი პატიოსანი ადამიანი და პარტიელია. გთხოვთ დანიშნოთ გამოძიება **სერიოზული** ადამიანებისაგან. მაცნობეთ, **ვინ** დანიშნეთ.

13/II.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 13 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

262

## დეპეშა აღმოსავლეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

ძალიან მაწუხებს მე-2 არმიის უკან დახევა. ველაპარაკე ვაცეტისს, რომელიც მალე წავა ვიატკაში. გთხოვთ მაცნობოთ, რა

ზომებს იღებთ და როგორ არის ასი ასეულის მოსვლის მდგომარეობა. მეორე. იმედი მაქვს, რომ სურსათისათვის შესაძლებლობის მაქსიმუმს გააკეთებთ და მისცემთ ცეკომპროდარმს* კარგ სამხედრო ძალებს. მთავარია — თავიდან აიცილოთ უთანხმოებანი მათთან. მაცნობეთ, მოწესრიგდა თუ არა ერთსულოვანი მუშაობა. მესამე. როგორ არის ის კონსპირაციული საქმე, რომლის შესახებაც გუსევმა განსაკუთრებული კაცის ხელით გამომიგზავნა წერილი?

14 თებერვალი.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის
14 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით

**263**

## დეპეშა გ. ე. ზინოვიევს

1919 წ. 18. II.

პეტროგრადი
სმოლნი, ზინოვიევს

ახლა შევიტყვე, რომ თითქოს რაიონულმა საბჭომ გაასახლა ვერა ივანეს ასული ზასულიჩი და სხვა გამოჩენილი რევოლუციონერები მწერალთა სახლიდან. ეს ხომ სირცხვილია! ნუთუ ეს მართალია? [172]

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

---

* წითელი არმიის სურსათით მომარაგების ცენტრალური კომისარიატი.

## 264

## დეპეშა ელატმის სამაზრო აღმასკომს[173]

1919 წ. 18. II.

ელატმა
სამაზრო აღმასკომი

მიხეილ მიტროფანეს ძე ფედოსეევი აზეევიდან ჩივის, რომ თქვენ ნაციონალიზაცია უყავით მის სტამბას და 6 თებერვალს № 455-ით უარი უთხარით გადაგეხადათ სტამბის ღირებულება და გასამრჯელო მიგეცათ მისი ორი მოწაფისა და მკინძავისათვის, რომლებიც სამუშაოდან გადააყენეთ. მაცნობეთ დაუყოვნებლივ, სწორია თუ არა ეს ფაქტები, სწორია თუ არა, რომ სტამბა სასოვოში დგას ფარდულში და არ მუშაობს? გთხოვთ განიხილოთ, ხომ არ შეიძლება ფედოსეევი დავაყენოთ სასტამბო სამუშაოზე ან მივცეთ შესაძლებლობა შექმნას მუშათა ამხანაგობა და გადავცეთ მას ყოფილი მისი სტამბის კონტროლსდაქვემდებარებული გამგებლობა, ამასთან, მთლიანად დავუმორჩილოთ იგი დეპუტატთა საბჭოს[174].

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 265

## დეპეშა პ. ი. სტუჩკას და ი. ა. ბერზინს

1919 წ. 19. II.

რიგა
ლატვიის საბჭოთა მთავრობა
სტუჩკას, ბერზინს

მივესალმები რიგაში მცხოვრებ გერმანელ მუშათა გადაწყვეტილებას გამოსცენ ნაკვეთებად ლიბკნეხტისა და ლუქსემბურგის თხზულებათა სრული კრებული. იმედი მაქვს, რომ

თქვენ ყოველნაირად დაეხმარებით მათ და დააჩქარებთ ამას, მე კი გამომიგზავნით ეგზემპლარს.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**266**

## დეპეშა ს. ი. გუსევს

1919 წ. 19. II.

არზამასი
ფრონტის შტაბი, გუსევს

მივიღე დაშიფრული დეპეშის პასუხი, მაგრამ იქ სიტყვაც არ არის სურსათისა და თქვენი ღონისძიებების შესახებ, რომ აღმოფხვრათ უთანხმოებანი და გააძლიეროთ მიზიდვა. მიპასუხეთ.

რაც შეეხება ბაშკირებს, თქვენ მართალი ხართ, როცა მოითხოვთ ან განიარაღებას, ან დაუყოვნებლივ მოქმედებას კოლჩაკის წინააღმდეგ [175].

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**267**

## ლ. ბ. კამენევს

1919 წ. 21. II.

ამხ. კამენევ!

ამის მომტანი სამარის საგუბერნიო აღმასკომის თავმჯდომარეა*. აქვს უაღრესად საინტერესო დიაგრამები და მონაცემები სურსათის შესახებ.

* ლაპარაკია ა. პ. გალაქტიონოვზე. რ ე დ.

გირჩევთ გააკეთებინოთ მას **მოხსენება** რაც შეიძლება მეტი მოსკოველი მუშებისათვის. პური ბევრია. ფაქტია. უ ნ დ ა გ ა ვ ა მ ხ ნ ე ვ ო თ.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა
1957 წლის 29 დეკემბერს გაზეთ
„ვოლჟსკაია კომუნაში" № 304

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 268

## ტვერის გუბერნიის მასწავლებლებს[176]

ტვერის გუბერნიის წარმომადგენელს
ამხ. რამენსკის

გადაეცით ტვერის გუბერნიის მასწავლებლებს, რომ მათი პური კულაკებს აქვთ და რომ საბჭოთა ხელისუფლების ამოცანაა ეს პური გადასცეს მშრომელებს.

1919 წ. 22/II.

ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება
უცნობი ხელით დაწერილი
პირის მიხედვით

## 269

## მოწმობა დანილოვის მანუფაქტურის წარმომადგენლებს

1919 წ. 24. II.

ვადასტურებ, რომ დანილოვის მანუფაქტურის ამხანაგი წარმომადგენლები იყვნენ ჩემთან მათთვის მანუფაქტურის ულუფის მიცემის საკითხზე. ვინაიდან ეს საკითხი გადაწყვიტა ცაკის პრეზიდიუმმა, რომელიც კონსტიტუციით **მაღლა დგას** სახალხო კომისართა საბჭოზე, არც მე, როგორც სახკომსაბჭოს

თავმჯდომარეს, არც სახალხო კომისართა საბჭოს უფლება არა აქვს შეცვალოს გადაწყვეტილება.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე

ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 270
## დეპეშები მ. კ. ვლადიმიროვს

### 1

ვლადიმიროვს

თავდაცვის საბჭომ გადაწყვიტა, რომ თუ რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭო ორ დღეში არ წარმოადგენს დასაბუთებულ დასკვნას პოვორინო—ცარიცინის ხაზის სასარგებლოდ, ჩვენ პირველ რიგში დავაყენებთ ლისკი—ლიხაიას ხაზს. გზათა კომისარი პირდაპირ ამბობს, რომ ორივე ხაზის ხიდების აღდგენაზე შეიძლება მასალები არ გვეყოს. სავსებით ვეთანხმები თავდაცვის საბჭოს ამ გადაწყვეტილებას, ხოლო თუ თქვენ სასწაულს ჩაიდენთ და, შეაკეთებთ რა ლისკი—ლიხაიას ხაზს, გარდა ამისა მოახერხებთ შეაკეთოთ კიდევ პოვორინო—ცარიცინი, თქვენ სასწაულმოქმედი იქნებით.

ლენინი

### 2

პირადად თანახმა ვარ დაგტოვონ, თუ კისრულობთ ორივე ხაზის აღდგენას, როგორც იწერებით. დღეს კიდევ შევეცდები დავუკავშირდე ციურუპას და სვერდლოვს, და თუ სხვა გადაწყვეტილება მივიღეთ, მაშინ გიდეპეშებთ დაუყოვნებლივ. ალბათ, ნევსკიმ არ იცოდა, რა მასალები შეგიძლიათ მიიღოთ სამხრეთიდან. გადავცემ მას თქვენს ორივე ბარათს.

ლენინი

დაწერილია 1919 წლის 26 თებერვალს
გაგზავნილია ვორონეჟში

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება: პირველი დეპეშა—ხელნაწერის მიხედვით; მეორე — ტელეგრაფის ბლანკის ტექსტის მიხედვით

## 271

## დეპეშა ს. ე. ცეხანოვსკის[177]

1919 წ. 26. II.

რუდნია
აღმასკომის თავმჯდომარეს ცეხანოვსკის
პირი მოგილიოვი, საგუბერნიო აღმასკომს

შემიძლია მიგიღოთ თუ პირადად არა, მდივნის მეშვეობით მაინც. ჩემი აზრით, მიკულინის თემის კომუნისტთა გეგმა ცუდი არ არის, მაგრამ სასურველია გვქონდეს ორშისა და მოგილიოვის თუნდაც მოკლე წერილობითი აზრი მათი უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზების შესახებ.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 272

## მ. მ. კოსტელოვსკაიას[178]

თანახმა ვარ, მაგრამ, თუ ს ა მ ხ ე დ რ ო-ს ა ს უ რ ს ა თ ო ბ ი უ რ ო დამნაშავე აღმოჩნდება იმაში, რომ თ უ ნ დ ა ც ე რ თ ი ს ა ა თ ი დააყოვნა მუშაობა მუშების მობილიზაციისათვის როგორც პასუხსაგებ პოსტებზე, ისე **ს ა ს უ რ ს ა თ ო  ა რ მ ი ა შ ი,** მაშინ სამხედრო-სასურსათო ბიუროს ყველა წევრი **გ ა ს ა რ ე კ ი ა.**

დაწერილია 1919 წლის
27 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 273

## ა. ი. სვიდერსკის

ჩემი აზრით, თქვენ ყველანი ტყუილად „თეორეტიკოსობდით“. გააგდეთ, დააჩქარეთ შლიხტერი, რომ მალე ჩავიდეს ა დ გ ი ლ ზ ე, იქ ყველაფერი გამოჩნდება[179].

დაწერილია 1919 წლის
თებერვალში— მარტის დამდეგს

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
წიგნში: ა. გ. შლიხტერი. „ილიჩი,
როგორსაც ვიცნობდი“, ხარკოვი

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 274

## ლ. ა. ფოტიევას [180]

### 1

არ შეიძლება **გვერდი ავუაროთ** დეკრეტებს: მარტო ერთი ასეთი წინადადებისათვის პასუხისგებაში აძლევენ.

მაგრამ **ცაკის მეშვეობით** ჩამორთმევის განხორციელება შეიძლება, და ამას გირჩევთ.

### 2

უნდა იცოდეთ კანონი: მე არ მახსოვს, **ვისი მეშვეობით** ხდება ჩ ა მ ო რ თ მ ე ვ ა.

დაწერილია 1919 წლის 4 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერების მიხედვით

## 275

## რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს

§ 3 საფუძველზე გაუგზავნეთ პოლონეთის მთავრობას ნოტა და დაჰპირდით, რომ სავსებით ვეთანხმებით და სწორედ

გვსურს გადაწყვეტილება მშრომელთა კენჭისყრით, გვსურს შეთანხმება ამ ბაზაზე, ვეთანხმებით დათმობებს წვრილმანებში და სხვა. მივცეთ ეს დირექტივად ცენტრალური კომიტეტისაგან[181].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 4 და 24 მარტს შუა

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**276**

## დეპეშა პ. პ. მიშკინს

1919 წ. 8. III.

ცარიცინი
საგუბერნიო საგანგებო კომისიის
თავმჯდომარეს მიშკინს

პორტრეტის დამახინჯებისათვის დაპატიმრება არ შეიძლება. გაათავისუფლეთ ვალენტინა პერშიკოვა დაუყოვნებლივ, ხოლო თუ იგი კონტრრევოლუციონერია, თვალყური ადევნეთ[182].

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**277**

## ლ. ა. ფოტიევას[183]

თუ ხრიაშჩევა შორს ცხოვრობს და ფეხით დადის, ცოდოა. შემთხვევის დროს ტაქტიანად აუხსენით, რომ იმ დღეებში, როცა არ არის სტატისტიკის საკითხები, შეიძლება ადრე წავიდეს ან არც კი მოვიდეს.

დაწერილია 1919 წლის 8 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 278

## დეპეშა ა. ლ. კოლეგაევს

1919 წ. 10. III.

კოზლოვი და ადგილსამყოფელის მიხედვით
სამხრეთის მომარაგების უფროსს კოლეგაევს

სურსათით დატვირთული რამდენი სამარშრუტო მატარებელი გაგზავნეთ მოსკოვში და რამდენის გაგზავნას შეძლებთ მომავალ თვეში? ყველაფერი გაკეთდა თუ არა იმისათვის, რომ შესრულდეს ცეკას დირექტივა დონის ოლქში სურსათის შეგროვების ღონისძიებათა შესახებ? სახელდობრ რამდენია ჩაბარებული და როგორ მიდის ჩაბარება? საკმარისად გყავთ თუ არა მუშები ცენტრიდან სასურსათო მუშაობისათვის? გთხოვთ მიპასუხოთ ტელეგრაფით [184].

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 279

## ლ. ბ. კამენევს [185]

1919 წ. 12. III.

ამხ. კამენევ!

ამის მომტანები არიან ამხანაგები ვიატკის გუბერნიის სარაპულის მაზრიდან.

ჩამოგვიტანეს ჩვენ და პიტერს 40-40 ათასი ფუთი პური. ეს ისეთი შესანიშნავი გმირობაა, რომელიც სავსებით იმსახურებს სრულიად განსაკუთრებულ მისალმებას. სიტყვამ მოიტანა და ამხანაგები მოითხოვენ გავაცნოთ პროფკავშირები. გთხოვთ დაუნიშნოთ მათ, რაც შეიძლება მალე მოხსენება დეპუტატთა საბჭოში. საჭიროა აგრეთვე ცნობის მიცემა

გაზეთში. გთხოვთ, დამირეკოთ, როცა ამ ბარათს მიიღებთ, შემდეგ კი გაუგზავნეთ ამის მომტანები შმიდტსა და ტომსკის.

სალამი! ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 280

## ლ. ა. ფოტიევას [186]

ლიდ. ალ.!

უპასუხეთ, რომ მისამართი დეკრეტებისათვის გადავეცი ცენტრალური კომიტეტის ბიუროს (და გაგზავნეთ იქ) და რომ შეუძლია მომწეროს პირდაპირ მოსკოვში, კრემლში.

დაწერილია 1919 წლის 17 მარტის შემდეგ

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 281

## გ. ი. პეტროვსკის

ამხ. პეტროვსკი!

გაგზავნეთ, თუ შეიძლება, ეს დეპეშა ან მსგავსი, ან გაეცით განკარგულება რევიზიის შესახებ საგუბერნიო აღმასკომის მეშვეობით [187].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია არა უგვიანეს 1919 წლის 22 მარტისა

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 282

## დეპეშა ვ. ნ. კაიუროვს [188]

1919 წ. 27. III.

საიდუმლოდ

მეხუთე არმია, კაიუროვს

მივიღე თქვენი ყოვლად გაუგებარი ოპტიმისტური დეპეშა; ძალიან მეშინია, რომ ასეთი ოპტიმიზმი, რომელმაც უკვე მოგვაყენა ბევრი ზიანი აღმოსავლეთში, ახლაც მოგვაყენებს ზიანს. მაცნობეთ, გადაეცით თუ არა თქვენი აზრი ტროცკის და რა ზომები მიიღეთ პოლიტიკური მუშაობის გასაუმჯობესებლად, მაშველ ძალებში სიმხნევისა და შეგნებულობის შესატანად.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ჟურნალში „პროლეტარსკაია რევოლუცია“ № 3 (26)

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 283

## შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს

1919 წ. 2. IV.

ამხ. შინაგან საქმეთა **სახკომს**

კურსკის გუბერნიის პუტივლის მაზრის წარმომადგენლები უჩივიან არჩევნებს. საჭიროა ს ა ბ ჭ ო ე ბ ი ს ხ ე ლ ა ხ ა ლ ი ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი კანონის მიხედვით. გთხოვთ მიპასუხოთ, რა გააკეთეთ: რევიზია, შემოწმება, განკარგულება, როგორი? და ა. შ.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 284

## დეპეშა გ. ნ. კამინსკის*

ტულა, კამინსკის

ახლა გადავცემ კრასინს და ფინანსების შესახებ კრესტინსკის[189]. მიიღეთ უმკაცრესი ზომები საერთოდ, წითელარმიული ულუფის შესახებ კი ახლა არ შემიძლია გადავწყვიტო, ამბობენ, იღებდნენ გირვანქასა და მეოთხედს. უნდა გამოიძიოთ ნაყოფიერების შემცირების მიზეზები. გვაცნობეთ უფრო ხშირად თქვენც და ორლოვმაც.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 4 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ტელეგრაფის ბლანკის ტექსტის მიხედვით

## 285

## დეპეშა მე-10 არმიის სარდალს

1919 წ. 4. IV.

ცარიცინი, მე-10 არმიის სარდალს
პირი ველიკოკნიაჟესკაია
დივიზიის უფროსს დუმენკოს

გადაეცით ჩემი სალამი მე-10 არმიის გმირს ამხანაგ დუმენკოს და მის მამაც კავალერიას, რომელიც დიდებით შეიმოსა კონტრრევოლუციის ბორკილებისაგან ველიკოკნიაჟესკაიას განთავისუფლების დროს. დარწმუნებული ვარ, კრასნოვისა და დენიკინის კონტრრევოლუციონერთა დათრგუნვა ბოლომდე იქნება მიყვანილი.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* გადაცემულია პირდაპირი მავთულით. რ ე დ.

**286**

## რადიოგრამა ბელა კუნს

ბუდაპეშტი, ბელა კუნს

გიგზავნით პიშონისათვის გაგზავნილი ჩვენი დღევანდელი რადიოგრამის პირს საფრანგეთთან გაცვლის საკითხზე [190].

ჩვენი წითელი ჯვრის კომისია მანუილსკის მეთაურობით გაემგზავრა საფრანგეთს, რათა მოეწყო ჩვენების რეპატრიაცია, მაგრამ დააკავეს. პირობა მივეცით მოგვეხდინა ჩვენში დარჩენილი ფრანგი სამხედრო მოსამსახურეების რეპატრიაცია, თუ მოეწყობოდა და სწრაფი ტემპით იწარმოებდა საფრანგეთიდან ჩვენების რეპატრიაცია. საფრანგეთის მთავრობამ ხელი შეუშალა მანუილსკის კომისიას მოეწყო ეს საქმე. საფრანგეთში, აფრიკასა და სალონიკში მყოფი 35 000 რუსი ჯარისკაციდან საფრანგეთს სურს ამჟამად 900 კაცის რეპატრიაცია და ფუჭ დაპირებას იძლევა, რომ მოახდენს ჩვენების რეპატრიაციას შემდეგში შესაძლებლობის კვალობაზე, მაგრამ ამის სანაცვლოდ საფრანგეთი მოითხოვს, რომ ჩვენ დაუყოვნებლივ გავუშვათ სამშობლოში ყველა ფრანგი.

საფრანგეთს სურს მანუილსკის მისია გამოგზავნოს 900 რუს ჯარისკაცთან ერთად, თუმცა რეპატრიაციის შემდგომი ორგანიზაციისათვის არაფერი არ გაკეთებულა. საფრანგეთს სურს მიიღოს ყველაფერი, მაგრამ თითქმის არაფერი არ მოგვცეს და თავიდან მოიშოროს მანუილსკი.

ამასთან, ჩვენთვის ცნობილია, რომ საფრანგეთში დარჩენილი ჩვენი ჯარისკაცები, რომლებიც უარს ამბობენ შევიდნენ არმიაში, განიცდიან საშინელ დევნას და რომ მანუილსკის აუკრძალეს დაამყაროს მათთან რაიმე კონტაქტი.

ჩვენ უარს ვამბობთ ასეთი პირობებით გავგზავნოთ ფრანგები სამშობლოში. ეს არის ჩემი რადიოგრამის შინაარსი, რომლის პირი თქვენ გეგზავნებათ. ფრანგები დაიწყებენ ყვირილს გვიშველეთო და ეტყვიან ამერიკელებს ყოველგვარ საზიზღარ

სიცრუეს. გადაეცით, თუ შეიძლება, ჩვენი ნოტის პირი ამერიკის წარმომადგენელს თავისი მთავრობისათვის.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 4 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1958 წელს წიგნში „სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები", ტ. II

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი პირის მიხედვით თარგმანი გერმანულიდან

287

## დ. ი. კურსკის

დროა დავამტკიცოთ სახკომსაბჭოს ს ა ე რ თ ო რეგლამენტი.

1. მომხსენებლებს **10** წუთი.

2. ორატორებს პირველად—**5**, მეორედ—**3** წუთი.

3. ილაპარაკონ არა >* ორჯერ.

4. წესრიგისათვის 1 მომხრე და 1 წინააღმდეგი თითო წუთი.

5. ამოღება სახკომსაბჭოს **განსაკუთრებული** დადგენილების მიხედვით [191].

დაწერილია არა უგვიანეს 1919 წლის 5 აპრილისა

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

288

## სარატოვის საბჭოთა დაწესებულებებს (საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს, საგუბერნიო აღმასკომს, საქალაქო აღმასკომს და სხვ.)

1919 წ. 5. IV.

სავსებით ვუერთდები სურსათის სახალხო კომისარიატის თხოვნას, რომ ყოველნაირად შევუწყოთ ხელი სარატოვის „წი-

* — უმეტეს. რ ე დ.

თელი დედაქალაქების დამშეულ ბავშვთა დაცვის საბჭოს". ჩემი მხრივ ძალიან გთხოვთ მთელი ძალ-ღონით დაეხმაროთ ამ „ბავშვთა დაცვის საბჭოს".

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 289

## პასუხი სკოპინოს მაზრის გლეხებს [192]

საშუალოზე ნაკლები ქონების მქონე გლეხების დაბეგვრა საგანგებო გადასახადით უკანონოა. საშუალო გლეხთა დაბეგვრის შესამსუბუქებლად ზომები მიღებულია. ამ დღეებში იქნება დეკრეტი[193]. დანარჩენ საკითხებზე დაუყოვნებლივ შევეკითხები სახკომებს და გამოგიგზავნით პასუხს.

5/IV—1919.

ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი პირის მიხედვით

## 290

## ს. პ. სერედას და ა. დ. ციურუპას [194]

**სერედას და ციურუპას**

გლეხი ფილიპე ილიას ძე ბოდროვი (ცხოვრობს მოსკოვში, სოკოლნიკი, სატყეო სკოლა) — ყოფილი პიტერელი მუშა, პარტიაში 20 წელზე მეტია, — აქვს მეურნეობა ტულის გუბერნიის ვენევსკის მაზრაში (ოჯახის დაახლოებით 20 ერთად მცხოვრები გაუყოფელი (ვერ გაიყვნენ) წევრი, **„საშუალო გლეხი"**), მარწმუნებს, რომ შესაძლებელია პურის ჩამოტანა **ჭაპნით** მოსკოვში მისგან 200 ვერსის მანძილზე (მისი სოფელი 180 ვერსზეა მოსკოვიდან). პური გვაქვსო, გვაქვს ნამეტიცო.

ზამთრის დრო ხელიდან გაუშვითო, მაგრამ თ ე ს ვ ი ს შ ე მ დ ე გ ა ც (მთავრდება ნიკოლოზობამდე) დარჩება თავისუფალი დრო **დაახლოებით 1 თვე** (ნაკელის გატანამდე ერთ კვირას პეტრეპავლობამდე). უნდა გამოიყენოთ.

საჭიროა ს ა ს წ რ ა ფ ო დ, დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ შეაგროვოთ ცნობები და, თუ არის **თუნდაც მცირე შანსი**, განახორციელოთ ეს ღონისძიება, რადგან აღმოსავლეთიდან პურს ვერ შემოვზიდავთ.

7. IV. 1919.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

291

## ტელეფონოგრამა მ. ლ. პანიუშკინს [195]

ამხანაგ პანიუშკინს

წინადადებას გაძლევთ დაუყოვნებლივ, არც ერთი წუთი არ დაკარგოთ, დაიწყოთ ბრიგადის დატვირთვა და სასწრაფოდ გაგზავნოთ იგი დანიშნულებისამებრ. გავალებთ გაემგზავროთ ფრონტზე ბრიგადასთან ერთად. შესრულება მომახსენეთ.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 7 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი პირის მიხედვით

292

## რადიოგრამები ბელა კუნს [196]

1

7 აპრილი, დღის 1.45

ლენინი გთხოვთ მიესალმოთ ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკას. იგი გთხოვთ სასწრაფოდ აცნობოთ მას რაც შეიძლება უფრო

დაწვრილებით. განსაკუთრებით ყველაფერი, რაც ეხება ბავარიის მხარის სოციალიზაციას.

ლ ე ნ ი ნ ი

**2**

8 აპრილი, დილის 2.15

გთხოვთ გვაცნობოთ დაწვრილებით ბავარიაში მომხდარი რევოლუციის შესახებ. ჩვენ არაფერი არ ვიცით, გარდა ბავარიის საბჭოთა მთავრობის მოკლე რადიოგრამისა. გთხოვთ გვაცნობოთ, როგორ მიმდინარეობს იქ ამბები და მთლიანად და სავსებით გაბატონდა თუ არა ახალი წყობილება. გთხოვთ მოგვცეთ ცნობები ჩემ მიერ გუშინ მოთხოვნილ ინფორმაციაზე ეროვნულ საკითხში თქვენი პროგრამის შესახებ. როგორ არის ბავარიაში საბჭოთა მთავრობის აგრარული პროგრამის საქმე?*

ლ ე ნ ი ნ ი

„*Münehner Neueste Nachrichten*"
№ 162, 1919 წლის 9 აპრილი

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

**293**

## დეპეშა კნიაგინინის სამაზრო სამიწათმოქმედო განყოფილებას

კნიაგინინი, სამაზრო სამიწათმოქმედო განყოფილება
პირი იჩალკი
კნიაგინინის მეორე ზაპიანსკის საზოგადოება

შეუწყნარებელია რაიმე იძულების ზომები გლეხთა გადასასვლელად მინდვრების საზოგადოებრივ დამუშავებაზე. ამის

* იგულისხმება ბავარიის საბჭოთა მთავრობა. რ ე დ.

შეუსრულებლობა დაისჯება რევოლუციური კანონის მთელი სიმკაცრით[197].

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი*

დაწერილია 1919 წლის 8 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტის მიხედვით, რომელსაც ხელს აწერს ვ. ი. ლენინი

## 294

## დეპეშა ნ. ნ. კუზმინს[198]

1919 წ. 8. IV.

ვოლოგდა ან პლესეცკაია
ადგილსამყოფელის მიხედვით
მე-6 არმიის სამხედრო კომისარს კუზმინს

თქვენი დეპეშები ჩემზე ახდენენ შთაბეჭდილებას, რომ ინგლისელები გატყუებენ. ამიტომ, სრულიადაც არ ვწყვეტ რა წინასწარ თქვენი სამხედრო უფროსების განკარგულებებს, გთხოვთ თქვენი მხრივ ყოველნაირად გააძლიეროთ დაცვა და სიფხიზლე, აგრეთვე იზრუნოთ ჩვენი შეტევის გაძლიერებისათვის.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 295

## დეპეშა ყაზანის საგუბერნიო აღმასკომს

1919 წ. 9. IV.

ყაზანი, საგუბერნიო აღმასკომი
პირი სამხედრო რევოლუციურ კომიტეტს

იადრინიდან ჩივიან მოქალაქეები ჩერნიშოვი, სოროკინი, სემიონოვი, გერმანი, რომ ისინი ხუთი თვეა ციხეში სხედან

* დეპეშას ხელს აწერს აგრეთვე მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ს. პ. სერედა. რ ე დ.

გამოუძიებლად. დაუყოვნებლივ შეამოწმეთ საჩივარი და მომეცით მაშინვე ახსნა-განმარტება.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 296

## დეპეშა ს. ა. მინინს[199]

გმადლობთ ცნობებისათვის. გთხოვთ მოიფიქროთ მთელი რიგი სისტემატური ღონისძიებანი ტულაში მდგომარეობის მტკიცედ გაუმჯობესებისათვის.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 11 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 297

## დეპეშა ორიოლის საგუბერნიო აღმასკომს[200]

1919 წ. 12. IV.

ორიოლი, საგუბერნიო აღმასკომი
პირი მალოარხანგელსკი, სამაზრო აღმასკომს

დაპატიმრებულია ლიტერატორი ივანე ვოლნი. გორკი, მისი ამხანაგი, ძალიან გვთხოვს რაც შეიძლება მეტ სიფრთხილეს, მიუკერძოებელ გამოძიებას. ხომ არ შეიძლება გავათავისუფლოთ სერიოზული მეთვალყურეობის ქვეშ? მიდეპეშეთ.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

### 298

## დეპეშა ა. მ. გორკის

1919 წ. 14. IV.

პეტროგრადი
სმოლნი, გორკის

ორიოლის საგამომძიებლო კომისიის თავმჯდომარე ჩუქინოვი მიდეპეშებს, რომ ივანე ვოლნი დროებით განთავისუფლებულია საქმის გარჩევამდე.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

### 299

## დეპეშა ქ. გ. რაკოვსკის [201]

კიევი, უკრაინის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს
პირი უკრაინის სამხედრო საქმეთა სახკომს

რესპუბლიკაში საკურორტო საქმის ახლად დაყენების გამო და ომისა და შრომის ინვალიდთა, დაქანცულ წითელარმიელთა და ჩრდილოეთის დაუძლურებულ მუშათა სამკურნალოდ და დასასვენებლად კურორტების გამოყენების მიზნით საჭიროა მივიღოთ სასწრაფო ზომები წითელი არმიის მიერ ხელში ჩაგდებული სამხრეთის კურორტების დასაცავად.

გთხოვთ დაუყოვნებლივ მისცეთ განკარგულება სამხრეთ რუსეთში და თავრიდის ნახევარკუნძულზე მოქმედი ჯარის ნაწილების უფროსებს, მიიღონ უაღრესად მკაცრი ზომები, რათა დაიცვან ნგრევისა და დატაცებისაგან სამკურნალო ხელსაწყოები, ნაგებობანი, ინვენტარი, ნარგავები, მასალები და მარაგი სამხრეთ რუსეთისა და ყირიმის ნახევარკუნძულის, ოდესის, გოლაია პრისტანის, ბერდიანსკის, მოინაკის, საკის,

ევპატორიის, სევასტოპოლის, ბალაკლავის, იალტის, ალუპკის, გურზუფის, ალუშტის, ფეოდოსიის, ქერჩისა და სხვა კურორტებზე.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი*

დაწერილია 1919 წლის 15 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტის მიხედვით, რომელსაც ხელს აწერს ვ. ი. ლენინი

**300**

## დეპეშა გ. ე. ზინოვიევს

.1919 წ. 18. IV.

პეტროგრადი

სმოლნი, ზინოვიევს

მივიღე თქვენი დეპეშა იმის შესახებ, რომ პიტერელი მუშები მხურვალედ გამოეხმაურნენ მობილიზაციას [202]. დღეს მქონდა მთავარსარდლის ვრცელი მოხსენება და ნათლად ვხედავ, რომ საჭიროა ძალების შეუნელებელი დაძაბვა და განსაკუთრებული სისწრაფე. ისარგებლეთ კალინინის ყოფნით პიტერიდან გამოგზავნის გაძლიერებისა და დაჩქარებისათვის. შესაძლებლობის ფარგლებში კალინინსაც გამოატანეთ რაც შეიძლება მეტი.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1938 წლის 23 თებერვალს გაზეთ „პრავდაში" № 53

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* დეპეშას ხელს აწერს აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის სახკომი ნ. ა. სემაშკო. რ ე დ.

## 801

## დეპეშა ქ. გ. რაკოვსკის

შიფრით

კიევი, რაკოვსკის

ესერების შესახებ გირჩევთ არავითარ შემთხვევაში არ მისცეთ სამზე მეტი და ამ სამსაც დაუწესოთ ბოლშევიკთა კარგი მეთვალყურეობა, ხოლო თუ არ დათანხმდნენ — მით უარესი მათთვის, ჩვენ ვიქნებით მოგებული [203]. სამხედრო ამოცანების შესახებ ერთხელ კიდევ მოგაგონებთ ორ უმნიშვნელოვანეს ამოცანას: გარღვევა ბუკოვინაზე და როსტოვის აღება. მთელი ძალები უნდა მოვახმაროთ ამ ორ ამოცანას — დაუდასტურეთ პოდვოისკისა და ანტონოვს. რაც შეეხება დიბენკის გეგმებს, უფრთხილდით ავანტიურას — მეშინია, რომ კრახით დამთავრდება და იგი მოწყვეტილი აღმოჩნდება [204]. უფრო გონივრული ხომ არ იქნება მისი ძალებით შევცვალოთ მახნო და დავარტყათ ტაგანროგსა და როსტოვს. გირჩევთ სამგზის მოიფიქროთ, გადაწყვიტეთ ეს, რა თქმა უნდა, თვითონ.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 18 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 802

## ფ. ე. ძერჟინსკის [205]

ამხ. ძერჟინსკი!

ძალიან გთხოვთ დანიშნოთ რ ა ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა მ კ ა ც რ ი გამოძიება.

18/IV.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 18 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

303

## ტამბოვის საგუბერნიო აღმასკომს

1919 წ. 20. IV.

ტამბოვი
საგუბერნიო აღმასკომს

ამასთან გიგზავნით დეპეშას ტამბოვიდან[206]. გთხოვთ მოაწყოთ ერთხელ კიდევ ამ 252 კაცის (გაურკვეველია, ისინი ყ ვ ე ლ ა ნ ი არიან კოოპერატივის წევრები თუ მხოლოდ ნაწილი და რა საერთო რიცხვიდან) საერთო კრება და განუმარტოთ მათ შემდეგი:

„სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დეკრეტი სამომხმარებლო კომუნების შექმნის შესახებ პროდუქტების სწორი განაწილების მიზნით. უსამართლობაა, რომ უკლებლივ მ თ ე ლ ი მოსახლეობისათვის საჭირო პროდუქტების განაწილებაში მონაწილეობდეს მოსახლეობის მხოლოდ ნ ა წ ი ლ ი, როგორც ეს იყო კაპიტალიზმის დროს. ყველა ქვეყანაში კოოპერატივები კაპიტალიზმის დროს მოიცავენ უმთავრესად მუშებისა და გლეხების ზედაფენებს. საჭიროა, რომ ახლა არა მარტო ზედაფენებმა, არამედ ყ ვ ე ლ ა, უკლებლივ ყველა მშრომელმა მიიღოს მონაწილეობა პროდუქტების განაწილებაში.

ალბათ არ გამოინახება მსოფლიო კოოპერაციული მოძრაობის თუნდაც ერთი დიდი დამაარსებელი, რომელსაც არ ეთქვას, რომ ეს მოძრაობა გადაიქცევა სოციალიზმად. ახლა სწორედ დადგა ეს დრო, და კოოპერაციის მთელი საუკეთესო ელემენტები თანაუგრძნობენ კოოპერაციის ისეთ გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა ს, როგორიცაა დეკრეტი სამომხმარებლო კომუნებად კოოპერატივების გარდაქმნის შესახებ, რ ო მ ლ ე ბ ი ც მ ოი ც ა ვ ე ნ ყ ვ ე ლ ა მ შ რ ო მ ე ლ ს მ თ ლ ი ა ნ ა დ.

კონტროლის უფლება, სავსებით დამოუკიდებელი, ისევე როგორც უფლება აწარმოონ საქმე დამოუკიდებლად, **დარჩათ** სამომხმარებლო კომუნების წევრებს. აი ამიტომ ვთხოვ კრებას გადასინჯოს თავისი გადაწყვეტილება, ცნოს, რომ სახკომსაბჭოს დეკრეტი სავალდებულოა და არ მიიყვანოს მუშურ-

გლეხური ხელისუფლება იქამდე, რომ მიიღოს იძულების არასასურველი ზომები.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)"

ბრჭყალებში ჩასმული ეს ნაწილი წაიკითხეთ კრებაზე, დაბეჭდეთ ადგილობრივ გაზეთში. დაწვრილებით განმარტეთ (და ტ ა ქ ტ ი ა ნ ა დ, ა რ ა უ კ მ ე ხ ა დ) ჩემი ნათქვამი. მიდევნეთ შესრულება.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1958 წელს ჟურნალში „ვოპროსი ისტორიი კპსს" № 1

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

304

## დეპეშა ი. ი. ვაცეტისს და ს. ი. არალოვს [207]

შ ი ფ რ ი თ

სერპუხოვი
მთავარსარდალ ვაცეტისს და რესპუბლიკის
რევოლუციური სამხედრო საბჭოს
წევრს არალოვს

გალიციისა და ბუკოვინის ნაწილში წინსვლა საჭიროა საბჭოთა უნგრეთთან კავშირისათვის. ეს ამოცანა უნდა გადაიჭრას რაც შეიძლება მალე და მტკიცედ, ხოლო ამ ამოცანის ფარგლებს გარეთ არავითარი დაკავება გალიციისა და ბუკოვინისა საჭირო არ არის, რადგან უკრაინის არმია რა თქმა უნდა და არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩამოვაცილოთ თავის ორ მთავარ ამოცანას, სახელდობრ: პირველი უმნიშვნელოვანესია და გადაუდებელი—დაეხმაროს დონბასს. ამ დახმარებას უნდა მიაღწიოთ სწრაფად და დიდი მასშტაბით. მეორე ამოცანაა, მტკიცე

კავშირი დაამყაროთ რკინიგზებით საბჭოთა უნგრეთთან. აცნობეთ თქვენი დირექტივები ანტონოვს და მათი შესრულების შემოწმების ღონისძიებანი.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე
ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის
21 ან 22 აპრილს

პირველად დაიბეჭდა
შემოკლებით 1957 წლის
21 აპრილს „ლიტერატურნაია
გაზეტაში" № 48

მთლიანად დაიბეჭდა
უკრაინულ ენაზე 1958 წელს
წიგნში „ბოროტბა ტრუდიაშჩიხ
ბუკოვინი ზა სოციალნე ი ნაციონალნე ვიზვოლენია ი ვოზ'ედნანია
ზ უკრაინსკოიუ რსრ. 1917—1941",
ჩერნივცი

რუსულ ენაზე მთლიანად დაიბეჭდა
1961 წელს წიგნში „სსრ კავშირის
სამოქალაქო ომის ისტორიიდან",
ტომი 2

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**305**

## ე. მ. სკლიანსკის [208]

ამხ. სკლიანსკი!

ეს სწორედ იმას ეხება, რაც გუშინ გადაწყდა.

საჭიროა **ს ა ს წ რ ა ფ ო დ, ახლავე:**

1) შეადგინოთ ცენტრალური კომიტეტის დირექტივის ტ ე ქ ს ტ ი ყველა „ნაციონალთადმი" სამხედრო **ერთიანობის** (გაერთიანების) შესახებ*;

2) მისცეთ იგი პრესაშიც მთელი რიგი სტატიებისათვის;

* „პროექტი ცკ-ის დირექტივისა სამხედრო ერთიანობის შესახებ" იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 29, გვ. 472—473. *რ ე დ.*

3) ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო სავალდებულო სწავლების შესახებ (აიღეთ 100% და არა 75% [209]) **ახლავე**, დღესვე, დეკრეტის პროექტი მოამზადეთ;

4) გაიანგარიშეთ: 24 000 მეთაურთა შემადგენლობა. თუ ავიღებთ ერთს ათზე, მაშასადამე, შეიძლება შეიქმნას **240 000**-იანი არმია.

შეამოწმეთ და აიღეთ ნორმად მაშინვე როგორც რუსეთის, ისე უკრაინის **მომარაგების ცენტრალური სამმართველოსათვის**.

დაწერილია 1919 წლის 24 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

### 306

## დეპეშა გ. ი. სოკოლნიკოვს

შიფრით

ს ო კ ო ლ ნ ი კ ო ვ ს

რადაც უნდა დაგიჯდეთ სწრაფად უნდა აღმოფხვრათ, და ბოლომდე, აჯანყება. ცეკამ გაგზავნა ბელობოროდოვი. მეშინია, რომ ცდებით, როცა არ იყენებთ სიმკაცრეს, მაგრამ, თუ აბსოლუტურად დარწმუნებული ხართ, რომ ძალები არ არის სასტიკი და ულმობელი გასწორებისათვის, მიდეპეშეთ დაუყოვნებლივ და დაწვრილებით. ხომ არ შეიძლება შეჰპირდეთ ამნისტიას და ამ ფასად განაიარაღოთ მთლიანად? მიპასუხეთ მაშინვე. გიგზავნით კიდევ მეთაურთა ორ კურსებს.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 24 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 307

## ე. მ. სკლიანსკის

თქვენ უნდა: 1) დღეს გაუგზავნოთ დეპეშები ა ღ მ ო ს ა- ვ ლ ე თ ი ს ფ რ ო ნ ტ ი ს რევოლუციურ სამხედრო საბჭოსა **და არმიას** ჩისტოპოლისათვის სასწრაფო დახმარების ღონისძიებათა შესახებ;

2) თ ვ ი თ ო ნ მოელაპარაკეთ დღეს პირდაპირი მავთულით აღმოსავლეთის ფრონტს.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 26 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1925 წლის 23 სექტემბერს გაზეთ „პრავდაში" № 217

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 308

## დეპეშა ს. ი. გუსევს

1919 წ. 26. IV.

გუსევს

საჭიროა მიიღოთ ჩისტოპოლისათვის დახმარების სასწრაფო ღონისძიებანი. საკმაო ყურადღებით თუ მოეპყარით თქვენ ამას? ყველა შესაძლებლობა თუ ამოწურეთ? მიდეპეშეთ.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 309

## დეპეშა კ. ა. მეხონოშინს

**შიფრით**

ასტრახანი
მეხონოშინს

23/4 ცნობიდან ჩანს, რომ „არდაგანი" და „ყარსი" ბაქოდან დაუსჯელად გავიდნენ გურიევში. მაშ ასე, ასტრახანელები ტრა-

ბახით გვპირდებიან დიდ გამარჯვებებს მომავალში, ამავე დროს მტერს უშვებენ გურიევში. ეს აღმაშფოთებელია და გვაიძულებს ისიც კი ვიფიქროთ, რომ ან ღალატია, ან ბოროტი საბოტაჟი. მოვითხოვ თქვენგან უმკაცრეს კონტროლს, პირადად შემოწმებას, უაღრესად გულმოდგინე მეთვალყურეობას, უთუო სიფხიზლეს.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 26 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 310

## გ. ე. ზინოვიევს [210]

ამხ. ზინოვიევ! წაიკითხეთ ეს თვითონ და წააკითხეთ ამხ. ბადაევს. მას ს ა ს ტ ი კ ა დ უნდა მიეთითოს: ცენტრის მოწერილობათა კიდევ ერთი შეუსრულებლობა — და ჩვენ მას **სამართალში მივცემთ**. ეს სახუმარო არ არის.

ჩამოართვით ხელწერილი, რომ ეს მას გამოეცხადა.

26/IV.

ლ ე ნ ი ნ ი

P. S. თანდართული მასალები და ეს წერილი დ ა ა ბ რ უ ნ ე თ.

დაწერილია 1919 წლის 26 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 311

## დაცვის სიგელი ვ. ი. ტანეევს [211]

1919 წლის 26 აპრილი

მოქალაქე ვლადიმერ ივანეს ძე ტ ა ნ ე ე ვ ს

დაცვის სიგელი

სახალხო კომისართა საბჭოს 1919 წლის 25/III დადგენილების საფუძველზე ეძლევა ეს დაცვის სიგელი მოქალაქე ვლა-

დიმერ ივანეს ძე ტ ა ნ ე ე ვ ს, 78 წლისას, რომელიც მრავალ წელს მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა და, კარლ მარქსის დადასტურებით, თავი გამოიჩინა როგორც „ხალხის განთავისუფლების ერთგულმა მეგობარმა“ [212].

მოქალაქე ვლადიმერ ივანეს ძე ტანეევს უფლება ეძლევა იაროს სახალხო კომისართა საბჭოს ბიბლიოთეკაში, ხოლო ყველა დანარჩენ სახელმწიფო ბიბლიოთეკას წინადადება ეძლევა ყოველმხრივ შეუწყოს ხელი მას მეცნიერულ მუშაობასა და კვლევა-ძიებაში. ყველა საბჭოთა ხელისუფალთ წინადადება ეძლევათ გაუწიონ მოქალაქე ვლადიმერ ივანეს ძე ტანეევს დახმარება როგორც პირადად მისი, ისე მისი ოჯახის, ბინისა და ქონების დაცვის საქმეში. რუსეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში მისი მოგზაურობის შემთხვევაში წინადადება ეძლევათ ყველა სარკინიგზო და სანაოსნო ხელისუფალთ გაუწიონ მოქალაქე ვლადიმერ ივანეს ძე ტანეევსა და მის ოჯახს შესაძლო დახმარება მატარებლის ბილეთებისა და მატარებლებში ადგილების მიღების საქმეში.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელსაც ხელს აწერს
ვ. ი. ლენინი

## 312

## დეპეშა ლ. ბ. კამენევს

ეკატერინოსლავი, კამენევის მატარებელი
კამენევს

დირექტივა დონბასის შესახებ დიდი ხანია გამეორებულია. მიაღწიეთ ფაქტობრივ შემოწმებას, სახელდობრ რა, რამდენი, როდის, სად მივიდა, ან სად არის გზაში. იოფე საჭიროა არა

ყირიმში, არამედ უკრაინის მთავრობაში იმ პოსტზე, რომელსაც შეარჩევს რაკოვსკი დამოუკიდებლობანას წინააღმდეგ სამუშაოდ, ყირიმში კი შევარჩევთ სხვას, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა დიბენკოს.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 28 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება
ტელეგრაფის ბლანკის
გაშიფრული ტექსტის
მიხედვით

**313**

## ᲡᲐᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲝ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ Ვ. Ს. ᲛᲘᲪᲙᲔᲕᲘᲩᲡ

1919 წ. 29. IV.

ამით რეკომენდაციას ვაძლევ ამხანაგ ვალენტინ სერგის ძე მიცკევიჩს როგორც კომუნისტსა და როგორც უთუოდ კეთილსინდისიერ მუშაკს. უნდა დავძინო, რომ, ამხანაგების დამოწმებით, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ მის მუშაობას და აბსოლუტური ნდობის ღირსი არიან, ამხ. მიცკევიჩს აქვს ორგანიზატორის უნარი.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**314**

## ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲡ

მე მქონდა ვაცეტისისა და შტაბის უფროსის დაწვრილებითი მოხსენება. დ ა ს კ ვ ნ ა ს ა ვ ა ლ ა ლ ო ა.—საჭიროა ძალების ენერგიული დაძაბვა. ა რ უ ნ დ ა შ ე ვ ა ნ ე ლ ო თ ახლანდელი აღმავლობა, არამედ შევინარჩუნოთ მინიმუმ ორ

თვეს და *უფრო გავაძლიეროთ*. სხვანაირად ომს ვერ დავამთავრებთ, დამთავრება კი საჭიროა *რადაც უნდა დაგვიჯდეს*, რადგან მასების დაღლილობის ნიშნები (100 000 დეზერტირი) სულ უფრო ხშირდება.

შემდეგი ღონისძიებანი განვიხილე ტროცკისთან ერთად:

1) დონზე გაიგზავნოს 3 ათასი ომისათვის *უვარგისი* და შეუიარაღებელი პიტერელი მუშა. მიზანი — მოვაწესრიგოთ საქმეები, დავაუძლუროთ კაზაკები, *შიგნიდან* გავხრწნათ ისინი, *დავსახლდეთ მათ შორის*, შევქმნათ სოფლებში ჯგუფები და ა. შ.

2) მოვამზადოთ მთელი ძალ-ღონით კიდევ და კიდევ ფლოტილია ვოლგაზე. *შეკეთება* განსაკუთრებით.

3) იგივე — არტილერიის შესახებ (კარელიის ხაზიდან მოუხსნელად). საჭიროა *კიდევ და კიდევ* სამხედროებთან ერთად შევამოწმოთ, ხომ არ შეიძლება დავეხმაროთ აღმოსავლეთს არტილერიით.

4) შაშხანები შეაგროვეთ, *განსაკუთრებით დამტვრეული* (ტულაში შეუძლიათ შეაკეთონ დღეში 800; *სამუშაო არ არის*).

5) მუშათა მობილიზაცია პიტერში განაგრძეთ და გაგზავნეთ უკრაინაშიც და დონზეც.

დღეს მივიღე ზინოვიევის დეპეშა, რომ პიტერში გაჩერდა რამდენიმე დიდი ქარხანა ნავთობის ნაკლებობის გამო. კრასინი ვერ ვიპოვე ტელეფონით. როცა ვიპოვი, ვაცნობებ. მაგრამ ვფიქრობ, ნავთობი არ არის და არც იქნება. გირჩევთ ეს მუშები *ყველა* დასძრათ უკრაინისაკენ, დონისაკენ, აღმოსავლეთისაკენ 3 თვით. სისულელეა იშიმშილო და დაიღუპო პიტერში, როცა შეიძლება მოიპოვო პური და ქვანახშირი.

6) აგრეთვე განაგრძეთ პარტიული მუშაკების მობილიზაცია, განსაკუთრებით ფრონტისპირა ადგილებში.

კიდევ და კიდევ უნდა „გავძარცვოთ პიტერი“, ესე იგი წავიყვანოთ იქიდან ადამიანები, თორემ ვერ გადავარჩენთ ვერც პიტერს, ვერც რუსეთს.

პიტერში მართვისა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუ-

შაობის სხვადასხვა დარგი შეიძლება და კიდევაც უნდა შ ე ვ ა ს უ ს ტ ო თ 3 თვით ა თ კ ე ც ა დ.

მაშინ ვიხსნით რუსეთსაც და პიტერსაც.

პიტერელთა დონის სხვა მუშები ჩვენ არ გვყავს.

სალამი! ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის
აპრილის მეორე ნახევარში

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს
ჟურნალში „კრასნაია ლეტოპის"
№ 5-6 (50-51)

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით

**315**

## ლ. ბ. კამენევს [213]

დამპალ დათმობათა მიღება ივნისშიც არ იქნება გვიან. ციურუპა ამტკიცებს, რომ ცენტროზაკუპმა დაამზადა რამდენიმე მ ი ლ ი ო ნ ი (არანორმირებული), ხოლო „თავისუფალმა დამზადებამ" მოკლა ეს და მოგვცა ბ ე ვ რ ა დ ნ ა კ ლ ე ბ ი.

მოდით შევამოწმოთ ეს ციფრები — **მასობრივი.**

1) რამდენი დაამზადა (და მოზიდა) (ფაქტობრივად) ცენტროზაკუპმა 2 ან 3 თვეში?

2) რამდენი მ ო ზ ი დ ა „თავისუფალმა" მომტანმა **თებერვალში + მარტში?**

დაწერილია 1919 წლის აპრილში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**316**

## მ. მ. კოსტელოვსკაიას [214]

გაიგეთ ისე, როგორც არის: არის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება. ო მ ი ა ნ ო ბ ი ს დ რ ო ა. ყველა ყ ვ ე ლ ა ზ ე ძ ნ ე ლ ა დ გ ი ლ ა ს ა ა.

დაწერილია 1919 წლის აპრილში

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 317

## ი. ე. რუძუტაკს [215]

**რუძუტაკს:** ეს მივიღე 2. V!!!!! ს ა ს ტ ი კ ა დ გააძრეთ ტყავი: 27. IV დეპეშა ჩემთვის უნდა მოეტანათ **არა უგვიანეს** 28. IV. (გამომიგზავნეთ დამნაშავეთა ხელწერილი, რომ მათ გამოეცხადა საყვედური და გაფრთხილება.)

2/V. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 2 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 318

## ე. მ. სკლიანსკის [216]

ს კ ლ ი ა ნ ს კ ი ს : ეს **ძ ა ლ ი ა ნ** საჭიროა; უნდა **დაუტოვოთ** მათ 33-ე დივიზიის ნაწილი და **დაუყოვნებლივ** მივაღწიოთ **არქიზუსტ** დეპეშას ამის შესახებ ვაცეტისისაგან ასტრახანში.

2/V. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 2 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 319

## ა. ე. ბადაევს [217]

**ბადაიჩს**

ამხ. ბადაევ! ნუ ჭირვეულობთ—ქალიშვილი როდი ხართ. იმას კი არ გეკითხებიან, მიგაჩნიათ თუ არა „ყველა თქვენი მოქმედება“ უ თ უ ო დ (!!) სწორად“ (ეს სასაცილოა !!), არამედ იმას, ასრულებდით თუ არა ცენტრის **ყველა** განკარგულებას.

თქვენ კი ამის შესახებ დუმხართ! იმუშავეთ, **გადადგომაზე არ გეთანხმებით.** მომავალში შეასრულეთ ცენტრის ყველა განკარგულება და ნუ ლაპარაკობთ უხამს სისულელეს „ხრიკების“ შესახებ.

4/V. სალამი! ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 4 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 320

## დეპეშა ვ. ა. ანტონოვ-ოვსეენკოსა და ნ. ი. პოდვოისკის

კიევი, ანტონოვს, პოდვოისკის
პირი რაკოვსკის

პარტიის ცეკა მკაცრ საყვედურს უცხადებს ანტონოვსა და პოდვოისკის იმისათვის, რომ, დაპირების საწინააღმდეგოდ და მრავალი მოთხოვნის მიუხედავად, არაფერი სერიოზული დონბასის განთავისუფლებისათვის არ გაკეთებულა. ცეკა მოითხოვს მთელი ძალ-ღონის დაძაბვას და გაფრთხილებთ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მიგცემთ პარტიულ სამართალში.

ცეკას სახელით ლ ე ნ ი ნ ი*

გაგზავნილია 5/V. 2. 37.

დაწერილია 1919 წლის 5 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* შემდეგ არის ი. ბ. სტალინისა და ნ. ნ. კრესტინსკის ხელმოწერები, დაწერილი ვ. ი. ლენინის ხელით. რ ე დ.

# 321

## გ. ვ. ჩიჩერინსა და მ. მ. ლიტვინოვს[218]

ძვირფასო ამხანაგებო!

გიგზავნით ჩემს შენიშვნებს. თუ პრინციპული უთანხმოება არ იქნა, თვითონ გადაწყვიტეთ. ჩემი რჩევაა: გამოიყენოთ პ რ ო პ ა გ ა ნ დ ი ს ა თ ვ ი ს, რადგან ცხადია, რომ **სხვა** გაგება არ შეიძლება იყოს. არქითავაზიანად მოექეცით ნანსენს, ა რ ქ ი თ ა ვ ხ ე დ უ რ ა დ ვილსონს, ლოიდ ჯორჯსა და კლემანსოს, ეს ძალიან სასარგებლოა, მათთან მ ხ ო ლ ო დ ასე — აი სწორი ტონი.

6/V. ლ ე ნ ი ნ ი

ჩემი აზრით, ორივე პასუხი სავსებით სწორია, მოითხოვთ რა ნახვას და მადლობას უხდით რა ნანსენს. მაგრამ მე მგონია, საჭიროა მ ე ტ ა დ განავითაროთ პ რ ო პ ა გ ა ნ დ ი ს ტ უ ლ ი მხარე, გამოიყენოთ ის გარემოება, რომ ანტანტას, რომელიც ადვილად უმალავს ყველას ჩვენს სხვა დოკუმენტებს*, ს წ ო რ ე დ ა მ პ ა ს უ ხ ს გამონაკლისის სახით ვ ე რ დამალავს.

ამიტომ გირჩევთ გამოიყენოთ პროპაგანდისათვის და განავითაროთ უ ფ რ ო დ ა წ ვ რ ი ლ ე ბ ი თ (α) ჰ უ მ ა ნ ი ტ ა რ უ ლ ი და (β) პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მხარის გამოყოფა. (α) წინადადების ჰუმანიტარულ (ვგონებ,მ ა რ ტ ო ჰუმანიტარულსაც კი?) ხასიათს იმოწმებთ? ამის გამო ყოველნაირი მადლობა და ქათინაურები **პირადად** ნანსენს. ხოლო თუ ჰუმანიტარული მიზნებია, **ნუ გაურევთ**, პატივცემულო, პოლიტიკას, არამედ წ ა მ ო ი ღ ე თ პ ი რ დ ა პ ი რ (ამას ხაზი გაუსვით). წამოიღეთ პირდაპირ! ჩვენ იმაზეც კი მზად ვართ, რომ ერთისამად გ ა დ ა ვ ი ხ ა დ ო თ და **თქვენ** ხალისით შემოგიშვათ კონტროლისათვის და **თქვენ** ყოველნაირი გარანტია მოგცეთ. განა-

---

* იგულისხმება არაერთგზის ოფიციალური მიმართვა ანტანტის სახელმწიფოებისადმი ზავის წინადადებით (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 30, გვ. 216). რ ე დ.

ვითარეთ ეს, გააზვიადეთ, განმარტეთ. **დანიშნეთ ადგილი და დრო მოლაპარაკებისათვის!**

მაგრამ თუ *დაზავებაა*, ეს ხომ *პოლიტიკაა*! თქვენ ხომ განათლებული კაცი ბრძანდებით, ბ-ნო ნანსენ, თქვენ მშვენივრად გესმით, რომ *ყოველგვარი* ომი და *ყოველგვარი* დაზავება არის **პოლიტიკა**. მაშასადამე, **თქვენ** შეაერთეთ „ჰუმანიტარული“ და „პოლიტიკური“, **თქვენ** ერთმანეთში აურიეთ! განუმარტეთ მას როგორც 16 წლის გოგონას, რატომ არის დაზავება *პოლიტიკა*.

(β) განა კარგია ეს — აურიოთ „ჰუმანიტარული“ „პოლიტიკასთან“? არა, ეს ცუდია, რადგან ეს ფარისევლობაა, რომელშიც **თქვენ** არა ხართ დამნაშავე და **თქვენ როდი** გდებთ ბრალს. რადგან პოლიტიკაზე უნდა ილაპარაკოთ *პირდაპირ*, და არა ამოეფაროთ „ჰუმანიტარულობას“.

და რაკი **თქვენ** დაიწყეთ ლაპარაკი პოლიტიკაზე, გვაპატიეთ, ჩვენ *მოვალენი* ვართ გიპასუხოთ არსებითად.

(β[1]) თუ დაზავება **ზავისათვისაა**, თქვენ მშვენივრად იცით, რომ ჩვენ *მხარს ვუჭერთ*. ჩვენ დავეთანხმეთ პრინცის (*ამასაც კი!*) კუნძულებს, [ჩვენ ეს დავუდასტურეთ ბულიტს, რომელიც, სამწუხაროდ, აღმოჩნდა, ისევე როგორც მთელი *ამერიკის პოლიტიკა*, კლემანსოსა და ლოიდ ჯორჯის **ტყვეობაში**, რადგან ის, რასაც ბულიტი შეგვპირდა, როცა გვარწმუნებდა, რომ ამერიკა აიძულებს კლემანსოსა და ლოიდ ჯორჯს დაემორჩილონ, *შეუსრულებელი* დარჩა (სასარგებლოა „გააბრაზოთ“ ვილსონი!)[219]] *.

პრინცის კუნძულები **ჩვენ როდი** ჩავშალეთ, არამედ *მონარქისტებმა* და *ებრაელთა დამრბევებმა*, *მემამულეთა მიწების* აღმდგენებმა — განმარტეთ, განავითარეთ, *დაამტკიცეთ* ეს სამი პუნქ-

* თუ ყველა წინააღმდეგია, ამოიღეთ (ალბათ, იგულისხმება ტექსტი, რომელიც ვ. ი. ლენინმა კვადრატულ ფრჩხილებში ჩასვა.— *რედ*). — ჩემი აზრით კი *პრაქტიკულად* არქისასარგებლოა წავაჩხუბოთ ვილსონი მათთან, განვაცხადებთ რა, რომ ვილსონი *პაიკია* კლემანსოსა და ლოიდ ჯორჯის ხელში, ემორჩილება რა *ამ ორს*, ამ „უმრავლესობას“!!

ტი, რომ დენიკინი და კოლჩაკი 1) მონარქისტები არიან; 2) არბევენ ებრაელებს; 3) აღადგენენ მემამულეთა მიწათმფლობელობას, აწესებენ გლეხებისათვის გამოსასყიდელს.

ჩვენ დაზავებაზე ვთანხმდებოდით ზავის შესახებ მოლაპარაკებისათვის, რა თქმა უნდა, ომის ნამდვილ დამნაშავეებთან, და არა პაიკებთან, ესე იგი ინგლისთან, საფრანგეთთან, ამერიკასთან. განუმარტეთ დაწვრილებით, რომ ისინი აწარმოებენ ომს, მათი გემები, მათი ზარბაზნები, მათი ვაზნები, მათი ოფიცრები. გამოავლინეთ **დაწვრილებით** არქიყალბი „უარყოფა ინტერვენციისა", მაშინ როცა ისინი უჭერენ მხარს (დააქეზებენ) ესტებს, ფინელებს, პოლონელებს.

($\beta^2$) შემდეგ, თუ დაზავებას ზავი არ მოჰყვება, არამედ ის პოლიტიკური თამაშია, — არ გვსურს. ზავთან ხუმრობა არ შეიძლება. ჩვენს მოტყუებას ვერავინ ვერ შეძლებს. ესეც განავითარეთ.

დაამთავრეთ რეზიუმეთი: თუ პოლიტიკაა, მაშინ დაზავება ზავისათვის ჩვენ შევთავაზეთ, თანახმა ვართ, ჩვენ არ ჩაგვიშლია პრინცის კუნძულები, ჩვენ ყოველთვის წავალთ მოლაპარაკებაზე ომის ნამდვილ დამნაშავეებთან.

თუ პოლიტიკა არ არის, არამედ ჰუმანიტარულია, გმადლობთ, ვიღებთ, გეძახით, ჩამოდით, გააკონტროლეთ, ჩვენც წავალთ სადაც გნებავთ (დრო, ადგილი) **და გადავიხდით** თუნდაც მამასისხლად ხე-ტყით, მადნით, გემებით.

ღმერთმანი, არ შეიძლება ხელიდან გავუშვათ შემთხვევა და არ ვუპასუხოთ ნანსენს ისე, რომ კარგი პროპაგანდა გამოვიდეს [220].

დაწერილია 1919 წლის 6 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

### 322

## დეპეშა ვ. ი. მეჟლაუკს

ხარკოვი
სამხედრო საქმეთა სახკომის მოადგილეს
მეჟლაუკს, პირი არტემს

მივიღე ლუტოვინოვისაგან კიდევ ერთი დადასტურება, რომ თქვენ თამაშობთ დამოუკიდებლობანას და ადგილობრივ რესპუბლიკობანას, უარს ამბობთ დაუყოვნებლივ გაგზავნოთ დონბასში მთელი სამხედრო ძალები და ხარკოვის ყველა მობილიზებული მუშა, იმოწმებთ რა პოდვოისკის იდიოტურ აკრძალვებს. გიცხადებთ, რომ პარტიულ სამართალში იქნებით მიცემული და გარიცხული იქნებით პარტიიდან, თუ არ შეწყვეტთ ამ თამაშს და არ გაგზავნით ახლავე ხარკოვის მთელ სამხედრო ძალებს და ყველა მობილიზებულ მუშას დონბასის დასახმარებლად. დაუყოვნებლივ მიპასუხეთ შესრულება შიფრით, რამდენს და სად გზავნით. თქვენ აგებთ პასუხს დაყოვნებისათვის.

1919 წლის 7 მაისი. ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით

### 323

## სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს

1919 წ. 10.V.

გთხოვთ გაუწიოთ ყოველგვარი ხელშეწყობა და დახმარება ამის მომტან ფინელ ამხანაგებს ტორნიაინენს, ხააპალაინენსა და

ვილმის თეთრების წინააღმდეგ ომში დაზარალებული 500 ინვალიდის მოწყობის საქმეში.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით
რომელსაც ხელს აწერს
ვ. ი. ლენინი

## 324

## დეპეშა მ. ვ. ფრუნზეს

აღმოსავლეთის ფრონტის* სამხრეთის ჯგუფის
სარდალს ფრუნზეს

იცით თუ არა ორენბურგის მძიმე მდგომარეობა?[221] დღეს გადმომცეს რკინიგზელებისაგან, რომლებიც პირდაპირი მავთულით გველაპარაკნენ, ორენბურგელთა სასოწარკვეთილი თხოვნა გავუგზავნოთ 2 პოლკი ქვეითი ჯარი და 2 პოლკი კავალერია ან თუნდაც პირველ ხანად 1000 ქვეითი და რამდენიმე ესკადრონი. მაცნობეთ დაუყოვნებლივ, რა წამოიწყეთ და როგორია თქვენი გეგმები. რა თქმა უნდა, ჩემს დეპეშას ნუ განიხილავთ როგორც სამხედრო ბრძანებების დარღვევას.

1919 წლის 12 მაისი. ლენინი

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით
1928 წლის 24 ივლისს გაზეთ
„პრავდაში" № 170

მთლიანად დაიბეჭდა 1934 წელს
ჟურნალში „პროლეტარსკაია რევოლუცია № 3

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით

* სიტყვები „აღმოსავლეთის ფრონტის" დაწერილია ვ. ი. ლენინის ხელით. რედ.

325

## დეპეშა მ. ი. კალინინს

სიმბირსკი და ა დ გ ი ლ ს ა მ ყ ო ფ ე ლ ი ს
მ ი ხ ე დ ვ ი თ
ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს ც ა კ ი ს
თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ს კ ა ლ ი ნ ი ნ ს

ატიაშევოს სადგურის სურსათის მუშაკები ჩივიან, რომ თქვენი განკარგულებით იგზავნება სპეკულანტების კარტოფილი, ფასები გაზრდილია, დამზადება შეჩერდა. აბსოლუტურად საჭიროდ მიგვაჩნია თავი შეიკავოთ სასურსათო საკითხებზე ტექნიკურ კონკრეტულ მითითებათა და განკარგულებათა მიცემისაგან, რომლებიც აუქმებენ დეკრეტებს, არღვევენ საერთო სასურსათო პოლიტიკას. საერთოდ უწყებრივ და პარტიულ ურთიერთდამოკიდებულებას ნუ დაარღვევთ, მთავარი ყურადღება მიაქციეთ გლეხებს.

ც ე კ ა ს პ ო ლ ი ტ ბ ი უ რ ო ს [ს ა ხ ე ლ ი თ
ლ ე ნ ი ნ ი*

დაწერილია 1919 წლის 13 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება ა. დ. ციურუპას ხელით დაწერილი ტექსტის მიხედვით, რომელიც შევსებული და ხელმოწერილია ვ. ი. ლენინის მიერ

326

## დეპეშა გ. ი. სოკოლნიკოვს

ბოგუჩარი შიფრით
სოკოლნიკოვს

მივიღეთ ბელობოროდოვისაგან შემდეგი დეპეშები, პირველი: „ფრონტი დონეცზე გარღვეულია“ და ა. შ. და მეორე:

* სიტყვები „სიმბირსკი და ა დ გ ი ლ ს ა მ ყ ო ფ ე ლ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ“ მისამართში და დეპეშის ტექსტი სიტყვებიდან „საერთო ურთიერთდამოკიდებულება“ დაწერილია ვ. ი. ლენინის ხელით. რ ე დ.

„საჭიროა გაამჟღავნოთ წითელი არმიის რიგებიდან" და ა. შ. გარდა ამისა, არის ცნობა ჩვენს ნაწილებში გახრწნისა და ადგილობრივი სარდლობის ენერგიის სრული უქონლობის შესახებ. როგორც ჩანს, აჯანყების ლიკვიდაცია სულ უფრო და უფრო ჭიანურდება, ამ დროს კი დენიკინელებთან აჯანყებულთა შეერთების საფრთხე იზრდება. საკმაოდ ყურადღებით ადევნებთ თუ არა თვალყურს ოპერაციებს? საჭირო ხომ არ არის დავამატოთ ნაწილები სამხრეთის ფრონტის რეზერვებიდან? რამდენი გამოიყენეთ ამ მიზნისათვის 214 კომუნისტიდან, რომლებიც სმილგამ გამოგზავნა სამხრეთში აპრილსა და მაისში? რა ახალი ზომები მიიღეთ, რომ ნამდვილად მოუღოთ ბოლო აჯანყებას და როდის შეიძლება ველოდოთ მის ლიკვიდაციას? მიმდინარეობს თუ არა გლეხთა მობილიზაცია აჯანყების სამხრეთით?* გენშტაბისტის** შემთხვევა... უნდა გამოიკვლიოთ. ველით პასუხს.

ლ ე ნ ი ნ ი
ს კ ლ ი ა ნ ს კ ი

დაწერილია 1919 წლის 14 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ე. მ. სკლიანსკის ხელით დაწერილი ტექსტის მიხედვით

### 327

## დეპეშა ლ. დ. ტროცკის

1919 წ. 15. V.

ტროცკის

ძალიან მახარებს აჯანყების ჩახშობის ენერგიული ზომები და განსაკუთრებით ამისათვის 33-ე დივიზიის დანიშვნა. ჩემი აზრით, მთელი ძალები უნდა მოვახმაროთ იმას, რომ გრიგორიევის წინააღმდეგ დაწყებული დრტვინვა გამოვიყენოთ მაქსი-

* ტექსტი სიტყვებიდან „და როდის" დაწერილია უცნობის ხელით. რ ე დ.

** გვარი დაწერილია გაურკვევლად. რ ე დ.

მალური და უსწრაფესი შეტევისათვის დონბასზე. თუ როსტოვი მალე ვერ ავიღეთ, ვერ გავუძლებთ დანარჩენ სიძნელეებს.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

328

## დეპეშა ა. ვ. ლუნაჩარსკის

1919 წ. 15. V.

კოსტრომა
საგუბერნიო აღმასკომი, ლუნაჩარსკისათვის

შევეკითხე სურსათის კომისარიატს დახმარების ღონისძიებათა შესახებ [222]. მეშინია, რომ აჯანყება უკრაინაში ხელს შეუშლის დახმარების გაწევას, რადგან აუარესებს მდგომარეობას [223]. უფრო ენერგიულად განახორციელეთ მასობრივი გადასახლება დონზე [224]. დაუკავშირდით სერედას.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

329

## სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმს

1919 წ. 15. V.

ამხ. სერებრიაკოვს, ამხ. სტალინს
და ცაკის პრეზიდიუმის სხვა წევრებს

ციურუპა იღებს 2000 მანეთს, ოჯახში 7 კაცია, სადილი ღირს თითო 12 მანეთი (ვახშამიც), დღეში 84×30=2520 მანეთს. კვება აკლიათ! იღებენ 4 ს ა დ ი ლ ს, ეს ცოტაა. ბავშვები მოზარდები არიან, მ ე ტ ი სჭირდებათ, ვიდრე მოზრდილებს.

გთხოვთ გაუდიდოთ მას ჯამაგირი 4000 მანეთამდე და გარ-

და ამისა, მისცეთ დახმარება 5000 მანეთი ერთდროულად ოჯახს, რომელიც უფიდან ჩამოვიდა უ ტ ა ნ ს ა ც მ ლ ო დ.
გთხოვთ მიპასუხოთ.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**330**

## გ. Ი. ᲡᲝᲙᲝᲚᲜᲘᲙᲝᲕᲡ

1919 წ. 20. V.

ა მ ხ. **სოკოლნიკოვს**

ვსარგებლობ იშვიათი შემთხვევით, რათა გესაუბროთ დაწვრილებით აჯანყების შესახებ. თქვენი 17 (ნრ. 189) დეპეშა ძალიან მაწუხებს: თქვენ ლაპარაკობთ მხოლოდ „ექსჯარების" „გახრწნის" შესახებ და კ რ ი ნ ტ ს ა რ ს ძ რ ა ვ თ დივიზიაზე (მგონია, 34-ე), რომელიც გადმოსხეს აჯანყების დასათრგუნავად! კრინტსაც!

პიტერზე შეტევის შემდეგ ჩვენთვის აჯანყების დათრგუნვა, ყველაზე ულმობელი, დაუყოვნებლივი, coûte que coûte*, აბსოლუტურად საჭიროა. ძალიან გთხოვთ, ნუ ჩამოაშორებთ ამას ყურადღებას და მაცნობოთ შიფრით კვირაში 2-ჯერ—შევეცდები გამოგიგზავნონ რასაც მოითხოვთ, ისევე როგორც დღეს მოვითხოვე დამატებითი დეპეშა (უ კ ვ ე ს ა მ ჯ ე რ შ ე კ ვ ე თ ი ლ ი) ვორონეჟისა და ტამბოვის გუბერნიებიდან თქვენთვის კომუნისტების გამოგზავნის შესახებ.

რადაც უნდა დაგიჯდეთ, მალე მოუღეთ ბოლო აჯანყებას!

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

მთელი ძალები მოვახმაროთ აგრეთვე დონზე გადასახლებას არამიწათმოქმედების ადგილებიდან ხუტორების დასაკავებ-

* — რადაც უნდა დაგიჯდეთ. რ ე დ.

ლად, respective* შესაქმნელად, ზურგის განსამტკიცებლად და სხვა.

კურსანტებსაც გავგზავნით: გუშინ შევუთანხმდი სკლიანსკის.

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს ჟურნალში „პროლეტარსკაია რევოლუცია" № 3

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**331**

## დეპეშა ლ. დ. ტროცკის

ტროცკის

20/V.

აღმოსავლეთის ფრონტის სამი მეთაურისაგან მიღებულ შიფრიან დეპეშასთან დაკავშირებით წინადადებას ვიძლევი დავნიშნოთ კამენევი ფრონტის სარდლად, შევცვალოთ კოსტიაევი, ხოლო ლაშევიჩი დავნიშნოთ არალოვის მაგივრად [225]. მიპასუხეთ პლენუმის შესახებ. მეშინია, რომ სტალინი და ზინოვიევი ვერ ჩამოვლენ 25-ში, თქვენი მოწყვეტაც საზიანოა. ამიტომ წინადადებას ვიძლევი, პლენუმი გადავდოთ, ხოლო ტელეგრაფით შევთანხმდეთ.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 20 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* — შესაბამისად. რ ე დ.

332

## დეპეშა ვ. ი. მეჟლაუკს

1919 წ. 20. V.

ხარკოვი

სამხედრო საქმეთა სახკომის მოადგილეს

მეჟლაუკს

რეგულარულად მაცნობეთ კვირაში ორჯერ შიფრით, თუ რას აკეთებთ დონბასის განსათავისუფლებლად. მეშინია, რომ თქვენი ენერგია უკვე სუსტდება, ამავე დროს კი აბსოლუტურად საჭიროა დაძაბოთ ხარკოვის მთელი ძალები, რათა სწრაფად, გადაჭრით მოუღოთ ბოლო.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1929 წლის 20 იანვარს გაზეთში „კრასნაია ზვეზდა“ № 17

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

333

## დეპეშა ნოვგოროდის საგუბერნიო აღმასკომს

ნოვგოროდი

საგუბერნიო აღმასკომი

პირი საგანგებო კომისიას

პირი საგუბერნიო სურსათის კომისარს

როგორც ჩანს, ბულატოვი დაპატიმრებულია იმისათვის, რომ ჩემთან იჩივლა. გაფრთხილებთ, რომ ამისათვის საგუბერნიო აღმასკომის, საგანგებო კომისიის თავმჯდომრეებს და აღმასკომის წევრებს დავაპატიმრებ და მოვითხოვ მათ დახვრეტას. რატომ მაშინვე არ მიპასუხეთ ჩემს შეკითხვაზე? [226]

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 20 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 334
## დეპეშა ლ. დ. ტროცკის

1919 წ. 22. V.

შ ი ფ რ ი თ

ტ რ ო ც კ ი ს

ეს არის შევიტყვეთ რიგასთან ჩვენი ფრონტის გარღვევის შესახებ. რიგა, როგორც ჩანს, დავკარგეთ [227]. სავსებით შესაძლებელია ლატვიელ ბურჟუაზიულ ოფიცერთა ღალატი. შესაძლოა აგრეთვე, რომ მთელ დასავლეთის ფრონტზე მზადდება საერთო გადამწყვეტი შეტევა. ყოველივე ეს გვავალებს გავაათკეცოთ შეტევა დონბასზე და რადაც უნდა დაგვიჯდეს დაუყოვნებლივ მოვსპოთ აჯანყება დონზე. მე და სკლიანსკი გუშინ გამოგზავნილი ათასი კურსანტის გარდა* მივცემთ კიდევ ათას კურსანტს. გირჩევთ, მთელი თქვენი ძალები მოახმაროთ აჯანყების ლიკვიდაციას.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 335
## დეპეშა ქ. გ. რაკოვსკის

შიფრით

კიევი, რაკოვსკის

რკპ ცეკა წინადადებას აძლევს უკრაინის კპ ცეკას არ დააყენოს უკრაინის სახკომსაბჭოს განსახილველად პასუხსაგები ფინანსური გადაწყვეტილებანი, როგორიცაა ახალი ნიშნების გამოშვება ან კარბოვანცების გამოცვლა რკპ ცეკას წინასწარ შეუკითხავად, რადგან ასეთი ღონისძიებანი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სრულიად რუსეთის მასშტაბით.

---

* სიტყვები „გუშინ გამოგზავნილი ათასი კურსანტის გარდა“ ჩამატებულია ე. მ. სკლიანსკის ხელით. რ ე დ.

მიპასუხეთ დაწვრილებით, მიგაჩნიათ თუ არა შესაძლებლად ამ დირექტივის განხორციელება*.

ლ ე ნ ი ნ ი, კ რ ე ს ტ ი ნ ს კ ი, კ ა ლ ი ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 22 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ნ. ნ. კრესტინსკის ხელით
დაწერილი და ვ. ი. ლენინის
შევსებული ტექსტის მიხედვით

**336**

## დეპეშები ტამბოვისა და ვორონეჟის საგუბერნიო სამხედრო კომისრებს

**1**

1919 წ. 24. V.

სასწრაფოდ, ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ
რ ი გ ს გ ა რ ე შ ე

ტამბოვი

საგუბერნიო სამხედრო კომისარს
პირი საგუბერნიო აღმასკომს

თქვენ მაცნობეთ, რომ სოკოლნიკოვს გაუგზავნეთ 669 კომუნისტი და 22-ში გზავნით 200-ს. ჩამოვიდა კი მხოლოდ სამასი, შეამოწმეთ და მიპასუხეთ ახლავე. უნდა გააძლიეროთ გაგზავნა უაღრესად ენერგიულად.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

* უკანასკნელი ფრაზა დაწერილია ვ. ი. ლენინის ხელით. რ ე დ.

2

1919 წ. 24/V.

სასწრაფოდ,
ყოველგვარ რიგს გარეშე

ვორონეჟი
საგუბერნიო სამხედრო კომისარს
პირი საგუბერნიო აღმასკომს

მაცნობეთ, რამდენი კომუნისტი გაუგზავნეთ სოკოლნიკოვს. მიპასუხეთ ახლავე. უნდა გააძლიეროთ გაგზავნა უაღრესად ენერგიულად [228].

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება უცნობის ხელით დაწერილი ტექსტის მიხედვით

337

## დეპეშა ოდესის აღმასკომს

1919 წ. 24/V.

ოდესა, აღმასკომი
პირი რაკოვსკის სახკომსაბჭო კიევი

უცხოელთა თვითნებურად წასვლის დაშვება დანაშაულია. რუსების უცხოელთა სახით გაშვება კონტრრევოლუციური აქტია, რომელიც ღალატს უდრის. უცხოელები საერთოდ არ უნდა გაუშვათ უკომპენსაციოდ, რის განკარგულების გაცემაც შეუძლია მხოლოდ ცენტრალურ მთავრობას. ანტანტის ქვეყნების მოქალაქენი არ უნდა გაუშვათ გაუცვლელად, რასაც ცენტრალური მთავრობა აწარმოებს. არც ერთი ფრანგი არ უნდა იქნეს გაშვებული, სანამ საფრანგეთიდან არ დაბრუნდებიან ჯარისკაცები, რომელთა შორისაც ბევრი უკრაინელია. ამის დარღვევის დამნაშავენი მიცემული უნდა იქნენ უმკაცრეს პასუხისგებაში. მხედველობაში მიიღეთ, რომ ფინეთის მთავრობა ანტანტის აშკარა წაქეზებით აბრკოლებს რუსი ჯარისკაცების გა-

მოშვებას რუსეთში, ამიტომ არც ერთი ბურჟუა, არც ერთი ადამიანი არ გაუშვათ ოდესიდან და უკრაინიდან. გამონაკლისი — ჩინელი მუშები, სპარსელები, ცენტრის განკარგულებით [229].

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება ვ. ი. ლენინის შევსებული და ხელმოწერილი მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტის მიხედვით

**338**

## დეპეშა ქ. გ. რაკოვსკის

რაკოვსკის

გილოცავთ ალექსანდრიისა და ზნამენკის აღებას [230]. დაბეჯითებით გთხოვთ განთავისუფლებული ძალები გაგზავნოთ დონბასში.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 24 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ე. მ. სკლიანსკის ხელით დაწერილი ტექსტის მიხედვით

**339**

## დეპეშა ქ. გ. რაკოვსკის

**შიფრით**

**კიევი, რაკოვსკის***

ცენტრალური კომიტეტის დირექტივა

მთელ ძალებს თავი მოუყარეთ დონბასში, მოხსენით დასავლეთის ფრონტიდან ყოველივე შესაძლებელი, მინიმუმამდე შეამცირეთ ყველა აქტიური მოქმედება თქვენს დასავლეთის

* სიტყვები **„შიფრით“**, **„კიევი, რაკოვსკის“** დაწერილია ვ. ი. ლენინის ხელით. რ ე დ.

ფრონტზე, გაგზავნეთ პიატაკოვი, ბუბნოვი ხარკოვში, ეკატერინოსლავში მუშების მთლიანი, უაღრესად ენერგიული მობილიზაციისათვის სამხრეთის ფრონტზე გასაგზავნად მათი პირადი პასუხისმგებლობით [231].

ლ ე ნ ი ნ ი*

დაწერილია 1919 წლის 28 მაისს
პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი პირის
მიხედვით, რომელიც შევსებულია
ვ. ი. ლენინის მიერ

## 340

## დეპეშა ა. ა. იოფეს**

1919 წ. 29. V.

**შიფრით**

კიევი
უკრაინის სახკომსაბჭო
რაკოვსკის იოფესათვის

წაუკითხეთ ეს დეპეშა რაკოვსკის, მეჟლაუკს, ვოროშილოვს, პიატაკოვს, ბუბნოვს, კვირინგსა და სხვა თვალსაჩინო მუშაკებს.

დანაშაულად მიმაჩნია თქვენი მხრივ, რომ დაიყოლიეთ ტროცკი დაეტოვებინა პოდვოისკი.

არც ერთი დაპირება არ სრულდება; მაშველი ძალები დონბასისათვის არ არის; მუშების მობილიზაცია სამარცხვინოდ დუნედ მიმდინარეობს. პირადად აგებთ პასუხს გარდუვალი კატასტროფისათვის. უნდა მთლიანად მოხსნათ თვალსაჩინო მუშაკები, დასვათ ისინი ხარკოვსა და ეკატერინოსლავში მუშების მთლიანი მობილიზაციისათვის; შემდეგ თითო თვალსაჩინო მუშაკი ჯარის ყოველ ნაწილში, რათა წინ წასწიოს იგი დონბასი-

* დოკუმენტს ხელს აწერენ აგრეთვე ნ. ნ. კრესტინსკი და ლ. ბ. კამენევი. რე დ.

** გადაცემულია პირდაპირი მავთულით. რ ე დ.

საკენ; შემდეგ ყველა ფეხზე დავაყენოთ ტანსაცმლისაგან საწყობების გასაწმენდად. აბსოლუტურად გარდუვალია მთელი რევოლუციის დაღუპვა, თუ სწრაფად არ გავიმარჯვეთ დონბასში, რისთვისაც საჭიროა მოვსპოთ რუტინა უკრაინაში, ვიმუშაოთ რევოლუციურად, დავრაზმოთ ყველა და ყველაფერი, თვალყური ვადევნოთ პირადად ჯარის თითოეულ ნაწილს, მუშაობის ყოველ ნაბიჯს, ყველაფერი, ყველაფერი გადავდოთ განზე, გარდა დონბასისა, თითო შაშხანა მივცეთ სამ ჯარისკაცს. თქვენგან არც ერთი ფაქტობრივი ანგარიში არ არის.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით
1942 წელს ლენინის XXXIV
კრებულში

მთლიანად დაიბეჭდა 1956 წელს
წიგნში: ვ. ი. ლენინი. „სამხედრო
მიმოწერა“, მოსკოვი

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**341**

## დეპეშა ლ. დ. ტროცკის

ტროცკის

უკიდურესად გაოცებული ვარ თქვენი დუმილით ისეთ მომენტში, როცა, თუნდაც არცთუ მთლიანად შემოწმებული ცნობების მიხედვით, გარღვევა მილეროვოს მიმართულებით გაიზარდა და თითქმის სრულიად გამოუსწორებელი კატასტროფის მასშტაბი მიიღო [232]. რა ზომებია მიღებული, რომ ხელი შეუშალოთ მოწინააღმდეგეს შეუერთდეს აჯანყებულებს?

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის
30 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1938 წელს
ჟურნალ „ბოლშევიკში“ № 2

იბეჭდება
ე. მ. სკლიანსკის ხელით დაწერილი
ტექსტის მიხედვით

## 342

# დეპეშა ვ. ი. მეჟლაუკსა და კ. ე. ვოროშილოვს

ხარკოვი ამხ. მეჟლაუკსა და ამხ. ვოროშილოვს

პასუხს ვერ მოგცემთ, სანამ არ დავუკავშირდები ტროცკის, რომელსაც სკლიანსკი ტელეგრაფით აცნობებს.

ვადასტურებ, რომ შევსება სამხრეთის ჯარებს უნდა მივცეთ და არ დაველოდოთ არც ტანსაცმელს, არც იარაღს, რადგან ამისათვის იზრუნებს ჩვენი სამხრეთის ფრონტი. არაერთხელ აღვნიშნე, რომ ეს საქმე კატასტროფულად საჩქაროა, მაგრამ თქვენგან არა მაქვს ზუსტი ცნობები, თუ ფაქტობრივად რა შევსება მიეცით სამხრეთის ფრონტს.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 30 მაისს

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

მთლიანად დაიბეჭდა 1956 წელს წიგნში: ვ. ი. ლენინი. „სამხედრო მიმოწერა", მოსკოვი

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი პირის მიხედვით

## 343

# ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს[233]

მხარს ვუჭერ წესჩვეულებათა მონაწილეების გარიცხვას პარტიიდან.

ლ ე ნ ი ნ ი

30/V.

დაწერილია 1919 წლის 30 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

344

## სრულიად რუსეთის მთავარ შტაბს

1919 წ. 31. V.

ამხ. რატელ!

ამის მომტანია ამხ. ევგენია ბოგდანის ასული ბოში, ლიტვა-ბელორუსიის რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს წევრი.

სჭირდებათ შაშხანები და სხვ. იარაღი, შემდეგ სამხედრო ხელმძღვანელები მინსკში მუშათა ბატალიონების შესაქმნელად.

ამბობენ, საქმის გაჭიანურებისა და სხვ. გამო საქმე ბრკოლდება.

გთხოვთ გამოარკვიოთ უფრო ზუსტად და უფრო მალე, რა შეიძლება და რა უნდა მისცეთ, და დაგვირეკოთ სკლიანსკისა და მე.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

345

## ბარათების გაცვლა ე. მ. სკლიანსკისთან

### ე. მ. სკლიანსკის

რატომ არ დავუშინეთ ცეცხლი ნალმოსანს?

### ე. მ. სკლიანსკის პასუხი

ვერ მივწვდით.

### ე. მ. სკლიანსკის

ტელეფონით უნდა გადასცეთ ვაცეტისს (იგი დღეს ტელეფონით დაელაპარაკება ზინოვიევს) და უბრძანოთ **რაც შეიძლება ახლოს მივიდეს**.

დაწერილია 1919 წლის მაისში
ან ივნისში

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით
1925 წლის 23 სექტემბერს გაზეთ
„პრავდაში" № 217

მთლიანად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**346**

## დეპეშა ვ. ი. მეჟლაუკს, კ. ე. ვოროშილოვს, გ. ნ. მელნიჩანსკის, თ. ა. არტემს, ბ. ნ. კამინსკის

შიფრით

ხ ა რ კ ო ვ ი, მეჟლაუკს, ვოროშილოვს,
მელნიჩანსკის, არტემს, კამინსკის

საჭიროა რადაც უნდა დაგიჯდეთ დაუყოვნებლივ შეწყვიტოთ მიტინგობანა, გადაიყვანოთ ყველა და ყოველგვარი მუშაობა სამხედრო ყაიდაზე, დანიშნოთ აუცილებლად ცალკეული პირები, რომლებიც პასუხს აგებენ ზუსტად განსაზღვრული სამუშაოს შესრულებისათვის. დისციპლინა ყველგან სამხედრო უნდა იყოს. მე-2 არმიის სარდალი და მე-2 არმიის სამხედრო-რევოლუციური საბჭო ყველაფერზე უნდა ეკითხებოდნენ თავიანთ პირდაპირ უფროსს, ესე იგი გიტისს, თავი დაანებონ ყოველგვარ პროჟექტიორობას განსაკუთრებული ჯგუფებისა და ამდაგვარი ცდებისადმი ფარულად აღადგინონ უკრაინის ფრონტი. ტანსაცმელიც და იარაღიც საკმარისია როგორც უკრაინაში, ისე გიტისთანაც. თუ აღმოფხვრით ქაოსს, მიტინგობანას და

დავას პირველობის შესახებ, ყველაფრის შოვნა შეიძლება. მაცნობეთ ზუსტად გარკვეული განწესების შესრულების ფაქტების შესახებ, ესე იგი დანიშნულების ადგილას ჯარის ნაწილების მისვლის, იარაღის შეგროვებისა და სხვათა შესახებ.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 1 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 347

## დეპეშა ვ. ი. მეჟლაუკსა და კ. ე. ვოროშილოვს

ხ ა რ კ ო ვ ი

მეჟლაუკს, ვოროშილოვს
პირი მელნიჩანსკის, არტემს, კამინსკის

ცეკას პოლიტბიურო შეიკრიბა 1 ივნისს და, სავსებით ეთანხმება რა ტროცკის, გადაჭრით უარყოფს უკრაინელთა გეგმას გააერთიანონ მე-2, მე-8 და მე-13 არმიები, შექმნან დონის განსაკუთრებული ერთობა [234].

ჩვენ მოვითხოვთ, რომ ვოროშილოვი და მეჟლაუკი ასრულებდნენ თავიანთ უშუალო ამოცანას—შექმნან უკრაინის მტკიცე არმია. ხვალ ან ზეგ ტროცკი გამოგიძახებთ იზიუმში და უფრო დაწვრილებითს განკარგულებებს მოგცემთ. გვაცნობეთ ხოლმე უფრო ზუსტად, უფრო ხშირად და უაღრესად ფაქტობრივად, რა გააკეთეთ, და განსაკუთრებით, რამდენი სამხედრო ქონება წამოიღო ვოროშილოვმა გრიგორიევისაგან და სხვა ადგილებიდან.

ცეკას პოლიტბიუროს დავალებით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 1 ივნისს

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

მთლიანად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

348

## დავალება მდივანს[235]

დარეკეთ:

1) რუსეთის დეპეშათა სააგენტოში, რათა ხვალ გამომიგზავნონ წერილობით ცნობა, რომ მათ ეს გადასცეს
ამდენსა და ამდენ გაზეთს,
„ „ ქალაქს.

2) ჩიჩერინს, რომ ეს გადასცენ რადიოთი გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე.

დაწერილია 1919 წლის
2 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

349

## დეპეშა ი. ბ. სტალინს[236]

პეტროგრადი

სმოლნი

ზინოვიევს სტალინისათვის

ოკულოვი აღნიშნავს, რომ მე-7 არმია მოწყვეტილია დასავლეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს, რასაც არევდარევა შეაქვს და პასუხისმგებლობას ხსნის ფრონტის მუშაკებს, უსპობს მათ მუშაობის ენერგიას, პეტროგრადის ოლქი, რომელიც დასავლეთის ფრონტს ემორჩილება, მთელ თავის მარაგს აძლევს მე-7 არმიას და არ აძლევს მას ფრონტს დანარჩენი არმიებისათვისაც. პოზერნი მთელ დროს პიტერში ატარებს, სუსტი კავშირი აქვს ფრონტის საბჭოსთან, ქმნის მომარაგების პარალელურ ორგანოებს იმის ნაცვლად, რომ გამოიყენოს მომარაგების უკვე არსებული საფრონტო ორგანოები. ოკულოვი წინადადებას იძლევა ან მე-7 არმია მთლიანად დაემორჩილოს

ფრონტის სარდლობას, ან გამოიყოს იგი განსაკუთრებულ მდგომარეობაზე და პირდაპირ დაემორჩილოს ბანაკს.

ვიცი რა პიტერის განუწყვეტელი მიდრეკილება დამოუკიდებლობისადმი, ვფიქრობ, რომ უნდა დაეხმაროთ ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს გააერთიანოს ყველა არმია. საჭიროა იზრუნოთ დასავლეთის სხვა არმიებისათვისაც, არა მარტო მე-7 არმიისათვის. მაცნობეთ, რას გააკეთებთ.

საჭიროა, რომ კონფლიქტი ოკულოვთან არ გაიზარდოს. მოიფიქრეთ კარგად, რადგან მისი უსაფუძვლოდ გამოწვევა არ შეიძლება.

დღეს შევიტყვე, რომ მტრის მხარეზე გადავიდა პიტერის კიდევ ერთი პოლკი და ორმა პოლკმა უარი თქვა შეტევაზე. უნდა გაძლიერდეს ზედამხედველობა და მუშებით შევსება.

**უცხოელთა გასახლების შესახებ** გირჩევთ ნუ აჩქარდებით. ხომ არ აჯობებს საკონცენტრაციო ბანაკში მოთავსება, რომ შემდეგ **გადავცვალოთ***.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 3 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ე. მ. სკლიანსკის ხელით დაწერილი ტექსტის მიხედვით, რომელიც შევსებული და ხელმოწერილია ვ. ი. ლენინის მიერ

## 350

## დეპეშა ს. ი. გუსევს, მ. მ. ლაშევიჩს, კ. კ. იურენევს

1919 წ. 3. VI.

შ ი ფ რ ი თ

სიმბირსკი

აღმოსავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭო
გუსევს, ლაშევიჩს, იურენევს

სკლიანსკი პოზიტიურად დაგვპირდა მოგვცეს ათი ათასი შაშხანა ივნისის პირველ ნახევარში. განსაკუთრებული ყურად-

* დეპეშის ტექსტი სიტყვებიდან „საჭიროა, რომ“ დაწერილია ვ. ი. ლენინის ხელით. რ ე დ.

ღება მიაქციეთ ორენბურგელ კაზაკებსა და ბაშკირებს, რადგან წინა შეტევის დროს სისულელე ჩავიდინეთ, გამოგვრჩა და ვერ გამოვიყენეთ ეს ძალები. მობილიზაცია უყავით მათ სასწრაფოდ, გაგზავნეთ იქ ჭკვიანი, მშვიდი, მცოდნე, გამოცდილი ადამიანი, არქიყურადღებით ადევნეთ თვალი ამას და მთელი ფრონტისპირა ზოლის შეუნელებელ მთლიან მობილიზაციას და მოსახლეობაში შაშხანების შეგროვებას.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს ჟურნალ „პროლეტარსკაია რევოლუციაში" № 3

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**351**

## დეპეშა სამხრეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

### სამხრეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭო

დონის ოლქის კოტელნიკოვის რაიონის რევკომი 27-ე ბრძანებით აუქმებს სახელწოდებას „სტანიცა" და ადგენს დასახელებას „თემი", რის შესაბამისადაც ყოფს კოტელნიკოვის რაიონს თემებად.

ოლქის სხვადასხვა რაიონში ადგილობრივი ხელისუფლება კრძალავს ლამპასების ტარებას და აუქმებს სიტყვას „კაზაკი".

მე-9 არმიაში ამხ. როგაჩოვი ხელაღებით ახდენს მშრომელი კაზაკების ცხენის მოსართავებისა და ფორნების რეკვიზიციას.

ოლქის ბევრ ადგილას აკრძალულია გლეხთა ნიადაგსახმარი ნივთების ადგილობრივი ბაზრობები. სტანიცაში კომისრებად ნიშნავენ ავსტრიელ სამხედრო ტყვეებს.

მივაქცევთ ყურადღებას იმას, რომ საჭიროა განსაკუთრებით ფრთხილი იყოთ ისეთი საყოფაცხოვრებო წვრილმანების მსხვრევაში, რომლებსაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს საერთო პოლიტიკისათვის და ამასთან ერთად აღიზიანებს მოსახლეობას.

მტკიცედ დაიცავით კურსი ძირითად საკითხებში და წინდახედულად მოიქეცით, ლამთმობნი იყავით მოსახლეობის ჩვეული არქაული გადმონაშთების მიმართ.

მიპასუხეთ ტელეგრაფით*.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 3 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება უცნობის ხელით დაწერილი ტექსტის მიხედვით, რომელიც შევსებული და ხელმოწერილია ვ. ი. ლენინის მიერ

## 352

## გ. ვ. ჩიჩერინს [237]

ამხ. ჩიჩერინ!

1) რა გააკეთეთ, რომ დახმარებოდით ამ ინდოელს?
— მისი სტატიის დაბეჭდვაში?
— სხვა მხრივ?

2) უნდა **დაეყრდნოთ ცნობებს, ფურცლებს, რუკებს**

| | | |
|---|---|---|
| მსოფლიოს გაყოფისა | | ინგლისისა |
| თურქეთის | „ | და |
| კოლონიების | „ | საფრანგეთის |
| სპარსეთისა | და სხვ. | მიერ |

და ა. შ.

3) როგორ არის რადიოს საქმე ბრიტანეთის მუშების „ულტიმატუმის“ გამო? („ვეჩერნიე იზვესტია“ 3.VI.) [238]

სალამი! ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 3 ივნისზე გვიან

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* სიტყვები „მიპასუხეთ ტელეგრაფით“ დაწერილია ვ. ი. ლენინის ხელით. რ ე დ.

## 353

## დეპეშა ს. ი. გუსევსა და მ. მ. ლაშევიჩს

1919 წ. 4. VI.

შ ი ფ რ ი თ

სიმბირსკი
აღმოსავლეთის ფრონტის რევოლუციური
სამხედრო საბჭო
გუსევს, ლაშევიჩს

ძალზე შემაწუხა აგრიზის და განსაკუთრებით გლაზოვის დაკარგვამ. მიიღეთ თუ არა სასწრაფო ზომები? გამოარკვიეთ თუ არა მიზეზები? ტროცკი აღტაცებული იყო მე-3 არმიით; რა მოუვიდა მას?

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 354

## მ. ი. ლაცისს

1919 წ. 4. VI.

ამხ. ლაცისს

ძვირფასო ამხანაგო! თქვენი წერილი დანართიანად მივიღე. კამენევი ამბობს — და აცხადებს, რომ რამდენიმე გ ა მ ო ჩ ე ნ ი ლ ი ჩ ე კ ი ს ტ ი ადასტურებს, — რომ უკრაინაში საგანგებო კომისიებმა აუარებელი ბოროტება მოიტანეს, რადგან ძ ა ლ ი ა ნ ა დ რ ე შეიქმნენ და ბევრი მიტმასნილი მიიღეს.

უფრო სასტიკად უნდა შეამოწმოთ შემადგენლობა, — იმედია, ძერჟინსკი აქედან დაგეხმარებათ ამაში. უნდა ძალა მოვაკრებინოთ ჩეკისტებს რადაც უნდა დაგვიჯდეს და გავრეკოთ მიტმასნილები.

თუ მარჯვე შემთხვევა გექნეთ, უფრო დაწვრილებით მაცნობეთ უკრაინაში ჩეკას შემადგენლობის წმენდისა და მუშაობის შედეგების შესახებ.

სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

355

## დეპეშა ი. ბ. სტალინს

1919 წ. 4. VI.

კონფლიქტის გამო, ყოველ შემთხვევაში მოსალოდნელი კონფლიქტის გამო ყველა პიტერელ ცეკისტსა და ოკულოვს შორის, აღიარებენ რა აბსოლუტურად საჭიროდ მაქსიმუმ შეკავშირებას პიტერის სამხედრო მუშაობაში და ამ ფრონტზე სწრაფი გამარჯვების აუცილებლობას, ცეკას პოლიტბიურო და ორგბიურო ადგენენ დროებით გამოიწვიონ ოკულოვი და გაგზავნონ იგი ამხანაგ ტროცკის განკარგულებაში.

ცეკას პოლიტბიუროსა და ორგბიუროს სახელით

ლ ე ნ ი ნ ი*

გაგზავნილია პეტროგრადში

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

356

## დეპეშა ი. ბ. სტალინს

1919 წ. 4. VI.

**შიფრით**

პეტროგრადი
სმოლნი, სტალინს

საჭიროდ მიმაჩნია გავუშვათ ნაცარენუსი უკრაინაში, სადაც მუშაკები უზომოდ სჭირდებათ, თქვენ კი ჭარბად გყავთ.

* შემდეგ ხელს აწერენ: ლ. ბ. კამენევი (დაწერილია ვ. ი. ლენინის ხელით), ნ. ნ. კრესტინსკი, ლ. პ. სერებრიაკოვი, ე. დ. სტასოვა, დაწერილია ნ. ნ. კრესტინსკის ხელით. რ ე დ.

შემდეგ გთხოვთ წახვიდეთ დასავლეთის ფრონტზე, რომელიც კომისრების დიდ ნაკლებობას განიცდის. აბსოლუტურად აუცილებელია დაეხმაროთ მთლიანად მთელ ფრონტს. იქნებ სასარგებლოდ მიიჩნიოთ ამისათვის სმილგას ნახვა.

მასალები და თქვენი წერილი მივიღე, დავიწყე მათი გარჩევა.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

მთლიანად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 357

## დეპეშა ი. ბ. სტალინსა და გ. ე. ზინოვიევს

1919 წ. 5. VI.

პეტროგრადი
სმოლნი
სტალინს, ზინოვიევს

ნაცარენუსის საკითხს ცეკას გადავცემ. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ სამხრეთში უდიდესი გაუარესებაა, კატასტროფის საშიშროებაა. იქ სრულიად არა ჰყავთ ხალხი, თქვენთან კი ადამიანთა სიჭარბეა [239]. ჩიჩერინს გადავეცი. რა თქმა უნდა, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს თქვენი ბრძანებისა პასუხად ესროლონ [240].

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

358

## დეპეშა ა. ს. ბუბნოვს

1919 წ. 5. VI.

**შიფრით**

ხარკოვი

სამხედრო კომისრის მოადგილეს მექლაუკს
ბუბნოვისათვის

გმადლობთ დაწვრილებითი ცნობებისა და ენერგიულობისათვის, მაგრამ საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანოთ. ნუ დაენდობით ნურავის და დარჩით პირადად, სანამ არ მიიყვანენ დანიშნულების ადგილას სავსებით მზა ნაწილებს ან სანამ არ შეუერთდებიან ფრონტის ნაწილებს*.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს
ჟურნალ „პროლეტარსკაია
რევოლუციაში" № 3

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

359

## დეპეშა მე-10 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრს დ. ი. ეფრემოვს

**შიფრით**

ცარიცინი
მე-10 რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრს
ეფრემოვს

საქმე სრულიადაც არ ეხებოდა არალეგალურ ორგანიზაციებს და არც მის დატოვებას**. მაკვირვებს, რომ ასეთი უცნაური აზრი მოგივიდათ თავში. საქმე ეხებოდა ცარი-

* დეპეშის ზედა ნაწილს ვ. ი. ლენინმა წააწერა: „ხვლიანსკის. ბუბნოვი გვიდეპეშებს 4/VI, რომ მიდის ეკატერინოსლავში. თუ იცით მისი მისამართი, შ ე ც ვ ა ლ ე თ". რ ე დ.

** როგორც ჩანს, იგულისხმება ვ. ი. ლენინის 1919 წლის 30 მაისის დეპეშა დ. ი. ეფრემოვისადმი (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 35, დოკუმენტი 202). რ ე დ.

ცინის ყველა მუშის მასობრივ მობილიზაციას, რევოლუციური უაღრესად ენერგიული ომის ყველა ხერხს და ზურგის განსაკუთრებით მკაცრ წმენდას. მიდეპეშეთ, სახელდობრ რა სასწრაფო ზომებს იღებთ.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 6 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**360**

## დეპეშა გ. ი. სოკოლნიკოვს

კოზლოვი

სამხრეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს და ადგილსამყოფელის მიხედვით სოკოლნიკოვს

მთელი ძალებით დააჩქარეთ ამბოხების ლიკვიდაცია, თორემ კატასტროფის საფრთხე სამხრეთში გარღვევის გამო უდიდესია. კურსანტები და ბატარეა გამოგეგზავნათ. მაცნობეთ უფრო ხშირად.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 6 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1938 წლის 23 თებერვალს გაზეთ „პრავდაში" № 53

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**361**

## ლ. დ. ტროცკის

შ ი ფ რ ი თ

ტროცკის

ჩემთან იყვნენ ბაშკირთა წარმომადგენლები; თხოულობენ დავნიშნოთ მათი ჯარები აღმოსავლეთში და არა სამხრეთში. აღმოსავლეთში, ჩვენს მხარეში, შეგვიძლია დავეხმაროთ უფრო სწრაფად აიღოთ ჩელიაბინსკიო, რადგან ყირგიზებიც

წამოგვყვებიანო; სამხრეთში კი უძლური არიან და ეშინიათ, რომ ვერაფერს გახდებიან. ძალიან გთხოვთ ასწონ-დასწონოთ ეს, ჩემი აზრით, სერიოზული მოსაზრებანი.

დააჩქარეთ სოკოლნიკოვი მოსპოს ამბოხება. ნაცარენუსს სამხრეთს ვაძლევთ. პოდბელსკი ტამბოვის გუბერნიაში კარგად მუშაობს, წამოსწია სამხედრო დამზადება და ამზადებს 20 000 წყვილ ჩექმას.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 6 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**862**

## დეპეშა ს. ი. გუსევსა და მ. მ. ლაშევიჩს

შ ი ფ რ ი თ

სიმბირსკი

აღმოსავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭო

გუსევს, ლაშევიჩს

მდგომარეობა სამხრეთში ისე მძიმეა, რომ ალბათ ვერ შევძლებთ მაშველი ძალების მოცემას. მოგიხდებათ მთელი ძალით დააწვეთ მობილიზაციას, ზოგჯერ მასობრივს, ფრონტისპირა ზოლში, ადგილობრივ სამხედრო დამზადებებს და მოსახლეობაში მაშხანების შეგროვებას. დახვრიტეთ მაშხანების დამალვისათვის. უდიდეს საფრთხედ მიმაჩნია კოლჩაკის შესაძლო წინსვლა ვიატკაზე პიტერისაკენ გასაჭრელად. მიაქციეთ უაღრესად სერიოზული ყურადღება, უფრო ხშირად მაცნობეთ გლაზოვის ფრონტის ამბავი. ჩვენ სკლიანსკისთან ერთად იქ ვგზავნით შევსებას, თუმცა მურალოვი უცნაურად დუმს და თვითონ შევსებას არ თხოულობს.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 6 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1933 წლის 23 თებერვალს გაზეთ „პრავდაში" № 53

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**363**

## ე. მ. სკლიანსკის

8/VI, ღამის $2^1/_2$ საათი.

ამხ. სკლიანსკი! ეს არის მივიღე სტალინისა და ზინოვიევის დეპეშა. იმედი მაქვს, თქვენ უკვე გაეცით განკარგულება (**აუცილებელია**! უკიდურესობაა! $^1/_2$ ან $^2/_3$, ესე იგი 2 პოლკი ა რ ხ ა ნ გ ე ლ ს კ ი ს ფრონტიდან, 1 **აღმოსავლეთის ფრონტიდან**) და უკვე უ პ ა ს უ ხ ე თ ზინოვიევს. თუ არა, ტელეფონით დაურეკეთ.

იჟევსკის აღება საშუალებას გვაძლევს მეტი წამოვიყვანოთ აღმოსავლეთიდან (რა თქმა უნდა, აღმოსავლეთის ს ა მ ხ რ ე თ ი ჯგუფიდან).

მიპასუხეთ.

უნდა გააძლიეროთ მძევალთა წამოყვანა ბურჟუაზიიდან და ოფიცერთა ოჯახებიდან — ღალატის გახშირების გამო. შეუთანხმდით ძერჟინსკის.

მ ე ლ ნ ი ჩ ა ნ ს კ ი ს გაუგზავნეთ (ჩემი ხელმოწერით) დეპეშა, რომ სირცხვილი იქნებოდა მერყეობა გამოეჩინა და არ დაეხვრიტა გამოუცხადებლობისათვის.

ბ ე ლ ო ბ ო რ ო დ ო ვ ს (აგრეთვე), რომ საჭიროა მოწინააღმდეგის არა „წაქცევა", არამედ მ ო ს პ ო ბ ა და ზუსტი პასუხი სად, რამდენია აღებული, რა სტანიცები, რა და როგორ გაიწმინდა [241].

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 8 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს ჟურნალ „პროლეტარსკაია რევოლუციაში" № 3

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

364

# დეპეშები ს. ი. გუსევსა და მ. მ. ლაშევიჩს

1 *შიფრით*

სიმბირსკი

აღმოსავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭო

გუსევს, ლაშევიჩს

მიაქციეთ უაღრესი ყურადღება ამბოხებას ირგიზის რაიონში* [242]. ნუ მიუშვებთ, მობილიზაცია უყავით მთლიანად მთელ მიდამოებს, განიხილეთ, ხომ არ შეიძლება აეროპლანებიდან დაარტყათ ამბოხებულებს. ლიკვიდაცია საჭიროა დაუყოვნებლივ და მთლიანი. რატომ არ მიდის გუსევი, არ შეიძლება გაჭიანურება.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 11 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

2

აღმოსავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭო

გუსევს, ლაშევიჩს

კვლავ მივაქცევ თქვენს ყურადღებას, რომ პიტერში მიმავალი პოლკები აბსოლუტურად საიმედო უნდა იყვნენ—ჯარისკაცებიც და მეთაურთა შემადგენლობაც. თვითონ ადევნეთ ამას თვალყური. თქვენ უნდა იკისროთ მთელი პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ ეს პოლკები არ გვიღალატებენ.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 11 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ე. მ. სკლიანსკის ხელით დაწერილი და ვ. ი. ლენინის ხელმოწერილი ტექსტის მიხედვით

* დეპეშის გაგზავნილ ტექსტში სიტყვები „ირგიზის რაიონში" შეცვლილია ე. მ. სკლიანსკის მიერ სიტყვებით „ორენბურგისა და ურალის რაიონებში". რ ე დ.

3

1919 წ. 11. VI. შ ი ფ რ ი თ

სიმბირსკი

აღმოსავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭო

ლაშევიჩს

მშვენივრად გვესმის რა თქვენი მდგომარეობის სიძნელე, ჩვენ აბსოლუტურად იძულებული ვართ წავართვათ კიდევ და კიდევ. ამიტომ სავალდებულოა, რომ დაძაბოთ მთელი ძალები, რათა დააჩქაროთ თქვენი მუშაობა ახალი ნაწილების შესაქმნელად თქვენთან და თქვენს ოლქებში. მიდეპეშეთ შესრულება.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1938 წლის 23 თებერვალს გაზეთ „პრავდაში" № 53

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

365

## დეპეშა ქ. გ. რაკოვსკის

კიევი

სახკომსაბჭო, რაკოვსკის

3 ივნისს შემდეგი დეპეშა გავუგზავნე შლიხტერს: „განწესები ბელორუსია-ლიტვის არმიისათვის და საერთოდ სურსათის სახალხო კომისარიატისათვის, მინსკი, ძალიან გთხოვთ არ შეაჩეროთ და გადაგზავნოთ დანიშნულებისამებრ მინსკში. ყოველნაირად დააჩქარეთ. შემდეგ უნდა გაუძლიეროთ დახმარება პეტროგრადს. ძალიან გთხოვთ კვირაში ორჯერ მიდეპეშოთ ორივე დავალების ფაქტობრივი შესრულების შესახებ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი".

გთხოვთ 1) გამოარკვიოთ ამ დეპეშის მიუღებლობის მიზეზები და სამართალში მისცეთ დამნაშავენი; 2) დაუყოვნებლივ განიხილეთ პიტერის სურსათით დახმარებისა და დაპირებულის შეგ-

როვების სასწრაფო ღონისძიებანი; ყოველ თემში დანიშნეთ ამის შესრულებისათვის პასუხისმგებელი ამხანაგი. ველი პასუხს.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 11 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერისა და ტელეგრაფის ბლანკის ტექსტის მიხედვით

366

## დეპეშა ი. ბ. სტალინს

პეტროგრადი, სმოლნი
სტალინს, პირი ზინოვიევს

დაშიფრული დეპეშა მივიღე. თქვენი ორივე თხოვნა შესრულებულია. ორი ჯავშანმატარებელი და ხუთასი კომუნისტი დღეს მოდიან. ტროცკი აქ არის. მიდეპეშეთ, პირველი, მიიღეთ თუ არა ეს პასუხი, მეორე, როგორ არის შეფასებული მდგომარეობა, აღადგინეთ თუ არა დაკარგული და რა ზომები მიიღეთ, მესამე, შესაძლებლად მიგაჩნიათ თუ არა თქვენი ხვალ ან ზეგ ჩამოსვლა, თუ სრულიად შეუძლებელია, მეოთხე, თქვენი აზრი თქვენ მიერ გამოგზავნილი დოკუმენტის არა მთლიანად, არამედ ნაწილობრივი პუბლიკაციის შესახებ. მე მოვითხოვ პუბლიკაციას. ჩვენ თვითონ ავარჩევთ, რის გამოქვეყნება შეიძლება. ველი პასუხს [243].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 13 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება ტელეგრაფის ბლანკის ტექსტის მიხედვით

367

## დეპეშა ი. ბ. სტალინს

პეტროგრადი, სმოლნი, სტალინს

იმ მატროსების ცნობით, რომლებმაც კრასნაია გორკა აიღეს, დღეს, თექვსმეტს, ლიბავიდან კრონშტადტში მოელიან

ინგლისის ესკადრას ოცდასამი გემის შემადგენლობით. იმედი მაქვს, თქვენ ყველა ზომა მიიღეთ. გამომიგზავნეთ ფრონტის რუკა [244].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 16 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება გაშიფრული ტექსტის მიხედვით

### 368

## რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს და რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

ამხ. გუსევს
ცეკას ორგბიურო
ამხ. სკლიანსკის

ძალიან გთხოვთ განიხილოთ, და რაც შეიძლება მალე, ამხ. ივ. ივ. ულიანოვის მოსაზრებანი, რათა შევძლოთ **საკითხის დაუყოვნებლივ** გადაჭრა.

ივანე ივანეს ძე ულიანოვი, ურალის რევკომის ყოფილი თავმჯდომარე, სრულიად რუსეთის ცაკის წევრი (1917 X-დან), მოითხოვს, რომ საჭიროა სარატოვისა და პოკროვსკის რაიონში კაზაკთა პროლეტარული მასებისაგან დივიზიის ჩამოყალიბება მოწინააღმდეგის ზურგში, ურალსგაღმა ველებში სამოქმედოდ.

მას, ულიანოვს, ხაუსტოვს (იაიცკის რევკომის თავმჯდომარე, პოკროვსკში), ივ. ივ. ულიანოვის ორ ძმას და კიდევ ზოგიერთს, რომელთა შერჩევას თვითონ აპირებს, სურთ იკისრონ განსაკუთრებული რაზმის ჩამოყალიბება.

ამისათვის საჭიროა: 1) განსაკუთრებული რწმუნებანი;
2) შეიარაღება და მომარაგება;
3) ფული.

1919. 16/VI.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**369**

## რკპ ცენტრალურ კომიტეტს

ამხ. ტროცკი ცდება: არც ახირება, არც ურჩობა, არც კაპრიზი, არც დაბნეულობა, არც სასოწარკვეთილება, არც ამ სასიამოვნო თვისებათა „ელემენტი“ (რომლებსაც ტროცკი საშინელი ირონიით ამათრახებს) აქ არ არის [245]. მაგრამ არის ის, რასაც ტროცკიმ გვერდი აუარა: ცეკას უმრავლესობა დარწმუნდა, რომ მთავარსარდალი „ბუნაგია“, რომ მთავარსარდალში **უთანხმოებაა,** და სერიოზული გაუმჯობესების ძიებაში, ძირეული ცვლილებების საშუალებათა ძიებაში, გადადგა გარკვეული ნაბიჯი. ეს არის და ეს.

ლენინი

მოსკოვი, 1919. 17/VI.

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**370**

## რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს [246]

ცეკას ორგბიუროს: საყოველთაო გაფიცვა ტვერში, შემდეგ კლინში, ყოველივე ეს ქმნის არქიმრისხანე მდგომარეობას. უნდა განიხილოთ სასწრაფოდ შემდეგი ღონისძიებანი:

| როდის განიხილავთ? | |
|---|---|
| | ფეიქრების დასახმარებლად საჭიროა **სასწრაფო** ღონისძიებანი: |
| სურსათი | 1) საფეიქრო მუშების სურსათი (მიაქციეთ ყურადღება) უზ- |

ტ ვ ე რ ი (**და კლინი**) განსაკუთრებით რ კ ი ნ ი გ ზ ე ლ ე ბ ი და წ ი თ ე ლ ა რ მ ი ე ლ ე ბ ი

მ ო ა მ ა რ ა გ ე თ ს უ რ ს ა თ ი თ და იზრუნეთ. ტვერის **სამხედრო კომისარი** ძალზე ახალგაზრდაა სამხედრო საქმისათვის, ძალიან კ ა რ გ ი ა, მაგრამ მოითხოვს დ ა ხ მ ა რ ე ბ ა ს.

რუნველყავით მ ო მ უ შ ა ვ ე ფაბრიკები.

2) საფეიქრო მუშების მობილიზაცია... (10 000) გ ა დ ა ი ს ი ნ ჯ ო ს.

3) გაზეთებისა და პლაკატების გავრცელება, ლექციები, გაძლიერდეს განათლების კომისარიატის მუშაობა.

4) რკინიგზების ბილეთები (ყოველდღე) პროფესიული კავშირების გამგეობათა ცენტრალური კომიტეტების წევრებისათვის.

ფეიქრების უმეცრება თავზარდამცემია.

მათთვის არ ზრუნავენ, არ ჩანს გაზეთები, არ არის პლაკატები. სასურსათო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საჭიროა კიდევ რაღაც შესყიდვების მსგავსი და ა. შ. NB

დაწერილია 1919 წლის 18 ივნისზე ადრე

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**371**

## დეპეშა მ. მ. ლაშევიჩს

სიმბირსკი

აღმოსავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭო ლაშევიჩს

სმილგასაგან შევიტყვე კუსტანაიში მომხდარი ამბოხების შესახებ და იმის შესახებ, რომ ამბოხებულები დაიძრნენ ჩელიაბინსკისაკენ [247]. თუ ეს მადიარები და მათი მეგობრები არიან, დადგა ყველაზე კრიზისული მომენტი. საჭიროა მთელი

ძალების დაძაბვა შესაერთებლად. რას შვრებით? უგზავნით თუ არა მათ აეროპლანს? თუ არ არის ავიანარევი, მაშინ, ალბათ, განსაკუთრებული დაწოლით მოხერხდება შოვნა. მიდეპეშეთ უფრო დაწვრილებით*.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 18 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**372**

## პასუხი პირდაპირი მავთულით ვ. ი. ნევსკისა და ლ. ს. სოსნოვსკის [248]

საჭიროა ზუსტად კონსტიტუციის საფუძველზე გადამწყვეტი ხმები მივცეთ მხოლოდ მაზრის მუშაკებს. ახლავე დავუკავშირდები ცაკის პრეზიდიუმს. თქვენ ორივენი უნდა დარჩეთ სრულ დაშოშმინებამდე და მთელი მუშაობის მოწესრიგებამდე.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 20 ივნისს
გაგზავნილია ტვერში

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**373**

## დეპეშა სამხრეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

შ ი ფ რ ი თ

სამხრეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭო

ახლა შევიტყვე ლიანდაგის მუშებისაგან, რომ ცარიცინთან კავშირი რკინიგზით არ არის 18 რიცხვიდან. მათი თქმით,

* დოკუმენტის ზემო ნაწილში ვ. ი. ლენინმა მიაწერა: „გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი „საბჭოთა" შიფრით, რომელიც იციან სკლიანსკიმ, მედიანცევმა, სმილგამ, ლაშევიჩმა, მაგრამ რომელი შიფრიც საერთოდ სამხედროებისთვის ცნობილი არ არის". რ ე დ.

მთავარი სადგურია ლოგი. სწორია თუ არა ეს? თუ სწორია, რატომ მალავდით და არ გვაცნობებდით? რა ზომებია მიღებული მდგომარეობის აღსადგენად? საკმარისად მიეცით თუ არა შევსება, ვაზნები და ყუმბარები მე-10 არმიას? თუ საკმარისად არ მიგიციათ, აძლევთ თუ არა ახლა და რა გზით? მე-10 არმია უჩივის ნაკლებობას. კვლავ და კვლავ მივაქცევ თქვენს ყურადღებას იმას, თუ რა უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ცარიცინს. მიცემულია თუ არა დირექტივა არ დათმონ ცარიცინი, ასრულებთ თუ არა მას სავსებით გარკვეულად თუ არის სხვა აზრი? მიპასუხეთ ზუსტად და სასწრაფოდ.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 21 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ე. მ. სკლიანსკის ხელით დაწერილი ტექსტის მიხედვით

**374**

## დეპეშა ქ. გ. რაკოვსკის

1919 წ. 21. VI.

ყოველგვარ რიგგარეშე შეამოწმეთ, სახელდობრ როდის ჩაბარდა

კიევი
სახკომსაბჭო, რაკოვსკის
პირები შლიხტერს, პოდვოისკის

დასავლეთის არმიას უახლოეს დღეებში აუცილებლად სჭირდება სამი ეშელონი პური. დაბეჯითებით გთხოვთ მიიღოთ უაღრესად ენერგიული ზომები ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად. უკიდურესი საჭიროებაა. მიდეპეშეთ.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

875

## ა. ი. სვიდერსკის ან ა. დ. ციურუპას

სვიდერსკის (ან ციურუპას): ორივე ხელით უნდა ჩაებღაუჭოთ, გაგზავნოთ იქ სასურსათო არმია + სურსათის მუშაკები.

გაშალეთ აგიტაცია მშიერ მუშებში: ბელაიასკენ 5 მილიონი ფუთისათვის. მიპასუხეთ, რას შვრებით [249].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 23 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

876

## დეპეშა მ. მ. ლაშევიჩსა და კ. კ. იურენევს

1919 წ. 27. VI. შიფრით

ლაშევიჩს, იურენევს

აჯანყებულ კაზაკთა წარმატებანი ნიკოლაევსკის რაიონში ძალზე საგანგაშოა. მიაქციეთ უაღრესი ყურადღება. მიდეპეშეთ, რას აკეთებთ. შემდეგ განიხილეთ, ხომ არ შეიძლება გამოგზავნოთ აქ კოლჩაკისაგან ჩვენთან გადმოსული დაახლოებით თორმეტი ციმბირელი, დაჭრილი და საერთოდ ომისათვის უვარგისი, რომლებიც აქ შეძლებენ დაგვეხმარონ აგიტაციაში კოლჩაკისა და დენიკინის წინააღმდეგ ომის სასარგებლოდ.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

377

## ე. მ. სკლიანსკის

ს კ ლ ი ა ნ ს კ ი ს:

ახლავე მოელაპარაკეთ ვაცეტისს, რომ უაღრესი ყურადღება მიაქციოს პენზას და სარატოვ-ბალაშოვის გარღვევას [250].

ლ ე ნ ი ნ ი *

დაწერილია 1919 წლის ივნისის დამლევს—ივლისის დამდეგს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 50

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

378

## დეპეშა მ. ვ. ფრუნზეს

ფრუნზეს

მოწინააღმდეგის წარმატებათა განვითარება ნიკოლაევსკის რაიონში დიდ შეშფოთებას იწვევს. ზუსტად მაცნობეთ, საკმაო ყურადღება მიაქციეთ თუ არა ამ რაიონს. რა ძალებს უყურით თავს და რატომ არ აჩქარებთ თავმოყრას? სასწრაფოდ მაცნობეთ თქვენ მიერ მიღებული ყველა ღონისძიება [251].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 1 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1940 წელს „ვოენო-ისტორიჩესკი ჟურნალში“ № 10

იბეჭდება ე. მ. სკლიანსკის ხელით დაწერილი ტექსტის მიხედვით

379

## დეპეშა პოროხოვის დეპუტატთა რაიონულ საბჭოს

პეტროგრადი, პოროხოვის დეპუტატთა რაიონული საბჭო
პირი პეტროგრადი, საზღვაო პოლიგონი
ბერკალოვს

განუმარტეთ თქვენს ფინგანს, რომ შეუწყნარებელია განსაკუთრებული გადასახადი გადაახდევინოს ბერკალოვს თვალ-

* დოკუმენტს ხელს აწერს აგრეთვე ლ. დ. ტროცკი. რ ე დ.

საჩინო გამოგონებისათვის სახალხო კომისართა საბჭოსაგან მიღებულ 50 000 მანეთში.

დეკრეტი, რომელიც ათავისუფლებს ამგვარ პრემიებს დაბეგვრისაგან, მიიღო სახალხო კომისართა საბჭომ და ქვეყნდება[252].

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 2 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი პირის მიხედვით

## 380

## ა. მ. გორკის

1919. 5/VII.

ძვირფასო ალექსი მაქსიმეს ძევ!

ღმერთმანი, შეგაგვიანდათ პიტერში. არვარგა ერთ ადგილას ყოფნა. იღლები და გწყინდება. რას იტყვით გასეირნებაზე? ჩვენ ამას მოვაწყობთ[253].

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია პეტროგრადში

პირველად დაიბეჭდა 1928 წლის 29 მარტს გაზეთ „პრავდაში" № 75 და გაზეთ „იზვესტიაში" № 75

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 381

## ე. მ. სკლიანსკის

1919 წ. 5/VII.

ამხ. სკლიანსკი!

პიტერელები ამბობენ, რომ პიტერში აუარებელია

(1) ყუმბარები,

(2) ზარბაზნები ძველ გემებზე (კარგი იქნებოდა ვოლგისათვის!),

(3) „ ს ა ვ ე ლ ე 300-მდე.

სასწრაფოდ უნდა მიიღოთ უაღრესად მკაცრი ზომები და გააკეთოთ მოხსენება თავდაცვის საბჭოში უმთავრესად სანაოსნო გზით გამოზიდვის მაქსიმალური დაჩქარების შესახებ (დანაშაულია, რომ დღემდე არ არის გამოზიდული. ჩვენ გადავარჩენდით ცარიცინს).

სალამი! ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 382

## ნიჟნი ნოვგოროდის საგუბერნიო აღმასკომს[254]

1919 წ. 8. VII.

ნიჟნი ნოვგოროდის საგუბერნიო აღმასკომს სორმოვოს სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალთათვის გასაგზავნად

გთხოვთ დაუყოვნებლივ დანიშნოთ მკაცრი და აბსოლუტურად მიუკერძოებელი, პირადად ცნობილი საიმედო კომუნისტების მეშვეობით, ·

— თანდართული განცხადების შემოწმება;

— შეადგინეთ ზ უ ს ტ ი ფაქტობრივი აღწერა, რამდენი სახლი, ბინა და ოთახი უკავიათ (რამდენ სულს) მოსამსახურეებსა და უმაღლეს ტექნიკურ პერსონალს;

— რომელ საქარხნო სახლს თხოულობენ საბავშვო ბაღისათვის და რომელი შეიძლება მივცეთ;

— ზუსტად შეამოწმეთ, ვინ უნდა ყოფილიყო ამის გამგებელი, პასუხისმგებელ პირთა გ ვ ა რ ე ბ ი, მათი მისამართები, აგრეთვე იმათი მისამართები, ვინც გამოძიებას აწარმოებს.

შესრულება მაცნობეთ მაშინვე ფოსტით ან ვინმე წამომსვლელის საშუალებით.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე

ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

### 383

## ᲓᲔᲞᲔᲨᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ

ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ რ ი გ გ ა რ ე შ ე*

**კოზლოვი,** ს ა მ ხ რ ე თ ი ს ფ რ ო ნ ტ ი ს რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ს ა მ ხ ე დ რ ო ს ა ბ ჭ ო

სრულიად რუსეთის მთავარმა შტაბმა** მომცა კურსკის მიერ შემოწმებული ზუსტი ცნობა, რომ 15 მაისიდან ივლისამდე სამხრეთის ფრონტისათვის შესრულებულია განწესები სამოცდაათი ათასისა, ხოლო პირველიდან შვიდ ივლისამდე ოცდაორი ათასისა. თუ არ მიგიღიათ; მიიღეთ სასწრაფოდ განსაკუთრებული ზომები და მაცნობეთ მაშინვე, მოითხოვთ თუ არა მაინც თვრამეტწლიანთა გაწვევას, ხომ არ აჯობებს ჯერ სხვები წავიყვანოთ [255].

1919 წლის 8 ივლისი

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1940 წელს
ჟურნალ „პროლეტარსკაია
რევოლუციაში" № 1

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
და ვ. ი. ლენინის ხელმოწერილი
ტექსტის მიხედვით

### 384

## Ე. Მ. ᲡᲙᲚᲘᲐᲜᲡᲙᲘᲡ

1919 წ. 8. VII.

სამხედრო საქმეთა სახკომის მოადგილეს ამხანაგ სკლიანსკის

გთხოვთ დანიშნოთ გამოძიება ამხანაგ თევდორე შტურმერის (თუ შტურმინის) [256] განცხადების გამო და დააკმაყოფილოთ მისი თხოვნა, თუ გამოძიება დაადასტურებს მის კანონიერე-

* ეს ფრაზა დაწერილია ვ. ი. ლენინის ხელით. რ ე დ.

** სრულიად რუსეთის მთავარი შტაბი. რ ე დ.

ბას. ადგილობრივ ხელისუფალთა არასწორი მოქმედება გამოარკვიეთ ზუსტად და შედეგი მ ა ც ნ ო ბ ე თ.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე
ლ ე ნ ი ნ ი

ამას თან ერთვის ქაღალდები:
1) მოწმობა 1919, 20. VI,
2) ატესტატი № 96, 1919, 29. IV,
3) თ. შტურმერის წერილი.

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**385**

## დეპეშა ვ. ა. რადუს-ზენკოვიჩს

1919. 11. VII.

ყოველგვარ რიგგარეშე
სარატოვი

საგუბერნიო აღმასკომის თავმჯდომარეს ზენკოვიჩს
აჩვენეთ აგრეთვე იაროსლავსკის, კრილენკოს,
პლაკსინსა და გუბერნიის სურსათის კომისარს

გთხოვთ სასწრაფოდ შეამოწმოთ აბსოლუტურად საიმედო და მიუკერძოებელ პირთა საშუალებით: მართალია თუ არა, რომ სერგეი მალიშევი საუცხოოდ მუშაობს ვოლსკსა და ბალაკოვში კარჰაპდუქანში, შემდეგ, სწორია თუ არა, რომ ვოლგის მარცხენა ნაპირზე კოლოსალური მოსავალია, შემდეგ, რომ არ ჰყოფნით ხალხი მოსავლის ასაღებად? რამდენი ათასი, როდის იქნებიან საჭირო ჩრდილოეთი გუბერნიებიდან? პიტერი და მოსკოვი უპუროდაა. საჭიროა გმირული ზომები. მიდეპეშეთ ზუსტი პასუხი დაუყოვნებლივ.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

386

## დეპეშა ქ. გ. რაკოვსკის, ნ. ი. პოდვოისკის, უკრაინის ყველა სამხედრო კომისარს

კიევში, ამხ. ამხ. რაკოვსკის, პოდვოისკის,
უკრაინის ყველა სამხედრო კომისარს

პირი მიწსახკომს, მეშჩერიაკოვს

არსებული ცნობებით უკრაინის რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში ცალკეული სამხედრო კომისრები, ჯარის ნაწილები იტაცებენ, სპობენ ცოცხალ და მკვდარ ინვენტარს, რაც ანგრევს მეურნეობას და აურაცხელ უბედურებას გვიქადის უხვი მოსავლის აღების საქმეში. უმკაცრესი პასუხისმგებლობის შიშით ყოველი ღონე იხმარეთ ამგვარი დანაშაულებრივი მოქმედების დაუყოვნებლივ შესაწყვეტად, მოაწყვეთ საბჭოთა მეურნეობების ნამდვილი დაცვა, დამნაშავენი მიეცით პასუხისგებაში. მიღებული ზომების და შედეგების შესახებ სასწრაფოდ მიდეპეშეთ.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლენინი

დაწერილია 1919 წლის 11 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი და
ვ. ი. ლენინის ხელმოწერილი
ტექსტის მიხედვით

387

## ნ. პ. გორბუნოვს

გამოარკვიეთ, რა გაკეთდა სიზრანის მაზრის ფიქალიდან და ყაზანის ნავთობიდან საწვავის მოპოვების ორგანიზაციისათვის [257].

დაწერილია 1919 წლის 14
ივლისზე ადრე

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ნ. პ. გორბუნოვის ხელით
დაწერილი ტექსტის მიხედვით

388

## დეპეშა ი. ბ. სტალინს

დასავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭო
სტალინს

წერილი ნომერი პირველი მივიღე.

გიტისი ხვალ მოდის, თუ უკვე არ წამოსულა. სერგო და სოლოგუბი წამოვიდნენ. სერგეი მედვედევი ავად არის. სმილგამ გასცა განკარგულება მოგცეთ რაც შეიძლება მეტი მუშაკი. სამხრეთის ფრონტის შესახებ ვიღებთ ზომებს. იქ დღეს მიდიან კამენევი, სმილგა, გუსევი, სერებრიაკოვი*.

გილოცავთ ეკატერინბურგის აღებას.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 15 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

389

## ი. ს. განეცკის

1

განეცკის: შეადგინეთ პასუხის ტექსტი [258].

2

განეცკის: ასეთი ტექსტი არ ვარგა. უნდა შეადგინოთ ასე: შეგპირდით ამდენ და ამდენ მილიონს ამა და ამ ვადაში. გამოგიგზავნეთ კი ამდენი და ამდენი ამა და ამ დროს და გამოგიგზავნით კიდევ ამდენსა და ამდენს ამა და ამ დროს.

ახლავე შეადგინეთ ასეთი ტექსტი.

დაწერილია 1919 წლის 16 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1926 წლის 22 აპრილს გაზეთ „იზვესტიაში" № 92

იბეჭდება ხელნაწერების მიხედვით

* დეპეშის ტექსტი, გარდა პირველი და უკანასკნელი ფრაზებისა, ვ. ი. ლენინმა შემოხაზა და მინდორზე დააწერა: „შიფრით". რ ე დ.

## 390

## დეპეშა ქ. გ. რაკოვსკის

კიევი, სახკომსაბჭო
რაკოვსკის

„გაგზავნილია კიევსა და ხარკოვში სამას-სამასი, ხვალ იგზავნება ეკატერინოსლავისა და ოდესისათვის ას-ასი. მომავალ კვირაში გამოვგზავნით სულ 500-ს, შემდეგ 350-ს ყოველ კვირაში*. კრესტინსკი".

გაცნობებთ რა ამ პასუხს, გთხოვთ მიპასუხოთ, კმაყოფილი ხართ თუ არა, და თუ არა, სახელდობრ რა გსურთ.

ლენინი

დაწერილია 1919 წლის 16 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი პირის მიხედვით

## 391

## დეპეშა ი. ბ. სტალინს

1919 წ. 17. VII.

დასავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭო
სტალინს

ლენცმანი და პეტერსონი რეჟიციდან მთხოვენ შევაჩერო ყოფილი ლატვიელთა პოლკებისათვის სახელის გადარქმევა. გიგზავნით მათ თხოვნას [259].

ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* იგულისხმება მილიონ მანეთობით ფულის გაგზავნა უკრაინაში. რ ე დ.

392

## დეპეშა ი. ბ. სტალინს

მოსკოვი

1919 წ. 18. VII.

დასავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭო
სტალინს

თქვენს თხოვნას განიხილავს რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭო. სკლიანსკი ამბობს, რომ, თუ კიდევ წამოვიღებთ აღმოსავლეთის ფრონტიდან, მაშინ ის სამხრეთის ფრონტისათვის იყოსო. ხვალ ჩამოვლენ სმილგა და მთავარსარდალი [260] სამხრეთის ფრონტიდან*.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

393

## დეპეშა აღმოსავლეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

1919 წ. 19. VII.

სიმბირსკი

აღმოსავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭო

გთხოვთ ჩემი სახელით მიულოცოთ მე-2 და მე-5 არმიებს გამარჯვებები [261]. დაწვრილებით უნდა განიხილოთ პოლიტმუშაკებთან ერთად და მიიღოთ კონკრეტული ზომები პარტიზანშჩინის წინააღმდეგ. შედეგები მაცნობეთ.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1938 წლის 23 თებერვალს გაზეთ „პრავდაში" № 53

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* დეპეშის ტექსტი ვ. ი. ლენინმა შემოხაზა და მინდორზე დააწერა: „შიფრი". რ ე დ.

### 394

## ბარათი მოსკოვის საგანგებო კომისიის სამეურნეო განყოფილების ანგარიშზე

ანგარიში

ვლადიმერ ილიას ძეს
მოსკოვის საგანგებო კომისიის სამეურნეო განყოფილებისაგან

| რაოდენობა | თქვენთვის მოყიდული და მოცემული საქონლისათვის | ფასი | | თანხა | |
|---|---|---|---|---|---|
| | | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
| 1 წყვილი | ჩექმა | | | | |
| 1 — | კოსტიუმი | | | | |
| 1 — | საზეჰური | | | | |
| 1 — | ქამარი | | | | |

სულ ერთი ათას ოთხას ჩვიდმეტი მანეთისა და 75 კაპიკის
სამეურნეო განყოფილების გამგე

ამასთან გიგზავნით 2000 მანეთს (ორი ათასს), გთხოვთ—და კატეგორიულად მოვითხოვ — გადაასწორეთ ეს ანგარიში, აშკარად შემცირებული.

19/VII. ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1919 წლის 19 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

### 395

## ვ. პ. მილიუტინსა და პ. ი. პოპოვს [262]

**მილიუტინსა და პოპოვს**

**გაიანგარიშეთ,** თვეში დაახლოებით რამდენი მილიარდი დაგვჭირდება, თუ

(1) პურის ფასს გავახუთკეცებთ;
(გავასამკეცებთ)

(2) გლეხებისათვის სამრეწველო პროდუქტების ფასებს არ დავადგენთ, გავზრდით მათ რაც შეიძლება მეტად ზღვრულ ფასამდე, რასაც გლეხი მოგვცემს;

(3) მუშებსა და მოსამსახურეებს პურსა და სამრეწველო პროდუქტებს მივყიდით ძველ ფასებში;

(4) გავითვალისწინებთ უკრაინასაც, ურალსაც, იმიერვოლგეთსაც, დასავლეთ ციმბირის ნაწილსაც, დონსაც;

(5) პურის ფასებს დავარაიონებთ;

(6) პირობითად გავიანგარიშებთ, რამდენი მილიარდი იქნება საჭირო, თუ ხელფასსა და ჯამაგირს გავზრდით 10%-ით.

დაწერილია 1919 წლის 22 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 396

## დეპეშა მ. ვ. ფრუნზეს

1919 წ. 25. VII.

აღმოსავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭო ფრუნზეს

მეტისმეტად საგანგაშოდ მიმაჩნია ჩვენი წარუმატებლობანი და შეფერხება ბუზულუკის სამხრეთით, ურალსკთან, ცარევოსთან. გთხოვთ უაღრესი ყურადღება მიაქციოთ და უფრო ზუსტად მომაწოდოთ ინფორმაცია. ურალსკამდე* გზის აღდგენა უკიდურესად საჭიროა [233].

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1941 წელს წიგნში „მ. ვ. ფრუნზე სამოქალაქო ომის ფრონტებზე. დოკუმენტების კრებული“. მოსკოვი

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* დეპეშის ტექსტი „საგანგაშოდ მიმაჩნია... გთხოვთ მიაქციოთ“ და „ურალსკამდე გზის აღდგენა“ ვ. ი. ლენინმა შემოხაზა და მინდორზე დააწერა: „შიფრით“. რ ე დ.

397

## დეპეშა ნ. ვ. კრილენკოს

1919 წ. 25. VII.

სარატოვი
საგუბერნიო აღმასკომი
სრულიად რუსეთის ცაკის რწმუნებულს
კრილენკოს

განწესებათა დარღვევა არ შეიძლება, რადგან ისინი პურს აძლევენ ჯარს, ხოლო ყველაფერი განწესების გადამეტებით გაუგზავნეთ სურსათის კომისარიატს მოსკოვში. მაცნობეთ ზუსტად სახელდობრ სად და სახელდობრ რა რაოდენობით არის პური.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

398

## ჩანაწერი და რეზოლუცია პ. ი. ვოევოდინის დეპეშაზე

...პურეულის მოსავალი სამარის გუბერნიაში არნახულია, ასეთი არ ყოფილა მრავალი ათწლეულის მანძილზე. საჭირო მუშახელის უყოლობა იმის საფრთხეს ქმნის, რომ დაიღუპება სამარის გუბერნიაში ასაღებად გამზადებული უხვი მოსავალი, რომელსაც შეუძლია გამოკვებოს მშიერი საბჭოთა რუსეთი. საჭიროა დაუყოვნებლივ გაიგზავნოს ვოლგისპირეთში მთელი თავისუფალი მუშახელი, გლეხებს უნდა გაუგზავნოთ ფისი, კუპრი, არსებული იარაღები.

მატარებელ „ოქტომბრის რევოლუციის“ პოლიტიკური კომისარი
ვ ო ე ვ ო დ ი ნ ი

| | |
|---|---|
| 1) სვიდერსკის<br>2) გლებოვს<br>3) სერედას | უნდა დაძაბოთ მთელი ძალები და ხვალ დილით, 26/7, ტელეფონით მაცნობეთ, რა გაკეთდა. |

დაწერილია 1919 წლის 25 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 399
## დეპეშა ლ. დ. ტროცკის *

1919 წ. 28. VII. **შ ი ფ რ ი თ**

**ტროცკის**
ადგილსამყოფელის მიხედვით

ცეკას პოლიტბიურომ განიხილა თქვენი № 277/ს დეპეშა და სავსებით გეთანხმებათ, რომ საშიშია ყოველგვარი მერყეობა ერთხელ მიღებული გეგმის მტკიცედ განხორციელებაში [234]. პოლიტბიურო სავსებით აღიარებს მთავარსარდლის ოპერატიულ ავტორიტეტს და გთხოვთ შესაბამისი ახსნა-განმარტება მისცეთ ყველა პასუხისმგებელ მუშაკს. სამხრეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრებად პოლიტბიურო ძველ წევრებთან ერთად დამატებით ნიშნავს სმილგას, სერებრიაკოვს, ლაშევიჩს **.

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით
1958 წელს
წიგნში: ნ. ფ. კუზმინი.
„ვ. ი. ლენინი
საბჭოთა ქვეყნის თავდაცვის სათავეში (1918—1920 წწ.)“. მოსკოვი

მთლიანად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

* გადაცემულია პირდაპირი მავთულით. რ ე დ.
** შემდეგ ვ. ი. ლენინმა დააწერა: „ცეკას დავალებით სტასოვა“. რ ე დ.

## 400

## დეპეშა ლ. დ. ტროცკის

რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარეს ტროცკის

უკრაინაში ყოფნის დროს თქვენ, რა თქმა უნდა, გამოარკვიეთ იქაური მდგომარეობა. გთხოვთ მაცნობოთ იქაური ჯარების მდგომარეობა, მათი უნარი წინააღმდეგობა გაუწიონ დენიკინს, მიღებულია თუ არა, ბოლოს და ბოლოს, იქ სავსებით სერიოზული ღონისძიებანი, ძალუძთ თუ არა მათ დაიცვან თავი, უწევენ თუ არა სისტემატურ ინსტრუქტაჟს მუშებსა და გლეხებს დენიკინის მიერ ოკუპირებულ ადგილებში ფარული ორგანიზაციის, განსაკუთრებით მის ჯარებში არსებული ორგანიზაციის შესახებ, ისევე როგორც უკრაინელთა მობილიზაციის შესახებ, ესმით თუ არა უკრაინელ კომუნისტებს მდგომარეობის მთელი სერიოზულობა.

1919 წლის 29 ივლისი. ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი პირის მიხედვით

## 401

## ბელა კუნს[265]

ძვირფასო ამხანაგო ბელა კუნ! გთხოვთ ნუ იღელვებთ მეტისმეტად და ნუ მიეცემით სასოწარკვეთილებას. თქვენი ბრალდებანი თუ ეჭვები ჩიჩერინისა და რაკოვსკის წინააღმდეგ აბსოლუტურად მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. ჩვენ ყველანი სრული თანხმობით ვმუშაობთ. ჩვენ ვიცით უნგრეთის მძიმე და საშიში მდგომარეობა და ყველაფერს ვაკეთებთ, რაც შეგვიძლია. მაგრამ სწრაფი დახმარება ზოგჯერ ფიზიკურად შეუძლებელია. ეცადეთ გაუძლოთ რაც შეიძლება დიდხანს. ყოველი კვირა ძვირფასია. მოამარაგეთ სურსათით ბუდაპეშტი, გაამაგრეთ ქალაქი. იმედი მაქვს, იღებთ ზომებს, რომ-

ლებიც ვურჩიე ბავარიელებს*. გიძღვნით საუკეთესო სალამს და მაგრად გართმევთ ხელს. გაუძელით რამდენადაც შეგიძლიათ, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის ივლისის დამლევს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 402

## გ. ვ. ჩიჩერინს [266]

ამხ. ჩიჩერინ!

მივიღე თქვენი ბარათი და რადიოცნობა. ჩემი აზრით, ამას სერიოზულად ნუ მოვეკიდებით და ნურც პასუხს დავაჩქარებთ, სჯობს დავიცადოთ და ვიცინოთ. დღეს მივცემთ პრესას ს ა ს ა ც ი ლ ო დ დირექტივით რედაქტორებისადმი: ყოველნაირად გაამასხარაონ (გადაკვრით უთხრან: ასეთი ხომ არ არის მათი ცნობები ბუდაპეშტიდან) და ისევ და ისევ უწოდონ მენშევიკებსა და ესერებს არამზადები. ჩამოვალ—კიდევ მოვისაუბროთ.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 3 ან 4 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 403

## რეზოლუცია ციმბირის საქმეთა კომისიის წერილზე

ს ა ხ ა ლ ხ ო კ ო მ ი ს ა რ თ ა ს ა ბ ჭ ო ს

იმის გამო, რომ არ კმარა არსებული სააგიტაციო-პროპაგანდისტული ლიტერატურა, აგრეთვე იმის გამო, რომ იგი ნაკლებად გამოსადეგია ციმ-

* იხ. „მისალმება ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკისადმი“ (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 29, გვ. 376—377). რ ე დ.

ბირისათვის, ციმბირის საქმეთა კომისიამ შექმნა განსაკუთრებული ლიტერატურული სექცია, რომელმაც უმოკლეს ვადაში უნდა მოამზადოს დასაბეჭდად სააგიტაციო ხასიათის მთელი რიგი ბროშურები, ფურცლები და პლაკატები...

ამხ. ვოროვსკი!
გთხოვთ აღმოუჩინოთ ყოველგვარი დახმარება.

5/8. ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1919 წლის 5 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 404

## ლ. დ. ტროცკის

ცეკას პოლიტბიურომ განიხილა თქვენ მიერ აღძრული უაღრესად სერიოზული საკითხები[267] და წინადადებას გაძლევთ შეასრულოთ ამ საკითხებზე მთავრსარდლის დირექტივა სამხრეთის ფრონტისა და მე-12 არმიისადმი, რომელიც დაუყოვნებლივ გადმოგეცემათ.

თავის მხრივ პოლიტბიურო მოითხოვს, რომ ოდესა არ დათმოთ უკანასკნელ შესაძლებლობამდე*.

ცეკას პოლიტბიუროს მაგიერ ლენინი**

დაწერილია 1919 წლის 7 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* იხ. აგრეთვე ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 35, დოკუმენტი 220. რ ე დ.

** შემდეგ არის ლ. ბ. კამენევის ხელმოწერა, დაწერილი ვ. ი. ლენინის ხელით. რ ე დ.

405

## დეპეშა გ. ე. ზინოვიევს

1919 წ. 7. VIII.

პეტროგრადი
სმოლნი
ზინოვიევს

სავსებით გამორკვეულია, რომ მხოლოდ პიტერს შეუძლია მოგვცეს მუშები ვაზნის ქარხნებისათვის. რადაც უნდა დაჯდეს, უნდა vაიძულოთ სესტრორეცკისა და მილების ქარხნები ახლავე მოგვცენ ჩვენ მიერ მოთხოვნილი მუშები. საქმის გაჭიანურება შეუწყნარებელია, დანაშაულია, რადგან უვაზნებოდ დავიღუპებით. მთელი ძალ-ღონით იმოქმედეთ და თვალყური ადევნეთ შესრულებას.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

406

## რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს

8/VIII.

ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს

ახლა კიდევ მივიღე ს ა ი მ ე დ ო წყაროდან ცნობა, რომ კოლეგიის წევრები შ ი მ შ ი ლ ო ბ ე ნ (მაგალითად, მარკოვი გზათა სახალხო კომისარიატიდან და სხვ.). მოვითხოვ უაღრესად ენერგიულად, რომ ცეკამ 1) დაავალოს ცაკს კოლეგიების თითოეულ წევრს (და ამ მდგომარეობასთან ა ხ ლ ო მ ყ ო ფ თ) მისცეს 5000 მანეთი ერთდროული დახმარება;

2) მუდმივად გადაიყვანოს ყველა ისინი სპეციალისტის მ ა ქ ს ი მ უ მ ზ ე.

ღმერთმანი, სხვანაირად არ ივარგებს: შიმშილობენ თვითონაც და ოჯახებიც!!

100—200 კაცი უნდა გამოვკვებოთ.

დაწერილია 1919 წლის 8 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

407

## დეპეშა ევეცკის

### სამხრეთის ფრონტის მომარაგების უფროსს ევეცკის

ივლისის განმავლობაში მნიშვნელოვანი რაოდენობით გამოგეგზავნათ ტანსაცმელი და ფეხსაცმელი.

მიუხედავად ამისა, სამხრეთის ფრონტის ყველა არმიაში ზოგიერთი ნაწილი ფეხშიშველი და შეუმოსავია.

წინადადებას გაძლევთ უმკაცრესი პირადი პასუხისმგებლობის მუქარით მიიღოთ გადამწყვეტი ზომები, რომ დაუყოვნებლივ გაანაწილოთ მიღებული გაჭირვებულ ნაწილებს შორის*.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 8 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი და ვ. ი. ლენინის ხელმოწერილი ტექსტის მიხედვით

408

## დეპეშა ი. ტ. სმილგას, მ. მ. ლაშევიჩს, გ. ი. სოკოლნიკოვს

კ ო ზ ლ ო ვ ი, ს მ ი ლ გ ა ს, ლ ა შ ე ვ ი ჩ ს, ს ო კ ო ლ ნ ი კ ო ვ ს

მაცნობეთ დაუყოვნებლივ, საკმაოდ ენერგიულად მიდის თუ არა გადაჯგუფება და თავმოყრა, მიღებულია თუ არა ყვე-

* დეპეშის ზემო ნაწილს ვ. ი. ლენინმა წააწერა: „ამხ. სკლიანსკი! გაგზავნეთ შიფრით ან ღიად, იმის მიხედვით, რა უფრო მოსახერხებელია 8/VIII. ლ ე ნ ი ნ ი". რ ე დ.

ლა საჭირო ზომა დასაჩქარებლად. ჩატარდება თუ არა ოპერაცია ვადაზე თუ დაყოვნდება? როდის იწყებთ? ძალიან ვღელავ უკრაინის მდგომარეობის გამო. ლაშევიჩისაგან ველი პასუხს მოსკოვში დასმულ კითხვებზე.

13/VIII. 0 საათი და 30 წუთი. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის
13 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით
1942 წელს ლენინის XXXIV
კრებულში

მთლიანად დაიბეჭდა 1956 წელს
წიგნში: ვ. ი. ლენინი. „სამხედრო
მიმოწერა. 1917—1920". მოსკოვი

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით

## 409

## ე. დ. სტასოვას [268]

ელენე დიმიტრის ასულო, ეს ძველი პარტიული მუშაკია. ძალიან ძვირფასი ადამიანია. მომწერეთ, სად ფიქრობთ მოაწყოთ.

13/VIII. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის
13 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 410

## მ. კ. ვლადიმიროვს

1919. 14. VIII.

ძვირფასო ამხ. ვლადიმიროვ! თქვენი განთავისუფლება რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრობისაგან სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ თქვენით თუნდაც ოდნავ უკმაყოფილონი ვიყოთ. არაფერი ამის მსგავსი. ცეკა ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი იყო

ეს გაეკეთებინა, რათა ს ა ე რ თ ო დ დაეწყო სამხრეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ხელახალი ორგანიზაცია. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენს მუშაობაში რევოლუციურ სამხედრო საბჭოსთან უაღრესად მჭიდრო კავშირით **არაფერი არ** შეიცვლება. მომწერეთ, გეთაყვა, რომ მიიღეთ ეს წერილი და როგორ მოგვარდა ურთიერთობა ახლებურად. იყო თუ არა თქვენს მუშაობაში სიძნელეები და თუ იყო, როგორი.

სალამი! ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**411**

## დეპეშა ი. ტ. სმილგას

სმილგას
და ვოლსკის რევკომის
ადგილსამყოფელის მიხედვით

გამოგიგზავნეთ წერილი და შემდეგ მივიღე თქვენი 16 რიცხვის წერილი [209].

ტროცკი აქ არის და, მგონია, ერთ კვირას დარჩება. იმედია, მასთან ერთსულოვანი მუშაობა მოგვარდება. ხომ არ აჯობებს ჩამოხვიდეთ და შეუთანხმდეთ. ნუ ნერვიულობთ, ნუ ჩაეფლობით. თუ არ ჩამოხვალთ, მოიწერეთ უფრო ხშირად.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია არა უადრეს 1919
წლის 16 აგვისტოსი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 412

## დეპეშა მე-10 და მე-4 არმიების რევოლუციურ სამხედრო საბჭოებს

1919 წ. 20. VIII.

ორი მისამართი მე-10 რევოლუციური სამხედრო საბჭო
მე-4 რევოლუციური სამხედრო საბჭო
პირი მარქსშტადტი, ყოფილი ეკატერინენშტადტი
გერმანელთა კომუნის აღმასკომს

გლეხების მიერ პურის მოსავლის აღება ძალზე მნიშვნელოვანია რესპუბლიკისათვის. უბრძანეთ უმკაცრესად ყოველნაირად დაიცვან გლეხები ხორბლის მოსავლის აღების დროს და ულმობლად დახვრიტონ ჯარისკაცები ძარცვისა, ძალადობისა და უკანონობისათვის. მომახსენეთ შესრულება.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 413

## მოსკოვის დეპუტატთა საბჭოს სასურსათო განყოფილების სასოფლო-სამეურნეო ქვეგანყოფილებას

1919 წლის 23 აგვისტო

მივიღე რა თქვენგან საბჭოთა მეურნეობების ხილის ნიმუშები № 4936 ცნობასთან ერთად (22/8. 1919), უმორჩილესად გთხოვთ აღარ გააკეთოთ ეს, ხილი და ა. შ. არ გამოგზავნოთ, მე კი მაცნობეთ მონაცემები, საერთოდ როგორ ანაწილებენ ხილს და ა. შ. საბჭოთა მეურნეობებიდან, ე ძ ლ ე ვ ა თ უ ა რ ა ს ა ა ვ ა დ მ ყ ო ფ ო ე ბ ს, ს ა ნ ა ტ ო რ ი უ მ ე ბ ს, ბ ა ვ შ ვ ე ბ ს, ს ა ხ ე ლ დ ო ბ რ ს ა დ, ს ა ხ ე ლ დ ო ბ რ

რამდენი. რამდენია თქვენთან საბჭოთა მეურნეობა, მათი მმართველობის შემადგენლობა, რამდენი გზავნის ანგარიშებს, რამდენმა გამოგზავნა და რა ვადაში და ა. შ.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

414

## დეპეშა გ. ე. ზინოვიევს

1919 წ. 26. VIII.

პეტროგრადი
სმოლნი
ზინოვიევს

გთხოვთ სასწრაფოდ შეაგროვოთ მთელი მასალები შაბათობების შესახებ და გამომიგზავნოთ.

ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

415

## დეპეშა ნ. ოსინსკის

1919 წ. 26. VIII.

ტულა
ალმასკომი, ოსინსკის
პირი თოფხანებისა და ვაზნის ქარხნების კომისარს

არ აწარმოოთ თოფხანებისა და ვაზნის ქარხნების მუშების არავითარი იძულებითი მობილიზაცია რაიმე სამუშაოებზე

რადგან იარაღი და ვაზნები ყველაზე უფრო საჭიროა. შესრულება მაცნობეთ.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 416

## ბარათი მდივანს [270]

ხვალ განსაკუთრებული ქაღალდით აცნობეთ კ ვ ე ბ ი ს ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო ინსტიტუტს, რომ 3 თვის შემდეგ უნდა წარმოადგინონ ზ უ ს ტ ი და ს რ უ ლ ი მონაცემები ნახერხიდან შაქრის გამომუშავების **პრაქტიკულ** წარმატებათა შესახებ.

დაწერილია 1919 წლის 26 ან 27 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 417

## დეპეშა მ. მ. ლაშევიჩს

ლაშევიჩს

ძალზე მაწუხებს მამონტოვის [271] წარმატებანი. მას შეუძლია გზებისა და საწყობების დანგრევით საშინელი ზიანი მოგვაყენოს. იღებთ თუ არა ყველა ზომას? საკმაოდ ენერგიულად და სწრაფად? მაცნობეთ უფრო ხშირად.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 28 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 418

## ე. მ. სკლიანსკის [272]

30. VIII.

ამხ. სკლიანსკი! მარკოვმა დღეს მითხრა, რომ ახლა ყოველდღე მოვა 21-ე დივიზიის შვიდ-შვიდი ეშელონი, რომ იგი მთლიანად მოვა 4 დღის შემდეგ (მის შესახებ ცნობების დაყოვნება გამოწვეულია ქარიშხლით, რამაც 2 დღით გააფუჭა ტელეგრაფი), და შემდეგ თითო დივიზიას თითო კვირა დასჭირდება. დასაჩქარებლად იგი ყველაფერს აკეთებს.

ხომ არ გამოვიყენოთ მთელი 21-ე ან მისი ნაწილი (მეტი), რათა აუცილებლად გავჟლიტოთ მთლიანად ყველა „ლაშევიჩის ნათლული"? მოიფიქრეთ ეს კარგად. დიდი, **უდიდესი** მნიშვნელობა აქვს „სოკოლნიკოვის ნათლულის" დაჭერას და „ლაშევიჩის ნათლულთა" მთლიანად მოსპობას.

თქვენი ლენინი

დაწერილია 1919 წლის
30 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 419

## რადიოდეპეშა ტაშკენტის აღმასკომს

ტაშკენტი
აღმასკომი
პირი ყველა რკინიგზელს

საბჭოთა რუსეთისა და საბჭოთა თურქესტანის მომავალი შეერთების გამო დაუყოვნებლივ უნდა დაძაბოთ მთელი ძალღონე ორთქლმავლების მოძრავი შემადგენლობის შესაკეთებლად. თავდაცვის საბჭო წინადადებას გაძლევთ მობილიზაცია უყოთ ამისათვის დეპოსა და სახელოსნოების მთელ ძალებს. რევოლუციისა და წითელი არმიის გამარჯვება უნდა გამოვიყე-

ნოთ თურქესტანისა და რუსეთის ეკონომიური ცხოვრების ასამაღლებლად. სალამი წითელ თურქესტანს [273].

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის
30 აგვისტოს

დაბეჭდილია 1919 წლის 2 სექტემბერს გაზეთში „იზვესტია ციკ ტურკესტანსკოი რესპუბლიკი როსიისკოი სოვეტსკოი ფედერაციი ი ტაშკენტსკოგო სოვეტა რაბოჩიხ, სოლდატსკიხ ი დეხკანსკიხ დეპუტატოვ“ № 188

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი და ვ. ი. ლენინის ხელმოწერილი ტექსტის მიხედვით

## 420

## ე. მ. სკლიანსკისა და ი. ტ. სმილგას

ამხ. სკლიანსკი და ამხ. სმილგა!

მე ვიცნობ ერთ ამხანაგს ზ ე დ მ ი წ ე ვ ნ ი თ, როგორც ს რ უ ლ ი ა დ  გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი ერთგულების, გ ა მ ბ ე დ ა ო ბ ი ს ა და ენერგიის ადამიანს (განსაკუთრებით რაც შეეხება აფეთქებებს და გაბედულ თავდასხმებს) *.

წინადადებას გაძლევთ:

(1) შესაძლებლობა მისცეთ ისწავლოს მეთაურის საქმე (ყოველი ღონე იხმარეთ დააჩქაროთ, განსაკურებით ლექციების კითხვა და სხვ.).

რა შეიძლება გაკეთდეს?

(2) დაავალეთ მას შექმნას განსაკუთრებული რაზმი აფეთქებებისათვის etc. მოწინააღმდეგის ზ უ რ გ შ ი.

დაწერილია 1919 წლის ზაფხულში

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* ლაპარაკია კამოზე (ს. ა. ტერ-პეტროსიანზე). რ ე დ.

## 421

## დეპეშა ი. ბ. სტალინს

დ ა ს ა ვ ლ ე თ ი ს ფ რ ო ნ ტ ი ს შ ტ ა ბ ი,
**სტალინს**

პოლიტბიურო გთხოვთ აუხსნათ თქვენი მოტივები მარხლევსკის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. გაოცებული ვართ, რომ, აუქმებთ რა ერთპიროვნულად ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას, არაფერს არ გვაცნობებთ ამის შესახებ [274].

პოლიტბიუროს მაგიერ ლ ე ნ ი ნ ი

1919 წლის 1 სექტემბერი.

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
გაშიფრული ტექსტის
მიხედვით

## 422

## დეპეშა ლ. დ. ტროცკის, ლ. პ. სერებრიაკოვს, მ. მ. ლაშევიჩს [275]

ტ რ ო ც კ ი ს
ს ე რ ე ბ რ ი ა კ ო ვ ს
ლ ა შ ე ვ ი ჩ ს

განიხილა რა ტროცკის, სერებრიაკოვისა და ლაშევიჩის დეპეშა, ცეკას პოლიტბიურომ დაამტკიცა მთავარსარდლის პასუხი და გამოთქვამს გაოცებას, რომ ცდილობენ გადაწყვეტილი ძირითადი სტრატეგიული გეგმის გადასინჯვას.

ცეკას პოლიტბიუროს დავალებით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 6
სექტემბერს
გაგზავნილია ორიოლში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 423

## ყველა კომისარიატის კოლეგიათა ყველა წევრს და სახკომებს

გიგზავნით ამასთან ბროშურას „შეასრულეთ საბჭოთა რესპუბლიკის კანონები“ და ყურადღებას მივაქცევ მასში გადაბეჭდილ კ ა ნ ო ნ ს, რომელიც გამოსცა საბჭოების VI სრულიად რუსეთის ყრილობამ.

მოგაგონებთ, რომ უთუოდ საჭიროა ამ კანონის ზუსტად შესრულება.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

1919. 6/IX.

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს
ლენინის VIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 424

## ჩანაწერი კ. თ. მარტინოვიჩის მოხსენებაზე და ბარათი ლ. დ. ტროცკის, ფ. ე. ძერჟინსკისა და რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს

NB ...რევოლუციურმა სამხედრო საბჭომ•ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია დაზვერვის ცნობას, და სამხრეთის ფრონტის სარდალმა განაცხადა, რომ ეს უმნიშვნელო რამ არის, და რომ კაზაკები კიდევაც რომ გაიჭრნენ, ტომარაში აღმოჩნდებიან.

...ყოველივე ამან ის გამოიწვია, რომ საზარგო საწყობის დაახლოებით 290 ვაგონი ქონება კოზლოვში დარჩა, რომელიც კაზაკებმა და მოსახლეობამ გაძარცვეს.

ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია, მოვითხოვო, რომ დეტალურად და დაწვრილებით იქნეს გამოძიებული სამხრეთის ფრონტის შტაბის დაწესებულებათა და განსაკუთრებით საზარგო საინტენდანტო საწყობის ევაკუაციის მიმდინარეობა, გამოძიების წარმოება დაევალოს კომისიას რესპუბლიკის რევტრიბუნალის, თავდაცვის საბჭოს და სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლების შემადგენლობით.

ამხ. ტროცკის
ამხ. ძერჟინსკის
და ცეკას

ჩემი აზრით, გამოძიება უნდა დაინიშნოს სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის მეშვეობით [276].

12/IX. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 12 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**425**

## ი. ბ. სტალინსა და მ. თ. ვლადიმირსკის [277]

ამხ. სტალინ და ამხ. ვლადიმირსკი! საჭიროა დაინიშნოს რევიზია ა რ ქ ი მ კ ა ც რ ი, **ა რ ა ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ი**, პარტიული, სწრაფი, მუშებითურთ, რომელიც არ მოექცევა პიტერის „გავლენის“ ქვეშ.

12/IX. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 12 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**426**

## ა. მ. გორკის

15/IX.

ძვირფასო ალექსი მაქსიმეს ძევ! ტონკოვი მივიღე, და ჯერ კიდევ მის მიღებამდე და თქვენს წერილამდე გადავწყვიტეთ ცეკაში დავნიშნოთ კამენევი და ბუხარინი მოკადეტო ტიპის ბურჟუაზიულ ინტელიგენტთა დაპატიმრების შესამოწმებლად და ვისიც კი შესაძლებელია განსათავისუფლებლად [278]. რადგან ჩვენთვის ცხადია, რომ აქაც იყო შეცდომები.

ცხადია ისიც, რომ საერთოდ კადეტური (და მოკადეტო) ხალხის დაპატიმრება აუცილებელი და სწორი იყო.

როცა ვკითხულობ თქვენს გულახდილ აზრს ამის შესახებ, მაგონდება თქვენი ფრაზა, რომელიც განსაკუთრებით ჩამრჩა მეხსიერებაში ჩვენი საუბრების დროს (ლონდონში, კაპრიზე და შემდეგ):

„ჩვენ, მხატვრები, გადარეული ადამიანები ვართ“.

სწორედ ასეა! წარმოუდგენელ ბრაზიან სიტყვებს ამბობთ რის გამო? იმის გამო, რომ რამდენიმე ათეული (ან თუნდაც ასეული) კადეტი და მოკადეტო ვაჟბატონი რამდენიმე დღეს საპატიმროში ისხდებიან ი ს ე თ შ ე თ ქ მ უ ლ ე ბ ა თ ა ა ღ ს ა კ ვ ე თ ა დ, რ ო გ ო რ ი ც ა ა კ რ ა ს ნ ა ი ა გ ო რ კ ა ს ჩ ა ბ ა რ ე ბ ა, შეთქმულებათა, რომლებიც დაღუპავს უქადიან ა თ ე უ ლ ათასობით მუშასა და გლეხს.

წარმოგიდგენიათ, რა უბედურებაა! რა უსამართლობაა! რამდენიმე დღე ან თუნდაც კვირა პატიმრობა ინტელიგენტებს ათეულ ათასობით მუშისა და გლეხის გაჟლეტის აღსაკვეთად!

„მხატვრები გადარეული ადამიანები ვართ“.

ხალხის „ინტელექტუალური ძალების“ არევა ბურჟუაზიულ ინტელიგენტთა „ძალებთან“ სწორი არ არის. მათ ნიმუშად მოვიყვან კოროლენკოს: ამას წინათ წავიკითხე მისი, 1917 წლის აგვისტოში დაწერილი, ბროშურა „ომი, სამშობლო და კაცობრიობა“. კოროლენკო ხომ საუკეთესოა „მოკადეტოთაგან“, თითქმის მენშევიკია. იმპერიალისტური ომის რა უხამსი, საძაგელი, საზიზღარი დაცვაა, დაფარული დაშაქრული ფრაზებით! უბადრუკი მეშჩანინი, დატყვევებული ბურჟუაზიული ცრურწმენებით! ასეთი ვაჟბატონებისათვის 10 000 000 კაცის სიკვდილი იმპერიალისტურ ომში ისეთი საქმეა, რომელიც იმსახურებს მხარდაჭერას (**საქმეებით**, დაშაქრული ფრაზებით ომის „წინააღმდეგ“), ხოლო ასეულ ათასობით ადამიანის დაღუპვა ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ სამოქალაქო ომში მემამულეთა და კაპიტალისტთა წინააღმდეგ იწვევს მათს ოხვრას და ისტერიკას.

არა. ცოდვა არ იქნება, რომ ასეთი „ტალანტები“ რამდენიმე კვირას საპატიმროში ისხდნენ, თუ ეს უ ნ დ ა გაკეთდეს

შეთქმულებათა (კრასნაია გორკის მსგავსი) და ათეულ ათასობით ადამიანის დაღუპვის თ ა ვ ი დ ა ნ  ა ს ა ც ი ლ ე ბ ლ ა დ. ჩვენ კი კადეტთა და „მოკადეტოთა“ ეს შეთქმულებები გამოვამჟღავნეთ. და ჩვენ **ვიცით**, რომ მოკადეტო პროფესორები ხშირად შეთქმულებს უწევენ **დახმარებას**. ეს ფაქტია.

მუშათა და გლეხთა ინტელექტუალური ძალები იზრდებიან და მტკიცდებიან ბრძოლაში, რათა დაამხონ ბურჟუაზია და მისი დამქაშები, მოინტელიგენტონი, კაპიტალის ლაქიები, რომლებსაც თავი ერის ტვინად მიაჩნიათ. სინამდვილეში ეს ტვინი კი არა, მ...

„ინტელექტუალურ ძალებს“, რომლებსაც სურთ მეცნიერება შეიტანონ ხალხში (და არა ლაქიობა გასწიონ კაპიტალის წინაშე), ჩვენ ვუხდით  ს ა შ უ ა ლ ო ზ ე  მ ე ტ  ჯამაგირს. ეს ფაქტია. ჩვენ მათ ვუფრთხილდებით. ეს ფაქტია. ათეულ ათასობით ოფიცერი ჩვენში ემსახურება წითელ არმიას და იმარჯვებს ასობით მოღალატის მიუხედავად. ეს ფაქტია.

რაც შეეხება თქვენს განწყობილებას, „გაგებით“ კი მესმის (რაკი თქვენ თქვით, გაგიგებთ თუ არა). კაპრიზეც და შემდეგაც არაერთხელ მითქვამს თქვენთვის: თქვენ საშუალებას აძლევთ ბურჟუაზიული ინტელიგენციის სწორედ უცუდეს ელემენტებს თავი მოიყარონ თქვენს გარშემო და ჰყვებით მათ წუწუნს. ასობით ინტელიგენტის კვილი რამდენიმე კვირით „საშინელი“ დაპატიმრების გამო თქვენ გესმით და ისმენთ, ხოლო მილიონობით მასების, მუშებისა და გლეხების ხმა, რომლებსაც ემუქრებიან დენიკინი, კოლჩაკი, ლიანოზოვი, როძიანკო, კრასნოგორსკელი (და სხვა **კადეტური**) შეთქმულები, ეს ხმა თქვენ არ გესმით და არც ისმენთ მას. სავსებით მესმის, სავსებით, სავსებით მესმის, რომ ასე თუ წერეთ, შეიძლება თქვათ არა მარტო ის, რომ „წითლები ხალხის ისეთივე მტრები არიან, როგორც თეთრები“ (კაპიტალისტთა და მემამულეთა დამხობისათვის მებრძოლნი ხალხის ისეთივე მტრები არიან, როგორც თვით კაპიტალისტები და მემამულეები), არამედ ისიც, რომ გწამთ ღმერთი ან მამა-მეფე. სავსებით მესმის.

×

ღმერთმანი, დაიღუპებით, თუ თავი არ დააღწიეთ ბურჟუაზიულ ინტელიგენტთა ამ გარემოცვას! სულით და გულით გისურვებთ მალე დაგეღწიოთ თავი.

საუკეთესო სალამი!

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

× რადგან თქვენ ხომ არ წერთ! საკუთარი თავი გაფლანგოთ დამპალ ინტელიგენტთა წუწუნის გამო და არ წეროთ— განა მხატვრისათვის ეს დაღუპვა არ არის, განა სირცხვილი არ არის?

დაწერილია 1919 წლის
15 სექტემბერს
გაგზავნილია პეტროგრადში

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**427**

## ლ. დ. ტროცკის, ლ. პ. სერებრიაკოვს, მ. მ. ლაშევიჩს

ტროცკის, სერებრიაკოვს, ლაშევიჩს

ცეკას პოლიტბიურო აბსოლუტურად შეუწყნარებლად მიაჩნია, რომ ცეკას გადაწყვეტილების მიუხედავად სელივაჩევი დღემდე რჩება განსაკუთრებული ზედამხედველობის გარეშე. მოვითხოვთ კავშირის დამყარებას თუნდაც აეროპლანით და მასთან სერებრიაკოვის გაგზავნას, რადაც უნდა დაჯდეს და დაუყოვნებლივ, სელივაჩევთან კომისრად [279]. ხელმეორე გარღვევის რაიონში დივიზიების უფროსთა საქციელი უაღრესად საეჭვოა. მიიღეთ გმირული ზომები მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.

პოლიტბიურო ავალებს ამხ. სტალინს მოელაპარაკოს მთავარსარდალს და მიუთითოს, რომ არ კმარა მის მიერ მიღებული ზომები სელივაჩევთან კავშირის დასამყარებლად და საეჭვო

უდარდელობის, თუ ღალატის არა, აღსაკვეთად ხელმეორე გარღვევის რაიონში;

— შემდეგ მიუთითეთ მთავარსარდალს, რომ ძალზე არაენერგიულია ოლდეროგე და რომ საჭიროა ზომების მიღება, ან მისი შეცვლა უფრო ენერგიული მეთაურით (განიხილეთ ფრუნზეს საკითხი), ან უაღრესად საიმედო და ენერგიული კომისრების გაგზავნა, ან ერთიც და მეორეც.

დაწერილია 1919 წლის
16 სექტემბერს
პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 428

## ა. მ. გორკის

ალექსი მაქსიმეს ძევ! ამხ. ზინოვიევი გაგაცნობთ საგარეო საქმეთა კომისარიატის ერთ გეგმას [260]. უნდა ვსინჯოთ. გთხოვთ, დაწეროთ პროექტი წერილისა, როცა დაწვრილებით ისაუბრებთ ზინოვიევთან.

სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია არა უადრეს 1919
წლის 26 სექტემბრისა
პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 429

## სმუს-ის თავმჯდომარის მოადგილეს

1919 წ. 30. IX.

ამხ. ლომოვს
ან მილიუტინს
სმუს-ის თავმჯდომარის მოადგილეს

ამხ. ლომოვ! გთხოვთ გაგზავნოთ შესაბამის განყოფილებაში

1) თანდართული ქაღალდი და დაავალოთ მიპასუხონ, **სახელდობრ რა გაკეთდა** ამ დარგში [261];

2) შეკითხვა: რა გაკეთდა ნავთობის უტილიზაციისათვის, რომელიც (კალინინის თქმით) არის 70 **ვერსზე ორენბურგიდან.**

ამხ. სალმით ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**430**

## ე. მ. სკლიანსკის

ამხ. სკლიანსკი! სასწრაფოდ უნდა დაამუშაოთ საკითხი, როგორ გააძლიეროთ აღმოსავლეთის ფრონტიდან წამოყვანილი დივიზია.

ხომ არ შეიძლება მას დაემატოს 20—30% ახალბედები? მობილიზებული მუშები? იქნებ, შეიძლება 5% კომუნისტები, 15% მუშები, 10% გლეხები? მაშინ გაიზრდება 30%-ით. იქნებ, მეცნიერულად ეს დასაშვებია (მთელი დივიზიის შეუსუსტებლად წრთობის თვალსაზრისით)?

ს ა ს წ რ ა ფ ო დ უნდა მოიფიქროთ და გადაწყვიტოთ ეს.

შემდეგ, ახლა უნდა გ ა ძ ლ ი ე რ დ ე ს შაშხანების გაგზავნა აღმოსავლეთის ფრონტზე.

ხომ არ მივცეთ აღმოსავლეთის ფრონტს დავალება: მოიფიქროს და მოახდინოს ჯარების გადაჯგუფება, ისე რომ გააძლიეროს ყ ვ ე ლ ა დივიზია 15—30%-ით და ამით არმია გაზარდოს წინანდელ შემადგენლობამდე.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის სექტემბერში

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 431

## დეპეშა გ. ე. ზინოვიევს*

1919 წ. 2. X.

პეტროგრადი
სმოლნი
ზინოვიევს

წერილი მივიღე. მხურვალედ მოგესალმებით თქვენ და ყველა პიტერელ მუშას ენერგიული მუშაობისათვის. დარწმუნებული ვარ, რომ მობილიზაციას მაქსიმალურ ოდენობამდე მიიყვანთ.

ლ ე ნ ი ნ ი

„პეტროგრადსკაია პრავდა"
№ 223, 1919 წლის
3 ოქტომბერი

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით, რომელიც შედარებულია გაზეთ „პეტროგრადსკაია პრავდის" ტექსტთან

## 432

## ი. ტ. სმილგას

1919 წ. 4. X.

**შიფრით** პირდაპირი მავთულით

სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭო
სმილგას

შორინი თაღლითობს, ბუდიონს ინახავს მარტო თავისთვის და საერთოდ არ გამოუჩენია არავითარი ენერგია სამხრეთის ფრონტის ჯარების დასახმარებლად. მთლიანად იქნებით პასუხისმგებელი ამ უმსგავსობის აღმოფხვრისათვის, რომელიც ღალატს უდრის. მიდეპეშეთ დაწვრილებით, რა რეალური ზომები მიიღეთ სერიოზული დახმარებისა და მისი შესრულებისადმი სერიოზული კონტროლისათვის და როგორი წარმატებით ახორციელებთ ამას.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

* დეპეშაზე არის ვ. ი. ლენინის შენიშვნა: „პირდაპირი მავთულით სმოლნში. მაცნობეთ საათი, რომელ საათზე მიიტანეს სმოლნში". რ ე დ.

433

## დეპეშა რკპ (ბ) ორენბურგის საგუბერნიო კომიტეტსა და საგუბერნიო აღმასკომს

1919 წ. 8. X.

ორენბურგი
პარტიის საგუბერნიო კომიტეტს
საგუბერნიო აღმასკომს
გამაგრებულ რაიონს

დაძაბეთ ძალები და დაეხმარეთ სამხრეთის ფრონტს უნაგირებით, ცხენებით, ჯარისკაცებით. მიდეპეშეთ, რას აკეთებთ და რას გააკეთებთ.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს წიგნში: ვ. ტროცკი. „1919 წელი შუა ვოლგის მხარეში (რევოლუციური ამბების ქრონიკა)", გამოც. 2. მოსკოვი—სამარა

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

434

## ამხანაგებს პეტროგრადის საგუბერნიო აღმასკომიდან

1919 წ. 10. X.

ამხანაგებო! ამხ. იუნოსოვმა მიამბო თქვენი საქმის შესახებ. ყურადღებით მოვისმინე და მივედი დასკვნამდე, რომ საქმე გადაწყვეტილია სწორად და თქვენს სასარგებლოდ, ვინაიდან მოუფიქრებელი და ღრმად უსამართლო სიტყვების მთქმელს გამოუტანეს გაკიცხვა.

ეს საკმარისია. ამით თქვენ გამართლებული ხართ, ის კი გამტყუნებული. ძალიან გთხოვთ და გირჩევთ ახლა აღმოფხვრათ ყოველგვარი მოგონება ამის შესახებ და ყველაფერი დავიწყებას მისცეთ.

დარწმუნებული ვარ, რომ მუშები ახლა ყველანი ფრონტზე წავლენ. დენიკინი გვაწვება, **საფრთხე სერიოზულია.**

ამხანაგური სალმით ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**435**

## შენიშვნები გ. ვ. ჩიჩერინის წერილზე

დიდად პატივცემულო ვლადიმერ ილიას ძევ, არ ვიცი, წაიკითხეთ თუ არა დიდძალ რადიოცნობებს შორის კაუცკის წიგნის შესახებ, გიგზავნით ცალკე ამ ამონაწერს. რამდენადაც ვასწრებ ჩვენი ლიტერატურის კითხვას, ვფიქრობ, ჩვენში საკმაოდ არ არის გაშუქებული სახელმწიფო კაპიტალიზმის როლი პროლეტარული პოლიტიკური ხელისუფლების დროს, რომელიც გამორჩა კაუცკის. ჩვენში ჯერ კომუნიზმი კი არ არის, სახელმწიფო კაპიტალიზმია

#

უთანასწორო ანაზღაურებით და თვით სანარდო ხელფასით, იძულების ფორმებით, რომლებიც ზოგჯერ აღადგენენ ძველ რეჟიმს, თვით წარმოების მართვის ცენტრალიზაციით საქარხნო თვითმმართველობის შეზღუდვის

სამწუხაროდ, თითქმის არ არის ნამდვილი ცენტრალიზაცია.

ეს კაპიტალიზმის ნიშანი როდია. ამის მიზეზია მოწინააღმდეგის ბრძოლის ფორმები და კულტურის დონე და არა კაპიტალიზმი.

ეს კი სრულიად არ არის სწორი. ??? ||| პირობებში. ჩვენში სახელმწიფო კაპიტალიზმის წითელი არმიაა ფრიად ძლიერი იძულების აპარატით და არა კომუნიზმის არმია...

\# ჩემი აზრით, არა. ჩვენში კომუნიზმზე გადასვლის პირველი საფეხურის ბრძოლაა **გ ლ ე ხ უ რ ი** და კაპიტალისტური ცდებით დავიცვათ (ან ავაღორძინოთ) სასაქონლო წარმოება.

12/X. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 12 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**436**

## დეპეშა ი. ნ. სმირნოვსა და მ. ვ. ფრუნზეს

1919 წ. 13. X.

ორი მისამართი

მე-5 რევოლუციური სამხედრო საბჭო, სმირნოვს

თურქესტანის ფრონტის სარდალს ფრუნზეს

ცეკას დირექტივაა: გაძარცვოთ ყველა ფრონტი სამხრეთის ფრონტის სასარგებლოდ. მოიფიქრეთ უსწრაფესი ზომები, მაგალითად, სასწრაფო მობილიზაცია ადგილობრივი მუშებისა და გლეხებისა, რომ ამ მუშებით და გლეხებით შეცვალოთ თქვენი ნაწილები, რომლებიც შეიძლება გაიგზავნონ სამხრეთის ფრონტზე. მდგომარეობა იქ მრისხანეა*. მიდეპეშეთ დაწვრილებით შიფრით.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* დეპეშის ტექსტი „გაძარცვოთ ყველა ფრონტი... მდგომარეობა იქ მრისხანეა" ვ. ი. ლენინმა შემოხაზა და მინდორზე მიაწერა: „შიფრით". რ ე დ.

## 437
## ჰოლანდიელ კომუნისტებს [282]

1919. 14. X.

ძვირფასო მეგობრებო! გითვლით საუკეთესო სალამს. ჩვენი მდგომარეობა ძალზე მძიმეა 14 სახელმწიფოს შემოტევის გამო. უდიდეს ძალ-ღონეს ვიკრებთ. კომუნისტური მოძრაობა ყველა ქვეყანაში შესანიშნავად იზრდება. საბჭოთა წყობილება მუშათა მასებისათვის პრაქტიკული ლოზუნგი გახდა ყველგან. ეს უდიდესი წინგადადგმული მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ნაბიჯია. საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება ყველაფრის მიუხედავად გარდუვალია.

თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის პირის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

## 438
## ვ. ა. ავანესოვს, ე. მ. სკლიანსკის, მ. ი. როგოვს, ფ. ფ. სირომოლოტოვს, ვ. პ. მილიუტინს

1919 წ. 15. X.

ამხ. ამხ. ავანესოვს, სკლიანსკის, როგოვს
(მოსკოვის დეპუტატთა საბჭო),
სირომოლოტოვსა და მილიუტინს

ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა კომისიას ლენინის, ტროცკის, კრესტინსკისა და კამენევის შემადგენლობით

„მოამზადოს მოხსენება სამხედრო მიზნებისა და სამხედრო მომარაგებისათვის ყოველგვარი ვარგისი ქონების მოძებნის შესახებ და ამ მოხსენებაში შეტანილ იქნეს მკაცრი სასჯელი მიუთითებლობისათვის".

ამ კომისიამ დაადგინა შექმნას ქვეკომისია ზემოთ დასახელებული ამხანაგებისაგან (სმუსისაგან სირომოლოტოვი ან მი-

ლიუტინი ან ვინმე ტრამოტიდან* და ა. შ. ჩვენი და სმუს-ის პრეზიდიუმის შეთანხმებით) და დაევალოს მას შეადგინოს დ ე კ რ ე ტ ი ს პ რ ო ე ქ ტ ი შაბათისათვის (თავდაცვის საბჭოში შესატანად) [233].

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

P. S. დეკრეტის ამოცანების შესახებ შეიძლება ტელეფონით შეთანხმება, ჩემთან და ტროცკისთან, თუ ეს საჭიროა.

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში — იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**439**

## ე. მ. სკლიანსკის, ნ. ა. სემაშკოსა და ლ. ბ. კამენევს

1919 წ. 15. X.

ამხ. ამხ. სკლიანსკის
სემაშკოს
ლ. ბ. კამენევს

ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით დასახელებულ ამხანაგებს დაევალათ შექმნან ქვეკომისია დეკრეტის პროექტის შესამუშავებლად.

დაჭრილებისათვის დახმარების კომიტეტის შესახებ, რომელიც უნდა შეიქმნას სრულიად რუსეთის ცაკთან [234].

შეიტანონ შაბათისათვის ცეკას პოლიტბიუროში.

ასეთი დეკრეტის მნიშვნელობა და უკიდურესი გადაუდებლობა ცენტრალურმა კომიტეტმა დადგენილად და უდავოდ ცნო.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში — იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სატრანსპორტო-მატერიალური განყოფილება. რ ე დ.

## 440

## დეპეშა გ. ნ. კამინსკის

აღმაშფოთებელია დაყოვნება, რომელიც თქვენ და სხვა პასუხისმგებელმა მუშაკებმა დაუშვით კავალერიის დატვირთვის საქმეში.

გაფრთხილებთ, რომ ტულის სამხედრო საქმის მუშაკები ვალდებული არიან უდიდესი ენერგია და შემსრულებლობა გამოიჩინონ, რასაც საქმით ვერ ვხედავ. დაუყოვნებლივ წარმომიდგინეთ დაშვებული შეფერხების მიზეზების ახსნა-განმარტება. დამნაშავეებს უმკაცრეს პასუხისგებაში მივცემ. მოვითხოვ მთელი ძალებით დაჩქარდეს დატვირთვა.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის
16 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით 1960 წელს წიგნში „ასე მტკიცდებოდა ოქტომბრის მონაპოვარნი". ტულა

მთლიანად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
გ. ნ. კამინსკის მიერ ჩაწერილი ტექსტის მიხედვით

## 441

## ლ. დ. ტროცკის

17/X.

ამხ. ტროცკი! წუხელ მთელი ღამე გავატარეთ თავდაცვის საბჭოში და გამოგიგზავნეთ შიფრით (უკეთესია გამოგზავნოთ თქვენი შიფრით, რადგან კარახანის შიფრი, რომელსაც ზინოვიევი ხმარობს, იწვევს რამდენიმე საათით შეფერხებას) თავდაცვის საბჭოს დადგენილება.

როგორც ხედავთ, მიღებულია თქვენი გეგმა.

მაგრამ პიტერელი მუშების სამხრეთით დახევა, რა თქმა უნდა, არ არის უარყოფილი (თქვენ, ამბობენ, ამას უჩიჩინებ-

დით კრასინსა და რიკოვს); საჭიროებამდე ამის შესახებ ლაპარაკი ნიშნავს ყურადღება ჩამოვაშოროთ ბოლომდე ბრძოლას [285].

პიტერის შემოვლისა და მოჭრის ცდა, გასაგებია, გამოიწვევს შესაბამის ცვლილებებს, რომლებსაც თქვენ ადგილზე განახორციელებთ.

დაავალეთ საგუბერნიო აღმასკომის თითოეულ განყოფილებაში ვინმე საიმედოს შ ე ა გ რ ო ვ ო ს საბჭოთა ქ ა ღ ა ლ დ ე ბ ი და დოკუმენტები, ევაკუაციის მოსამზადებლად.

ამასთან გიგზავნით მოწოდებას, რომელიც თავდაცვის საბჭომ დამავალა*.

ვჩქარობდი — ც უ დ ა დ გამოვიდა.

**უკეთესია** ჩ ე მ ი ხ ე ლ მ ო წ ე რ ა დ ა ს ვ ა თ **თქვენის** შ ე მ დ ე გ.

სალამი! ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის
17 ოქტომბერს

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

442

## რეზოლუცია ი. ნ. სმირნოვის დეპეშაზე [286]

1) მიეცით 30 000 ფორმის ტანსაცმელი.

2) წაიყვანეთ მთელი მე-5 არმია ს ა მ ხ რ ე თ ი ს ა კ ე ნ **ა ხ ლ ა ვ ე** და არა იშიმის შემდეგ (რადგან მდინარე ტობოლი გაცილებით უფრო დიდი და ფართოა, ვიდრე მდინარე იშიმი, ხოლო მდინარე იშიმზე გადასვლის დროს ფრონტის სიგრძე უმნიშვნელოდ მცირდება).

3) იშიმზე შეტევა გადააქციეთ დემონსტრაციად და დაიხიეთ (ეს მოამზადეთ **უ მ ო კ ლ ე ს** ვადაში) მდინარე ტობოლზე.

მიეცით დავალება მთავარსარდალს განიხილოს ჩემი წინადადებანი 1—3.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის
17 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

* ლაპარაკია მოწოდებაზე „პეტროგრადის მუშებისა და წითელარმიელებისადმი“ (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 30, გვ. 63—64). რ ე დ.

443

## დეპეშა მ. ვ. ფრუნზეს

შიფრით

თურქესტანის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭო
ფრუნზეს

მთელი ყურადღება მიაქციეთ არა თურქესტანს, არამედ ურალელ კაზაკთა მთლიან ლიკვიდაციას ყოველნაირად, თუნდაც დიპლომატიური ღონისძიებებით [287]. მთელი ძალ-ღონით დააჩქარეთ დახმარება სამხრეთის ფრონტისათვის. ხომ არ შეიძლება ორენბურგელი კაზაკები გაგზავნოთ პიტერში ან სხვა ფრონტზე? მაცნობეთ უფრო ხშირად შიფრით ფაქტობრივი შესრულება.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის
18 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1937 წლის
21 იანვარს გაზეთებში
„პრავდა" № 21 და „იზვესტია"
№ 19

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

444

## დეპეშა ლ. დ. ტროცკის

18/X. **შიფრით**

ტროცკის

ვფიქრობ, შეთანხმება ესტონეთთან იუდენიჩის წინააღმდეგ შეუძლებელია, რადგან მას, კიდევაც რომ მოისურვოს, ძალა არ შესწევს რაიმე მოიმოქმედოს. ამასთან, იუდენიჩის ბაზა, ალბათ, ესტონეთში კი არა, მის გარეთ არის, ზღვის ნაპირზე ინგლისის ფლოტის საფარქვეშ. დიდძალი ჯარი გამოგიგზავნეთ, მთელი საქმეა სწრაფად შეუტიოთ იუდენიჩს და გარს შემოერტყათ. დააწექით მთელი ძალებით დასაჩქარებლად. უდიდესი აჯანყება

დენიკინის ზურგში კავკასიაში [288] და ჩვენი წარმატებანი ციმბირში სრული გამარჯვების იმედს გვაძლევს, თუ გააფთრებით დავაჩქარებთ იუდენიჩის ლიკვიდაციას.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის
18 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1938 წლის
23 თებერვალს გაზეთ „პრავდაში"
№ 53

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**445**

## დეპეშა ბ. ი. გოლდბერგს

1919 წ. 19. X.

ყაზანი
სათადარიგო არმიის სარდალს
გოლდბერგს

საკმაოდ მიიღეთ თუ არა ხალხი ფორმირებისათვის? წარმატებით მიდის თუ არა მუშაობა? გეხმარებათ თუ არა გულმოდგინედ ყველა ადგილობრივი* მუშაკი? წაუკითხეთ მათ ეს დეპეშა. მიპასუხეთ თვითონ და მათაც მიპასუხონ.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1938 წლის
23 თებერვალს გაზეთ „პრავდაში"
№ 53

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

---

* დეპეშის ტექსტი „ხალხი... ყველა ადგილობრივი" ვ. ი. ლენინმა შემოხაზა და მინდორზე დააწერა: „შიფრით". რ ე დ.

## 446
## დეპეშა ა. დ. ნაგლოვსკის

1919 წ. 19. X.

პეტროგრადი
თავდაცვის საბჭოს რწმუნებულს ჩრდილოეთის
ფრონტის რკინიგზებზე სამხედრო წესების
განხორციელების საქმეში
ნაგლოვსკის

პირები ტროცკის, ზინოვიევს
მოსკოვი, ქსანდროვს, გზათა კომისარს მარკოვს,
სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია,
ძერჟინსკის

უახლოეს დროში პეტროგრადის კვანძის რკინიგზების მუშაობისადმი მეთვალყურეობის გაერთიანების მიზნით ვავალებ ნაგლოვსკის შეასრულოს თავდაცვის საბჭოს განსაკუთრებული რწმუნებულის მოვალეობა პეტროგრადის კვანძის რკინიგზებზე სამხედრო წესების განხორციელების საქმეში პეტროგრადიდან ას ვერსზე მდებარე რაიონში და წინადადებას ვაძლევ დაუყოვნებლივ მიიღოს ეს რაიონი თავის გამგებლობაში ქსანდროვისაგან. შესრულება მაცნობეთ.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 447
## დეპეშა
## ლ. დ. ტროცკისა და გ. ე. ზინოვიევს*

პეტროგრადი
ტროცკის, ზინოვიევს

მიღებულია თუ არა ზომები მტკიცე რადიოკავშირის დასამყარებლად ხარლამოვის ჯგუფსა და მე-7 არმიის შტაბს შორის? 289

* დოკუმენტზე არის ე. მ. სკლიანსკის ხელით დაწერილი შენიშვნა „შიფრით, პირდაპირი მავთულით ახლავე“. რ ე დ.

საკმაოდ არის თუ არა უზრუნველყოფილი ეს კავშირი? იგივე ყველა დანარჩენი ჯგუფის მიმართ. თუ საჭიროა ჩვენი დახმარება, დარეკეთ ტელეფონით.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის
20 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ე. მ. სკლიანსკის ხელით დაწერილი
ტექსტის მიხედვით

## 448

## დეპეშა ი. ნ. სმირნოვს

1919 წ. 21. X. ყველაფერი შიფრით

მე-5 რევოლუციური სამხედრო საბჭო
სმირნოვს

პირები აღმოსავლეთის ფრონტის რევოლუციური
სამხედრო საბჭო
პოზერნსა და შტერნბერგს

ფრუმკინმა გადმომცა თქვენი მოსაზრებანი, რომ აღმოსავლეთის ფრონტი საჭირო არ არის. გაიმეორეთ უფრო ზუსტად. ჩვენ ძალზე გვჭირდება მეთაურთა შემადგენლობა. შემდეგ მაცნობეთ, თქვენთან დაწყებული შეტევის დროს რამდენი ჯარი და როდის შეგიძლიათ მისცეთ სამხრეთის ფრონტს.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 449

## დეპეშა ვ. მ. გიტისსა და ა. ი. პოტიაევს

1919 წ. 21. X. ყველაფერი შიფრით

დასავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭო
გიტისს, პოტიაევს

იუწყებიან, რომ დაიწყო პოლონელ ჯარისკაცთა დაძმობილება ჩვენებთან [200]. შეამოწმეთ უფრო ზუსტად და მაცნობეთ,

რა ზომებს იღებთ* მატყუარების და მოწინააღმდეგის ეშმაკობის სრული უვნებელყოფისათვის, იმისათვის, რომ დაძმობილებაში მონაწილეობდნენ სრულიად სასარგებლო ადამიანები ან კომისრები. შემატყობინეთ პოლონელ ჯარისკაცთა განწყობილების შესახებ ყველაფერი, რაც კი იცით**.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**450**

## ლ. დ. ტროცკის

1919. 22/X.

ამხ. ტროცკი! მე რამდენადმე „შემაცბუნა" ზინოვიევის გუშინდელმა მოთხოვნამ, მომეცით ახალი პოლკებიო. მართალია თუ არა ესტონელების შესახებ?

მე მაინც გადავეცი სკლიანსკის, განკარგულებაც ტულიდან გაგზავნის შესახებ (ისევ ტულიდან!) გაცემულია.

მაგრამ სამხრეთის ფრონტის რეზერვებიდან კიდევ წამოყვანა საშიშია. ხომ არ აჯობებს მოვძებნოთ სხვა ადგილებში?

იუდენიჩის მოსპობა (სწორედ მოსპობა — განადგურება) ჩვენთვის ძ ა ლ ზ ე საჭიროა. თუ შეტევა დაწყებულია, ხომ არ შეიძლება მობილიზაცია ვუყოთ კიდევ 20 ათას პიტერელ მუშას და მივაღწიოთ ნამდვილ მასობრივ შეტევას იუდენიჩზე?

თუ არის 5—10 ათასი კარგი შემტევი ჯარები (ისინი კი თქვენ გყავთ), ალბათ ისეთ ქალაქს, როგორიც პიტერია, შეუძლია მათთვის, მათ დასახმარებლად მოგვცეს ასე **30** ათასი. რიკოვი ამბობს, რომ პიტერში „იპოვეს" დიდი ქონება, პური არის, ხორცი მოდის.

* ხელნაწერში შემდეგ არის სიტყვები: „დაძმობილების გაძლიერებისათვის და", წაშლილია ე. მ. სკლიანსკის ხელით. რ ე დ.

** ტექსტი „იმისათვის, რომ დაძმობილებაში... პოლონელ ჯარისკაცთა განწყობილების შესახებ" დაწერილია ე. მ. სკლიანსკის ხელით. რედ.

იუდენიჩს ბოლო უნდა მოვუღოთ მ ა ლ ე; მაშინ **ყველაფერს** დენიკინის წინააღმდეგ მოვაბრუნებთ.

სამხრეთის ფრონტიდან ახლა წამოყვანა, ჩემი აზრით, საშიშია: იქ დაიწყო შეტევა, იგი უნდა გაფართოვდეს.

სალამი! ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ახლა შევიტყვე სკლიანსკისაგან, რომ პიტერში დანიშნული 2 პოლკი კოტლასს მიუახლოვდა. დავაჩქარებთ მათ მოძრაობას*.

ახალი ცნობა: ეს სწორი არ არის.

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 451

## ლ. დ. ტროცკის

ამხ. ტროცკი! მე მგონია, ჩიჩერინი მართალია [291]. შემოწმებულია თუ არა, რომ ესტონელები ომობენ? ხომ არ გვატყუებენ? ან ხომ არ ემხრობიან იუდენიჩს ესტონელები, **მხოლოდ თეთრები** (ოფიცრები), რომლებიც შეადგენენ უმცირესობას, და უმნიშვნელოს ესტონელთა შორის?

უნდა ათჯერ მოიფიქროთ, ათჯერ გაზომოთ, რადგან აუარებელი მონაცემები მოწმობენ, რომ ესტონელ **გლეხობას** მშვიდობა სურს.

სალამი!
22/X. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წელს 22 ოქტომბერს
პირველად დაიბეჭდა 1942 წლის ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* ეს აბზაცი ხელნაწერში გადახაზულია. რ ე დ.

452

## რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ყველა წევრს[292]

**პოლიტბიუროს ყველა წევრს ხელმოსაწერად**

ჩემი აზრით, შუამდგომლობას პატივი უნდა ვცეთ და დავადგინოთ: ან პირადად მთავარსარდალი გამოვიძახოთ, ან დირექტივების პროექტები მივცეთ მას ს ა ს წ რ ა ფ ო დასკვნისათვის და ამის შესახებ წერილობით ვაცნობოთ მთავარსარდალს.

22/X. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის
22 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

453

## დეპეშა ორიოლის აღმასკომის თავმჯდომარეს

ორიოლი, აღმასკომის თავმჯდომარეს
პირი საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს

დაუყოვნებლივ გამოგზავნეთ მოსკოვში, კრემლში, სახკომსაბჭოში ყველა ხელნაწერი, რომლებიც ჩამოართვით ჩხრეკის დროს მწერალ ივანე ვოლნის[293]. მათი დაცვისათვის პირადად აგებთ პასუხს. შესრულება მიდეპეშეთ*.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის
22 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1960 წლის
13 აპრილს გაზეთ „იზვესტიაში“
№ 88

იბეჭდება
ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩის ხელით
დაწერილი და ვ. ი. ლენინის
შევსებული და ხელმოწერილი
ტექსტის მიხედვით

* უკანასკნელი ფრაზა დაწერილია ვ. ი. ლენინის ხელით. რ ე დ.

454

## დეპეშა ლ. დ. ტროცკისა და გ. ე. ზინოვიევს*

პეტროგრადი
ტროცკის, ზინოვიევს

მთავარსარდალმა თავის დეპეშაში უარი თქვა თხოვნაზე, რომ რკინიგზელთა პოლკისა და მე-6 არმიის 2 პოლკის გარდა, რომელთაგან ერთი უკვე მოდის, გამოგიგზავნოთ ბრიგადა. ვფიქრობ, ეს სწორია, რადგან არსაიდან არის წამოსაყვანი, ხოლო სამხრეთში, ორიოლთან, ჯერ კიდევ უაღრესად გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს. შევსებას გამოგიგზავნიან ჯერჯერობით ათას ხუთასს. მიღებულია ზომები გარდა ამისა მოგცეთ ლატვიელები, თუ ასეთები მოიძებნებიან. განზრახულია მოგცეთ 600 კაცი საბჭოთა სკოლიდან[294].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის
24 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ე. მ. სკლიანსკის ხელით
დაწერილი ტექსტის მიხედვით

455

## სამხრეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს[295]

1919 წ. 25. X.

ამხ. სმილგას და ფრონტისა და არმიების
რევოლუციური სამხედრო საბჭოს სხვა წევრებს

ძალიან გირჩევთ ამის მომტანს, პირადად ჩემთვის დიდი ხნის ნაცნობ ბოლშევიკს ამხ. სტეფანე ნაზაროვს.

სხვა ივანოვო-ვოზნესენსკელ ამხანაგებთან ერთად მათ შეადგინეს მოფიქრებულად ორგანიზებული

* გადაცემულია პირდაპირი მავთულით. რ ე დ.

ჯგუფი (300-დან 500 კაცამდე) მთელი არმიის ყოველმხრივი მომსახურებისა და გაჯანსაღებისათვის.

დიდი სიამოვნებით ვაძლევ რეკომენდაციას ამხანაგებს და ძალიან გთხოვთ ყოველი ღონე იხმაროთ, რომ ისინი არ დაიკარგონ, არამედ მოათავსოთ სწორად და მზრუნველობით. ძალიან გთხოვთ მაცნობოთ ამ წერილის მიღება და ის, თუ სად და როგორ დანიშნეთ ამხანაგები:

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**456**

## დეპეშა კ. ა. პეტერსონს

ლატვიის სამხედრო კომისარს
პეტერსონს

მაცნობეთ დაუყოვნებლივ:

1) გაგზავნეთ თუ არა მობილიზებულნი ლატვიის დივიზიის სათადარიგო ბატალიონში? რამდენი გაიგზავნა? საკმაოდ ენერგიულად ჩაიარა თუ არა მობილიზაციამ?

2) შეასრულეთ თუ არა დავალება, რომ შევსება გაგეგზავნათ ლატვიის პოლკში, მე-7 არმიაში? როგორც ერთი, ისე მეორე დავალება გადაუდებელია.

ლენინი

დაწერილია 1919 წლის
25 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ე. მ. სკლიანსკის ხელით დაწერილი
ტექსტის მიხედვით

## 457

## დეპეშა პუგაჩოვის სამაზრო სასურსათო თათბირს [296]

მაცნობეთ დაუყოვნებლივ ზუსტად, სახელდობრ რომელმა სოფლებმა ან თემებმა შეასრულეს გაწერა მთლიანად.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის
26 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 458

## ყველა საბჭოთა დაწესებულებას და სამხედრო ხელისუფლებს

1919 წ. 27. X.

ამის მომტანს — ამხ. ბორის სოლომონის ძე ვეისბროდს, ექიმს, პირადად ვიცნობ. ძველი პარტიული მუშაკია. გთხოვთ მოეკიდოთ **სრული** ნდობით და აღმოუჩინოთ **ყოველგვარი** დახმარება.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 459

## თ. ა. როტშტეინს*

1919. 27/X.

ამხ. როტშტეინ!

შეუწყნარებელია, რომ ასე ცუდად გვაწვდით ინფორმაციას. ფული გაქვთ და რატომ არ აიყვანთ მდივანს მთელი სოციალისტური ლიტერატურის, ბროშურების, ამონაჭრების შე-

* დოკუმენტის მეორე მხარეზე არის ვ. ი. ლენინის მინაწერი: „გთხოვთ შიფრით გაუგზავნოთ როტშტეინს". რ ე დ.

საგროვებლად. ფული გაქვთ და რატომ არ მოაგვარებთ შემცირებული ზომით ფოტოგრაფირების საქმეს. ყოველივე ეს არ გეპატიებათ. სავსებით შესაძლებელია და საჭიროც ყოველივე ამის მოგვარება. თორემ კავშირი და ინფორმაცია არაფრად არ ვარგა. გამოასწორეთ ეს და მოიწერეთ თუნდაც იშვიათად. საუკეთესო სალამი.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 460

## ნ. ა. სემაშკოს [297]

ამხ. სემაშკო!

განიხილეთ ეს (თუ საჭიროა გზათა სახალხო კომისარიატთან და სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატთან ერთად) და მიპასუხეთ ტ ე ლ ე ფ ო ნ ი თ, წინ მიდის თუ არა ეს საქმე, **როგორ** და **როდის**. **სასწრაფოდ**!

27/X. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის
27 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 461

## ვ. ა. კუგუშევს [298]

1919 წ. 28. X.

უფა

ამხ. ვიაჩესლავ ალექსანდრეს ძე კუგუშევს

ამხ. კუგუშევ! ნება მიბოძეთ მოგმართოთ ერთი თხოვნით. უფაში მოდის ლიდია ალექსანდრეს ასული ფოტიევა, რომელსაც კარგად ვიცნობ ჯერ კიდევ 1905 წლის წინა პერიოდიდან და რომელთანაც დიდი ხანია ვმუშაობ სახკომსაბჭოში.

ლ. ა. ფოტიევა ძალიან ავად არის, ჩვენ კი ეს „სახაზინო ქონება“ (სახკომსაბჭოს მდივანი) უნდა გამოვაკეთოთ. ძალიან გთხოვთ ყოველი ღონე იხმაროთ, რათა დაეხმაროთ ლ. ა. ფოტიევას მოეწყოს, იმკურნალოს, იკვებოს და გასუქდეს.

ამხ. ა. დ. ციურუპამ მითხრა, რომ თქვენ იცნობთ ლ. ა. ფოტიევას და უარს არ იტყვით დაეხმაროთ მას.

წინასწარ გმადლობთ, გთხოვთ მომწეროთ იშვიათი შემთხვევის დროს (მაგალითად, თუ ვინმე, სამხედრო, წამოვიდა), რომ მიიღეთ ეს წერილი.

ამხანაგური სალმით
ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 462

## დეპეშა დ. ნ. ავროვს, ი. ქ. პეტერსს, ვ. გ. გრომანს

1919 წლის 28 ოქტომბერი.

პეტროგრადი, გამაგრებული რაიონის საბჭო, ავროვს, ავტომობილების აღრიცხვისა და განაწილების კომისია პეტერსს,
თავდაცვის საბჭოს განსაკუთრებულ რწმუნებულს გრომანს
პირი მოსკოვი ცპ* ამხ. მარკოვს
პირი სმოლნი, ზინოვიევს**

თავდაცვის საბჭომ მთელი რიგი დადგენილებებით დაავალა თავის რწმუნებულ გრომანსა და პეტროგრადის განტვირთვის კომისიას გაზიდონ პეტროგრადის რაიონიდან დღე-ღამეში ასი ვაგონი ძვირფასი ტვირთი, თანახმად თავდაცვის საბჭოს საევაკუ-

* ცპ — პირობითი სადეპეშო აღნიშვნა: გზათა სახალხო კომისრის მოადგილე. რედ.

** ეს ფრაზა დაწერილია ვ. ი. ლენინის ხელით. რედ.

აციო კომისიის გეგმისა. წინადადება გეძლევათ უზრუნველყოთ პეტროგრადის განტვირთვის კომისია საჭირო სატრანსპორტო საშუალებებით და ყოველდღე მისცეთ მის განკარგულებაში ამა წლის 28 ოქტომბრიდან ათი სატვირთო ავტომობილი. შესრულება მაცნობეთ.

მუშურ-გლეხური თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე
ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ვ. ი. ლენინის შევსებული
და ხელმოწერილი, მანქანაზე
დაბეჭდილი ტექსტის მიხედვით

**463**

## ზ. პ. სოლოვიოვს

1919 წ. 1. XI.

ჯანმრთელობის დაცვის სახკომის მოადგილეს

ამხ. სოლოვიოვ!

1) გადაათვალიერეთ ჩემი შენიშვნები და დამიბრუნეთ, თუ შეიძლება, თქვენი პასუხით.

2) არის თუ არა სტატისტიკა: **სულ** რამდენი ექიმია მოსკოვში?

3) გამოქვეყნებულია თუ არა (სად და როდის?) ექიმების ნორმები?

4) — იგივე: ექიმებისადმი კონტროლის ხერხები (რომ ისინი ზედმეტნი არ არიან, რომ ისინი აღრიცხვაზე არიან)?

5) ნორმები (და ექიმების რიცხვი) პიტერში?

6) — სხვა ქალაქებში?

7) საჭირო ხომ არ არის გამოვაქვეყნოთ ექიმებისა და ნორმების შემოწმებული სტატისტიკა? **მოკლედ**, გ ა ზ ე თ ე ბ შ ი, რომ ყველამ შეამოწმოს?

სალამი! ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 464
## დეპეშა ლ. დ. ტროცკისა და გ. ე. ზინოვიევს

1919 წ. 1. XI.

**შიფრით**
**პირდაპირი**
**მავთულით**

პეტროგრადი
ტროცკის, ზინოვიევს

მთელი სამხედრო და პოლიტიკური ვითარება მოითხოვს სწრაფად მოვუყაროთ თავი პიტერთან ძალიან დიდ ძალებს, რათა ბოლომდე გავსრისოთ იუდენიჩი. გირჩევთ ეს განახორციელოთ მთავარსარდალთან ერთად ან პოლიტბიუროს საშუალებით.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1941 წელს წიგნში „დოკუმენტები პეტროგრადის გმირული დაცვის შესახებ 1919 წელს“

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 465
## დეპეშა ი. ნ. სმირნოვს

1919 წ. 1. XI.

**შ ი ფ რ ი თ**

მე-5 რევოლუციური სამხედრო საბჭო
სმირნოვს

მაცნობეთ, რამდენი, რომელი დივიზია, როდის შეიძლება წამოვიყვანოთ თქვენგან. შეეკითხეთ მესამე არმიისა და ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოებს. მიპასუხეთ დაუყოვნებლივ.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1938 წლის 23 თებერვალს გაზეთ „პრავდაში“ № 53

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 466
## დეპეშა ბ. ი. გოლდბერგს

1919 წ. 1. XI. **შიფრით**

ყაზანი

სათადარიგო არმიის სარდალს გოლდბერგს

მაცნობეთ თქვენი ფორმირებების მდგომარეობა, მოგცათ თუ არა სრულიად რუსეთის მთავარმა შტაბმა ყოველივე დაპირებული, როგორ მიდის პარტახტიან ტიფთან ბრძოლის, ბინებით უზრუნველყოფის საქმეები და გეხმარებათ თუ არა პარტია?

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1938 წლის 23 თებერვალს გაზეთ „პრავდაში" № 53

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 467
## დეპეშა მ. ვ. ფრუნზეს

პირდაპირი მავთულით
**შიფრით**

ფრუნზეს, პირი სუნდუკოვს, ზულს

ბრძოლა ურალელი კაზაკების წინააღმდეგ ჭიანურდება. ვერ ვხედავ, რომ იღებდეთ ზომებს ამ ფრონტის რაც შეიძლება სწრაფად სალიკვიდაციოდ, მიუხედავად იმისა, რომ მოვითხოვდი მთელი ყურადღება მიგექციათ ამისათვის*. გაცნობებთ, რომ მოწინააღმდეგე ძლიერდება, იყენებს შესვენებას, რომელიც თქვენ მიეცით, როცა ცდილობდით საქმე მხოლოდ დაზავებით დაგემთავრებინათ. მაცნობეთ დაუყოვნებლივ, რა ზომები მიიღეთ მოწინააღმდეგის გასანადგურებლად.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 2 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1928 წლის 24 ივლისს გაზეთ „პრავდაში" № 170

იბეჭდება ე. მ. სკლიანსკის ხელით დაწერილი ტექსტის მიხედვით

* იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 443. რ ე დ.

468

## ლ. დ. ტროცკის

ტროცკის

მეგონა, ჩიჩერინმა შეგატყობინათ, რომ მან აცნობა ესტონელებს, ჩვენები შემოგიტევენ, თუ იუდენიჩს შემოუშვებთო. ჩემი აზრით, უნდა შევიდეთ ესტლანდიაში, თუ ისინი შეუშვებენ იუდენიჩს, და, თუ ეს აქტუალურია, უნდა დაჩქარდეს ყოველგვარი საშუალებით[299]. ჩიჩერინი გახმაურების წინააღმდეგია, რადგან მაშინ ანტანტა მიიღებს საკუთარ ზომებს.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია არა უგვიანეს 1919 წლის 6 ნოემბრისა
პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება უცნობის ხელით დაწერილი ტექსტის მიხედვით

469

## დეპეშა ნ. პ. ბრიუხანოვს

1919 წ. 11. XI.

პრედოპროდკომვოსტი*
ბრიუხანოვს

დამშეული ურალელი მუშების მომარაგება აუცილებლად საჭიროა. მაცნობეთ, რა გააკეთეთ, რამდენად უზრუნველყავით, ხომ არ შეიძლება ამ მუშების გაგზავნა პურის შესაგროვებლად კურგანს გაღმა. ცოტა უცნაურია თქვენი ჩივილი, რომ ხალხი არ გყავთ.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* აღმოსავლეთის ფრონტის განსაკუთრებული სასურსათო კომისიის თავმჯდომარე. რ ე დ.

## 470

## მთავარტორფს [300]

1919 წ. 11. XI.

გამოგზავნილი 1919 წლის ანგარიშის გამო.

1) სასურველია დაიბეჭდოს **შედეგები** „ეკონომიჩესკაია ჟიზნში“ (და გამომიგზავნოთ 1 ეგზემპლარი).

2) დეტალური ცხრილების სიუხვისას **არ არის შემაჯამებელი ცხრილები:**

—1918, 1919 წლების და **უფრო ადრე** წარმოების შედარება (დღეების რიცხვი? მომუშავე მანქანების %? და ა. შ.)

— მოკლე რუკა? თუ მანძილი რკინიგზის სადგურებიდან?

— ყველა მანქანის ამუშავების პირობები?

— შესადარი მონაცემები წარმოების შესახებ მოხმარების მიხედვით (საჭმელი და მანუფაქტურა)?

ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 471

## ე. მ. პოპოვას

1919 წ. 20. XI.

ამხ. პოპოვას
საბჭოების პირველი სახლის გამგეს

გთხოვთ მისცეთ ოთახი (თავდაპირველად თუნდაც ერთი, შემდეგ ორი—თარჯიმნისათვის)

ამხანაგ კილის (Keeley), ამერიკელ ინჟინერს, რომელიც ჩამოვიდა საბჭოთა რესპუბლიკის დასახმარებლად.

გთხოვთ მისცეთ ოთახი III სართულამდე და ყველაზე თბილი [301].

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 472

## დეპეშა მე-3 არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს, პერმის გუბერნიის სურსათის კომისარს, პერმის გზის კომისარსა და ეკატერინბურგის გუბერნიის სურსათის კომისარს 302

მე-3 რევოლუციური სამხედრო საბჭო
პერმი, გუბერნიის სურსათის კომისარს
პერმის გზის კომისარს
ეკატერინბურგი, გუბერნიის სურსათის კომისარს
პირი ეკატერინბურგი, ლითონების განყოფილებას*

რადაც უნდა დაგიჯდეთ, მოამარაგეთ ურალის ყველა მუშა, განსაკუთრებით ეკატერინბურგის რაიონი, კიზელი და ქვანახშირის სხვა რაიონები საჭირო სურსათის სრული მარაგით. ყველა სამხედრო და რკინიგზის ხელისუფალნი პასუხს აგებენ უთუო შესრულებისათვის. მიპასუხეთ დაუყოვნებლივ, სად რამდენი ფუთი არის მიტანილი**.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე
ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის
20 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 473

## ა. ს. ენუქიძეს

1919 წ. 21. XI.

ამხ. ენუქიძე! ძალიან გთხოვთ გასცეთ განკარგულება, რომ მიუტანონ **ზოგიერთი** დ ა მ ა ტ ე ბ ი თ ი  ს უ რ ს ა თ ი საერთოდ (და ქვემოთ აღნიშნული განსაკუთრებით) ქვემოთ მოხსენებულ ამხანაგებს:

* ტექსტი „პირი ეკატერინბურგი, ლითონების განყოფილებას“ დაწერილია ე. მ. სკლიანსკის ხელით. რ ე დ.

** სიტყვები „რამდენი ფუთი სად არის მიტანილი“ დაწერილია ე. მ. სკლიანსკის ხელით. რ ე დ.

1-ლი ჩამოვიდა საბჭოთა ხელისუფლების დასახმარებლად. ჩვენი სტუმარია. საჭიროა დახმარება.

მე-2 ფინეთის სოციალ-დემოკრატიის დამაარსებელია. მოხუცია. ფინელები 1905-მდე ძლიერ გვეხმარებოდნენ. ახლა ჩვენი მოვალეობაა დავეხმაროთ მათ:

1) **კილი** (Keeley), ამერიკელი ინჟინერი, ჩამოვიდა საბჭოთა ხელისუფლების დასახმარებლად.

(განსაკუთრებით შაქარი, შოკოლადი, ტკბილი).

ყოფ. ნაციონალი, № **321**.

2) **ურსინი** (ფინეთის სოციალ-დემოკრატიის დამაარსებელი).

ყოფ. მეტროპოლი, № **471**.

(განსაკუთრებით კარაქი)

სალამი! თქვენი ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**474**

## დეპეშა ბ. ს. ვეისბროდს*

სამარა, ვეისბროდს

ახლა გადავცემ თქვენს ცნობას სემაშკოს[303]. შევეცდებით მივიღოთ ყველა ზომა. ჩვენ მობილიზაცია ვუყავით კბილის ექიმებს და წავიყვანეთ ფერშლებად. გისურვებთ ყოველივე კარგს.

ლენინი

დაწერილია 1919 წლის 25 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ტელეგრაფის ბლანკის ტექსტის მიხედვით

---

* გადაცემულია პირდაპირი მავთულით. რ ე დ.

## 475

## ნ. ა. სემაშკოს 304

1919 წ. 27. XI.

ამხ. სემაშკო!

(1) თუ შეიძლება დამიბრუნეთ ეს და შემატყობინეთ თქვენი აზრი.

(2) შეუკვეთეთ ფაქტების **შემოწმება**, რომლებიც აღნიშნულია (რათა პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ე ლ მ ა პ ი რ ე ბ მ ა თავიანთი ხელმოწერით **სწრაფად** და ზუსტად მოგვახსენონ **ეს** ფაქტები).

(3) ვეისბროდის პროექტი. თქვენი შესწორებები თუ კონტრპროექტი?

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 476

## ვ. პ. მილიუტინს

### ს მ უ ს

ამხ. მილიუტინ!

გთხოვთ განიხილოთ ერთგვაროვანი, მოკლე, მაგრამ არსებითი შეკითხვების (ან ბლანკების) შემუშავების საკითხი, რათა „ეკონომიჩესკაია ჟიზნში“ იბეჭდებოდეს პერიოდული ანგარიშები საწარმოო ძალების განვითარების სამუშაოთა შ ე დ ე გ ე ბ ი ს შესახებ (დასაქმებულ მუშათა რიცხვი; წარმოებანი, მოპოვება; 1 მუშის შრომისნაყოფიერება და ა. შ.) მეურნეობის ყველა ან უმთავრესი დარგების მიხედვით.

მაცნობეთ თქვენი დასკვნა.

ლ ე ნ ი ნ ი

ანგარიშები უნდა გაიყოს 2 ნაწილად:

ა) ისეთი ნაწილი, რომელიც შეიძლება მხოლოდ ვუამბოთ (გეგმა, პირობები, თავისებურებანი და ა. შ.);

ბ) ისეთი, რომელიც შეიძლება გამოიხატოს და უნდა გამოიხატოს ციფრებით.

დაიბეჭდოს ო რ ი ვ ე.

მეორე — აირჩეს არსებითი (ცნობებისა და შედარებებისათვის).

(შეად. ბუნდოვანობის მაგალითი — „მთავარფიქალი", ანგარიში 1919 წლის 1 ოქტომბრისათვის.) იბეჭდება. სად. რამდენჯერ.

(საიდუმლო ნაწილი უნდა იბეჭდებოდეს %%-ით: მაგ.: 1919 წლის 1 ოქტომბერს—100, მუშათა რიცხვი; 1919 წლის 1 ნოემბერს—120 და ა. შ.).

დაწერილია 1919 წლის
27 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით

## 477

## საბჭოების VII ყრილობის პრეზიდიუმს

ჩემი აზრით, უნდა აირჩიოთ კ ი ე ვ ი ს გუბერნიისაგანაც [305].

როცა იქნება სრულიად უკრაინის ცაკი (იგი ჯერ არ არის), მაშინ წავლენ. რატომ არ უნდა იყვნენ ჩვენთან, სანამ არ არის უკრაინის ცაკი?

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის დეკემბერში
არა უადრეს 5—არა უგვიანეს
9 დეკემბრისა

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 478

## ე. დ. სტასოვას [306]

ე. დ.! უნდა გაგზავნოთ შიფრით, რომ არსად და არასოდეს **არ გაბედონ** და არ იხმარონ შერქმეული სახელი კამო, არამედ შეცვალონ ახლავე სხვა, **ახალი** სახელით. ქალაქი, სადაც კამოა, დაასახელეთ **მ ხ ო ლ ო დ** შიფრით.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის 9
დეკემბერზე გვიან

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 479

## რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს

1919 წ. 10. XII.

ცეკას ორგბიუროს

ჩემი აზრით, ფრუნზე ძალიან ბევრს თხოულობს. ჯერ უკრაინა ავიღოთ ბოლომდე, ხოლო თურქესტანი მოიცდის, გაუძლებს გაჭირვებას[307].

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 480

## დეპეშა შ. ზ. ელიავას, ი. ე. რუძუტაკს, ვ. ვ. კუიბიშევს

1919 წ. 11. XII. შიფრით

ტაშკენტი
ელიავას, რუძუტაკს,
კუიბიშევს,

თქვენი მოთხოვნები მუშაკებზე მეტისმეტია. ეს სასაცილოა, ან უარესი, ვიდრე სასაცილოა, როცა ფიქრობთ, რომ თურქესტანს მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ცენტრსა და უკრაინას. თქვენ მეტს ველარ მიიღებთ. უნდა დაკმაყოფილდეთ იმით, რაც გაქვთ, და იმედს არ ამყარებდეთ უსაზღვრო გეგმებზე, არამედ თავმდაბალი იყოთ.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 481

## ჩანაწერები ა. კ. პაიკესის დეპეშაზე და გარათი რკპ (ბ) ცკ-ის ორგბიუროს

არმიის სწრაფი წინსვლა მოითხოვს ადგილებზე საბჭოთა დაწესებულებების დაუყოვნებლივ ორგანიზაციას. ადგილობრივ ამხანაგებს, რომლებიც არ იცნობენ საბჭოთა ხელისუფლების მშენებლობასა და პოლიტიკას, ახლა არ

ძალუძთ ორგანიზაცია. თუ ცენტრთან ურთიერთობა შეუძლებელია, მაშინ ოლქებში შესაფერ ხელმძღვანელთა უყოლობამ შეიძლება გამოიწვიოს უკვე განვლილი საფეხურების გამეორება და ციმბირის სიმდიდრეთა არარაციონალური გამოყენება. საჭიროა დაუყოვნებლივ გაუგზავნოთ ციმბირის რევკომს ადამიანები პასუხსაგები პოლიტიკური ხელმძღვანელობისათვის საბჭოთა მშენებლობისა და მეურნეობის დარგებში.

პ ა ი კ ე ს ი

ორგბიურო
(სტასოვას)

ჩემი აზრით, ციმბირს მეტი აღარ მისცეთ: ჩვენ არა გვყავს. ციმბირი ა რ დაიღუპება. **ყველაფერი** უკრაინას.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის არა უადრეს 11—არა უგვიანეს 16 დეკემბრისა

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

482

## გ. ე. ზინოვიევს

15. XII.

ამხ. ზინოვიევ!

გიგზავნით პოლიტბიუროს დასკვნას.

ორი რამ:

1) ხომ არ შეიძლება შეუკვეთოთ სასწრაფოდ 2 მარხილი (ავტომარხილები კეგრესი) მძიმე და 2 მსუბუქი სამხრეთის ფრონტისათვის?

ს ა ს წ რ ა ფ ო ა. მიპასუხეთ.

2) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ საწვავ ფიქალს იამბურგის მახლობლად.

არქისაჭიროა იმოქმედოთ მთელი ძალებით.

3) მასალები (ექლიანი მავთული და სხვ.) ა რ გააფუჭოთ, არ გაანიავოთ.

დ ა გ ჭ ი რ დ ე ბ ა თ. მიაქციეთ ყურადღება.

სალამი! ლ ე ნ ი ნ ი

სტატიას ვწერ, თუ დღეს ვერ დავამთავრე, ნუ დაელოდებით [308].

დაწერილია 1919 წლის
15 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**483**

## დეპეშა ი. ნ. სმირნოვს

პ ი რ დ ა პ ი რ ი მ ა ვ თ უ ლ ი თ

ომსკი, რევოლუციური სამხედრო საბჭო,
ს მ ი რ ნ ო ვ ს

გილოცავთ ნოვონიკოლაევსკის აღებას. ყოველნაირად იზრუნეთ, რომ არ დაანგრიოთ და ისე აიღოთ კუზნეცკის რაიონი და ქვანახშირი. გახსოვდეთ, დანაშაული იქნება მეტისმეტად რომ შეიჭრათ აღმოსავლეთში, როცა საჭიროა გააფთრებული ენერგიით... *

მაცნობეთ ამ დეპეშის მიღების საათი.

15/XII. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის
15 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით

---

* შემდეგ დეპეშა არ არის გაშიფრული. რ ე დ.

## 484

## ლ. ბ. კრასინს [309]

გამომიგზავნეთ ხვალ თ ი თ ო ე გ ზ ე მ პ ლ ა რ ი ინსტრუქციები და წესები, ანგარიშების ფორმები და სხვ. გამოცემები.

გზათა კომისარიატისა,

მისი პოლიტგანყოფილებისა,

მისი განყოფილებებისა (ან სამმართველოებისა)

ექსპლოატაციის,

ტექნიკური,

შეკეთების,

გზათა სახალხო კომისარიატის ორგანიზაციის სქემა (თუ არის ასეთი სქემა).

დაწერილია 1919 წლის
17 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1963 წლის
24 ნოემბერს გაზეთ „პრავდაში"
№ 328

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 485

## რკპ (ბ) ცკ-ის ორგბიუროს

ორგბიუროს

მოვითხოვ ან საყვედური გამოუცხადოთ ამ ქაღალდის ავტორებს (მათი სახელები, 32 კაცია, შეიძლება გაიგოთ მათი წინა ქაღალდიდან) [310]

ან

მიუთითოთ, რომ მათი ლაყბობა რკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკის შესახებ დისციპლინის დარღვევაა და ხელს უშლის ორგანიზებულ და ერთსულოვან მუშაობას;

— ვინაიდან ავტორები კონკრეტულს არაფერს არ ამბობენ, კარგავენ ძვირფას დროს და ყურადღებას აშორებენ იმას, რომ უსწრაფესად გაემგზავრონ უკრაინაში სამუშაოდ.

ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს მათ შეწყვიტონ მითქმა-მოთქმა და პროჟექტიორობა და დაუყოვნებლივ მოკიდონ ხელი მუშაობას, უმკაცრესად განახორციელონ რკპ ცეკას ხაზი და დირექტივები.

ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ავტორები უნდა ვიყოლიოთ მეთვალყურეობის ქვეშ და გავანაწილოთ ცალ-ცალკე **საქმიან** მუშაკთა შორის. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა კინკლაობა და არა საქმე.

დაწერილია არა უგვიანეს 1919 წლის 18 დეკემბრისა

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**486**

## შ. ზ. ელიავას

1919 წ. 19. XII.

ამხ. ელიავა!

გიგზავნით ამის მომტანს, ამხ. პ. ნ. ლეპეშინსკის [311], რომელსაც ვიცნობ საზღვარგარეთიდან, ჟენევიდან 1902 წლიდან, სადაც ერთად ვებრძოდით მენშევიკებს.

ამხ. ლეპეშინსკი, უეჭველია, დაგეხმარებათ სწორედ ასეთ მუშაობაში, რომელმაც უნდა ჩაუნერგოს მკვიდრ მოსახლეობას წარმოდგენა და რწმენა, რომ საბჭოთა ადამიანები არ შეიძლება იყვნენ იმპერიალისტები, იმპერიალისტური ჩვევებიც კი არ შეიძლება ჰქონდეთ.

სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

487

## დეპეშა რიაზანში [312]

ყოველგვარ რიგგარეშე
გადაეცეს მორიგე კომისარს დეპეშა, რათა
დაუყოვნებლივ გადასცეს და ჩაბარება აცნობოს
მოსკოვს, კრემლს
რიაზანი, 3 მისამართი:
რიაზანის პარტიის საგუბერნიო კომიტეტს, საგუბერნიო
აღმასკომს, საგუბერნიო სურსათის კომისარიატს

ძვირფასო ამხანაგებო! თქვენს თათბირზე 19 დეკემბერს დაადგინეთ, რომ ათი დღის ვადაში დატვირთავდით მოსკოველი მუშებისათვის რვაას ვაგონ კარტოფილს და დასახეთ მთელი რიგი ღონისძიებანი ამის შესასრულებლად. საუცხოო საქმეა, მაგრამ საკითხის მთელი სიმძიმე ის არის, რამდენად წარმატებით და რამდენად სწრაფად გაართმევთ თავს თქვენ მიერ დასახულ ამოცანას. მოსკოვის მუშათა კლასს შიმშილით სული ეხუთება. მისი გადარჩენის საკითხი რევოლუციის გადარჩენის საკითხია. მოსკოვის მუშათა კლასის წილად მოდიოდა და მოდის კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი ნაწილი. წითელმა არმიამ გაანადგურა კოლჩაკი და იუდენიჩი, ჯერი დენიკინზეა. წითელი არმიისათვის რომ უზრუნველვყოთ შესაძლებლობა დროისა და ძალების რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯებით თავი გაართვას ამ ამოცანას, რომელიც უზრუნველყოფს იმის შესაძლებლობას, რომ დამთავრდეს ომი და დაიწყოს მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობა, მოსკოველმა მუშამ კიდევ ერთი მსხვერპლი უნდა გაიღოს. მან ოპერატიული საჭიროებებისათვის უნდა მისცეს ის სატრანსპორტო საშუალებანი, რომლებიც განკუთვნილია მოსკოვში სურსათის მოსაზიდად. ამ პირობებში, ბუნებრივია, რომ მსოფლიო რევოლუციის ცენტრის გარშემო მდებარე ადგილები უნდა დაეხმარონ მას. მთელი პარტიული, მთელი საბჭოთა ძალები უნდა გაიმსჭვალონ იმ აზრით, რომ მოსკოვის მომარაგება, მისი მუშათა კლასის გადარჩენა მათი უწმინდესი რევოლუციური მოვალეობაა. თქვენს ენერგიაზე, სიმტკიცეზე დამოკიდებულია რევოლუ-

ციის წარმატება. ყველანი დამზადებაზე, ყველანი ვაგონების დატვირთვისა და მიწოდების სამუშაოებზე. სასურსათო მატარებლების გაგზავნასა და მოსკოვში მიყვანას უზრუნველყოფს გზათა სახალხო კომისარიატი. მოითხოვეთ მტკიცედ გზათა სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანოებისაგან ამ ვალდებულების შესრულება. მოვკიდოთ ხელი მუშაობას, ამხანაგებო! სწრაფად და მტკიცედ გავუწიოთ რევოლუციური დახმარება მოსკოველ მუშებს!

კომუნისტური სალმით
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

დაწერილია 1919 წლის
21 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით 1953 წელს წიგნში „ისტორიულ-სამხარეთმცოდნეო კრებული („მეცნიერული ჩანაწერები“ № 11)“. რიაზანი

მთლიანად დაიბეჭდა 1957 წელს წიგნში „ბრძოლა რიაზანის გუბერნიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცებისათვის (1917—1920 წწ.)“. რიაზანი

იბეჭდება
ტელეგრაფის ლენტის
ტექსტის მიხედვით

## 488

## მცირე სახკომსაბჭოს [313]

1) უნდა დაინიშნოს მ ო კ ლ ე ვადა ინსტრუქციისათვის,
2) შეიტანოთ იგი მცირე საბჭოში, რადგან ცირკულარი დამუშავებულია ცუდად,
3) 3 თვის შემდეგ დანიშნოთ მოხსენება ეკლესიებში სკოლების გახსნის შედეგების შესახებ.

| გახსნის პირობები და ანგარიშგება? |
|---|

22/XII. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წლის
22 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 489
## გ. ე. ზინოვიევს

23 /XII.

ამხ. ზინოვიევ!

მივიღე თქვენი 20/XII წერილი.

პიტერის შესახებ ტროცკისთან ყველანი შეთანხმდით. როგორც ჩანს, საჭიროა შევინარჩუნოთ და აღ ვ ა დ გ ი ნ ო თ მთელი თავდაცვითი ნაგებობანი (ამბობენ, უკვე მავთულს და სხვ. იპარავენო) და გამოვიგონოთ სისტემა ყ ო ვ ე ლ კ ვ ი რ ე უ ლ ი მობილიზაციისა (ან „განგაშისა“ ან შ ე კ რ ე ბ ი ს ა), რათა პიტერი ვიყოლიოთ მზადყოფნაში. ეს კარგად უნდა მოვიფიქროთ.

სურსათი ტრანსპორტის გამო მთლიანად გაჩერებულია. **ო რ თ ქ ლ მ ა ვ ლ ე ბ ი ს ა** და **ვაგონების შეკეთება**!!

რაც შეეხება ფიქალს, რაკი ხელი მოჰკიდეთ, საუცხოოა. მაგრამ გამაკვირვა, რომ ფიქალის ტრანსპორტზე იწერებით. ფიქალი ტრანსპორტს (გარდა გ ა ზ ი ს ა თ ვ ი ს: ფიქალი გაზს მეტს იძლევა, ვიდრე ქვანახშირიო) ვერ იტანს, საჭიროა ადგილზევე ელექტრიფიცირება და ადგილზევე გამოსახდელი ქარხნის აგება ფიქალიდან ნავთობის მისაღებადო. აქ ასე მითხრეს. მეც ვფიქრობდი, პიტერი თავისი რესურსებით შეძლებდა თავი გაერთმია ელექტრიფიკაციისა და ნავთობის გამოხდის ამოცანისათვის.

სალამი! ლ ე ნ ი ნ ი

N B. ხომ არ შეიძლება აშენდეს ბლოკჰაუზები პიტერის დასაცავად? გიგზავნით მოხსენებას ამ თემაზე თქვენ და ტროცკის.

რატომ აღარ არის მეტი კეგრესები? ლენტები, ამბობენ, 100-ზე მეტია?

დაწერილია 1919 წლის
23 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 490
## ბარათი მდივანს [314]

თავდაცვის საბჭოში დღის წესრიგისათვის და დაავალეთ კრასინს (ან ლომონოსოვს) ა ხ ლ ა ვ ე შეადგინოს დადგენილე-

ბის პროექტი (არმიიდან გამოყვანის შესახებ) და შეათანხმოს სკლიანსკისთან.

დაწერილია არა უადრეს
1919 წლის 25 დეკემბრისა

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 491

## დეპეშა ი. ნ. სმირნოვს[315]

1919 წ. 26. XII.

ომსკი და ადგილსამყოფელის მიხედვით
მე-5 რევოლუციურ სამხედრო საბჭოს
სმირნოვს

თქვენი № 4211-ის გამო: გადაიყვანეთ არა ასი, არამედ ორასი ეშელონი და ორთქლმავალი. მთელი ძალები გაგზავნეთ ქვანახშირის დასაჩქარებლად და გზის განსატვირთავად, ასევე დატაცებისაგან ქონების დასაცავად. მაცნობეთ უფრო ხშირად შესრულება.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 492

## დეპეშა ტ. ვ. საპრონოვს

1919 წ. 26. XII.

ხარკოვი
საგუბერნიო აღმასკომი ან საგუბერნიო
რევკომი
საპრონოვს*
პირი სამხრეთის ფრონტის განსაკუთრებული
სასურსათო კომისიის თავმჯდომარეს** ვლადიმიროვს

ტრანსპორტის მდგომარეობა აქ იმდენად მძიმეა, რომ საჭიროა გმირული ღონისძიებანი როგორც აქ ქვანახშირის

* ხელნაწერის ზემო ნაწილში ვ. ი. ლენინმა გააკეთა მინაწერი: „რიგარეშე პირდაპირი მავთულით. მაცნობეთ რომელ საათზე ჩაბარდა ადრესატებს ხარკოვში. ლენინი". რ ე დ.

** სამხრეთის ფრონტის განსაკუთრებული სასურსათო კომისიის თავმჯდომარე. რ ე დ.

მოსატანად, ისე და უფრო მეტად ორთქლმავლების გაძლიერებული შეკეთებისათვის. გაგზავნეთ ამისათვის საუკეთესო ძალები, შეამოწმეთ პირადად, თითოეული შეკეთებული ორთქლმავლისათვის შემოიღეთ პურით პრემირება, აღადგინეთ საუკეთესო სახელოსნოები, შემოიღეთ ორი და სამი ცვლა. მიდეპეშეთ შესრულება.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**493**

## გ. ვ. ჩიჩერინს

1919 წ. 27. XII.

ამხ. ჩიჩერინ!

თქვენი წინადადებანი თითქმის მთლიანად მიიღო პოლიტბიურომ[316]. ზუსტი ტექსტის შესახებ დაურეკეთ ცეკას მდივანს ამხ. კრესტინსკის.

თუ შეიძლება, ნურასოდეს ნუ იხმართ გამოთქმას „ცეკას თავმჯდომარე",

რადგან ა ს ე თ ი თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ა **არ არსებობს.**

სალამი! ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**494**

## სააგიტაციო პუნქტების ცენტრალურ კოლეგიას

1919 წ. 30. XII.

ცენტრაგიტს[317]

რეკომენდაციას ვაძლევ ამის მომტანს მარიამ მოვშოვიჩს, რომელსაც პირადად ვიცნობ მრავალი წლის განმავლობაში როგორც უერთგულეს პარტიულ მუშაკს, და ძალიან გთხოვთ

აღმოუჩინოთ მას სრული ნდობა და ყოველგვარი დახმარება, კერძოდ, ახლავე მისცეთ ათი დღის შვებულება ჯანმრთელობის გამოსაკეთებლად [318].

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

# 1920 წელი

## 495

### ს. ბ. ბრიჩკინას[319]

ბრიჩკინას: ასე არ შეიძლება. არ კმარა გაუგზავნოთ ციურუპას. უნდა შეამოწმოთ და **ჩაწეროთ**, რა პასუხი როდის **აგიგზავნა.**

დაწერილია 1920 წლის
იანვრის დამდეგს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 496

### ბარათი მდივანს[320]

გაუგზავნეთ პირები

1) ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატს

2) გზათა სახალხო კომისარიატს და გადაეცით მათ ტელეფონით, რომ დღეს თავდაცვის საბჭოში (2/I.1920) დავაყენებთ **სამხედრო** ანგარიშგების საკითხს: დაე მოემზადონ.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 2 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 497

## პოდოლსკის სამაზრო აღმასკომს

პოდოლსკი, სამაზრო აღმასკომს
პირი მოსკოვის საგუბერნიო აღმასკომს

მოსკოვის გუბერნიის პოდოლსკის მაზრის სოფელ ალექსანდროვოში ვინმე ტ ე რ ე ხ ი ნ მ ა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სახელით, განსახკომის პირდაპირი განკარგულების მიუხედავად, დაიკავა მემანქანეთა სკოლა, დააპატიმრა მასწავლებელი ქალი და გაზიდა ქონების ნაწილი. დაუყოვნებლივ გაათავისუფლეთ სკოლა, დაუბრუნეთ იქიდან წაღებული ნივთები როგორც თვით სკოლას, ისე მასწავლებლებს, მიეცით მასწავლებლებს შესაძლებლობა მშვიდად იმუშაონ. გამოიძიეთ ტერეხინის უკანონო მოქმედება სამართალში მის მისაცემად. შესრულება მომახსენეთ.

2/I. 20 წ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით

## 498

## გ. ვ. ჩიჩერინს

4/I. 1920.

ამხ. ჩიჩერინ!

გთხოვთ გადაუგზავნოთ ლიტვინოვს (ხოლო თუ შესაძლებელია, გადასცეთ შემოკლებით ტელეგრაფის შიფრით):

მივიღე რა მისგან გროვა ბროშურებისა და გაზეთებისა, ძალზე გამიტყდა გული. შერჩევა უკიდურესად შემთხვევითი და ზერელეა. ჩანს, რომ არავის ოდნავი მზრუნველობა არ გამოუჩენია ესოდენ დიდმნიშვნელოვანი საქმისათვის, როგორიცაა რუსეთის მომარაგება დასავლეთის სოციალისტური ლიტერატურით.

სოციალიზმის ბელადების წიგნები და ბროშურები არ არის (თუმცა მათი დასახელებანი და ავტორთა გვარები შეიძლება მოვნახოთ ავსტრიულ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ, ინგლისურ გაზეთებში).

გაზეთები იმდენად შეურჩეველია, რომ $^{9}/_{10}$ ნაგავია, ხოლო, მაგალითად, „Freiheit“-ის[321] ნომრების გროვიდან *გამოტოვებულია* სწორედ ის, რაც მნიშვნელოვანია (*ყველაზე* მნიშვნელოვანიც კი, შეიძლება ითქვას: ერთადერთი მნიშვნელოვანი), სახელდობრ ანგარიშები ლაიფციგის ყრილობის შესახებ[322] და რეზოლუციების ტექსტი.

სრული უზრუნველობაა, დაუდევრობა ან გაუგებლობა და სურვილის უქონლობა გაიგონ, რაც საჭიროა.

უნდა მივაღწიოთ (ლიტვინოვის და რკპ **ყველა** საზღვარგარეთ მყოფი წევრისაგან და ყველა „ბიუროსა“ და აგენტურისაგან), რომ *დაიქირაონ* ლიტერატურასთან ახლო მყოფი ადამიანები *თითოეულ* ქვეყანაში (დასაწყისისათვის კმარა დანიაში, ჰოლანდიაში და ა. შ.) და *დააკისრონ* შეაგროვონ *ყოველი* სოციალისტური და ანარქისტული და კომუნისტური ბროშურისა და წიგნის, *ყოველი* რეზოლუციისა, NB ||| ყრილობების **ყველა ანგარიშის და ოქმების** და ა. შ. |||NB და ა. შ. 4—5 ეგზემპლარი **ყველა ენაზე**. ყველაფერი გაიგზავნოს კოპენჰაგენში, სტოკჰოლმში, ვენაში და ა. შ. (აგრეთვე ბერლინში). ასეთი შემთხვევები ხდება — იშვიათად, მაგრამ ხდება. წინასწარ უნდა შეაგროვოთ *დაქირავებული* პირების მეშვეობით (რუსები უწესრიგონი არიან და *არასოდეს* წესიერად ამას არ გააკეთებენ).

ამისათვის ფულის დანანება სისულელეა.

სთხოვეთ ლიტვინოვს ეს აცნობოს

აბრამოვიჩს
კოპს
რუტგერსს
ბრონსკის
ლიუბარსკის
რეიხს
სტრიომს

Z. ჰეგლუნდს
ჩილბუმს
როტშტეინსა და ა. შ.

დაე იყოს 3—5 და მეტი ასეთი შემგროვებელი, რადგან სხვანაირად ჩვენ ვერ მივიღებთ ვერასოდეს იმას, რაც აბსოლუტურად საჭიროა.

ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ამის პირი (ან ეს ეგზემპლარი გამოყენების შემდეგ) გთხოვთ გაუგზავნოთ კლინგერს.

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით
1961 წელს წიგნში „ვ. ი. ლენინის
ბიბლიოთეკა კრემლში“

მთლიანად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**499**

## ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს

1920 წ. 4. I.

ძვირფასო ვ. დ.!

#

ჩემი ბიბლიოთეკის ღირებულებას **პირადად** მე ვიხდი.

გთხოვთ, **როცა გამოჯანმრთელდებით**, გადაიხადოთ ყველაფერი

$$
\begin{array}{r}
+\begin{array}{r}3200\\ 500\ (\text{დალი})\end{array}\\
\hline
3700\ \text{და ა. შ.}
\end{array}
$$

და შ ე ი ნ ა ხ ო თ  ხ ე ლ წ ე რ ი ლ ე ბ ი.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

ამასთან ვგზავნი 4000 მანეთს.

#

სხვა საქმეა სახკომსაბჭოს საქმეთა **სამმართველოს** ბიბლიოთეკა.

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს
ჟურნალ „ოგონიოკში“ № 13

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 500

## ა. ი. სვიდერსკის [323]

ამხ. სვიდერსკი! ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ მიიღეთ ამხანაგები ან სთხოვეთ კოლეგიის სხვა წევრს მიიღოს და ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ მაცნობეთ თქვენი გადაწყვეტილება.

5/I. 1920. ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 501

## რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს [324]

### პოლიტბიუროს წევრებს

მე ხმა მივეცი სახკომსაბჭოს ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, მაგრამ მისი ერთბაშად გაუქმება უხერხულად მიმაჩნია.

წინადადებას ვიძლევი, არ მოიწვიოთ პოლიტბიურო და ისე შევაგროვოთ პოლიტბიუროს წევრთა ხმები. ჩემი წინადადებაა: ახლავე გავატაროთ სახკომსაბჭოში—რომ სახელმწიფო კონტროლი ვალდებულია ყოველი ასეთი შემთხვევა აცნობოს სურსათის კომისარიატს. ერთი თვის ან დაახლოებით ამდენის შემდეგ ვნახოთ.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის არა უადრეს 5—არა უგვიანეს 23 იანვრისა

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 502

## დეპეშა მე-3 არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს [325]

1920 წ. 12. I.

მე-3 არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

სავსებით ვიწონებ თქვენს ვარაუდს. მივესალმები თაოსნობას, საკითხი შემაქვს სახკომსაბჭოში. დაიწყეთ მოქმედება სა-

მოქალაქო ხელისუფლებთან უმკაცრესი შეთანხმებულობის პირობით, ამასთან მთელი ძალები მოახმარეთ ნამეტი სურსათის შეგროვებას და ტრანსპორტის აღდგენას.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**503**

## დეპეშა ი. ნ. სმირნოვს

1920 წ. 12. I. **რიგგარეშე**

პ ი რ დ ა პ ი რ ი მ ა ვ თ უ ლ ი თ

მე-5 რევოლუციური სამხედრო საბჭო
სმირნოვს

1) მე-3 რევოლუციური სამხედრო საბჭო წინადადებას იძლევა გარდაიქმნას მე-3 არმია შრომის არმიად ურალის, ჩელიაბინსკისა და ტობოლსკის გუბერნიების სამეურნეო აღმავლობისათვის. სავსებით თანავუგრძნობ ამას, ხვალ შემაქვს სახკომსაბჭოში, გთხოვთ მოგვცეთ თქვენი დასკვნა.

2) ძალზე შეშფოთებული ვარ, რომ ყოვნდება 200 ორთქლმავლისა და სასურსათო მატარებლის აქ ჩამოსვლა. უნდა დაჩქარდეს უაღრესად სასწრაფო რევოლუციური ზომებით. რადაც უნდა დაგიჯდეთ მიაღწიეთ უთუო სწრაფ შესრულებას.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**504**

## სახკომსაბჭოს ყველა წევრს

მე-3 რევოლუციური სამხედრო საბჭოს მიერ აღძრულ საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ვაყენებ მას სახკომსაბჭოში 1920 წლის 13. I და ვთხოვ დაინტერესებულ უწყებებს მოამზადონ ამ ვადისათვის თავიანთი დასკვნები.

ჩემი აზრით, 13. I. სახკომსაბჭოში ჩვენ
ჯერ ერთი, პრინციპში უნდა მოვიწონოთ,
მეორე, გამოვაქვეყნოთ წასახალისებლად,
მესამე, დავამტკიცოთ ამ საქმის ორგანიზაციის ძ ი რ ი თ ა დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი ან, თუ ეს ერთბაშად შეუძლებელია, ავირჩიოთ საქმიანი კომისია ამ დებულებათა სწრაფად შემუშავებისათვის.

1920 12. I. ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

505

## ჩანაწერები და რეზოლუცია ს. ი. სირცოვის დეპეშაზე

სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ლ ე ნ ი ნ ს

დონზე სურსათის მხრივ აუტანელი მდგომარეობაა. დონის სასურსათო ორგანოები ქაღალდზე არსებობენ, მაგრამ დანიშნული სასურსათო მუშაკები მუშაობენ ტამბოვისა და სარატოვის გუბერნიებში და არა იქ, სადაც უნდა იყვნენ. დონის აღმასკომთან დაკავშირებული არ არიან სამოქო სასურსათო ორგანოები, რომლებიც კუსტარული წესით შეიქმნა, არ იღებენ არავითარ მითითებებსა და ინსტრუქციებს და ამიტომ შრომისუუნარონი არიან, წინააღმდეგობას ვერ უწევენ არმიის სასურსათო რწმუნებულებს, რომლებიც ხშირად აღმაშფოთებლად თარეშობენ.

დონის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ს ი რ ც ო ვ ი

ციურუპას და სერედას:
თქვენი აზრი?
NB || თესლი უაღრესად საჭიროა დასათესად!! [326]

დაწერილია 1920 წლის
არა უადრეს 13—არა უგვიანეს
15 იანვრისა

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 506

## მთავარქვანახშირს [327]

ს ა ს წ რ ა ფ ო პასუხისათვის: 1) იციან თუ არა ეს?
2) სახელდობრ რა არის ცნობილი?
3) არის თუ არა ლიტერატურა ამ ქვანახშირზე?
4) რ ა გ ა კ ე თ დ ა?
5) რა კეთდება?

14/I. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
14 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 507

## მ. ნ. პოკროვსკის

1920 წ. 15. I.

სახალხო განათლების
სახკომის მოადგილეს

გთხოვთ გასცეთ განკარგულება, რათა ჩვენმა სახელმწიფო ბიბლიოთეკებმა (რუმიანცევის მუზეუმმა, პეტროგრადის საჯარო ბიბლიოთეკამ და სხვ.) დაუყოვნებლივ დაიწყონ ყ ვ ე ლ ა ყ ო ვ ე ლ დ ღ ი უ რ ი (რუსული და საზღვარგარეთული) გაზეთის შეგროვება და შენახვა. გთხოვთ მომცეთ პროექტი მიწერილობისა, რომ ყველა **სამხედრო** და სამოქალაქო ხელისუფლებმა შეაგროვონ და ჩააბარონ ეს გაზეთები სახელმწიფო ბიბლიოთეკებს [328].

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

P. S. იქნებ, საჭიროდ მიიჩნიოთ ამავე ბრძანებაში (ან უკეთესია ცალკე?) გასცეთ ბრძანება და შეამოწმოთ ჩვენი გაზეთების კ ო მ პ ლ ე ქ ტ ე ბ ი ს შეგროვება 1917 წლიდან.

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 508

## სმუს-ის ნავთოვზის მთავარ კომიტეტს

ამასთან გიგზავნით ამონაჭერს 14/I. 20 წ. № 8 (855) „იზვესტია ვციკიდან" და გთხოვთ მაცნობოთ, იცნობთ თუ არა წერილში მოყვანილ ფაქტებს[329] და რამდენად სარწმუნოდ შეიძლება მივიჩნიოთ იქ მოყვანილი ციფრები. რა პრაქტიკულ ზომებს იღებთ ამასთან დაკავშირებით?*

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

დაწერილია 1920 წლის
15 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ვ. ი. ლენინის შევსებული
და ხელმოწერილი
მანქანაზე დაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით

## 509

## დეპეშა კ. გ. მიასკოვს

ს ა მ ა რ ა

საგუბერნიო სასურსათო კომისარს მიასკოვს
პირი კოოპერაციული განყოფილება მუსს
პირი კომუნისტთა პარტიის საგუბერნიო კომიტეტს

კოოპერაციასთან უთანხმოებათა და გაუგებრობათა რიცხვით სამარას პირველი ადგილი უკავია. მაკვირვებს, რომ აქამდე ვერ მოაგვარეთ 20 მარტის დეკრეტის განხორციელების საქმე. წინადადებას გაძლევთ ზუსტად დაიცვათ სურსათის სახალხო

* ეს ფრაზა დაწერილია ვ. ი. ლენინის ხელით. რ ე დ.

კომისარიატის ინსტრუქციები. მაცნობეთ, რა აფერხებდა თქვენს მუშაობას, ვინ შექმნა და რა საფუძველზე მუშაობს კომისია, რომელმაც გადააყენა თავმჯდომარე მიხაილოვი და სხვა კოოპერატორები. ცალკეულ პირებთან ბრძოლის ნაცვლად, რომელიც აღიზიანებს კოოპერაციას, მთელი ძალ-ღონე მოახმარეთ ხელახალი არჩევნების პოლიტიკურ მომზადებას.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
15 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ვ. ი. ლენინის ხელმოწერილი
მანქანაზე დაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით

## 510

## მინაწერი ლ. დ. ტროცკის დეპეშაზე [330]

ვთხოვ ამხანაგ ფრუნზეს ტროცკის მითითებათა შესაბამისად განავითაროს რევოლუციური ენერგია, რათა მაქსიმალურად დაჩქარდეს გზის მშენებლობა და ნავთობის გამოზიდვა. მიღება მაცნობეთ.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
17 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 511

## ბარათი მდივანს

გთხოვთ დაურეკოთ მარკოვს და უთხრათ, რომ დაბეჯითებით ვუჭერ მხარს სემაშკოს თხოვნას [331].

18/I. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 18 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

512

## ლ. ბ. კამენევს

თუ საკითხი ასე დგას, უკარნახეთ თქვენს მდივანს პროტესტი მცირე საბჭოს წინააღმდეგ და დადგენილების პროექტი დიდი საბჭოსათვის (რომ მცირე საბჭო არ ერევა განსაკუთრებული საბუთების უქონლად ადგილობრივ საქმეებში და **ყოველთვის** მოვალეა **ჰკითხოს** ადგილობრივ დეპუტატთა საბჭოებს, გარდა ძალზე სასწრაფო შემთხვევებისა) [332].

დაწერილია 1920 წლის
20 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

513

## დეპეშა ხ. ი. იუმაგულოვს [333]

უფა იუმაგულოვს
პირები უფა ელცინს
სტერლიტამაყი, ბაშკირეთის რევკომი, ბაშკირეთის
საოლქო კომიტეტი არტემ სერგეევს

როცა დეპეშაში ნათქვამია: „სრულიად რუსეთის ცაკს დაუჯერებლად და სრულიად გამორიცხულად მიაჩნია, რომ არტემს, სამოილოვსა და პრეობრაჟენსკის შეეძლოთ აგიტაცია გაეწიათ ბაშკირეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ", სრულიად რუსეთის ცაკი ამით ერთხელ კიდევ უდასტურებს მათ, რომ საჭიროა ბაშკირეთის კონსტიტუციის უაღრესად ლოიალურად დაცვა. იმავე მიზანს ისახავდა ამხანაგ არტემისათვის მოგვიანებით გაგზავნილი ცეკას დეპეშა. ასეთ პირობებში სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ არტემი, პრეობრაჟენსკი და სამოილოვი გართულების არავითარ ნამდვილ საბაბს არ მოგვცემენ. იგივე უნდა მოიმოქმედონ ბაშკირეთის რევკომის წევრებმაც. მხოლოდ თქვენი დეპეშიდან შევიტყვე, რომ ამხანაგები შამიგულოვი, იზმაილოვი და სხვები ბაშკირეთის რევკომმა გაასახლა ბაშკირეთის ფარგლებიდან: ცეკა ფიქრობდა, რომ ისინი საკუთარი სურვილით მოდიან

მოსკოვში მოხსენებისათვის, ზედმეტად მიიჩნია ხუთ ამხანაგს დაეკარგა დრო მგზავრობაზე და ისინი სტერლიტამაყში დააბრუნა.

თქვენი ცდა გაასახლოთ ბაშკირეთიდან ძველი პარტიული ამხანაგები, ბუხარინის ორიენტაციის უაზრო დამოწმება, პრეობრაჟენსკის, არტემისა და სამოილოვის მიმართ ეპითეტის „უკრაინელების" ჯიუტი, თუმცა მცდარი ხმარება საფუძველს მაძლევს საეჭვო გავხადო თქვენი ობიექტურობა ამ საკითხში. ამიტომ წინადადებას გაძლევთ დაუყოვნებლივ შეასრულოთ სრულიად რუსეთის ცაკის 20. I დეპეშა, რომელიც ჯერ კიდევ შეუსრულებელია შეთქმულების ცნობის გაუქმების ნაწილში.

ცეკას პოლიტბიუროს დავალებით ლ ე ნ ი ნ ი*

დაწერილია 1920 წლის
20 იანვარზე გვიან

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
წიგნში „ბაშკირეთის ასსრ-ის
შექმნა". უფა

იბეჭდება
ნ. ნ. კრესტინსკის ხელით
დაწერილი და ვ. ი. ლენინის
ხელმოწერილი ტექსტის
მიხედვით

**514**

## დეპეშა მე-5 არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

მე-5 რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

ბუფერულის შესახებ თქვენს წინადადებას ვიწონებ[334], საჭიროა მხოლოდ მტკიცედ დავადგინოთ, რომ ჩვენი წარმომადგენელი ან უკეთესია ორი წარმომადგენელი პოლიტცენტრიდან იცნობდნენ ყველა გადაწყვეტილებას, უფლება ჰქონდეთ დაესწრონ პოლიტცენტრის ყველა თათბირს.

---

* ტექსტი: „ცეკას პოლიტბიუროს დავალებით. ლ ე ნ ი ნ ი" დაწერილია ვ. ი. ლენინის ხელით. რ ე დ.

მ ე ო რ ე — მიიღეთ ჩეხოსლოვაკთა განიარაღებისადმი კონტროლის სერიოზული ზომები[335].

მ ე ს ა მ ე — ჩეხოსლოვაკთა გაყვანა ძალიან გაგვიძნელდება ტრანსპორტის მიზეზით.

1920 წლის 21 იანვარი. თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე

ლ ე ნ ი ნ ი*

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით 1958 წელს წიგნში: ვ. ტ. აგალაკოვი. „აღმოსავლეთ ციმბირში საბჭოთა ხელისუფლების მშენებლობის ისტორიიდან. 1919—1921 წლები“

მთლიანად დაიბეჭდა 1960 წელს წიგნში „ირკუტსკის პარტიული ორგანიზაცია აღდგენის პერიოდში (1920—1926 წლები)“

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი პირის მიხედვით

## 515

## ნ. ნ. კრესტინსკის

აუკრძალეთ ლარინს პროჟექტიორობა. **რიკოვს** მიეცით **გაფრთხილება**: დააშოშმინეთ ლარინი, თორემ **თქვენ** მოგხვდებათ-თქო[336].

დაწერილია არა უგვიანეს 1920 წლის 23 იანვრისა

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* დეპეშას ხელს აწერს აგრეთვე რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე ლ. დ. ტროცკი. რ ე დ.

516

## დეპეშა 1-ლი შრომის არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

1-ლი შრომის არმიის რევოლუციურ საბჭოს, პირი თავდაცვის საბჭოს რკინიგზებზე სამხედრო წესების განხორციელებისა და სათბობით მომარაგების ხელშემწყობი განსაკუთრებული კომიტეტის რწმუნებულს ერმაკოვს ეკატერინბურგი

ერმაკოვის № 25 დეპეშის პაუხად, რომ არსებობს აუარებელი ყოველგვარი კომისია, ორგანიზაცია და ცალკე რწმუნებულები, რომლებიც ახორციელებენ სათბობის მოპოვების ორგანიზაციას — ჯერ მარტო თორმეტი სამხედრო კომისიაა, პლუს რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ბრძანების თანახმად ახლად შექმნილი ეკატერინბურგის სამხედრო-საოლქო, საოკრუგო, უფის საფრონტო და სხვ. — თავდაცვის საბჭომ დაადგინა: დაევალოს შრომის არმიის რევოლუციურ საბჭოს გადაჭრას დეპეშაში აღძრული საკითხები იმ სულისკვეთებით, რომ აღდგენილ იქნეს რაც შეიძლება მეტი ერთობა და სამუშაოთა შეთანხმებულობა შეშის დამზადების, დახერხვის, გამოზიდვისა და დაცურების საქმეში, ამასთან შენარჩუნებულ იქნეს საგუბერნიო სატყეო კომიტეტისა და რკინიგზის სატყეო კომიტეტის ხელმძღვანელი როლი [337].

მიღებული გადაწყვეტილებები და ზომები მაცნობეთ*.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
23 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ვ. ი. ლენინის შევსებული
და ხელმოწერილი
მანქანაზე დაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით

* უკანასკნელი ფრაზა დაწერილია ვ. ი. ლენინის ხელით. რ ე დ.

## 517

## რუსეთის დეპეშათა სააგენტოს[338]

გადაუგზავნეთ რუსეთის დეპეშათა სააგენტოს:

1) მიიღოს ცნობად და შესასრულებლად;

2) გამოარკვიოს, ვინ მისცა „ზატონსკის" სისულელე, და დაუნიშნოს ამ პირს სასჯელის ზომა;

3) მაცნობეთ შესრულება და

4) ზომები, რომლებსაც იღებენ მომავალში ასეთ „უბედურებათა" თავიდან ასაცილებლად.

27/I. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
27 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 518

## ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს*

ამხ. ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩ!

იქნებ, სახელმწიფო გამომცემლობას ეწყინოს, რომ მისი საშუალებით არ ჩავაბარე კრჟიჟანოვსკის ბროშურა?[339] იქნებ, დავარღვიე წესები? ძალიან ვჩქარობდი.

თუ სხვანაირად საქმის გამორკვევა თქვენთვის უხერხულია, ხომ არ გაუგზავნით ამ ჩემს ბარათს ამხ. ვოროვსკის (მე მას ვთხოვ მოგვცეს ქაღალდი სახელმწიფო გამომცემლობისაგან, რომ რაც შეიძლება სწრაფად, კვირას 1/II გამოუშვან კრჟიჟანოვსკის ბროშურა მე-17 სტამბაში, ყოფილი კუშნერიოვისა,

* კონვერტზე არის ვ. ი. ლენინის წარწერა: „ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს. ((თუ შინ არის, დაუცადეთ პასუხს.)) (ლენინისაგან) (ხელწერილით)". რ ე დ.

და ძალიან ბოდიშს ვიხდი, რომ ბროშურა გავგზავნე პირდაპირ სტამბაში, რადგან ძალიან ვჩქარობდი).

იქნებ, ეს უკვე გაკეთდა? თუ არა, **უნდა გაკეთდეს**. მიპასუხეთ.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის იანვრის დამლევს

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს წიგნში: ვლად. ბონჩ-ბრუევიჩი. „თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციების საბრძოლო პოსტებზე". მოსკოვი

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

519

## დეპეშა ნიჟნი ნოვგოროდის საგუბერნიო აღმასკომის თავმჯდომარეს

ნიჟნი ნოვგოროდი, საგუბერნიო აღმასკომის თავმჯდომარეს
პირი რადიოლაბორატორია, მმართველის მოადგილეს

რადიოლაბორატორიის წინაშე დასახული ამოცანების განსაკუთრებული მნიშვნელობისა და მის მიერ მიღწეულ დიდმნიშვნელოვან წარმატებათა გამო უაღრესად ქმედითი დახმარება და ხელშეწყობა გაუწიეთ მუშაობის პირობების შესამსუბუქებლად და დაბრკოლებათა აღმოსაფხვრელად.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 5 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ვ. ი. ლენინის ხელმოწერილი მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტის მიხედვით

## 520

## დეპეშა ნიჟნი ნოვგოროდის საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს

ნიჟნი ნოვგოროდი, საგანგებო კომისიის
თავმჯდომარეს

პირი რადიოლაბორატორიის მმართველის მოადგილეს

პირი მოსკოვი, სრულიად რუსეთის საგანგებო
კომისია, ძერჟინსკის

რადიოლაბორატორიის სასწრაფო და განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამუშაოთა გამო დაუყოვნებლივ გაათავისუფლეთ შორინი მისი კოლეგიისა და კომიტეტის თავდებობით, მაგრამ ნუ შეწყვეტთ გამოძიებას შორინის საქმეზე [340].

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი*

დაწერილია 1920 წლის 5
თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება
ვ. ი. ლენინის შევსებული და
ხელმოწერილი მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტის მიხედვით

## 521

## დეპეშა ს. ტ. კოვილკინს

1920 წ. 7. II. პირდაპირი მავთულით

სარატოვი

კოვილკინს

თქვენი გადადგომა მიუღებელია. რადაც უნდა დაგიჯდეთ უნდა შეძლოთ არჟანოვთან მუშაობა. ეს შესაძლებელია, თუ არ იჯიუტებთ. ოდნავი უთანხმოების შესახებ მაცნობეთ. არჟანოვი დანიშნულია დროებით [341].

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

* სიტყვები „პირი მოსკოვი, სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია, ძერჟინსკის"; „დაუყოვნებლივ გაათავისუფლეთ", „მაგრამ ნუ შეწყვეტთ გამოძიებას შორინის საქმეზე" და ხელმოწერა დაწერილია ვ. ი. ლენინის ხელით. რ ე დ.

2) გაძლიერდეს თესლის შესყიდვა დანიაში და **საზღვარგარეთ** საერთოდ;

3) გაძლიერდეს აგიტაცია და მ უ შ ა თ ა  კ ო ნ ტ რ ო ლ ი § 1 ზომებისადმი.

გთხოვთ გამომიგზავნოთ **მოკლე** ცნობა იმისა, რაც უ კ ვ ე კ ე თ დ ე ბ ა (შესაძლებლობის მიხედვით ისეთი, რომ ვარგოდეს პრესისთვისაც—„ე კ ო ნ ო მ ი ჩ ე ს კ ა ი ა  ჟ ი ზ ნ შ ი“ გავუშვებთ, თუ არ მოხერხდა „პ რ ა ვ დ ა შ ი“ ან „ი ზ ვ ე ს ტ ი ა შ ი“).

ამასთან დაკავშირებით უნდა დაიწყოს გაძლიერებული და უფრო სისტემატური ბრძოლა საგარეუბნო მეტომრეობასთან იმ გზით, რომ ქალაქის მუშები ჩავაბათ საგარეუბნო მეურნეობებში ნათესების, სასურსათო პროდუქტების მარაგის, ნამეტის შეგროვების აღრიცხვაში (დეტალური), იმაში, რომ დაეხმარონ სურსათის სახალხო კომისარიატის ორგანოებს მათ ჩამორთმევაში. ვთხოვ სურსათის სახალხო კომისარიატს მაცნობოს, რა ღონისძიებები ხორციელდება.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 525

## დეპეშა ი. ტ. სმილგასა და გ. კ. ორჯონიკიძეს

**ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი  შ ი ფ რ ი თ**

სმილგასა და ორჯონიკიძეს

ძალზე შემაშფოთა ჩვენი ჯარების მდგომარეობამ კავკასიის ფრონტზე, სრულმა გახრწნამ ბუდიონისთან, მთელი ჩვენი ჯარების შესუსტებამ, საერთო სარდლობის სისუსტემ, უთანხმოებებმა არმიებს შორის, მოწინააღმდეგის გაძლიერებამ [344]. საჭიროა დაძაბოთ მთელი ძალები და განახორციელოთ მთელი

რიგი სასწრაფო ღონისძიებანი რევოლუციური ენერგიით, მიდეპეშეთ დაწვრილებით შიფრით, სახელდობრ რა ღონისძიებებს იღებთ.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
17 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

**იბეჭდება**
**ხელნაწერის მიხედვით**

**526**

## დეპეშა ლ. დ. ტროცკის

**შ ი ფ რ ი თ**

ტ რ ო ც კ ი ს

პირი მე-5 რევოლუციური სამხედრო საბჭო, **სმირნოვს**
აგრეთვე **შიფრით**

სავსებით ვიზიარებ თქვენს პასუხს სმირნოვისადმი. გააფთრებით უნდა გალანძღოთ ბუფერული სახელმწიფოს [345] მოწინააღმდეგენი (მგონია, ასეთი მოწინააღმდეგეა ფრუმკინი), დაემუქროთ მათ პარტიული სასამართლოთი და მოითხოვოთ, რომ ციმბირში ყველა ახორციელებდეს ლოზუნგს: „არარც ერთი ნაბიჯი აღმოსავლეთისაკენ, მთელი ძალ-ღონე დავძაბოთ ჯარებისა და ორთქლმავლების დაჩქარებული მოძრაობისათვის დასავლეთისაკენ რუსეთში". იდიოტები აღმოვჩნდებით, თუ ავყევით სულელურ მოძრაობას ციმბირის სიღრმეში, ამ დროს კი დენიკინი გამოცოცხლდება და პოლონელები დაგვარტყამენ. ეს დანაშაული იქნება.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
19 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

522

## დეპეშა შრომის არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

1920 წ. 10. II.

ეკატერინბურგი
შრომის არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

თქვენი მოთხოვნები შემაქვს თავდაცვის საბჭოში. ტროცკი გამოემგზავრა თქვენთან. მე პირადად ვშიშობ, რომ ეს უკვე პროჟექტიორობაა, ხოლო ბუმაჟნისა და მაქსიმოვის ოპოზიცია— უწყებრივი თამაში. გირჩევთ კინკლაობას ნუ მიჰყვებით, არამედ მთელი ძალები მოახმარეთ მთავარს, სახელდობრ: 1) რკინიგზის ტრანსპორტის აღდგენას, 2) სურსათის შეგროვებასა და მოზიდვას, 3) შეშის, ხე-ტყის, ნავმისადგომებზე კარჭაპების შეგროვებას, მაცნობეთ, შეგიძლიათ თუ არა ამ სამუშაოს შესრულება ერთსულოვნად, ენერგიულად, სწრაფად[342].

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

523

## დეპეშა ი. ბ. სტალინს

ჩაბარდეს მორიგე კომისარს
დაუყოვნებლივ ყოველგვარ რიგგარეშე გადასაცემად
ჩაბარება აცნობეთ მოსკოვს, კრემლს

ხარკოვი, უკრაინის რევკომი, სტალინს

არ ვკარგავ იმედს, რომ ტუხაჩევსკისთან თქვენი მოლაპარაკებისა და სოკოლნიკოვის მოცილების შემდეგ ყველა საქმე თქვენს გადაუყვანლად მოგვარდება, ამიტომ ჯერჯერობით არ ვატყობინებთ სმილგას. თქვენ კი აუცილებლად მაცნობეთ დროზე და დაწვრილებით შიფრით ან ტელეფონით ხარკოვიდან. ძალზე საჭიროდ მიმაჩნია, რომ ოდესის აღების შემდეგ თავისუ-

527

## რკპ (ბ) ცკ-ის პოლიტბიუროს წევრებს[346]

### კრესტინსკისა და ლ. ბ. კამენევს

პოლიტბიუროს წევრებს:

სტალინის გამოწვევის წინააღმდეგი ვარ. იგი შარიანობს. მთავარსარდალი სავსებით მართალია: ჯერ უნდა დავამარცხოთ დენიკინი, შემდეგ კი გადავიდეთ მშვიდობიან მდგომარეობაზე. წინადადებას გაძლევთ უპასუხოთ სტალინს: „პოლიტბიურო თქვენ ახლა ვერ გამოგიწვევთ, მიაჩნია რა უმნიშვნელოვანეს და გადაუდებელ ამოცანად დენიკინის ბოლომდე განადგურება, რისთვისაც რაც ძალა და ღონე გაქვთ უნდა დააჩქაროთ მაშველი ძალების გაგზავნა კავკასიის ფრონტისათვის“.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
19 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

528

## დეპეშა ი. ბ. სტალინს*

თქვენ გეკისრებათ ზრუნვა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტიდან კავკასიის ფრონტზე მაშველი ძალების მისვლის დაჩქარებისათვის. საერთოდ საჭიროა ყოველმხრივი დახმარება და არა კინკლაობა უწყებრივ კომპეტენციებზე[347].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
20 თებერვალს

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

* გადაცემულია შიფრით პირდაპირი მავთულით. რ ე დ.

529

## დეპეშა დ. ზ. მანუილსკის

ხარკოვი, მანუილსკის
სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის შტაბი

საპრონოვი მართალი არ არის, რადგან სანამ სიმძიმის ცენტრს საშუალო გლეხზე გადავიტანთ, ჯერ საჭიროა, ესე იგი ამაზე ადრე, დავრაზმოთ ღარიბობა. ეს უთუოდ უნდა გაკეთდეს და უკეთესია გაკეთდეს არა ღარიბთა კომიტეტების ფორმით, არამედ საბჭოების ფორმით, რომლებიც შედგენილი იქნება მხოლოდ და მხოლოდ ღარიბებისა და საშუალო გლეხებისაგან, ამასთან ჩვენი მხრივ უნდა მივიღოთ განსაკუთრებული ზომები ღარიბების ინტერესების დასაცავად და პურის შესაგროვებლად. მე გეკითხებოდით ტრანსპორტზე, რადგან ახლა მთავარი ამოცანაა ჯარების გადაყვანის დაჩქარება და დენიკინის დამარცხება. ამისათვის უნდა დავრაზმოთ მუშები და რაც უნდა დაგვიჯდეს სწრაფად მივიყვანოთ ბევრი ჯარი და დავიბრუნოთ როსტოვი. ვთხოვ სტალინს მიპასუხოს, ყველა ზომას იღებს თუ არა.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
22 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1957 წელს
წიგნში: ვ. ი. ლენინი. „უკრაინის
შესახებ". კიევი

იბეჭდება
ტელეგრაფის ბლანკის
ტექსტის მიხედვით

530

## დეპეშა ქ. გ. რაკოვსკის

1920 წ. 23. II.

ხარკოვი

უკრაინის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს რაკოვსკის

III ინტერნაციონალის გადაწყვეტილების* საბოლოო რედაქტირება ხვალ საღამოს მოხდება და გამოგეგზავნებათ ოთხშაბათს.

* როგორც ჩანს, იგულისხმება კომინტერნის აღმასკომის რეზოლუცია ბოროტბისტების საკითხზე (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც. ტომი 40, გვ. 159). რ ე დ.

ფალი ჯარი არ ვიყოლიოთ დნესტრზე, არამედ დავძრათ დასავლეთის ფრონტისაკენ, რათა უზრუნველვყოთ თავი პოლონელებისაგან. მაცნობეთ თქვენი აზრი.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 10 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა ნაწილობრივ 1929 წელს წიგნში: კ. ე. ვოროშილოვი. „სტალინი და წითელი არმია". მ.—ლ.

მთლიანად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება ტელეგრაფის ლენტის გაშიფრული ტექსტის მიხედვით

## 524

## ს. პ. სერედას და ა. დ. ციურუპას

1920 წ. 14. II.

ამხ. ამხ. სერედას
და ციურუპას
პირები საკავშირო პროფსაბჭოს
სახელმწიფო კონტროლის სახკომისარიატს
ვაჭრობის სახკომისარიატს
სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს

მივაქცევ განსაკუთრებულ ყურადღებას 11. II „პრავდაში" ამხ. ე. პრეობრაჟენსკის უაღრესად საქმიან სტატიას „დროს ნუ კარგავთ".

უნდა მივიღოთ მისი წინადადება [343] და დაუყოვნებლივ

1) შევიმუშაოთ პროექტი დეკრეტისა

ა) ქალაქების (ყველა) მიწის მეურნეობის **სავალდებულო** ორგანიზაციის შესახებ;

ბ) გაძლიერებისა და განვითარების ღონისძიებათა შესახებ;

გ) მიეცეთ დ ა ვ ა ლ ე ბ ა ნ ი (რაც შეიძლება დეტალური) ამ დარგში 1920 წლისათვის და ა. შ;

სამი დესეტინა ნორმის შესახებ ახლა ველაპარაკე ციურუპას, ჯერჯერობით ვერ დავარწმუნეთ ერთმანეთი, ხვალ იმედი მაქვს მივიღებთ გადაწყვეტილებას.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**531**

## რეზოლუცია ზალიგინის დეპეშაზე

სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს
ამხანაგ ლენინს

მოსკოვი. სასწრაფოდ

პარტიის ბოლხოვის სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარემ სიმაკოვმა საეკლესიო წესით ცოლად შეირთო მძევალი კაპიტალისტის ქალიშვილი. წინადადება მივეცი ბოლხოვის ორგანიზაციის კომუნისტთა საერთო კრებას, პარტიის პრინციპების ძირის გამოთხრისათვის, გაერიცხათ თავმჯდომარე სიმაკოვი პარტიიდან. წინადადება მიიღეს, და სიმაკოვი გარიცხეს კომპარტიის წევრობიდან. კომპარტიის წევრთა ნაწილი საკუთარი აზრისა დარჩა და ორიოლის საგუბერნიო კომიტეტიდან გამოიწვიეს რწმუნებული ამხანაგი პაკუნი. კრების დადგენილება გააუქმეს. ჩემ მიერ შეტანილი წინადადებისათვის რამდენიმე დღის შემდეგ დამაპატიმრეს და საპატიმროში ვიმყოფები. გთხოვთ დახმარებას.

სამაზრო სახალხო განათლების განყოფილების გამგე
ზ ა ლ ი გ ი ნ ი

დაპატიმრებული დაუყოვნებლივ გაათავისუფლეთ. დაპატიმრების მიზეზების შესახებ წარმოადგინეთ ახსნა-განმარტება ტელეგრაფით, ხოლო შემდეგ წერილობით გამოგზავნეთ ცეკაში მთელი მასალები ამ საქმეზე.

დაწერილია არა უადრეს 1920 წლის 24 თებერვლისა

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 532

## დეპეშა სამარისა და სარატოვის საგუბერნიო კომიტეტებსა და საგუბერნიო აღმასკომებს

სამარა

რკპ საგუბერნიო პარტკომს
საგუბერნიო აღმასკომს
თურქესტანის ფრონტის სარდლის მოადგილეს
ავქსენტიევსკის

სარატოვი

რკპ საგუბერნიო პარტკომს
საგუბერნიო აღმასკომს
ემბის რკინიგზის მშენებელს ბუდასის

რკინიგზისა და ნავთობსადენის აგებას ემბისაკენ უდიდესი მნიშვნელობა აქვს. უნდა დაეხმაროთ მთელი ძალებით და დააჩქაროთ ყოველნაირად. მოაწყვეთ აგიტაცია, შექმენით დახმარების მუდმივი კომისია, გამოიყენეთ შრომითი ბეგარა; ყველაფერი შეუთანხმეთ ბუდასის, რომელიც ამ გზას აშენებს. შესრულება მიდეპეშეთ რეგულარულად [348].

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
25 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 533

## სურსათის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრებს

1920 წ. 25. II.

მოსკოვის მაზრის მოსკოვის გუბერნიის უხტომსკის (ლიუბერეცის) ქარხანას, სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანას აქვს ქვანახშირი და მასალები, მუშები (1300 მუშა) **არ გაქცეულან.** ასეთი ქარხნისათვის მხარდაჭერა **განსაკუთრებით** მნიშვნელოვანი იქნებოდა.

გთხოვთ სასწრაფოდ განიხილოთ, ხომ არ შეიძლება თუნდაც სასწრაფო წესით აღმოუჩინოთ ამ ქარხნის მუშებს სურსათით დახმარება.

გთხოვთ დამირეკოთ პასუხი [349].

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**534**

## პ. ნ. ლობოვას, ა. ე. მინკინს, ე. მ. იაროსლავსკის [350]

1920 წ. 26. II.

ამხ. ლობოვას
მინკინს
ემ. იაროსლავსკის,
ხოლო თუ ისინი არ არიან პერმში, მაშინ რკპ პერმის საგუბერნიო პარტკომის სხვა წევრებსაც

ამის მომტანები — ამხანაგები

თევდორე სამსონის ძე სანიკოვი,
გრიგოლ ივანეს ძე მიხალევი,
პლატონ პავლეს ძე მოსკალიოვი

ჩემთან მოვიდნენ კალინინისაგან.

ისინი უპარტიოები არიან, მაგრამ შესანიშნავი კეთილსინდისიერი ადამიანების შთაბეჭდილებას ტოვებენ.

თხოულობენ სამაზრო პარტკომის პირადი შემადგენლობის ხელახალ რეგისტრაციასა და შემოწმებას (ისინი პერმის გუბერნიის უსოლიეს მაზრის პოლოვოდოვსკის თემიდან არიან). ამბობენ, ადგილობრივ პარტიაში ბევრი ც უ დ ი ელემენტიაო.

ძალიან გთხოვთ შეასრულოთ მათი თხოვნა.

— შემატყობინეთ შემოწმების შედეგები.

— მაცნობეთ სამაზრო პარტკომის (უსოლიეში და უსოლიეს

მაზრის თემებში) იმ წევრთა გვარები, ვინც **პირადად** თქვენთვის ცნობილი და აბსოლუტურად საიმედოა.

კომ. სალმით ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

გაგზავნილია პერმში

პირველად დაიბეჭდა (ფაქსიმილე) 1929 წლის 24 ნოემბერს გაზ. „პრავდაში" № 274

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**535**

## დეპეშა თ. თ. რასკოლნიკოვს

1920 წ. 27. II.

ასტრახანი
ფლოტის სარდალს რასკოლნიკოვს
პირი მე-11 რევოლუციური სამხედრო საბჭო, კიროვს
პირი რკპ ასტრახანის საგუბერნიო პარტკომს

უნდა დაძაბოთ მთელი ძალები, რათა არ დაკარგოთ არც ერთი საათი და ნაოსნობის დაწყებისთანვე მაქსიმალური სიფრთხილით გადაზიდოთ გურიევიდან მთელი ნავთობი. მიპასუხეთ დაუყოვნებლივ, ყველა ზომა მიიღეთ თუ არა, როგორია მომზადება, რას აპირებთ, დანიშნული არიან თუ არა საუკეთესო ადამიანები, ვინ აგებს პასუხს ზღვით უსაფრთხო გადაზიდვის განხორციელებისათვის.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**536**

## სურსათის კომისარიატის კოლეგიის წევრებს

1920 წ. 27. II.

ამხანაგმა ვინოგრადოვმა, ვესიეგონსკის მასწავლებელთა კავშირის აღმასკომის თავმჯდომარემ, წარმოადგინა თანდართული შუამდგომლობა [351].

საქმის არსია, **მისწეროთ** ვესიეგონსკის სურსათის სამაზრო კომიტეტს მისცეს მასწავლებლებს (დაახლოებით 500-ია მაზრაში) პურისა და კარტოფილის გადიდებული ულუფა პლუს ფეხსაცმელი ან ტყავი.

ერთიც და მეორეც ადგილობრივი მარაგიდან: ა რ ი ს მ ა ზ- რ ა შ ი ნამეტი.

გთხოვთ **დღესვე** მიიკითხ-მოიკითხოთ (ამხანაგი ხვალ უნდა წავიდეს) და მიპასუხოთ ტელეფონით (სალამოს თავდაცვის საბჭოში **გადავწყვეტთ**).

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს წიგნში: ა. ვინოგრადოვი. „მოგონებებიდან ვ. ი. ლენინზე". ვესიეგონსკი

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**537**

## ა. ა. ალფეროვს

ამხ. ალფეროვ!

ლომონოსოვმა ჯერ კიდევ წასვლის წინ მითხრა, რომ ყ ვ ე- ლ ა ფ ე რ ი გაკეთებულია ნავთობსადენისათვის.

ცხადია, რომ აქ საბოტაჟი ან დოყლაპიობაა, რადგან თქვენი ცნობა ა რ ქ ი ა რ ე უ ლ ი ა.

აუცილებლად გამომიგზავნეთ ა რ ა უ გ ვ ი ა ნ ე ს ს ა მ- შ ა ბ ა თ ი ს ა დ ი ლ ი ს 11 ს ა ა თ ი ს ა თ ვ ი ს 1) მოკლედ, არქიმოკლედ ცნობა იმის შესახებ, თუ რა შეუკვეთეთ (ა)—და (ბ) რა გაკეთდა.

2) **თითოეული** პასუხისმგებელი პირის სახელი, მამის სახელი, გვარი.

27. II. ლ ე ნ ი ნ ი

(P. S. თქვენი 27/II ბარათის პასუხად) [352].

დაწერილია 1920 წლის 27 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1926 წლის 22 აპრილს გაზეთ „პრავდაში" № 92

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილ ტექსტთან შეჯერებული, ვ. ი. ლენინის ხელმოწერილი და შევსებული ხელნაწერის მიხედვით

538

## დეპეშა გ. ე. ზინოვიევს

1920 წ. 28. II.

პეტროგრადი
ზინოვიევს

პოკროვსკიმ მაცნობა, რომ ყოფილი თავისუფალი ეკონომიური საზოგადოების ბიბლიოთეკას[353] ძარცვავენ და წიგნებსაც კი წვავენ. დაბეჯითებით გთხოვთ შეამოწმოთ, შეწყვიტოთ უმსგავსობა, მაცნობეთ ადგილზე პასუხისმგებელი რევიზორის გვარი. დაე მან გამომიგზავნოს დაუყოვნებლივ ოფიციალური დეპეშა შესრულების შესახებ.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

539

## დეპეშა ი. ბ. სტალინს

ს ა მ ხ რ ე თ-დ ა ს ა ვ ლ ე თ ი ს ფ რ ო ნ ტ ი ს
ს ა მ ხ ე დ რ ო რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი
ს ა ბ ჭ ო ს წ ე ვ რ ს ს ტ ა ლ ი ნ ს

ცეკა ადასტურებს თავის დადგენილებას, რომ საჭიროა მივლინებულ იქნენ ტრანსპორტზე სამუშაოდ პასუხისმგებელი პოლიტმუშაკები სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის არმიებიდან. მუშაკების გადაყვანა არმიებიდან რკინიგზაზე ცეკას მიაჩნია ტრანსპორტის გადარჩენის უმთავრეს გარანტიად. კავკასიის ფრონტმაც კი გამოჰყო სამხრეთ-აღმოსავლეთის გზებზე სამუშაოდ მე-2 არმიის მთელი აპარატი და 100 პოლიტმუშაკი. მივლინებულთა რიცხვი და თანამდებობანი მიდეპეშეთ.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 28 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ვ. ი. ლენინის ხელმოწერილი ტელეგრაფის ბლანკის ტექსტის მიხედვით

## 540

## ლ. ბ. კამენევს[354]

ჩემი აზრით, თქვენ უნდა „დაქანცოთ“ ისინი პ რ ა ქ ტ ი-კ უ ლ ი დავალებებით:
დანი — **სანუბნები,**
მ ა რ ტ ო ვ ი — კონტროლი **სასადილოებისადმი.**

დაწერილია 1920 წლის
თებერვლის დამლევს—მარტის
დამდეგს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 541

## ლ. ბ. კრასინს

ძნელი ხომ არ იქნება შეუკვეთოთ ჩემთვის ამგვარი რუკა
1921 წლის 1. III მიხედვით
რომელზეც **აღნიშნული იქნება**
მშენებარე გზები
+ α) დაგებული რელსები
β) მშენებლობის დაწყების (ან წინსვლის)
სხვა ეტაპები.

დაწერილია არა უადრეს 1920 წლის
1 მარტისა

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით
1963 წლის 18 აპრილს გაზეთ
„იზვესტიაში“ № 93

მთლიანად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 542

## ლენსბერისათვის

ამხ. ლენსბერისთან საუბარში დავპირდი მას დამეწერა რელიგიისადმი ჩვენი დამოკიდებულების შესახებ[355]. ეს გააკეთა ამხ. კრასიკოვმა გაცილებით უკეთ, ვიდრე მე შემეძლო, მით უმეტეს, რომ ამხ. კრასიკოვი სპეციალურად მუშაობს ამ საქმეებზე.

2/III. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
2 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 543

## დეპეშა ი. ტ. სმილგასა და გ. კ. ორჯონიკიძეს

1920 წ. 3. III. შიფრით

კავკასიის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭო

სმილგასა და
ორჯონიკიძეს

ძალზე საჭიროა, რომ თქვენ ერთსულოვნად მუშაობდეთ ქსანდროვთან, რომელიც დონბასში გაგზავნილია განსაკუთრებული რწმუნებებით. მიდეპეშეთ, როგორ მიდის ქვანახშირის საქმეები. სწორია თუ არა ხმები, რომ დენიკინელებმა მოკლეს პეტერსი როსტოვში; როგორია საერთოდ სამხედრო მდგომარეობა?

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 544

## დეპეშა ნ. ნ. კუზმინს

შიფრით
პირდაპირი
მავთულით

მე-6 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრს
ამხ. კუზმინს

№ 95-ზე.

გამოიჩინეთ უდიდესი სიფრთხილე და უნდობლობა ამ საქმეში [356]. იცოდეთ, არ მოგატყუონ ოფიცრებმა, რომელთაც სურთ შემოძვრნენ ჩვენთან არმიის გახრწნის მიზნით. დაბრუნების თითოეულ მსურველზე შეაგროვეთ უაღრესად დაწვრილებითი ცნობები და, თუ დარწმუნდებით, რომ მისი დაბრუნება სასარგებლოა, აცნობეთ ნებართვისათვის მოსკოვს. ეს საკითხი განიხილეთ ლომოვის კომისიასთან ერთად [357], რომელიც გაემგზავრა არხანგელსკში. მოსაზრებანი განხილვის შემდეგ წარმოადგინეთ.

№ 82-ზე.

ჩიჩერინის განცხადება, რომ შეიძლება საზღვარგარეთ წასვლა, პირობად აყენებდა თეთრების მთავრობის დანებებას, მაგრამ მთავრობა გაიქცა. საზღვარგარეთ წასვლის ნებას ჯერ ნუ დართავთ. დაპატიმრებული ოფიცრები გამოიყენეთ სამუშაოდ. თავისუფლად დარჩენილები—იმავე მიზნისათვის. სკლიანსკის № 49/შ დეპეშა მათი ნაწილის ცენტრში გაგზავნის შესახებ ძალაში რჩება. განიხილეთ საკითხი ლომოვის კომისიასთან ერთად.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
5 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ე. მ. სკლიანსკის ხელით
დაწერილი ტექსტის
მიხედვით

## 545

## ს. ე. ჩუცკაევს

5/III.

ამხ. ჩუცკაევ!

უნდა მიიღოთ განსაკუთრებული სასწრაფო ზომები ფასეულობათა[358] გარჩევის დასაჩქარებლად. თუ დავაგვიანეთ, ევროპასა და ამერიკაში მათ საფასურად არაფერს არ მოგვცემენ.

მოსკოვში ამისათვის შეიძლება (და უნდა) მობილიზაცია ვუყოთ პარტიის ათას წევრს და ა. შ. განსაკუთრებული კონტროლით.

თქვენთან, როგორც ჩანს, ეს საქმე არ ქიდუნედ მიდის.

მომწერეთ, რა **სასწრაფო** ზომებს იღებთ დასაჩქარებლად.

ლენინი

დაწერილია 1920 წლის
5 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 546

## დეპეშა ლ. დ. ტროცკის[359]

შიფრით*

ტროცკის

თუ პურისა და ხე-ტყის დამზადება გაიზარდა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ კარჭაპებსა და დაცურების მომზადებას, განსაკუთრებით კარჭაპებს ნავთობისათვის; შემდეგ ბინების მშენებლობას ჩელიაბინსკისა და სხვა ქვანახშირის მუშებისათვის. ხომ არ შეიძლება ციმბირელი ტყვეები და

* გადაცემულია პირდაპირი მავთულით. რ ე დ.

ოფიცრები წაიყვანოთ ურალში და დააყენოთ ქვანახშირისა და ხე-ტყის სამუშაოებზე?

ცენტრის პასუხების დასაჩქარებლად მიაღწიეთ სამხედრო უწყების მეშვეობით პირდაპირი მავთულებით დაკავშირებას.

კრესტინსკიმ გიპასუხათ. გიმეორებთ მოკლედ: იშიმი რჩება ტიუმენის გუბერნიაში. ბრუნოვსკი შეგიძლიათ დააკავოთ. ხორცის შესახებ გაცემულია ბრძანება მოეწყოს დასამარილებელი პუნქტები.

საოლქო ცენტრების შესახებ საჭიროა სიფრთხილე და კიდევ მოფიქრება, რათა არ გადავვარდეთ ოლქობანობაში.

თუ ციმბირში გაბერეს ფორმირებანი, თქვენ თვითონ უნდა შეამოწმოთ ამასთან ბრძოლის რეალური ღონისძიებანი და გამოუძახოთ პირდაპირი მავთულით ვინც გჭირდებათ.

სმირნოვი უნდა დააბრუნოთ მშვიდობიან მშენებლობაზე და ჩამოაცილოთ დიპლომატიურ, სასაზღვრო და სამხედრო საქმეებს.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
7 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 547

## დეპეშა ლ. დ. ტროცკის

**სამხედროების**
მეშვეობით
სამხედრო მავთულით

**ტროცკის**

შიფრით ცეკას

პოლონელები წინ მიიწევენ, ჩვენ მოვახდინეთ რეჩიცის ევაკუაცია. ვფიქრობ, გომელს საფრთხე მოელის, ამიტომ მე, მიუხედავად სტალინის ოპტიმიზმისა, თქვენ მიერ წარმოდგენილი სასწრაფო ღონისძიებანი მიმაჩნია აუცილებლად და სასწრაფოდ.

გზათა კომისარიატის შესახებ პოლიტბიურომ გადაწყვიტა შემოეთავაზებინა თქვენთვის გზათა სახალხო კომისრობა, რადგან კრასინი ერთი კვირის შემდეგ საზღვარგარეთ მიდის, ხოლო ლომონოსოვი პარტახტიანი ტიფის შემდეგ გამოჯანმრთელდება მხოლოდ ექვს კვირაში[360]. მიპასუხეთ დაუყოვნებლივ.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის არა უადრეს 8—არა უგვიანეს 20 მარტისა

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

548

## დეპეშა ი. ნ. სმირნოვს[361]

არავითარი შეთანხმება ესერებთან და მენშევიკებთან: ან დაგვემორჩილებიან ყოველგვარი პირობის დაუდებლად, ან დავაპატიმრებთ*.

დაწერილია 1920 წლის 9 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1938 წელს ჟურნალ „ბოლშევიკში" № 2

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

549

## დეპეშა ა. ლომოვს

1920 წ. 9. III.

არხანგელსკი
სმუს-ის პრეზიდიუმის წევრს
ლომოვს

შეეცადეთ მოძებნოთ ან დაავალეთ მოძებნონ დაბეჭდილი მასალები და ანგარიშები მდინარე უხტის ნავთობიანი რაიონის

* დეპეშის მანქანაზე დაბეჭდილ პირში შემდეგ არის: „პოლიტბიუროს დავალებით ლ ე ნ ი ნ ი", რ ე დ.

შესახებ ჩრდილოეთის მხარის შემსწავლელი საზოგადოების მუზეუმში და სახელმწიფო ქონების სამმართველოში.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**550**

## განკარგულება სახალხო კომისარიატებს [362]

1920 წ. 10. III.

ივანოვო-ვოზნესენსკის გუბერნიის მუშათა კატასტროფულად მძიმე სასურსათო მდგომარეობის გამო გთხოვთ დღესვე მოაწყოთ

სურსათის სახალხო კომისარიატის
მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის
გზათა სახალხო კომისარიატის
მთავარწყლის
ცენტროტექსტილის
შრომის სახალხო კომისარიატის

წარმომადგენელთა თათბირი.

კომისიის მოწვევა იკისრა სრულიად რუსეთის ცაკის წევრმა ამხ. კ ი ს ე ლ ი ო ვ მ ა.

დავალება კომისიას: პარტიის ივანოვო-ვოზნესენსკის საგუბერნიო კომიტეტის 6/III წინადადებათა განხილვა და დახმარების ს ა ს წ რ ა ფ ო ღონისძიებათა შემუშავება. მოხსენება შესრულების შესახებ შაბათისათვის სახკომსაბჭოში.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

551

## რკპ (ბ) ცკ-ის პოლიტბიუროს [363]

პ ო ლ ი ტ ბ ი უ რ ო ს (ან ორგბიუროს): ამ შემთხვევას უნდა **ჩ ა ვ ე ჭ ი დ ო თ**, ბოლომდე გამოვიძიოთ საქმე, დავიხმაროთ **ძ ე რ ჟ ი ნ ს კ ი**, ვიპოვოთ ის „და", რომლის შესახებაც წერს მენშევიკი, და **გ ა ვ წ მ ი ნ დ ო თ** კარახანელი მოხელეები.

11/III. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 11 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

552

## დეპეშა ი. ს. უნშლიხტს*

1920 წ. 11. III. შიფრით

დასავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭო უნშლიხტს

პოლონელები, როგორც ჩანს, იომებენ. ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ თავდაცვის გასაძლიერებლად. უნდა საგანგებოდ გაძლიერდეს აგრეთვე აგიტაცია პოლონურ ენაზე. დაგეხმარებით, თუ საჭიროა, ადამიანებით, ფულით, ქაღალდით.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა (ფაქსიმილე) 1930 წელს წიგნში „სამოქალაქო ომი. 1918—1921", ტ. III

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* გადაცემულია პირდაპირი მავთულით. რ ე დ.

553

## დეპეშა თ. თ. რასკოლნიკოვსა და ს. მ. კიროვს*

1920 წ. 14. III. **შ ი ფ რ ი თ**

ასტრახანი

ფლოტის სარდლობა, რასკოლნიკოვსა და კიროვს

თქვენს გეგმებს საფუძვლად უდევს დიდ სიღრმეებზე გადაზიდვა, ბაბკინი კი მოითხოვს ნავთობის გადაზიდვას პატარა სიღრმეებით ნაპირ-ნაპირ, რომ მტრის ფლოტმა ვერც იგდოს ხელთ და ვერც ჩაძიროს, ბელინსკის მეჩეჩის გავლით. 4-დან 5 მეოთხედამდე დაჯდომის დროს შესაფერის გემებად დაასახელა „ჯამბაი", „უკნო", „რატმირი", „ლევი", „ნევა", „ლიუბიმი", „კირგიზი", „ალექსანდრე" და კარჭაპები „პლუტონი", „აპოლონი", „მედუზა", „რუსალკა", „ვალერია", „სტეფანია" და სხვები. გადაქაჩვა ბელინსკის მეჩეჩთან. ფიქრობს, რომ ასე შეიძლება გადაიზიდოს 320 ათასი ერთ რეისად და 1600 ათასი თვეში. მაცნობეთ თქვენი დასკვნა.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

554

## დეპეშა სრულიად უკრაინის ბოროტბისტების კონფერენციის პრეზიდიუმს [364]

1920 წ. 16. III.

ხარკოვი

უკრაინის სახკომსაბჭო რაკოვსკის

ბლაკიტნისათვის სრულიად უკრაინის ბოროტბისტების კონფერენციის პრეზიდიუმში

სულით და გულით გმადლობთ მოსალმებისათვის. მხურვალედ ვუსურვებ წარმატებას კონფერენციის მუშაობას, განსა-

* ხელნაწერის ზემო ნაწილში არის ვ. ი. ლენინის შენიშვნა: „დაშიფვრის შემდეგ დამიბრუნეთ. ლ ე ნ ი ნ ი". რ ე დ.

კუთრებით ბოლშევიკების პარტიასთან შეერთების დაწყებული საქმის წარმატებას.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**555**

## ლ. ბ. კრასინს [365]

რატომ არ შეიძლება, რომ განსაკუთრებით შეიტანოთ დეკრეტი ე ქ ს პ ე რ ტ ე ბ ი ს (ელექტროტექნიკოსების) საზღვარგარეთიდან მოწვევისა და ამისათვის 500 000 მანეთის ასიგნების შესახებ? **ეფექტურია** (და პოლიტიკურად ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო).

დაწერილია 1920 წლის
16 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**556**

## ლ. ბ. კრასინს [366]

თქვენ შეცდომას სჩადიხართ, როცა „ე მ ზ ა დ ე ბ ი თ" „დიდისათვის" და ხელიდან უშვებთ მცირეს. დღევანდელი კვერცხი ამჯობინეთ. არის პატარა ფირმები ტრესტების გარეთ. ამ ფირმებს შეუძლიათ გააკეთონ (ზოგჯერ გაყიდონ) სათადარიგო ნაწილები და სხვ.

დაწერილია 1920 წლის
16 მარტზე გვიან

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 557

## დაუდგენელ ადრესატს

ჩვენ რაღაც გამოგვრჩა ორთქლმავლების შეკეთებაში.

ხომ არ შეიძლება ცეკისტების კომისია გავგზავნოთ, რომ შეუჩუჩხუნონ და შეამოწმონ?

ან ანგარიშები კვირაში ერთხელ?

ან სხვა რამ?

ვინ ადევნებს თვალყურს? ვინ აჩქარებს? **არავინ.**

ვინ გამოყო საუკეთესო სახელოსნოები? რა შედეგს იძლევა პრემია 200 ფუთი თითო ორთქლმავლისათვის?

ხომ არ დავავალოთ ეს **განსაკუთრებით როზენგოლცს,** იქნებ, პლუს კიდევ ვინმე?

იდეკრეტეთ და დაიძინეთ....[367]

დაწერილია 1920 წლის
16 მარტზე გვიან

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 558

## დეპეშა ა. მ. გორკის[368]

პეტროგრადი

გორკის

თქვენს 5/III წერილზე გაცნობებთ სურსათის სახალხო კომისარიატის მიერ ბადაევისათვის გაგზავნილი დეპეშის პირს: „წინადადება გეძლევათ, სანამ სახკომსაბჭოს სპეციალური კომისია საბოლოოდ გადაწყვეტდეს მეცნიერთა მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხს, განაგრძოთ მომარაგება თქვენ მიერ ადრე მიღებული გეგმით, ესე იგი არ შეამციროთ, თანახმად სურსათის სახალხო კომისარიატის უკანასკნელი განკარგულებისა". პოკროვსკის კომისია აპროტესტებს პეტროგრადის სიას როგორც უსამართლოს. საპოჟნიკოვი განთავისუფლებულია

9/III. მანუხინმა უნდა წარუდგინოს ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარს სემაშკოს განზრახულ ძიებათა ხერხის შინაარსი, რომლის განხილვის შედეგებზე დამოკიდებულია გადაწყვეტილება.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
19 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ლ. ა. ფოტიევას ხელით
დაწერილი და ვ. ი. ლენინის
ხელმოწერილი ტექსტის
მიხედვით

**559**

## დეპეშა ბ. ი. გოლდბერგს

სათადარიგო არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭო
ამხ. გ ო ლ დ ბ ე რ გ ს

მუშურ-გლეხური თავდაცვის საბჭო საბჭოთა ხელისუფლების სახელით ამხანაგურ მადლობას უთვლის ყველა მუშას, წითელარმიელს, ტექნიკურ და ადმინისტრაციულ პერსონალს, რომლებიც მუშაობდნენ სარაპულთან კამაზე ხიდის აღსადგენად და დაამთავრეს იგი დანიშნულ ვადაზე ერთი თვით ადრე, რითაც კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, თუ რის მიღწევა შეუძლია პროლეტარიატს ორგანიზებულობით, ენერგიით, შრომის დისციპლინით, როცა ასე შეგნებულად ეკიდება საერთო ამოცანებს, რომლებიც დგას რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის წინაშე. ეს კი ახლა უაღრესად საჭიროა თავსდატეხილი ნგრევის წინააღმდეგ ბრძოლაში.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
20 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
და ვ. ი. ლენინის
ხელმოწერილი ტექსტის მიხედვით

## 560

## ქ. ბ. რადეკს[369]

ამხ. რადეკ!

თქვენი აზრი? დააბრუნეთ ორიოდ სიტყვასთან ერთად. **ზუსტად** იცით თუ არა კ. ლიბკნეხტის ოჯახის მდგომარეობა? საჭიროა თუ არა დახმარება და რა ოდენობით?

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია არა უადრეს
1920 წლის 23 მარტისა

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 561

## ტელეფონოგრამა ი. ბ. სტალინს

ამხ. სტალინს
პირი ამხ. რაკოვსკის

იმის გამო, რომ ყრილობაზე თითოეული მიმდინარეობისაგან არჩეულია 13-13 დელეგატი, იმის გამო, რომ 105 დელეგატი არ მონაწილეობდა ცკ-ის არჩევნებში და 8 დელეგატმა თავი შეიკავა, უხერხული მდგომარეობიდან გამოსასვლელად რკპ ცკ-ის პოლიტბიურომ დაადგინა შექმნას დროებითი ბიურო ძველი ცკ-ის ორი წარმომადგენლისა და ორი ახალი წარმომადგენლისაგან. ბიუროს მეხუთე წევრად დანიშნოს ყოფილი ბოროტბისტი ამხ. შუმსკი[370].

პოლიტბიუროს დავალებით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
24 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის პირის მიხედვით

**562**

## დეპეშა ა. ი. შუმსკის

ხარკოვი, შუმსკის
პირი უკრაინის კომპარტიის
ახალ ცეკას
პირი რაკოვსკის

შიფრით

იმ ტელეფონოგრამის დასადასტურებლად, რომელიც ლენინმა წუხელ გადასცა რაკოვსკის, გაცნობებთ, რომ რკპ ცეკას პოლიტბიურომ იმ შეუწყნარებელი მდგომარეობის გამო, რომელიც შეიქნა იმით, რომ 105 დელეგატმა (8-მ თავი შეიკავა) უარი თქვა მონაწილეობა მიეღო ცეკას არჩევნებში და გააპროტესტა ეს არჩევნები როგორც უკანონო, დაადგინა შექმნას დროებითი ორგანო ამ კონფლიქტის მოგვარებამდე. ამ დროებით ცეკაში უნდა იყოს შუმსკი, ყოფილი ბოროტბისტი, ამჟამად პარტიის წევრი, რომელიც არ მონაწილეობდა ფრაქციულ ბრძოლაში უკრაინის კონფერენციაზე, შემდეგ 2 წევრი ახალი ცეკასი და 2 წევრი ძველისა.

პოლიტბიუროს დავალებით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
24 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით

**563**

## სრულიად რუსეთის ცაკს [371]

1920 წ. 24. III.

სახკომსაბჭოს სრულიად რუსეთის ცაკში დასამტკიცებლად შემოაქვს იმ საწარმოთა სია, რომლებიც უნდა შედიოდნენ სმუს-ის ცენტრალური ორგანოების უშუალო გამგებლობაში და ირიცხებოდნენ „I ჯგუფში“ სრულიად რუსეთის ცაკის ინსტრუქციის თანახმად.

ეს სია ერთხმად მიიღო კომისიამ, რომელიც შექმნა სახკომსაბჭომ, და დაამტკიცა სახკომსაბჭომ.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**564**

## ბარათი რკპ (ბ) ცკ-ის პოლიტბიუროს წევრებს და პროექტი დეპეშისა შ. ზ. ელიავას და ი. ე. რუძუტაკს[372]

პოლიტბიუროს წევრებს:

შემომაქვს წინადადება გაუგზავნოთ დაშიფრული დეპეშა ელიავასა და რუძუტაკს: „მოვითხოვთ, რომ უზუსტესად შეასრულოთ ცეკას დადგენილებანი საგარეო პოლიტიკის შესახებ. დაუყოვნებლივ სულ გადააყენეთ გელერი და ბროიდო, მთელი საქმეები გადაეცით მხოლოდ გოლუბს, მაშიცკისა და გოპნერს. დაუყოვნებლივ შეასრულეთ ცეკას ყველა დანარჩენი მითითება და მომახსენეთ ზუსტი შესრულება. გაფრთხილებთ, რომ შემდგომი გაჭიანურება ან პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი დამორჩილებისაგან თავის არიდება გამოიწვევს სასჯელს".

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 24 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**565**

## ა. ი. სვიდერსკის

ამხ. სვიდერსკი!

მაცნობეს ფაბრიკების შემდეგი საშინელი მდგომარეობა:

კალუგის გუბერნიის № 6 საქარხნო სამმართველო, ტროიცკ-კონდროვის და პოლოტნიანის ფაბრიკები, ყოფ. ვ. ჰოვარდისა და გონჩაროვის კომპანია.

სიზრან-ვიაზმის რკინიგზის სადგ. ჰოვარდოვო და სადგ. პოლოტნიანი ზავოდი.

მუშები დაახლოებით . . . . . . . .2500—3000
მოსამსახურეები . . . . . . . . . . . 200 კაცი
მჭამელები . . . . . . . . . . . . .12000 „

ამა წლის 28 თებერვალს მილიტარიზებული არიან.

დეკემბერში გადაიყვანეს წითელარმიულ ულუფაზე. არაფერს არ იღებენ*.

გთხოვთ მოიფიქროთ სასწრაფო განკარგულების ზომა, მათთვის სურსათის მისაცემად და მაცნობოთ თქვენი პასუხი.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია არა უადრეს
1920 წლის 24 მარტისა

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

566

## რკპ (ბ) ცკ-ის ორგბიუროს [373]

ცეკას ორგბიუროს

ვფიქრობ, სანამ ს ა ვ ს ე ბ ი თ არ არის აღდგენილი რკინიგზის ტრანსპორტი, ამაზე ფიქრიც არ შეიძლება.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
26 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

567

## ა. ი. რიკოვს

ამხ. რიკოვს

15 მილიონი ფუთი ბენზინის წამოღება გროზნოდან [374] გვაიძულებს მივიღოთ მთელი რიგი სასწრაფო და დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, როგორიცაა:

* ხაზგასმულია ვ. ი. ლენინის მიერ. რ ე დ.

1) ბენზინის განსაკუთრებით სასტიკი დაცვა.
ზომები სამხედრო. სამხედრო პირთა სპეციალური პასუხისმგებლობა.
2) გამოიანგარიშეთ: რამდენი გვჭირდება (*m a x i m u m*). დანარჩენი საზღვარგარეთ ორთქლმავლების შესაძენად.
3) სატვირთო მანქანების შეგროვება (**ყოველი მხრიდან,** განსაკუთრებით არმიიდან) და მათი შეკვეთება ს ა დ გ უ რ ე ბ შ ი პ უ რ ი ს მ ი ს ა ზ ი დ ა დ.
4) სატვირთო მანქანებისა და შოფრების მობილიზაცია ამ მიზნისათვის.
5) ბენზინის მიტანა ცენტრალურ საწყობებში.

იქნებ, მოიწვიოთ თათბირი (სურსათის კომისარიატიდან და სამხედრო უწყებიდან) ამ საკითხზე და შეიტანოთ თათბირის წინადადება თავდაცვის საბჭოში?

გთხოვთ ყველაფერი ეს გააკეთოთ ს წ რ ა ფ ა დ.

28/III. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
28 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**568**

## **ნ. ნ. კრესტინსკის**

ამხ. კრესტინსკი! უნდა იცავდეთ კ ა ნ ო ნ ს.

კანონით უკანასკნელი გადაწყვეტილებაა ო რ გ ბ ი უ რ ო ს გადაწყვეტილება, რომელმაც უკვე უარყო უკრცეკას პ რ ო ტ ე ს ტ ი.

იაკოვლევი (და უკრცეკა) **მოვალეა დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ** შეასრულოს ორგბიუროს ეს გადაწყვეტილება [375].

თანახმა ვარ გ ა მ ო კ ი თ ხ ვ ა ზ ე, მაგრამ ამან არ უნდა

შეაჩეროს გადაწყვეტილება, რადგან ამის უფლება აქვს მ ხ ო-ლ ო დ პლენუმს, და მე მოვითხოვ აგიტაციის უფლებას.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია არა უგვიანეს 1920
წლის მარტისა

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

569

## ე. დ. სტასოვას

ჩიჩერინი ავად არის, მოვლა არა აქვს, მკურნალობა არ სურს, თავს იკლავს.

საჭიროა ცკ-ის სახელით მისწეროთ მას **თავაზიანი** (რომ არ აწყენინოთ) წერილი ცეკას **დადგენილებით**, რომ ცეკა მოითხოვს, არ გაფლანგონ სახელმწიფო ქონება, გამოუძახონ (თუნდაც კარახანის მეშვეობით) საუკეთესო ექიმს, **დაუჯეროს** მას, თუ ექიმი ურჩევს, აიღოს შვებულება და **სანატორიუმში დაჰყოს საჭირო დრო.**

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია არა უგვიანეს 1920
წლის მარტისა

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

570

## ა. დ. ციურუპას

ამხ. ციურუპა!

პოლიტბიუროში იყო ლაპარაკი, რომ სამხედრო გადაზიდვები ციმბირიდან **შეიცვალოს სასურსათოთი** (სამხრეთში გამარჯვებათა გამო).

გადაწყვეტილება არ არის ჩაწერილი, რადგან ტროცკი სავსებით დაეთანხმა და უ კ ვ ე გ ა ს ც ა გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბა.

გადაზიდვების უმაღლესი საბჭოს წევრი—სურსათის კომისარიატის წარმომადგენელი **ფხიზლად** უნდა ი ყ ო ს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია არა უგვიანეს 1920
წლის მარტისა

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**571**

## ა. ვ. ლუნაჩარსკის

პიტერთან ახლო მდებარე რამდენიმე მონასტერი გამოყავით დეფექტურ, **უპატრონო** ბავშვთა და მოზარდთა მოსათავსებლად.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის მარტში

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**572**

## ი. ი. ხოდოროვსკის

ყაზანში არის (უნივერსიტეტში, დოცენტი ან პროფესორი და ა. შ.)

ა დ ო რ ა ტ ს კ ი.

მე მას ვიცნობ 10 წელზე მეტია. უაღრესად საიმედო კაცია. კარგად განათლებული მარქსისტია.

მას დავავალე დაეწერა რევოლუციის ისტორიის ნარკვევი.

გთხოვთ

1) გაძლიერებით გამოიყენოთ იგი ლექციებისათვის და ა. შ.,

2) დაეხმაროთ მას ულუფით (**გაძლიერებულით**), მას და ოჯახს, შეშით და სხვ.,

3) მიდეპეშოთ მისი მისამართი (და რა გაკეთდა მისთვის).

1920. 6/IV.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**573**

## დეპეშა სამარის საგუბერნიო აღმასკომს

1920 წ. 6. IV.

სამარა
საგუბერნიო აღმასკომი
პირი რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

საკმაოდ რადიკალურად აწარმოებთ თუ არა ქალაქის წმენდას? გთხოვთ მთელი მონდომებით მოეკიდოთ ამას და უფრო ხშირად შეამოწმოთ ფაქტობრივი შესრულება. თავს ხომ არ არიდებენ შრომითს ბეგარას ბურჟუები და ობივატელები? უნდა მთელი ძალით მოვიზიდოთ.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**574**

## დეპეშა გ. კ. ორჯონიკიძეს*

პირდაპირი მავთულით

დონის როსტოვი, კავკასიის ფრონტის
რევოლუციური სამხედრო საბჭო
ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე ს

გავალებთ გამოუცხადოთ მთიელებს, რომ პირობას ვაძლევ სახალხო კომისართა საბჭოს მეშვეობით აღმოვუჩენ მათ ფუ-

* დეპეშის ქვემო ნაწილში არის ვ. ი. ლენინის მინაწერი: „გთხოვთ გადასცეთ ამაღამ პირდაპირი მავთულით დონის როსტოვში. ლ ე ნ ი ნ ი". რ ე დ.

ლად დახმარებას. ამის ანგარიშში* მიეცით მათ 200 მილიონამდე. თქვენი წინადადების თანახმად ნარიმანოვი ამ დღეებში წავა პეტროვსკში. შეგიძლიათ თქვენი სახელით აცნობოთ ბატონ ურატაძეს, რომ მთავრობა მოსკოვში მისი ჩამოსვლის წინააღმდეგი არ არის, ამასთან სავსებით გეთანხმებით, რომ საჭირო არ არის როსტოვიდან მოსკოვში მისი ჩამოსვლის დაჩქარება, რის გამო თვითონ დანიშნეთ თქვენი შეხედულებისამებრ მისი წამოსვლის დღე[376]. სამიწათმოქმედო ურთიერთობის საკითხზე შეგიძლიათ იმოქმედოთ დამოუკიდებლად, მაგრამ უნდა მაცნობოთ თქვენ მიერ განხორციელებული ღონისძიებანი ამ დარგში. გთხოვთ უფრო ხშირად მომაწოდოთ ინფორმაცია. გთხოვთ დააჩქაროთ ნაწილების გადაყვანა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 15 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი და ვ. ი. ლენინის შევსებული და ხელმოწერილი ტექსტის მიხედვით

575

## Ფ. Ე. ᲫᲔᲠᲟᲘᲜᲡᲙᲘᲡ

1920 წ. 16. IV.

ამხ. ძერჟინსკი!

თუ შეიძლება, გაეცით განკარგულება, შეამოწმონ უ ფ რ ო მ კ ა ც რ ა დ. ხომ არ შეიძლება დაინიშნოს შემოწმებისათვის მიუკერძოებელი ადამიანები, არა პიტერელები?

მე კიდევ ერთი წყაროდან (გარდა მოცემული წერილებისა + კალმიკოვასი) გავიგე, რომ ამ საქმეში ადგილობრივმა ჩეკამ დაუშვა უმსგავსობა.

უნდა შეამოწმოთ ბოლომდე და სწრაფად.

თუ შეიძლება, საქმის დამთავრების შემდეგ, დამიბრუნეთ

* ქვესათაური და სიტყვები „პირობას ვაძლევ... ამის ანგარიშში" დაწერილია ვ. ი. ლენინის ხელით. რ ე დ.

თანდართული დოკუმენტები და გაეცით განკარგულება, რომ თქვენმა მდივანმა გამომიგზავნოს ტელეფონოგრამა შედეგის შესახებ[377].

სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

576

## ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს

1920 წ. 16. IV.

ამხ. ვლადიმერ დიმიტრის ძევ!

გთხოვთ, **თუ უკვე** გამოკეთდით (როცა ს ა ვ ს ე ბ ი თ გამოკეთდებით),

1) შეამოწმოთ მოწმეების საშუალებით გ ა უ ხ მ ა უ რ ე ბ ლ ა დ;

2) გამოუძახოთ გილს და დასაწყისისათვის მისცეთ მხოლოდ ს ა ყ ვ ე დ უ რ ი (**რბილი**) და გააფრთხილოთ, რომ აქამდე კარგი ყოფაქცევის გამო სჯერდებით სასჯელის მცირე ზომას ფორმულარში შეუტანლად, მაგრამ განმეორების შემთხვევაში საქმე ცუდად იქნება[378].

სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1958 წელს წიგნში: ა. ა. სტრუჩკოვი. „ლენინი და ხალხი". მოსკოვი

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

577

## შენიშვნები და რეზოლუცია ა. ვ. ლუნაჩარსკის წერილზე

სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ვ. ი. ლენინს

თქვენ გადმომიგზავნეთ დეპეშა ყაზანიდან, რომელშიც ჩივით, რომ არ არის ფულის ნიშნები. ასეთივე დეპეშები მივიღე ვიატკისა და ვოლოგდის გუბერნიებიდან. ყველა ამ ადგილებში მასწავლებლები, ფულის უქონლობის გამო, სამი თვეა არ იღებენ ჯამაგირს.

ამრიგად, თურმე აბსოლუტურად მშიერ გუბერნიებში მასწავლებლები შიმშილობენ პროდუქტების უქონლობის გამო, ხოლო მწარმოებელ გუბერნიებში, როგორიცაა ყაზანის, ვოლოგდისა და ვიატკის გუბერნიები, სადაც ფაქტობრივად მასწავლებლებს შეუძლიათ იკვებონ,—ისინი შიმშილობენ ფულის უქონლობის გამო.

ძალიან გთხოვთ, ვლადიმერ ილიას ძევ, გასცეთ რაიმე განკარგულება ან შეიტანოთ ეს სახკომსაბჭოში განსახილველად, რათა ფულის ნიშნები, რომლებსაც იძლევიან გუბერნიების საჭიროებისათვის, ნაწილდებოდეს პროპორციულად, ესე იგი: როცა აკლია 10—20%, ასეთი დანაკლისი განაწილდეს ყველა უწყებას შორის. სხვანაირად ფაქტობრივად გამოდის, რომ აბსოლუტურად ყველა, გარდა განათლების მუშაკებისა, ჯამაგირს იღებს...

მცირე საბჭოს: გთხოვთ გაატაროთ ეს. უფრო მეტიც: მასწავლებლებს **უპირატესობა** უნდა მიეცეს.

17/IV. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
17 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 578

## დეპეშები გ. ლ. პიატაკოვს

### 1

ეკატერინბურგი, 1-ელი შრომის არმიის საბჭო, პიატაკოვს

ადასტურებს რა ამხანაგ ვლადიმირსკის დეპეშას, სახკომსაბჭო წინადადებას აძლევს ურალისპირეთის ყველა ადგილობრივ დაწესებულებას უაღრესად ზომიერი და ფრთხილი იყვნენ გუბერნიების ახალი ადმინისტრაციული დაყოფის საკითხში, ამასთან წინადადება გეძლევათ ამ დირექტივით იხელმძღვანელოს 1-ელი შრომის არმიის საბჭომაც და არ შექმნას, კერძოდ, ამ საკითხზე არავითარი სპეციალური კომისიები[379].

20/IV. 20 წ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე

ლ ე ნ ი ნ ი

2

ეკატერინბურგი, 1-ელი შრომის არმიის საბჭო, პიატაკოვს

სახკომსაბჭომ 20 წლის 20/IV სხდომაზე დაადგინა: გამოეცხადოს საყვედური 1-ელი შრომის არმიის საბჭოს არასაკმაოდ სერიოზული დამოკიდებულებისათვის გუბერნიების ახალი დაყოფის საკითხისადმი და მოითხოვს მომავლისათვის საქმის უფრო სოლიდურ მომზადებას, რათა ადგილი არ ჰქონდეს ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობებს ადგილებიდან.

20/IV. 20 წელი სახკომსაბჭოს თავმჯდომარე

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ვ. ი. ლენინის ხელმოწერილი და მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტების მიხედვით

**579**

## პეტროგრადის საბჭოს [380]

ამხანაგებო! ძალიან გთხოვთ ყველა იმ შემთხვევაში, როცა ამხ. გორკი მოგმართავთ ამგვარ საკითხებზე, გაუწიოთ ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი დახმარება, ხოლო თუ იქნება რაიმე დაბრკოლება, ხელის შეშლა ან საწინააღმდეგო აზრი, ნუ დამზარდებით, მაცნობეთ, რაში გამოიხატება ისინი.

22/IV. 1920.

ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს წიგნში „ვ. ი. ლენინის გარდაცვალების წლისთავისათვის. 1924 წ. — 21 იანვარი—1925 წ.". მ. — ლ.

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**580**

## რეზოლუცია ლ. ბ. კრასინის ბარათზე

უნდა აეკრძალოს „ეკონომიჩესკაია ჟიზნს" მსგავსი ცნობების ბეჭდვა სათბობის შესახებ. ფრიად შესაძლებელია, რომ პოლონელთა შეტევა ნაწილობრივ გამოწვეულია ჩვენი აღვირახსნილობით ამ მხრივ. ჩვენ ოსტატები

ვართ ციფრებით ვამტკიცოთ ჩვენს გაზეთებში ყოველგვარი მიზეზით საკუთარი სიკვდილის გარდუვალობა.

**რიკოვს**: ჩემი აზრით, ეს სწორია. თქვენი აზრი? [381].

დაწერილია 1920 წლის
28 აპრილზე ადრე

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 581

## ბ. ვ. ჩიჩერინს

ამხ. **ჩიჩერინს**

ამხ. **ჩიჩერინ**! გთხოვთ თქვენ და ფაინბერგს (ხოლო თუ თქვენ არ გცალიათ, რომელიმე ამხანაგს თქვენი მითითებით, ვინც საუცხოოდ იცნობს ინგლისის სოციალისტურ მოძრაობას) გადახედოთ ჩემს ბროშურას ან თ ა ვ ს ი ნ გ ლ ი ს ი ს შ ე ს ა ხ ე ბ* და მირჩიოთ, ხომ არა მაქვს შეცდომები ან უტაქტობა. პრაქტიკული შესწორებები, თუ არ გეძნელებათ, ძალიან გთხოვთ ცალკე ფანქრით ჩაწეროთ.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის მაისის
დამდეგს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 582

## ნ. ა. სემაშკოს

1920 წ. 3. V.

თუ ამხ. სემაშკო არ არის, მაშინ ამხ.
ს ო ლ ო ვ ი ო ვ ი ს ა თ ვ ი ს

ამხ. სემაშკო!

გთხოვთ მიიღოთ ამის მომტანი, ამხ. დიმიტრი ნიკიტას ძე ე რ ო შ ე ნ კ ო ვ ი, მკურნალის თანაშემწე. იგი მირჩია ერთ-

* იხ. ვ. ი. ლენინი. „„მემარცხენეობის" საყმაწვილო სენი კომუნიზმში" (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 31, გვ. 1—131). რ ე დ.

მა ძალიან საიმედო ამხანაგმა. ამხ. ეროშენკოვს რამდენიმე კვირა აქვს თავისუფალი (განსაკუთრებულ დავალებამდე, რომელსაც მივცემთ) და ამ ხნის განმავლობაში სურს, ერთი მხრივ, ისწავლოს მედიცინა, ხოლო, მეორე მხრივ, მთელი ძალ-ღონე მოახმაროს მას. ძალიან გთხოვთ დაეხმაროთ.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ამხანაგს აქვს გამოგონება ძალზე **პრაქტიკული** ს ა დ ე ზ ი ნ ფ ე ქ ც ი ო კამერისა. საჭიროა შეამოწმოთ და გამოიყენოთ.

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**583**

## დეპეშა ფ. ი. კონს*

ფელიქს კონს
კიევი
პირი რაკოვსკის
ხარკოვი

ვინიჩენკოს შესახებ პრინციპში თანახმა ვართ. შეუთანხმდით რაკოვსკის დეტალებზე[382]. მაცნობეთ მოკლედ სამხედრო მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 4 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**584**

## ლ. დ. ტროცკის[383]

ამხ. ტროცკი! ჩემი აზრით, ჩიჩერინი მართალია: ახლავე უპასუხეთ თანხმობით 1) საომარი მოქმედების შეჩერებაზე

* გადაცემულია პირდაპირი მავთულით. რ ე დ.

(ა) ყირიმში და (ბ) კავკასიაში (ზუსტად მოიფიქრეთ თითოეული სიტყვა) და 2) მოლაპარაკებაზე ყირიმის გაწმენდის პირობების შესახებ თეთრების საერთო ამნისტიის (არაფერი მეტი) პ რ ი ნ ც ი პ ი თ და 3) ინგლისელი ოფიცრის მონაწილეობაზე ვრანგელთან მოლაპარაკებაში. ჩიჩერინისათვის გასაგზავნი პასუხის ტექსტი დღესვე განიხილეთ პოლიტბიუროში, რათა ამაღამვე უპასუხოთ.

ლ ე ნ ი ნ ი

ხმებს შევაგროვებთ ტელეფონით:

დაწერილია 1920 წლის 4 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

585

## რკპ (ბ) ცკ-ის სამდივნოს[384]

გთავაზობთ დირექტივას: ყველა სტატია პოლონეთისა და პოლონური ომის შესახებ გასინჯონ პასუხისმგებელმა **რედაქტორებმა** მათი პ ი რ ა დ ი პასუხისმგებლობით. არ გადაამლაშოთ, ესე იგი არ გადაეშვათ შოვინიზმში, ყოველთვის გამოყავით პანები და კაპიტალისტები პოლონეთის მუშებისა და გლეხებისაგან.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 5 მაისზე გვიან

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

586

## რკპ (ბ) ცკ-ის ორგბიუროს წევრებს

ორგბიუროს წევრებს:

ხომ არ მივიღოთ ასეთი გადაწყვეტილება:

რკპ ცეკას დირექტივა უკრაინის ცეკასათვის: გაზარდოს ე რ თ ი ო რ ა დ სასურსათო მუშაკთა რიცხვი, რისთვისაც გაძარცვოს

**ულმობლად ყველა** სახალხო კომისარიატი, სამხედრო კომისარიატის გარდა.

7/V. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 7 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

587

## ბასინს

1920 წ. 7. V.

ამხ. ბასინ!

გთხოვთ გადასცეთ ჩემი მადლობა თურქესტანის ფრონტის წითელ კომუნართა ოცდამეათე პოლკს გამოგზავნილი მაკარონისა და ფქვილისათვის, რომლებიც გადავეცი ქალაქ მოსკოვის ბავშვებს.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

ვ. ულიანოვი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ვ. ი. ლენინის ხელმოწერილი მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტის მიხედვით

588

## დეპეშა გ. კ. ორჯონიკიძეს [385]

ეს ძირეულად ეწინააღმდეგება ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას. შეიძლება დამღუპველი შედეგები მოჰყვეს. ცენტრალური კომიტეტი არავითარ შემთხვევაში არ დართავს ნებას. კატეგორიულად მოვითხოვთ გადაწყვეტილების შესრულების შეჩერებას და გაუქმებას.

ლ ე ნ ი ნ ი*

დაწერილია 1920 წლის არა უადრეს 7—არა უგვიანეს 12 მაისისა

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება ხელნაწერის პირის მიხედვით

---

* დეპეშას ხელს აწერს აგრეთვე ლ. დ. ტროცკი. რ ე დ.

589

## დეპეშა ლ. ბ. კრასინს

შ ი ფ რ ი თ

ა მ ხ ა ნ ა გ კ რ ა ს ი ნ ს

პოლიტბიუროს იმ დადგენილების არსი, რომელიც თქვენ გეცნობათ, ის იყო, რომ ოქროს ვალუტაზე თქვენ მიერ დადებული ყველა ხელშეკრულება წინასწარ მიდიოდეს დასამტკიცებლად პოლიტბიუროში. ძალზე საჭიროა რაც შეიძლება დავზოგოთ ოქრო. პოლიტბიურო ვერ ხედავს საქმიან საფუძვლებს თავისი გადაწყვეტილების გასაუქმებლად.

1920 წლის 11 მაისი პოლიტბიუროს დავალებით

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი პირის მიხედვით

590

## ა. ე. ბადაევს

1920 წ. 16. V.

პ ე ტ რ ო გ რ ა დ ი
ამხ. ბადაევს
ან მის მოადგილეს

გთხოვთ მისცეთ ელექტრიფიკაციის სახელმწიფო კომისიის პეტროგრადის ჯგუფს (პასუხისმგებელი ხელმძღვანელი შატელენი) სურსათის **50** ზურგის წითელარმიული ულუფა და **9** საოჯახო ულუფა, სამოქალაქო ულუფის ბარათების ჩამოურთმევლად.

გთხოვთ მაცნობოთ ტელეფონოგრამით, სახელდობრ როდის და რამდენი მიეცით.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 591.

## ლ. ა. ფოტიევას

1920 წ. 25. V.

ცეკას დირექტივასთან დაკავშირებით ყოველმხრივ წესრიგში უნდა იყოთ, განსაკუთრებით მორიგეები კვირაობით და დღესასწაულის დღეებში.

გთხოვთ დაუყოვნებლივ შეიმუშაოთ და მომცეთ ხელმოსაწერად წესები

**პასუხისმგებელი** (გლასერი, ვოლოდიჩევა, კიზასი და სხვ.) მორიგეების შესახებ სახკომსაბჭოსა და თავდაცვის საბჭოს სამდივნოში **კვირაობით** და **დღესასწაულის დღეებში** სპეციალურად (აგრეთვე სამუშაო დღეებში). **საათები** და სხვა.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 592

## რადიოგრამა მ. ვ. ფრუნზეს

**რადიოთი**

ტაშკენტი
თურქესტანის კომისიას
ელიავას
ფრუნზესათვის

როგორ არის ნავთობის საქმეები, როგორია მარაგი, წესრიგშია თუ არა სარეწები, როგორია წარმოების ოდენობა, რა ღონისძიებებს იღებთ მის გასადიდებლად, როგორია განაწილება გამოსაზიდად და ადგილობრივი რკინიგზების მოთხოვნილება?*

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 25 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* რადიოგრამის ბოლოში არის ვ. ი. ლენინის მინაწერი: „მოითხოვეთ ხელწერილი რადიოსადგურისაგან". რ ე დ.

593

## ყველა სახკომს[386]

განსაკუთრებით მიწსახკომს
სურსათის სახკომს
და შრომის სახკომს

1920 წ. 26. V.

გთხოვთ ყოველნაირად შეუწყოთ ხელი მატარებელ „ჩრდილოეთ კავკასიის“ უსწრაფეს ფორმირებას და მის უზრუნველყოფას საქმიანი პოლიტმუშაკებით და ინსტრუქტორებით.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

594

## ლ. ა. ფოტიევას

მოსკოვისა და პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოებს (ბოსტნების შესახებ დღევანდელი გადაწყვეტილების შეტყობინებასთან ერთად)[387] დამატებით აცნობეთ, რომ მოველით აგრეთვე საგარეუბნო მებოსტნეების ნამეტების აღრიცხვისა და ჩამორთმევის ღონისძიებებს*.

დაწერილია 1920 წლის 27 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* დოკუმენტზე არის ლ. ა. ფოტიევას მინაწერი: „ოქმში თუ მარტო ტელეფონოგრამაში?“, რომელშიც ვ. ი. ლენინმა სამჯერ გაუსვა ხაზი სიტყვებს „მარტო ტელეფონოგრამაში“. რ ე დ.

რიოზულია, რომ უნდა მივიკითხ-მოვიკითხოთ და მოვიფიქროთ არქიფრთხილად. დაელოდეთ ჩვენს პასუხს. ლ ე ნ ი ნ ი. ტ რ ო ც კ ი"*.

დაწერილია 1920 წლის 3 ივნისს

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით 1960 წელს წიგნში „სსრ კავშირის სამოქალაქო ომის ისტორია. 1917—1922", ტ. 5

მთლიანად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი პირის მიხედვით

**603**

## ნ. ნ. კრესტინსკის

კ რ ე ს ტ ი ნ ს კ ი ს. სასწრაფოდ.

(დაერთოს ციმბირის დეპეშა აღწერის შესახებ და პოპოვის აზრი.)

წინადადება შემომაქვს დღესვე ტელეფონით შეაგროვოთ პოლიტბიუროს წევრთა ხმები ასეთი გადაწყვეტილების სასარგებლოდ:

> აღწერა ციმბირში მოხდეს, უთუოდ, რუსეთთან ერთდროულად, ამასთან საეჭვო და კოლჩაკელობაში ეჭვმიტანილი ადგილობრივი პირების ნაცვლად გამოიძახეთ მუშები რუსეთის მშიერი გუბერნიებიდან.

თუ თანახმა არა ხართ, საჭიროა პოლიტბიუროს მოწვევა ხვალისათვის, 5. VI, დილით. მუშები დაგვჭირდება 1000-ზე ნაკლები. მათი მიყვანა ადვილია, სარგებლობა კი დიდი.

დაწერილია 1920 წლის 4 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* მანქანაზე დაბეჭდილ პირში შემდეგ არის: „დაწერილია ლენინის ხელით". რ ე დ.

ძალიან გთხოვთ მიპასუხოთ ახლავე გამოგზავნილი პირის მეშვეობით და რაც შეიძლება ზუსტად, დაწვრილებით; არ დაგაჩქარებდით, რომ საჭირო არ იყოს დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ ი არქიმნიშვნელოვანი პოლიტიკურ-სტრატეგიული გადაწყვეტილება.

მიპასუხეთ დაწვრილებით,

(1) შეგიძლიათ თუ არა დააჩქაროთ მაქსიმალურად;

(2) როდის შეასრულებთ პირველ ცდას და როდის დაამთავრებთ (სავარაუდოდ) მას?

სალამი! ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

608

## ვ. ა. ობუხს

1920. 5/VI.

ძვირფასო ვლადიმერ ალექსანდრეს ძევ! ეს-ეს არის შევიტყვე მარიამ ილიას ასულისაგან თქვენი ვაჟიშვილის გარდაცვალების ამბავი. ჩვენ ორივეს ეს ამბავი მეხივით დაგვატყდა თავს, გაგვაოცა! ალბათ, გულის ავადმყოფობა ჰქონდა. ნება მიბოძეთ ჩემგანაც, ნადეჟდა კონსტანტინეს ასულისაგანაც და მარიამ ილიას ასულისაგანაც მაგრად, მაგრად ჩამოგართვათ ხელი თქვენც და თქვენს მეუღლესაც, რომელსაც, სამწუხაროდ, არ ვიცნობ. საჭიროა მეტი სიმტკიცე, რათა უზომო მუშაობისაგან საშინლად გადაღლილებმა ორივემ გადაიტანოთ ეს უბედურება. გადატანა კი საჭიროა, რადგან მუშაკები ძალიან ცოტაა. ერთხელ კიდევ მაგრად, მაგრად გართმევთ ხელს.

მთლიანად თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1960 წელს ჟურნალში „ვოპროსი ისტორიი კპსს“ № 2

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

609

## დეპეშა ირკუტსკის საგუბერნიო ალმასკომს ან საგუბერნიო რევკომს

1920 წ. 10. VI.

1) **ირკუტსკი**

საგუბერნიო ალმასკომს ან საგუბერნიო რევკომს
2) პირი **ომსკი**, ციმბირის რევკომის თავმჯდომარეს სმირნოვს

გთხოვთ ყოველნაირი დახმარება გაუწიოთ ჩემს ამხანაგს ციმბირის გადასახლებიდან ივანე ლუკას ძე პრომინსკის, ინოკენტიევსკაიას დეპოს· ვაგონების მზეთავს. მისამართი: ინოკენტიევსკაია, მეოთხე სავაჭრო, ლუკიანოვის სახლი № 195. შემდეგ გთხოვთ გადასცეთ მას ტელეგრაფით ჩემი სალამი და, ბოლოს, გთხოვთ გადაიყვანოთ ალტაის რკინიგზაზე უკეთეს ადგილას. იგი უკვე მოხუცია. მიდეპეშეთ, რა გააკეთეთ.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა (პირის ფაქსიმილე) 1924 წელს ჟურნალ „ოგონიოკში" № 34

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

610

## გ. ვ. ჩიჩერინს [398]

ეს აშკარა სიცრუე და ტუტუცების მოტყუებაა.

მოგვცეს იარაღი, იძლევიან ქვანახშირსა და ფ ლ ო ტ ს — და აცხადებენ „უაიზის" (=ბულიტის?) **პ ი რ ი თ**.

გირჩევთ: 1) კრასინს შიფრით: „არამზადა ლოიდ ჯორჯი გატყუებთ ულვთოდ და უსირცხვილოდ, ნუ დაუჯერებთ ნურც ერთ სიტყვას და მოატყუეთ სამგზის".

2) კერზონს: გაუგზავნეთ, ჩემი აზრით, გამმასხარავებელი დეპეშა (რა თქმა უნდა, როცა უ კ ვ ე მოგვცეს იარაღი,

**მ ა ნ** დაიწყო შეტევა და არა **თქვენ**, ხოლო როცა მოგვცეს **ქვანახშირი, მან** წაიყვანა გემები და არა თქვენ, და ასე ამგვარად).

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 11 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**611**

## დ. ი. ლეშჩენკოს

იმის გამო, რომ უაღრესად მნიშვნელოვანი და აქტუალურია ამხ. გოიხბარგის მიერ ჩამოტანილი კოლჩაკის მინისტრთა გასამართლების ფოტოსურათები და დოკუმენტები, წინადადებას გაძლევთ: დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ დაამზადოთ ამ სურათებისა და დოკუმენტების ფოტოპირები, ამხ. გოიხბარგის მოკლე კომენტარებთან ერთად, და შეადგინეთ რამდენიმე სურათი კ ი ნ ე მ ა ტ ო გ რ ა ფ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს უაღრესად ფართოდ გასავრცელებლად.

შესრულება მაცნობეთ კვირაში ორჯერ.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

დაწერილია 1920 წლის 12 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს წიგნში: გ. ბოლტიანსკი. „ლენინი და კინო". მ.—ლ.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

**612**

## მოსკოვის დეპუტატთა საბჭოს სათბობის განყოფილებას

1920 წ. 16. VI.

ძვირფასო ამხანაგებო! ამასთან გიგზავნით შრომისა და თავდაცვის საბჭოს 11. VI [399] დადგენილებას და დ ა მ ა ტ ე ბ ი თ

გთხოვთ მიაქციოთ **უაღრესად სერიოზული** ყურადღება ამ საკითხს.

შეიძლება და უ ნ და ვუყოთ მობილიზაცია მოსკოვის მთელ მოსახლეობას და ხ ე ლ ი თ გამოვათრიოთ ტყეებიდან საკმაო რაოდენობით შეშა (თითო კუბური მეტრი, ვთქვათ, მოზრდილ მამაკაცზე სამ თვეში — უფრო ზუსტად სპეცები გაიანგარიშებენ; მე ვამბობ მაგალითისათვის) რკინიგზის სადგურებსა და ვიწროლიანდაგიან გზებთან.

თუ მიღებული არ იქნა გ მ ი რ უ ლ ი ზომები, პირადად ჩავატარებ თავდაცვის საბჭოსა და ცეკაში ყველა პასუხისმგებელი პირის არა მარტო დაპატიმრებას, არამედ დახვრეტასაც. შეუწყნარებელია უმოქმედობა და გულგრილობა.

კომუნისტური სალმით ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წლის 26 სექტემბერს გაზეთ „პრავდაში" № 269

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**613**

## ა. მ. გელერს [400]

1920 წ. 18. VI.

ამხ. გელერ!

გიგზავნით მ თ ე ლ (ჩემთან არსებულ) მასალას. სასწრაფოდ შეადგინეთ მისი ზ უ ს ტ ი აღწერა.

„ავანტი!" ვიშოვე და გამოგიგზავნით.

შეადგინეთ **უმნიშვნელოვანესი** დოკუმენტების სია და **არქი**-უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების თარგმანი, რომლებიც ა დ ა ს ტ უ რ ე ბ ე ნ, რომ რეფორმისტები (განსაკუთრებით ტურატი და კომპანია) არღვევენ დისციპლინას და არ ასრულებენ გადაწყვეტილებებს.

(Serrati, „Comunismo" N. 10, 15—29. II. 1920, p. 693-ის შესაბამისად:

„Simile opera di epurazione — di *„purificazione"* ha scritto Francesco Misiano nello stesso *„Soviet"* — può essere veramente opportuna

NB ‖ ed utile, sopratutto se si tratti di chi risolutamente si opponga alla pro-
× ‖ paganda per la realizzazione dei principi fissati a Bologna[401] come mèta del nostró movimento"*.)

× ‖ აი სწორედ ეს **ი. პ ო ვ ე თ დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ი თ** და ზუსტად.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 614

## საბჭოების მე-2 სახლის კომენდანტს

პირი ამხ. შოტმანს

19 ივნისი 1920.

საბჭოების მე-2 სახლის ბინა № 439, რომელიც ამხ. ა. ვ. შოტმანს უკავია, მისი არყოფნის დროს ფინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განკარგულებაშია და სახკომსაბჭოს განსაკუთრებული ნებართვის მიუღებლად არ შეიძლება ვინმემ დაიკავოს.

წინადადებას გაძლევთ ჩამოსულ ამხანაგ ფინელებს გაუწიოთ ყოველგვარი დახმარება და მოამარაგოთ ისინი სურსათით საერთო საფუძვლებზე. ჯობს უკეთეს საფუძვლებზე, როგორც სტუმრები.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი პირის მიხედვით

* სერატი, „Comunismo" № 10, 15—29. II. 1920, გვ. 693:

„ამგვარი მუშაობა გასაწმენდად — „გ ა ნ წ მ ე ნ დ ი ს ა თ ვ ი ს" — წერდა ფრანჩესკო მიზიანო სწორედ იმ „*Soviet*"-ში,— შეიძლება იყოს ნამდვილად დროული და სასარგებლო, განსაკუთრებით, თუ საქმე ეხება იმათ, ვინც გადაჭრით ილაშქრებს იმ პრინციპების რეალიზაციისათვის პროპაგანდის წინააღმდეგ, რომლებიც ბოლონიაშია დადგენილი როგორც ჩვენი მოძრაობის მიზანი" (ხაზგასმულია ვ. ი. ლენინის მიერ). რ ე დ.

## 615

# ჩანაწერები პ. ვ. ბუხარცევის დეპეშაზე ამერიკის კორპორაციასთან ხელშეკრულების შესახებ და დავალება მდივანს [402]

36 საათის განმავლობაში მომეცით სანქცია ხელშეკრულებისა ამერიკის კორპორაციის წარმომადგენელთან, რომლის ზურგსუკან დგას ამერიკა...

... შეკვეთა მიწოდების ოცი დღის ვადით — ბაწრისა, მანქანებისა, ტექნიკის, არა უგვიანეს სამი თვისა — სულ ცოტა ორასი ორთქლმავალი ცისტერნებიანად, ვაგონებიანად და სხვ. ხელშეკრულების უმთავრესი პუნქტები: კორპორაცია კისრულობს მოგვაწოდოს საზღვარგარეთიდან რწმუნებულის შეკვეთებით, ნედლეულზე გადასაცვლელად, ყოველგვარი საქონელი, მასალები, მანქანები, ინსტრუმენტი, მედიკამენტები და სხვა, გარდა სამხედრო მასალისა; პარფიუმერია და ფუფუნების საგნები და ასეთები ჩაგვაბაროს შავი ზღვის ერთ-ერთ ნავსადგურში, რწმუნებულის მითითებით. მეორე, საქონლის მოწოდებისათვის რწმუნებული გადაუხდის ნედლეულით კორპორაციას...

... გარდა მეორე პუნქტში აღნიშნული თანხისა, რწმუნებული კორპორაციას უხდის აგრეთვე ნედლეულით საკომისიო გასამრჯელოს მოწოდებული საქონლის ღირებულების ათ პროცენტს. მეოთხე, ნედლეული: თამბაქო, მატყლი, კოპტონი და სხვა, რასაც რწმუნებული ჩააბარებს მოწოდებული საქონლის ნაცვლად, შეფასდება მსოფლიო ბაზარზე ჩაბარების მომენტში არსებული ფასების მიხედვით....

**სასწრაფოდ**

1) დაუკავშირდით ტელეფონით ლეჟავას (და შეინმანს, თუ იგი ჯერ კიდევ აქ არის) და პოლიტბიუროს წევრებს.

2) პრინციპულად მე მ ო მ ხ რ ე ვარ (ა) შევევაჭროთ: შემცირდეს კომისიის პროცენტი; (ბ) შეთანხმდით ზუსტად: მათი საქონლის მოტანის შემდეგ ჩვენი **მიტანა** თუ გაცვლა **ჩვენს ნავსადგურში**. სხვანაირად არ შეიძლება.

19/VI. ლ ე ნ ი ნ ი *

დაწერილია 1920 წლის 19 ივნისს
პირველად დაიბეჭდა 1932 წელს
ლენინის XX კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

* ქვემოთ ვ. ი. ლენინის ხელით მიწერილია: „+კამენევი". რ ე დ.

## 616

## ა. ნ. მერეჟინს[403]

ამხ. მერეჟინს

საჭიროა (რაფესის მონაცემებისა და სხვ. საფუძველზე) ჩამოაყალიბოთ დამატებითი პუნქტი, დაახლოებით:

პროლეტარული დიქტატურის გამოცდილებამ უკრაინის იმ ნაწილებში, სადაც განსაკუთრებით შეიმჩნევა შერეული მოსახლეობა, ასევე ბელორუსიაში (და +?+? უნგრეთში?), ცხადყო, რომ ეროვნული ბრძოლა არა მარტო დარბევების ფორმით, რომლებსაც ვერ სპობს ყველაზე დემოკრატიული ბურჟუაზიული რესპუბლიკა, არამედ წვრილი, მაგრამ ყველაფრის მომცველი კინკლაობის ფორმითაც თითქმის ქრება. ამის მიზეზებია: 1) მუშებისა და მშრომელი გლეხების ინტერესი, ყურადღება, მთელი სულიერი ძალები მთლიანად ხმარდება დიად ბრძოლას ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელი ბრძოლაც აკავშირებს ყველა ერის მშრომელებს; 2) პროლეტარიატის დიქტატურა თრგუნავს ბურჟუაზიის, მეშჩანობის, ბურჟუაზიული ინტელიგენციის მოქმედების „თავისუფლებას", რომელი თავისუფლებაც ნიშნავს ბურჟუაზიის მიერ ძალების, გავლენის, ცოდნის გამოყენებას კლასობრივი ბრძოლის გასაღვივებლად.

ხომ არ შეიძლება დაემატოს კონკრეტული ფაქტები 2— —?

დაწერილია 1920 წლის 21 ივნისსა
და 26 ივლისს შუა

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 617

## მიწსახკომსა და სურსათის სახკომს

1920 წ. 22. VI.

წინადადებას გაძლევთ უზრუნველყოთ მოქალაქე ტ ი რ კ ო ვ ი, ნაროდოვოლცების გმირული ჯგუფის ერთ-ერთი უკანასკნელი მოჰიკანი, ალექსანდრე II მოკვლის მარტის პრო-

ცესის მონაწილე, — ამჟამად მოქალაქე ტირკოვი ფრიად ხანდაზმულია —

ორი-სამი დესეტინა მიწით მისი ყოფილი მამულიდან და 2 ძროხით მისი ოჯახისათვის.

განკარგულება სასწრაფოდ განახორციელოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარმა ამხ. სერედამ

და სურსათის სახალხო კომისარმა ამხ. ციურუპამ (ან მისმა მოადგილემ) შეთანხმებით, ტ ე ლ ე გ რ ა ფ ი თ, ადგილობრივ საგუბერნიო აღმასკომთან*.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

ვთხოვ სახკომებს ხელი მოაწერონ: თანახმა არიან თუ არა?

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 618

## ტელეფონოგრამა მოსკოვის გუბერნიის პოდოლსკის სამაზრო აღმასკომს

1920 წ. 22. VI.

განვიხილე რა კიდევ ერთხელ ჩემი დადგენილება ამხ. ვევერის[405] შესახებ მის დამატებით ახსნა-განმარტებასთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ ჩემი დადგენილება ძალაში დავტოვე და უნდა შესრულდეს.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 619

## გ. ვ. ჩიჩერინს[406]

აქ დამნაშავეა ამხ. კარახანი.

არ იცის, რ ო გ ო რ კეთდება საბჭოთა რესპუბლიკაში:

---

* დოკუმენტის ზემო ნაწილში ვ. ი. ლენინმა დააწერა: „მომაგონეთ, რომ იყო მ ი წ ს ა ხ კ ო მ ი ს ცნობა შ ე ს რ უ ლ ე ბ ი ს შესახებ“[404]. რ ე დ

1) უნდა აიღოს პოლიტბიუროს ოქმის ამონაწერი,

2) ამის საფუძველზე აიღოს მცირე საბჭოს (ჩემი ხელმოწერით) ან სათანადო სახკომის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა,

3) შეუსრულებლობისათვის იჩივლოს ჩემთან 24 საათის შ ე მ დ ე გ ფორმალურად,

4) გაიმეოროს ეს მრავალჯერ.

გულუბრყვილოა, ვინც ეს არ იცის.

24/VI. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 24 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**620**

## გ. ე. ზინოვიევს

პეტროგრადის აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ზინოვიევს

სახელგანთქმული ფიზიოლოგი პავლოვი თხოულობს საზღვარგარეთ წასვლას მისი მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო. პავლოვის საზღვარგარეთ გაშვება არცთუ რაციონალური იქნება, რადგან იგი წინათ გამოთქვამდა იმ აზრს, რომ, არის რა გულმართალი ადამიანი, ვერ შეძლებს, თუ წარმოიშვა შესაბამისი საუბარი, არ გამოთქვას აზრი საბჭოთა ხელისუფლებისა და რუსეთში კომუნიზმის წინააღმდეგ.

ამავე დროს ეს მეცნიერი ისეთ დიდ კულტურულ ღირებულებას წარმოადგენს, რომ შეუძლებელია მისი ძალით დატოვება რუსეთში მატერიალური უზრუნველყოფის უქონლობის პირობებში.

ამის გამო, სასურველი იქნება, გამონაკლისის სახით, მიეცეს მას ნორმალურზე მეტი ულუფა და საერთოდ იზრუნოთ, რომ მას სხვებისაგან განსხვავებით ცოტად თუ ბევრად კომფორტული მოწყობილობა ჰქონდეს.

გამიგონია, რომ პეტროგრადის დასასვენებელ სახლებში იქ მყოფთათვის ცხოვრება ძალზე კეთილსასურველად არის მოწ-

ყობილი. რაღაც ამგვარი შეიძლება გაკეთდეს პროფესორ პავლოვისთვისაც მის ბინაში.

ამხ. ლუნაჩარსკი სათანადო წინადადებით მიმართავს ამხ. ბადაევს. თქვენც გთხოვთ მხარი დაუჭიროთ მას ამ საქმეში [407].

25/VI. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 25 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ვ. ი. ლენინის ხელმოწერილი მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტის მიხედვით

## 621

## ციმბირის საბჭოთა დაწესებულებებს

1920 წ. 26. VI.

გთხოვთ ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოთ ამის მომტანს, ამხანაგ ილია დანილის ძე

პ უ ტ ი ნ ც ე ვ ს

საბავშვო ბაღისა და სხვა ამგვარი დაწესებულებების მოსაწყობად მის საცხოვრებელ ადგილას, სემიპალატინსკის გუბერნია, პავლოდარის მაზრა.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 622

## ბარათი მდივანს [408]

შეამოწმეთ, რ ო დ ი ს მოვითხოვეთ*.

მიუთითეთ მათ, რომ შეუწყნარებელია საქმის გაჭიანურება. მოკლე პასუხი უნდა მოგვცენ ა ხ ლ ა ვ ე, ვადას გადავუ-

* იხ. შემდეგი დოკუმენტი. რ ე დ.

წევთ (მათ უნდა ითხოვონ: **რამდენი** დღით) მხოლოდ უფრო დაწვრილებითი მოხსენებისათვის.

მომეცით მათ საპასუხოდ გასაგზავნი დეპეშის ტექსტი.

დაწერილია 1920 წლის 28 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 623

## დეპეშა ა. ე. ბადაევს და განკარგულება დ. ი. კურსკის

პეტროგრადი
აღმასკომი, ბადაევს
პირი საგუბერნიო მიწგანს

ბოსტნეულის ჩამორთმევის შესახებ მასალების წარმოდგენის საკითხში თქვენ შეუწყნარებელი გაჭიანურება გამოიჩინეთ. პირველი ტელეფონოგრამა გადმოგეცათ 28 მაისს, მეორე— 22 ივნისს, და მხოლოდ მდივან ტრილისერის ხელმოწერილ 26 ივნისის დეპეშაზე მივიღეთ თქვენი პასუხი. მოკლე მოხსენება უნდა წარმოადგინოთ დაუყოვნებლივ. მაცნობეთ ზუსტად, რამდენი დღით არის საჭირო ვადის გადადება უფრო დაწვრილებითი მოხსენებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ დაუყოვნებლივ არ წარმოადგენთ მოკლე მოხსენებას და უმოკლეს ვადაში უფრო დაწვრილებითს, დამნაშავენი მიცემულ იქნებიან სასტიკ პასუხისგებაში.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირი ამხ. კურსკის: სასამართლო პასუხისგებაში მიეცით საქმის გაჭიანურებისათვის.

შესრულება მომახსენეთ*.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 29 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ლ. ა. ფოტიევას ხელით დაწერილი, ვ. ი. ლენინის შევსებული და ხელმოწერილი ტექსტის მიხედვით

* დეპეშის ტექსტი სიტყვებიდან „პირი ამხ. კურსკის" ბოლომდე დაწერილია ვ. ი. ლენინის ხელით. რე დ.

624

## ა. მ. ნიკოლაევს

1920 წ. 29. VI.

ამხ. ნიკოლაევ!

საჭიროა **საბოლოოდ** ვისარგებლოთ ამ ოქმით და სამუშაოში თქვენი ჩაბმით (როგორც იქნა ჩვენმა ჭირვეულმაც[409] გაიგო, რომ უსპეცოდ არ შეიძლება!), რათა **გადაჭრით** გარდავქმნათ მთელი საქმის ორგანიზაცია.

1) გულდასმით შეისწავლეთ ოქმი და გამოჰკითხეთ ელექტროსადგურის მექანიკოსს;

2) ამის საფუძველზე გადაწყვიტეთ ღირს თუ არა განვაგრძოთ ცდები;

3) თუ ღირს, თქვენი აზრით, შევადგინოთ წერილობითი ზუსტი კონსტიტუცია, რომელიც ყველა უფლებას მისცემს სპეცს (ესე იგი თქვენ)—ამასთან გარანტიას ვაძლევ გამომგონებელს, რომ საიდუმლოებას დავიცავთ.

და მაშინ დაიწყეთ მუშაობა სერიოზულად, ესე იგი მოიწვიეთ სპეცები მთელი რიგი დამხმარე სპეციალური დავალებებისათვის და ერთი სპეცი (თქვენ) მონაწილეობას მიიღებს ყველა საიდუმლოებაში.

სალამი! ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

625

## მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმს

ამასთან ერთად გიგზავნით ამონაწერს ბროშურიდან „საჭმლის მოხარშვა უცეცხლოდ“ (გვ. 43 № 1 „დიასახლისის პატარა ბიბლიოთეკა“, სმუს-ის გამომც., მოსკოვი, 1918 წელი)

და გთხოვთ მაცნობოთ შედეგები მოსკოვის საბჭოს სასურსათო განყოფილების მიერ გამოცხადებული კონკურსისა თერმოსებზე [410].

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1920 წლის 29 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ვ. ი. ლენინის ხელმოწერილი მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტის მიხედვით

## 626
## გ. კ. ორჯონიკიძეს

ალილუევას მეშვეობით

**ყველაფერი შიფრით და დაუყოვნებლივ**

ამხ. ორჯონიკიძეს

ზინოვიევი გადმოგცემთ ახლა დიდმნიშვნელოვან ინტერნაციონალურ დავალებას [411]. გარდა ამისა, მე გამოვარკვიე საქმე და ვხედავ, რომ ფრონტის საშუალებით და უმაღლესი ადგილობრივი პარტიული დაწესებულების საშუალებით თქვენ ინარჩუნებთ ყველა უფლებასა და რწმუნებას. ერთხელ კიდევ გთხოვთ, ნუ ნერვიულობთ და მოითმინეთ ცოტა.

გარდა ამისა, თქვენ გეკისრებათ აზერბაიჯანის მთელი საგარეო და საშინაო პოლიტიკის ხელმძღვანელობა და სპარსეთის, სომხეთისა და საქართველოს მიმართ ცეკას და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის დირექტივების შესრულებისადმი მეთვალყურეობა [412].

მიპასუხეთ.

ლენინი

დაწერილია 1920 წლის 29 ან 30 ივნისს

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

მთლიანად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 627

# რეზოლუცია ი. ნ. სმირნოვის წერილზე

ვლადიმერ ილიას ძევ!

გიგზავნით სრულიად ზუსტ, ჩვენი ხალხის მიერ ადგილზე შემოწმებულ ცნობებს ნავმისადგომებში დაწყობილი საზღვარგარეთ გასაგზავნი საქონლის შესახებ. მთელი საქონელი შეფუთულია და 2 კვირის შემდეგ წავა მდინარე ობის ყურეში.

ჩვენ ჩვენი გავაკეთეთ, მეშინია, რომ ამ საქონლის ღირებულება 2—3-ჯერ გადააჭარბებს იმას, რასაც შვეციიდან ჩამოგვიტანენ.

ძალა დაატანეთ საგარეო ვაჭრობის კომისარიატს, რომ მან გამოიყენოს ეს ჭარბი საქონელი.

სმირნოვი

კრასინს

1) დამიბრუნეთ თქვენი მოსაზრებითურთ.

2) ძალა დაატანეთ უაღრესად.

3) მომეცით **ლონისძიებათა** პირი [413].

ლენინი

დაწერილია 1920 წლის 3 და 13 ივლისს შუა

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 628

# დეპეშა გ. ე. ზინოვიევს

ჩაბარდეს მორიგე კომისარს
პეტროგრადი
ზინოვიევს

ამხანაგო ზინოვიევ! თეზისებს გიგზავნით ხვალ*, ორშაბათს. ისე გააკეთეთ, რომ დაუგვიანებლად მიიღოთ. უნდა შეუკვეთოთ კობეცკისა და ვოროვსკის ნორვეგიისა და შვეციის მემარცხენე

* ლაპარაკია „თეზისებზე კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესის ძირითადი ამოცანების შესახებ“ (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 31, გვ. 213—235). რ ე დ.

პარტიის „საქმიანი“ კრიტიკა აუცილებლად კონგრესისათვის[414]. უნდა იქონიოთ ზუსტი და სრული მასალა. თვით კონგრესზე თარგმანის საქმე წინასწარ უნდა მოაწყოთ: ისე უნდა დასხათ ყველანი ენის მიხედვით, რომ ერთბაშად და ერთდროულად უთარგმნონ გერმანელებსაც, ფრანგებსაც, ინგლისელებსაც. მაშინ დრო შემცირდება. რუსული, ალბათ, საჭირო იქნება, რადგან, ცხადია, მოითხოვენ სხდომას თეატრებში: სალამი!

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 4 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება ტელეგრაფის ბლანკის ტექსტის მიხედვით

**629**

## გ. ე. ზინოვიევს

**1**

კარგი იქნება გერმანულად (და სხვა ენებზე) გამოიცეს ჩემი წიგნი ი მ პ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი ს შესახებ, რადგან მუდამ დ გ ა ს ძირითადი საკითხი*.

თქვენი აზრი?

თუ დადებითია, ვ ი ს დავავალოთ?

**2**

მინდა დავწერო ახალი წინასიტყვაობა.

როდის არის **საბოლოო** ვადა?

* იგულისხმება ვ. ი. ლენინის წიგნი „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 22, გვ. 229—384). რ ე დ.

3

დასვით 1 — 2 პრივატ-დოცენტი, რომ საუკეთესო ბიბლიოთეკებში მონახონ წყაროები.

**იპოვიან**[415].

დაწერილია 1920 წლის 6 ივლისზე ადრე

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

### 630

## გ. ე. ზინოვიევს

ამხ. ზინოვიევ!

გიგზავნი „იმპერიალიზმის" წინასიტყვაობას*.

გაეცით განკარგულება, თუ შეიძლება, კიდევ დ ა მ ა ტ ე ბ ი ს სახით გადაბეჭდონ 1912 წლის ბ ა ზ ე ლ ი ს მ ა ნ ი ფ ე ს ტ ი (გერმანული ტექსტის ნახვა ძნელი არ არის: თქვენ ხომ გაქვთ გრინბერგის „არქივი" და ა. შ.)

თქვენი თეზისები საბჭოებისა და მათი შექმნის პირობების შესახებ მივიღე, მაგრამ ჯერ მხოლოდ თვალი გადავავლე. არ ვარ წინააღმდეგი.

7/VII. სალამი! ლ ე ნ ი ნ ი

როგორ არის კონგრესზე ჩემი სიტყვებისა და მოხსენებების საქმე?[416] საჭიროა თუ არა მომზადდეს გერმანულად ან ფრანგულად? ვფიქრობ, შესავალი (და სხვები) გაკეთდეს რ უ ს უ ლ ა დ (რადგან, თითქმის დანამდვილებით, იქნება თეატრებში რუსული საზოგადოება.) გადათარგმნიან. და, რახან არის თეზისები, მათ დავიმოწმებ და ვილაპარაკებ არქიმოკლედ. თქვენი აზრი? (აგრარული მარხლევსკიზეა; ჩემზეა ეროვნული და შესავალი, მარტო ეს?)

დაწერილია 1920 წლის 7 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 22, გვ. 283—240. რ ე დ.

631

## ა. მ. ნიკოლაევს

ამხ. ნიკოლაევ! მივიღე თქვენი 7/VII წერილი.

ძალიან მიხარია, რომ ახლა სწორად დაიწყეთ.

გირჩევთ (1) უფრო ოფიციალურად და მტკიცედ მოითხოვოთ, რომ ა ხ ლ ა ვ ე გაგიმჟღავნონ **ყველა** საიდუმლოება.

(2) დანადგარი გააკეთონ, თუ შეიძლება, განსაკუთრებულ ხის სადგარებზე, რომ შეიძლებოდეს უცბად გადმოღება ვაგონიდან (უკეთესია, იქნებ, ვაგონი კი არ ავიღოთ, არამედ ბაქანი) და გადატანა სატვირთო მანქანაზე, **მიწაზე** და სხვ. (რადგან გამომგონებელს, მისი თქმით, ეს წარმატებითი ცდა ვაგონში არ გაუკეთებია).

(3) თუ მიიჩნევთ, რომ „ჩიტი ბდღვნად.ღირს", ნუ დაიშურებთ ფულსა და ადამიანებს სამუშაოთა **დასაჩქარებლად**.

სალამი! ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია არა უადრეს
1920 წლის 7 ივლისისა

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

632

## მ. მ. გრუზენბერგს

ამხ. გრუზენბერგ!

ამხ. მერფიმ მითხრა, რომ თ ე ზ ი ს ე ბ ი ს თარგმანში არის ენობრივი დამახინჯებანი.

უნდა იკისროთ (ან დაუყოვნებლივ შექმნათ ჯ გ უ ფ ი დასახმარებლად) ყ ვ ე ლ ა თეზისის თარგმანის კარგი რედაქცია. მოეთათბირეთ ამის შესახებ ინგლისელებს.

ვაინკოპის შესახებ: მისი განცხადება (ვ ა ი ნ კ ო პ ი ს მი-ე რ ინგლისურად დაწერილი) გავუგზავნე რადეკს. კარგი ინ-გლისურია თუ არა, არ ვიცი. **გამოართვით რადეკს ყველაფე-რი, რაც გავუგზავნე** (თუ საჭირო იქნა, გაუგზავნეთ ეს წერილი რადეკს) და შეამოწმეთ, თუ შეიძლება, კარგია თუ არა ინგ-ლისური. (განცხადების შინაარსი: რომ ჰოლანდიის პ ა რ ტ ი ა პასუხს არ აგებს „მემარცხენეობისათვის", რომ ეს **ზოგიერთი** ჰოლანდიელის ს ა ქ მ ე ა ო.)

(დაბეჭდეთ მხოლოდ ეს განცხადება და ჩემი განცხადება, რომ შესწორებები შემაქვს ტექსტში[417].)

ინგლისური თარგმანების ხარისხის შესახებ თქვენ უნდა იზრუნოთ უაღრესად და შექმნათ პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ე ლ ინგლისელთა ჯგუფი (მათი **წერილობითი** პასუხისმგებლობით), თორემ ჩვენ დაგვაბრალებენ (და თქვენც).

8/VII. სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 8 ივლისს

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით 1960 წელს ჟურნალში „ვოპროსი ისტორიი კპსს" № 3

მთლიანად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**633**

## ჯანსახკომს [418]

ჩემთან არსებული ცნობებით თქვენ გაქვთ გამოუყენებელი ფირი ფოტოკინემატოგრაფიული სამუშაოსათვის.

განსახკომის ფოტოკინემატოგრაფიული განყოფილების მწვავე საჭიროებისა და მთელ რიგ სასწრაფო სამუშაოთა გამო, რომლებსაც დიდი სააგიტაციო მნიშვნელობა აქვს,

გთხოვთ გადასცეთ თუნდაც ნაწილი თქვენი მარაგისა განსახკომის ფოტოკინემატოგრაფიულ განყოფილებას*.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1920 წლის 8 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ვ. ი. ლენინის ხელმოწერილი მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტის მიხედვით

## 634

## რკპ (ბ) ცკ-ის პოლიტბიუროს წევრებს

პოლიტბიუროს ყველა წევრს:

წინადადება შემომაქვს მიეცეს კრასინსა და მთელ დელეგაციას დირექტივა:

„იყავით უფრო მტკიცე და არ შეუშინდეთ მოლაპარაკების დროებით შეწყვეტას“[419].

9/VII. ლენინი

დაწერილია 1920 წლის 9 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 635

## ლ. ბ. კამენევსა და გ. ვ. ჩიჩერინს

**კამენევსა და**
**ჩიჩერინს**

ამხ. კამენევის გეგმა ძირიან-ფესვიანად არასწორია[420]. ინგლისთან მ ხ ო ლ ო დ სავაჭრო საქმე. ჩიჩერინი მართალი

* დოკუმენტზე არის ლ. ა. ფოტიევას მინაწერი: „ვ. ი.-ს დავალებით გთხოვთ გვაცნობოთ შესრულება. ლ. ფ ო ტ ი ე ვ ა“. რ ე დ.

არ არის. ინგლისში უნდა გაიგზავნოს მ ხ ო ლ ო დ „ვაჭარი“: იძლევიან $2^1/_4$ კაპიკად, შეევაჭრე $1^3/_4$ კაპიკად.

მხილება აქ მავნეა. ეს 1918 წელი როდია. ამისათვის არის კომინტერნი. კამენევის ყველა მოსაზრება = მოსაზრებებს მისი გამგზავრების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.

10/VII. ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ჯერ დავნიშნოთ კრასინი, ვოროვსკი და კიდევ 2 — 3 თანაშემწე[421].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
10 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**636**

## ჩანაწერები და რეზოლუცია ი. ნ. სმირნოვის დეპეშაზე

მოსკოვი, კ რ ე მ ლ ი, ლ ე ნ ი ნ ს, პირი სურსათის სახალხო კომისარიატი, ც ი უ რ უ პ ა ს

ომსკი, 9 ივლისი. ალტაისა და ტომსკის გუბერნიების ნახევარს მოედო კულაკური მოძრაობა, რომელსაც ვახშობთ შეიარაღებული ძალით. აჯანყების მიზეზია უსაქონლობა. აჯანყებულ კულაკებს ვართმევთ პურს, რომელიც მთლიანად არ არის გალეწილი. საჭიროა სასწრაფოდ გამოიგზავნოს აქ მუშახელი გალეწვისა და დატვირთვისათვის; თუ მუშებს არ გამოგზავნით, პურს ვერ წამოვიღებთ. ახლავე საჭიროა მინიმუმ 7 ათასი მარტო ალტაის გუბერნიისათვის. თუ დაიგვიანეთ, მომენტს ხელიდან გავუშვებთ. გამოარკვიეთ შესაძლებლობა და მაცნობეთ; თუ თქვენ არ შეგიძლიათ გამოგზავნოთ, ჩვენ ახლავე გავაუქმებთ ბრძანებას კონფისკაციის შესახებ, რადგან გაულეწავ და დაუცველ პურს კულაკები დაწვავენ.

ციმბირის რევკომის თავმჯდომარე ს მ ი რ ნ ო ვ ი

მოვითხოვ: დაეხმარეთ მთელი ძალებით. ცეკას დირექტივაა: დააჩქარეთ ყოველნაირად. ხალხს ვგზავნით.

მაგრამ გართმევთ ხელს და გითვლით საუკეთესო სურვილებს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაიგზავნა ლონდონში

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 640

## მცირე სახკომსაბჭოს

უარი ვთქვი ხელი მომეწერა, რადგან გაკრულად და გაურკვევლად არის დაწერილი.

წინადადება შემომაქვს გადააკეთოთ უფრო ზუსტად (სახელდობრ რა, უ ფ რ ო  კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ა დ  რას ნიშნავს „ქ ს ე ლ შ ი ალება?") და ინსტრუქციასთან ე რ თ ა დ შეიტანეთ მეორედ [425].

15/VII. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 15 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 641

## ტელეფონოგრამა ლ. ბ. კამენევს

კ ა მ ე ნ ე ვ ს

1. უაღრესად დიდი ყურადღება უნდა მიაქციოთ იმას, რომ შეაგროვოთ იმის დამამტკიცებელი ინგლისური ლიტერატურა, რომ ინგლისის ბურჟუაზიისათვის უფრო ხელსაყრელია სავაჭრო შეთანხმებანი საბჭოთა რესპუბლიკებთან, ვიდრე უშემოსავლო და გამაჩანაგებელი ცდებიც კი დათრგუნოს ისინი. უნდა შეაგროვოთ ასეთი ლიტერატურა ჩვენთვის და, გარდა ამისა, განიხილოთ მცოდნე ადამიანებთან, საჭირო ხომ არ არის დამატებით დავიქირაოთ თავისებური ლიტერატურუ-

ლი ბიურო ან აგენტურა ამგვარი ბროშურების გამოსაცემად, მოხსენებების წასაკითხავად, მათ დასარიგებლად და ა. შ. თქვენ, რა თქმა უნდა, იცით, ვის უნდა მოეთათბიროთ ამის შესახებ პირველ რიგში.

2. განსაკუთრებულ ადამიანთა მეშვეობით უნდა მოაწყოთ უახლესი ეკონომიკის საკითხებზე ხუთ-ხუთ ეგზემპლარად წიგნების, სტატიების, ბროშურების, გაზეთების ამონაჭრების, განსაკუთრებით ინგლისურ ენაზე, აგრეთვე სხვა ენებზეც, სისტემატური შეგროვება, შესყიდვა, ფულის დაუშურებლად, და ჩვენთვის გამოგზავნა. ნიმუშად გამოდგება კეინსის წიგნი „მშვიდობის ეკონომიური შედეგები". აი ამგვარი გამოცემები უნდა შეაგროვოთ სისტემატურად.

3. იგივე, მაგრამ განსაკუთრებულ ადამიანთა მეშვეობით გააკეთეთ იმისათვის, რომ შეაგროვოთ და გამოგვიგზავნოთ 20 ეგზემპლარად ყოველგვარი პერიოდული გამოცემა, განსაკუთრებით ბროშურები და ოქმები შემდეგი 4 მიმართულების: 1 — კომუნისტური, 2 — ცენტრისა (როგორც, მაგალითად, დამოუკიდებელი პარტია ინგლისში), 3 — ანარქისტული ან მასთან ახლო მდგომი, 4 — სინდიკალისტური და ა. შ.

4. ყველაფერი ეს უნდა მოეწყოს სწორად ნოტარიალური ხელშეკრულებით, აუცილებლად ისეთი პირის მეშვეობით, რომელიც უნდა იყოს ინგლისის მოქალაქე და არ იყოს კომუნისტი.

5. პირადად მე გთხოვთ გამომიგზავნოთ: 1 — კარგი უახლესი ცნობარები და ნაკრები სტატისტიკური გამოცემები, გეოგრაფიული, პოლიტიკური და ეკონომიური, განსაკუთრებით ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, რომლებიც უფრო ადვილი საშოვნელია ლონდონში, და 2—ორი კარგი თერმოსი.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1920 წლის 17 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით

ციურუპას, შმიდტს (შრომის სახალხო კომისარი) და შრომის მთავარ კომიტეტს:

გაგზავნეთ ახლავე, არქისაჩქაროდ, დააწექით მთელი ძალებით.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
11 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**687**

## ე. მ. სკლიანსკის

ამხ. სკლიანსკი!

გთხოვთ დამიბრუნოთ ეს [422] თქვენი შენიშვნებით, რ ა შ ე ს რ უ ლ დ ა უ კ ვ ე, **სახელდობრ როდის** რა სრულდება.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
11 და 15 ივლისს შუა

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**688**

## ე. მ. სკლიანსკის

ამხ. სკლიანსკი! საერთაშორისო ვითარება, განსაკუთრებით კერზონის წინადადება (ყირიმის ანექსია პოლონეთთან დაზავების სანაცვლოდ, გროდნო—ბელოსტოკის ხაზი) [423], მოითხოვს პოლონეთზე შეტევის **გააფთრებულ** დაჩქარებას.

კეთდება თუ არა? ყველაფერი? ენერგიულად?

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
12 ან 13 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 642

## რკპ (ბ) ცკ-თან არსებულ პოლონეთის ბიუროს

1920 წ. 28. VII.

რეკომენდაციას ვაძლევ ამის მომტანს, ამხ. ივანე ლუკას ძე პ რ ო მ ი ნ ს კ ი ს,

პოლონელ მუშას, სოციალ-დემოკრატს 1894 წლიდან.

კარგად ვიცნობ მას 1897 — 1900 წლების გადასახლებიდან. გთხოვთ აღმოუჩინოთ მას ნდობა და დახმარება.

რკპ ცკ-ის წევრი ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 643

## შრომისა და თავდაცვის საბჭოს წევრებს

პოლონელებისათვის ზავის შეთავაზება საბაბს გვაძლევს უფრო სისტემატურად გამოვიყენოთ ჯარები, რომლებიც დანიშნული არიან კავკასიის ფრონტიდან დასავლეთის ფრონტზე წასასვლელად. ამიტომ თავდაცვის საბჭოს წინადადებას ვაძლევ შეიმუშაოს შემდეგი დადგენილება:

1. კავკასიის ფრონტის ჯარებმა ფეხით გაიარონ მთელი უკრაინა და ისე გაიანგარიშონ მარშრუტი, რომ **თითოეულ** თემში (უკრაინის დაახლოებით 1900 თემიდან) შევიდეს **ორჯერ**, დროის გარკვეული მონაკვეთის შემდეგ, ჯერ ცხენოსანთა, შემდეგ ქვეითი ნაწილი შემდეგი ამოცანების შესასრულებლად (და შემდეგ შესრულების **შესამოწმებლად**):

(ა) სურსათის შეგროვება (გაწერით);

ბ) ადგილზე, ესე იგი ყოველ სოფელში, ადგილობრივ გლეხთა დაცვით და მათი პასუხისმგებლობით შედგენა სურსათის **ორმაგი** (გაწერასთან შედარებით) მარაგისა (ბეღელში, მღვდლის, მემამულის, ბობოლას სახლში შენახული და ა. შ.).

ამ ორმაგი მარაგის დანიშნულება ის არის, რომ იყოს **საქონელგაცვლის** ფონდი: ამ მარაგიდან გლეხებს პური უნდა გამოართვან მას **შემდეგ**, რაც ადგილობრივ გლეხებს მისცემენ საქონელს, რუსულს და საზღვარგარეთულს, ადგილობრივ გლეხებთან **შეთანხმებით;**

(გ) „პასუხისმგებელ" გლეხთა (ადგილობრივი ბობოლებიდან; ზემოდან, ესე იგი ყველაზე მეტი სიმდიდრის კვალობაზე, გამოიყოფა 5 — 20% და ა. შ. მეურნე ყოველ სოფელზე, მისი სიდიდის მიხედვით) სიის შედგენა (და შემოწმება).

„პასუხისმგებელი" გლეხები **პირადად** აგებენ პასუხს ხელისუფლების სასურსათო და სხვა დავალებათა შესრულებისათვის.

ჯარის წასვლის შემდეგ ადგილობრივი ხელისუფლების სპეციალური ამოცანაა (ამ ამოცანის შეუსრულებლობისათვის— დახვრეტა) სიის წესიერად წარმოება და შენახვა;

(დ) ბობოლა გლეხების განიარაღება.

იარაღის მთლიანად შეგროვება. პასუხისმგებლობა მოუნახავი იარაღისათვის ეკისრება ჯარის ნაწილის უფროსს; წარუდგენელი იარაღისათვის იმას, ვისაც უპოვნიან (დახვრეტა), და „პასუხისმგებელ" გლეხთა მთელ ჯგუფს (ჯარიმა, მაგრამ ფულით კი არა, პურით და ნივთებით; ქონების კონფისკაცია, დაპატიმრება; მაღაროებში მუშაობა);

(ე) დახმარება ყანების დათესვაში, სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეკეთებაში და სხვ. საჭირო სამუშაოებში (საწყობების დაცვა ან დაცვის შემოწმება, რკინიგზის სამუშაოები და ა. შ.) (მარილის საწყობების დაცვა და ა. შ.).

2. აღნიშნული მიზნებისათვის ყოველ ჯარის ნაწილს დაემატოს (მის კომუნისტურ უჯრედს) კომისარი ან ინსტრუქტორი (1000 კაცის შეკრება, თუ საჭიროა, პეტროგრადის, მოსკოვის, ივანოვო-ვოზნესენსკის მუშებისა აღნიშნული ამოცანების შესრულების ხელმძღვანელობისათვის.

## 639

# თ. ა. როტშტეინს

15/VII. 1920.

ძვირფასო ამხანაგო! დიდი მადლობა წერილებისათვის, რომლებიც ყოველთვის ძალზე მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევიან. ამასთან გიგზავნით ჩემი მეუღლის წერილს და გთხოვთ გადასცეთ სალამი თქვენს მეუღლესა და ოჯახს, რომელსაც შევხვდი თქვენთან ლონდონში.

რუსეთში თქვენი ჩამოსვლის შესახებ ვყოყმანობ. ძალიან საჭირო ხართ საქმისათვის ლონდონში. დაე გამოგგზავნონ: ვნახოთ, გაბედავენ თუ არა. ხომ უნდა დაგიჭირონ რამეზე, თორემ სკანდალი მოხდება. მე წინააღმდეგი არა ვარ ჩამოხვიდეთ რუსეთის „სანახავად", მაგრამ მეშინია, რომ ინგლისის დატოვება საზიანო იქნება საქმისათვის.

დელეგაციის შესახებ ყოველმხრივ განვიხილავთ ამ დღეებში. ასევე პასუხს კერზონისადმი[424], რომელსაც, ჩემი აზრით, სურს უხეშად მოგვატყუოს. ვერაფერს გახდება.

თქვენთვის ლიტერატურის გამოგზავნის შესახებ მივიღე განსაკუთრებული ზომები. უნდა იცოდეთ, რომ რუსები 20-ჯერ უნდა გალანძღოთ და 30-ჯერ შეამოწმოთ, რომ უმარტივესი რამ ხეირიანად გააკეთონ. თვალყური ადევნეთ და მიმართეთ უფრო ხშირად (თუნდაც ზოგჯერ მეც) — მაშინ ყოველ ღონეს ვიხმარ, რათა უფრო აკურატულად მიიღოთ ის, რასაც გაძლევენ.

ვფიქრობ, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თქვენი ხელმძღვანელი მონაწილეობა (ეს შესაძლებელია კალმით და საიდუმლოდ) ანგლოსაქსურ მოძრაობაში. აქ ხაზის გასწორებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. თქვენ მიიღებთ ჩემს ბროშურას „მემარცხენეების"* წინააღმდეგ და რეზოლუციებს (პროექტებს) III ინტერნაციონალის II ყრილობისათვის, და ძალიან მინდა ვიცოდე თქვენი აზრი.

* ლაპარაკია ვ. ი. ლენინის წიგნზე „„მემარცხენეობის" საყმაწვილო სენი კომუნიზმში" (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 31, გვ. 1—131). რ ე დ.

3. „ჯიუტ“ თემებში ან სოფლებში ჯარის ნაწილები ან აწყობენ „მესამე მისვლას“ (ჯარად), ან რჩებიან სადგომად უფრო მეტხანს (2 კვირამდე) დასასჯელად და გამოსასწორებლად.

4. ამ დადგენილებათა ნაწილი გაატარეთ თავდაცვის საბჭოში, ნაწილი უკრაინის შრომის არმიის საბჭოსა და სახკომსაბჭოში.

5. გამოიცეს არქიპოპულარული ფურცელი გლეხებისათვის, საერთოდ საქმის განსამარტავად და **საზღვარგარეთულ საქონელზე საქონლის გასაცვლელი სათადარიგო მაღაზიებისათვის** განსაკუთრებით.

შეიქმნას ახლავე კომისია ასეთი ფურცლის და მთელი რიგი ფურცლების, აგრეთვე მთელი რიგი ინსტრუქციების გამოსაცემად.

ამ წინადადებათა შესამუშავებლად ახლავე შეიქმნას კომისია ამხ. ამხ. ბრიუხანოვისა და სკლიანსკის შემადგენლობით. კომისიას თავმჯდომარეობა ეთხოვოს ამხ. სტალინს.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1920 წლის
ივლისის დამლევს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**644**

## დეპეშა ი. ნ. სმირნოვს

შიფრით

პირდაპირი მავთულით

ციმბირის რევკომის თავმჯდომარეს სმირნოვს
ომსკი

მთავარსარდალმა ციმბირიდან მოითხოვა ვაზნები და შაშხანები. ეს მოთხოვნა დაუყოვნებლივ, სრულიად შეუფერხებ-

ლად უნდა შესრულდეს. ისე გაიგზავნოს, რომ მიეიდეს მაქსიმალური სისწრაფით. გამოარკვიეთ, თუ შეიძლება ამ საგნების მეტი რაოდენობით მიცემა, მიეცით. თვალყური ადევნეთ შესრულებას.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
2 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ე. მ. სკლიანსკის ხელით
დაწერილი ტექსტის
მიხედვით

**645**

## დეპეშა ი. ბ. სტალინს [426]

შიფრით

**ს ტ ა ლ ი ნ ს:**

კარგად არ მესმის, რატომ ხართ უკმაყოფილო ფრონტების გაყოფით. შემატყობინეთ თქვენი მოტივები. მე მეგონა, ეს საჭიროა, რაკი ვრანგელის საფრთხე იზრდება. მოადგილის თაობაზე მაცნობეთ თქვენი აზრი კანდიდატის შესახებ. აგრეთვე გთხოვთ მაცნობოთ, რა დაპირებების შესრულებას აგვიანებს მთავარსარდალი. ჩვენი დიპლომატია ექვემდებარება ცეკას და არასოდეს არ ჩაშლის ჩვენს წარმატებებს, თუ ვრანგელის საფრთხემ არ გამოიწვია მერყეობა ცეკას შიგნით. ყუბანიდან და დონის ოლქიდან ვიღებთ საგანგაშო, ზოგჯერ სასოწარკვეთილ დეპეშებს აჯანყებულთა მოძრაობის საშიში ზრდის შესახებ. მოითხოვენ ვრანგელის ლიკვიდაციის დაჩქარებას.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 3 აგვისტოს
გაგზავნილია ლოზოვაიაში

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

### 646

## ი. ტ. სმილგას და მ. ნ. ტუხაჩევსკის

1920 წ. 3. VIII. შ ი ფ რ ი თ
პ ი რ დ ა პ ი რ ი მ ა ვ თ უ ლ ი თ

ამხ. სმილგას
და ამხ. ტუხაჩევსკის

საჭიროა მიიღოთ ყველა ზომა, რომ პოლონეთში გაავრცელოთ პოლონეთის რევკომის მანიფესტი რაც შეიძლება ფართოდ. ამისათვის გამოიყენეთ ჩვენი ავიაცია. მაცნობეთ, რა გააკეთეთ.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ე. მ. სკლიანსკის ხელით დაწერილი ტექსტის მიხედვით

### 647

## ლ. ბ. კამენევს

უნდა უთხრათ (საზღვრის შესახებ) მივცემთ მ ე ტ ს (ხაზი იქნება უ ფ რ ო ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი თ)[427],

მაგრამ **არ** უთხრათ: **„გ ა ც ი ლ ე ბ ი თ"** მეტი, **გაცილებით** უფრო აღმოსავლეთით.

დაწერილია არა უგვიანეს 1920 წლის 5 აგვისტოსი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

### 648

## დეპეშა ი. ბ. სტალინს

**სტალინს**

ბოდიშს ვიხდი პასუხის დაგვიანებისათვის, რაც გამოიწვია კომინტერნის მუშაობის დამთავრებამ. ცეკას პლენუმს არ მიუ-

ლია არავითარი გადაწყვეტილება*, რომელიც შეცვლიდა დადგენილ პოლიტიკას. ინგლისი ომით იმუქრება, არ სურს გველოდოს ორშაბათს 9 აგვისტოს შემდეგ. მაინცდამაინც არ მჯერა მუქარისა. კამენევიც ლონდონში ჯერჯერობით მაგრად დგას, და დარწმუნებული ვარ, თქვენი წარმატებები ვრანგელის წინააღმდეგ დაგვეხმარება აღმოვფხვრათ მერყეობა ცეკაში. საერთოდ კი ჯერ ბევრი რამ დამოკიდებულია ვარშავასა და მის ბედზე**.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
7 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**649**

## დეპეშა ი. ტ. სმილგას, ფ. ე. ძერჟინსკისა და ი. ი. მარხლევსკის

შიფრით

სმილგას
ძერჟინსკის
მარხლევსკის

თქვენი ცნობები მეტისმეტად ლაკონიურია. საჭიროა და უაღრესად სასწრაფოდ დაწვრილებითი ცნობები მოჯამაგირეებისა და ვარშაველი მუშების განწყობილების შესახებ, ისევე როგორც საერთოდ პოლიტიკური პერსპექტივების შესახებ. ძალიან გთხოვთ მიპასუხოთ შესაძლებლობისდაგვარად დღესვე.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
9 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

* დეპეშის შემდგომი ტექსტი ვ. ი. ლენინმა შემოხაზა და მინდორზე დააწერა: „შიფრი". რ ე დ.

** იხ. აგრეთვე ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 31, გვ. 318. რ ე დ.

## 650

## პეტროგრადის საბჭოს

1920 წ. 10. VIII.

გთხოვთ გამოსცეთ ატლასი,
**მსგავსად** წიგნისა

„რუსეთის რკინიგზები“ (ა. ილინის კარტოგრაფიული საწარმოს გამოცემა. პეტროგრადი, 1918 წლის 1 სექტემბერი),

1) ესე იგი მცირე ფორმატის ერთ წიგნად;
2) რუკები წიგნის 2 გვერდზე თუ შესაძლებელია ფურცლების **მოუკეცავად;**
3) ყოველ რუკაზე გუბერნიების **ახალი** საზღვრები (ისეთივე ფერებით თითოეული გუბერნიისათვის, როგორც ილინსა აქვს). **ყველა** სამაზრო ქალაქი;
4) რკინიგზები თ ი თ ო ე უ ლ ი სადგურის აღნიშვნით;
5) **ახალი** სახელმწიფო საზღვრები;
6) განსაკუთრებით: ოლქები და ტერიტორიები, რომლებიც ყოფილ რუსეთის იმპერიას ჩამოშორდა (განსაკუთრებულ რუკაზე);
7) დაურთეთ **რამდენიმე** ისტორიული რუკა **ფრონტების ხაზის** (სამოქალაქო ომის) აღნიშვნით 1917—1920 წლების სხვადასხვა პერიოდში.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 651

## დეპეშა ა. გ. ბელობოროდოვს

1920 წ. 10. VIII.

დონის როსტოვი
ან ადგილსამყოფელის მიხედვით
არმავირი და ა. შ.
კავკასიის შრომის არმიის საბჭო
ბელობოროდოვს

**შ ი ფ რ ი თ**

გთხოვთ მაცნობოთ ტელეგრაფით, როგორ არის აჯანყების საქმე კავკასიასა და ყუბანში, ძლიერდება თუ სუსტდება,

მიღებულია თუ არა ყველა ზომა, შესამჩნევია თუ არა ახალი ჯარების მოსვლა, საკმარისი არიან თუ არა ისინი და სხვა დაწვრილებითი ცნობები[428].

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

652

## დეპეშა ჯ. ჯ. დანიშევსკის*

დანიშევსკის

ჩიჩერინისაგან შეიტყობთ ჩვენს დიდ დიპლომატიურ წარმატებას ინგლისში პოლონეთის გამო. იმედი მაქვს, თქვენ სავსებით შეძლებთ გაითვალისწინოთ ეს და პირობებში ჭკვიანურად შეიტანოთ ვარშავასაც, როგორც ჩვენ მოვილაპარაკეთ, და ყოველივე სხვა რამის უმტკიცესად უზრუნველყოფას.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 11 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით 1934 წელს წიგნში: კ. დანიშევსკი, ს. კამენევი. „მოგონებები ლენინზე", მოსკოვი

მთლიანად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

653

## ნ. ნ. კრესტინსკის

1920 წ. 11. VIII.

ამხ. კრესტინსკის

ამხანაგი შაპოვალოვი (ალექსანდრე ისიდორეს ძე) ძველი პარტიული ამხანაგია. პიტერელი მუშაა.

* გადაცემულია პირდაპირი მავთულით შიფრით. რ ე დ.

მე მას კარგად ვიცნობდი პარტიიდან, ჯერ კიდევ საზღვარგარეთ, სადაც ყოველთვის უზომოდ ბევრს მუშაობდა.

ახლა ავად არის. ძალიან სჭირდება კვება.

ხომ არ შეიძლება მოაწყოთ კრემლის სასადილოში? ძალიან გთხოვთ ამას და ულუფას (გაძლიერებულს) მისთვის და ყოველგვარ დახმარებას.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 654

## ნ. ნ. კრესტინსკის [429]

1920 წ. 11. VIII.

ამხ. კრესტინსკი!

მთელ რიგ საკითხებზე ამხანაგ ლ ა უ ს, რუსეთში ჩინელი მუშების კავშირის თავმჯდომარეს, სჭირდება თქვენთან მოლაპარაკება. ძალიან გთხოვთ მისცეთ მას ამის შესაძლებლობა.

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 655

## მცირე სახკომსაბჭოს [430]

მ ც ი რ ე ს ა ბ ჭ ო ს:

გთხოვთ განიხილოთ თხოვნა (§ ბ ორგბიუროში ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ). უნდა დააკმაყოფილოთ გ ა რ კ ვ ე უ ლ ნ ა წ ი ლ შ ი, რადგან ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ სხვა ამოცანებზე **უფრო მნიშვნელოვანია.**

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია არა უადრეს
1920 წლის 1 აგვისტოსი

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

656

## დ. ი. კურსკის

ამხ. კურსკი!

ვინ გამოსცა ეს ასე ცუდად?[431]

ქაოსია. სათაურიც კი გაურკვეველია.

ნაკრებია წვრილმანებისაც და პროკლამაციებისაც.

უჭკუო კაცი ან მესაბოტაჟე რედაქტორობდა?

უნდა გამოიცეს უ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ე ს ი **მოქმედი** (ახლა, 1920) კანონები ასეთივე ტომად.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია არა უგვიანეს
1920 წლის 12 აგვისტოისა

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

657

## ე. მ. სკლიანსკის

ხომ არ უნდა მივუთითოთ სმილგას, რომ საჭიროა (პურის აღების შემდეგ) წავიყვანოთ ჯარში უ კ ლ ე ბ ლ ი ვ **ყველა** მოზრდილი მამაკაცი.

საჭიროა.

რადგან ბუდიონი სამხრეთშია, უნდა გ ა ვ ა ძ ლ ი ე რ ო თ ჩრდილოეთი.

დაწერილია 1920 წლის
12 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

658

## ნ. ნ. კრესტინსკის[432]

ამხ. კრესტინსკი!

ხომ არ შეიძლება მაინც შევამოწმოთ **მკაცრი** კომისიის **სა**შუალებით? ვოზნესენსკი საქმიანად მუშაობდა.

ხომ არ არის მისი მოცილება შეცდომა? პირადული? კინკლაობის შედეგი?

12/8. 1920. ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**659**

## დეპეშა გ. ე. ზინოვიევს

პეტროგრადი, სმოლნი
ზინოვიევს

კრჟიჟანოვსკი იტყობინება: პეტროგრადის მხარის ალექსანდრეს პროსპექტის 15 სახლის ღარიბთა სახლის კომიტეტის თავმჯდომარე ემუქრება ჩხრეკით და ქონების ჩამორთმევით პროფესორ ჰენრიხ ოსიპის ძე გრაფტიოს, რომელსაც უკავია ბინა 3.

გრაფტიო დამსახურებული პროფესორია, ჩვენი კაცია. უნდა დავიცვათ იგი ღარიბთა სახლის კომიტეტის თავმჯდომარის თვითნებობისაგან. გთხოვთ მაცნობოთ შესრულება.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 13 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება ლ. ა. ფოტიევას ხელით დაწერილი ვ. ი. ლენინის ხელმოწერილი ტექსტის მიხედვით

**660**

## წერილი გ. ვ. ჩიჩერინს და დეპეშა ლ. ბ. კამენევს

1920 წ. 14. VIII.

ამხ. ჩიჩერინ!

იმედი მაქვს, მთლიანად აცნობებთ კამენევს ყ ვ ე ლ ა ფაქტს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ საფრანგეთი და დამინსკი ფ უ შ ა ვ ე ნ **შეხვედრას** მინსკში? [433]

ეს საჭიროა. უაღრესად და უაღრესად.

დანიშევსკის უნდა აცნობოთ, რომ დაიწყოს **საზეიმო** განცხადებით

(ა) დამოუკიდებლობისა და სუვერენობის

(ბ) კერზონზე **მეტი** საზღვრების შესახებ [434]

(გ) არავითარი კონტრიბუცია. ხომ ასეა?

კამენევის თხოვნის პასუხად გიგზავნით დასაშიფრავად:

კამენევს შიფრით

მთელი საქმე, ჩემი აზრით, ის არის, რომ საფრანგეთი და დაშინსკი ფუშავენ თვით შეხვედრას მინსკში, ჩაშლიან, ალბათ, დაზავებასაც. იმედია, ინგლისი ვერ იომებს, ხოლო უმისოდ ყველაფერი ეცემა. პოლონეთიდან ცნობები თითქმის არ არის. ცოტა რამ არსებული ადასტურებს ჩვენ მიერ ცეკას პლენუმზე მიღებულ გადაწყვეტილებას: უაღრესი სიფხიზლე, და ჩვენ უნდა მოვიგოთ ეს კამპანია. მუშები რომ გამოვაცოცხლოთ — ეს უკვე ცოტა მოგება როდია. **ლენინი**.

კომ. სალმით **ლენინი**

P. S. ინგლისი ცდილობს დაამტკიცოს, რომ **ჩვენ** ვშლით შეხვედრას. **ყველა** დოკუმენტი სასწრაფოდ უნდა გაუგზავნოთ კამენევს.

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**661**

## ე. მ. სკლიანსკის

მთავარსარდალს უფლება არა აქვს ინერვიულოს. თუ **სამხედრო** უწყება ან მთავარსარდალი **უარს არ ამბობენ** ვარშავის აღებაზე, უნდა **აიღოთ იგი** (როგორია ამისთვის ექსტრალონისძიებები? მითხარით?).

დაზავების **დაჩქარებაზე** ლაპარაკი, როცა მოწინააღმდეგე **გვიტევს**,—იდიოტიზმია.

რაკი პოლონელები მ თ ე ლ ი ხაზით გადმოვიდნენ შეტევაზე, არ უნდა ვიწუწუნოთ (როგორც დანიშევსკი), რადგან ეს სასაცილოა.

უნდა მოვიფიქროთ **კონტრსვლა**: სამხედრო ღონისძიებანი (შემოვლა, **ყველა** მოლაპარაკების გაჭიანურება და ა. შ.).

დაწერილია არა უადრეს
1920 წლის 14 აგვისტოისა

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**662**

## კავკასიის კურორტებისა და სანატორიუმების სამმართველოს

1920 წ. 17. VIII.

გთხოვთ ყოველნაირად დაეხმაროთ საუკეთესოდ მოწყობასა და მკურნალობაში ამის მომტანს,

ამხ. ინესა თევდორეს ასულ არმანდს და მის ავადმყოფ ვაჟიშვილს.

გთხოვთ აღმოუჩინოთ პირადად ჩემთვის ცნობილ ამ პარტიულ ამხანაგებს სრული ნდობა და ყოველგვარი დახმარება.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**663**

## დეპეშა ა. ჟ. დანიშევსკის

შიფრით

დანიშევსკის

მტრის ვერაგობაზე ჩივილი, სანამ დახავება არ არის, სასაცილოა. იყავით გულმშვიდად და არქიმტკიცედ, იოტის-

ოდენაც არ დაუთმოთ, სანამ პოლონელები არ დაამტკიცებენ, რომ სერიოზულად სურთ ზავი.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
17 აგვისტოს
გაგზავნილია მინსკში

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

664

## დეპეშა ი. ტ. სმილგას

შიფრით

სმილგას

პოლონელთა შემოტევა ჩვენთვის ძალზე საჭიროს ხდის გავაძლიეროთ დაწოლა, თუნდაც რამდენიმე დღით. ყოველი ღონე იხმარეთ. გამოეცით, თუ სასარგებლოდ მიგაჩნიათ, ბრძანება ჯარებისადმი იმის შესახებ, რომ, გააათავეცებენ რა ახლა მოქმედებას, ისინი უზრუნველყოფენ რუსეთისათვის ზავის ხელსაყრელ პირობებს მრავალი წლით.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
18 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

665

## დეპეშა ი. ტ. სმილგას

19/VIII.

ს მ ი ლ გ ა ს  მ ი ნ ს კ შ ი

პოლიტბიუროს დაწვრილებითს გადაწყვეტილებას [435] თქვენ გაცნობებთ ამხ. ტროცკი, საიდანაც შეიტყობთ, რომ თქვენს შეხედულებას სავსებით ვიზიარებთ. უნდა უზრუნველყოთ მთელი

ძალ-ღონით, რომ ბელორუსმა მუშებმა და გლეხებმა, თუნდაც ქალამნებსა და საბანაო კოსტიუმებში გამოწყობილებმა, მაგრამ დაუყოვნებლივ და რევოლუციური სისწრაფით მოგცეთ შევსება სამმაგი და ოთხმაგი რაოდენობით.

შემდეგ გააათკეცეთ აგიტაცია აეროპლანებიდან პოლონელი მუშებისა და გლეხებისათვის, რომ მათი კაპიტალისტები ფუშავენ ზავს და განუმზადებენ მათ უმიზნო სისხლისღვრას.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 19 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი პირის მიხედვით

**666**

## ᲓᲔᲞᲔᲨᲐ Ა. Ბ. ᲠᲐᲓᲔᲙᲡ

გთხოვთ გაგზავნოთ **შ ი ფ რ ი თ**

სმილგას **რადეკისათვის**

**თ ქ ვ ე ნ ს** მოსაზრებებს ვითვალისწინებთ. გთხოვთ, რაკი ძერჟინსკისთან მიდიხართ, მოითხოვოთ მტკიცედ მემამულეებისა და კულაკების დაუნდობელი განადგურება რაც შეიძლება მალე და რაც შეიძლება ენერგიულად, ასევე რეალური დახმარება გლეხებისათვის პანების მიწით, პანების ტყეებით. მაცნობეთ დაწვრილებით, შეამოწმეთ ადგილზე.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 19 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 667

## დეპეშა ვ. პ. ზატონსკის

გ თ ხ ო ვ თ  გ ა გ ზ ა ვ ნ ო თ
შიფრით

**ზატონსკის**

(სკლიანსკიმ იცის მისამართი და შიფრი)

მაცნობეთ რაც შეიძლება დაწვრილებით, რას აკეთებთ იმისათვის, რომ დარაზმოთ გალიციელი გლეხები. იარაღი გამოგეგზავნათ. საკმარისია თუ არა? ულმობლად ანადგურეთ პანები და კულაკები, რათა მოჯამაგირეებმა, ისევე როგორც გლეხთა მასამ, იგრძნონ მკვეთრი ცვლილება თავიანთ სასარგებლოდ. ეწევით თუ არა აგიტაციას აეროპლანებიდან? [436]

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
19 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 668

## მ. ნ. პოკროვსკის

ამხ. **პოკროვსკის**

1) როგორია პროლეტკულტის ი უ რ ი დ ი უ ლ ი მდგომარეობა? [437]

2) რ ო გ ო რ ი ა და 3) ვ ი ნ დანიშნა მისი ხელმძღვანელი ცენტრი?

4) რამდენს აძლევთ ფინანსებს განსახკომისაგან?

5) კიდევ რა არის **მნიშვნელოვანი** პროლეტკულტის მდგომარეობის, როლისა და მუშაობის შედეგების შესახებ.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია არა უგვიანეს
1920 წლის 20 აგვისტოსი

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 669

## დეპეშა გ. კ. ორჯონიკიძეს

**ყველაფერი შიფრით**

**ორჯონიკიძეს**

დღეს პოლიტბიუროში გადავწყვიტეთ, რომ აუცილებლად უნდა გაემგზავროთ როსტოვში, რათა უახლოესი მონაწილეობა მიიღოთ ყუბანსა და შავიზღვისპირეთში დესანტის სალიკვიდაციოდ [438]. დააჩქარეთ და დააწექით ამას მთელი ძალ-ღონით, მაცნობეთ უფრო ხშირად. გამონახეთ ვინმე ბაქოში თქვენი შემცვლელი. კიდევ თხოვნა: არ დაივიწყოთ, რომ დამპირდით მოაწყოთ სამკურნალოდ ინესა არმანდი და მისი ავადმყოფი ვაჟიშვილი, რომლებიც 18 აგვისტოს გამოემგზავრნენ და, ალბათ, უკვე როსტოვში არიან.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
20 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 670

## დეპეშა კ. ბ. რადეკს, ფ. ე. ძერჟინსკისა და პოლონეთის ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრს

**შიფრით**

**სმილგას** რადეკისათვის, ძერჟინსკის
და პოლონეთის ცეკას ყველა წევრს

თუ სედლეცის გუბერნიაში მცირემიწიანმა გლეხებმა დაიწყეს მამულების ხელში ჩაგდება, აბსოლუტურად საჭიროა გამოიცეს პოლონეთის რევკომის განსაკუთრებული დადგენილება, რათა აუცილებლად მიეცეთ მემამულეთა მიწების ნაწილი გლე-

ხებს და რადაც უნდა დაჯდეს შეარიგოთ მცირემიწიანი გლეხები მოჯამაგირეებთან. გთხოვთ მიპასუხოთ.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 20 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით 1938 წელს ჟურნალ „ბოლშევიკში" № 2

მთლიანად დაიბეჭდა (ფაქსიმილე) 1951 წელს წიგნში „ფელიქს ედმუნდის ძე ძერჟინსკი. 1877—1926". მოსკოვი

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

671

## დეპეშა ლ. ბ. კამენევს და ბარათი გ. ვ. ჩიჩერინს

### კამენევს შიფრით

ვარშავას ალბათ მალე ვერ ავიღებთ*. მტერი იქ გაძლიერდა და გვიტევს. ცხადია, რომ ლოიდ ჯორჯი შეგნებულად ინაწილებს როლს ჩერჩილთან და პაციფისტური ფრაზებით ფარავს ფრანგებისა და ჩერჩილის რეალურ პოლიტიკას და ასულელებს ყეყეჩ ჰენდერსონებსა და კომპანიას. მთელი ძალ-ღონით განუმარტეთ ეს ინგლისელ მუშებს, თვითონ წერეთ მათთვის სტატიები, თეზისები, ასწავლეთ მარქსიზმი კონკრეტულად, ასწავლეთ ჰენდერსონების მარცხნივ ქანაობის გამოყენება, ასწავლეთ აგიტაცია მასებში, — ეს არის თქვენი მთავარი ამოცანა. ლოიდ ჯორჯმა მოგვატყუა პაციფიზმით და დაეხმარა ჩერჩილს გადაესხა დანციგში მაშველი ძალები პოლონელებისათვის. ეს არის მთავარი. რუმინეთის ელჩთან შეინარჩუნეთ კონტაქტი.

ლ ე ნ ი ნ ი**

* სიტყვა „მალე" დაწერა გ. ვ. ჩიჩერინმა. რ ე დ.

** დეპეშას ხელს აწერს აგრეთვე გ. ვ. ჩიჩერინი. რ ე დ.

ამხ. ჩიჩერინ! გაგზავნეთ, თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ. თუ საწინააღმდეგო გაქვთ რამე, მოვილაპარაკოთ ტელეფონით.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 20 აგვისტოს
გაგზავნილია ლონდონში

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 672

## ბარათი რკპ (ბ) ცკ-ის პოლიტბიუროს და პროექტი დეპეშისა ვ. ს. მიცკევიჩ-კაპსუკასს [439]

წინადადებას გაძლევთ მიპასუხოთ:

მომენტი ახლა უთუოდ შეუფერებელია, სანამ უკან ვიხევთ ვარშავასთან. გამოგზავნეთ უაღრესად დაწვრილებითი და ზუსტი ინფორმაცია ლიტვის შესახებ ლიტვა-ბელორუსიის ცეკას ყველა წევრის ხელმოწერით და სმილგას დასკვნა. მოსამზადებელი მუშაობა კი განაგრძეთ უფრო ფრთხილად და უფრო სისტემატურად.

არის **პოლიტბიუროს** სამი წევრის თანხმობა*.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
20 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* ეს ფრაზა, ხელმოწერა და სიტყვები **„პოლიტბიუროს მაგივრად კრესტინსკი“** დაწერა ვ. ი. ლენინმა მას შემდეგ, რაც მიიღო რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრების თანხმობა. *რ ე დ.*

673

## გ. ე. ზინოვიევს

1920 წ. 20. VIII.

ამხ. ზინოვიევს
1-ელი სახელმწიფო კარტოგრაფიული დაწესებულების
(ყოფ. ბ. ა. ილინის) კომიტეტისათვის
პრიაჟკა, 5

დიდი მადლობა „რუსეთის რკინიგზების" ატლასის კიდევ ერთი ეგზემპლარის გამოგზავნისათვის და გთხოვთ არ დაივიწყოთ, რომ, თუ გამოსცემთ ახალ ატლასს ა ხ ა ლ ი ადმინისტრაციული დაყოფით, ძ ა ლ ი ა ნ გ უ ლ დ ა ს მ ი თ უნდა შეაგროვოთ ცნობები სახალხო კომისარიატებისაგან როგორც ახალი გუბერნიების, ისე თათრეთის, ბაშკირეთისა და სხვა რესპუბლიკების, ოლქებისა და კომუნების (გერმანელთა, ჩუვაშთა) და სხვ. საზღვრების შესახებ.

სახკომსაბჭოს კომისიის შეუქმნელად საქმე ალბათ არ გამოვა.

კომ. სალმით ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

გაგზავნილია პეტროგრადში

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

674

## ბარათი მდივანს

უთხარით ჩიჩერინს

1) მე მგონია, კამენევი მართალია: უნდა უპასუხოთ მ ი ს ი მ ე შ ვ ე ო ბ ი თ (და უარყოფითად).

2) ვანდერლიპთან დაიწყოს მოლაპარაკება კ რ ა ს ი ნ ი ს მ ე შ ვ ე ო ბ ი თ, გამოირკვეს **პირობები** ზუსტად, ისე რომ ვანდერლიპს აქ არ გამოუძახოთ[440].

დაწერილია 1920 წლის 21 აგვისტოზე ადრე

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

675

## რკპ (ბ) ცკ-ის ორგბიუროს

კრესტინსკის

**ორგბიუროსათვის**

ვეთანხმები კრესტინსკის: „არ გამოუვიდა“ პრეობრაჟენსკის.

საჭიროა უფრო დაწვრილებით, უ ფ რ ო ა გ ი ტ ა ც ი უ-რ ა დ, უფრო მგრძნობიარედ — და უფრო ნათლად, უფრო საქმიანად.

დაე დაწეროს ზ ი ნ ო ვ ი ე ვ მ ა (იგი ხვალ, 25/8, ა ქ ი ქ ნ ე ბ ა), ხოლო ორგბიურომ გაასწოროს[441].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 24 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

676

## გ. კ. ორჯონიკიძეს

ამხ. სერგო! გიგზავნით ცნობებს, რომლებიც მე მომიტანეს. დამიბრუნეთ, თუ შეიძლება, თქვენი შენიშვნებით ფაქტების შესახებ: რა არის მართალი და რა არ არის მართალი[442].

შემთხვევის დროს, ალბათ, ძლიერ ცხარობთ?

ვფიქრობ, თანაშემწეები უნდა აიყვანოთ და მუშაობა უფრო სისტემატურად წარმართოთ.

იმედია, არ გეწყინებათ ჩემი შენიშვნები და გულახდილად მიპასუხებთ, რას და როგორ ფიქრობთ გაასწოროთ და გამოასწოროთ.

სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 27 აგვისტოზე ადრე

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 677

## მცირე სახკომსაბჭოს

1920 წ. 27. 8.

მცირე საბჭოს

ამხ. ვოროვსკის უკიდურესად მძიმე და საშიში ავადმყოფობის გამო (მუცლის ტიფი, ფილტვების ანთება და სხვ.) გთხოვთ სასწრაფოდ გასცეთ ნებართვა დიდი დახმარების მისაცემად მკურნალობისა და გაძლიერებული კვებისათვის.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 678

## ნ. ნ. კრესტინსკის [443]

თანახმა ვარ, მაგრამ აუცილებლად დაუმატეთ ამ დასკვნას („მიეთითოს"): **არ გაბედოს** უწყებრივი პოლემიკის შეტანა, არ გაბედოს ჭინჭყლი აუტეხოს **სმუს-ს, სურსათის კომისარიატს** და სხვ. სახალხო კომისარიატებს.

ლენინი

დაწერილია 1920 წლის
27 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 679

## ფ. ე. ძერჟინსკის

ამხ. ძერჟინსკი! ამასთან გიგზავნით ამხ. ბელობოროდოვის დაშიფრულ დეპეშას [444].

საფრთხე, ჩემი აზრით, უდიდესია.

წინადადებას გაძლევთ:

პოლიტბიუროსაგან მიიღოთ დირექტივა:

ეთხოვოს ორგბიუროს სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატთან და სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიასთან შეთანხმებით შეიმუშაოს ს ა ს წ რ ა ფ ო ღონისძიებანი აჯანყების საფრთხესთან საბრძოლველად და მობილიზაცია უყოს საკმაო რაოდენობით სამხედრო, ჩეკისტთა და პარტიულ ძალებს.

**გადაეცით**, თ უ შ ე ი ძ ლ ე ბ ა, ყოველივე ეს ახლავე ამხ. **კრესტინსკის** (იგი დღეს მიემგზავრება მხოლოდ რამდენიმე საათით) და თქვენი მხრივ ა ხ ლ ა ვ ე მიიღეთ **ყველა** ზომა.

თუ მოხდა აჯანყება ყუბანში, მ თ ე ლ ი ჩ ვ ე ნ ი პ ო ლ ი ტ ი კ ა (რომლის შესახებ ვლაპარაკობდით ცეკაში) ჩ ა ი ფ უ შ ე ბ ა. რადაც უნდა დაჯდეს, უნდა აღვკვეთოთ აჯანყება, ნუ დაიშურებთ ამისათვის ადამიანებსა და ძალებს. ხომ არ გავგზავნოთ იქ მანცევი?

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია არა უადრეს
1920 წლის 28 აგვისტოისა

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 680

## მცირე სახკომსაბჭოს[445]

**მ ც ი რ ე ს ა ბ ჭ ო ს:**

საჭიროა დახმარების ცენტრალიზაცია და გაერთიანება, მისი ს წ ო რ ა დ განაწილება.

31/8.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
31 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 681

## დეპეშა გ. კ. ორჯონიკიძეს

1920 2/IX.

კავკასიის ფრონტის
რევოლუციური საბჭო
ორჯონიკიძეს

მივიღე თქვენი დეპეშა. არ ღირს აღშფოთება. თუ იქსის ცნობები ყალბია[446], დაწერეთ დამშვიდებით ათი სტრიქონი უარყოფა და გამომიგზავნეთ წერილით. გთხოვთ დაუმატოთ მეტი დაწვრილებითი ცნობები ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმდინარეობისა და იმის შესახებ, თუ როგორ მოაწყვეთ კისლოვოდსკში ის საბჭოთა მუშაკები, რომელთა შესახებაც აქ გელაპარაკეთ პირადად*.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 682

## ნ. ნ. კრესტინსკის

ამხ. კრესტინსკი! ჩემი აზრით, ამ საუცხოო ქაღალდისა და სტამბის სახსრების ფლანგვისათვის ს ა მ ა რ თ ა ლ შ ი უნდა მისცეთ, სამსახურიდან გააძევოთ და დააპატიმროთ ვინც საჭიროა[447].

2/IX. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 2
სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

---

* იხ. აგრეთვე თხზულებანი, მე-5 გამოც., ტ. 51, დოკუმენტი 464. რ ე დ.

## 683

## რეზოლუცია ნ. ე. ნიკულინას წერილზე

ღრმად პატივცემულო ვლადიმერ ილიას ძევ!

მხოლოდ გამოუვალი მდგომარეობა მაიძულებს შევაწუხოთ უმორჩილესი თხოვნით. მე 74 წლისა ვარ, აქედან 51 წელს ძალ-ღონისა და უნარის კვალობაზე ვემსახურებოდი ჩემთვის ძვირფას მოსკოვს... ვიცი რა, როგორ ვიწროდ ცხოვრობს მოსახლეობა, მე თვითონ ხალისით დავთმე რამდენიმე ოთახი ჩემს პატარა სახლში. დარჩა მხოლოდ ჩემთვის აუცილებელი ან საცხოვრებლად მოუხერხებელი ცივი გასავლელი ოთახები. ახლა მემუქრებიან ამ ოთახების წართმევითაც. გევედრებით, დამეხმარეთ... თქვენი ბრძანებით დაწერილი რამდენიმე სიტყვა საკმარისი გარანტია იქნება ჩემთვის.

ჭეშმარიტი პატივისცემით სახელმწიფო მცირე თეატრის დამსახურებული არტისტი

ნ. ნიკულინა

შეამოწმეთ და დაურეკეთ ტელეფონით: თავი დაანებეთ.

დაწერილია არა უადრეს
1920 წლის 3 სექტემბრისა

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 684

## დეპეშა პოდოლსკის სამაზრო სასურსათო კომიტეტს

პოდოლსკის სამაზრო სასურსათო კომიტეტს
პირი პოდოლსკის სამაზრო აღმასკომს

მე მომიტანეს უშუალოდ შემდეგი თხოვნა[448].

შემიძლია დავადასტურო სოფელ ბოგდანოვოს (ხალხში ბოგდანიხად წოდებულის) მძიმე სასურსათო მდგომარეობა. ამიტომ გთხოვთ დაუყოვნებლივ განიხილოთ მათი თხოვნა და შეძლებისდაგვარად შეუმსუბუქოთ მდგომარეობა, ესე იგი შეძლებისდაგვარად შეუმციროთ მათ სურსათის შეწერა.

თქვენი გადაწყვეტილება გთხოვთ მაცნობოთ წერილობითაც და ტელეფონოგრამითაც.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი

6/IX. 1920. (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

685

## ლ. ა. ფოტიევას[449]

ლიდია ალექსანდრეს ასულს

წაიკითხეთ, გადაგზავნეთ სამეცნიერო-ტექნიკურ განყოფილებაში და **შეამოწმეთ**, რა გაკეთდა (წერილი მას?).

6/IX. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 6 სექტემბერს

**პირველად დაიბეჭდა 1945 წელს** ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

686

## ლ. დ. ტროცკის

ამხ. ტროცკი!

ეს მიღებულია დღეს ჩემი ღამის შეკითხვის პასუხად „ფსევდონიმის" შესახებ (იგი გამოძახებულია ჩვენთან აქ, გუსევსაც ჰკითხეს[450]... * გუსევი წინააღმდეგი არ არის.

მაგრამ მისი ცნობა მე-13 არმიის დიდი დამარცხების შესახებ არქისაგანგაშო და არქიმნიშვნელოვანია.

ჩემი აზრით, არქისერიოზულად უნდა მოვეკიდოთ მთელი

* მანქანაზე დაბეჭდილ პირში ტექსტი არ არის, უცნობის ხელით ჩაწერილია: „(ამოგლეჯილია — დადგენა შეუძლებელია)". რ ე დ.

მდგომარეობის გამო და 1) ახლავე შევეკითხოთ მთავარსარდალს, 2) დავსვათ დღეს საღამოს ცეკაში...*

...*, ხომ არ დავნიშნოთ ფრუნზე ფრონტის სარდლად ვრანგელის წინააღმდეგ და დავაყენოთ ფრუნზე ახლავე[431]. მე ვთხოვე ფრუნზეს მოგელაპარაკებოდათ რაც შეიძლება მალე. ფრუნზე ამბობს, რომ შეუსწავლია ვრანგელის ფრონტი, ემზადებოდა ამ ფრონტისათვის, იცის (ურალის ოლქიდან) კაზაკების წინააღმდეგ ბრძოლის ხერხები.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
8 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით
1960 წელს წიგნში „სსრ კავშირის
სამოქალაქო ომის ისტორია.
1917—1922", ტ. 5

მთლიანად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტ. 51

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით

## 687

## ლ. დ. ტროცკის

1920 წ. 9. IX.

შიფრით

ტროცკის

გუსევისაგან თქვენთვის გადმოცემული იაკოვლევის წინადადება, რომელიც ეხება ყირიმის არმიას, მიმაჩნია არქიმნიშვნელოვნად. გირჩევთ მიიღოთ წინადადება და დანიშნოთ განსაკუთრებული შემოწმება, ხოლო ამისაგან დამოუკიდებლად ახლავე მოამზადეთ მიმართვა-მანიფესტი თქვენი, კალინინის, ჩემი, მთავარსარდლის, ბრუსილოვისა და მთელი რიგი სხვა ყოფილი გენერლების ხელმოწერით, რომელშიც აღნიშნული იქნება ზუსტი წინადადებები და გარანტიები, ასევე აღმოსავლეთ გალიციის ბედი და პოლონელთა თავხედობის ზრდა. გთხოვთ

* მანქანაზე დაბეჭდილ პირში ტექსტი არ არის, უცნობის ხელით ჩაწერილია: „(ამოგლეჯილია—დადგენა შეუძლებელია)". რ ე დ.

თქვენს უსწრაფეს დასკვნას, ხოლო უკეთესი იქნება გამომიგზავნოთ თქვენი მანიფესტის პროექტიც [452].

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

688

## ტელეფონოგრამა ა. ი. რიკოვსა და ა. მ. ლეჟავას

სმუს, რიკოვს
საგარეო ვაჭრობის სახკომისარიატი, ლეჟავას

მთელ რიგ დიდ საექსპორტო გარიგებებს ხე-ტყეზე, რომლებიც დადო ჩვენმა ლონდონის სავაჭრო დელეგაციამ, დიდი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა აქვს და ფაქტობრივად არღვევს ბლოკადას. ამიტომ უაღრესად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ამ გარიგებათა შესრულება ხდებოდეს ზუსტად და აკურატულად, დადებული პირობების შესაბამისად. გთხოვთ დაუყოვნებლივ გასცეთ ყველა თქვენზე დამოკიდებული განკარგულება ამ მიმართულებით და დააწესოთ ქმედითი კონტროლი მათი შესრულებისადმი.

ამავე დროს ცხადია, რომ საჭიროა ყოველი ღონისძიებით გაიზარდოს ჩვენი საექსპორტო ფონდი და, პირველ რიგში, გაძლიერდეს საექსპორტო ხე-ტყის დამზადება. ამ უკანასკნელისათვის დამკვრელი ხასიათის მისაცემად გთხოვთ უმოკლეს ვადაში შეიმუშაოთ და სახკომსაბჭოში წარმოადგინოთ პროექტი დეკრეტისა ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც უნდა მივიღოთ, მათ შორის აღნიშნეთ კონტროლის დაწესება იმ დაწესებულებებისადმი, რომლებიც განაგებენ საექსპორტო ნედლეულის დამზადებას [453].

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
10 სექტემბერს

დაბეჭდილია 1920 წლის
18 სექტემბერს გაზეთ
„ეკონომიჩესკაია ჟიზნში“ № 207

იბეჭდება
უცნობის ხელით დაწერილი
და ვ. ი. ლენინის ხელმოწერილი
ტექსტის მიხედვით

689

## ი. გ. რუდაკოვს

პეტროგრადი
ამხ. რ უ დ ა კ ო ვ ს, პეტროგრადის კომუნის სათბობის
განყოფილების გამგეს
პირი პეტროგრადის საბჭოს აღმასკომს

გთხოვთ მოამარაგოთ შეშით მეცნიერთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომისია.

თუ არის რაიმე უთანხმოება საჭირო რაოდენობის შესახებ ან სხვა საწინააღმდეგო მოსაზრებანი, გთხოვთ მომწეროთ ორიოდ სიტყვა.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

დაწერილია 1920 წლის
10 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით

690

## დეპეშა ვ. ი. ჩუბარსა და ვ. ნ. ქსანდროვს

პირდაპირი მავთულით
უკრაინის სამრეწველო ბიურო ჩუბარს და დონეცკის
ქვანახშირის მაღაროების ცენტრალური სამმართველო
ქსანდროვს

თავდაცვის საბჭომ 10/IX დაადგინა გამოუცხადოს უკრაინის სამრეწველო ბიუროს და დონეცკის ქვანახშირის მაღაროების ცენტრალურ სამმართველოს სასტიკი საყვედური იმისათვის, რომ არ წარმოადგინეს ცნობები: 1) მთავარქვანახშირის 20/VIII, 2) — შრომისა და თავდაცვის საბჭოს 4/IX შეკითხვაზე, და

გაფრთხილებთ, თუ დაუყოვნებლივ არ გამოგზავნით დამაკმაყოფილებელ პასუხს, ამ დაწესებულებათა მთელი შემადგენლობის მიმართ მიღებული იქნება უფრო მკაცრი სასჯელი.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
13 ან 14 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ლ. ა. ფოტიევას ხელით
დაწერილი და
ვ. ი. ლენინის ხელმოწერილი
ტექსტის მიხედვით

**601**

## დეპეშა კავკასიის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

კავკასიის ფრონტის რევოლუციურ საბჭოს

შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაადგინა სასტიკი საყვედური გამოუცხადოს კავკასიის რევოლუციურ საბჭოს შრომისა და თავდაცვის საბჭოს 25/VI დადგენილებისა და რესპუბლიკის საველე შტაბის 5/VII ბრძანების[454] შეუსრულებლობისათვის და აფრთხილებს კავკასიის ფრონტის რევოლუციური საბჭოს წევრებს, რომ, თუ ისინი არ დაძაბავენ მთელ ძალებს აღნიშნულ დადგენილებათა შესასრულებლად, დაპატიმრებული და სამართალში მიცემული იქნებიან.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
13 ან 14 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
მ. ი. გლასერის ხელით დაწერილი
და ვ. ი. ლენინის ხელმოწერილი
ტექსტის მიხედვით

### 692

## ვ. ა. ავანესოვს [455]

დანიშნეთ გამოძიება, დაუმატეთ, სკლიანსკისთან შეთანხმებით, სამხედრო კომუნისტები, და თვითონ მიეცით კომუნისტები (მე კი ორიოდ სიტყვა მომწერეთ).

დაწერილია 1920 წლის
14 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
მდივნის ხელით დაწერილი
ტექსტის მიხედვით

### 693

## მ. ი. კალინინს

1920 წ. 16. IX.

ამ ხ. კ ა ლ ი ნ ი ნ ს

ამხ. კალინინ!

ამხ. ილინი ოჯახითურთ თხოულობს დატოვონ იგი მ ი ს ძ ვ ე ლ ბ ი ნ ა შ ი ყ ო ფ. **მეტროპოლში** გაზაფხულამდე,

რადგან ექიმები ადასტურებენ, რომ ცოლი და შვილები ძალიან ავად არიან და საჭიროებენ უკეთეს მდგომარეობასა და პირობებს ზამთარში მოსალოდნელი ოპერაციის დროს.

ვიცნობ რა ამხ. ილინს ჯერ კიდევ რევოლუციამდე, საზღვარგარეთიდან, ძალიან გთხოვთ დაეხმაროთ მას ამის მოწყობაში.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 694

## ა. მ. ლეჟავას [456]

ამხ. ლეჟავას (სკლიანსკისთან თათბირის შემდეგ უნდა გადავწყვიტოთ რაც შეიძლება მალე და მივიღოთ ზომები).

16/IX. ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ასეთი ქაღალდები პ ი რ დ ა პ ი რ უნდა იგზავნებოდეს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში, რათა არ დავკარგოთ დრო.

დაწერილია 1920 წლის
16 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით
1963 წლის 24 ნოემბერს გაზეთ
„პრავდაში" № 328

მთლიანად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 695

## ა. მ. ლეჟავას

1920 წ. 20. IX.

ამხ. ლეჟავას

ამხ. ლეჟავა! ძ ა ლ ი ა ნ ს ა ს წ რ ა ფ ო დ უნდა ნახოთ ციმერმანი და შეიტანოთ პოლიტბიუროში:

პლატენი თავისი შიკრიკის (ციმერმანის (მიემგზავრება ხვალ 21/IX): კომუნისტი შვეიცარიიდან; ახლა აქ არის) მეშვეობით თხოულობს

დავტოვოთ და დავუდასტუროთ შვეიცარიაში რუსეთის სფსრ სავაჭრო წარმომადგენლის მანდატი, რადგან ეს

1) დაეხმარება მას, პლატენს, ვ ა დ ა მ დ ე განთავისუფლდეს საპატიმროდან (იგი უ კ ვ ე ზის 6 თვის სასჯელის მოსახდელად),

2) განამტკიცებს მის მდგომარეობას კომუნისტურ მოძრაობაში.

პლატენს უნდა დაეხმაროთ **ფულით**: იგი მძიმე მდგომარეობაშია.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**696**

## ჩანაწიშნეზი ს. ს. კამენევის მოხსენებაზე და ბარათი გ. ვ. ჩიჩერინს

. . .

2) ჩვენი მხრივ უკიდურესი ტერიტორიული დათმობა შეიძლება იყოს საზღვარი მდ. შარაზე, ოგინსკის არხზე. მდინარეებზე იასელდასა და სტირზე და შემდეგ რუსეთისა და აღმოსავლეთ გალიციის სახელმწიფო საზღვარზე. # ჩვენი საზღვრის გადატანა კიდევ უფრო აღმოსავლეთით შეგვიქმნიდა ფრიად ძნელ სტრატეგიულ პირობებს, დაგვაკარგვინებდა ისეთ დიდმნიშვნელოვან რკინიგზის კვანძებს, როგორიცაა ბარანოვიჩი, ლუნინეცი, სარნი და როვნო. ჩვენი არმიების მდგომარეობა და საერთო სტრატეგიული მდგომარეობა არ მოითხოვს ესოდენ დიდ მსხვერპლს...

# ამხ. ჩიჩერინ! აი საზღვარი — maximum. მიღებულია ცეკაში. ზუსტად უნდა გაიმეოროთ[457].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
23 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**697**

## დეპეშა ა. ა. იოფეს

**დღეს** შიფრით იოფეს ცეკას პლენუმის სახელით.

ჩვენთვის მთელი არსი ის არის: რომ, ჯერ ერთი, მოკლე დროში გვქონდეს დაზავება, ხოლო მეორე, და მთავარია, რომ გვქონ-

დეს ნამდვილი ზავის რეალური გარანტია 10 დღის ვადაში. თქვენი ამოცანაა უზრუნველყოთ და შეამოწმოთ ნამდვილად შესრულების გარანტიების რეალობა. თუ ამას უზრუნველყოფთ, მიეცით მაქსიმალური დათმობები თვით ხაზამდე მდინარე შარაზე, ოგინსკის არხზე, მდინარეებზე იასელდასა და სტირზე და შემდეგ რუსეთისა და აღმოსავლეთ გალიციის სახელმწიფო საზღვარზე. ხოლო თუ მთელი ჩვენი მეცადინეობისა და დათმობების მიუხედავად ამის უზრუნველყოფა არაფრით არ შეიძლება, მაშინ თქვენი ერთადერთი ამოცანაა ამხილოთ პოლონელთა გაჭიანურება და საბოლოოდ დაგვიდასტუროთ ზამთრის კამპანიის გარდუვალობა.

დაწერილია 1920 წლის
23 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**698**

## გ. ვ. ჩიჩერინს [458]

ამხ. ჩიჩერინ!

უნდა გამოვგზავნოთ ცეკაში

1) ერთხელ კიდევ **ზ უ ს ტ ი** დადგენილების პროექტი: ცეკა კრძალავს მოიქცეთ ასე და ასე, მოითხოვს ამას და ამასო.

2) გაასაჩივროთ **ყ ო ვ ე ლ ი** დარღვევა კონკრეტულად.

3) გაატაროთ ცეკაში **პასუხისმგებელი** პირის (არცთუ ძალიან „მაღლის") დანიშვნა.

სხვანაირად გამოდის მხოლოდ ქაღალდის ომი.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია არა უადრეს
1920 წლის 24 სექტემბრისა

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

699

## ს. ი. გილერსონს

ფრ. სასწრაფოდ

პრაღა, გილერსონს

დაუყოვნებლივ გამოაქვეყნეთ პრესაში და გადაეცით ჩეხოსლოვაკიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობას [459], რომ ფრანც ბენეშის დამოწმება, ვითომდა ჩემთან ჰქონდა საუბარი ჩეხოსლოვაკიაში პროლეტარიატის დიქტატურის შესაძლებლობის თუ შეუძლებლობის შესახებ, თავიდან ბოლომდე სიცრუეა და რომ არათუ არასოდეს მასთან არ მისაუბრია, არამედ არც კი მინახავს იგი. რასაკვირველია, ჩემი აზრი ბელა კუნისა და უნგრეთის რევოლუციის შესახებ, რომელიც იმავე ბენეშს მოჰყავს, ასევე საზიზღარი სიცრუეა.

ლენინი

დაწერილია 1920 წლის
25 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით

700

## ნ. ა. სემაშკოს

ამხ. სემაშკოს

გთხოვთ დატოვოთ № 2 ჯანმრთელობის კერაში (მე-3 ნეოპალიმოვსკის შესახვევი, სახლი № 5) ლუბა ისაკის ასული აქსელროდი (ორთოდოქსი) მთელი ზამთრით და გამოუყოთ მას მოხერხებული ოთახი.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

ამხ. სემაშკო! მომწერეთ საერთოდ ორიოდ სიტყვა მისი მოწყობის შესახებ. მას უნდა დავეხმაროთ.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი*

დაწერილია 1920 წლის
25 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
და ვ. ი. ლენინის
შევსებული და ხელმოწერილი
ტექსტის მიხედვით

## 701

## ციმბირის რევკომს

ამხანაგო ი. ნ. სმირნოვ! გიგზავნით მოსაზრებებისათვის შემდეგ პუნქტებს[460]. მომწერეთ ორიოდ სიტყვა მათ შესახებ.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

1. ყურადღება მიაქციეთ ციმბირის სოფლის ღარიბობას, მოამარაგეთ ისინი სურსათით ადგილობრივი გაწერიდან.

2. მოაწყვეთ კუპრის წარმოება ციმბირში და ჩააბით ადგილობრივი საბჭო და მოსახლეობა

(კუპრის ადგილობრივი წარმოება).

3. გლეხები იღებენ ერთ ფუთ ხორბალს, ფქვავენ გამტკიცულ ფქვილად და იღებენ 18—20 გირვანქა ფქვილს. უკეთესია, თუ დაფქვავთ უბრალო ფქვილად, გლეხები ამას დაეთანხმებიან.

4. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესაკეთებელ სოფლის სამჭედლოებს, მოამარაგეთ ისინი ნახშირით.

* ტექსტი „ამხ. სემაშკო!.. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი“ დაწერილია ვ. ი. ლენინის ხელით. რ ე დ.

მართალია, რომ ციმბირში ყოფილა შემთხვევები, როცა საზიდრების გასაპოხად უხმარიათ კარაქი (კუპრის ნაცვლად)?

26. IX. 20 წ. ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით

## 702

## ბარათი გ. მ. კრჟიჟანოვსკის და შენიშვნები „გოელროს“ № 5 ბიულეტენზე [461]

ამხანაგ **გ. მ. კრჟიჟანოვსკის**

გლებ მაქსიმილიანეს ძევ! დამიბრუნეთ ეს, თუ შეიძლება, როცა წაიკითხავთ 20—21 გვერდებს, ერთი-ორი თქვენი სიტყვით.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

... უეჭველია, რომ პირველ ხანებში, მსგავსად იმისა, როგორც ეს კეთდება ამჟამად მთელ ევროპასა და ამერიკაში, ჩვენ გვიხდება განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ უკვე არსებული ელექტროტექნიკური ინვენტარის რაციონალურად გამოყენებას. ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ ის მნიშვნელობა, რომელიც შეიძლება ჰქონდეს ამჟამად ჩვენი ძირითადი არსებული ელექტროსადგურების სრული ძალით დაჩქარებულ ამუშავებას,

NB სადგურების ჯგუფის ერთად მუშაობას, ელექტროქსელების რაციონალურად გამოყენებას.

ამ ბოლო დროს ჩვენ ვხედავთ მთელ ჩვენს პროვინციაში ფართოდ გაშვითარებულ მისწრაფებას აშენდეს ახალი პატარა სადგურები, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა არის შესაძლებლობა გამოვიყენოთ რომელიმე წყლის ენერგია. რა ცხოვრებისეულიც არ უნდა იყოს ეს მიმდინარეობა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ მიზანშეწონილი ელექტრიფიკაციის საქმეში

NB გადამწყვეტია მხოლოდ მსხვილი რაიონული სადგურები...

... ამჟამად მუშაობა სამი მეოთხედით დამთავრებულია, და იელისის შუა რიცხვებიდან ვიწყებთ საბოლოო ნაკრები ცნობის შედგენას სახკომსაბჭოსათვის სათანადო მოხსენების წარსადგენად. და მხოლოდ მაშინ, როცა ეს სამუშაო სავსებით დამთავრდება, შევძლებ მოგცეთ უფრო კონკრეტული

ნარკვევი იმისა, რას ვგულისხმობთ, როცა ვლაპარაკობთ რუსეთის მიწათ-მოქმედების, მრეწველობისა და ტრანსპორტის ელექტრიფიკაციაზე, მხედველობაში გვაქვს რა იმ სამუშაოთა გარკვეული რიგითობა, რომლებიც მოიცავენ, დაახლოებით, უახლოესი ათი წლის პერიოდს.

გ. კ რ ჟ ი ჟ ა ნ ო ვ ს კ ი

აი სწორედ აქ დგება საკითხი: დღემდე „ბიულეტენის" მთელ ხუთ ნომერში ჩვენ გვაქვს მხოლოდ „სქემები" და „გეგმები" **ზ ო გ ა დ ი**, **უახლოესი კი არა გვაქვს.**

სახელდობრ რა (**ზ უ ს ტ ა დ**) არ გყოფნით **„არსებული ე ლ ე ქ ტ რ ო ს ა დ გ უ რ ე ბ ი ს ა მ უ შ ა ვ ე ბ ი ს დ ა ს ა-ჩ ქ ა რ ე ბ ლ ა დ"?**

ეს არის მთავარი. ამაზე კი ერთი სიტყვაც არ არის.

რა გაკლიათ? მუშები? კვალიფიციური მუშები? მანქანები? ლითონი? სათბობი? სხვა რა?

**მ თ ე ლ ი** დანაკლისის შოვნის „**გ ე გ მ ა**" შეადგინეთ და გამოაქვეყნეთ ახლავე.

26/IX. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
26 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა: ბარათი—
1927 წლის 21 იანვარს გაზეთ
„პრავდაში" № 17; შენიშვნები—
1942 წელს ლენინის XXXIV
კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**703**

## ნ. პ. ბრიუხანოვს

1920 წ. 27. IX.

ამხ. ბრიუხანოვ!

გიგზავნით ორ დოკუმენტს, გთხოვთ წაიკითხოთ და **ო რ ი ვ ე** დამიბრუნოთ:

1) **ი ვ ა ნ ო ვ ო-ვ ო ზ ნ ე ს ე ნ ს კ ი ს** გუბერნიის შესახებ.

დავაყენებთ თავდაცვის საბჭოში 29. IX [462].

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ და შეეცადოთ დააკმაყოფილოთ რაც შეიძლება მეტად მათი თხოვნები.

2) ტ ა მ ბ ო ვ ი ს გუბერნიის შესახებ.

ყურადღება მიაქციეთ. სწორია თუ არა 11 მილიონი ფუთის გაწერა? ხომ არ შევამციროთ?

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 704

## ბარათი მდივანს

**შ ე ე კ ი თ ხ ე თ**, თუ რა პირობებში დავკარგეთ **პინსკი,** ამასთან შტაბები და მატერიალური ნაწილები [463].

ადრე თუ იყო ცნობილი საშიშროება?

დაწერილია არა უადრეს
1920 წლის 28 სექტემბრისა

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 705

## ნ. ნ. კრესტინსკის

ამხ. კრესტინსკი!

ჩემი აზრით, საჭიროა ორგბიუროში გავატაროთ და მოვთხოვოთ რევოლუციურ სამხედრო საბჭოს დააკანონოს, რომ სურსათის კომისარიატის განსაკუთრებული რწმუნებულები **შედიოდნენ როგორც წევრები** ფრონტების სამხედრო რევოლუციურ საბჭოებში გადამწყვეტი ხმის უფლებით იმ საკითხებზე, რომლებიც სურსათის კომისარიატს ეხება.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია არა უგვიანეს
1920 წლის 29 სექტემბრისა

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

706

## ნ. ი. ბუხარინს [464]

ბოგდანოვმა **თ ქ ვ ე ნ** მოგატყუათ, როცა შეცვალა (verkleidet) და შეეცადა **გადაეწია** ძველი დავა. თქვენ კი აჰყევით!

დაწერილია 1920 წლის სექტემბერ—დეკემბერში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს ლენინის XII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

707

## ლ. დ. ტროცკის

1920 წ. 1/X. საიდუმლოდ

ამხ. ტროცკი!

ამას თან ვურთავ ამხ. სკლიანსკის ინფორმაციას [465].

გამოდის, რომ შეტევა ყირიმზე გადადებულია 27/X-მდე!!!

არის თუ არა ამაზე რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილება???

მთავარსარდალი ჩემთან ტრაბახობდა, რომ 10 (ან 8) ოქტომბერს მას **ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი** მზად ექნება შეტევისათვის. მაშასადამე, მოიტყუა?

როდისათვის გადაწყვიტეთ იქ ბუდიონის გაგზავნა? ხომ, **უ მ ი ს ო დ ა ც დ ა ჰ პ ი რ დ ი თ ს ა მ ჯ ე რ მ ე ტ ძ ა ლ ე ბ ს.**

ბოლოს, თუ **უ ქ ვ ე** ცვლით ძველ გეგმას, იქნებ კმაროდეს 1 დივიზიის მიცემა?

გამოდის, რომ მთავარსარდლის **ყ ვ ე ლ ა** გაანგარიშება არაფრად არ ვარგა და **ყ ო ვ ე ლ კ ვ ი რ ე უ ლ ა დ ც ვ ლ ი ს**, თითქოს უმეცარი იყოს! ძალზე საშიში ქანაობაა!

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი პირის მიხედვით

## 708

## ვ. მ. სვერდლოვს

ამხ. სვერდლოვს

ალექსი ანდრიას ძე პრეობრაჟენსკი ძველი პარტიული მუშაკია, 20 წელზე მეტია მუშაობს რკინიგზაზე. ამჟამად უკავია სამარა-ზლატოუსტის რკინიგზის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის პოსტი. ახლა 57 — 58 წლისაა. ძალზე გადაღლილია, ავად არის და სჭირდება ხანგრძლივი დასვენება და მკურნალობა. თხოვნაა: მისცეთ მას 3 თვის შვებულება ხელფასისა და ულუფის შენარჩუნებით.

მისი მისამართია: სამარა, ვაგზალი.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1920 წლის
1 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ვ. ი. ლენინის ხელმოწერილი
მანქანაზე დაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით

## 709

## ლ. დ. ტროცკის

ამხ. ტროცკი! ჩემი აზრით, უნდა გაიგზავნონ **კამენევიც** და **ზინოვიევიც ახლავე** სამხრეთის ფრონტზე (და განსაკუთრებით **1-ელ ცხენოსანთა არმიაში**). მიზანი — **პოლიტმუშაობის** ინსპექცია, **წამოსწიეთ, გამოაცოცხლეთ იგი, დააჩქარეთ** მთელი ტემპი. სხვანაირად ვერ მოვახერხებთ განწყობილების გარდატეხას.

2/X. ლენინი

დაწერილია 1920 წლის
2 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 710
## მცირე სახკომსაბჭოს [466]

**მცირე საბჭოს**: სრულიადაც არ მისცეთ, ჩემი აზრით, რადგან **შეიძლება** მოვათავსოთ (და კიდევაც უნდა მოვათავსოთ) დასავლეთის ფრონტის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს შტაბი **სხვა შენობებში**, თუნდაც ცოტათი შევიწროვდეთ.

3/X. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
3 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 711
## ნ. პ. ბრიუხანოვს [467]

4/X.

ამხ. ბრიუხანოვ!

1) აღწერა ეხება დესანტის დროს. მისი ლიკვიდაციის შემდეგ განწყობილება და საქმის ვითარება სავსებით შეიცვალა, როგორც, სხვათა შორის, გუშინ მითხრა ლანდერმა.

2) იგივე ლანდერი ამბობს: სწორედ ახლა, მთელ რიგ (დესანტთან დაკავშირებულ) აჯანყებათა წარმატებით ჩახშობის შემდეგ, **ჩაბარება** (უმთავრესად ყუბანში, სადაც პური ბევრია) დაიწყო და წავა.

3) ლანდერის აზრით, იქ შეიძლება ავიღოთ **მეტი** წინასწარი გაწერით.

მიაქციეთ ამას ფრუმკინის ყურადღება მისდამი საიდუმლო **წერილში** (არა დეპეშაში). უნდა გამოვიყენოთ მომენტი, არ გამოგვრჩეს დრო (მერე უარესი იქნება) და დავაწვეთ ყუბანს.

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
4 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 712

## ა. ი. რიკოვს[466]

ამხ. რიკოვ! ჩემი აზრით, უნდა შეევაჭროთ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს (სახკომსაბჭოს მეშვეობით) დაუთმოთ. ვაჭრობისათვის: ვადამდე გამოსყიდვა 3 0 წ ლ ი ს შ ე მ დ ე გ მათი ხარჯებისა და შრომის გ ა დ ი დ ე ბ უ ლ ი შეფასებით.

6/X. ლ ე ნ ი ნ ი

კონცესიის ვადას 50 წელს დაუთმობთ თქვენ.

დაწერილია 1920 წლის
6 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით.

## 713

## ნ. ნ. კრესტინსკის

1920 წ. 6/X.

ამხ. კრესტინსკი!

გთხოვთ დააყენოთ საკითხი ორგბიუროში. ჩემი აზრით, საჭიროა ა ვ ა დ მ ყ ო ფ ე ბ ზ ე გავცეთ კიდევ დიეტური კვებისათვის და დავადგინოთ გაუმჯობესდეს,

რ ი ს თ ვ ი ს ა ც შ ე ი ქ მ ნ ა ს
ს ა მ ე დ ი ც ი ნ ო კ ო მ ი ს ი ა.

სურავანდიანებისა და სხვა ავადმყოფთათვის საჭიროა, ჩემი აზრით, ახლავე დავრთოთ თავისუფალ ბაზარზე ყიდვის ნება და გავაპირობოთ ეს გარკვეული წესებით (იქნებ აქაც კომისია და მოვიზიდოთ საბჭოთა მეურნეობები).

პიტერის ცეკას პროტესტის საკითხზე წინადადება შემომაქვს შეაგროვოთ ხმები. ჩემი ხმა:

1) ზინოვიევს მობილიზაცია უყოთ,
2) მოხსნათ მამაკაცების საერთო მობილიზაცია.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

მთლიანად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 714

## რკპ (ბ) ცკ-ის ორგბიუროს

1920 წ. 8. X.

ორგბიუროს

ცეკა

ორგბიუროს 7. X რეზოლუციაში (№ 59, პუნქტი 3)

ქვეპუნქტი ბ მიუთითებს ამხ. ბ ო ნ ჩ-ბ რ უ ე ვ ი ჩ ს, რომ შეუწყნარებელია მომმართონ ამ და „ანალოგიურ წვრილმან საკითხებზე".

გთხოვთ გააუქმოთ ეს ქვეპუნქტი,

რადგან კრემლის საავადმყოფოს დათვალიერების დროს პ ი რ ა დ ა დ ე ქ ი მ ე ბ ი ს ა გ ა ნ მოვისმინე, რომ ავადმყოფებს აკლიათ კვება და თ ვ ი თ ო ნ მივეცი ე ქ ი მ ე ბ ს წინადადება ბონჩ-ბრუევიჩის მეშვეობით მოეცათ ჩემთვის თავიანთი წერილობითი წინადადება

ავადმყოფთა კვების გაუმჯობესების შესახებ და სხვ.

მაშასადამე, ამხ. ბონჩ-ბრუევიჩს არც კი **„მოუმართავს"** ჩემთვის.

ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 715
## დეპეშა ლ. დ. ტროცკის

**შიფრით**

მხოლოდ ტროცკის

პოლონეთის ფრონტზე მთელი ვითარების გამო და მასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით კი იოფესთან ღამინდელი ლაპარაკის შედეგად, რომელიც ენერგიულად ადასტურებს თავისი და ჩვენი სამხედრო ექსპერტის რწმენას, რომ პოლონელები ფაქტობრივად ვერ ჩაშლიან დაზავებას (იოფემ ურთიერთობის გაწყვეტის მუქარით აიძულა პოლონელები უარი ეთქვათ გარკვეული თანხის ოქროს მოთხოვნაზე. იოფე ამბობს: პოლონელებს ჩვენზე მეტად აშინებს ურთიერთობის გაწყვეტაო), ცეკას პოლიტბიურო ავალებს სამხედრო ხელისუფლებს გასწიონ გარკვეული რისკი და წამოიყვანონ ზოგიერთი ნაწილი სამხრეთ-დასავლეთის ფრონტიდან ვრანგელის უსწრაფესი და გარდუვალი მოსპობისათვის.

პოლიტბიუროს დავალებით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
10 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 716
## ნ. ი. ბუხარინს [469]

რა საჭიროა ა ხ ლ ა შევეხოთ ჩვენსა და თქვენს უთანხმოებებს (იქნებ, შესაძლებელს), თუ **მთელი** ც ე კ ა ს ს ა ხ ე ლ ი თ საკმარისია განვაცხადოთ (და დავამტკიცოთ):

(1) პროლეტარული კულტურა = კომუნიზმს
(2) ახორციელებს რკპ

(3) კლას.-პროლეტარ. = რკპ-ს = **საბჭოთა ხელისუფლე-ბას.**

ამისა ჩვენ ყველანი თანახმა ვართ, არა?

დაწერილია 1920 წლის
11 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1958 წელს
ჟურნალში „ვოპროსი ისტორიი
კპსს" № 1

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 717

## ა. მ. გელერს

ამხ. გელერ!

მიშოვეთ აუცილებლად ტრევესის სიტყვა, აქ ციტირებული (pagina* 3) [470].

შეაგროვეთ **მთელი** მასალა და გადათარგმნეთ იქიდან **მთავარი**, რათა **დაამტკიცოთ ყოველი** დებულება ტურინის პროგრამისა, **დაამტკიცოთ.**

სალამი! ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
11 ოქტომბერსა და 4 ნოემბერს
შუა

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 718

## ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს

1920 წ. 12. X.

ამხ. ბონჩ-ბრუევიჩ!

ძალიან გთხოვთ სთხოვოთ სათანადო დაწესებულებებსა და ხელისუფალთ მისცენ ბინა (თბილი) და სადილები ამხ. ტ ე ო-

* — გვერდი. რ ე დ.

დ ო რ ო ვ ი ჩ ს და მის ოჯახს, რომლებიც ციმბირიდან ჩამოვიდნენ.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

### 719

## წინადადება რკპ (ბ) ცკ-ის პოლიტბიუროს სომხეთის მდგომარეობის საკითხზე [471]

წინადადება შემომაქვს პოლიტბიუროში დამტკიცდეს ჩიჩერინის სამივე წინადადება.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
12 ან 13 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

### 720

## ნ. ნ. კრესტინსკის [472]

კრესტინსკის

წინადადებას გაძლევთ ა ი ძ უ ლ ო თ მანუილსკი წავიდეს ს ა უ კ ე თ ე ს ო ექიმებთან (გაგზავნეთ ისინი მასთან) დიაგნოზისა და **სერიოზული** მკურნალობისათვის.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
12 ოქტომბერზე გვიან

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 721

## რკპ (ბ) ცკ-ის პოლიტბიუროს წევრებს [473]

**პოლიტბიუროს** წ ე ვ რ ე ბ ს

ჩემი აზრით, დაეთანხმეთ მთავარსარდალს და დასძინეთ: დაზავების ფაქტობრივ დამყარებამდე.

13/X. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
13 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1961 წელს
წიგნში „სსრ კავშირის სამოქალაქო ომის ისტორიიდან", ტ. 3

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 722

## გ. მ. კრჟიჟანოვსკის

14/X.

გლებ მაქსიმილიანეს ძევ!

გიგზავნით ნიკოლაევის პასუხს.

ხვალ უნდა ჩამოვიდეს ბოტინი, და მას თქვენ გამოგიგზავნით.

საჭიროა, ნიკოლაევის ყოყმანისა და ეჭვების გამო, ბოტინთან საქმე დააყენოთ ზუსტ და ფორმალურ ნიადაგზე: ესე იგი ან თქვენ ამბობთ: „არ ღირს სინჯვად". მაშინ მოვსპობთ ყველაფერს. ან თქვენ ამბობთ: „ღირს კიდევ მოვსინჯოთო". მაშინ ბოტინს ვგზავნით თქვენთან და თქვენ მას აძლევთ **ზუსტ** დავალებას, მუშაობის **ზუსტ** პირობებს, **ზუსტ კონტროლს.** (ხომ არ შეიძლება ვაიძულოთ იგი დაწეროს დაწვრილებით, ძალიან დაწვრილებით თბილისის გამოცდილებაზე?)

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
14 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 723

## რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრებს [474]

**ცეკას წევრებს:** გადაჭრით არ ვეთანხმები ამ პროექტს. სახელების გადარქმევა მავნე თამაშია.

IX ყრილობის გადაწყვეტილების შესასრულებლად (გადაწყვეტილების ტექსტს აქვე ვურთავ) საჭიროა, ჩემი აზრით, შეიქმნას შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან **მუდმივი საუწყებათაშორისო კომისია** ჩემი (თუ ამხანაგები წინააღმდეგი არ არიან) თავმჯდომარეობით. ეს სავსებით საკმარისია.

15/X. ლ ე ნ ი ნ ი

გთხოვთ დამიბრუნოთ აღნიშვნებით, ვინ წაიკითხა.

15/X. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
15 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 724

## ე. მ. სკლიანსკის [475]

ამხ. სკლიანსკი! მიეცით რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს დავალება ან, უფრო სწორად, ზუსტი ბრძანება მ ი ა ღ წ ი ო ნ ს წ რ ა ფ დ ა ს რ უ ლ ლ ი კ ვ ი დ ა ც ი ა ს. მიღებული ზომები შემატყობინეთ.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე

15/X. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
15 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 725

## სადგურ შჩუროვოს ცემენტის ქარხნის კოლექტივს

1920 წ. 16. X.

სადგური შჩუროვო
ცემენტის ქარხანა

მივესალმები ამუშავებული ქარხნის მუშებსა და მოსამსახურეებს. იმედი მაქვს, რომ ენერგიული მუშაობით მოახერხებთ აღადგინოთ და გადააჭარბოთ წინანდელ წარმოებას. ვთხოვ საქარხნო კომიტეტსა და კომუჯრედს გამომიგზავნონ ცნობა სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ ერთი-ორი თვის შემდეგ.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

## 726

## სმუს-ის პოლიგრაფიულ განყოფილებას

პირი „პრავდის" ს ტ ა მ ბ ა ს*

გთხოვთ მაცნობოთ, რით აიხსნება „პრავდის" ასეთი ცუდი ანაბეჭდები, როგორიც არის თანდართული ა. წ. 16/X № 231. იმის გამო, რომ ამ საკითხს აღვძრავ სახკომსაბჭოში, წინადადებას გაძლევთ სასწრაფოდ მომცეთ ცნობები იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებსაც თქვენ იღებთ, და იმის შესახებ, თუ რა გარანტიებია არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

დაწერილია 1920 წლის
16 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი,
ვ. ი. ლენინის შევსებული
და ხელმოწერილი
ტექსტის მიხედვით

---

* ეს ფრაზა დაწერილია ვ. ი. ლენინის ხელით. რ ე დ.

727

## ს. პ. სერედას

ამხ. სერედა! გთხოვთ შემატყობინოთ თქვენი აზრი[476].

საჭიროა, უაღრესად სასწრაფოდ, მოამზადოთ **სატრაქტორო კამპანიის გეგმა.**

1) შესყიდვა საზღვარგარეთ
2) წარმოება რუსეთში
3) ტექნიკოსები —
   მუშები და ა. შ.

მომწერეთ აუცილებლად ამ დღეებში, როდის მომცემთ წინასწარ ბარათს (ხომ არ მოვიწვიოთ უცბად თათბირი?).

19/X. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
19 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

728

## ვ. ს. კორნევს

რესპუბლიკის შინაგანი დაცვის ჯარების სარდალს
ამხ. კორნევს
პირი ამხ. ძერჟინსკის

ამხ. შლიხტერი მატყობინებს, რომ ძლიერდება აჯანყება ტამბოვის გუბერნიაში, რომ ჩვენი ძალები, განსაკუთრებით კავალერია, სუსტია.

უთუოდ საჭიროა უსწრაფესი (და სანიმუშო) ლიკვიდაცია*.

---

* იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 724. რ ე დ.

გთხოვთ მაცნობოთ, რა ზომებს იღებთ. საჭიროა მეტი ენერგია გამოიჩინოთ და მეტი ძალები მისცეთ.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე
ვლ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

დაწერილია 1920 წლის
19 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით

**729**

## ფ. ე. ძერჟინსკის

**ს ა ს წ რ ა ფ ო დ**

**ა მ ხ. ძ ე რ ჟ ი ნ ს კ ი ს**

ბანდიტებმა ხელთ იგდეს **ბოლდირევის** (რასკაზოვოს) ფაბრიკები (**ტამბოვის** გუბერნიაში).

უდიდესი საზიზღრობაა.

წინადადებას გაძლევთ ტამბოვის გუბერნიის ჩეკისტები (და საგუბერნიო აღმასკომის მუშაკები), რომლებსაც ეს გამოეპარათ,

1) მისცეთ სამხედრო სამართალში,
2) სასტიკი საყვედური გამოუცხადოთ კორნევს,
3) გაგზავნოთ ახლავე არქიენერგიული ადამიანები,
4) შეახურეთ და მიეცით ინსტრუქციები ტელეგრაფით.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
19 ოქტომბერზე გვიან

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

730

## ა. მ. ლეჟავასა და მ. ნ. პოკროვსკის

ამხ. ამხ. ლეჟავასა და მ. ნ. პოკროვსკის

მტკიცედ მოვითხოვ, რომ საგანგებოდ დააჩქაროთ ეს საქმე და შეიტანოთ **სამშაბათს** (26. X) სახკომსაბჭოში პროექტი დადგენილებისა:

1) გადაწყვიტონ ამ ნივთების გაყიდვა რაც შეიძლება მალე საზღვარგარეთ;

2) მოეთხოვოს განსახკომს **სამშაბათამდე,** 26/X-მდე, ოფიციალური პასუხი, ხომ არ არის იგი წინააღმდეგი (ამბობენ, მან უკვე გადაარჩია ნივთები ჩვენი მუზეუმებისათვის: თანახმა ვარ მიეცეს მათ მხოლოდ ზუსტად საჭირო მინიმუმი);

3) გაიგზავნოს ახლავე საზღვარგარეთ ექსპერტები + ვაჭრების სპეციალური კომისია, შეჰპირდნენ მათ **კარგი** პრემია სწრაფად და ხელსაყრელად გაყიდვისათვის;

4) მიმაჩნია რა, რომ მუშაობა უზომოდ ნელა მიმდინარეობს (33-**დან** 8), აბსოლუტურად აუცილებლად ვთვლი **გაძლიერდეს** საექსპერტო. კომისიის შემადგენლობა (გორკი ამბობს *200*-მდე კაცი) და მიეცეთ მათ **ულუფა** სამუშაოს სწრაფად დამთავრების პირობით [477].

21/X. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
21 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

731

## ნ. პ. ბრიუხანოვს

1920 წ. 21. X.

**ამხ. ბრიუხანოვს**

სტავროპოლელი გლეხები (რომლებმაც პური ჩამოუტანეს ბავშვებს) ჩივიან, რომ არ აძლევენ კოოპერატივებიდან

თვლების საპოხს (არის საწყობში),
ასანთს
და სხვა საქონელს.

ქაშაყი დაალპეს, მაგრამ არ მისცეს.

საშინელი უკმაყოფილებაა. გუბერნიის სურსათის კომისარი ამბობს, რომ დაამთავრებთ მთელ გაწერას და მაშინ მოგცემთო.

მოითხოვენ აუცილებლად **გასცენ დაუყოვნებლივ**.

გაწერა 27 მილიონი ფუთისა მეტისმეტია, და იღებენ თ ე ს ლ ს. აუცილებლად ნაკლები დაითესებაო.

სტავროპოლის გუბერნია — საშუალო მოსავალი (27).

ყუბანის გუბერნია სტავროპოლისაზე უკეთესია (37 მილიონი ფუთი).

გთხოვთ **ს ა ს წ რ ა ფ ო დ** განიხილოთ, განსაკუთრებით პირველი პუნქტი, და გამომიგზავნოთ თქვენი აზრი არა უგვიანეს ხვალისა.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი

(ლ ე ნ ი ნ ი)

მისამართი: ყაზანის (ვაგზალი), სატვირთო სადგური, ვაგონი № *506955*, თბილანა მრუდე ლიანდაგზე, პ ე ტ რ ო ვ ი პარტიის საგუბერნიო კომიტეტიდან.

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში | იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**732**

## მცირე სახკომსაბჭოს [478]

გთხოვთ განიხილოთ ეს საქმე **რაც შეიძლება მალე**. თანდართულიდან ჩანს, რომ ს უ რ ს ა თ ი ს კ ო მ ი ს ა რ ი ა ტ ი ს განკარგულება (ცენტრი) ამ პროდუქტებს გადასცემს მ ე ც ნ ი ე რ თ ა ყ ო ფ ა-ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს გ ა უ მ ჯ ო ბ ე ს ე ბ ი ს კ ო მ ი ს ი ი ს განკარგულებაში. მაშასადამე, ც ე ნ ტ რ ი ს თ ა ნ ხ-

მ ო ბ ი ს გ ა რ ე შ ე პიტერს უფლება არა აქვს მოახდინოს რეკვიზიცია და ჩაუთვალოს!

21/X. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 21 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

### 733

## სახელმწიფო გამომცემლობას [479]

21/X. 1920.

1) პირველი — კუსტარობა. კლეინი კარგი წიგნია, საჭიროა მეტი.

2) მეორე (ბროდსკი). არავისთვის არ არის საჭირო და უდროო წამოწყებაა.

ა. ი. რიკოვს ეცნობა მთელი რიგი უარესი შეცდომები და სხვ.

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

მთლიანად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

### 734

## გ. ვ. ჩიჩერინს [480]

ამხ. ჩიჩერინ!

**აუცილებლად** უნდა გაგზავნოთ **ოფიციალური** ნოტა ამ და ყველა ასეთი შემთხვევის გამო.

მისწერეთ ეს ცირკულარულად რუსეთის სფსრ ყველა წარმომადგენელს საზღვარგარეთ.

25/X. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 25 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

735

## ტელეფონოგრამა ა. მ. ლეჟავას, ფ. ფ. სირომოლოტოვს, ს. მ. ფრანკფურტს

ამხანაგებს ლეჟავას
სირომოლოტოვს
ფრანკფურტს

გთხოვთ ისარგებლოთ ამხ. ფრანკფურტის მოსკოვში ყოფნით და მოაწყოთ თათბირი ციმბირში ოქროს მრეწველობის მდგომარეობისა და განვითარების ღონისძიებათა საკითხზე.

თათბირის დასკვნები გთხოვთ მომცეთ სახკომსაბჭოში წარსადგენად ან საკითხის გადასაწყვეტად უწყებათა შეთანხმების გზით და ა. შ.[481]

27/X. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
27 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

736

## პარტიის ვლადიმირის საგუბერნიო კომიტეტს [482]

1920 წ. 27. X.

პარტიის საგუბერნიო კომიტეტს
ვლადიმირი საგუბერნიო

ვადასტურებ, რომ ამხანაგები რატნიკოვი, რიბაკოვი, რომანოვი და გლაზუნოვი სამაზრო პარტიული კონფერენციის (ვლადიმირის გუბერნიის ალექსანდროვის მაზრა) სახელით იყვნენ ჩემთან 1920 წლის 27. X. აღმაშფოთებელ პარტიულ და საბჭოთა უმსგავსოებათა საქმეზე.

მათი მომართვა ჩემდამი მიმაჩნია სავსებით სწორად, გამოწვეული საქმის ვითარებით, და გთხოვთ მაცნობოთ, რა-

საერთო წესი გაქვთ დადგენილი იმისათვის, რომ სამაზრო პარ-ტორგანიზაციების წევრებმა მიმართონ მოსკოვს საერთოდ და რკპ ცეკას კერძოდ.

კომ. სალმით ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

**737**

## რკპ (ბ) საკონტროლო კომისიას

ამხ. ამხ. ძერჟინსკის, მურანოვს, პრეობრაჟენსკისა და სხვ.

ძალიან გთხოვთ მიიღოთ პირადად ამხანაგები რატნიკოვი, რიბაკოვი, რომანოვი და გლაზუნოვი სამაზრო პარტკონფერენციისაგან (ვლადიმირის გუბერნიის ალექსანდროვის მაზრა) ტროიცკის ალჭურვილობის ქარხანაში მომხდარ ა ღ მ ა შ ფ ო თ ე ბ ე ლ მთელ რიგ განსაკუთრებულ ბოროტმოქმედებათა (როგორც საბჭოთა, ისე პარტიულ) საქმეზე და განსაკუთრებით პარტიის წევრთათვის არსებულ იმ სიძნელეთა შესახებ, რომ აცნობონ საქმე ცენტრს და მიაღწიონ საქმის თუნდაც პ ა რ ტ ი უ ლ სწრაფ გარჩევას. როგორც ჩანს — ასეთია ჩემი შთაბეჭდილება — პარტიის საგუბერნიო კომიტეტშიც რიგზე არ არის საქმე. თან ვურთავ ორგბიუროს გადაწყვეტილების პირს.

კომუნისტური სალმით

ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

დაწერილია 1920 წლის 27 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი და ვ. ი. ლენინის ხელმოწერილი ტექსტის მიხედვით

## 738

## ა. ი. რიკოვსა და ი. ი. რადჩენკოს

1920 წ.' 28. X.

1) ამხ. რ ი კ ო ვ ს (ჯერ თუ არ გამოკეთებულა, მაშინ ამხ. მილიუტინს)

2) და მ თ ა ვ ა რ ტ ო რ ფ ს, ამხ. ი. ი. რ ა დ ჩ ე ნ კ ო ს

**პირები:** 3) რ. ე. კლასონს (იპოვეთ რადჩენკოს მეშვეობით),

4) გოელროს თავმჯდომარეს კრჟიჟანოვსკის,

5) სკლიანსკის (§ 4) და ტროცკის,

6) ლეჟავასა და ლომონოსოვს,

7) კინოგანყოფილებას,

8) სოსნოვსკის,

9) შატუნოვსკის (ძირითადი სატრანსპორტო კომისია).

27. X. 1920 მრავალრიცხოვანი პარტიული საზოგადოების წინაშე გაიმართა ახალი ჰიდრავლიკური ტორფმწოვის მუშაობის (ინჟინერ რ. ე. კლასონის) კინემატოგრაფიული გამოსახვა. ეს ტორფმწოვი ახდენს ტორფის მოპოვების მექანიზაციას ძველ წესთან შედარებით.

ამასთან დაკავშირებით ინჟინერმა კლასონმა, მთავარტორფის წარმომადგენლებმა ამხ. ი. ი. რადჩენკომ და ამხ. მოროზოვმა, ამხ. შატუნოვსკიმ (ძირითადი სატრანსპორტო კომისიისაგან) და მე აზრი გავუზიარეთ ერთმანეთს.

ამ აზრთა გაზიარებამ ცხადყო, რომ მთავარტორფის ხელმძღვანელები სავსებით ეთანხმებიან გამომგონებელს ამ გამოგონების დიდი მნიშვნელობის თაობაზე. რუსეთის სფსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და ქვეყნის ელექტრიფიკაციის მთელ საქმეში ტორფის მოპოვების მექანიზაცია შესაძლებლობას იძლევა ვიაროთ წინ განუზომლად უფრო სწრაფად, მტკიცედ და უფრო ფართო ფრონტით. ამიტომ საჭიროა დაუყოვნებლივ მივიღოთ მთელი რიგი ღონისძიებანი სახელმწიფო მასშტაბით ამ საქმის განვითარებისათვის.

გთხოვთ განიხილოთ ეს საკითხი დაუყოვნებლივ და მომცეთ

სასწრაფოდ შეფასება (შესწორებები, დამატებანი, კონტრპროექტები და სხვ.) შემდეგ წინადადებათა გამო, რომლებიც გამომდინარეობენ გუშინდელი წინასწარი აზრთა გაზიარებიდან.

1. მიჩნეულ იქნეს, რომ ტორფის მოპოვების სამუშაოთა ჰიდრავლიკური ხერხის გამოყენებას უპირველესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ განსაკუთრებით სასწრაფოა. გატარდეს ეს შაბათს, 30/X, სახკომსაბჭოში.

2. დაევალოთ იმ მთავარ სამმართველოებს (და სხვ. დაწესებულებებს), რომელთა დახმარებაზე ყველაზე მეტად არის დამოკიდებული (მთავრტორფთან არსებული) „ტ ო რ ფ ი ს ჰ ი დ რ ა ვ ლ ი კ უ რ ი მ ო პ ო ვ ე ბ ი ს კ ო მ ი ს ი ი ს (თუ კომიტეტის?)" მუშაობის წარმატება, გაგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები (უმჯობესია კომუნისტები ან, ყოველ შემთხვევაში, აშკარად კეთილსინდისიერი და გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ ე ნ ე რ გ ი უ ლ ი ადამიანები) ამ კომისიაში მუდმივი მონაწილეობისათვის. განსაკუთრებით დაეკისროთ მათ პასუხისმგებლობა ამ კომისიის შეკვეთებისა და თხოვნების უ ს წ რ ა ფ ე ს ა დ გაუჭიანურებლად შესრულებისათვის. გამოგზავნეთ სახკომსაბჭოში ამ წარმომადგენელთა გვარები და მისამართები.

3. იგივე — ამ საქმეში რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ქარხნის მიმართ. შეადგინეთ ამ ქარხნების სია.

4. დაევალოს ს ა ზ ღ ვ ა ო უწყებას მისცეს ამ კომისიას თავისი წარმომადგენელი, რომელიც სავსებით იცნობს ამ უწყების მასალების მარაგს და ტექნიკურ საშუალებებს.

5. მიეცეს წითელარმიული ულუფა იმ პირთა ჯგუფს, რომელთა მუშაობაზეც უშუალოდ დამოკიდებულია საქმის სწრაფი და სრული წარმატება, ამასთან ერთად გაიზარდოს მათი ანაზღაურება ისე, რომ მათ შეეძლოთ მთელი ძალ-ღონით მოკიდონ ხელი ამ საქმეს. დაევალოს „ტორფის ჰიდრავლიკური მოპოვების კომისიას" დაუყოვნებლივ მისცეს სურსათის სახალხო კომისარიატსა და სრულიად რუსეთის პროფსაბჭოს ამ პირთა ს ი ა (ზუსტი) ანაზღაურების ნორმების, პ რ ე მ ი ე ბ ი ს ა და სხვ. აღნიშვნით.

6. დაუყოვნებლივ განიხილეთ საგარეო ვაჭრობის სახალხო

კომისარიატთან ერთად, რა შეკვეთები უნდა მივცეთ ახლავე შვეციისა და გერმანიის ქარხნებს (იქნებ, დავიქირაოთ იქ ერთი ან რამდენიმე თვალსაჩინო ქიმიკოსი) იმისათვის, რომ 1921 წლის ზაფხულში მივიღოთ ყოველივე აუცილებელი ჰიდრავლიკური ხერხის უფრო სწრაფი და ფართოდ გამოყენებისათვის. კერძოდ, გამოვიყენოთ ამისათვის ის, რომ რამდენიმე დღის შემდეგ ამხ. ლომონოსოვი მიდის შვეციასა და გერმანიაში.

7. დაევალოს კ ი ნ ო გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა ს (განსახკომის?) მოაწყოს ძ ა ლ ი ა ნ ფ ა რ თ ო დ (განსაკუთრებით პეტროგრადში, ივანოვო-ვოზნესენსკში, მოსკოვსა და ტ ო რ ფ მ ო პ ო ვ ე ბ ი ს ა დ გ ი ლ ე ბ შ ი) ჰიდრავლიკური ხერხის კინემატოგრაფიული გამოსახვა, ისე რომ ამასთან აუცილებლად იკითხებოდეს მოკლე და პოპულარული ფურცელი (სთხოვეთ ამხ. სოსნოვსკის რედაქტირება), რომელიც განმარტავს ტორფმოპოვების მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის გიგანტურ მნიშვნელობას.

8. „ტ ო რ ფ ი ს მ ო პ ო ვ ე ბ ი ს ჰ ი დ რ ა ვ ლ ი კ უ რ ი ხ ე რ ხ ი ს კ ო მ ი ს ი ი ს" პირველ მოხსენებას ამ საკითხზე ვნიშნავ სახკომსაბჭოში 1920 წლის 30. X [483].

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

P. S. ამხ. რიკოვ! ხომ არ დავსვათ საკითხი, რომ ს ა ზ ღ ვ ა ო უწყების მასალები და ტექნიკური საშუალებანი უფრო მ ე ტ ა დ მოვახმაროთ წარმოების საშუალებათა წარმოების საჭიროებებს? რისთვის გვჭირდება ახალი ჯავშნოსნები და სხვ.? რა დროს ეგ არის? შ ა ტ უ ნ ო ვ ს კ ი (მიაქციეთ მას ყურადღება, ერთგული მ უ შ ა ა, საზღვარგარეთ ისწავლა მათემატიკა, დასაფასებელია), ამბობს (სოსნოვსკის თქმით), რომ ტროცკიმ საზღვაო უწყებაში იპოვა რაღაც მ ი ლ ი ო ნ ა მ დ ე ფ უ თ ი პ ი რ ვ ე ლ ხ ა რ ი ს ხ ო ვ ა ნ ი ფ ო ლ ა დ ი (ჯავშნოსნებისათვის) და წაიღო ძირითადი სატრანსპორტო კომი-

სიისათვის. შეამოწმეთ, მოიფიქრეთ, იქნებ, შევიტანოთ თავდაცვის საბჭოში ან სახკომსაბჭოში.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა ნაწილობრივ 1925 წელს წიგნში: გ. ბოლტიანსკი. „ლენინი და კინო". მ. — ლ.

შემოკლებით (უპოსტსკრიპტუმოდ) დაიბეჭდა 1934 წელს წიგნში „ლენინი სამეურნეო ფრონტზე. მოგონებათა კრებული". მოსკოვი

მთლიანად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით; პოსტსკრიპტუმი— მ. ი. გლასერის ხელით დაწერილი ტექსტის მიხედვით

## 739

## დეპეშა მ. ვ. ფრუნზეს [484]

1920 წ. 28. X. შიფრით

სამხრეთის ფრონტის სარდალს ფრუნზეს
პირი ტროცკის

თქვენს № 001/ბშ.-ზე აღშფოთებული ვარ თქვენი ოპტიმისტური ტონით, როცა თქვენვე იტყობინებით, რომ ასიდან მხოლოდ ერთი შანსია წარმატებისა მთავარ, დიდი ხნის წინათ დასახულ ამოცანებში. თუ საქმეები ასე უმსგავსოდ ცუდად არის, გთხოვთ განიხილოთ არქისასწრაფო ღონისძიებანი მძიმე არტილერიის მისატანად, მისი მისაზიდი ხაზების ასაგებად, მესანგრეების მისაყვანად და სხვა.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1941 წელს წიგნში „მ. ვ. ფრუნზე სამოქალაქო ომის ფრონტებზე. დოკუმენტების კრებული"

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 740

## პ. ი. პოპოვს[485]

1) საბჭოთა მოსამსახურეების რიცხვი.

2) სახალხო კომისარიატების მიხედვით.

3) თუ შეიძლება—განყოფილებების მიხედვით.

4) თუ შეიძლება — მთავარი კატეგორიების (სპეცები, შინამოსამსახურეები, კანცელარისტები და ა. შ.) მიხედვით.

5) სხვა ცნობები (სქესი და სხვ.) იმის მიხედვით, თუ რა ცნობები არის გამოკითხვის ბარათში.

გთხოვთ გაყოთ სამუშაო ორ ნაწილად:

1) ყველაზე მოკლე ცნობები (რიცხვი და სხვ.)

სულ დიდი 4 კვირა.

2) დაწვრილებითი ცნობები — რამდენი კვირა?

3) ყველაზე დაწვრილებითი — რამდენი კვირა?

1920 წ. 30/X. ვ. ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით

## 741

## ს. ი. ბოტინს

ამხ. ბოტინ!

გთხოვთ აწარმოოთ ყველა ცდის საოქმო ჩანაწერი

1) დენის ან ელექტროენერგიის ძალა,

2) სად (რამდენ საჟენზე) და რ ა გ ე გ მ ი თ ა ა განლაგებული ვაზნები, ლობურის წინ და მის უკან,

3) მიწაზე, ზემოთ, ქვემოთ, მიწის ქვეშ (სიღრმე),

4) როდის და რომელი აფეთქდა,

5) ოქმს ხელი მოაწერეთ სამივემ, ოქმი შეინახეთ თ ქ ვ ე ნ-თ ა ნ ჩემთვის გადმოსაცემად.

თითოეულ ცდაზე ცალკე ჩანაწერი (დღე, საათი და ა. შ.).

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის
ოქტომბერში

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

**742**

## რეზოლუცია ნ. ა. სემაშკოს ტელეფონოგრამაზე

სახკომსაბჭომ 4 ოქტომბრის სხდომაზე დაადგინა წინადადება მისცეს დასავლეთის ფრონტის სამხედრო-რევოლუციურ საბჭოს გაათავისუფლოს უნივერსიტეტის შენობა ქალაქ სმოლენსკში, ტელეგრამით მისცეს წინადადება რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციურ საბჭოს შეასრულოს ეს დადგენილება. სახკომსაბჭოს დადგენილების შესასრულებლად ამხ. სკლიანსკიმ გადასცა ეს გადაწყვეტილება სამხედრო-რევოლუციურ საბჭოს შესასრულებლად. მიუხედავად ამისა, დასავლეთის ფრონტის შტაბს უნივერსიტეტის შენობა დღემდე არ გაუთავისუფლებია. იმის გამო, რომ უნივერსიტეტს უკიდურესად ესაჭიროება (სპეციალურ ფაკულტეტს) შენობა, შემომაქვს თქვენთან საჩივარი სახკომსაბჭოს დადგენილების შეუსრულებლობის გამო და გთხოვთ მისცეთ კატეგორიული წინადადება დასავლეთის ფრონტის სამხედრო-რევოლუციურ საბჭოს.

ჯანსახკომი ს ე მ ა შ კ ო

ამხ. **სკლიანსკის**

დაუყოვნებლივ შეასრულეთ. შესრულება მომახსენეთ, ხოლო დაუმორჩილებლობისა და სასჯელის საკითხი შემაქვს მცირე საბჭოში.

2/XI.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

დაწერილია 1920 წლის
2 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

748

## ა. ზ. ჰოლცმანს

1920 წ. 3/XI. 21 საათი და 25 წუთი.

ს ა ს წ რ ა ფ ო დ. პ ი რ ა დ ა დ

ამხ. ჰ ო ლ ც მ ა ნ ს

პირი ე ი ს მ ო ნ ტ ს

პირი მ თ ა ვ ა რ ტ ა ნ ს ა ც მ ე ლ ს

მთავარტანსაცმელმა პრემირების კომისიის განსახილველად უნდა შეიტანოს საკითხი 20 000 წყვილი სამონადირეო ჩექმის წარმოების პრემირების შესახებ.

საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი გამარჯვებისათვის სამხრეთში, და ყველაზე მნიშვნელოვანია ჩექმების სწრაფად დამზადება. გთხოვთ სასწრაფო წესით განიხილოთ ეს საქმე და მიიღოთ ზომები, რომ ჩექმები მართლაც იმ ვადაში შეიკეროს, რომელსაც მთავარსარდალი ამხ. კამენევი მოითხოვს.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე

ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

P. S. ამხ. სკლიანსკის ვავალებ კონტროლი გაუწიოს შესრულებას*.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით 1961 წელს წიგნში „ლენინური იდეები ცოცხლობენ და იმარჯვებენ. სტატიების კრებული"

მთლიანად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 51

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი, ვ. ი. ლენინის შევსებული და ხელმოწერილი ტექსტის მიხედვით

---

* მიწერილია ვ. ი. ლენინის ხელით. რ ე დ.

# შენიშვნები

1 ვ. ი. ლენინის მიწერილობა წარწერილია პეტროგრადის საბჭოსთან არსებული სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ბრძანებაზე წითელი გვარდიის შტაბისადმი. ბრძანებაში იყო განკარგულება—მიეტანათ პოზიციებზე ცარსკოე სელოსთან, პულკოვის შტაბში, ბენზინი, ოთხი საარტილერიო ბატარეა, სამი ავტომობილი, საველე ტელეფონები, მიეყვანათ ველონაწილის ჯარისკაცები ან მოტოციკლისტები.

იზმაილოვის პოლკის შტაბში მოსკოვის გზატკეცილზე უნდა მიეტანათ ბენზინი, ერთი ავტომობილი, ორი საარტილერიო ბატარეა, მიეყვანათ მესანგრეები სანგრების სათხრელად, მოტოციკლისტი ან ველოსიპედისტი მეკავშირეები, ადგილის რუკები. სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი მოითხოვდა აგრეთვე შექმნილიყო „საერთო შტაბი მთელი ოპერაციისათვის“ და მოწყობილიყო წითელი გვარდიის სასურსათო მომარაგება. — 1.

2 ლაპარაკია რსდმპ (ბ) პეტროგრადის კომიტეტის რეზოლუციაზე, რომელიც კომიტეტმა მიიღო ეგრეთ წოდებული „ერთგვაროვანი სოციალისტური მთავრობის“ შექმნის საკითხზე სხვადასხვა პარტიისა და ორგანიზაციის წარმომადგენლებისაგან — „ბოლშევიკებიდან სახალხო სოციალისტებამდე“. ასეთი მთავრობის შექმნას მოითხოვდნენ მენშევიკები და ესერები, რომლებიც ვარაუდობდნენ დაეკავებინათ მასში ხელმძღვანელი როლი. მენშევიკებისა და ესერების წინადადებას მხარი დაუჭირა რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრთა ნაწილმა — ლ. ბ. კამენევმა, გ. ე. ზინოვიევმა, ა. ი. რიკოვმა და მათმა მცირერიცხოვანმა მომხრეებმა. 1917 წლის 2 (15) ნოემბერს გაიმართა ბოლშევიკების პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომა, რომელმაც გადაჭრით დაგმო კაპიტულანტთა მემარჯვენე-ოპორტუნისტული, შემთანხმებლური პოზიცია (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 26,

გვ. 322 — 324). როგორც ჩანს, ლენინმა ეს ბარათი დაწერა ცენტრალური კომიტეტის სხდომის დროს.

ვ. ი. ლენინის ბარათი წაიკითხეს პარტიის პეტროგრადის კომიტეტის სხდომაზე. მიმდინარე მომენტის გამო მიღებულ რეზოლუციაში პეტროგრადის კომიტეტმა განაცხადა, რომ პროლეტარულ რესპუბლიკაში მთავრობა უნდა იყოს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების მთავრობა, რომ საბჭოთა ხელისუფლების ამოცანაა ბოლშევიკების მიერ წამოყენებული რევოლუციური პროგრამის განხორციელება და მისგან რაიმე გადახვევა შეუწყნარებელია. ეს რეზოლუცია გაეგზავნა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

3 (16) ნოემბერს ცენტრალურმა კომიტეტმა ოპოზიციურ უმცირესობას წარუდგინა ულტიმატუმი და მოსთხოვა სრული დამორჩილება ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებისადმი (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 26, გვ. 325 — 327). მაგრამ, უარი თქვეს რა დამორჩილებოდნენ პარტიულ დისციპლინას, შემთანხმებლები გამოვიდნენ ცენტრალური კომიტეტიდან და სახალხო კომისართა საბჭოდან. ცენტრალურმა კომიტეტმა დაგმო შტრაიკბრეხერები (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 26, გვ. 349—350). მთავრობის შემადგენლობაში შეყვანილ იქნენ პარტიის საქმის ერთგული ახალი ადამიანები. — 1.

3 წერილში ი. მ. სვერდლოვისადმი ლაპარაკია, ალბათ, თ. თ. ობრაზცოვზე, რომელიც ვ. ი. ლენინთან იყო მიღებაზე როგორც ტვერის გუბერნიის ოთხი თემის გლეხთა წარმომადგენელი.

წერილის ზემო ნაწილში ვ. ი. ლენინმა წააწერა: „II სართული, ოთახი 39". სმოლნში ამ ოთახში მუშაობდა ი. მ. სვერდლოვი მას შემდეგ, რაც იგი აირჩიეს 1917 წლის 8 (21) ნოემბერს სრულიად რუსეთის ცაკის თავმჯდომარედ. — 2.

4 ეს წერილი ვ. ი. ლენინმა დაწერა იმასთან დაკავშირებით, რომ „ამერიკის, საფრანგეთისა და ინგლისის მუშათა პრესის მაინფორმირებელი საერთაშორისო ასოციაციის" წარმომადგენელმა რუმინელმა ჟურნალისტმა ნ. დ. კოჩამ, რომელიც იმ დროს პეტროგრადში იყო, ასოციაციის სახელით მიმართა მას თხოვნით ეპასუხა შემდეგ ექვს კითხვაზე": „1) განაგრძობს თუ არა სახალხო კომისართა მთავრობა იმავე ენერგიით თავის წინანდელ საშინაო პოლიტიკას და თავის საერთაშორისო გამოსვლებს მშვიდობის მიზნით? 2) როგორია ის დიდი რეფორმები, რომლებსაც ახლანდელი მთავრობა აპროექტებს რუსეთში სოციალისტური წყობილების დამყარებისათვის? 3) დამფუძნებელი კრების მოწვევის შემდეგ სახალხო კომისართა მთავრობა იქნება პასუხისმგებელი მის წინაშე, როგორც კონსტიტუციურ სახელმწიფოებშია, თუ არა?

4) ფიქრობთ თუ არა, რომ რუსეთის მიერ შეთავაზებული ზავი ბოლოს მოუღებს მსოფლიო მილიტარიზმს? 5) როდის და როგორ ფიქრობთ დაიწყოთ რუსების დემობილიზაცია? 6) მიგაჩნიათ თუ არა შესაძლებლად ევროპის ახლანდელი მდგომარეობის პირობებში სოციალიზმის სრული განხორციელება?".

ნ. დ. კოჩამ საპასუხო წერილში აღუთქვა, რომ ვ. ი. ლენინის მიერ წამოყენებული პირობები მისი პასუხის გამოქვეყნების თაობაზე მთლიანად შესრულდებოდა. ნ. დ. კოჩას წერილს ლენინმა წააწერა: „პასუხი გაცემულია 1917 წლის 10/XI". ლენინის პასუხი დასმულ კითხვებზე არ არის ნაპოვნი.

ეს დოკუმენტი აღმოჩნდა რუმინეთში. 1960 წელს რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა იგი საჩუქრად გადასცა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს. — 2.

5 1917 წლის 22 ნოემბერს (5 დეკემბერს) სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დეკრეტი სასამართლოს შესახებ, რომელიც მეორე დღეს გამოქვეყნდა გაზეთ „პრავდაში". 24 ნოემბერს (7 დეკემბერს) სასამართლოს საკითხი დეკრეტთან დაკავშირებით განიხილა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომამ. საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მოიწონა დეკრეტი სასამართლოს შესახებ და დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი მის განსახორციელებლად. რაიონულ საბჭოებს წინადადება მიეცათ დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ ადგილობრივი მოსამართლეების არჩევნებს. — 4.

6 ვ. ი. ლენინი შეიყვანეს დამფუძნებელი კრების კანდიდატთა სიაში რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისაგან ხუთ ოლქში: პეტროგრადი — დედაქალაქისა, პეტროგრადის გუბერნია, უფა, ბალტიის ფლოტი და ჩრდილოეთის ფრონტი. გარდა ამისა, ლენინი დამფუძნებელი კრების კანდიდატად დაასახელეს მოსკოვიდან. დამფუძნებელი კრების არჩევნები გაიმართა 1917 წლის 12 (25) ნოემბერს. დამფუძნებელი კრების არჩევნების სრულიად რუსეთის კომისიამ 27 ნოემბერს (10 დეკემბერს) მიმართა რამდენიმე ოლქში არჩეულ დამფუძნებელი კრების წევრებს თხოვნით შეეტანათ წერილობითი განცხადებები იმ ოლქის აღნიშვნით, რომელშიც ისინი დაეთანხმნენ არჩევას. რადგან არჩეული იყო რამდენიმე ოლქში, ლენინმაც შეიტანა ასეთი განცხადება. (იხ. აგრეთვე თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 50, დოკუმენტი 23.) — 7.

7 1917 წლის ნოემბერსა და დეკემბერში პეტროგრადში მოხდა ღვინის საწყობების, მაღაზიებისა და დუქნების დარბევა, რაც მოაწყვეს კონტრრევოლუციურმა ელემენტებმა.

პეტროგრადში გამოცხადდა საალყო წესები. პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსთან შეიქმნა დარბევებთან ბრძოლის კომიტეტი. პეტროგრადის საგანგებო სამხედრო კომისრად ლოთობის და დარბევების წინააღმდეგ საბრძოლველად დაინიშნა გ. ი. ბლაგონრავოვი.

5—6 (18—19) დეკემბერს გამოავლინეს კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, რომელსაც კადეტები და შავრაზმელები მეთაურობდნენ. ორგანიზაცია მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და მონარქიის აღდგენას. დარბევებისა და პროვოკაციების მოსაწყობად, როგორც ბრძოლის ერთ-ერთი საშუალებისათვის, მას ასიგნებული ჰქონდა დიდი ფულადი თანხები, ქმნიდა ბანდებს, უშვებდა სპეციალურ ფურცლებს. — 7.

8 ვ. ა. ანტონოვ-ოვსეენკო 1917 წლის დეკემბერში გაემგზავრა უკრაინაში საბჭოთა ჯარების სარდლად, რომლებიც იბრძოდნენ კალედინელთა წინააღმდეგ. — 8.

9 ვ. ი. ლენინისათვის გაგზავნილ ბარათში ა. ს. სოლოვიოვი ყურადღებას მიაქცევდა უხტის ნავთობის საბადოს, სთხოვდა გაეცა განკარგულება, რომ დაეთვალიერებინათ იგი და დაეწყოთ დამუშავება. მან ბარათს დაურთო უხტის ნავთობის ანალიზების საფუძველზე შედგენილი მისი თვისებების დაწვრილებითი დახასიათება.

ამჟამად უხტის რაიონში (კომის ასსრ) განვითარებულია ნავთობის მრეწველობა, მოქმედებენ ნავთობის მომპოვებელი და გადამმუშავებელი საწარმოები. — 10.

10 პ. ა. კოზმინი იმ პერიოდში იყო თავდაცვის განსაკუთრებული თათბირის თავმჯდომარის მოადგილე. თავის მოგონებებში „ვ. ი. ლენინი და სპეციალისტები" კოზმინს მოჰყავს ლენინის ეს ბარათი და წერს, რომ ბარათში დასმული საკითხის განხილვის შემდეგ „მესაბოტაჟეთა კომისია გააძევეს". — 10.

11 ფრანგმა სოციალისტმა შარლ დიუმამ, რომელიც პეტროგრადში ჩამოვიდა 1917 წლის დეკემბერში, სთხოვა ვ. ი. ლენინს მიეღო იგი, იმოწმებდა რა მასთან ნაცნობობას. ვ. ი. ლენინმა და ნ. კ. კრუპსკაიამ შ. დიუმა გაიცნეს პარიზში, სადაც ცხოვრობდნენ 1908 წლის დეკემბრიდან 1912 წლის 10 (23) ივნისამდე.

მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში (1914—1918) შ. დიუმა იდგა სოციალ-შოვინისტურ პოზიციებზე, რისთვისაც ლენინი მკაცრად აკრიტიკებდა მას თავის ნაშრომში „II ინტერნაციონალის კრახი" (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 240—243). — 11.

12 1917 წლის 12 (25) დეკემბერს სრულიად უკრაინის საბჭოების პირველმა ყრილობამ, რომელიც ხარკოვში მიმდინარეობდა, უკრაინა გამოაცხადა საბჭოთა რესპუბლიკად და აირჩია სრულიად უკრაინის საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. სახკომსაბჭოს სახელზე გაგზავნილ 13 (26) დეკემბრის დეპეშაში უკრაინის ცაკი აცხადებდა უკრაინისა და საბჭოთა რუსეთის ხალხების ინტერესთა ერთიანობას. სახალხო კომისართა საბჭომ 16 (29) დეკემბერს დეპეშით უპასუხა, რომელშიც მიესალმებოდა „უკრაინაში ჭეშმარიტად სახალხო საბჭოთა ხელისუფლების" შექმნას და ჰპირდებოდა „მოძმე რესპუბლიკის ახალ მთავრობას სრულ და ყოველმხრივ მხარდაჭერას მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში, აგრეთვე უკრაინის მშრომელი ხალხისათვის მთელი მიწების, ფაბრიკების, ქარხნებისა და ბანკების გადაცემის საქმეში".

1917 წლის 19 დეკემბერს (1918 წლის 1 იანვარს) სახკომსაბჭომ გ. კ. ორჯონიკიძე დანიშნა უკრაინის დროებით საგანგებო სახალხო კომისრად უკრაინაში მომუშავე საბჭოთა ორგანიზაციების მოქმედების გასაერთიანებლად. — 12.

13 ლაპარაკია მე-8 არმიის რევოლუციური კომიტეტის წევრების კუზმინისა და რეიზონის დეპეშაზე. დეპეშა იუწყებოდა უკრაინის ცენტრალური რადისა და რუმინეთის ფრონტის კონტრრევოლუციური სარდლობის პროვოკაციულ მოქმედებას, რომლებიც მიზნად ისახავდნენ მე-8 არმიის გახრწნასა და განიარაღებას.

უ კ რ ა ი ნ ი ს ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი რ ა დ ა — კონტრრევოლუციური ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ორგანიზაცია. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ თავი გამოაცხადა „უკრაინის სახალხო რესპუბლიკის" უმაღლეს ორგანოდ და დაადგა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აშკარა ბრძოლის გზას.

1917 წლის დეკემბერში ხარკოვში გაიმართა სრულიად უკრაინის საბჭოების I ყრილობა, რომელზედაც უკრაინა გამოცხადდა საბჭოთა რესპუბლიკად. ყრილობამ გამოაცხადა ცენტრალური რადის ხელისუფლების დამხობა. რუსეთის სფსრ სახალხო კომისართა საბჭომ უკრაინის საბჭოთა მთავრობა ცნო უკრაინის ერთადერთ კანონიერ მთავრობად. 1918 წლის იანვარში საბჭოთა ჯარები უკრაინაში გადავიდნენ შეტევაზე და 26 იანვარს (8 თებერვალს) დაიკავეს კიევი, რითაც დაამხეს ბურჟუაზიული რადის ბატონობა.

განადგურებულმა და საბჭოთა უკრაინის ტერიტორიიდან განდევნილმა ცენტრალურმა რადამ, რომელსაც დასაყრდენი არ ჰქონდა მშრომელთა მასებში, კავშირი დაამყარა გერმანელ იმპერიალისტებთან უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების დამხობისა და ბურჟუაზიული წყობილების რესტავრაციის მიზნით. გერმანიასთან საბ-

ჭოთა რესპუბლიკის საზავო მოლაპარაკების დროს რადამ ბრესტ-ლიტოვსკში გაგზავნა თავისი დელეგაცია და საბჭოთა დელეგაციის ზურგს უკან დადო გერმანიასთან სეპარატული ზავი, რომლითაც გერმანიას აძლევდა უკრაინის პურს, ქვანახშირს, ნედლეულს, ხოლო იღებდა სამხედრო დახმარებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. 1918 წლის მარტში ავსტრია-გერმანიის ოკუპანტებთან ერთად რადა დაბრუნდა კიევში და გახდა მარიონეტი მათ ხელში. როცა დარწმუნდნენ, რომ რადა უძლური იყო ჩაეხშო რევოლუციური მოძრაობა უკრაინაში და უზრუნველეყო სურსათის საჭირო მიწოდება, ინტერვენტებმა აპრილის დამლევს დაშალეს იგი. — **13.**

14 1918 წლის 5 (18) იანვარს პეტროგრადის თავრიდის სასახლეში გაიხსნა საბჭოთა მთავრობის მიერ მოწვეული დამფუძნებელი კრება. მას შემდეგ, რაც დამფუძნებელი კრების კონტრრევოლუციურმა უმრავლესობამ უარი თქვა ეცნო საბჭოთა ხელისუფლება და მისი დეკრეტები, უარყო სრულიად რუსეთის ცაკის მიერ წარმოდგენილი „მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაცია“, ბოლშევიკურმა ფრაქციამ ვ. ი. ლენინის მეთაურობით დატოვა სხდომა. გვიან ღამით დამფუძნებელი კრება დატოვეს აგრეთვე მემარცხენე ესერებმა. დარბაზში დარჩნენ მხოლოდ კადეტები, მემარჯვენე ესერები და მენშევიკები.

სრულიად რუსეთის ცაკის 6 (19) იანვრის დეკრეტით ბურჟუაზიული დამფუძნებელი კრება დათხოვნილ იქნა. — **14.**

15 ა. ი. შინგარიოვი და თ. თ. კოკოშკინი, ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის ყოფილი მინისტრები, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ დააპატიმრეს და იმყოფებოდნენ პეტრე-პავლეს ციხეში, საიდანაც ავადმყოფობის გამო გადაიყვანეს მარინეს საავადმყოფოში. 1918 წლის 6 (19) იანვარს, ღამით, ისინი დახოცეს საავადმყოფოში შეჭრილმა მატროსებმა, რომელთა შორის იყვნენ ანარქისტულად განწყობილი და სისხლის სამართლის დამნაშავე ელემენტები.

ვ. ი. ლენინის მითითებით დაუყოვნებლივ შეიქმნა საგამომძიებლო კომისია. მკვლელობაში დამნაშავენი დააპატიმრეს და სასამართლო პასუხისგებაში მისცეს. — **14.**

16 ლაპარაკია მე-2 გვარდიული ფლოტის ეკიპაჟის მატროსთა ნაწილზე, რომელმაც უკანონოდ დააპატიმრა სამი ოფიცერი. ეს მატროსები კონტრრევოლუციური აგიტაციის გავლენით არ ემორჩილებოდნენ საბჭოთა ხელისუფლების კანონებს, ლოთობდნენ, აწარმოებდნენ უკანონო ჩხრეკასა და დაპატიმრებებს. ისინი განაიარაღეს და დააპატიმრეს. ამ ეკიპაჟის სხვა, უკეთესი ნაწილი წავიდა სამხრეთის ფრონტზე, სადაც წითე-

ლი არმიის ნაწილებთან ერთად გმირულად იბრძოდა ინტერვენტთა და თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ. — **15**.

17 ეს დოკუმენტი და მის შემდეგ გამოქვეყნებული ბარათი მდივანს ვ. ი. ლენინმა დაწერა იმასთან დაკავშირებით, რომ მიიღო დასავლეთ ციმბირისა და ურალის სამხარეო საბჭოს სასურსათო-ეკონომიური კომიტეტისაგან მიმართვა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ომსკის რკინიგზა საზოტაჟს უწევს დასავლეთში სასურსათო ტვირთის გაგზავნას, რის გამო ათასზე მეტი დატვირთული ვაგონი გაუგზავნელი დგას. კომიტეტი მიმართავდა თხოვნით საგანგებო საგამომძიებლო კომისიის დანიშვნის შესახებ. ეს მიმართვა მიიტანეს ურალის ქარხნების დელეგატებმა, რომლებიც პურის სამარშრუტო მატარებლით ჩამოვიდნენ. — **16**.

18 იმპერიალისტური ომიდან საბჭოთა რუსეთის გამოსვლისათვის კომუნისტური პარტიის ბრძოლის პერიოდში კ. რადეკი იდგა „მემარცხენე კომუნისტების“ პოზიციებზე. — **18**.

19 ტ რ ი ბ უ ნ ი ს ტ ე ბ ი — წევრები ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა, რომლის ორგანო იყო გაზეთი „ტრიბუნა“; ტრიბუნისტები წარმოადგენდნენ ჰოლანდიის მუშათა მოძრაობის მემარცხენე ფრთას და მთლიანად იმპერიალისტური ომის წლებში (1914—1918) ძირითადად იდგნენ ინტერნაციონალისტურ პოზიციებზე. 1918 წელს ტრიბუნისტებმა შექმნეს ჰოლანდიის კომუნისტური პარტია. — **18**.

20 იმავე დღეს, 1918 წლის 15 (28) იანვარს, ვ. ი. ლენინის მითითების თანახმად გაცემული იყო განკარგულება გაეღოთ სახსრები იმისათვის, რომ ლუთერაანი წამოსულიყო რუსეთში წითელი გვარდიის რიგებში შესასვლელად. — **19**.

21 1918 წლის 16 (29) იანვარს საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი ჩერკასი, სადგური ბახმაჩი და დაიწყეს წარმატებითი შეტევა კიევზე, სადაც უკრაინის ცენტრალურმა რადამ თავი მოუყარა თავის ძირითად ძალებს.—**20**.

22 ლაპარაკია შვეციის ბურჟუაზიულ პრესაში ფინეთში დაწყებული რევოლუციის გაშუქებაზე.

1918 წლის 27 იანვარს (ახალი სტილით) სვინხუვუდის ბურჟუაზიული მთავრობა დაამხეს, ძალაუფლება გადავიდა მუშათა ხელში. 29 იანვარს შეიქმნა ფინეთის რევოლუციური მთავრობა — სახალხო რწმუნებულთა საბჭო, რომელშიც შევიდნენ ე. გიულინგი, ო. კუუსინენი, ი. სიროლა, ა. ტაიმი და სხვები. მაგრამ პროლეტარულმა რევოლუციამ გაიმარჯვა მხოლოდ სამხრეთ ფინეთში. სვინხუვუდის მთავრობამ, რო-

მელიც გამაგრდა ჩრდილოეთ ფინეთში, დახმარებისათვის მიმართა გერმანიის კაიზერის მთავრობას. 1918 წლის 2 მაისს გერმანიის შეიარაღებული ძალების ჩარევის შედეგად, გააფთრებული სამოქალაქო ომის შემდეგ, რომელიც სამ თვეს გრძელდებოდა, მუშათა რევოლუცია ფინეთში ჩაახშეს. ფინეთში დაიწყო თეთრი ტერორი, ათასობით რევოლუციონერი მუშა და გლეხი დასაჯეს სიკვდილით და აწამეს საპყრობილეებში. — **20.**

23 ეს დოკუმენტი პასუხია არტურ ჰენდერსონის დეპეშაზე, რომლითაც მან მიმართა ვ. ი. ლენინს ინგლისის ლეიბორისტული პარტიის სახელით და შესთავაზა გაეგზავნა ბოლშევიკური პარტიის წარმომადგენლები ანტანტის ქვეყნების სოციალისტთა კონფერენციაზე ლონდონში, რომელიც მოწვეული იყო 1918 წლის 20 თებერვალს ომის საკითხებზე საერთო შეთანხმების შემუშავების მიზნით. — **21.**

24 1918 წლის 28 იანვარს (10 თებერვალს) საზავო კონფერენციაზე ბრესტ-ლიტოვსკში ლ. დ. ტროცკიმ—მიუხედავად ვ. ი. ლენინის დირექტივისა ხელი მოეწერა ზავისათვის იმ შემთხვევაში, თუ გერმანიის მხარე ულტიმატურად მოითხოვდა ამას, — განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა უარს ამბობს ხელი მოაწეროს საზავო ხელშეკრულებას გერმანიის მიერ წამოყენებულ პირობებზე, მაგრამ ომი მიაჩნია შეწყვეტილად და მოახდენს არმიის დემობილიზაციას. იმავე დღეს ტროცკიმ, არაცნობა რა ეს რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტსა და სახკომსაბჭოს, გაუგზავნა უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკს არსებითად პროვოკაციული დეპეშა მიწერილობით გამოეცა 28 იანვარს (10 თებერვალს) ღამით ბრძანება გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან ომის მდგომარეობის შეწყვეტისა და რუსეთის არმიის დემობილიზაციის შესახებ. დეპეშაში არ იყო ნათქვამი, რომ საზავო მოლაპარაკება ბრესტში შეწყდა, და მისი ტექსტიდან შეიძლებოდა დასკვნის გაკეთება, რომ კონფერენცია დამთავრდა ზავის დადებით. 29 იანვარს (11 თებერვალს) დილით ადრე უმაღლესმა მთავარსარდალმა ნ. ვ. კრილენკომ გამოსცა ბრძანება, რომელიც, ტროცკის დეპეშიდან გამომდინარე, იტყობინებოდა ზავის დადებას და განკარგულებას იძლეოდა შეწყვეტილიყო ყველა ფრონტზე საომარი მოქმედება და დაწყებულიყო არმიის დემობილიზაცია. სწორედ კრილენკოს ბრძანებასთან დაკავშირებით გაიგზავნა ეს და ამის შემდეგ გამოქვეყნებული დეპეშები. — **21.**

25 რუსეთის მიწათმოქმედ კომუნისტთა პირველი საზოგადოება შეიქმნა 1918 წლის დამდეგს ობუხოვის ქარხნის პეტროგრადელ მუშათა ინიციატივით. ვ. ი. ლენინი დიდ დახ-

მარებას უწევდა მუშებს საზოგადოების შექმნაში. 1918 წლის მარტში საზოგადოების წევრები ოჯახებიანად გაემგზავრნენ ყაზახეთში, სადაც დასახლდნენ და მიიღეს მიწა დასამუშავებლად. სამოქალაქო ომმა გასაქანი არ მისცა პეტროგრადელ მუშათა თაოსნობას, კომუნარებმა ვერ მოასწრეს თავიანთი პირველი მოსავლის აღებაც კი. კულაკები და თეთრი კაზაკები თავს დაესხნენ კომუნას და გაანადგურეს იგი. — **22**.

26 განკარგულება ვ. ი. ლენინმა დაწერა დეპეშის ტექსტის ქვეშ, რომელიც მიიღო ბალტიის ფლოტის სარდლობისაგან. დეპეშაში ნათქვამი იყო: „ოლანდის კუნძულს მიუახლოვდნენ შვეციის გემი, კრეისერი და ნაღმოსანი შვეციის სამხედრო ალმით, გადმოსხეს 15 შვედი მატროსი და ჩვენი კავშირგაბმულობის სამსახური იარაღის გამოყენების მუქარით აიძულეს უკან დაეხია“.

ამავე დროს ვ. ი. ლენინმა დეპეშა გაუგზავნა ფინეთის სახალხო მთავრობას (იხ. შემდეგი დოკუმენტი). — **24**.

27 ფინეთის რევოლუციურმა სახალხო მთავრობამ პროტესტი გაუგზავნა შვეციის მთავრობას ალანდის კუნძულებზე შვეციის ჯარების გადასხმასთან დაკავშირებით. მალე შვეციამ გაიყვანა თავისი ჯარები კუნძულებიდან. 1918 წლის მარტის შუა რიცხვებში იქ გადასხეს გერმანიის ჯარები, რომლებსაც გერმანიის მთავრობა იყენებდა ფინეთის რევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად. — **25**.

28 ლაპარაკია გენერალ ალექსეევის წერილზე, რომელიც ხელთ იგდეს ნოვოჩერკასკში და რომელიც ეგზავნებოდა საფრანგეთის მისიას კიევში. იგი გამოქვეყნდა 1918 წლის 19 თებერვლის № 28 გაზეთ „იზვესტიაში“. თავის წერილში გენერალი ალექსეევი თხოვნით მიმართავდა საფრანგეთის მისიას გაეწიათ მისთვის დახმარება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგან მისი ჯარები სერიოზულ მარცხს განიცდიდნენ და იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ დონის ტერიტორია. ახასიათებდა რა ვითარებას დონისა და ყუბანის ოლქებში, ალექსეევი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ იმედი, რომელსაც იგი კაზაკობაზე ამყარებდა, ვერ გამართლდა. „ბოლშევიზმის იდეებმა, — წერდა იგი, — მომხრეები ჰპოვეს კაზაკთა ფართო მასებში“. — **27**.

29 შეკითხვა დაწერა ვ. ი. ლენინმა იმასთან დაკავშირებით, რომ სმუს-ი აწარმოებდა საწყობებში არსებული ტვირთის აღრიცხვას. უპასუხა რა დასმულ კითხვებზე, რიკოვმა აცნობა ლენინს, რომ: 1) ტვირთები აღწერილია კერძო, საინტენდანტო, რკინიგზისა და სხვა საწყობების მიხედვით; 2) საწყობების დაცვისათვის პასუხს აგებენ ის ორგანიზაციე-

ბი, რომლებზეც ისინი ირიცხებიან, საწყობებიდან საქონლის გაცემა წარმოებს შესაბამისი ცენტრების (ცენტროტექსტილი, ცენტროსაპონი და ა. შ.) ზედნადებების მიხედვით; 3) ნორმირებულ და ბარათულ განაწილებას აწარმოებს საქალაქო სასურსათო კომიტეტი კოოპერაციული დუქნებისა და კერძო ფირმების მეშვეობით; 4) კონფისკებული პროდუქტები ძალიან ცოტაა. — **28**.

30 ეს ბარათი პასუხია მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ფოსტისა და ტელეგრაფის კომისრის ვ. ნ. პოდბელსკის შემდეგ შეკითხვაზე: „ეს-ეს არის ტროცკის სახელით გვაცნობეს ტელეფონით, რომ თითქოს ავსტრია-უნგრეთმა განაცხადა, რომ უარს ამბობს გაილაშქროს რუსეთის წინააღმდეგ. გთხოვთ ახლავე დაუკავშირდეთ ტელეფონით ტროცკის ან ვინმე სხვა სახალხო კომისარს, შეამოწმოთ ეს ცნობა და შეგვატყობინოთ. ჩვენთან ახლა მუშათა დეპუტატების საბჭოს კრებაა, რომელიც მოელის ამ ცნობის შემოწმებას. ამასთან გაიგეთ აგრეთვე საერთოდ უკანასკნელი ახალი ამბები, ოღონდ შემოწმებული, და გვაცნობეთ ახლავე. გთხოვთ, ამხანაგო, გააკეთოთ ეს, ჩვენთვის ეს ძალზე საჭიროა". — **28**.

31 დოკუმენტი დაწერა ვ. ი. ლენინმა იმასთან დაკავშირებით, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე 1918 წლის 22 თებერვალს განხილული იყო ინგლისისა და საფრანგეთისაგან იარაღისა და სურსათის შეძენის საკითხი, რომლებიც საჭირო იყო შეტევაზე გადმოსული გერმანელთა ჯარებისაგან საბჭოთა რესპუბლიკის დასაცავად. ამის წინააღმდეგ გაილაშქრეს „მემარცხენე კომუნისტებმა", რომლებსაც პრინციპულად შეუწყნარებლად მიაჩნდათ რაიმე შეთანხმება იმპერიალისტებთან. ლენინი ვერ დაესწრო ცენტრალური კომიტეტის სხდომას და გაუგზავნა ცენტრალურ კომიტეტს აღნიშნული წერილი.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც აღიარებდა, რომ საჭიროა წითელი არმიის შეიარაღება და აღჭურვა ყველა საშუალებით, მათ შორის კაპიტალისტური ქვეყნების მთავრობებისაგან მათი შეძენის გზითაც, ამასთან საგარეო პოლიტიკის სრული დამოუკიდებლობის შენარჩუნება. იმავე დღეს ინგლისისა და საფრანგეთისაგან იარაღისა და სურსათის შეძენის საკითხი დადებითად გადაიჭრა სახკომსაბჭოს სხდომაზეც (იხ. აგრეთვე ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 27, გვ. 22—26). — **29**.

32 25 თებერვალს საბჭოთა დელეგაცია, რომელიც ბრესტ-ლიტოვსკში გაემგზავრა საზავო ხელშეკრულების ხელმოსაწერად, დაყოვნდა ნოვოსელიეს სადგურში, სადაც აფეთქებული აღმოჩნდა ხიდი. არ ჰქონდა რა შესაძლებლობა უშუალოდ დაკავშირებოდა გერმანიის მთავრობას, დელეგაციამ უდეპეშა სახალხო კომისართა საბჭოს და სთხოვა ეცნობე-

ბინა გერმანიის მთავრობისათვის დელეგაციის ჩასვლა. ლენინის შენიშვნა დელეგაციის შესაძლო მერყეობის შესახებ, როგორც ჩანს, გამოწვეული იყო იმით, რომ დელეგაციის წევრები გ. ი. სოკოლნიკოვი და ა. ა. იოფე უარს ამბობდნენ მონაწილეობა მიეღოთ დელეგაციის შემადგენლობაში და გაემგზავრნენ მხოლოდ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შემდეგ. — **29**.

33 პ ე ტ რ ო გ რ ა დ ი ს შ რ ო მ ი ს კ ო მ უ ნ ი ს ს ა ხ ა ლ ხ ო კ ო მ ი ს ა რ თ ა ს ა ბ ჭ ო (კ ო მ ს ა ბ ჭ ო) შეიქმნა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს 1918 წლის 11 მარტის დადგენილებით იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა მთავრობა პეტროგრადიდან მოსკოვს გადავიდა.

1918 წლის აპრილის დამლევს ჩრდილოეთის ოლქის საბჭოების ყრილობაზე სამხედრო და სამეურნეო მიზნით შეიქმნა ჩრდილოეთის ოლქის კომუნების კავშირი, რომელშიც შევიდა აგრეთვე პეტროგრადის გუბერნია. 1919 წლის 24 თებერვალს ჩრდილოეთის ოლქის საბჭოების III ყრილობის გადაწყვეტილებით ჩრდილოეთის ოლქის კომუნების კავშირი და მის სათავეში მდგომი სახალხო კომისართა საბჭო ლიკვიდირებულ იქნა. — **34**.

34 ლაპარაკია პეტროგრადიდან სამრეწველო საწარმოთა ევაკუაციაზე. ეს საკითხი დაისვა პეტროგრადზე გერმანელთა ჯარების შეტევასთან დაკავშირებით. — **34**.

35 პეტროგრადში გუტუევის კუნძულზე იყო ქალაქის საბაჟო. 1918 წლის აპრილ-ივნისის განმაელობაში გუტუევის საბაჟოდან გაიტანეს 1180 ვაგონი სხვადასხვა საქონელი. — **34**.

36 ლაპარაკია რეზოლუციაზე, რომელიც მიიღო ციმბირის საბჭოების ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 1918 წლის 5 აპრილს დილით ვლადივოსტოკში იაპონიის ჯარების გადმოსხმასთან დაკავშირებით. მასში გამოთქმული იყო პროტესტი იაპონიის მთავრობის უკანონო მოქმედების წინააღმდეგ; ციმბირში ცხადდებოდა სამხედრო წესები, ხოლო ყველა ადგილობრივ საბჭოს ევალებოდა დაუყოვნებლივ შესდგომოდა წითელი არმიის გაძლიერებულ ორგანიზაციას.

ც ე ნ ტ რ ო ს ი ბ ი რ ი — ციმბირის საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აირჩია ციმბირის საბჭოების პირველმა ყრილობამ, რომელიც გაიმართა ირკუტსკში 1917 წლის 16 (29)—24 ოქტომბერს (6 ნოემბერს). ციმბირში საბჭოთა ხელისუფლების დროებით დამხობის შემდეგ (1918 წლის ზაფხული) ცენტროსიბირმა შეწყვიტა თავისი საქმიანობა. — **37**.

37 იგულისხმება საბჭოთა მთავრობის მოლაპარაკება ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებთან ვლადივოსტოკში იაპონიის ჯარების გადმოსხმასთან დაკავშირებით; მოლაპარაკება გაიმართა 1918 წლის 5 აპრილს საღამოს.

საბჭოთა მთავრობის განცხადებაში ვლადივოსტოკში იაპონიის დესანტის გადმოსხმის შესახებ, რომელიც დაიწერა 5 აპრილს და გამოქვეყნდა გაზეთებში „პრავდასა“ და „იზვესტია ვციკში“ 1918 წლის 6 აპრილს, აღნიშნული იყო, რომ იაპონიის შეჭრისათვის წინააღმდეგობის გაწევა და ულმობელი ბრძოლა რუსეთში მათი აგენტებისა და დამქაშების წინააღმდეგ არის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი საბჭოთა რესპუბლიკისათვის, მთელი რუსეთის მშრომელთა მასისათვის. 1918 წლის 7 აპრილს ვ. ი. ლენინმა დეპეშით გაუგზავნა დირექტივები ვლადივოსტოკის საბჭოს, რომელშიც აფრთხილებდა, რომ ინტერვენტები აუცილებლად შეუტევენ, და მოითხოვდა შორეული აღმოსავლეთის კომუნისტებისაგან დაუყოვნებლივ მომზადებულიყვნენ ბრძოლისათვის უცხოეთის ინტერვენციის წინააღმდეგ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 27, გვ. 264). — **37**.

38 ციმბირის საბჭოების ცაკის თავმჯდომარე ნ. ნ. იაკოვლევი ატყობინებდა ვ. ი. ლენინს იაპონელ ინტერვენტებისათვის წინააღმდეგობის გაწევის ღონისძიებათა შესახებ ვლადივოსტოკში მათი ჯარების გადმოსხმასთან დაკავშირებით. — **37**.

39 ეს დოკუმენტი ვ. ი. ლენინმა წააწერა ინსტრუქციას, რომელიც რიბინსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს საქმეთა მმართველმა ინჟინერმა ნ. ი. დირენკოვმა მიიღო სმუს-ში.

დირენკოვი მოსკოვში ჩამოვიდა, რათა მოხსენება გაეკეთებინა სმუს-ში რიბინსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს მუშაობის შესახებ; 1918 წლის 15 აპრილს დირენკოვის მოხსენება რიბინსკის სამეურნეო მდგომარეობის შესახებ იდგა სმუს-ის პრეზიდიუმის სხდომაზე; ვ. ი. ლენინის წინადადებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სასწრაფოდ მიეცათ სესხი რიბინსკისათვის. ვ. ი. ლენინი ესაუბრა დირენკოვს საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიური მდგომარეობის, რიბინსკის მრეწველობის მდგომარეობისა და რიბინსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს ღონისძიებათა შესახებ. — **40**.

40 ლაპარაკია „აქციების, ობლიგაციებისა და სხვა პროცენტიანი ქაღალდების რეგისტრაციის დეკრეტის“ პროექტზე. პირველი ორი პროექტი მოამზადა სმუს-მა. განხილვის შემდეგ ვ. ი. ლენინმა წაშალა პირველი პროექტი, მეორე პროექტს რედაქცია გაუკეთა და გაუგზავნა ფინანსთა სახალხო კომისარიატში დ. პ. ბოგოლეპოვს და ი. ე. გუკოვსკის. ფი-

ნანსთა სახალხო კომისარიატში გადამუშავებულ პროექტს ლენინმა კვლავ გაუკეთა რედაქცია, დააწერა სათაური და 1918 წლის 17 აპრილს წარადგინა სახკომსაბჭოს განსახილველად. პროექტის გამო მიღებული იყო შემდეგი გადაწყვეტილება: „გადაეცეს საგარეო საქმეთა და იუსტიციის სახალხო კომისარიატებს, რათა მათ განიხილონ საკითხი სპეციალისტთა მონაწილეობით და დასკვნა წარუდგინონ სახალხო კომისართა საბჭოს შემდეგ სხდომას 18 აპრილს". 18 აპრილს დეკრეტი დაამტკიცა სახკომსაბჭომ და 20 აპრილს გამოქვეყნდა გაზეთ „იზვესტია ვციკში", № 78. — 41.

41 ქალაქ სიმბირსკში (ამჟამად ულიანოვსკი), ვ. ი. ლენინის სამშობლოში, ი. ი. იაკოვლევმა დააარსა პირველი ჩუვაშური სკოლა. მან შეადგინა პირველი ჩუვაშური ანბანი და ანბანის წიგნი, უდიდეს მუშაობას ეწეოდა ჩუვაში ხალხის განათლებისათვის.

1918 წლის 4 მაისის საპასუხო დეპეშაში ვ. ი. ლენინისადმი ნათქვამი იყო, რომ ი. ი. იაკოვლევი დარჩა ქალთა კურსების და სემინარიის თავმჯდომარედ. — 42.

42 ვ. ი. ლენინის წერილი გამოწვეული იყო შემდეგი გარემოებებით. 1918 წლის 4 (17) იანვარს სახკომსაბჭომ მიიღო დეკრეტი წითელი ჯვრის რეორგანიზაციის შესახებ მეფის მთავრობასთან არსებული წითელი ჯვრის მთავარი სამმართველოს ლიკვიდაციის საფუძველზე და სახელმწიფოსათვის მისი ქონებისა და კაპიტალების გადაცემის შესახებ. წითელი ჯვრის რეორგანიზაციის მოხდენა დაეკისრა (დეკრეტის პირველი ნაწილის § 3) კომიტეტს საბჭოთა, სამხედრო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა შემადგენლობით. კომიტეტს დაევალა წარედგინა სახკომსაბჭოში სამედიცინო კოლეგიების საბჭოს მეშვეობით წითელი ჯვრის დაწესებულებათა რეორგანიზაციის გეგმა. მაგრამ კომიტეტმა ვერ შეასრულა დაკისრებული ამოცანები, რის შესახებაც ვ. მ. ბონჩ-ბრუევიჩმა, როგორც წითელი ჯვრის კომიტეტის წევრმა, აცნობა ვ. ი. ლენინს. — 42.

43 ლაპარაკია ფულის რეფორმის მომზადებაზე მტკიცე საბჭოთა ვალუტის შექმნისა და ინფლაციის ლიკვიდაციის მიზნით, რომელიც წარმოშვა ომმა და მეფის მთავრობისა და ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის თარეშმა. ფულის რეფორმის აუცილებლობის საკითხი ვ. ი. ლენინმა დააყენა 1917 წლის დეკემბერში „პროექტში დეკრეტისა ბანკების ნაციონალიზაციის განხორციელებისა და მასთან დაკავშირებით საჭირო ზომების მიღების შესახებ" (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 26, გვ. 457). ფულის რეფორმის მომზადება ხორციელდებოდა ლენინის

უშუალო ხელმძღვანელობით. იგი აღწევდა ახალი, საბჭოთა ფულის მომზადების და გამოშვების დაჩქარებას, მსჯელობდა მათი ნიმუშების პროექტების ყველა დეტალზე (იხ. ეს ტომი, დოკუმენტები 125, 126, აგრეთვე ლენინის XXI კრებული, გვ. 180).

უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის, „სამხედრო კომუნიზმის" პოლიტიკაზე გადასვლის გამო ფულის რეფორმა იმ პერიოდში არ განხორციელებულა. პირველი საბჭოთა ფულის რეფორმა ლენინური პრინციპების საფუძველზე განხორციელდა 1922—1924 წლებში. — **44**.

44 ვ. ი. ლენინის წერილი პასუხია წითელი ჯვრის ამერიკის მისიის წევრის რაიმონდ რობინსისადმი. იგი დაწერილია ინგლისურ ენაზე. წერილის დასაწყისის წინ ლენინმა დაწერა: „პასუხი 30. IV. 1918".

რ. რობინსმა წერილში, რომელიც მან გაუგზავნა ვ. ი. ლენინს საბჭოთა რუსეთიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გამგზავრების წინ, გამოთქვა გულწრფელი მადლობა იმ დახმარებისათვის, რომელიც მას გაუწიეს წითელი ჯვრის ამერიკის მისიის ხაზით მუშაობის დროს. გამოთქვა რა იმედი, რომ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა „განვითარდება მტკიცე დემოკრატიულ სახელმწიფოდ", რობინსი წერდა: „თქვენმა წინასწარმეტყველურმა გამჭრიახობამ და გენიალურმა ხელმძღვანელობამ საშუალება მისცა საბჭოთა ხელისუფლებას განმტკიცებულიყო მთელ რუსეთში, და დარწმუნებული ვარ, რომ ადამიანთა ცხოვრების დემოკრატიული წესის ეს ახალი შემოქმედებითი ორგანო შთააგონებს და წინ წასწევს თავისუფლების საქმეს მთელ მსოფლიოში" („სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები", ტ. I, 1957, გვ. 276).

რამდენიმე დღის შემდეგ, 1918 წლის 11 მაისს, ვ. ი. ლენინმა დაწერა წერილი, რომელიც გაუგზავნა „დეპუტატთა ყველა საბჭოს და სხვა საბჭოთა ორგანიზაციებს", რომლითაც იგი სთხოვდა „ყოველგვარი დახმარება გაეწიათ პოლკოვნიკ რობინსისა და წითელი ჯვრის ამერიკის მისიის სხვა წევრებისათვის მოსკოვიდან ვლადივოსტოკში დაუბრკოლებლად და უსწრაფესად გამგზავრებაში". — **45**.

45 წერილი პ. პ. მალინოვსკისადმი — რესპუბლიკის ქონების სახალხო კომისრის მოვალეობის დროებითი შემსრულებლისადმი ვ. ი. ლენინმა დაწერა „რესპუბლიკის ძეგლების შესახებ" სახკომსაბჭოს დეკრეტის შეუსრულების გამო, რომელიც მიღებული იყო 1918 წლის 12 აპრილს და გამოქვეყნდა 14 აპრილს გაზეთებში „პრავდასა" და „იზვესტია ვციკში". დეკრეტში დასახული იყო ამოცანა მოეხსნათ მეფეებისა და მათი მსახურების ძეგლები, რომლებიც არც ისტორიულ, არც მხატვრულ ღირებულებას არ წარმოადგენდნენ, და დაედგათ რევოლუციური

ძეგლები. განსაკუთრებულ კომისიას განათლების სახალხო კომისრის, რესპუბლიკის ქონების სახალხო კომისრისა და განსახკომის სახვითი ხელოვნების განყოფილების გამგის შემადგენლობით ევალებოდა განესაზღვრა, რა ძეგლები უნდა მოხსნილიყო მოსკოვსა და პეტროგრადში, და რჩევა ეძლეოდა მოეწვიათ მხატვრული ძალები ახალი, რევოლუციური ძეგლების პროექტების შესამუშავებლად. სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა კომისიას 1 მაისისათვის მოეხსნა ყველაზე მახინჯი ძეგლები და წარედგინა ახალი ძეგლების პირველი მოდელები, აგრეთვე სასწრაფოდ მოემზადებინა ძველი წარწერების, ემბლემების, ქუჩების სახელწოდებების შეცვლა ახლით, რომლებიც ასახავდნენ რევოლუციური რუსეთის იდეებსა და გრძნობებს.

ვ. ი. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ამ დეკრეტის განხორციელებას. მისი შესრულების მიმდინარეობის საკითხი განხილული იყო სახკომსაბჭოს სხდომებზე 1918 წლის 8, 17 და 30 ივლისს. ლენინს არაერთგზის გაუკრიტიკებია განსახკომის, ქონების სახალხო კომისარიატისა და მოსკოვის საბჭოს ხელმძღვანელობა სახკომსაბჭოს დეკრეტის არადამაკმაყოფილებელი განხორციელებისათვის (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 109 და თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 35, დოკუმენტები 171, 175). — **46**.

46 ეს დეპეშა პასუხია ეკატერინბურგიდან 1918 წლის 30 აპრილს მიღებული დეპეშისა, რომელიც გამოგზავნა ნაციონალიზებულ საწარმოთა საოლქო გამგეობამ. მასში ნათქვამი იყო, რომ გავრცელდა ხმები ბოგოსლოვსკის სამთო ოკრუგის დენაციონალიზაციის შესახებ. ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ ყალბი ხმების უსწრაფესად მხილებას, რომლებსაც შეეძლოთ გამოეწვიათ მუშათა მასების დეზორიენტაცია. ეკატერინბურგიდან მიღებულ დეპეშას მან შემდეგი წააწერა: „მივიღე 2/V. 1918, **საღ.** *7* **საათზე.** მოვითხოვ გამოძიებას, რატომ დაიგვიანა *2* **დღით.** ლ ე ნ ი ნ ი". — **47**.

47 ეს ბარათი რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისადმი მიღებული იყო ვ. ი. ლენინის თათბირზე მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრებთან მემარცხენე ესერების ლიდერების მ. ა. სპირიდონოვასა და ვ. ა. კარელინის მოთხოვნათა გამო, რომ მიწსახკომი გადაეცათ მემარცხენე ესერების სრულ განკარგულებაში. ეს პრეტენზიები გამოწვეული იყო იმით, რომ მიწსახკომიდან ა. ლ. კოლეგაევის წასვლის შემდეგ კომისარიატში ახლად დანიშნეს ბოლშევიკები (ს. პ. სერედა, ვ. ნ. მეშჩერიაკოვი, ნ. მ. პეტროვსკი და სხვ.), რამაც მნიშვნელოვნად შეასუსტა სახალხო კომისარიატში მემარცხენე ესერთა პოზიციები.

ვ. ი. ლენინმა დაწერა აგრეთვე თათბირის დადგენილების შემდეგი პროექტი: „მიწათმოქმედების კოლეგიის წევრების, ამხანაგების სერედასა და მეშჩერიაკოვის, და ლენინის წინასწარი თათბირი (საკითხებზე, რომლებიც აღძრეს ამხანაგებმა სპირიდონოვამ და კარელინმა) მივიდა დასკვნამდე, რომ აღძრული საკითხები განხილული უნდა იქნეს როგორც სერიოზული პოლიტიკური საკითხები, და ამიტომ აუცილებლად უნდა გადაეცეს რკპ ცენტრალურ კომიტეტს.

თათბირს საჭიროდ მიაჩნია გადასცეს ისინი ცენტრალურ კომიტეტს მოკლე ვადაში და სასწრაფოდ" (ლენინის XXXVI კრებული, გვ. 42).

მიწსახკომში შექმნილი მდგომარეობის საკითხი განხილული იყო რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1918 წლის 3 მაისის სხდომაზე. ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა თათბირის გადაწყვეტილება და უსაფუძვლოდ ცნო მემარცხენე ესერების პრეტენზიები. — 47.

48 იგულისხმება გერმანელ ოკუპანტთა მიერ ცენტრალური რადის გარეკვა და უკრაინაში აშკარა ბურჟუაზიულ-მემამულური დიქტატურის დამყარება. 1918 წლის 29 აპრილს ინტერვენტთა მიერ მოწვეულ კულაკ-მემამულეთა ყრილობაზე კიევში უკრაინის გეტმანად გამოცხადდა მსხვილი უკრაინელი მემამულე, მეფის ყოფილი ფლიგელ-ადიუტანტი, გენერალი პ. პ. სკოროპადსკი. — 48.

49 1918 წლის 6 მაისს დონის როსტოვში შეიჭრნენ გერმანელთა და თეთრგვარდიელთა ჯარის ნაწილები და დაიპყრეს ქალაქი. 7 მაისს იგი გაათავისუფლეს საბჭოთა ჯარებმა. მაგრამ 8 მაისს დონის როსტოვი კვლავ დაიპყრეს გერმანელთა და თეთრგვარდიელთა ჯარებმა. — 48.

50 ფ ო რ ტ ი ი ნ ო — სიმაგრე ფინეთის საზღვარზე, რომელიც კრონშტადტთან ერთად იცავდა პეტროგრადის მისადგომებს. რუსეთის სფსრ და ფინეთის სოციალისტურ მუშათა რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულებით ფორტი ინო სოციალისტური რესპუბლიკების ერთობლივი ინტერესების დაცვის მიზნით გადაეცა რუსეთის სფს რესპუბლიკას. ფინეთის რევოლუციის განადგურების შემდეგ ფინეთის ბურჟუაზიულმა მთავრობამ, რომელსაც მხარს უჭერდნენ გერმანელი იმპერიალისტები, მოითხოვა ფორტ ინოს გადაცემა ფინეთისათვის. მისი დატოვების წინ ფორტის მთავარი სიმაგრეები კრონშტადტის ციხე-სიმაგრის კომენდანტის განკარგულებით ააფეთქეს და დაანგრიეს. 1918 წლის მაისში ფინეთის ჯარებმა დაიკავეს ფორტი ინო. — 48.

51 პარტიის ცენტრალური კომიტეტის სასწრაფო სხდომაზე, რომელიც გაიმართა 1918 წლის 6 მაისს, განხილულ იქნა საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობა გერმანიასთან ურთიერთობის გამწვავე-

ბის გამო, რომელიც მოითხოვდა ბურჟუაზიული ფინეთისათვის ფორტ ინოს გადაცემას, აგრეთვე ინგლისელების მიერ მურმანსკის ოკუპაციისა და ქვეყნის სიღრმეში წინსვლისათვის ინტერვენტთა მზადების გამო. ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ვ. ი. ლენინის მიერ წარდგენილი დადგენილება საერთაშორისო მდგომარეობის საკითხზე (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 27, გვ. 426, 459). — 48.

52 ეს ბარათი პასუხია ა. დ. ციურუპასადმი, რომელმაც აცნობა ვ. ი. ლენინს, რომ ნიკოლაევის რკინიგზის სასურსათო ორგანიზაციამ არ დაუშვა რევიზიაზე სურსათის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი ა. ი. სვიდერსკი. რევიზია დანიშნული იყო სურსათის, გზათა კომისარიატებისა და სმუს-ის შეთანხმებით. ციურუპა სთხოვდა ლენინს რჩევას — რა ზომები უნდა მიეღო ამ შემთხვევაში. — 48.

53 ეს წერილი ა. დ. ციურუპასადმი ვ. ი. ლენინმა დაწერა მას შემდეგ, რაც ესაუბრა პუტილოვის (ამჟამად კიროვის) ქარხნის შემსყიდველი კომისიის თავმჯდომარეს — მუშას, საქვაბე საამქროს მომნიშვნელს ა. ვ. ივანოვს, რომელმაც დაწვრილებით დაახასიათა პეტროგრადში შიმშილის მძიმე სურათი, უამბო ქარხნის მდგომარეობა და მუშათა განწყობილება.

ლენინმა აცნობა ივანოვს სახკომსაბჭოს 1918 წლის 9 მაისის სხდომაზე მიღებული დეკრეტი იმის შესახებ, რომ სურსათის სახალხო კომისარს ენიჭება საგანგებო რწმუნებანი სოფლის ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც მალავს პურის მარაგს და სპეკულაციას ეწევა პურით. ამ დეკრეტის პირი ვ. ი. ლენინმა მისცა ივანოვს, რათა გაეცნო იგი პუტილოველებისათვის.

ა. ვ. ივანოვისა და ვ. ი. ლენინის შეხვედრის შესახებ იხ. წიგნში „მოგონებანი ვლადიმერ ილიას ძე ლენინზე", ნაწ. 2, 1957, გვ. 283—284. — 49.

54 ლაპარაკია რუსეთისა და გერმანიის ეკონომიური ურთიერთობის განახლების პირობების საკითხზე მოწვეულ რუსეთ-გერმანიის კომისიის თათბირის შესახებ. თათბირი გაიმართა მოსკოვში 1918 წლის 15 მაისს. ამ თათბირზე მოხსენება გააკეთა ვაჭრობისა და მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილემ მ. გ. ბრონსკიმ. მისი მოხსენების ძირითადი დებულებანი გასინჯა და მოიწონა ვ. ი. ლენინმა. — 50.

55 ამერიკის შეერთებულ შტატებთან სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის განვითარების გეგმაში, რომელიც შემუშავებულ იქნა ვ. ი. ლენინის ინიციატივით, საბჭოთა მთავრობა აცხადებდა, რომ მზად იყო აენაზღაურებინა ამერიკის შეერთებულ შტატებში შეძენილი საქონელი სოფლის

მეურნეობისა და მოპოვებითი მრეწველობის პროდუქტებით, აგრეთვე მიეცა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, სხვა ქვეყნების თანაბრად, კონცესიები.

პირველად ეს გეგმა სათაურით „რუსეთ-ამერიკის სავაჭრო ურთიერთობა" გამოქვეყნდა № 1 „ვესტნიკ ნაროდნოგო კომისარიატა ტორგოვლი ი პრომიშლენოსტში" 1918 წლის ივნისში. ამერიკის შეერთებულ შტატებში გეგმა და ლენინის წერილი რობინსისადმი გამოქვეყნდა გამოცემაში „Russian American relations. March 1917 — March 1920". New York, 1920 („რუსეთ-ამერიკის ურთიერთობა. 1917 მარტი— 1920 მარტი". ნიუ-იორკი, 1920). — **51**.

56 ბარათი გ. ე. ჩიჩერინისადმი დაწერილია იმ ცნობის მიღებასთან დაკავშირებით, რომ ამიერკავკასიის ბურჟუაზიული მთავრობის ჯარები, რომლებსაც ეხმარებოდა შეიარაღებული სავაჭრო გემების ფლოტილია, მიიწევდნენ სოხუმისაკენ, რითაც საფრთხეს უქმნიდნენ მთელ შავი ზღვის სანაპიროს. ვ. ი. ლენინისათვის წარდგენილი დეპეშის პროექტში შავი ზღვის ფლოტის საზღვაო ძალების უფროსის საბლინის სახელზე ამ უკანასკნელს ბრძანება ეძლეოდა შეეიარაღებინა რამდენიმე საბჭოთა სავაჭრო გემი და წაეყვანა ისინი სოხუმის დასაცავად.

1918 წლის 20 მაისს საბჭოთა მთავრობამ გერმანიის მთავრობას გაუგზავნა ნოტა, სადაც პროტესტს აცხადებდა იმის გამო, რომ გერმანიის სამხედრო ხელისუფალნი აქეზებენ შეიარაღებული სავაჭრო გემების მოქმედებას, რომლებიც ეკუთვნის „ეგრეთ წოდებულ ამიერკავკასიის მთავრობას, რომელსაც ამიერკავკასიაში აბსოლუტურად არავინ არ ცნობს". — **52**.

57 ლაპარაკია სურსათის კომისარიატისა და ადგილობრივი სასურსათო ორგანოების რეორგანიზაციის დეკრეტის პროექტზე. სახკომსაბჭოს 1918 წლის 20 მაისის სხდომაზე ა. დ. ციურუპამ, ვ. ი. ლენინის მითითების თანახმად, შეიტანა წინადადება დაეყენებინათ ამ დეკრეტის პროექტი განსახილველად. პროექტი განიხილეს სახკომსაბჭოს 22 და 23 მაისის სხდომებზე და მიიღეს შესწორებებით. გადაწყდა დეკრეტი გადასცემოდა სრულიად რუსეთის ცაკს, სადაც იგი დაამტკიცეს 27 მარტს. 1918 წლის 31 მაისს დეკრეტი გამოქვეყნდა გაზეთ „იზვესტია ვციკში" № 109.

დეკრეტის 3 პარაგრაფი ითვალისწინებდა სურსათის ადგილობრივ კომისარიატებთან შექმნილიყო განსაკუთრებული რაზმები მუშებისაგან, რომლებსაც რეკომენდაციას მისცემდნენ პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები. ეს რაზმები უნდა შექმნილიყო უმთავრესად მომხმარებელ რაიონებში. რაზმები უნდა ყოფილიყვნენ ადგილობრივი სასურსათო ორგანოების განკარგულებაში, დამორჩილებოდნენ ამ უკანასკნელთა მითითებებს, ისინი უნდა გამოეყენებინათ სააგიტაციო, ორ-

განიზაციულ და საინსტრუქტორო მუშაობაში. „მუშათა რაზმების უმთავრესი ამოცანა, — ნათქვამი იყო დეკრეტში, — უნდა იყოს მშრომელი გლეხობის დარაზმვა კულაკების წინააღმდეგ“ („საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტები“, ტ. II, 1959, გვ. 310). — 53.

58 1918 წლის გაზაფხულზე გერმანელმა იმპერიალისტებმა მოახდინეს უკრაინის ოკუპაცია, შეიჭრნენ ყირიმში და მიუახლოვდნენ სევასტოპოლს, სადაც თავმოყრილი იყო შავი ზღვის ფლოტი. გერმანელ დამპყრობთაგან ფლოტის გადასარჩენად საბჭოთა მთავრობამ 29—30 აპრილს იგი გადაიყვანა ნოვოროსიისკში. ფლოტის იქ ჩასვლიდან ათი დღის შემდეგ გერმანიის სარდლობამ ულტიმატურად მოითხოვა მისი უკან სევასტოპოლში დაბრუნება, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდა, რომ განაგრძობდა შეტევას შავი ზღვის სანაპიროზე. 11 მაისს საბჭოთა მთავრობამ გაუგზავნა „პროტესტი გერმანიის მთავრობას ყირიმის ოკუპაციის წინააღმდეგ“, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო ფლოტის გადაყვანის გარემოებანი და სევასტოპოლში მისი დაბრუნების შესაძლო პირობები (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 27, გვ. 429—431).

არც ერთ ცდას შეთანხმებოდნენ ამ საკითხზე გერმანიის მთავრობას, არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. არ ჰქონდა რა შესაძლებლობა გადაერჩინა ფლოტი და იგი რომ არ ჩაებარებინა გერმანელი იმპერიალისტებისათვის, ლენინმა მითითება მისცა უმაღლეს სამხედრო საბჭოს დაუყოვნებლივ მოესპო ფლოტი (იხ. შემდეგი დოკუმენტი). სახალხო კომისართა საბჭოს საიდუმლო დირექტივაში სამხედრო-საზღვაო ხელისუფლებს წინადადება ეძლეოდათ მოესპოთ შავი ზღვის ფლოტის ყველა გემი და კომერციული გემები, რომლებიც ნოვოროსიისკში იყვნენ. 1918 წლის 18—19 ივნისს მთავრობის ბრძანება შესრულდა: გემების უმრავლესობა ჩაძირეს ნოვოროსიისკის ნაპირებთან. — **56**.

59 *„Arbeiterpolitik“* („მუშათა პოლიტიკა“) — მეცნიერულ-სოციალისტური ყოველკვირეული ჟურნალი, ორგანო მემარცხენე სოციალ-დემოკრატების ბრემენის ჯგუფისა, რომელიც 1919 წელს შევიდა გერმანიის კომუნისტურ პარტიაში; გამოდიოდა ბრემენში 1916-დან 1919 წლამდე.

*„Der Sozialdemokrat“* („სოციალ-დემოკრატი“) — ყოველდღიური გაზეთი, ვიურტემბერგის დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანო. გამოდიოდა შტუტგარტში 1915 წლიდან. 1921 წლიდან გაზეთი გახდა ვიურტემბერგის გაერთიანებული კომუნისტური პარტიის ორგანო და გამოდიოდა „Kommunist“-ის სახელწოდებით. — **56**.

60 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს, ალბათ, წერილი, რომელიც მან გაუგზავნა ს. გ. შაუმიანს 1918 წლის 14 მაისს (იხ. თხზულებანი, მე-4

გამოც., ტომი 35, დოკუმენტი 142. წერილის თარიღი 35 ტომში სწორად არ არის მოცემული).

24 მაისის ეს წერილი ბაქოში ჩაიტანა ბაქოს კომუნის ერთ-ერთმა მოღვაწემ ს. მ. ტერ-გაბრიელიანმა. — 57.

61 ეს დოკუმენტი მომზადდა სურსათის სახალხო კომისარიატში. დოკუმენტის ზემო ნაწილში ხაზით გამოყოფილია შემდეგი წარწერა: „სურსათის სახალხო კომისარიატის დეპეშა". — 57.

62 იგულისხმება სახკომსაბჭოს 1918 წლის 8 მაისის დადგენილება მთელი არსებული ავტომობილების აღრიცხვისა და სურსათის სახალხო კომისარიატისათვის ზედმეტი სატვირთო მანქანების გადაცემის შესახებ. — 61.

63 დეპეშა ვიქსის მუშებს ვ. ი. ლენინმა გაგზავნა პასუხად მათგან მიღებული დეპეშისა, რომლითაც იტყობინებოდნენ, რომ ისინი, „საბოლოოდ დამშეულები", გემებით მიდიან თავიანთი რაზმებითა და ტყვიამფრქვევებით, რათა ძალით იშოვონ პური. — 61.

64 წერილი დაწერილი იყო ინგლისურ ენაზე ამერიკელ ჟურნალისტ ალბერტ რის ვილიამსთან საუბრის დროს, რომელიც ლენინს ეწვია ამერიკის შეერთებულ შტატებში გამგზავრების წინ. — 62.

65 გ. ი. სოკოლნიკოვი, ნ. ი. ბუხარინი და ი. ლარინი ბერლინში იგზავნებოდნენ საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც უნდა ეწარმოებინა მოლაპარაკება გერმანიასთან ეკონომიური შეთანხმების დადების შესახებ. — 62.

66 ლაპარაკია ი. თ. პოპოვზე, ბოლშევიკური პარტიის წევრზე 1905-დან 1914 წლამდე. პირველი მსოფლიო ომის წლებში პოპოვი ტყვედ იყო გერმანიაში; საბჭოთა რუსეთში დაბრუნდა 1918 წელს. — 63.

67 როგორც ჩანს, ლაპარაკია ვ. ი. ლენინის 1918 წლის 2 ივნისის წერილზე ი. ა. ბერზინის ან გ. ლ. შკლოვსკისადმი (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 50, დოკუმენტი 165). — 64.

68 ეს ბარათები ა. დ. ციურუპასადმი ვ. ი. ლენინმა დაწერა იმასთან დაკავშირებით, რომ საჭირო იყო მუშათა ფართო მასებისათვის განემარტათ სახკომსაბჭოს დადგენილება, რომელიც მიღებული იყო 1918 წლის 1 ივნისს, დამოუკიდებელ დამზადებათა საკითხზე. დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ პურის დამოუკიდებელმა დამზადებამ, რის

თხოენითაც სახკომსაბჭოს მიმართავენ ზოგიერთი ორგანიზაციისა და პროფესიული მუშათა კავშირების წარმომადგენლები,' შეიძლება დაარღვიოს სასურსათო საქმე, გზა გაუწმინდოს კულაკებსა და მემამულეებს, დაღუპვამდე მიიყვანოს რევოლუცია. დადგენილებაში დასახული იყო ამოცანა შეექმნათ სასურსათო რაზმები, გამოეყოთ მათში მუშებისა და მოსამსახურეებისაგან საუკეთესო და ერთგული ადამიანები „საერთო მუშათა საბრძოლო ძალის შესადგენად წესრიგის დამყარებისათვის, მეთვალყურეობაში დახმარებისათვის, მთელი ნამეტი პურის შეგროვებისათვის, სპეკულანტებზე სრული გამარჯვებისათვის" („საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტები", ტ. II, გვ. 379—381).

ამ საკითხზე იხ. აგრეთვე ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 27, გვ. 507—508. — **64**.

69 მას შემდეგ, რაც 1918 წლის 7 ივნისს თეთრმა ჩეხებმა და თეთრგვარდიელებმა დაიპყრეს ომსკი, იქ ინტერვენტთა მონაწილეობით შეიქმნა ციმბირის თეთრგვარდიული მარიონეტული მთავრობა. მის უმრავლესობას შეადგენდნენ ესერები, მასში შედიოდნენ აგრეთვე მენშევიკები და კადეტები. ინიღბებოდა რა დემოკრატიული ფრაზებით, იგი ახორციელებდა კონტრრევოლუციურ პოლიტიკას, ამზადებდა ნიადაგს აშკარა სამხედრო ბურჟუაზიულ-მემამულურ დიქტატურაზე გადასასვლელად.

გ. ე. ზინოვიევის შეკითხვაში ლაპარაკი იყო ომსკში პურის შესყიდვაზე პეტროგრადისათვის. — **68**.

70 იგულისხმება დეკრეტი „რესპუბლიკის ძეგლების შესახებ", რომელიც მიიღო სახკომსაბჭოს სხდომამ 1918 წლის 12 აპრილს (იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 75 და შენიშვნა 45). — **70**.

71 ლაპარაკია ჩეხოსლოვაკიის სამხედრო კორპუსის ნაწილების მიერ სიზრანის აღებაზე.

ჩეხოსლოვაკიის კორპუსი შეადგინეს რუსეთში ჯერ კიდევ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე ჩეხებისა და სლოვაკებისაგან, რომლებიც ტყვედ ჩავარდნენ როგორც ავსტრია-უნგრეთის არმიის ჯარისკაცები. 1918 წლის 26 მარტის შეთანხმებით საბჭოთა მთავრობამ კორპუსს შესაძლებლობა მისცა წასულიყო რუსეთიდან ვლადივოსტოკით იმ პირობით, თუ კორპუსი ჩააბარებდა იარაღს და მეთაურთა შემადგენლობიდან გააძევებდა რუს ოფიცრებს. მაგრამ კორპუსის კონტრრევოლუციურმა სარდლობამ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტთა მითითებით და მხარდაჭერით პროვოკაციულად გამოიწვია მაისის დამლევს კორპუსის შეიარაღებული ამბოხება საბჭოთა ხელისუფლების წინააღ-

მდეგ. მოქმედებდნენ რა მჭიდრო კონტაქტით თეთრგვარდიელებთან და კულაკობასთან, თეთრჩეხებმა დაიკავეს ურალის, ვოლგისპირეთის, ციმბირის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ჩეხოსლოვაკი მეამბოხეების მიერ დაკავებულ რაიონებში შეიქმნა მენშევიკთა და ესერთა მონაწილეობით თეთრგვარდიული მთავრობები.

კორპუსის ბევრი ჯარისკაცი, როცა დარწმუნდა, რომ მას ატყუებს კონტრრევოლუციური სარდლობა, ტოვებდა კორპუსს, უარს ამბობდა ომზე საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. დაახლოებით 12 ათასი ჩეხი და სლოვაკი იბრძოდა წითელი არმიის რიგებში.

ვოლგისპირეთი წითელმა არმიამ გაათავისუფლა 1918 წლის შემოდგომაზე. საბოლოოდ თეთრჩეხები განადგურებულ იქნენ კოლჩაკოვშჩინის ლიკვიდაციასთან ერთად. — **71.**

72 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს შემდეგი ლიტერატურა: რ. ლუქსემბურგის ბროშურა — Junius. „Die Krise der Sozialdemokratie" (იუნიუსი. „სოციალ-დემოკრატიის კრიზისი"); ბროშურა, რომელიც გერმანიაში გამოიცა „ხელნაწერის უფლებით" — „Klassenkampf gegen den Krieg! Material zum „Fall" Liebknecht" („კლასობრივი ბრძოლა ომის წინააღმდეგ! მასალა „ლიბკნეხტის „საქმის" გამო"); ამონაჭრები გაზეთ „Berner Tagwacht"-დან („ბერნის გუშაგი" — შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანო). — **72.**

73 გერმანელი მემარცხენე სოციალ-დემოკრატის ო. რიულეს სტატია „Zur Parteispaltung" („პარტიული გათიშვის გამო") გამოქვეყნდა 1916 წლის 12 იანვარს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური ორგანოს გაზეთ „Vorwärts" („წინ") № 11-ში. — **72.**

74 *Referenten-Material aus Niederbarnim.* — მასალა ნიდერბარნიმის ოლქის რეფერენტებისათვის (ბერლინის გარეუბანი) ციტირებული იყო კ. ლეგინის ბროშურაში სათაურით „Warum müssen die Gewerkschaftsfunktionäre sich mehr am inneren Parteileben beteiligen?" („რატომ უნდა მიიღონ პროფესიული კავშირების ჩინოვნიკებმა მეტი მონაწილეობა პარტიის საშინაო ცხოვრებაში?"). — **72.**

75 ლაპარაკია გერმანიის მთავრობის მოთხოვნაზე გადაეყვანათ შავი ზღვის ფლოტის გემები ნოვოროსიისკიდან სევასტოპოლში. ამ საკითხზე იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 88 და შენიშვნა 58. — **72.**

76 დეკრეტი ნავთობის მრეწველობის ნაციონალიზაციის შესახებ სახკომსაბჭომ მიიღო 1918 წლის 20 ივნისს. — **78.**

77 კ. ა. მეხონოშინი, აღმოსავლეთის ფრონტის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრი, პირდაპირი მავთულით შეეკითხა საქმის მდგომარეობის შესახებ იმ ამბოხებასთან დაკავშირებით, რომელიც მემარცხენე ესერებმა მოაწყვეს მოსკოვში 1918 წლის 6 ივლისს. იგი თხოულობდა ეცნობებინათ, რა პოზიცია ეკავა მემარცხენე ესერს ა. ლ. კოლეგაევს. გარდა ამისა, მეხონოშინი იტყობინებოდა, რომ აღმოსავლეთის ფრონტის ჯარების სარდალმა მემარცხენე ესერმა მ. ა. მურავიოვმა განაცხადა, რომ ერთგულია საბჭოთა ხელისუფლებისა და რომ იგი უარს ამბობს მემარცხენე ესერთა პარტიის წევრის წოდებაზე, რაკი ეს პარტია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიდის.

მაგრამ ასეთი განცხადება მურავიოვმა გააკეთა იმისათვის, რომ დაემალა თავისი გამცემლური საქმიანობა. როცა მემარცხენე ესერთა ცენტრალური კომიტეტისაგან მიიღო დეპეშა, რომ მემარცხენე ესერებმა თითქოს მოახერხეს ძალაუფლების ხელში ჩაგდება მოსკოვში, იგი გადავიდა მეამბოხეთა მხარეზე. მათი გეგმით მურავიოვს უნდა დაეძრა აღმოსავლეთის ფრონტის ჯარები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და, შეუერთდებოდა რა თეთრჩეხებს, იერიში მიეტანა მოსკოვზე. 10 ივლისს მურავიოვი ჩავიდა სიმბირსკში და განაცხადა, რომ იგი არ ცნობს ბრესტის ზავს და ომს უცხადებს გერმანიას.

საბჭოთა მთავრობამ სასწრაფო ზომები მიიღო მურავიოვის ავანტიურის სალიკვიდაციოდ. მთავრობის 11 ივლისის ცნობაში მურავიოვი გამოცხადებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლების მოღალატედ და მტრად. 11 ივლისს საღამოს მურავიოვი მიიწვიეს სიმბირსკის აღმასკომის სხდომაზე. როცა სხდომაზე გამოაქვეყნეს მურავიოვის მოღალატური დეპეშები ინტერვენტთა და თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ, კომუნისტებმა მოითხოვეს მისი დაპატიმრება. მურავიოვმა სცადა წინააღმდეგობა გაეწია და იგი მოკლეს, ხოლო მისი თანამზრახველები დააპატიმრეს. — **80.**

78 ვ. ი. ლენინის ამ ბარათებში ი. ე. გუკოვსკისადმი ლაპარაკია ახალი საბჭოთა ფულის ნიშნების გამოშვებისათვის მზადებაზე. იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 71, შენიშვნა 43. — 81.

79 როგორც ჩანს, ლაპარაკია იმაზე, რომ თათბირზე, რომელიც მოიწვია მემარცხენე ესერების პარტიის სარატოვის კომიტეტმა მოსკოვში მემარცხენე-ესერულ ამბოხებასთან დაკავშირებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომელიც გმობდა მემარცხენე ესერთა ცენტრალური კომიტეტის მოქმედებას, დაღუპვას რომ უქადდა საბჭოთა ხელისუფლებას. მემარცხენე ესერთა სარატოვის მებრძოლმა რაზმმა თავის სხდომაზე აღნიშნა მოსკოვში მემარცხენე ესერთა ღალატი და განაცხადა, რომ იგი რჩება საბჭოთა ხელისუფლების დაცვის პლატფორმაზე.

როცა სარატოვიდან მიიღო ცნობა თათბირის გადაწყვეტილებათა შესახებ, რომლებიც მემარცხენე ესერებმა მიიღეს, ვ. ი. ლენინმა გაგზავნა იგი „პრავდაში“ და დაწერა მისთვის შემდეგი შესავალი: „სარატოვიდან კომისარი ივანოვი, რომელიც კავკასიაში მიემგზავრება, გვატყობინებს“. ამ შესავლით იგი გამოქვეყნდა „პრავდაში“. — 83.

80 დოკუმენტი დაწერილია საზღვაო კოლეგიისადმი ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის მომარაგების ბიუროს წერილთან დაკავშირებით, რომელიც თხოულობდა სასწრაფოდ გაეგზავნათ ბაქოს საჰკომსაბჭოს განკარგულებაში კასპიის ზღვაზე და მდინარე მტკვარზე 8—10 გემი მოტორიანი ძრავებით. წერილში დასახელებული იყო გემების ტიპები, აღნიშნული იყო, რომ ისინი აღჭურვილი უნდა ყოფილიყვნენ ქვემეხებით და ტყვიამფრქვევებით, აგრეთვე მოტორების სათადარიგო ნაწილებით. — 84.

81 ვ. ი. ლენინის შეკითხვის პასუხად ნ. ი. პოდვოისკიმ, უმაღლესი სამხედრო საბჭოს წევრმა, აცნობა, რომ ნაწილები, რომლებიც უნდა გაეგზავნათ კურსკიდან აღმოსავლეთის ფრონტზე, ჯერ ყალიბდებიან და რომ სამი პოლკისაგან შემდგარი ბრიგადა სამი ბატარეით დაიტვირთება 23 ივლისს. — 84.

82 ლაპარაკია ნ. ი. პოდვოისკის წინადადებაზე ეკისრა ხელმძღვანელობა ჩაეხშო ჩეხოსლოვაკთა ამბოხება და კონტრრევოლუციური გამოსვლები ვოლგისპირეთსა და ურალში. — 86.

83 შემდეგში ი. ლარინმა, უპასუხა რა ლ. ა. ფოტიევას შეკითხვაზე ვ. ი. ლენინის ამ წერილის შესახებ, აცნობა მას: „თქვენ მიერ გამოგზავნილი ვლადიმერ ილიას ძის წერილი (სმუს-ის შესახებ ბროშურის შედგენის თაობაზე) არასოდეს არ მიმიღია. იქნებ, ეს წერილი მაშინ იყო, როცა (1918 წელი) მე გამგზავნეს ბერლინში გერმანელებთან მოსალაპარაკებლად, და მომზადდა ჩემთვის გადმოსაცემად დაბრუნების შემდეგ. ასეა თუ ისე, რომ დავბრუნდი, მალე მივიღე ვლადიმერ ილიას ძისაგან წერილი მსგავს თემაზე, ოღონდ უფრო ვრცელი შინაარსისა—დამეწერა საბჭოთა რესპუბლიკის შესახებ საერთოდ, არა მარტო სმუს-ის შესახებ (წერილი მოძებნილი არ არის. — რ ე დ.), რათა გაგვეცნო საზღვარგარეთისა და ჩვენი მოსახლეობისათვის, თუ რას მივაღწიეთ ერთი წლის განმავლობაში. ამ მიზნით ვლადიმერ ილიას ძემ დაწერა შემდეგ განკარგულება ყველა უწყებისადმი, ეცნობებინათ ჩემთვის ყველაფერი, რასაც მოვითხოვდი (იხ. ლენინის XXI კრებული, გვ. 139. — რ ე დ). მაგრამ უწყებების მიერ გამოგზავნილი მასალა ნაკლებ დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა, და ჩვენ იძულებული გავხდით, უარი გვეთქვა იმაზე,

რომ შეგვედგინა მთავრობის ასეთი კონკრეტული ანგარიში ჩვენი ხელისუფლების პირველი წლის შესახებ, რომელზეც ფიქრმა, ალბათ, ვლადიმერ ილიას ძეს დაავიწყა ვარაუდი, რომ დამეწერა ბროშურა მარტო სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს შესახებ.

ვ. ი. ლენინის დავალებასთან, რომელსაც ლარინი ახსენებს წერილში ფოტიევასადმი, დაკავშირებულია ლენინის მიერ დაწერილი და სახკომსაბჭოს მიერ 1918 წლის 29 აგვისტოს მიღებული დადგენილება სახალხო კომისარიატების მიერ თავიანთ საქმიანობაზე წერილობითი ანგარიშების წარმოდგენის შესახებ 1917 წლის 25 ოქტომბრიდან (7 ნოემბრიდან) და ლენინის წერილი სახალხო კომისრებისადმი ამ საკითხზე (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 36, გვ. 568; ტომი 35, დოკუმენტი 168). — **88**.

84 1918 წლის 31 ივლისს ანტანტის ინტერვენტებმა ონეგაში გადასხეს დესანტი და ხელთ იგდეს ქალაქი. — **89**.

85 იგულისხმება სახკომსაბჭოს დეკრეტები: „პურის დამზადებაში მუშათა ორგანიზაციების მოზიდვის შესახებ“ (ლენინის წერილში მას ეწოდება დეკრეტი კოლექტიური მატარებლების შესახებ) და „მოსავლის ასაღები და მოსავლის ასაღებ-სარეკვიზიციო რაზმების შესახებ“, რომლებიც შემუშავებული იყო ვ. ი. ლენინის მიერ 1918 წლის 2 აგვისტოს წერილის — „თეზისები სასურსათო საკითხზე“ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 28, გვ. 36—39).— საფუძველზე. დეკრეტები მიღებული იყო სახკომსაბჭოს 1918 წლის 3 და 4 აგვისტოს სხდომებზე და გამოქვეყნდა „იზვესტია ვციკში“ 6 აგვისტოს.

დეკრეტის — „პურის დამზადებაში მუშათა ორგანიზაციების მოზიდვის შესახებ“ — ქვემოთ მოხსენიებულ მეშვიდე პარაგრაფში ნათქვამი იყო: „რაზმები, რომლებიც პურისათვის მიდიან, მოვალენი არიან დახმარება გაუწიონ ადგილობრივ მოსახლეობას მოსავლის აღებაში“. — **92**.

86 ანტანტის ჯარების მიერ 1918 წლის 2 აგვისტოს არხანგელსკის დაპყრობის შემდეგ არხანგელსკის საგუბერნიო აღმასკომის მუშაკთა ჯგუფი გაემგზავრა ვოლოგდაში მ. ს. კედროვთან მოხსენების გასაკეთებლად ჩრდილოეთ დვინაზე საქმის მდგომარეობის შესახებ. ვოლოგდაში მას გააცნეს ლ. დ. ტროცკის ბრძანება, რომელიც მოითხოვდა, რომ მუშაკები, რომლებმაც დატოვეს არხანგელსკი, ჩაეთვალათ დეზერტირებად და მიეცათ უმაღლესი რევოლუციური ტრიბუნალის სამართალში. კომუნისტთა ჯგუფმა, რომლებიც აღაშფოთა ამ ბრძანებამ, რადგან ისინი უშუალოდ არ იყვნენ დამნაშავენი არხანგელსკის დაცემაში, მიმართა ვ. ი. ლენინსა და ი. მ. სვერდლოვს თხოვნით ნება მიეცათ მათთვის ჩასულიყვნენ მოსკოვში და მოეხსენებინათ სიმართლე ამბების შესახებ. პასუხად ლენინმა გაგზავნა ეს დეპეშა. — **95**.

87 უპასუხა რა ვ. ი. ლენინის წინა ბარათს, ა. დ. ციურუპა წერდა: „მძევლები შეიძლება წამოვიყვანოთ მაშინ, როცა არის რეალური ძალა. არის კი იგი? საეჭვოა“. — **96.**

88 ეს დეპეშა პასუხია მოსკოვის სამხედრო საქმეთა საოკრუგო კომისარიატის წარმომადგენლის დ. ტ. პეტრუჩუკის პირდაპირი მავთულით გადაცემული ცნობისა, რომელიც მივლინებული იყო ორშაში, რათა ხელი შეეწყო წითელი არმიის ნაწილების გაგზავნისათვის აღმოსავლეთის ფრონტზე. პეტრუჩუკი დეპეშით იტყობინებოდა მთელი რიგი ჯარის ნაწილების გახრწნის, ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების სუსტი მუშაობის შესახებ და თხოულობდა მიეცათ მისთვის პირდაპირი მავთულით სარგებლობის უფლება. — **99.**

89 სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტს არა აქვს ვ. ვ. ვოროვსკის წერილი და მისი დანართი დოკუმენტები ან რაიმე სხვა მასალები, რომლებიც შესაძლებელს გახდიდნენ იმის დადგენას, თუ, სახელდობრ, რა ბოროტმოქმედებებზეა ლაპარაკი. რამდენადაც ვ. ი. ლენინის წერილი გაეგზავნა სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრს ე. მ. სკლიანსკის, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგულისხმება ბოროტმოქმედებები რომელიღაც სამხედრო უწყებაში. — **100.**

90 ს. ვ. მალიშევი, როგორც ჩრდილოეთის ოლქის კომუნების კავშირის რწმუნებული, მეთაურობდა ვოლგისპირეთში ექსპედიციას მოძრავი კარჭაპდუქნებისაგან, რომლებიც საქონელს ცვლიდნენ პურზე. ეს დეპეშა ვ. ი. ლენინმა გაგზავნა პასუხად მალიშევის ცნობაზე პურის წარმატებით შესყიდვის შესახებ.

იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 385. — **101.**

91 დეპეშა ვ. ი. ლენინმა გაგზავნა პასუხად პენზის საგუბერნიო აღმასკომის თავმჯდომარის ა. ე. მინკინის შეკითხვაზე, უნდა შესრულებულიყო თუ არა ჩრდილოეთის ოლქის ფინანსთა სახკომის ა. ი. პოტიაევის ბრძანება პენზის სახელმწიფო ქაღალდების დამზადების ექსპედიციის გამგისადმი შეაჩეროს, მიუხედავად ლენინის 1918 წლის 16 აგვისტოს განკარგულებისა, ექსპედიციის მატარებლის გადმოტვირთვა.

მემარცხენეესერული აჯანყება პენზის გუბერნიის სამაზრო ქალაქ ჩემბარში, რომელზეც ლაპარაკია დეპეშაში, დაიწყო 18 აგვისტოს ღამით. 20 აგვისტოს აჯანყება მოსპო პენზიდან ჩამოსულმა ლატვიელ მსროლელთა და წითელარმიელთა რაზმმა. — **103.**

92 საქმე ეხება წინადადებას იმ ნაწილების დაჯილდოების შესახებ, რომლებიც პირველნი შევიდოდნენ ყაზანსა და სიმბირსკში. — **104.**

93 ვ. ი. ლენინი ცხოვრობდა ვიბორგში ი. ლატუკისთან 1917 წლის 17 (30) სექტემბრიდან 7 (20) ოქტომბრამდე, როცა ივლისის ამბების შემდეგ იატაკქვეშეთში იმყოფებოდა და ემალებოდა ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის დევნას. — **105.**

94 ღ ა რ ი ბ თ ა  კ ო მ ი ტ ე ტ ე ბ ი  შეიქმნა სრულიად რუსეთის ცაკის 1918 წლის 11 ივნისის დეკრეტით. მათ უდიდესი როლი შეასრულეს კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლაში, სოფლად საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებაში. ახორციელებდნენ პურის, სასოფლო-სამეურნეო იარაღების უმკაცრეს აღრიცხვასა და განაწილებას. უკვე 1918 წლის შემოდგომისათვის ღარიბთა კომიტეტებმა, რომლებმაც ისტორიული როლი შეასრულეს სოციალისტურ რევოლუციაში, წარმატებით გადაწყვიტეს მათზე დაკისრებული ამოცანები. ამასთან დაკავშირებით, აგრეთვე იმის გამო, რომ საჭირო იყო „საბჭოთა მშენებლობის დამთავრება საბჭოების ერთგვაროვანი ორგანიზაციის შექმნით საბჭოთა რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე", საბჭოების სრულიად რუსეთის VI საგანგებო ყრილობამ, რომელიც 1918 წლის ნოემბერში გაიმართა, მოითხოვა ყველა სათემო და სასოფლო საბჭოს ხელახალი არჩევნები და ხელახალი არჩევნების მოწყობა უშუალოდ დაავალა ღარიბთა კომიტეტებს. 1918 წლის 4 დეკემბერს გამოქვეყნებულ სრულიად რუსეთის ცაკის ინსტრუქციის შესაბამისად ხელახალი არჩევნების შესახებ ღარიბთა კომიტეტებს საგადარჩევნო კამპანიის შემდეგ უნდა შეეწყვიტათ თავიანთი საქმიანობა და მთელი სახსრები და საქმეები გადაეცათ ახალი საბჭოებისათვის. — **106.**

95 სურსათის სახალხო კომისარიატის რწმუნებული ა. კ. პაიკესი და მე-4 არმიის პოლიტიკური კომისარი ზორინი სარატოვიდან იტყობინებოდნენ ჯარის ნაწილების ცუდი მომარაგების შესახებ და თხოულობდნენ სასწრაფო ზომების მიღებას ტანსაცმლის, აღჭურვილობისა და საბრძოლო მასალის გასაგზავნად. — **108.**

96 დეპეშაში ვ. ი. ლენინისადმი, რომელიც მიღებული იყო 1918 წლის 21 აგვისტოს, ღამით, პარტიის პენზის საგუბერნიო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი ს. ს. ტურლო, საგუბერნიო კომიტეტის წევრი ა. მ. ბუზდესი და მდივანი ფ. ვ. ვესელოვსკაია იტყობინებოდნენ საგუბერნიო კომიტეტის სხდომის შესახებ, რომელიც მოწვეული იყო ლენინის 19 აგვისტოს დეპეშასთან დაკავშირებით (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 159). სხდომაზე საგუბერნიო აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ე. მინკინმა პასუხად საგუბერნიო კომიტეტის წევრთა გადაწყვეტილებისა გაეგზავნათ სურსათის მუშაკი და 50 ლატვიელი წითელარმიელი კულაკების აჯანყების ჩასახშობად და მათი პურის კონფისკაციისათვის, განაცხადა, რომ უარს ამბობს შესრულოს ეს გადაწყვეტილება. — **109.**

97 ვ. ი. ლენინის ეს წერილი გამოწვეული იყო შემდეგი გარემოებებით. 1918 წლის 24 აგვისტოს მოსკოვის საბჭომ გაითვალისწინა ქალაქის მძიმე სასურსათო მდგომარეობა და გამოიტანა დადგენილება, რომლის თანახმად მშრომელებს ნება ეძლეოდათ თავისუფლად წაეღოთ მოსკოვში ფუთ-ნახევრამდე სასურსათო პროდუქტები მხოლოდ და მხოლოდ პირადი მოხმარებისათვის. 26 აგვისტოს სახკომსაბჭომ განიხილა პროექტი დეკრეტისა პურის შეღავათიანი შეტანის შესახებ, ამასთან მოსკოვის საბჭოს დადგენილების საკითხი ღიად იყო დატოვებული.

სანამ მიმდინარეობდა საკითხის განხილვა, ფუთ-ნახევრის შეტანის შესახებ მოსკოვის საბჭოს დადგენილების დაწყებულ განხორციელებას არ შეეძლო არ გაეძნელებინა მეტომრეობის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაცია და გადამღობი რაზმების საქმიანობის რეგულირება. სურსათის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრმა ლ. ი. რუზერმა, რომელიც ამ მუშაობას განაგებდა, 29 აგვისტოს შეიტანა კოლეგიაში განცხადება და ითხოვა გაეთავისუფლებინათ იგი მეტომრეობის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციისაგან. განცხადებაში რუზერი წერდა, რომ „ვეღარ პოულობს ფორმულირებებს ვერც ერთი განკარგულებისათვის ადგილებიდან შეკითხვებზე". რუზერის განცხადებაზე ა. დ. ციურუპამ, რომელიც აგრეთვე უარყოფითად ეკიდებოდა „ფუთ-ნახევრიანობას", წააწერა: „კოლეგიის ვერც ერთმა წევრმა, ვერც მთლიანად კოლეგიამ ვერ იპოვეს ის ფორმულირებანი, რომლებიც ვერ იპოვა რუზერმაც. დასკვნა: მოსკოვის დეპუტატთა საბჭოს განკარგულება უნდა გაუქმდეს დაახლოებით ასეთი გეგმით: დადგენილებას იღებს სახკომსაბჭო ახლა და აქვეყნებს; დადგენილებაში აღინიშნება მოსკოვის დეპუტატების საბჭოს დადგენილების მოქმედების შეწყვეტის ვადა—დაახლოებით 15 სექტემბერი. ა. ც ი უ რ უ პ ა" (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 50, გვ. 447).

ლენინის ბარათის ზედა ნაწილში არის ციურუპას აღნიშვნა: „პასუხი რუზერის განცხადებაზე ჩემი მინაწერით", და იქვეა თარიღი: „29/VIII".

სახკომსაბჭოს 1918 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილებით მოსკოვის საბჭოს დადგენილებისა და პეტროგრადის საბჭოს ანალოგიური დადგენილების მოქმედების ვადა დადგინდა 1918 წლის 1 ოქტომბრამდე. — **115**.

98 ეს წერილი ვ. ი. ლენინმა დაწერა ავადმყოფობის დროს, როცა იგი 1918 წლის 30 აგვისტოს მძიმედ დაჭრა ესერმა-ტერორისტმა ფ. კაპლანმა.

ექიმების აკრძალვის მიუხედავად, ვლადიმერ ილიას ძე დაჭრიდან უკვე რამდენიმე დღის შემდეგ ხელს ჰკიდებს საქმეებს. 16 სექტემბერს ექიმებმა ნება დართეს ვ. ი. ლენინს დაეწყო მუშაობა. 23 სექტემბრიდან ოქტომბრის შუა რიცხვებამდე ვ. ი. ლენინი ისვენებდა გორკაში.

ქვემოთ ლაპარაკია პურის შეგროვებაზე ორიოლის გუბერნიის ელეცის მაზრაში. ამ საკითხზე იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 183.

ხელნაწერზე არის თარიღი „7. IX. 1918 წ.". მაგრამ სახკომსაბჭოს საქმის წარმოებაში შემორჩენილია ამ წერილის პირი, რომელზეც უცნობის ხელით აღნიშნულია თარიღი „6/IX" და წერილის გაგზავნის დრო „21 საათი და 10 წუთი." (სსრ კავშირის ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური სახელმწიფო არქივი). გარდა ამისა, 6 სექტემბერს, ღამით, ა. დ. ციურუპამ აცნობა გ. ე. ზინოვიევს პეტროგრადში: „დღეს ვლადიმერ ილიას ძე.... წერდა წერილს" („პეტროგრადსკაია პრავდა" № 194, 1918 წლის 7 სექტემბერი). ეს გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ეს წერილი დაწერილია 1918 წლის 6 სექტემბერს. — **115.**

99 ვ. ი. ლენინის დეპეშა ყაზანში გადასცეს 1918 წლის 10 სექტემბრის დილის 6 საათსა და 54 წუთზე, ხოლო დღის 2 საათისათვის წითელი არმიის ნაწილებმა ყაზანი გაათავისუფლეს თეთრგვარდიელთა და თეთრჩეხთა ჯარებისაგან.

ვ. ი. ლენინის მისალმებანი წითელარმიელებისადმი ყაზანის აღების გამო იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 28, გვ. 95, 104. — **117.**

100 ქალაქი სიმბირსკი გაათავისუფლეს რკინის დივიზიის ნაწილებმა გ. დ. გაის მეთაურობით 1918 წლის 12 სექტემბერს. — **117.**

101 ორიოლის გუბერნიის ელეცის მაზრის ღარიბთა კომიტეტების დეპეშები ვ. ი. ლენინს გაეგზავნა პასუხად მისი წერილისა მიწათმოქმედების სახალხო კომისრის ს. პ. სერედასადმი (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 179). — **118.**

102 წერილი ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩისადმი დაწერილი იყო მისი მეუღლის, ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრის ვ. მ. ველიჩკინა-ბონჩ-ბრუევიჩის გარდაცვალების გამო 1918 წლის 30 სექტემბერს. — **120.**

103 ეს დეპეშა გაიგზავნა იმასთან დაკავშირებით, რომ თურქეთის ელჩმა გერმანიაში რიფაატ ფაშამ მოითხოვა ხელი მოეწერათ ოქმისათვის კავკასიაში სამხედრო მდგომარეობის მოწესრიგების შესახებ. რიფაატ ფაშას მიერ წარდგენილი ოქმის პროექტი ითვალისწინებდა თურქეთის ჯარების გაყვანას კავკასიიდან საზღვრებამდე, რომლებსაც ითვალისწინებდა ბრესტის ხელშეკრულება, მაგრამ მასში არ იყო პუნქტი იმის შესახებ, რომ თურქების მიერ ევაკუირებული ტერიტორიები გადასცემოდა უშუალოდ საბჭოთა ხელისუფალთ.

ამ დეპეშაში გამოთქმული შიში გამართლდა. 1918 წლის 30 ოქტომბერს თურქეთის მთავრობამ ანტანტის ქვეყნებთან ხელი მოაწერა მუდროსის დაზავებას, რომელიც შეიცავდა, კერძოდ, პუნქტს, რომ თურქეთი თანახმაა ბაქოს ოკუპაციაზე ანტანტის ქვეყნების მიერ. 1918 წლის ნოემბერში თურქებმა ამ შეთანხმების შესაბამისად გაიყვანეს თავიანთი ჯარები ბაქოდან, და ქალაქი ოკუპირებული იყო ინგლისელების მიერ. — **121**.

104 ლ. ბ. კრასინი სთხოვდა ვ. ი. ლენინს ხელი მოეწერა დეპეშისათვის ცარიცინის საგანგებო კომისიისადმი ნავთობის მთავარი კომიტეტის მოსამსახურის ნ. მუხინის პატიმრობიდან განთავისუფლებისა და მისთვის მოსკოვში თავისუფლად გამგზავრების შესაძლებლობის მიცემის შესახებ. კრასინი წინადადებას იძლეოდა დეპეშის პირი გაეგზავნათ ი. ბ. სტალინისათვის ცარიცინში. — **121**.

105 ლაპარაკია სტატიაზე „პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი" (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 28, გვ. 109—120). სტატია გამოქვეყნდა 1918 წლის 11 ოქტომბრის „პრავდაში". — **122**.

106 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს მეფისა და ბურჟუაზიული დროებითი მთავრობების ვალები, რაც უნდა გადაეხადათ ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების იმპერიალისტებისათვის. სრულიად რუსეთის ცაკის 1918 წლის 21 იანვრის (3 თებერვლის) დეკრეტით მეფისა და დროებითი მთავრობების მთელი უცხოური სესხი ანულირებული იყო. — **123**.

107 ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ვ. ვილსონისადმი გაიგზავნა 1918 წლის 24 ოქტომბერს (იხ. „სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები", ტომი I, 1957, გვ. 531—539). — **123**.

108 მ. მ. ლიტვინოვი, რუსეთის სფსრ სრულუფლებიანი წარმომადგენელი ინგლისში, დააპატიმრა ინგლისის მთავრობამ როგორც მძევალი მოსკოვში ინგლისის ვიცე-კონსულის ლოკარტის მაგივრად, რომელიც დააპატიმრეს 1918 წლის 3 სექტემბერს კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. 1918 წლის ოქტომბერში ლიტვინოვი გაცვალეს ლოკარტში და დაბრუნდა საბჭოთა რუსეთში. — **123**.

109 1918 წლის 3 ოქტომბერს გაზეთში „La Feuille" გამოქვეყნდა ცნობა, რომ გამოვიდა წიგნი „La Russie socialiste" („სოციალისტური რუსეთი"), რომელიც მოამზადეს მემარცხენე ესერებმა.

*„La Feuille"* („ფურცელი") — ყოველდღიური გაზეთი, რომელიც გამოდიოდა ჟენევაში 1917 — 1920 წლებში. გაზეთი არ იყო

ფორმალურად რომელიმე პარტიის ორგანო, გაზეთი ფაქტობრივად ადგა II ინტერნაციონალის პოზიციებს. — **124**.

110 „З н а м я т р у д о в о й к о м м у н ы“ — გაზეთი; თავდაპირველად, 1918 წლის 26 ივლისიდან 18 აგვისტომდე გამოდიოდა „Знамя борьбы“ სახელწოდებით როგორც მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერთა ჯგუფის ორგანო, ხოლო 21 აგვისტოდან — როგორც მემარცხენე ესერების პარტიისაგან გამოყოფილი „ნაროდნიკ-კომუნისტთა“ პარტიის ორგანო. გაზეთის გამოცემა შეწყდა 1918 წლის ნოემბერში, როცა „ნაროდნიკ-კომუნისტთა“ პარტიის საგანგებო ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება პარტიის დაშლისა და რკპ (ბ)-სთან მისი შეერთების შესახებ.

„В о л я т р у д а“ — გაზეთი, მემარცხენე ესერების პარტიისაგან 1918 წლის სექტემბერში გამოყოფილი „რევოლუციური კომუნიზმის“ პარტიის ორგანო. გამოდიოდა 1918 წლის 14 სექტემბრიდან 4 დეკემბრამდე. 1918 წლის 29 დეკემბრიდან ყოველდღიური გაზეთის ნაცვლად დაიწყო გამოსვლა ჟურნალმა იმავე სახელწოდებით; გამოდიოდა 1920 წლის ოქტომბრამდე, როცა „რევოლუციური კომუნიზმის“ პარტია შეუერთდა რკპ (ბ)-ს. — **124**.

111 ლაპარაკია „სპარტაკის“ ჯგუფის „წერილებზე“, რომლებიც არალეგალურად გამოდიოდა; 1916 წლის სექტემბრიდან 1918 წლის ოქტომბრამდე გამოვიდა თორმეტი ასეთი წერილი. — **125**.

112 ლ. მარტოვის სტატია „მარქსი და პროლეტარიატის დიქტატურის პრობლემა“ დაბეჭდილი იყო ჟურნალ „Sozialistische Auslandpolitik“-ის №№ 29 და 30-ში 1918 წლის 18 და 25 ივლისს. — **126**.

113 რაზეა ლაპარაკი, დადგენილი არ არის. — **126**.

114 იგულისხმება „წერილი სრულიად რუსეთის ცაკის და მოსკოვის საბჭოს გაერთიანებულ სხდომას, გამართულს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებისა და პროფესიული კავშირების წარმომადგენელთა მონაწილეობით 1918 წლის 3 ოქტომბერს“ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 28, გვ. 105 — 108). უფრო დაწვრილებით საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ ანტანტის ქვეყნების ინტერვენციის გაფართოების შესაძლებლობის შესახებ ვ. ი. ლენინმა თქვა მოხსენებაში სრულიად რუსეთის ცაკის, მოსკოვის საბჭოს, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებისა და პროფესიული კავშირების გაერთიანებულ სხდომაზე 1918 წლის 22 ოქტომბერს და სიტყვაში საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ საბჭოების VI ყრილობაზე 1918 წლის 8 ნოემბერს (იქვე, გვ. 121—139, 171—189). — **127**.

115 ლაპარაკია ნიჟნი ნოვგოროდის რადიოლაბორატორიაზე, რომელიც 1918 წელს დააარსეს მ. ა. ბონჩ-ბრუევიჩმა და ვ. მ. ლეშჩინსკიმ და რომელიც ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ შექმნილი ერთ-ერთი პირველი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი იყო. ვ. ი. ლენინი პირადად იყო დაინტერესებული რადიოლაბორატორიის მუშაობით და არაერთხელ გაუწევია მისთვის დახმარება. — **127**.

116 ვ. ი. ლენინის წიგნი „სახელმწიფო და რევოლუცია" ფრანგულ ენაზე პირველად გამოიცა მოსკოვში 1919 წელს. 1921 წლიდან მოყოლებული წიგნი არაერთგზის გამოვიდა ფრანგულ ენაზე პარიზში. — **129**.

117 იგულისხმება „დებულება რადიუმის მისაღებად საცდელი ქარხნის ორგანიზაციისა და ექსპლუატაციის კოლეგიის შესახებ", რომელიც მიიღო სმუს-მა და გამოქვეყნდა 1918 წლის 16 აგვისტოს „იზვესტია ვციკ-ში" — **130**.

118 დაწერილია სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის საბავშვო სახლების განყოფილების გამგის ა. ი. ულიანოვა-ელიზაროვას მიმართვაზე მოსკოვის სახალხო სასახლეების ქონების სამმართველოსადმი თხოვნით, გამოეყოთ შიმშილის გამო მოსკოვიდან პურმოსავლიან გუბერნიებში ევაკუირებული საბავშვო თავშესაფრების საჭიროებისათვის ბალიშები, საბნები და თეთრეული.

ვ. ი. ლენინის მითითება შესრულდა. — **130**.

119 1918 წლის 12 ნოემბერს შვეიცარიის მთავრობამ ანტანტის ქვეყნების ზეგავლენით შვეიცარიიდან გააძევა რუსეთის სფსრ სრულუფლებიანი წარმომადგენლობა, რომელსაც მეთაურობდა ი. ა. ბერზინი. —**131**.

120 ვ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თეთრგვარდიულ-ესერული აჯანყების ჩახშობას იჟევსკში და ქალაქის განთავისუფლებას. მიიღო რა 1918 წლის ნოემბრის დამდეგს მე-2 არმიის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრი ს. ი. გუსევი, მან გამოთქვა იმედი, რომ ოქტომბრის რევოლუციის პირველი წლისთავისათვის იჟევსკი განთავისუფლებული იქნებოდა, და სთხოვა გადაეცათ ეს წითელარმიელებისათვის. 7 ნოემბერს დივიზიის მებრძოლებმა ვ. მ. აზინის მეთაურობით შტურმით აიღეს ქალაქი და იარაღის ქარხანა.

ლენინის დეპეშა პასუხია აღმოსავლეთის ფრონტიდან მიღებულ ცნობისა იჟევსკის განთავისუფლების შესახებ. იგი წაუკითხეს წითელარმიელებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქის განთავისუფლებაში. — **132**.

121 შემორჩენილი წიგნები ლენინის პორონინის ბიბლიოთეკიდან, ისევე როგორც საარქივო მასალები (კრაკოვ—პორონინის არქივი), საბჭოთა კავ-

შირს გადაეცა უკვე ვ. ი. ლენინის სიკვდილის შემდეგ. მასალების პირველი პარტია მიღებული იყო 1924 წელს, ლენინის კუთვნილი წიგნების ნაწილი — 1933 წელს. ლენინის 12 წიგნი, რომლებიც ინახებოდა ბიგდოშჩის ბიბლიოთეკაში, 1945 წელს გადაეცა საბჭოთა არმიას ნიშნად მადლობისა გერმანელ ოკუპანტთაგან ქალაქის განთავისუფლებისათვის. კრაკოვ—პორონინის არქივის მასალების დიდი ჯგუფი, რომელიც აღმოაჩინეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის არქივისტებმა, მიღებული იყო 1951 წელს. განსაკუთრებით ბევრი ძვირფასი დოკუმენტი გადასცა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს პოლონეთის გაერთიანებულმა მუშათა პარტიამ 1954 წელს. სულ 1951 და 1954 წლებში პოლონეთმა სსრ კავშირს გადმოსცა ათასზე მეტი ახალი დოკუმენტი.—**134**.

122 1918 წლის 22 ნოემბერს სურსათის სახალხო კომისარიატის დამზადებისა და მომარაგების განყოფილებამ აცნობა ფინეთის კომუნისტურ კლუბს: „... იმის გამო, რომ ორგანიზაციები ამჟამად მარაგდებიან ნაწილობრივ, თქვენ მოგეცათ სურსათის კომისარიატის მარაგიდან 6 ათასი ფუთი პური. ამას თან ერთვის ამხ. ლენინის წერილის პირი" (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 50, გვ. 453). —**134**.

123 ეს ბარათი პასუხია შეკითხვისა, თუ რა აზრისაა ვ. ი. ლენინი ჩრდილოეთის ოლქის სახალხო (სახელმწიფო) ბანკის კანტორის მმართველის წინადადებაზე, რომ საზეიმოდ აღინიშნულიყო 14 დეკემბერი — კერძო ბანკების ნაციონალიზაციის დეკრეტის გამოქვეყნების წლისთავი. — **135**.

124 ამ დეპეშის დაწერის საბაბი იყო ვ. ი. ლენინის მიერ სმუს-ის სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების გამგის ნ. პ. გორბუნოვისაგან მიღებული საჩივარი, რომ ჩრდილოეთის რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭოს ტექნიკური კომიტეტი აყოვნებდა სამხედრო უწყების ცენტრალური სამეცნიერო-ტექნიკური ლაბორატორიის შეკვეთების შესრულებას. გორბუნოვისაგან მიღებული დოკუმენტის ზემო ნაწილში ვ. ი. ლენინმა განკარგულება დაუწერა მდივანს: „დაურეკეთ გორბუნოვს, რომ მან გამოგზავნოს **დღესვე ზუსტი დოკუმენტები** $^{1}/_{2}$ თვით დაყოვნების შესახებ და ამოსოვის (ჩრდილოეთის რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭოს ტექნიკური კომიტეტის გამგე.—რ ე დ.) ქაღალდების პირი. უდოკუმენტებოდ საჩივარი სერიოზული არ არის. ლ ე ნ ი ნ ი". მარცხნივ — მინაწერი: „გავგზავნე საყვედური. ლ ე ნ ი ნ ი" (თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 50, გვ. 453—454).

იხ. აგრეთვე შემდეგი დოკუმენტი. — **136**.

125 ეს დირექტივა გ. ვ. ჩიჩერინისადმი ვ. ი. ლენინმა დაწერა იმ რადიოგრამასთან დაკავშირებით, რომელიც მიიღო 1918 წლის 10 ნოემბერს

შექმნილი გერმანიის მთავრობისაგან, რომელშიც შედიოდნენ უმთავრესად მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები და ცენტრისტები. 1918 წლის 21 ნოემბრის რადიოგრამაში გერმანიის მთავრობა სთხოვდა საბჭოთა მთავრობას გაეკეთებინა განცხადება, რომ ცნობს მას და ვალდებულებას კისრულობს „თავი შეიკავოს გერმანიის მოსახლეობაზე ყოველგვარი ზემოქმედებისაგან სხვა მთავრობის შექმნის მიზნით".

ლენინის მითითებები აისახა 1918 წლის 25 ნოემბრის ნოტაში გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი, რომელიც გაიგზავნა გ. ვ. ჩიჩერინის ხელმოწერით (იხ. „სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები", ტ. I, 1957, გვ. 576—577). — **137**.

126 ეს დავალება ვ. ი. ლენინმა დააწერა განსაკუთრების მუზეუმებისა და ხელოვნების ძეგლებისა და სიძველეთა დაცვის საქმეთა განყოფილების მოხსენებით ბარათზე სახკომსაბჭოს საქმეთა სამმართველოსადმი 1918 წლის 26 ნოემბერს, რომელშიც თხოულობდნენ, რომ სახელმწიფო მუზეუმების საჭიროებისათვის მიეცათ კრემლის დიდი სასახლის მთელი რიგი შენობები.

1918 წლის 12 დეკემბერს სახკომსაბჭომ დაადგინა: „მიღებულ იქნეს ზომები დიდი სასახლის შენობების გამოსაყენებლად მუზეუმისათვის, განსაკუთრებით მეფის ყოფა-ცხოვრების ისტორიული სურათის წარმოსადგენად" (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 50, გვ. 454). — **138**.

127 ვ. ი. ლენინის დაეჭვება იმ ცნობების სისწორეში, რომ უკრაინაში გერმანელ ჯარისკაცთა საბჭოების უმრავლესობა ბოლშევიკურ პოზიციებზე დგას, სავსებით საფუძვლიანი იყო. 1918 წლის 13 დეკემბერს კიევში გამართულმა გერმანელ ჯარისკაცთა საბჭოების სრულიად უკრაინის ყრილობამ ჩაიარა გერმანელ ოპორტუნისტთა გავლენით და არავითარი პოლიტიკური რეზოლუცია არ მიუღია. ყრილობამ გადაწყვიტა შეთანხმებოდა პეტლიურელებს და უბრძოლველად დაეთმო მათთვის კიევი იმის სანაცვლოდ, რომ ისინი თავისუფლად გაატარებდნენ დასავლეთისაკენ მიმავალ გერმანელთა ეშელონებს. — **139**.

128 იგულისხმება დეკრეტი „მომარაგების ორგანიზაციის შესახებ", რომელიც სახკომსაბჭომ მიიღო 1918 წლის 21 ნოემბერს. ამ დეკრეტის თანახმად მნიშვნელოვანი როლი მოსახლეობის მომარაგების ორგანიზაციაში განეკუთვნა კოოპერაციას. — **140**.

129 იგულისხმება საბჭოების სრულიად რუსეთის VI საგანგებო ყრილობის დადგენილება ზოგიერთი კატეგორიის პატიმართა ამნისტიის შესახებ, რომელიც მიღებული იყო სახკომსაბჭოს წინადადებით 1918 წლის 6

ნოემბერს (იხ. კრებული „რუსეთის სფს რესპუბლიკისა და რუსეთის სფსრ ავტონომიური რესპუბლიკების საბჭოების ყრილობები", ტ. I, 1959, გვ. 89—90). — **141**.

130 ეს დეპეშა ვ. ი. ლენინმა დაწერა იმასთან დაკავშირებით, რომ მიიღო ბორისოგლებსკის უმუშევრობის დაზღვევის სალაროს მუშაკის ი. ვ. ბოგდანოვის საჩივარი მისი ვაჟიშვილის დაპატიმრების გამო, რომელმაც, მოიმიზეზა რა გამოუცდელობა და ჯანმრთელობის ცუდი მდგომარეობა, უარი თქვა მონაწილეობა მიეღო საევაკუაციო კომისიის მუშაობაში, სადაც იგი გამოყოფილი იყო სამდგილმამულო კომისარიატისაგან. — **141**.

131 ვ. ი. ლენინის ეს ბარათი პასუხია ლ. ბ. კამენევისადმი. კამენევი წინადადებას იძლეოდა ორი თვით „უარი ვთქვათ სახელმწიფოს ხელში... მომარაგების მთელი საქმის გადაცემის დაჩქარებაზე" და სწერდა ლენინს: „ნუ უწოდებთ დათმობას, უწოდეთ ლავირება და აღიარეთ, რომ სწორედ დროა ლავირებისა". — **142**.

132 ლაპარაკია ბროშურაზე, რომელშიც დაბეჭდილი იყო საბჭოების სრულიად რუსეთის VI საგანგებო ყრილობის 1918 წლის 8 ნოემბრის დადგენილება რევოლუციური კანონიერების შესახებ. ამ დადგენილებაში საბჭოების VI ყრილობამ მოუწოდა „რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, საბჭოთა ხელისუფლების ყველა ორგანოს, ყველა თანამდებობის პირს უმკაცრესად დაეცვათ რუსეთის სფსრ კანონები, აგრეთვე დადგენილებები, დებულებები და განკარგულებები, რომლებიც გამოუშვა ან რომლებსაც უშვებს ცენტრალური ხელისუფლება". ყოველგვარი გადახვევა კანონებიდან, გამოწვეული კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის პირობებით, დადგენილებაში შეზღუდული იყო ზუსტად განსაზღვრული ჩარჩოებით. დადგენილება სახავდა საბჭოთა დაწესებულებებში ბიუროკრატიზმთან და საქმის გაჭიანურებასთან გადამწყვეტი ბრძოლის ღონისძიებებს.

ბროშურა გამოვიდა 1919 წელს სათაურით „შეასრულეთ საბჭოთა რესპუბლიკის კანონები!". (ამ საკითხზე იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 423.) — **142**.

133 იგულისხმება მასალები სპეკულანტთა და მექრთამეთა ბანდის შესახებ, რომლებიც შეძვრნენ ასტრახანის საბჭოთა ორგანოებში და ფუშავდნენ საბჭოთა ჯარების მომარაგების საქმეს. — **148**.

134 როგორც ჩანს, ლაპარაკია ასტრახან—კასპიის სამხედრო ფლოტილიის ხომალდების რაზმის ოპერაციაზე კასპია-კავკასიის ფრონტის ყიზლა-

რის უბნის რაიონში სტაროტერეჩნაიას ნავმისადგომში დესანტის გადასასხმელად. — **144**.

135 1918 წლის ნოემბრის დამლევს კოლჩაკელთა ჯარები, რომლებსაც ძალების დიდი უპირატესობა ჰქონდათ, გადავიდნენ შეტევაზე აღმოსავლეთის ფრონტის მე-3 არმიის წინააღმდეგ, რათა შეერთებოდნენ ინტერვენტთა ჯარებს ჩრდილოეთში. მძიმე თავდაცვითი ბრძოლების შედეგად მე-3 არმია იძულებული იყო დაეტოვებინა მნიშვნელოვანი ტერიტორია. დამარცხების მიზეზები იყო: ჯარის ნაწილების ცუდი მომარაგება ტანსაცმლით, სურსათით და საომარი მასალით, საჭირო რეზერვების უყოლობა, არმიის რიგი ნაწილების დანაგვიანება კონტრრევოლუციური ელემენტებით იმის შედეგად, რომ ნაწილების ფორმირების დროს ირღვეოდა კლასობრივი პრინციპი, ნაკლოვანებები არმიის ხელმძღვანელობაში სარდლის მ. მ. ლაშევიჩისა და არმიის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს მხრივ.

ამ საკითხზე იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 243. — **144**.

136 დავალება შინაგან საქმეთა სახკომის გ. ი. პეტროვსკისადმი ვ. ი. ლენინმა დაწერა მის მიერ 1918 წლის 16 დეკემბერს მიღებულ დეპეშაზე, რომელიც გამოუგზავნეს სოფელ ბუდილოვოს (იაროსლავლის გუბერნია) გლეხებმა. ისინი უჩიოდნენ ადგილობრივი ღარიბთა კომიტეტის თავმჯდომარეს, რომელმაც მათ ჩამოართვა მარცვალი, მიუხედავად ნამეტი პურის უქონლობისა, და სთხოვდნენ ლენინს დახმარებას როგორც „გლეხური მთავრობის მეთაურს". — **145**.

137 ბარათი ი. მ. სვერდლოვისადმი ვ. ი. ლენინმა დაწერა მე-6 არმიის სამხედრო კომისრის ნ. ნ. კუზმინის დეპეშაზე, რომელიც იტყობინებოდა, რომ ჩრდილოეთის ფრონტის ჯარებში წარმოებს მემარცხენე-ესერული აგიტაცია, რომლის გავლენითაც ზოგიერთ ნაწილში ეცემა დისციპლინა.

რაც შეეხება სპირიდონოვას, მემარცხენე ესერების პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, ალბათ, იგულისხმება მისი გამოსვლები მიტინგებსა და კრებებზე მემარცხენე ესერული პოზიციებიდან, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ბოლშევიკების წინააღმდეგ. 1919 წლის 24 თებერვალს მოსკოვის რევოლუციურმა ტრიბუნალმა განიხილა მ. ა. სპირიდონოვას საქმე, რომელსაც ბრალად ედებოდა კონტრრევოლუციური აგიტაცია და ცილისწამება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. სასამართლოში სპირიდონოვას წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები დასაბუთებულად იქნა ცნობილი, მაგრამ ტრიბუნალმა მხედველობაში მიიღო „ბრალდებულის ავადმყოფურ-ისტერიული მდგომარეობა" და დაადგინა „მ. სპირიდონოვა იზოლირებულ იქნას პოლიტიკური და სა-

ზოგადოებრივი საქმიანობისაგან ერთი წლით, იგი მოთავსდეს სანატორიუმში და მიეცეს ჯანსაღი ფიზიკური და გონებრივი შრომის შესაძლებლობა" („პრავდა" № 43, 1919 წლის 25 თებერვალი). — **146.**

138 ლაპარაკია იმაზე, რომ სურსათის სახალხო კომისარიატს გადასცემოდა სამრეწველო და კუსტარული წარმოების პროდუქტების საწყობები, რომლებიც სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის განკარგულებაში იყო. ეს გადაცემა უნდა მომხდარიყო სახკომსაბჭოს მიერ მოსახლეობის მომარაგების ორგანიზაციის შესახებ 1918 წის 21 ნოემბერს მიღებული დეკრეტის საფუძველზე. 1918 წლის 3 დეკემბერს სურსათის სახალხო კომისარიატმა სთხოვა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიას გადაეცა საწყობები პროდუქტების განაწილების მთავარი სამმართველოსათვის, მაგრამ 20 დეკემბრამდე ეს თხოვნა უპასუხოდ რჩებოდა. 20 დეკემბერს სურსათის სახალხო კომისარიატმა ამ საკითხზე მიმართა თავდაცვის საბჭოს. — **146.**

139 1918 წლის 26 დეკემბერს დ. ა. ბულატოვმა უდეპეშა ვ. ი. ლენინს: „წერილი მივიღე. დავალებას შევასრულებ". 1918 წლის 28 დეკემბრის დეპეშაში ბულატოვი იტყობინებოდა, რომ პერვიტინსკის ღარიბთა კომიტეტის წევრი ტეტერინი გადაყენებულია თანამდებობიდან როგორც ყოფილი ჟანდარმი, ხოლო ღარიბთა კომიტეტის სხვა წევრები დატოვებული არიან თავიანთ ადგილებზე მათთვის წარდგენილ ბრალდებათა დაუმტკიცებლობის გამო. 31 დეკემბერს ბულატოვმა დაწვრილებითი წერილი გაუგზავნა ლენინს ამ საკითხზე. — **147.**

140 ვ. ი. ლენინის დეპეშა პასუხია ვიშნი ვოლოჩეკის მაზრის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის ს. ა. ბანკის 1918 წლის 25 დეკემბრის შემდეგ შეკითხვაზე: „თავდაცვის საბჭოს დადგენილებით სამხედრო ქონების საწყობები დალუქულია, სასწრაფოდ ადგენენ აღწერას. პარტახტიანი ტიფის გავრცელების გამო ქალაქსა და მაზრაში, რაც საშიშ მასშტაბებს იღებს, სახალხო მეურნეობის სამაზრო საბჭოს პრეზიდიუმმა ნება დართო მიეცეს ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებას საავადმყოფოს ქონება. ვკისრულობთ რა დიდ პასუხისმგებლობას, ვშუამდგომლობთ მოგვცეთ თქვენი სანქცია" (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 50, გვ. 459). — **148.**

141 დეპეშა ვ. ი. ლენინმა დაწერა იმასთან დაკავშირებით, რომ მის სახელზე მიღებული იყო III სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ყოფილი წევრის პ. ი. სურკოვის საჩივარი ქალაქ როდნიკის (ივანოვო-ვოზნესენსკის გუბერნია) საგანგებო კომისიის გადაწყვეტილებაზე მოეხდინათ მისი ბიბლიოთეკის კონფისკაცია. სურკოვი იტყობინებოდა, რომ, წინააღმდეგია რა ბიბლიოთეკის გადატანისა როდნიკში,

თანახმაა გადასცეს წიგნები ახალგაზრდობის სასწავლებლად თავის სოფელში. სურკოვის ბიბლიოთეკის შესახებ იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტები 229, 230 და 236. — **148.**

142 1918 წლის 26 დეკემბრის დეპეშაში ვ. ი. ლენინისა და რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციური საბჭოსადმი ლ. დ. ტროცკი იმასთან დაკავშირებით, რომ მთავარსარდალი ი. ი. ვაცეტისი გამოთქვამდა შიშს დამობილების გამო, წერდა დამობილების მნიშვნელობის შესახებ, განსაკუთრებით ჩრდილოეთის ფრონტზე, სადაც იმყოფებოდნენ ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის ჯარები. ამასთან ერთად წითელარმიელთა შორის მოწინააღმდეგის აგიტაციის აღკვეთისა და წითელი არმიის ნაწილების ბრძოლისუნარიანობის შესუსტების თავიდან ასაცილებლად, დეპეშა შეიცავდა წინადადებას, რომ დამობილება მომხდარიყო ორგანიზებულად, პასუხისმგებელი მუშაკების, უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკური კომისრების მეთვალყურეობით და კონტროლით. — **149.**

143 მიღებული ზომების შედეგად ვიაზნიკის მუშებმა მიიღეს ექვსი ვაგონი ფქვილი, აქედან ორი ვაგონი იუჟსკის ფაბრიკისათვის. — **149.**

144 იხ. შენიშვნა 141. — **150.**

145 1918 წლის 27 დეკემბერს პ. ი. სურკოვის ბიბლიოთეკის რეკვიზიციის საკითხი განხილული იყო ქალაქ როდნიკის აღმასკომის, საგანგებო კომისიისა და რკპ (ბ) კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე. მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო, რომ „წიგნებს, რომლებიც მოქ. სურკოვის ბიბლიოთეკაშია და რომლებსაც დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, ჩაკეტილია და არავინ არ კითხულობს, მაშინ როცა იგრძნობა წიგნების უდიდესი ნაკლებობა მუშათა და გლეხთა ფართო მასების განათლებისათვის“ და, რამდენადაც როდნიკში იქმნება ბიბლიოთეკა, „რეკვიზირებული წიგნები უდიდეს სარგებლობას მოიტანენ როგორც საზოგადოებრივი კუთვნილება“. ვ. ი. ლენინისათვის ამ საკითხის უფრო სწორი გაშუქების მიზნით კრებამ გადაწყვიტა მიევლინებინათ მასთან ადგილობრივი საგანგებო კომისიის მდივანი ა. ნ. პროკოფიევი.

ვ. ი. ლენინმა მიიღო პროკოფიევი და მასთან საუბრის შემდეგ მისწერა ეს წერილი განსახკომს. — **150.**

146 ვ. ი. ლენინის წერილის პასუხად განსახკომის საბიბლიოთეკო განყოფილების გამგემ ვ. ი. ბრიუსოვმა 1919 წის 2 იანვარს აცნობა მას, რომ ა. ნ. პროკოფიევი მიიღეს და მოუსმინეს საბიბლიოთეკო განყოფილებაში. ბრიუსოვი წერდა, რომ არსებული წესებით ბიბლიოთეკების რეკვიზიცია შეიძლება მხოლოდ განსახკომის დასტურითა და თანხმობით ისე,

რომ რევიზიციის დროს მხედველობაში იქნეს მიღებული საერთო-სახელმწიფოინტერესები—უწინარეს ყოვლისა, დიდი სახელმწიფო წიგნთსაცავების: რუმიანცევის მუზეუმის (ამჟამად სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის ბიბლიოთეკა), ისტორიული მუზეუმის, სოციალისტური აკადემიის, უნივერსიტეტების და სხვათა მოთხოვნილებანი. ამის გამო პროკოფიევს წინადადება მიეცა წარმოედგინა რეკვიზირებული ბიბლიოთეკის აღწერა.

ვ. ი. ბრიუსოვის ბარათი რომ მიიღო, ვ. ი. ლენინმა მისწერა წერილი ა. ნ. პროკოფიევს (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 236). — **150.**

147 ლაპარაკია მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ „1918 წლის მიწის რეფორმის მასალების" გამოცემაზე. გამოშვება VI— „სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის განსხვისება და გამოყენება"—გამოვიდა 1918 წლის დამლევს. — **151.**

148 როგორც ჩანს, ლაპარაკია ფურცლების გამოცემასა და გავრცელებაზე ანტანტის ჯარებში და იმ ადგილებში, რომლებიც ინტერვენტებსა და თეთრგვარდიელებს ჰქონდათ დაპყრობილი. — **151.**

149 ეს ვ. ი. ლენინმა წააწერა ცნობას მეორე მხარეზე, რომელიც მას წარუდგინა გზათა სახკომმა ვ. ი. ნევსკის მოსკოვიდან პეტროგრადში გაგზავნილი სასურსათო ტვირთების რაოდენობისა და ნიჟნი ნოვგოროდიდან პეტროგრადში სასურსათო ტვირთების გაგზავნის დაყოვნების შესახებ. — **152.**

150 იხ. შენიშვნა 146. — **158.**

151 1919 წლის 10 იანვრიდან პ. ი. სურკოვის ბიბლიოთეკა გადავიდა როდნიკის სახალხო განათლების განყოფილების გამგებლობაში, ამასთან წიგნების ნაწილი დაუბრუნდა მფლობელს. რეკვიზირებული და პ. ი. სურკოვისათვის დაბრუნებული წიგნების სია 3 თებერვალს გაეგზავნა ვ. ი. ლენინსა და განსახკომის საბიბლიოთეკო განყოფილებას. — **158.**

152 ვ. ი. ლენინმა ეს დაწერა ტვერის გუბერნიის ვესიეგონსკის მაზრის ლოპატინის თემის სოფელ ვასიუტინოს გლეხ თ. თ. ობრაზცოვთან საუბრის გამო, რომელიც ლენინთან მიავლინეს სოფლის კომუნისტებმა შუამდგომლობით, რომ დახმარებოდა 1917 წლის დამლევს დამწვარი სასოფლო სახალხო სახლის ნაცვლად ახალი სახლის მშენებლობაში.

ობრაზცოვის შინ დაბრუნების შემდეგ ადგილობრივმა გაზეთმა „იზვესტია ვესიეგონსკოგო სოვეტა რაბოჩიხ, კრესტიანსკიხ ი კრასნოარმეისკიხ დეპუტატოვ" 1919 წლის 18 იანვარს გამოაქვეყნა სტატია ლენინის მიერ მისი მიღების შესახებ სათაურით „სტუმრად ამხანაგ

ლენინთან“. მასში ობრაზცოვი მოგვითხრობდა, რომ ლენინთან საუბარი მიეძღვნა უმთავრესად კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას ღარიბესი და საშუალო გლეხობის მიმართ. სტატიის დასასრულს ობრაზცოვი წერდა: „ვესიეგონსკის მაზრის ამხანაგო გლეხებო! მერწმუნეთ, საკუთარი თვალით ვნახე, რომ იქ, ზემოთ, ჩვენს საერთო საქმეს მართავენ არა ჩინოვნიკები და ბიუროკრატები, არამედ უბრალო ჩვენი ამხანაგები, რომლებიც სამართლიანად უწოდებენ თავს მუშურ-გლეხურ მთავრობას. მოვუსმინოთ მათ ხმას. ისინი მუშაობენ ჩვენთვის და ჩვენი ბავშვებისათვის. დავეხმაროთ მათ ძნელ მუშაობაში ყველაფრით, რითაც შეგვიძლია. მაშინ უფრო მალე მოვესწრებით ოქროს ხანას ჩვენთვის. ამხანაგებო! იმედი მაქვს, რომ თქვენთან ერთად ხმამაღლა ვამბობ: გაუმარჯოს პროლეტარიატის ბელადსა და ღარიბების დამცველს, ჩვენს მეგობარსა და ძმას, ვლადიმერ ილიას ძე ლენინს!!“. — **155**.

153 ეს დეპეშა ვ. ი. ლენინმა გაგზავნა პასუხად იმ დეპეშისა, რომელიც მიიღო გორკინოს სადგურიდან 1919 წლის 4 იანვარს: „მოსკოვი, სახკომსაბჭო, ლენინს. ჩვენ, ჩრდილოეთის რკინიგზის გორკინოს სადგურის მოსამსახურეებმა, ხელოსნებმა და მუშებმა საერთო კრებაზე საჭიროდ მივიჩნიეთ მოგმართოთ თხოვნით, რათა დაგვრთოთ ნება გამოგიგზავნოთ ჩვენი გადაუდებელ საჭიროებათა მოსახსენებლად. თქვენი თანხმობა მიღებაზე, და სახელდობრ როდის, გთხოვთ გვაცნობოთ. საერთო კრების თავმჯდომარე რიაბინინი. მდივანი ნესტერეხინი“ (ლენინის XXXV კრებული, გვ. 51). — **155**.

154 დეპეშა გაიგზავნა უფის რევკომისადმი შეკითხვის პასუხად. რევკომს მემარჯვენე ესერებმა მიმართეს წინადადებით დაეწყოთ მოლაპარაკება კოლჩაკის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების შესახებ.

მოლაპარაკება უფელ მემარჯვენე ესერებთან წარმოებდა 1919 წლის იანვარ—თებერვალში უფასა და მოსკოვში.

თებერვლის დამლევს სრულიად რუსეთის ცაკმა მიიღო გადაწყვეტილება მემარჯვენე ესერებისადმი დამოკიდებულების შესახებ. სრულიად რუსეთის ცაკმა გაითვალისწინა მოლაპარაკების დადებითი შედეგები და აღნიშნა, რომ მემარჯვენე ესერების პარტიულმა კონფერენციამ 1919 წლის 8 თებერვალს გაილაშქრა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლისა და რუსეთის საქმეებში უცხოეთის ჩარევის წინააღმდეგ და დაადგინა მიეცეთ უფლება მემარჯვენე ესერების იმ ჯგუფებს, რომლებიც ამ პოზიციაზე დგანან, „მონაწილეობა მიიღონ საბჭოთა მუშაობაში“ („იზვესტია ვციკ“ № 45, 1919 წლის 27 თებერვალი). — **157**.

155 1918 წლის 25 დეკემბერს კოლჩაკის ჯარებმა დაიკავეს პერმი. განიხილა რა პარტიის ურალის საოლქო კომიტეტის წერილი მე-3 არმიის წარუმატებლობათა მიზეზების შესახებ, რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა შექმნა პარტიულ-საგამომძიებლო კომისია ი. ბ. სტალინისა და ფ. ე. ძერჟინსკის შემადგენლობით, რომელიც 1919 წლის იანვრის პირველ რიცხვებში გაემგზავრა მე-3 არმიაში.

გამოქვეყნებული მიწერილობა ვ. ი. ლენინმა დაწერა ი. ბ. სტალინისა და ფ. ე. ძერჟინსკის წერილთან დაკავშირებით, რომელშიც ისინი იტყობინებოდნენ, რომ გამოძიება დაიწყო და აღნიშნავდნენ, რომ მოწინააღმდეგის სწრაფი შემოტევის თავიდან აცილების მიზნით საჭიროა მე-3 არმიის გასაძლიერებლად სასწრაფოდ გაიგზავნოს სამი საიმედო პოლკი.

ამ საკითხზე იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტები 220, 252 და თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 28, გვ. 488. — **158.**

156 ვ. ი. ლენინის დეპეშის პასუხად რიაზანის საგუბერნიო აღმასკომის თავმჯდომარე კორნევი იტყობინებოდა, რომ 1919 წლის 15 იანვარს საგუბერნიო აღმასკომის პრეზიდიუმისა და საქალაქო აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომაზე მიღებული იყო გადაწყვეტილება სასწრაფოდ შეექმნათ საქალაქო აღმასკომთან საზოგადოებრივი კვების განყოფილება და მის გამგებლობაში გადაეცათ რიაზანის ყველა სასადილო და საჩაიე. — **160.**

157 დეპეშის დაწერის საბაბი გახდა 1919 წლის 12 იანვარს, დაახლოებით საღამოს 7 საათზე, ლენინის სახელზე მიღებული ოთხი მუშის დეპეშა, რომელშიც ჩიოდნენ, რომ გავრილოვო-პოსადის საგანგებო კომისიამ მოახდინა მათი 16 ფუთი შვრიის კონფისკაცია და თხოულობდნენ, რომ გაეცა განკარგულება მისი დაბრუნების შესახებ. — **160.**

158 ეს დავალება მდივანისადმი ვ. ი. ლენინმა დაწერა ტულის გუბერნიის ერთ-ერთი რაიონის რკინიგზის მილიციის უფროსის პაშკოვის დეპეშაზე თავდაცვის საბჭოსადმი, რომელშიც იგი იტყობინებოდა, თუ როგორ მიმდინარეობდა თოვლის ნამქერებისაგან რკინიგზის ლიანდაგების გასაწმენდი სამუშაოები. დეპეშაში მოყვანილი იყო კონკრეტული მონაცემები ლიანდაგების გაწმენდაზე დასაქმებული მუშებისა და საზიდრების რაოდენობის შესახებ. — **161.**

159 მითითებანი ა. დ. ციურუპასადმი ვ. ი. ლენინმა წააწერა მოსკოვისა და პეტროგრადის ბავშვებისათვის სურსათის შემსყიდველი განსახკომის საუწყებათშორისო კომისიის მოხსენებით ბარათს. მოხსენებით ბარათში დასახული იყო სურსათით ბავშვების უზრუნველყოფის გაუმჯობესების ღონისძიებანი და, კერძოდ, იყო წინადადება მომზადებულიყო და გამოცხადებულიყო „დამშეულ ბავშვთა კვირეული" სოფელ ადგილებში პროდუქტებზე საქონლის გადასაცვლელად და ამ პროდუქტების ქალაქებში მისატანად. — **162.**

160 დოკუმენტი, რომელზეც ლაპარაკია, ნაპოვნი არ არის. — **163**.

161 მიწერილობა ლ. დ. ტროცკისადმი ვ. ი. ლენინმა წააწერა ი. ბ. სტალინისა და ფ. ე. ძერჟინსკის მოხსენებას პერმის დაცემის მიზეზების შესახებ. მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ მე-3 არმიის გასაძლიერებლად განკუთვნილმა სამმა პოლკმა მიიღო ახალი დანიშნულება, ნარვასთან. — **163**.

162 ვ. ი. ლენინს, ალბათ, მხედველობაში აქვს სამხრეთის ფრონტის რკინიგზების საგანგებო სამხედრო კომისრის მ. კ. ვლადიმიროვის 1919 წლის 19 იანვრის წერილი, რომელიც იტყობინებოდა საქმის მდგომარეობას მის საქვეუწყებო გზებზე. წერილს დართული ჰქონდა პროექტი თავდაცვის საბჭოს 1918 წლის 22 დეკემბრის დადგენილების დამატებისა თოვლის ნამქერებთან ბრძოლის საკითხზე. — **163**.

163 1919 წლის 18 იანვარს სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება სახელმწიფო მანქანათსაშენებელ ქარხნებში სათბობისა და სურსათის მდგომარეობის საკითხზე. ამ დადგენილებით სურსათის სახალხო კომისარიატს წინადადება ეძლეოდა მიეცა ზუსტი ცნობები იმის შესახებ, „რამდენი ვაგონი, როდის და რა ადგილებიდან არის შეკვეთილი მანქანათსაშენებელი ქარხნებისა და საფეიქრო საწარმოებისათვის" (ლენინის XXXIV კრებული, გვ. 94). — **164**.

164 ლაპარაკია კონფერენციის განზრახულ მოწვევაზე პრინცის კუნძულებზე (მარმარილოს ზღვა) რუსეთის ტერიტორიაზე არსებული ყველა მთავრობის წარმომადგენელთა მონაწილეობით სამოქალაქო ომის შეწყვეტის ღონისძიებათა შესამუშავებლად. კონფერენციის მონაწილეებისადმი მიმართვის პროექტი შეადგინა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ვილსონმა. იმპერიალისტებმა კონფერენციის შესახებ ლაპარაკი წამოიწყეს იმისათვის, რომ შეეჩერებინათ წითელი არმიის შეტევა, ხოლო თუ საბჭოთა მთავრობა უარს იტყოდა კონფერენციაში მონაწილეობაზე, მისთვის დაებრალებინათ საომარი მოქმედების განგრძობა. საბჭოთა მთავრობამ „შემრიგებლური" ნიღაბი ჩამოხადა იმპერიალისტებს; 1919 წლის 4 თებერვალს მან რადიოთი აცნობა დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და იაპონიის მთავრობებს, რომ თანახმაა მონაწილეობა მიიღოს კონფერენციაში, რადგან განზრახული ჰქონდა გამოეყენებინა იგი როგორც საერთაშორისო ტრიბუნა ინტერვენტთა სამხილებლად. მაგრამ პასუხი ანტანტის იმპერიალისტებისაგან არ ყოფილა. დენიკინმა, კოლჩაკმა და სხვა კონტრრევოლუციურმა მთავრობებმა, რომელთაც იმედი ჰქონდათ მოახრჩობდნენ საბჭოთა რესპუბლიკას სამხედრო ძალით, უარი თქვეს კონფერენციაში მონაწილეობაზე. კონფერენცია არ გამართულა. — **165**.

165 დეპეშა ვ. ი. ლენინმა გაგზავნა იმასთან დაკავშირებით, რომ სამარიდან მიიღო თავდაცვის საბჭოს რწმუნებულის შვარცის ცნობა, რომ დააპატიმრეს მემარჯვენე ესერი ა. მ. სმირნოვი, ყოფილი ქალაქის თავი თეთრჩეხების დროს, რომელიც პატიების სათხოვნელად მოვიდა და განაცხადა, რომ აპირებს იმუშაოს „საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად" კოლჩაკის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით. შვარცის დეპეშაში ნათქვამი იყო, რომ სმირნოვი არავითარ პირობებს არ აყენებს მომავალი საქმიანობისათვის და თან ჰყავს თავისი ბანაკის პირთა ჯგუფი, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ ემსახურონ საბჭოთა ხელისუფლებას.

სამარიდან მიღებულ დეპეშას ლენინმა წააწერა: „ახლო ცნობებისათვის, ვუდეპეშე 27/I". — **165**.

166 ვ. ი. ლენინის ბარათი რომ მიიღო, ე. მ. სკლიანსკიმ განკარგულება მისცა რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრს ს. ი. არალოვს დაუყოვნებლივი გამოძიების შესახებ. 1919 წლის 3 თებერვალს არალოვმა აცნობა სკლიანსკის, რომ ავიაციისა და აერნაოსნობის საველე სამმართველომ ცარიცინის ფრონტზე რევიზიისათვის გაგზავნა სრულიად რუსეთის საჰაერო ფლოტის საბჭოს თანამშრომელი. — **168**.

167 ვ. ი. ლენინის ეს ბარათი ვაჭრობისა და მრეწველობის სახკომის ლ. ბ. კრასინისადმი დაწერილი იყო იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთში მყოფმა პოლონეთის სოციალისტური პარტიის (პპს) ყოფილმა მოღვაწემ ე. ი. იასტრჟემბსკიმ დაწერა მოხსენება ვარშავაში თავისი გამგზავრების შესახებ, სადაც იმოგზაურა იმ მიზნით, რომ გამოერკვია პოლონეთთან საბჭოთა რესპუბლიკის სავაჭრო და კულტურული ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობა. იასტრჟემბსკის მისიას, პპს-ის მემარჯვენე ლიდერების წინააღმდეგობის გამო, წარმატება არ ჰქონია. მიუხედავად ამისა, ვ. ი. ლენინი მოითხოვდა მოლაპარაკების განგრძობას. — **167**.

168 წარწერილია უკრაინის სამხედრო საქმეთა სახკომის ნ. ი. პოდვოისკის მდივნის დეპეშაზე მოსკოვიდან ხარკოვში პოდვოისკის მატარებლის გამგზავრების შესახებ. დეპეშა გაიგზავნა შვიდი სხვადასხვა მისამართით. — **167**.

169 ეს მითითება ე. მ. სკლიანსკის და ფოსტა-ტელეგრაფის სახკომს ვ. ნ. პოდბელსკის ვ. ი. ლენინმა მისცა, როცა მიიღო ლ. დ. ტროცკის მატარებლის კავშირგაბმულობის უფროსის დეპეშა პეტროგრადიდან იამბურგისაკენ ტროცკის მატარებლის გაგზავნის შესახებ. დეპეშა ერთსა და იმავე დროს გაეგზავნა დიდძალ ადრესატს. — **167**.

170 1919 წლის 6 თებერვალს ა. გ. შლიაპნიკოვმა შეატყობინა ვ. ი. ლენინს ბაქოდან მიღებული ცნობები, რომ ბაქოს საწარმოთა მუშები და მატ-

როსები მტრულად არიან განწყობილი ინგლისელი ოკუპანტების მიმართ და გემები, რომლებზედაც ჯერ კიდევ დარჩნენ რუსი მატროსები, მზად არიან გადმოვიდნენ საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე, ხოლო ბაქოელი მუშები წითელი არმიის შეტევის დროს მოაწყობენ აჯანყებასო. — **168**.

171 დავალება გ. ი. პეტროვსკისადმი ვ. ი. ლენინმა წააწერა მოხსენებას კურსკის გუბერნიის მდგომარეობის შესახებ, რომელიც წარმოადგინა სამხედრო ინსპექციის ერთ-ერთმა მუშაკმა. მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ კურსკის გუბერნიის მშრომელები უკმაყოფილონი არიან ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული მუშაკების ბოროტმოქმედებათა, სოფლად საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის ცუდი ორგანიზაციისა და გუბერნიის პარტიული ორგანიზაციების სისუსტის გამო.—**168**.

172 ვ. ი. ლენინს აცნობეს, რომ ხმები ვ. ი. ზასულიჩისა და სხვა რევოლუციონერების გასახლებისა შესახებ მოკლებულია საფუძველს. — **169**.

173 ეს დეპეშა ვ. ი. ლენინმა გაგზავნა, როცა მიიღო მ. მ. ფედოსეევის წერილი ტამბოვის გუბერნიის ელატმის მაზრის სოფელ აზეევოდან. ფედოსეევი იტყობინებოდა, რომ 1918 წლის ოქტომბერში ნაციონალიზებული იყო მისი სტამბა ქალაქ ელატმაში, რომელიც ახლა მოთავსებულია „ფარდულში, ჟანგი ეკიდება და უმოქმედოდ არის“, მაშინ როცა სამაზრო ქალაქი ელატმა დარჩა უსტამბოდ და შეკვეთები იგზავნება სხვა მაზრების ქალაქებში. ფედოსეევი წერდა, რომ იგი „ბურჟუა არ არის“, 27 წელს მსახურობდა საქმის მწარმოებლად, მდივნად, მასწავლებლად, ბუღალტრად; ნისიად იყიდა რა ძველი დამტვრეული სასტამბო მანქანა, წესრიგში მოიყვანა იგი და თვითონ მუშაობდა სტამბაში კორექტორად და ასოთამწყობად.

ფედოსეევის წერილზე ლენინმა გააკეთა აღნიშვნა: „დეპეშა 18. II გავგზავნე“. „ა რ ქ ი ვ შ ი **ახლო** ცნობებისათვის“. — **170**.

174 ვ. ი. ლენინის დეპეშის პასუხად ელატმის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე პ. გორბუნოვმა იმავე დღეს აცნობა, რომ სამაზრო აღმასკომს განზრახული აქვს ფედოსეევის სტამბა გააერთიანოს სხვა ნაციონალიზებულ ადგილობრივ სტამბასთან (მეშჩერიაკოვის) და ფედოსეევსა და მეშჩერიაკოვს, როგორც სპეციალისტებს, მისცეს სამუშაო ამ სტამბაში. — **170**.

175 აღმოსავლეთის ფრონტის შტაბის 1919 წლის 19 თებერვლის დეპეშაში ნათქვამი იყო მოლაპარაკების შესახებ ბაშკირეთის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობის წარმომადგენლებთან ამ მთავრობის ანტისაბ-

ჭოთა საქმიანობის შეწყვეტისა და წითელი არმიის ნაწილებთან ერთად კოლჩაკის წინააღმდეგ ბაშკირეთის ჯარების ბრძოლის საკითხზე. დეპეშაში გამოთქმული იყო აზრი, რომ, თუ ბაშკირეთის ჯარები დაუყოვნებლივ გადავიდოდნენ შეტევაზე კოლჩაკის წინააღმდეგ, მაშინ საჭირო არ იქნებოდა მათი განიარაღება, ხოლო თუ უარს იტყოდნენ ამის გაკეთებაზე, საჭირო იქნებოდა განიარაღება.

1919 წლის თებერვლის დამლევს დაიწყო ბაშკირეთის ნაწილებისა და წითელი არმიის ერთობლივი მოქმედება თეთრგვარდიელთა ჯარების წინააღმდეგ და შეიქმნა ბაშკირეთის რევოლუციური კომიტეტი. 1919 წლის 20 მარტს ხელმოწერილი იყო რუსეთის სფსრ მთავრობის შეთანხმება ბაშკირეთის მთავრობასთან ბაშკირეთის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკის შექმნის შესახებ. — **171.**

176 ვ. ი. ლენინმა ეს წააწერა თავისი ბროშურის „ბრძოლა პურისათვის“ (მოსკოვი, 1918) სატიტულო ფურცელს, რომელიც ა. პ. რამენსკის (ვლადიმერ ილიას ძის მამის — ი. ნ. ულიანოვის თანამოსამსახურის) მეშვეობით გადასცა ტვერის გუბერნიის მასწავლებელთა დელეგაციას. დელეგაცია მოსკოვში ჩავიდა საშუამდგომლოდ, რომ სასურსათო დახმარება გაეწიათ ტვერის მასწავლებლებისათვის.

ვ. ი. ლენინის ბროშურა შეიცავდა მის მოხსენების ტექსტს შიმშილთან ბრძოლის შესახებ სრულიად რუსეთის ცაკის, მოსკოვის საბჭოს და პროფესიული კავშირების გაერთიანებულ სხდომაზე 1918 წლის 4 ივლისს და საბოლოო სიტყვას მოხსენების გამო (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 27, გვ. 513—542). — **172.**

177 ვ. ი. ლენინის დეპეშა პასუხია მოგილიოვის გუბერნიის ორშის მაზრის მიკულინსკის თემის რუდნის აღმასკომის თავმჯდომარის ს. ე. ცეხანოვსკის 1919 წლის 26 თებერვლის დეპეშაზე. ცეხანოვსკი წერდა, რომ მიკულინსკელმა კომუნისტებმა შექმნეს ცენტრალური სათემო მუშათა კოოპერატივი „ვაჭრობის კომუნისტური წყობის საფუძველზე მუშათა და გლეხთა გაერთიანების, კერძო ვაჭრობის, მაროდიორობის მოსპობის, კულაკური ელემენტის მოქმედ სამომხმარებლო საზოგადოებათა რეკონსტრუირების“ მიზნით; ამ მუშათა კოოპერატივის წესდება განხილული იყო სმუს-ში. იუწყებოდა რა, რომ სამაზრო და საგუბერნიო ორგანიზაციების ხელმძღვანელები ორშასა და მოგილიოვში უარყოფითად მოეკიდნენ მიკულინსკელ კომუნისტთა მოქმედებას, ცეხანოვსკი თხოულობდა ნებართვას პირადად მოეხსენებინა ლენინისათვის „აღნიშნული საქმის მდგომარეობა, როგორც კომუნიზმის ბელადისა და პროლეტარიატის დამცველისათვის“. — **174.**

178 ბარათი მ. მ. კოსტელოვსკაიასადმი ვ. ი. ლენინმა დაწერა, ალბათ, სახკომსაბჭოს 1919 წლის 27 თებერვლის სხდომაზე, რომელზეც იხილავ-

დნენ დადგენილების პროექტს მუშათა სასურსათო რაზმების შესახებ. ბარათი იყო პასუხი კოსტელოვსკაიას წინადადებაზე გადაეტანათ ამ საკითხის განხილვა. — 174.

179 ვ. ი. ლენინმა ეს წააწერა სურსათის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრის ა. ი. სვიდერსკის ბარათს, როგორც ჩანს, სახკომსაბჭოს სხდომაზე. სვიდერსკი წერდა, რომ სურსათის სახალხო კომისარიატში განხილული იყო საკითხი: ჩაითვალოს თუ არა უკრაინის საზღვრები ღიად ყველა სასურსათო პროდუქტის თავისუფალი გაზიდვისათვის, თუ მხოლოდ არანორმირებულისა.

სასურსათო საქმის ორგანიზაციას უკრაინის განთავისუფლებულ რაიონებში 1919 წლის დამდეგს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ლენინი ამ საკითხს დიდ ყურადღებას უთმობდა და წინადადებას იძლეოდა, კერძოდ, დაეჩქარებინათ უკრაინაში ა. გ. შლიხტერის გაგზავნა, რომელიც სათავეში უნდა ჩასდგომოდა უკრაინის სურსათის სახალხო კომისარიატს. 1919 წლის 25 თებერვალს მან წააწერა გ. ლ. პიატაკოვის დეპეშას, რომელიც იტყობინებოდა უკრაინაში სურსათის მარაგის შესახებ: „გადაეცით შლიხტერს, დამატებით, რომ ძალზე უკმაყოფილო ვარ მისი გამგზავრების დაყოვნებით" (ა. შლიხტერი. „მშრომელთა მასწავლებელი და მეგობარი". მ., 1957, გვ. 55). 1919 წლის 19 თებერვალს და 11 მარტს რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სპეციალური გადაწყვეტილება უკრაინაში სასურსათო პოლიტიკის შესახებ (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 37, გვ. 522, 630—631).—175.

180 სახკომსაბჭოს მდივანმა ლ. ა. ფოტიევამ ვ. ი. ლენინს მიმართა თხოვნით მიეღო სამუშაოდ სახკომსაბჭოს სამდივნოში ახალი თანამშრომელი, რომელსაც რეკომენდაციას აძლევდა სახკომსაბჭოს საქმეთა სამმართველოსთან არსებული თანამშრომელთა კოლექტივის ბიურო. სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩი წინააღმდეგი იყო მიღებისა და იმოწმებდა დეკრეტს „საბჭოთა დაწესებულებებში ნათესავების ერთად სამსახურის შეუწყნარებლობის შესახებ" (სახკომსაბჭოში მუშაობდა რეკომენდებული თანამშრომლის და). ამის გამო ფოტიევა სწერდა ლენინს, რომ რეკომენდებული თანამშრომელი „ძალიან კარგი მუშაკია და ჩვენთვის საინტერესოა სწორედ მისი მიღება... ხომ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ დეკრეტს?". სწორედ ამასთან დაკავშირებით დაწერა ლენინმა ეს ბარათები. — 175.

181 ეს დოკუმენტი ვ. ი. ლენინმა წააწერა პოლონეთის სოციალისტური პარტიის (პპს) ცენტრალური მუშათა კომიტეტის წერილს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისადმი. ამ წერილის მესამე პუნქტში გამოთქმული იყო სურვილი გადაჭრილიყო პოლონეთის საზღვრების საკითხი სადავო

ტერიტორიებზე, და პირველ რიგში ლიტვასა და ბელორუსიაში მცხოვრები მოსახლეობის თვითგამორკვევის საფუძველზე. ლენინის წინადადება მიიღო რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და აისახა გ. ვ. ჩიჩერინის წერილში პოლონეთის მთავრობის საგანგებო დელეგატის ა. ი. ვენცკოვსკისადმი (იხ. „სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები", ტ. II, 1958, გვ. 105—106). — **176**.

182 ცარიცინის საბინაო განყოფილების მოსამსახურე ე. ვ. პერშიკოვა დააპატიმრეს იმისათვის, რომ მოხატა ლენინის პორტრეტი, რომელიც ამოგლიჯა რომელიღაც ბროშურიდან. პერშიკოვას განთავისუფლებას თხოულობდნენ ვ. ი. ლენინის სახელზე გაგზავნილ დეპეშებში ცარიცინის მილიციის ერთ-ერთი უბნის უფროსი ვ. ს. უსაჩოვი და წითელარმიელი მინინი. მინინის დეპეშას ლენინმა წააწერა დავალება მდივნისადმი: „მომაგონეთ, როცა მოვა საგანგებო კომისიის თავმჯდომარის პასუხი (ხოლო მთელი მასალა შ ე მ დ ე გ მიეცით ფელეტონისტებს)" (ლენინის XXIV კრებული, გვ. 172). — **176**.

183 დაწერილია, როგორც ჩანს, სახკომსაბჭოს სხდომაზე. — **176**.

184 საპასუხო დეპეშაში ა. ლ. კოლეგაევმა აცნობა, რომ მოსკოვში გაგზავნილია სამი სამარშრუტო მატარებელი სურსათით. დეპეშაში აგრეთვე მოყვანილი იყო ცნობები სურსათის შეგროვების მიმდინარეობის შესახებ და აღნიშნული იყო, რომ დამზადების დასაჩქარებლად საჭიროა დამატებით გაიგზავნონ ცენტრიდან მუშები და პასუხისმგებელი სასურსათო საქმის მუშაკები. — **177**.

185 1919 წლის 29 იანვარს ვიატკის გუბერნიის სარაპულის მაზრის საბჭოების II ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება მაზრის ყველა სოფელში პურის საჩუქრად შეგროვების შესახებ მოსკოვისა და პეტროგრადისათვის. ყრილობამ დაადგინა: 40 000 ფუთი პური საჩუქრად მოსკოვს „თვითონ წავიღოთ და მივართვათ ჩვენს ძვირფასსა და საყვარელ ბელადს ამხ. ლენინს". ეს ბარათი ვ. ი. ლენინმა დაწერა პურის ეშელონის თანმხლებ სარაპულელ გლეხთა დელეგაციის მიღებასთან დაკავშირებით. იგი დაწერილია, როგორც ჩანს, არა 12 მარტს, როგორც აღნიშნულია დოკუმენტში, არამედ 1919 წლის 11 მარტს. ამას მოწმობს შემდეგი გარემოება. უკვე 12 მარტს № 55 „პრავდა" იუწყებოდა იმის შესახებ, რომ კამენევი 11 მარტს გამოვიდა მოსკოვის საბჭოს პლენუმზე და თქვა, „რომ მიიღო წერილი ამხ. ლენინისაგან, რომელთანაც იყვნენ ვიატკის გუბერნიის სარაპულის მაზრის წარმომადგენლები და მოსკოვს საჩუქრად ჩამოუტანეს 40 ათასი ფუთი პური. ჩამოსულნი ახლა აქ არიან პლენუმზე". ამ თარიღის მცდარობას მოწმობს ის ფაქტიც,

რომ ლენინი 12 მარტს პეტროგრადში იყო და გამოვიდა პეტროგრადის საბჭოს სხდომაზე თავრიდის სასახლეში (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 29, გვ. 1—25). თვითონ ლენინი 1919 წლის 13 მარტს გამოვიდა მიტინგზე პეტროგრადის სახალხო სახლში და თქვა: „სულ რამდენიმე დღეა, რაც ჩემთან იყო სარაპულის მაზრას 5 თემის გლეხთა დელეგაცია...“ (იქვე, გვ. 38). — **177**.

186 დაწერილია სმოლენსკის გუბერნიის ბელსკის მაზრის სოფელ ალექსეევოს გლეხის ე. ნიკიტინის თხოვნასთან დაკავშირებით გაეგზავნათ მისთვის დეკრეტები და სხვა მასალები, რომლებიც საჭიროა გლეხთა პოლიტიკური წრის სახელმძღვანელოდ. — **178**.

187 ეს დავალება გ. ი. პეტროვსკის ვ. ი. ლენინმა მისცა იმასთან დაკავშირებით, რომ მიიღო ვოლოგდის გუბერნიის კადნიკოვსკის მაზრის კორბანგის თემის გლეხთა საჩივარი სათემო აღმასკომის არასწორ დამოკიდებულებაზე საშუალო გლეხებისადმი. ლენინმა დავალება წააწერა დეპეშის შემდეგ პროექტს, რომელიც დაწერილია ნ. კ. კრუპსკაიას ხელით: „ვოლოგდის გუბერნიის კადნიკოვსკის მაზრის კორბანგის სათემო საბჭოს. დაუყოვნებლივ შეადგინეთ ყველა სოფელში საბჭოს ამომრჩეველთა სიები, რომლებშიც არ უნდა შეიტანოთ აშკარა კულაკები, და არჩევნებში მოიზიდეთ საშუალო გლეხობა. სიების შედგენის შემდეგ დანიშნეთ საბჭოს ხელახალი არჩევნები. მოხდება შემოწმება. სიების არასწორად შედგენის დამნაშავენი პასუხს აგებენ“ (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 50, გვ. 476).

მალე ამის შემდეგ, შეიტყო რა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრის ა. გ. პრავდინის უხეში დამოკიდებულება უ. პ. მოსტაკოვასადმი, რომელმაც ვოლოგდელ გლეხთა საჩივარი ჩამოუტანა, ვ. ი. ლენინმა მისწერა პეტროვსკის: „...პრავდინს ტყავი უნდა გააძროთ. თქვენ მას ნუ მიუშვებთ, არამედ მეთვალყურეობის ქვეშ იყოლიეთ, მას მიდრეკილება აქვს სულელური „მბრძანებლობისადმი“. ამას ბოლო უნდა მოეღოს“ (იქვე). — **178**.

188 ამ დეპეშის დაწერის საბაბი იყო ვ. ი. ლენინის მიერ მიღებული დეპეშა მე-5 არმიის პოლიტგანყოფილების გამგის ვ. ნ. კაიუროვისაგან, რომელშიც იტყობინებოდა, რომ თეთრგვარდიელთა ჯარებმა დაიპყრეს უფა და მე-5 არმია მძიმე მდგომარეობაშია. ამავე დროს კაიუროვის დეპეშაში გამოთქმული იყო რწმენა, რომ, თუ გამოგზავნიან „შეგნებულ, გაწვრთნილ მუშეელ ძალებს“, მაშინ „მტერი დამარცხებული იქნება“. — **179**.

189 ტულის საგუბერნიო აღმასკომის თავმჯდომარე გ. ნ. კამინსკი პირდაპირი მავთულით იტყობინებოდა, რომ ტულის იარაღისა და ვაზნების

ქარხნებში მღელვარებაა მუშების მძიმე სასურსათო მდგომარეობისა და ხელფასის გასაცემად ფულის ნიშნების ნაკლებობის გამო.

ამ საკითხზე იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 296 და ლენინის XXIV კრებული, გვ. 7 და 9. — **180**.

190 როგორც ჩანს, ლაპარაკია სამხედრო ტყვეთა გაცვლის საკითხის შესახებ რადიოგრამაზე, რომელიც 1919 წლის 4 აპრილს საგარეო საქმეთა სახკომის გ. ვ. ჩიჩერინის სახელით გაეგზავნა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ს. პიშონს (იხ. „სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები", ტ. II, 1958, გვ. 112—115). — **181**.

191 1919 წლის 5 აპრილს იუსტიციის სახკომის დ. ი. კურსკის მოხსენების გამო სახკომსაბჭომ დაამტკიცა სახკომსაბჭოს სხდომების რეგლამენტი, რომელშიც გათვალისწინებული იყო ვ. ი. ლენინის ყველა წინადადება. — **182**.

192 პასუხი რიაზანის გუბერნიის სკოპინოს მაზრის გლეხებისადმი ვ. ი. ლენინმა დაწერა სამაზრო სათათბირო ყრილობის განაწესთან დაკავშირებით, რომელშიც გლეხები აყენებდნენ საშუალო და საშუალოზე ნაკლები ქონების გლეხებისაგან საგანგებო რევოლუციური გადასახადის შემცირების, მუშა ცხენებისა და მეწველი ძროხების მობილიზაციის გაუქმების, გლეხური მეურნეობისათვის დასატოვებელი პურის ნორმის გადიდებისა და სხვა საკითხებს. — **183**.

193 დეკრეტი „საშუალო გლეხების შეღავათების შესახებ ერთდროული საგანგებო რევოლუციური გადასახადის გადახდევინებაში" მიღებული იყო ცაკის სხდომაზე 1919 წლის 9 აპრილს; 10 აპრილს დეკრეტი გამოქვეყნდა „იზვესტია ვციკში". — **183**.

194 ეს წერილი ვ. ი. ლენინმა დაწერა სოკოლნიკის სატყეო სკოლის სამეურნეო ნაწილის გამგე ფ. ი. ბოდროვთან საუბრის გამო. შემონახულია ვ. ი. ლენინის ბარათი კრემლის კომენდანტისადმი, დაწერილი 1919 წლის 7 აპრილს: „გთხოვთ გაატაროთ ამის მომტანი ამხ. ფილიპე ილიას ძე ბოდროვი კრემლში და სახკომსაბჭოში. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)" (ლენინის XXIV კრებული, გვ. 288).

ბოდროვზე იხ. აგრეთვე ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 50, დოკუმენტი 555. — **188**.

195 ვ. ლ. პანიუშკინი იმ დროს იმყოფებოდა ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე. კოლჩაკის ჯარების შემოტევასთან დაკავშირებით პანიუშკინის რაზმი მიდიოდა აღმოსავლეთის ფრონტზე.

იხ. აგრეთვე ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 50, დოკუმენტი 512. — **184**.

196 ვ. ი. ლენინის რადიოგრამები ბელა კუნს გაეგზავნა იმ ცნობასთან დაკავშირებით, რომ მიუნხენში 1919 წლის 7 აპრილს გამოცხადდა საბჭოთა რესპუბლიკა. ამ დღეებში მოსკოვში ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რომ საბჭოთა რესპუბლიკა მიუნხენში გამოაცხადეს გერმანელი სოციალ-დემოკრატებისა და გერმანიის ცენტრისტული დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებმა, რომლებსაც ასეთი მანევრის საშუალებით სურდათ მოეტყუებინათ მუშები და სახელი გაეტეხათ მათ თვალში საბჭოების ხელისუფლების იდეისათვის. ბავარიელმა კომუნისტებმა იმ პირობებში, როცა ვითარება ბავარიაში საბჭოთა რესპუბლიკის გამოცხადებისათვის ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული, უარი თქვეს მონაწილეობა მიეღოთ ამ პროვოკაციულ წამოწყებაში.

1919 წლის 13 აპრილს, როცა ბავარიის კონტრრევოლუციამ სცადა ხელთ ეგდო ძალაუფლება, მიუნხენის ქუჩებში გაჩაღდა გააფთრებული ბრძოლა, რომელიც მუშების გამარჯვებით დამთავრდა. ბავარიაში შეიქმნა საბჭოთა მთავრობა — აღმასრულებელი კომიტეტი ბავარიელ კომუნისტთა ლიდერის ევგენი ლევინეს მეთაურობით; მთავრობაში შევიდნენ აგრეთვე „დამოუკიდებლები". ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობა შეუდგა ბურჟუაზიის განიარაღებას, წითელი არმიის შექმნას, ბანკების ნაციონალიზაციას, საწარმოებში მუშათა კონტროლის დაწესებას, სასურსათო საქმის მოგვარებას.

1919 წლის 27 აპრილს ლენინმა დაწერა „მისალმება ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკისადმი", რომელშიც ბავარიის რევოლუციურ მთავრობას მისცა რჩევა, რაც ხელისუფლების სათავეში ჩამდგარი პროლეტარული პარტიის მოქმედების კონკრეტული პროგრამა იყო (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 29, გვ. 376—377).

ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკის საშინაო და საგარეო მდგომარეობა მძიმე იყო. „დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატთა" წარმომადგენლებმა საბჭოთა რესპუბლიკის პირველი სიძნელეებისთანავე დაიწყეს გამცემლური პოლიტიკის განხორციელება. აპრილის დამლევს „დამოუკიდებლებმა" მიაღწიეს კომუნისტების წასვლას ხელმძღვანელი პოსტებიდან. კონტრრევოლუციამ ისარგებლა ამ მდგომარეობით და შეტევაზე გადავიდა. 1 მაისს თეთრგვარდიელთა ნაწილები მიუნხენში შევიდნენ და სამი დღის შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ დაიპყრეს ქალაქი. — **184**.

197 დეპეშა გაიგზავნა იმასთან დაკავშირებით, რომ სახკომსაბჭოში ლენინის სახელზე მოვიდა ნიჟნი ნოვგოროდის გუბერნიის კნიაგინინოს

მაზრიდან ცნობა, რომ ადგილობრივი ხელისუფლები აიძულებდნენ გლეხებს შესულიყვნენ არტელებსა და კომუნებში.

დეპეშის პროექტი მომზადდა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში.

1919 წლის 10 აპრილს გაზეთ „იზვესტია ვციკში" ვ. ი. ლენინისა და ს. პ. სერედას ხელმოწერით გამოქვეყნდა შემდეგი ცირკულარული წერილი:

„ყველა საგუბერნიო სამიწათმოქმედო განყოფილებას.

პირები—აღმასკომებს.

მიწსახკომში შემოვიდა ცნობები, რომ საბჭოთა მეურნეობების, კომუნების და სხვა კოლექტიურ გაერთიანებათა შექმნის მიზნით სამიწათმოქმედო განყოფილებები, საბჭოთა მეურნეობების სამმართველოები ართმევენ არაშრომითს სამფლობელო მიწებს, რომლებიც გლეხთა სარგებლობაშია გადაცემული, რაც ეწინააღმდეგება სოციალისტური მიწათმოწყობის დებულების მე-9 მუხლის აზრს. დასტურდება ამგვარ მოვლენათა შეუწყნარებლობა. მთელი მიწები, რომლებიც სოციალისტური მიწათმოწყობის დებულების გამოქვეყნების დროისათვის გლეხთა შრომითს სარგებლობაშია და მიცემული აქვთ მათ სამაზრო ან საგუბერნიო სამიწათმოქმედო განყოფილებების დადგენილებათა ან ინსტრუქციათა საფუძველზე, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება განსხვისდეს იძულებითი წესით საბჭოთა მეურნეობების, კომუნებისა და სხვა კოლექტიურ გაერთიანებათა მოსაწყობად. მიწების ამოღება გლეხთა სარგებლობიდან აღნიშნული ორგანიზაციებისათვის შეიძლება მხოლოდ ნებაყოფლობითი თანხმობის დროს მიწათმოწყობის წესით. შეუწყნარებელია იძულების ზომები გლეხთა გადასაყვანად საზოგადოებრივ დამუშავებაზე, კომუნებში და სხვა სახეობათა კოლექტიურ მეურნეობებში. კოლექტიურ ფორმებზე გადასვლა ხორციელდება მხოლოდ დებულების მოთხოვნათა ზუსტი დაცვით, ხელისუფლების მხრივ ყოველგვარი იძულების გამოუყენებლად. ამ განკარგულების შეუსრულებლობა ისჯება რევოლუციური დროის კანონებით. რაც შეიძლება ფართოდ გააცანით მოსახლეობას ეს განკარგულება.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი
მიწსახკომი ს ე რ ე დ ა.
1919 წლის 9 აპრილი". — **186.**

198 ეს დეპეშა ვ. ი. ლენინმა დაწერა პასუხად მე-6 არმიის სამხედრო კომისრის ნ. ნ. კუზმინის 1919 წლის 8 აპრილის დეპეშებზე, რომლებშიც იტყობინებოდა ინგლისელი გენერლის აირონსაიდის წინადადებას მომხდარიყო ტყვეების გაცვლა. ნ. ნ. კუზმინი თხოულობდა რწმუნებულებას მოლაპარაკების საწარმოებლად. — **186.**

199 დეპეშაში პირდაპირი მავთულით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი ს. კ. მინინი ატყობინებდა ვ. ი. ლენინს, რომ ტულის სამხედრო ქარხნებსა და რკინიგზის სახელოსნოებში ლიკვიდირებულია გაფიცვები. დეპეშაში ნათქვამი იყო, რომ საჭიროა ტულის ქარხნების მუშების დროზე და წესიერი მომარაგება სურსათის სახალხო კომისარიატის ხაზით და დაჩქარდეს ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ ფულის მიტანა მუშებისათვის მისაცემად.

მინინის დეპეშის ტექსტის თავზე ლენინმა აღნიშნა: „ც კ-ი ს ო რ გ ბ ი უ რ ო ს". — 187.

200 ეს დეპეშა ვ. ი. ლენინმა დაწერა იმასთან დაკავშირებით, რომ 1919 წლის 12 აპრილს მიიღო ა. მ. გორკის დეპეშა. თავის დეპეშაში გორკი ატყობინებდა მალოარხანგელსკში ლიტერატორ ი. ვოლნის დაპატიმრებას და თხოულობდა „დაპატიმრების მიზეზების მიუკერძოებელ გამოძიებას და განთავისუფლებას" მეთვალყურეთა დაწესებით; „მისი პოლიტიკური ლოიალობა ჩემთვის ეჭვსგარეშეა". — წერდა გორკი.

იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტები 298 და 453. — 187.

201 დოკუმენტი, როგორც ჩანს, მომზადდა ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატში, რადგან იგი დაბეჭდილია ჯანსახკომის ბლანკზე და ხელს აწერს აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი ნ. ა. სემაშკო. — 188.

202 1919 წლის 11 აპრილს „იზვესტია ვციკში" გამოქვეყნდა სახკომსაბჭოს დეკრეტი წითელ არმიაში სამხედრო სამსახურის გასავლელად ცენტრალური გუბერნიების იმ მუშებისა და გლეხების გაწვევის შესახებ, რომლებიც არ ეწეოდნენ სხვისი შრომის ექსპლოატაციას და დაბადებული იყვნენ 1886—1890 წლებში. გ. ე. ზინოვიევის დეპეშაში ნათქვამი იყო, რომ პეტროგრადის კომუნისტთა კრებამ დაადგინა მობილიზაცია უყოს, საერთო მობილიზაციის გარდა, პარტიის წევრთა დაახლოებით 20%-ს. — 189.

203 ლაპარაკია ესერების შეყვანაზე უკრაინის მთავრობის შემადგენლობაში. — 190.

204 ლაპარაკია ყირიმის მიმართულებით ყირიმის ნახევარკუნძულის სიღრმეში ჯარების შეტევაზე, რომლებსაც სარდლობდა პ. ე. დიბენკო. შეტევა შეცდომა იყო, რადგან შეტევაზე გადასული ნაწილები პერეკოპის რაიონში შეიძლება მოეწყვიტათ ძირითადი ძალებისაგან და, გარდა ამისა, ამ დროს საჭირო იყო მაქსიმალური ძალების თავმოყრა შეტევისათვის მთავარი სტრატეგიული მიმართულებით — დონბასსა და როსტოვზე. — 190.

205 დავალება ფ. ე. ძერჟინსკისადმი ვ. ი. ლენინმა წააწერა ჩერნიგოვის გუბერნიის პოჩეპის მაზრის გლეხთა წარმომადგენლების ნ. დ. გორელოვისა და პ. ი. ნოვიკოვის წერილის პირს, რომელიც ლენინს გამოუგზავნეს მიწსახკომიდან. გორელოვი და ნოვიკოვი, რომლებიც მოსკოვში ჩამოვიდნენ საჩივრით ადგილობრივ ხელისუფალთა ბოროტმოქმედების გამო, და მიღებაზე იყვნენ ლენინთან, წერდნენ, რომ შინ დაბრუნების შემდეგ მათ დევნიდნენ და დააპატიმრეს კიდევაც. — **190**.

206 იგულისხმება ტამბოვის მომხმარებელთა საზოგადოების დეპეშა სახკომსაბჭოსადმი სამომხმარებლო კომუნების შესახებ სახკომსაბჭოს 1919 წლის 16 მარტის დეკრეტის განხორციელების გამო. სახკომსაბჭოს დეკრეტით გათვალისწინებული იყო ერთიანი განმანაწილებელი აპარატის შექმნის მიზნით ყველა სამომხმარებლო კოოპერატივის გაერთიანება ქალაქებსა და სოფელ ადგილებში სამომხმარებლო კომუნებად. ტამბოვიდან მიღებულ დეპეშაში ნათქვამი იყო, რომ ტამბოვის მომხმარებელთა საზოგადოების 252 წევრმა თავიანთ კრებაზე სწორად ცნო ვაჭრობის წარმოება და „არ სურთ გადასცენ მომხმარებელთა საზოგადოება სამომხმარებლო კომუნებს". — **191**.

207 ეს დეპეშა პასუხია 1919 წლის 21 აპრილს მიღებულ მთავარსარდალ ი. ი. ვაცეტისისა და რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრის ს. ი. არალოვის დეპეშაზე, რომელშიც კითხულობდნენ, შეიძლება თუ არა პოლიტიკური თვალსაზრისით წინსვლა გალიციასა და ბუკოვინაში და რა ამოცანა დგას ასეთი წინსვლის დროს.

ვაცეტისისა და არალოვის დეპეშას ლენინმა წააწერა: „ამხანაგ სკლიანსკის მდივანს: გთხოვთ დაშიფროთ და გაგზავნოთ თანდართული (ალბათ, იგულისხმება ლენინის დეპეშა. — რ ე დ.), შემდეგ გადასცეთ ამხ. სკლიანსკის არქივისათვის" („სსრ კავშირის სამოქალაქო ომის ისტორიიდან", ტ. 2, 1961, გვ. 382). **192**.

208 მითითებანი ე. მ. სკლიანსკისადმი ვ. ი. ლენინმა წააწერა მთავარსარდლის ი. ი. ვაცეტისის 1919 წლის 23 აპრილის მოხსენებით ბარათს რუსეთის სფსრ სამხედრო მდგომარეობის შესახებ. ვაცეტისი ასაბუთებდა, რომ საჭიროა საბჭოთა რესპუბლიკების შეიარაღებული ძალების გაერთიანება და მათი დაქვემდებარება ერთიანი სარდლობისადმი, აგრეთვე მოითხოვდა საყოველთაო სწავლების სისტემის დროებით მოსპობას და საყოველთაო სწავლების 24 000 ინსტრუქტორის მობილიზაციას აღმოსავლეთის ფრონტის სათადარიგო ნაწილების მეთაურთა შემადგენლობის განსამტკიცებლად. — **193**.

209 ი. ი. ვაცეტისის მოხსენებით ბარათზე არის ს. ი. არალოვის მინაწერი. იგი არ ეთანხმებოდა საყოველთაო სწავლების მთლიანად ლიკვიდაციას და მოითხოვდა მხოლოდ მის შემცირებას 50—75 პროცენტით. — **194**.

210 დავალება გ. ე. ზინოვიევს ვ. ი. ლენინმა წააწერა სურსათის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრის ვ. ნ. იაკოვლევას წერილს, რომელიც პასუხი იყო ლენინის შეკითხვაზე იმის შესახებ, რომ პეტროგრადის უკრაინელ მოქალაქეთა კოოპერატივი შუამდგომლობდა გადასცემოდათ მათ ნორმირებული პროდუქტები. წერილში ნათქვამი იყო, რომ უკრაინის საბჭოთა მთავრობის თხოვნით სურსათის სახალხო კომისარიატმა, გამონაკლისის სახით, ნება დართო ამ კოოპერატივს გაეტანა უკრაინიდან მცირე რაოდენობით ნორმირებული პროდუქტები, მაგრამ პეტროგრადის შრომის კომუნის სურსათის კომისარმა ა. ე. ბადაევმა ხელი შეუშალა ამას. იაკოვლევა იწერებოდა, რომ ბადაევის მხრივ ეს პირველი შემთხვევა როდია, როცა იგი არ ასრულებს სურსათის სახალხო კომისარიატის მითითებებს.

ამ საკითხზე იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 319. — **196**.

211 1919 წლის 25 მაისს სახკომსაბჭომ განიხილა ვ. ი. ტანეევისათვის—რუსი რევოლუციონერ-დემოკრატის, საზოგადო მოღვაწისა და მეცნიერისათვის — მატერიალური დახმარების აღმოჩენის საკითხი და დაადგინა დაენიშნა მისთვის სოციალური უზრუნველყოფა ყოველთვიურად ორი ათასი მანეთის ოდენობით; დაევალოს ვ. ი. ლენინს ხელი მოაწეროს შეუვალობის სიგელს. — **196**.

212 იხ. კ. მარქსის 1877 წლის 9 იანვრის წერილი მ. მ. კოვალევსკისადმი (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, მე-2 გამოც., ტომი 34, გვ. 185). — **197**.

213 ვ. ი. ლენინმა ეს დაწერა პასუხად ლ. ბ. კამენევის ბარათისა, რომელიც მოითხოვდა „შეემსუბუქებინა, ზერელედ შეეხედა“ სასურსათო პროდუქტების თავისუფალი შემოზიდვისათვის, გარდა პურისა, და ამტკიცებდა, რომ სულ ერთია „ივნისში ჩვენ ამას მივაღწევთო“.—**200**.

214 ბარათი ვ. ი. ლენინმა დაწერა იმ დროს, როცა მიმდინარეობდა კომუნისტების მობილიზაცია კოლჩაკის წინააღმდეგ საბრძოლველად. იგი პასუხია პარტიის წევრ მ. მ. კოსტელოვსკაიას შეკითხვაზე: როგორ უნდა გაიგოს მის მიერ მიღებული დანიშვნა აღმოსავლეთის ფრონტზე მე-2 არმიის პოლიტგანყოფილების უფროსად.— **200**.

215 ეს დავალება წყლის ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს თავმჯდომარის ი. ე. რუძუტაკისადმი ვ. ი. ლენინმა წააწერა ყაზანიდან მთავარწყალში მიღებულ დეპეშას. დეპეშაში ნათქვამი იყო, რომ ჩისტოპოლიდან (აღმოსავლეთის ფრონტი), რომელიც დაკავებული ჰქონდათ თეთრგვარდიელთა ჯარებს, ვერ მოხერხდა პურით, მაზუთით და ნავთით დატვირთული რამდენიმე გემის გამოყვანა იმის გამო, რომ მათ თეთრების კავალერია ესროდა. — **201.**

216 დაწერილია მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის კ. ა. მეხონოშინის დეპეშაზე, რომელიც თხოულობდა დაეტოვებინათ ასტრახანის რაიონში 33-ე დივიზიის ნაწილი, რომლის გადაყვანას აპირებდნენ აღმოსავლეთის ფრონტზე. მეხონოშინი იტყობინებოდა, რომ მთელი 33-ე დივიზიის გადაყვანა და 34-ე დივიზიის სწრაფი ფორმირების შეუძლებლობა, დაპირებული შევსების დაყოვნების გამო, აიძულებენ შეწყვიტოს შეტევა ყიზლარზე, უარი თქვას გურიევისა და რაკუშის დაპყრობაზე, სადაც არის ნავთობი, და გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენებს ფლოტს, რომელსაც ემუქრება ბაზის დაკარგვა. „საველე შტაბის ზუსტ განკარგულებათა უქონლობა კი, — წერდა მეხონოშინი, — არმიას აყენებს სრულიად აუტანელ მდგომარეობაში, საფუძველს იძლევა დაგვაბრალონ უმოქმედობა“. მეხონოშინის დეპეშაზე ვ. ი. ლენინმა გააკეთა მთელი რიგი ხაზგასმები და აღნიშვნები (იხ. ლენინის XXXIV კრებული, გვ. 127—128). — **201.**

217 ეს ბარათი ვ. ი. ლენინმა წააწერა ა. ე. ბადაევის განცხადებას პეტროგრადის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარისადმი. თავის განცხადებაში ბადაევი ამართლებდა იმას, რომ არ ასრულებდა სურსათის სახალხო კომისარიატის განკარგულებებს (იხ. შენიშვნა 210) და მის წინააღმდეგ წარდგენილ ბრალდებებს ხსნიდა „ცენტრის გარკვეული ჯგუფის ხრიკებით“ და თხოულობდა ხუთი დღის ვადაში შეეცვალათ იგი პეტროგრადის შრომის კომუნის სურსათის კომისრის პოსტზე. — **201.**

218 1919 წლის 4 მაისს ვ. ი. ლენინის სახელზე რადიოთი მიღებული იყო არქტიკის ცნობილი მკვლევარის, ნორვეგიელი მეცნიერის ფ. ნანსენის 1919 წლის 17 აპრილის წერილი. ამ წერილში ნანსენს მოჰყავდა ტექსტი თავისი მიმართვისა ანტანტის ოთხი სახელმწიფოს (ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის) მთავრობათა მეთაურებისადმი და წინადადებას იძლეოდა შექმნილიყო კომისია, რომელიც მოაწყობდა რუსეთისათვის კვების პროდუქტებით და მედიკამენტებით დახმარებას, და მათი პასუხი. ანტანტის სახელმწიფოთა ხელმძღვანელების (ვ. ვილსონის, დ. ლოიდ ჯორჯის, ჟ. კლემანსოსა და ვ. ორ-

ლანდის) პასუხში ეს დახმარება განპირობებული იყო საომარ მოქმედებათა შეჩერებით რუსეთის ტერიტორიაზე, ამასთან არ იყო აღნიშნული, რომ ეს პირობა სავალდებულო იქნება იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც საბჭოთა რესპუბლიკის მიმართ ახორციელებდნენ ინტერვენციის პოლიტიკას. ნანსენი, როგორც ჩანს, ვერ გაერკვა ანტანტის მესვეურთა მანევრებში და დაეთანხმა მათ მიერ წამოყენებულ პირობებს. იმავე დღეს, 4 მაისს, აცნობა რა გ. ვ. ჩიჩერინს, რომ ეს საკითხი განსახილველად გადაეცა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, ვ. ი. ლენინმა დაავალა მოემზადებინა პროექტი პასუხისა ნანსენისათვის, ამასთან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა იმპერიალისტთა მხილება.

ვ. ი. ლენინის ეს წერილი შეიცავს შენიშვნებს ფ. ნანსენისათვის პასუხის პროექტზე. — **203**.

219 ამერიკელი დიპლომატი უ. ბულიტი 1919 წლის მარტში ჩამოვიდა საბჭოთა რუსეთში იმ პირობების გამოსარკვევად, რომლებზეც საბჭოთა მთავრობა დათანხმდებოდა დაედო ზავი ანტანტის ქვეყნებთან, აგრეთვე თეთრგვარდიელთა მთავრობებთან რუსეთის ტერიტორიაზე. ბულიტის მეშვეობით გადმოგვეცა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ვილსონისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ლოიდ ჯორჯის წინადადებანი. საბჭოთა მთავრობა, ესწრაფოდა რა ზავის უსწრაფესად დადებას, დათანხმდა ეწარმოებინა მოლაპარაკება წარმოდგენილი პირობებით, მაგრამ შეიტანა მათში არსებითი შესწორებები (ტექსტი საზავო წინადადების პროექტისა, რომელიც შეიმუშავეს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის წარმომადგენელმა ბულიტმა და რუსეთის სფსრ მთავრობამ, იხ. კრებულში „სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები", ტომი II, 1958, გვ. 91—95). მალე საბჭოთა რუსეთიდან ბულიტის წასვლის შემდეგ კოლჩაკმა შეძლო ზოგიერთი წარმატება მოეპოვებინა აღმოსავლეთის ფრონტზე, და იმპერიალისტურმა მთავრობებმა, იმედი ჰქონდათ რა საბჭოთა სახელმწიფოს განადგურებისა, უარი თქვეს საზავო მოლაპარაკებაზე. ვილსონმა აკრძალა გამოექვეყნებინათ ბულიტის მიერ ჩამოტანილი შეთანხმების პროექტი, ხოლო ლოიდ ჯორჯმა პარლამენტში გამოსვლის დროს განაცხადა, რომ იგი საერთოდ არ ერევა საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკებაში. — **204**.

220 ლენინის შენიშვნები ფ. ნანსენისათვის გაგზავნილი პასუხის პროექტზე მთლიანად იყო გათვალისწინებული 1919 წლის 7 მაისის რადიოგრამაში (იხ. „სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები", ტომი II, 1958, გვ. 154—160). ნანსენის მიერ დასახული გეგმა არ განხორციელდა. — **205**.

221 თეთრკაზაკების შეტევის გამო საბჭოთა ჯარებმა, რომლებიც თავს იცავდნენ ორენბურგის აღმოსავლეთით, უკან დაიხიეს და დაიკავეს პოზიციები ქალაქიდან შვიდ კილომეტრზე. — **207**.

222 ა. ვ. ლუნაჩარსკი, გაგზავნილი კოსტრომაში როგორც სრულიად რუსეთის ცაკის რწმუნებული დეზერტირობასთან საბრძოლველად, იტყობინებოდა, კოსტრომასა და კოსტრომის გუბერნიაში მძიმე სასურსათო მდგომარეობაა. — **210**.

223 ლაპარაკია ატამან გრიგორიევის კონტრრევოლუციურ აჯანყებაზე, რომელმაც 1919 წლის მაისის დამდეგს იფეთქა საბჭოთა ჯარების ზურგში ეკატერინოსლავისა და ხერსონის გუბერნიებში. აჯანყება უშუალო საფრთხეს უქმნიდა საბჭოთა ჯარების ფლანგსა და ზურგს დონეცკის აუზში და ყირიმში მყოფი უკრაინის მე-2 არმიის ნაწილების ზურგის კომუნიკაციებს, აგრეთვე აძნელებდა რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობას მთელ უკრაინაში. 11-დან 24 მაისამდე პერიოდში გაერთიანებული დარტყმით აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან უკრაინის არმიების ჯარებმა გაანადგურეს აჯანყებულები. — **210**.

224 1919 წლის 24 აპრილს სახკომსაბჭომ მიიღო დეკრეტი „მწარმოებელ გუბერნიებსა და დონის ოლქში გადასახლება-დასახლების ორგანიზაციის შესახებ". რუსეთის სფსრ ჩრდილოეთი გუბერნიების გლეხებისა და მუშების გადასახლება ქვეყნის სამხრეთ რაიონებში წარმოებდა მათი სასურსათო მდგომარეობის შესამსუბუქებლად და თეთრგვარდიელთა ამბოხებებისაგან დაზარალებულ ადგილებში სოფლის მეურნეობის აღსადგენად.

ამ საკითხზე იხ. აგრეთვე ვ. ი. ლენინისა და ს. პ. სერედას ხელმოწერილი 1919 წლის 21 მაისის დეპეშა სმოლენსკის, ტვერის, მოსკოვისა და რიაზანის საგუბერნიო სამიწათმოქმედო განყოფილებებისადმი (ლენინის XXXIV კრებული, გვ. 144—145). — **210**.

225 აღმოსავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრები ს. ი. გუსევი, მ. მ. ლაშევიჩი და კ. კ. იურენევი დეპეშაში რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისადმი იმის წინააღმდეგი იყვნენ, რომ ს. ს. კამენევი შეეცვალათ აღმოსავლეთის ფრონტის სარდლის პოსტზე ა. ა. სამოილოთი. დეპეშაში ნათქვამი იყო, რომ რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს შტაბის უფროსი ფ. ვ. კოსტიაევი დაუსაბუთებლად ცვლის მეთაურებს არმიაში, ხოლო რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრი ს. ი. არალოვი თავისი ხელმოწერით განამტკიცებს კოსტიაევის ამ განკარგულებებს. 1919 წლის 25 მაისს ს. ს. კამენევი კვლავ დაინიშნა აღმოსავლეთის ფრონტის სარდლად. — **212**.

226 ვ. ი. ლენინის ამ დეპეშის დაწერის საბაბი იყო 1919 წლის 20 მაისს, 19 საათსა და 10 წუთზე, მის სახელზე მიღებული დეპეშა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ლენინთან მიღების შემდეგ ნოვგოროდში ჩასული არტელკავშირის თავმჯდომარე ა. ა. ბულატოვი და საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ლიუბიმოვი დააპატიმრეს.

მიღებულ დეპეშას ვ. ი. ლენინმა წააწერა: „არქივს **ხელმისაწვდომ ცნობებში.** პასუხი გაეცა 20/V".

ლენინმა ხსენებული შეკითხვა გააკეთა 1919 წლის 13 მაისს. (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 50, დოკუმენტი 567). — **213**.

227 1919 წლის 22 მაისს რიგა დაიკავეს გენერალ გოლცის გერმანელთა ჯარებმა და ლატვიელმა თეთრგვარდიელებმა. — **214**.

228 1919 წლის 26 მაისს ვ. ი. ლენინმა ახალი დეპეშა გაუგზავნა ვორონეჟის საგუბერნიო სამხედრო კომისარს (პირი — პარტიის საგუბერნიო კომიტეტს). მასში ნათქვამი იყო: „დაუყოვნებლივ მომახსენეთ, რამდენი კომუნისტი გაუგზავნეთ სამხრეთის ფრონტს. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი" (ვ. ი. ლენინი. „სამხედრო მიმოწერა". მ., 1957, გვ. 133). — **216**.

229 ვ. ი. ლენინმა დეპეშის ტექსტი დაწერა სიტყვებიდან „მხედველობაში გქონდეთ" სიტყვამდე „უკრაინიდან". დეპეშის პირველი ნაწილი წარმოადგენს მანქანაზე დაბეჭდილ ტექსტს. იგი, როგორც ჩანს, დაწერა გ. ვ. ჩიჩერინმა, რადგან დოკუმენტს თან ახლავს ჩიჩერინის ბარათი: „ამხ. ლენინს. დეპეშის პროექტი, თხოვნაა მიპასუხოთ თანხმობის შესახებ". მანვე დაწერა უკანასკნელი ფრაზა: „გამონაკლისი—ჩინელი მუშები, სპარსელები, ცენტრის განკარგულებით". — **217**.

230 ალექსანდრია და ზნამენკა იყო ატამან გრიგორიევის კონტრრევოლუციური ამბოხების ცენტრები. ალექსანდრიაში, სადაც მოთავსებული იყო გრიგორიევის შტაბი, საბჭოთა ჯარები ბრძოლით შეიჭრნენ 1919 წლის 21 მაისს ღამით. — **217**.

231 იმავე დღეს, 1919 წლის 28 მაისს, უკრაინის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ქ. გ. რაკოვსკის პირდაპირი მავთულით გაეგზავნა კიდევ ერთი დეპეშა ვ. ი. ლენინის, ნ. ნ. კრესტინსკისა და ლ. ბ. კამენევის ხელმოწერით; მასში მოყვანილი იყო რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების სრული ტექსტი და დასახული კონკრეტული ღონისძიებანი მის განსახორციელებლად (იხ. ლენინის XXXIV კრებული, გვ. 153). — **218**.

232 მაისის დამლევს საბჭოთა ჯარების ფრონტი მილეროვოსთან გაარღვიეს, რასაც მოჰყვა სამხრეთის ფრონტის ნაწილების უკან დახევა და დე-

ნიკინელებს შესაძლებლობა მისცა შეერთებოდნენ მეამბოხე კაზაკებს ზემო დონის სტანიცებში. — **219**.

233 წერილში სათაურით „ხარკი ცრურწმენებს", რომელიც გაეგზავნა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს, ე. მ. იაროსლავსკი ეკითხებოდა ორგბიუროს წევრებს, შესაძლებელია თუ არა პარტიაში იმ პირთა დატოვება, ვინც მონაწილეობს რელიგიურ წესჩვეულებებში.—**220**.

234 ლაპარაკია უკრაინის სამხედრო მუშაკთა გეგმაზე შეექმნათ სამხრეთის ფრონტისადმი დაქვემდებარებული დონბასის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭო უკრაინის მე-2, მე-8 და მე-13 არმიებისაგან, რომელიც ვ. ი. ლენინს ტელეგრაფით აცნობა 31 მაისს თავდაცვის საბჭოს რწმუნებულმა ხარკოვიდან. — **223**.

235 1919 წლის 27 მაისს სახკომსაბჭომ მოისმინა სურსათის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრის ა. ი. სვიდერსკის მოხსენება პურის დამზადების მდგომარეობისა და ახალ მოსავლამდე სასურსათო კამპანიის გეგმების შესახებ. სახკომსაბჭომ დაადგინა გამოექვეყნებინა სვიდერსკის მოხსენება სტატიის სახით, აგრეთვე რადიოთი გადაეცა საზღვარგარეთ მოკლე ცნობა ციფრობრივი მონაცემებით ამის შესახებ.

დავალება მდივანს ვ. ი. ლენინმა დაწერა მომზადებული რადიოინფორმაციის ტექსტზე, რომელშიც ხაზგასმული იყო, რომ პურის დამზადება, მიუხედავად უაღრესად არახელსაყრელი პირობებისა (საქონლის ნაკლებობა, ფულის გაუფასურება, თეთრგვარდიელების მიერ ყველაზე პურ-მოსავლიანი რაიონების დაპყრობა), 1919 წელს უფრო წარმატებით მიმდინარეობს, ვიდრე წინა წელს: თუ 1917 წლის ნოემბრიდან 1918 წლის აგვისტომდე ჩათვლით, ათ თვეში, საბჭოთა სასურსათო ორგანოებმა დაამზადეს 28 მილიონი ფუთი პური, 1918 წლის აგვისტოდან 1919 წლის აპრილამდე ჩათვლით, ცხრა თვეში,—102 მილიონი ფუთი.

ა. ი. სვიდერსკის სტატია „უახლოესი სასურსათო პერსპექტივები" გამოქვეყნდა „იზვესტია ვციკში" 1919 წლის 3 და 4 ივნისს. — **224**.

236 ამ დეპეშაში ლაპარაკია დასავლეთის ფრონტის მდგომარეობაზე და კონფლიქტზე დასავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრ ა. ი. ოკულოვსა, ერთი მხრივ, და ი. ბ. სტალინსა, გ. ე. ზინოვიევსა და მე-7 არმიის ხელმძღვანელობას შორის, მეორე მხრივ. სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში ინახება ბარათები, რომლებიც ერთმანეთს გაუგზავნეს ერთ-ერთ სხდომაზე ვ. ი. ლენინმა და ე. მ. სკლიანსკიმ ამ საკითხზე. ლენინი სწერდა სკლიანსკის: „სტალინი მოით-

ხოვს ოკულოვის გამოწვევას, რომელიც ინტრიგებს ეწევა და მუშაობას ფუშავსო". სკლიანსკის ბარათის პასუხად, რომელიც დადებითად ახასიათებდა ოკულოვს, ლენინმა შემდეგი მითითება მისცა სკლიანსკის: „შეადგინეთ მაშინ დეპეშის ტექსტი (ზუსტი შინაარსი იმისა, რაშიც ოკულოვი ბრალს სდებს მე-7 არმიას), და მე გავუგზავნი შიფრით სტალინსა და ზინოვიევს, რათა კონფლიქტი კი არ გაიზარდოს, არამედ სწორი მიმართულება მიიღოს". სწორედ ამ მიწერილობის შესაბამისად იყო შედგენილი ამ დეპეშის პროექტი, შემდეგ შევსებული და ხელმოწერილი ლენინის მიერ.

ოკულოვის გამოწვევის საკითხზე იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 355. — **224**.

237 ბარათი გ. ვ. ჩიჩერინისადმი ვ. ი. ლენინმა დაწერა ინდოელი პროფესორის მ. ბარაკატულას წერილთან დაკავშირებით, რომელიც იწერებოდა ინდოეთში ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, აგრეთვე თხოულობდა გამოექვეყნებინათ მისი სტატია ბოლშევიზმის შესახებ, „რათა მუსულმანთა გულები ბოლშევიზმის მხარეზე გადაებირებინათ". — **227**.

238 ულტიმატუმი, რომელზეც ლაპარაკია ბარათში, ინგლისის პროფესიული ორგანიზაციების კავშირის დელეგაციამ წარუდგინა ინგლისის მთავრობას. მუშები მოითხოვდნენ მთავრობისაგან არ ჩარეულიყო საბჭოთა რუსეთისა და საბჭოთა უნგრეთის საშინაო საქმეებში და, მათი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, იმუქრებოდნენ საყოველთაო გაფიცვით. — **227**.

239 1919 წლის 6 ივნისს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო გადაწყვეტილება უკრაინაში ს. პ. ნაცარენუსის გადაყვანის შესახებ, რაზედაც ი. ბ. სტალინს გაეგზავნა შემდეგი დეპეშა: „ცკას პოლიტიკურმა ბიურომ დაადგინა რომ, უკრაინაში სარდლობის ერთიანობის დაუყოვნებლივ განხორციელების უკიდურესი საჭიროების გამო, ნაცარენუსი ინიშნება მეთოთხმეტე არმიის — ყოფილი უკრაინის მეორე არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრად. ლ ე ნ ი ნ ი, კ რ ე ს ტ ი ნ ს კ ი, კ ა მ ე ნ ე ვ ი" (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 50, გვ. 490). — **230**.

240 ლაპარაკია წინააღმდეგობის გაწევაზე თეთრფინელებისათვის, რომლებიც თავდასხმას აპირებდნენ საბჭოთა საზღვარზე. — **230**.

241 ე. მ. სკლიანსკის მიერ დაწერილი დეპეშები 1919 წლის 9 ივნისს გ. ნ. მელნიჩანსკისადმი და 1919 წლის 10 ივნისს ა. გ. ბელობოროდოვისადმი იხ. წიგნში: ვ. ი. ლენინი. „სამხედრო მიმოწერა". მ., 1957, გვ. 148. — **234**.

242 კოლჩაკელთა წინააღმდეგ აღმოსავლეთის ფრონტის ჯარების სამხრეთის ჯგუფის გადამწყვეტი შეტევითი მოქმედების დროს მთელ რიგ ფრონტისპირა რაიონებში (სამარისა და ორენბურგის გუბერნიები, ურალის ოლქი) იფეთქა თეთრკაზაკთა და კულაკთა აჯანყებებმა. — **235**.

243 ვ. ი. ლენინის დეპეშა რომ მიიღო, ი. ბ. სტალინმა დააწერა მას პასუხი მოსკოვში გადასაცემად: „დაკარგული ჯერ არ დაგვიბრუნებია. სროლა მიმდინარეობს მსხვილკალიბრიანებით. ყველაფერი, რის გაგზავნაც შეიძლებოდა, გაიგზავნა ოპერაციისათვის ხმელეთიდან. როგორც ჩანს, ამ დღეებში მოსკოვში წამოსვლა არ შეიძლება, საჭირო არ არის. გადადეთ პლენუმი. დოკუმენტის ნაწილის გამოქვეყნების წინააღმდეგი არა ვართ...“ (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 50, გვ. 490).

დოკუმენტი, რომელზეც ლაპარაკია დეპეშაში, ნაპოვნი არ არის.— **237**.

244 კონტრრევოლუციური აჯანყება კრასნაია გორკას ფორტზე, რომელმაც იფეთქა 1919 წლის 12 ივნისს ღამით, ლიკვიდირებული იყო 15 ივნისს ღამით. 16 ივნისს დილით დაეცა აგრეთვე ფორტი სერაია ლოშადი, რომელიც აჯანყებულებს შეუერთდა. აჯანყების ჩახშობამდე ჯერ კიდევ რამდენიმე საათით ადრე საბჭოთა სარდლობამ მიიღო ცნობები, რომ ლიბავიდან კრასნაია გორკის აჯანყებულთა დასახმარებლად გამოვიდა ინგლისის ესკადრა 23 გემის შემადგენლობით. მაგრამ იმ პირობებში, როცა პეტროგრადის საზღვაო მისადგომებთან მტკიცედ ბატონობდა საბჭოთა ფლოტი, ბრიტანეთის სარდლობამ ვერ გაბედა დაეწყო დიდი ოპერაციები და იძულებული იყო შეეზღუდა თავისი ესკადრის მოქმედება ცალკეული გამოსვლებით. — **238**.

245 ლაპარაკია რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1919 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებაზე მთავარსარდლის შესახებ. ლ. დ. ტროცკიმ განცხადებაში რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისადმი გაილაშქრა ცკ-ის გადაწყვეტილების წინააღმდეგ და ამტკიცებდა, რომ იგი „შეიცავს ქიშნიანობას, ჭირვეულობას“ და ა. შ. — **239**.

246 ვ. ი. ლენინმა ეს წერილი დაწერა იმასთან დაკავშირებით, რომ 1919 წლის ივნისის შუა რიცხვებში იფეთქა ტვერის გუბერნიის მთელ რიგ საწარმოთა მუშების გაფიცვამ, რომელიც რამდენიმე დღეს გრძელდებოდა. გაფიცვა გამოიწვია მუშათა უკმაყოფილებამ პურის ულუფისა და სურსათის შემცირებით. კონტრრევოლუციური ელემენტები ცდილობდნენ საბჭოთა რესპუბლიკის სასურსათო სიძნელეები გამოეყენებინათ ანტისაბჭოთა განწყობილებების გასაღვივებლად.

სასურსათო გაფიცვების საკითხი განხილული იყო რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და ორგბიუროს გაერთიანებულ სხდომებზე 1919 წლის 18 და 24 ივნისს. მიღებული იყო სასწრაფო ზომები საფეიქრო რაიონის მუშების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. — **239.**

247 ლაპარაკია აჯანყებაზე კოლჩაკის არმიის ზურგში.
კუსტანაელ პარტიზანთაგან, რომლებიც საბჭოთა ჯარებისაკენ გაიჭრნენ, შედგენილი იყო კომუნისტური პოლკი, რომელიც ებრძოდა რევოლუციის მტრებს სამოქალაქო ომის დამთავრებამდე. — **240.**

248 1919 წლის 20 ივნისის დეპეშით ვ. ი. ნევსკი და ლ. ს. სოსნოვსკი იტყობინებოდნენ ტვერიდან, რომ გაფიცვას ბოლო ეღება და ყველა საწარმო იწყებს მუშაობას. საბჭოების საგუბერნიო ყრილობაზე, რომელიც მზადდება, წერდნენ ისინი, სამაზრო ყრილობების მიერ კონსტიტუციის თანახმად არჩეული დელეგატების გარდა, საგუბერნიო აღმასკომის სახელით სოფელთან კავშირის განმტკიცების მიზნით მოწვეულია კიდევ თითო დელეგატი ყოველი თემიდან. საბჭოების საგუბერნიო ყრილობამ გადაწყვიტა ეთხოვა სრულიად რუსეთის ცაკისათვის მისცეს თემების დელეგატებს გადამწყვეტი ხმა. ნევსკიმ და სოსნოვსკიმ გაილაშქრეს ამის წინააღმდეგ და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ თემების დელეგატთა 80% უპარტიოები არიან, რომელთა შორის სჭარბობენ კულაკები, და სთხოვეს ვ. ი. ლენინს სასწრაფოდ ეპასუხა.
ტელეგრაფის ბლანკზე, რომელზეც ლენინმა დეპეშა დაწერა, არის მისი წარწერა: „არქივში“. — **241.**

249 1919 წლის 23 ივნისს ვ. ი. ლენინის სახელზე მიღებული იყო სამდინარო ტრანსპორტის მართვის კომიტეტის დეპეშა, რომელიც იტყობინებოდა, რომ მდინარე ბელაიაზე პურის დიდი მარაგია და საჭიროა დაჩქარდეს მისი გამოზიდვა.
ლენინის შეკითხვაზე ა. ი. სვიდერსკიმ აცნობა, რომ ბელაიაზე და საერთოდ უფის გუბერნიაში პურის დამზადების დაჩქარების მიზნით სამარიდან იქ გაემგზავრა სურსათის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი მ. ი. ფრუმკინი და რომ ბელაიაზე სასურსათო არმიელთა გასაგზავნად ზომები მიღებული იქნება. — **243.**

250 ლაპარაკია დენიკინის ჯარების შემადგენლობაში შემავალი გენერალ ვრანგელის კავკასიის არმიის შეტევაზე სარატოვ—პენზის მიმართულებით. — **244.**

251 საპასუხო დეპეშაში მ. ვ. ფრუნზე იმავე დღეს სწერდა ვ. ი. ლენინს: „ურალის ფრონტზე, კერძოდ ნიკოლაევსკის რაიონში, მოწინააღმდეგის

ოპერაციებს ვაქცევდი და ვაქცევ უაღრესად სერიოზულ ყურადღებას იმის გამო, რომ არის აშკარა საფრთხე, რომ კოლჩაკ-დენიკინის ფრონტი შეერთდება ვოლგაზე. სამწუხაროდ, დღემდე ამ უბანზე ჩემს განკარგულებაში იყო მხოლოდ სუსტი ნაწილები, სრულიად მოუმზადებელი ხშირად ცუდად შეიარაღებული ძალები. ყოველივე დანარჩენი სამარაზე კოლჩაკის შეტევის დღეებში მიმართული იყო მის წინააღმდეგ და დღემდე დაკავებული იყო უფის მიმართულებაზე...“ („სსრ კავშირში სამოქალაქო ომის ისტორიიდან“, ტომი 2, 1961, გვ. 234). ფრუნზემ აღუთქვა ლენინს, რომ სულ დიდი 10—14 დღის შემდეგ ურალსკსა და ოლქის მთელ ჩრდილოეთ ნაწილს გაწმენდდნენ თეთრგვარდიელებისაგან. 1919 წლის 11 ივლისს წითელი არმიის ჯარებმა გაათავისუფლეს ურალსკი. — **244.**

252 1919 წლის 16 ივნისს სახალხო კომისართა საბჭოში მიღებული იყო სამხედრო ინჟინრის ე. ა. ბერკალოვის დეპეშა, რომ პეტროგრადის პოროხოვსკის რაიონული საბჭოს ფინგანმა საგანგებო ბეგარის სახით გადასახდელად დაუნიშნა 40 ათასი მანეთი იმ 50 ათასი მანეთიდან, რაც სახკომსაბჭოს 1918 წლის 26 ნოემბრის დადგენილებით მიეცა ბერკალოვს გამოგონებისათვის არტილერიის დარგში (მისი არსი იყო შორ მანძილზე ქვემეხების სროლის ხერხების გამოძებნა და ყუმბარების მოძრაობის საწყისი სიჩქარის გაძლიერება).

სახკომსაბჭოს 1919 წლის 30 ივნისის დებულება „გამოგონებათა შესახებ“, რომლითაც დადგენილი იყო, რომ ანაზღაურებაზე გამოგონებისათვის არ ვრცელდება საგადასახადო დაბეგვრა, გამოქვეყნდა 4 ივლისს „იზვესტია ვციკში“ № 144. — **245.**

253 ვ. ი. ლენინი ურჩევს ა. მ. გორკის „გაისეირნოს“ სააგიტაციო-საინსტრუქტორო გემ „კრასნაია ზვეზდათი“, რომელიც დადიოდა ვოლგასა და კამაზე. ამ მოგზაურობაში რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის, სრულიად რუსეთის ცაკის და ზოგიერთი სახკომატის პასუხისმგებელ მუშაკთა ჯგუფთან ერთად მონაწილეობას იღებდა ნ. კ. კრუპსკაია. 10 ივლისს ლენინმა უდეპეშა კრუპსკაიას: „დღეს ვნახე გორკი, ვურჩევდი წამოსულიყო თქვენი გემით, რის შესახებ უკვე გავუგზავნე ერთი დეპეშა ნიჟნიში, მაგრამ გორკიმ კატეგორიული უარი განაცხადა“ (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 37, გვ. 549). — **245.**

254 სორმოვოს ქალთა ორგანიზაციის ბიურომ 1919 წლის 3 ივლისს სორმოვოში ჩასულ ნ. კ. კრუპსკაიას მიმართა თხოვნით დახმარება აღმოეჩინა საბავშვო სახლისათვის, რათა მისთვის გადაეცათ შენობა, რომელიც სორმოვოს საქარხნო სამმართველოს გამგებლობაში იყო. საქარხნო შენობე-

ბის გადაცემა სხვა დაწესებულებებისათვის შეიძლებოდა მხოლოდ თავდაცვის საბჭოს განკარგულებით, ამიტომ სორმოვოს ქალთა ორგანიზაციის განცხადება გადაეგზავნა ლენინს. ლენინის მიწერილობა 18 ივლისს განიხილეს სორმოვოს საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე. ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა გადატანილი იყო ნიჟნი ნოვგოროდის საგუბერნიო აღმასკომის პრეზიდიუმში, რომელმაც დაადგინა შესრულებულიყო სორმოვოს ქალთა ორგანიზაციის თხოვნა. — **246.**

255 ივლისის დამდეგს სამხრეთის ფრონტის სარდლობამ თხოვნით მიმართა ვ. ი. ლენინს ნება დაერთო ფრონტისპირა რაიონებში გამოეცხადებინათ 18 წლის ასაკს მიღწეულ მშრომელთა გაწვევა არმიაში. სანამ ამ საკითხს თავდაცვის საბჭოში დააყენებდა, ლენინმა მოსთხოვა სრულიად რუსეთის მთავარ შტაბს ცნობები, თუ რა მაშველი ძალები გაეგზავნა სამხრეთის ფრონტს. ლენინის 8 ივლისის დეპეშის პასუხად სამხრეთის ფრონტის რევოლუციურმა სამხედრო საბჭომ კვლავ გაიმეორა თავისი თხოვნა. 1919 წლის 11 ივლისს თავდაცვის საბჭომ დაადგინა „ნება დაერთოს სამხრეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს მოახდინოს მის მოთხოვნილ ოლქებში 18-წლიანთა მობილიზაცია“ (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, გვ. 378). გარდა ამისა რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს დაევალა მიეღო ზომები და დაუყოვნებლივ გაეგზავნა ფრონტებზე, პირველ რიგში სამხრეთის ფრონტზე, გაწვრთნილი ნაწილები. — **247.**

256 წითელარმიელმა ფ. შტურმინმა წერილით მიმართა ვ. ი. ლენინს, რომელშიც თხოულობდა მიეცა განკარგულება ნიჟნი ნოვგოროდის სამაზრო სამხედრო კომისარიატისათვის, რათა მისთვის მიეცათ ჯამაგირი ავადმყოფობის დროს. სკლიანსკისათვის გაგზავნილ ბარათთან ერთად ლენინმა გაგზავნა დოკუმენტებიც, რომლებიც შტურმინისაგან მიიღო. — **247.**

257 ვ. ი. ლენინის დავალების ეს ტექსტი მოყვანილი აქვს რუსეთის სფსრ სმუს-ის სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების გამგეს ნ. პ. გორბუნოვს მის მიერ 1919 წლის 14 ივლისს შედგენილ ნავთობის, ქვანახშირის, საპროპელის, ფიქალისა და საწვავი გაზის მოპოვების ღონისძიებათა საერთო გეგმაში.

1919 წლის გაზაფხულზე ვოლგაზე გაემგზავრა მთავარფიქალის დიდი ექსპედიცია საწვავი ფიქალისა და ბიტუმიანი ქანების დამუშავების მოსაწყობად უნდორში, კაშპირსა (სიზრანის მახლობლად) და სიუკეევში.

1919 წლის ივლისის მეორე ნახევარში — აგვისტოში ზემოაღნიშნული ექსპედიციის სამუშაოთა შესამოწმებლად და მისთვის დახმარების

აღმოსაჩენად ვოლგაზე გაეგზავნენ მთავარფიქალის მთელი რიგი პასუხისმგებელი მუშაკები ი. მ. გუბკინის მეთაურობით, აგრეთვე სმუს-ის უმაღლესი სამთო საბჭოს თავმჯდომარე თ. თ. სიროპოლოტოვი და ვ. პ. ნოგინი, რომლებმაც ამ საქმეში ჩააბეს ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები. ექსპედიციის სამუშაოთა შედეგები მოახსენეს ლენინს (იხ. ი. მ. გუბკინი. მოგონებანი ვლადიმერ ილიას ძე ლენინზე — წიგნში „მოგონებანი ვლადიმერ ილიას ძე ლენინზე", ნაწ. 2, მ., 1957, გვ. 300—319). — **249**.

258 ფინსახკომის კოლეგიის წევრს ი. ს. განეცკის უნდა შეედგინა ტექსტი პასუხისა ვ. ი. ლენინის მიერ 1919 წლის 16 ივლისს მიღებულ ქ. გ. რაკოვსკის დეპეშაზე, რომელიც თხოულობდა გაეგზავნათ დაპირებული ფული უკრაინაში ფულის მწვავე კრიზისთან დაკავშირებით. განეცკიმ შეადგინა შემდეგი პასუხი: „დღეს იგზავნება 300, აქედან 50 განკუთვნილია კალუგისათვის. მომავალში გამოგიგზავნით გეგმაზომიერად". განეცკის პასუხს ლენინმა წააწერა მეორე ბარათი, ხოლო დოკუმენტზე აღნიშნა: „პასუხად რაკოვსკის". — **250**.

259 1919 წლის 17 ივლისის დეპეშაში ლატვიის საბჭოთა მთავრობისადმი ლენინი წერდა: „გთხოვთ დაუკავშირდეთ სტალინს—დასავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრს—სახელის გადარქმევის საკითხზე" (ლენინის XXXIV კრებული, გვ. 194). ლატვიური დივიზიისათვის სახელი არ გადაურქმევიათ, მას შერჩა თავისი წინანდელი სახელწოდება — ლატვიელ მსროლელთა დივიზია. — **251**.

260 რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი ამ დროს იყო ს. ს. კამენევი. — **252**.

261 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს მე-5 არმიის მიერ ქალაქ ზლატოუსტის აღება (1919 წლის 13 ივლისს) და მე-2 არმიის მიერ 1919 წლის 14 ივლისს ქალაქ ეკატერინბურგის (ამჟამად სვერდლოვსკი) აღება. — **252**.

262 სახკომსაბჭოს 1919 წლის 22 ივლისის სხდომაზე მოისმინეს პურისა და მრეწველობის საგნების მტკიცე ფასების დადგენის საკითხი. ამ საკითხის განხილვა გაგრძელდა სახკომსაბჭოს 24 და 31 ივლისის სხდომებზე. 31 ივლისს მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო, რომ გასაყიდი ფასი მუშებისა და მოსამსახურეებისათვის წინანდელი რჩება, და ევალებოდა სურსათის სახალხო კომისარიატს, აგრეთვე სმუს-ის პრეზიდიუმს არა უგვიანეს 1919 წლის 1 სექტემბრისა ხელი მოეწერათ და გამოექვეყნებინათ სასურსათო პროდუქტებისა და მრეწველობის საგნების მტკიცე ფასები. — **253**.

263 თავიანთ 1919 წლის 28 ივლისის საპასუხო დეპეშაში მ. ვ. ფრუნზე და მ. მ. ლაშევიჩი ატყობინებდნენ ვ. ი. ლენინს, რომ მდგომარეობა ბუზულუკის სამხრეთით და ურალსკის რაიონში საშიში არ არის. არაუგვიანეს 31 ივლისისა ურალის მთელი მარჯვენა ნაპირი განთავისუფლებული იქნება მოწინააღმდეგისაგან, რკინიგზა ურალსკამდე გაწმენდილია და სასწრაფოდ წარმოებს მისი შეკეთება. დეპეშაში აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ სერიოზული მდგომარეობა შეიქმნა ასტრახანის ჩრდილოეთით. — **254**.

264 ლაპარაკია დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლის გეგმაზე, რომელიც მთავარსარდალმა ს. ს. კამენევმა შეიმუშავა. ამ გეგმით მთავარი დარტყმა განზრახული იყო მიეყენებინათ სამხრეთის ფრონტის მარცხენა ფრთით დონის ოლქიდან. დამხმარე დარტყმა განზრახული იყო ხარკოვის მიმართულებით. გეგმა ჩამოყალიბებული იყო მთავარსარდლობის 1919 წლის 23 ივლისის დირექტივაში (იხ. „სსრ კავშირში სამოქალაქო ომის ისტორიიდან“, ტომი 2, 1961, გვ. 499—500). ლ. დ. ტროცკიმ 1919 წლის 27 ივლისს რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ე. მ. სკლიანსკის გაუგზავნა დეპეშა, რომლითაც ატყობინებდა, რომ „სამხრეთის ფრონტის სარდალ ეგორიევს კამენევის ოპერატიული გეგმა სამხრეთისათვის არ მიაჩნია სწორად და, თუმცა ასრულებს გეგმას, წარმატების იმედი არა აქვს“ (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, გვ. 381). ასეთივეა, წერდა ტროცკი, ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრის სოკოლნიკოვისა და ფრონტის ოპერატიული სამმართველოს უფროსის პერემიტოვის აზრი. — **256**.

265 დაწერილია პასუხად ბელა კუნის ცნობაზე, რომ უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკაში მძიმე მდგომარეობაა დაწყებულ ინტერვენციასთან დაკავშირებით და თხოვნაზე საბჭოთა რუსეთის მხრივ სასწრაფო დახმარების შესახებ. — **257**.

266 ბარათი ვ. ი. ლენინისა, რომელიც 1919 წლის 3 და 4 აგვისტოს გორკაში ისვენებდა, დაწერილია, როგორც ჩანს, იმასთან დაკავშირებით, რომ 1919 წლის ივლისის დამლევს—აგვისტოს დამდეგს დასავლეთევროპულ პრესაში, აგრეთვე რუს მენშევიკებსა და ესერებს შორის მეტისმეტად გავრცელდა ხმები, რომ, ვითომდა, მოსალოდნელი იყო რუსეთის საბჭოთა მთავრობის შეცვლა კოალიციური მთავრობით (მენშევიკებისა და ესერების მონაწილეობით). 6 აგვისტოს „პრავდაში“ და 8 აგვისტოს „იზვესტია ვციკში“ დაიბეჭდა სტატიები, სადაც სასაცილოდ იყო აგდებული ეს ხმები, რომლებიც ახახავდნენ იმპერიალისტთა იმედს, რომ რუსეთში დაემხობოდა საბჭოთა მთავრობა სოციალ-გამცემთა და ხმარებით, როგორც ეს მოხდა უნგრეთში. — **258**.

267 იგულისხმება ლ. დ. ტროცკის დეპეშა ვ. ი. ლენინისადმი, რომელშიც იტყობინებოდა, რომ კიევში 1919 წლის 6 აგვისტოს გამართულმა თათბირმა ლ. დ. ტროცკის, ქ. გ. რაკოვსკის, ა. ი. ეგოროვის, ს. ი. არალოვის ნ. გ. სემიონოვის, ვ. პ. ზატონსკის შემადგენლობით დაადგინა გაიყვანოს საბჭოთა ჯარები ახალ ხაზზე და ჩააბაროს მოწინააღმდეგეს შავი ზღვის სანაპირო ოდესითა და ნიკოლაევით. — **259.**

268 წარწერილია პროფესიონალი რევოლუციონერის, 1898 წლიდან პარტიის წევრის ც. ს. ბობროვსკაიას წერილზე. წერილში ბობროვსკაია სთხოვდა ლენინს დახმარებოდა სამუშაოზე მოწყობაში. — **262.**

269 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს ი. ტ. სმილგას წერილი რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისადმი. წერილში სმილგა იტყობინებოდა მძიმე მდგომარეობის შესახებ სამხრეთის ფრონტზე. „ჩვენი წარუმატებლობის მთავარი და ძირითადი მიზეზია ის,—წერდა იგი,—რომ სამხრეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს უნარი არ შესწევს მეთაურობა გაუწიოს და მართოს ჯარები.... რევოლუციური სამხედრო საბჭოს ახლანდელი შემადგენლობა შრომისუუნაროა. ურთიერთგაუგებლობა იმდენად ძლიერია, რომ „შეთანხმებულ მუშაობაზე" ფიქრიც კი ზედმეტია" (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, გვ. 382). — **263.**

270 ბარათი დაწერილია, როგორც ჩანს, სახკომსაბჭოს 1919 წლის 26 აგვისტოს სხდომის დროს, რომელზეც ისმენდნენ კვების სამეცნიერო-ტექნიკური ინსტიტუტის მუშაობის საკითხს. სახკომსაბჭომ დაადგინა: „დაინიშნოს ჯანსახკომისა და სურსათის სახალხო კომისარიატის მოხსენება კვების სამეცნიერო-ტექნიკური ინსტიტუტისათვის პრაქტიკულ დავალებათა მიცემის შესახებ 3 თვის შემდეგ. იმავე ვადაში დაინიშნოს კვების სამეცნიერო-ტექნიკური ინსტიტუტის მოხსენება ნახერხისაგან შაქრის გამომუშავების ტექნიკური ხერხების შესახებ". ბარათზე არის ლ. ა. ფოტიევას აღნიშვნა: „შესრულებულია 28. VIII".

როგორც ჩანს, ამავე სხდომაზე ლ. ბ. კრასინმა მისწერა ვ. ი. ლენინს ბარათი, რომლითაც ატყობინებდა, რომ ერთი ფუთი ნახერხიდან შეიძლება მივიღოთ 18 გირვანქა შაქარი. საპასუხო ბარათში ლენინი წერდა: „წარმოუდგენელია: 1 ფუთზე — 18 გირვანქა!! 45%??? შაქრის-შემცველობის? % ? (ლენინის XXIV კრებული, გვ. 29). ნახერხიდან შაქრის მიღების საკითხს ლენინი არაერთგზის დაბრუნებია (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 35, დოკუმენტი 230.) — **266.**

271 მამონტოვის ცხენოსანთა კორპუსი დენიკინმა გაგზავნა სამხრეთის ფრონტის საბჭოთა ჯარების ზურგში დასარტყმელად. 1919 წლის 10 აგვისტოს

მამონტოვის კავალერიამ გაარღვია ფრონტი ნოვოხოპერსკის რაიონში და თავს დაესხა მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებსა და ქალაქებს. მამონტოვის კავალერიის რეიდმა საფრთხე შეუქმნა საბჭოთა ჯარებს, გაართულა შეტევითი ოპერაციის განხორციელება, დაარღვია მთელ რიგ ადგილებში ჯარების მართვა და მათი მომარაგება. ვ. ი. ლენინს გადაუდებელ ამოცანად მიაჩნდა მამონტოვის კორპუსის განადგურების ორგანიზაცია (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 39, გვ. 171—172). მამონტოვის ცხენოსანთა კორპუსი გაანადგურეს 1919 წლის ოქტომბერ—ნოემბერში. — **266.**

272 ბარათში ლაპარაკია 21-ე დივიზიაზე, რომელიც აღმოსავლეთის ფრონტიდან მიდიოდა სამხრეთის ფრონტის ჯარების გასაძლიერებლად.

„ლაშევიჩის ნათლულები“ — მამონტოვის ცხენოსანთა კორპუსი.

„სოკოლნიკოვის ნათლული“ — ფ. კ. მირონოვი, რომელიც სარანსკის რაიონში ადგენდა დონის კორპუსს და რომელმაც 1919 წლის 23 აგვისტოს წამოიწყო აჯანყება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. აჯანყება ჩაახშო ს. მ. ბუდიონის ცხენოსანთა კორპუსმა. — **267.**

273 1919 წლის 1 სექტემბერს ტაშკენტში გაიმართა პროფესიული კავშირების საერთო კრება, რომელიც გაეცნო ვ. ი. ლენინის ამ დეპეშას და თავის გადაწყვეტილებაში ჩაწერა: „...წითელი ტაშკენტი წითელი თურქესტანის სახელით ფიცს დებს შეასრულოს ყველა დავალება, რომლებსაც ჩვენგან მოითხოვს ცენტრი, და წითელი დროშა, რომელიც ამაყად ფრიალებს თურქესტანში, არ შედრკება წითელი ტაშკენტის ხელში“ („სსრ კავშირში სამოქალაქო ომის ისტორიიდან“, ტომი 2, 1961, გვ. 737). — **268.**

274 ლენინისათვის გაგზავნილ 1919 წლის 2 სექტემბრის საპასუხო დეპეშაში ი. ბ. სტალინი წერდა, რომ ლიტველებთან მოსალაპარაკებლად ი. მარხლევსკის ჩამოსვლის დღეს მათ მოულოდნელად დაიწყეს შეტევა. როგორც ჩანს, აღნიშნული იყო დეპეშაში, ლიტველები ეფარებოდნენ სიტყვებს მოლაპარაკების შესახებ, რათა მოედუნებინათ ჩვენი სიფხიზლე. სტალინი იტყობინებოდა, რომ მას არ მიუღია ცენტრალური კომიტეტის არავითარი გადაწყვეტილება მოლაპარაკების წარმოების შესახებ. „დღეს, — წერდა იგი შემდეგ, — დაიწყო ჩვენი კონტრშეტევა. ჩვენ გავეცით ფრონტზე ბრძანება გააძლიერონ სიფხიზლე, არავითარი პარლამენტიორი არ შეუშვან ფრონტის ხაზზე ფრონტის თანხმობისა და სანქციის მიუღებლად.“ — **269.**

275 დაწერილია ლ. დ. ტროცკის, ლ. პ. სერებრიაკოვის, მ. მ. ლაშევიჩის 1919 წლის 5 სექტემბრის დეპეშის პასუხად, რომელიც შეიცავდა წინადადებას, არსებითად, შეცვლილიყო დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლის ადრე მიღებული გეგმა. 1919 წლის 6 სექტემბერს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა დეპეშა და დაადგინა „დამტკიცდეს მთავარსარდლის პასუხის პროექტი და ეცნობოს ტელეგრაფით, რომ პოლიტბიუროს აოცებს ამ საკითხის ხელახლა წამოჭრა“ (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, გვ. 384). — **269.**

276 წარწერილია ქ. კოზლოვიდან სამხრეთის ფრონტის შტაბის ევაკუაციის საკითხზე სამხრეთის ფრონტის მთავარი კონტროლიორის კ. ფ. მარტინოვიჩის მოხსენებისათვის სახელმწიფო კონტროლის სახკომის მოადგილის ა. კ. პაიკესის 1919 წლის 12 სექტემბრის თანდართულ მიმართვაზე. — **271.**

277 დაწერილია სმოლნის მუშა-მოსამსახურეთა კომიტეტის ცნობის გამო ბოროტმოქმედების მრავალი ფაქტის, ფულის, პროდუქტებისა და წითელი არმიისათვის შეგროვებული ნივთების გაფლანგვისა და მტაცებლობის შესახებ. კომიტეტი თხოულობდა დაენიშნათ საგამომძიებლო კომისია და პასუხისგებაში მიეცათ დამნაშავენი. — **271.**

278 რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1919 წლის 11 სექტემბრის სხდომაზე განხილული იყო საკითხი ბურჟუაზიული ინტელიგენტების დაპატიმრების შესახებ. პოლიტბიურომ წინადადება მისცა ფ. ე. ძერჟინსკის, ნ. ი. ბუხარინსა და ლ. ბ. კამენევს გადაესინჯათ დაპატიმრებულთა საქმეები. — **271.**

279 1919 წლის 18 სექტემბერს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და ორგბიუროს გაერთიანებულ სხდომაზე გადაწყდა აღარ გაეგზავნათ ვ. ი. სელივაჩევთან ლ. პ. სერებრიაკოვი. — **274.**

280 ვ. ი. ლენინისათვის 1919 წლის 26 სექტემბერს გაგზავნილ წერილში გ. ვ. ჩიჩერინი ითხოვდა განეხილათ რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში საკითხი ანტანტისათვის ახალი საზავო წინადადების შეთავაზების შესახებ. ჩიჩერინი წერდა, შეიძლება ანტანტას მივმართოთ ოფიციალური წინადადებით მთავრობის სახელით ან ვთხოვოთ ა. მ. გორკის მისწეროს წერილი, რომელშიც აღინიშნოს, რომ მუდამ მზად ვართ მშვიდობისათვის. ჩიჩერინის წერილს ლენინმა წააწერა: „...მთავრობის სახელით ნუ მიმართავთ.... დასჯერდით გორკის წერილს...“ (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 42, გვ. 107). — **275.**

281 ლაპარაკია ა. ს. სოლოვიოვის მოხსენებითი ბარათის შესახებ — „უხტის ნავთობი", რომელიც ვ. ი. ლენინს გაეგზავნა 1919 წლის 23 სექტემბერს.

ამ საკითხზე იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 14. — **275**.

282 წერილი დაწერილია ჰოლანდიელი კომუნისტის ს. რუტგერსის თხოვნით, რომელიც გაგზავნა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომმა ჰოლანდიაში იქ კომინტერნის დასავლეთ ევროპის ბიუროს შესაქმნელად. — **281**.

283 1919 წლის 17 ოქტომბერს ვ. ი. ლენინმა თავდაცვის საბჭოს სხდომაზე გააკეთა მოხსენება სამხედრო ქონების განაწესთა და დანიშნულებათა გადასინჯვის შესახებ. თავდაცვის საბჭომ დაადგინა ეს საკითხი განსახილველად გადასცემოდა კომისიას, რომელშიც შედიოდნენ ს. დ. მარკოვი, ა. ი. სვიდერსკი, ა. ი. რიკოვი და ე. მ. სკლიანსკი, და კომისიას დავალებოდა, „თუ მიღწეული იქნება შეთანხმება", ორშაბათისათვის, 20 ოქტომბრისათვის, წარადგინონ იგი ლენინის ხელმოსაწერად. თავდაცვის საბჭომ განიხილა აგრეთვე სამხედრო მიზნებისათვის ვარგისი ქონების გამოძებნის საკითხი. 1919 წლის 31 ოქტომბერს თავდაცვის საბჭომ დაამტკიცა დადგენილება სამხედრო ქონების ზედნადებებისა და დანიშნულობათა გადასინჯვის შესახებ და დადგენილება სამხედრო მიზნებისათვის ვარგისი ქონების გამოძებნის შესახებ. — **282**.

284 1919 წლის 15 ოქტომბერს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ დაადგინა დაევალოს კომისიას განიხილოს და ცენტრალური კომიტეტის სახელით სახკომსაბჭოში შეიტანოს დებულება დაჭრილთა დახმარების კომიტეტის შესახებ. 28 ოქტომბერს დებულების პროექტი „დაჭრილ და ავადმყოფ წითელარმიელთა დახმარების კომიტეტის შესახებ" განხილული იყო სახკომსაბჭოს სხდომაზე. 29 ოქტომბერს დადგენილება „დაჭრილ და ავადმყოფ წითელარმიელთა დახმარების კომიტეტის შესახებ" დაამტკიცა სრულიად რუსეთის ცაკმა და გამოქვეყნდა „იზვესტია ვციკში" 1919 წლის 1 ნოემბრის № 245-ში. — **282**.

485 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს თავდაცვის საბჭოს 1919 წლის 16 ოქტომბრის დადგენილებაში მოყვანილი მითითება დაეცვათ პეტროგრადი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, არ დაეთმოთ არც ერთი მტკაველი მიწა და ბრძოლა ეწარმოებინათ ქალაქის ქუჩებში. იუდენიჩის ჯარების წინააღმდეგ ბრძოლის გეგმაში, რომელიც ტროცკიმ წარმოადგინა, აგრეთვე ლაპარაკი იყო იმაზე, რომ საჭიროა ქალაქში ქუჩის ბრძოლებისათვის მომზადება. მაგრამ, თუ თავდაცვის საბჭოს, როცა იძლეოდა ძირითად დირექტივას რადაც უნდა დაჯდომოდათ შეენარჩუნებინათ პეტროგრადი მაშველი ძალების მოსვლამდე, დასაშვებად მიაჩ-

ნდა ქუჩის ბრძოლები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგე შეძლებდა ქალაქის ფარგლებში შეჭრას, ტროცკის სულ სხვა მოსაზრებები ჰქონდა. იგი ამტკიცებდა, თითქოს „წმინდა სამხედრო თვალსაზრისით“ ხელსაყრელი იყო ნება მიეცათ მტრისათვის შეჭრილიყო პეტროგრადში, რომელიც ამისათვის უნდა გადავაქციოთ „დიდ ხაფანგად თეთრგვარდიელთა ჯარებისათვისო“. — **284.**

286 წარწერილია ი. ნ. სმირნოვის დეპეშაზე ვ. ი. ლენინისადმი. დეპეშაში ნათქვამი იყო, რომ „განწყობილება ციმბირში მტკიცეა, საბჭოურია. ადგილობრივი ძალების დარაზმვით კოლჩაკს მოვერევით, საჭიროა მხოლოდ ტანსაცმელი და ვაზნები. გუშინ მთელ ფრონტზე გადავედით შეტევაზე, ვფიქრობთ სამ კვირაში მივიდეთ იშიმამდე“. შემდეგ გამოთქმული იყო მე-5 არმიის კომუნისტთა სურვილი, არმიის სამხრეთის ფრონტზე გადაყვანის შესახებ. სმირნოვი წინადადებას იძლეოდა იშიმის შემდეგ სამხრეთში გადაეყვანათ ამ არმიის 3 დივიზია. „თუ მოგვცემთ ტანსაცმელს 30 000-თვის, — წერდა იგი, — ჩვენ დაუყოვნებლივ მოვახდენთ ამდენივე მებრძოლის მობილიზაციას ჩელიაბინსკში და იქ, სადაც მივდივართ. გამოგვიგზავნეთ მხოლოდ ტანსაცმელი, ცოცხალი ძალა არის და იქნება“ (ხაზგასმულია ლენინის მიერ) (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, გვ. 388).

დოკუმენტზე არის ლენინის აღნიშვნა, რომ დეპეშა მას დაუბრუნონ. — **284.**

287 სამხრეთის ფრონტზე მდგომარეობის უკიდურესად გამწვავების გამო რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ მოსთხოვეს სამხედრო სარდლობას პირველ რიგში მოესპო თეთრგვარდიელთა ის ძალები, რომლებსაც შეეძლოთ მჭიდრო თანამოქმედება დენიკინის არმიასთან. გენერალ ტოლსტოვის ურალის თეთრკაზაკთა არმია ესაზღვრებოდა დენიკინის ფრონტის მარჯვენა ფლანგს და შესაძლებლობა ჰქონდა კონტაქტი დაემყარებინა დენიკინელებთან. იგი მოქმედებდა ჩრდილოეთ კასპიისპირეთში და აბანდებდა თურქესტანის ფრონტის ჯარებს, აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის მე-11 არმიის ძალების ნაწილს. — **285.**

288 1919 წლის გაზაფხულზე დენიკინელებმა დაიპყრეს დაღესტანი, ჩაჩნეთი, ოსეთი და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ეროვნული რაიონები. ამის პასუხად მთიელი ხალხები აღსდგნენ წმიდათაწმიდა ომისათვის თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ. აჯანყებულთა მოძრაობის გაშლის მსვლელობაში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ელემენტები ცდილობდნენ ხელთ

ეგდოთ ხელმძღვანელობა. მაგრამ მათ ვერ შეძლეს გაეყოლიებინათ მთიელთა ძირითადი მასა. რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით აჯანყებულთა შორის წარმოებდა ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა, პარტიზანთა ჯარებში იქმნებოდა კომუნისტური ორგანიზაციები. აჯანყებულთა მოძრაობას სწრაფად მიეცა ბოლშევიკური ხასიათი. — 286.

289 მთავარსარდლის ს. ს. კამენევის 1919 წლის 17 ოქტომბრის დირექტივის შესაბამისად, კოლპინო—ტოსნოს რაიონში შეიქმნა დამკვრელი ჯგუფი ს. დ. ხარლამოვის მეთაურობით. ამ ჯგუფს დარტყმა უნდა მიეყენებინა მოწინააღმდეგისათვის კრასნოე სელო—გატჩინის მიმართულებით. ამავე დროს დასავლეთის ფრონტის სარდლობამ დასახა მე-7 და მე-15 არმიების საერთო კონტრშეტევის გეგმა. მე-7 არმიას უნდა განევრძო შეტევა გატჩინა — ვოლოსოვო — იამბურგის მიმართულებით და მე-15 არმიას—ფსკოვ-ლუგსკის რაიონში. — 287.

290 სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში ინახება ამონაწერი 1919 წლის 17 ნოემბრის დაზვერვის ცნობიდან, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქალაქ დისნის რაიონში მოხდა დაძმობილება პოლონელ ჯარისკაცებთან და პოლონეთის დაბალი ჩინის მეთაურთა შემადგენლობასთან. დოკუმენტზე არის ვ. ი. ლენინის აღნიშვნა: „ეს ძალიან მნიშვნელოვანია! გაეგზავნოს პირები ამხ. ტროცკის პოლიტბიუროს ყველა წევრისათვის". — 288.

291 1919 წლის 22 ოქტომბერს ვ. ი. ლენინისადმი გაგზავნილ წერილში გ. ვ. ჩიჩერინი ილაშქრებდა ლ. დ. ტროცკის წინადადების წინააღმდეგ დავეწყო ომი ესტონეთის წინააღმდეგ. იგი წერდა, რომ იუდენიჩის დევნა ესტონეთის ტერიტორიაზე მოგვიხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი იქით დაიხევს. ჩიჩერინი აღნიშნავდა, რომ საჭიროა ყველაფერი გაკეთდეს, რათა თავიდან ავიცილოთ ესტონეთში შეჭრა. — 290.

292 წარწერილია მთავარსარდლის ს. ს. კამენევის მოხსენებაზე, რომელშიც იგი შუამდგომლობდა, რომ ოპერატიულ საკითხებზე მთავრობის დირექტივების პროექტები ეძლეოდეს მთავარსარდლობას წინასწარი დასკვნისათვის. დოკუმენტზე არის აღნიშვნა: „თანახმა ვარ. მხოლოდ აცნობეთ არა ცეკას სახელით, არამედ რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის სახელით. ნ. კ რ ე ს ტ ი ნ ს კ ი, ლ. კ ა მ ე ნ ე ვ ი", „მთავარსარდლის შუამდგომლობას ვეთანხმები. მ. კ ა ლ ი ნ ი ნ ი". — 291.

293 1919 წლის შემოდგომაზე ი. ვოლნი გამოიძახეს მოსკოვში და იგი მიიღო ვ. ი. ლენინმა. ორი საათის საუბრის დროს, როგორც შემდეგ იგონებდა ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩი, ლენინს აინტერესებდა მწერლის შემოქმედებითი გეგმები, ეკითხებოდა მას ყოველივე იმაზე, რაც საკუთარი თვალით უნახავს. — **291.**

294 პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ფრონტზე გაიგზავნა ი. მ. სვერდლოვის სახელობის უნივერსიტეტის კომუნისტ მსმენელთა მორიგი გამოშვების ნახევარზე მეტი. 1919 წლის 24 ოქტომბერს ფრონტზე მიმავალ უნივერსიტეტის მსმენელთა წინაშე სიტყვა წარმოთქვა ვ. ი. ლენინმა (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 30, გვ. 73—83). — **292.**

295 წერილი დაწერილია მობილიზებულ ივანოვო-ვოზნესენსკელ კომუნისტთა ფრონტზე გაგზავნასთან დაკავშირებით. 3 ოქტომბერს ივანოვო-ვოზნესენსკში გაიმართა საერთო-საქალაქო პარტიული კრება, რომელმაც პარტიის თითოეული წევრისაგან მოითხოვა მთელი ძალები მოეხმარებინა დენიკინის არმიის განადგურების საქმისათვის და დაავალა პარტიულ ორგანიზაციებს შესდგომოდნენ კომუნისტების მობილიზაციას ფრონტისათვის. 22 ოქტომბერს მოეწყო მობილიზებულთა პირველი პარტიის გაცილება ფრონტზე, 24 ოქტომბერს მობილიზებული ივანოვო-ვოზნესენსკელი კომუნისტები ჩავიდნენ მოსკოვში. კავშირების სახლში მათ წინაშე გამოვიდა ვ. ი. ლენინი (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 39, გვ. 238). 50 ივანოვო-ვოზნესენსკელი კომუნისტი გაიგზავნა სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის შტაბსა და პოლიტგანყოფილებაში, დანარჩენები კი — მე-9 არმიაში. — **292**.

296 პუგაჩოვის სამაზრო სასურსათო თათბირის თავმჯდომარე 1919 წლის 24 ოქტომბრის დეპეშით იტყობინებოდა, რომ სასურსათო გაწერა შესრულებულია 50 პროცენტით, ხოლო ზოგიერთმა თემმა მთლიანად შეასრულა. დეპეშაში აღნიშნული იყო, რომ გაწერის გეგმა შესრულდება 1919 წლის 1 დეკემბრამდე. — **294.**

297 წარწერილია სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩის მოხსენებითს ბარათზე ვ. ი. ლენინისადმი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ საჭიროა სასწრაფოდ აშენდეს აბანოები სადეზინფექციო კამერებით მოსკოვის ვაგზლებთან პარტახტიანი ტიფის მოახლოებულ ეპიდემიასთან ბრძოლის მიზნით.

დოკუმენტზე არის ნ. ა. სემაშკოს აღნიშვნა: „ზ. პ. სოლოვიოვს. საჭიროა შეიქმნას კომისია... საკითხის ს ა ს წ რ ა ფ ო დ განსახილველად. ექიმ ლევენსონს ევალება თათბირის მოწვევის ინიციატივა". — **295.**

298 ამ წერილთან ერთად ვ. ი. ლენინმა ანალოგიური შინაარსის წერილი მისწერა უფის საგუბერნიო სურსათის კომისარს კოტომკინს, ხოლო 1919 წლის 11 დეკემბერს ლენინმა უფაში სრულიად რუსეთის ცაკის რწმუნებულს რესკეს გაუგზავნა (პირები ფოტიევასა და კოტომკინს) დეპეშა: „ფოტიევას ეკრძალება წამოსვლა პირველ იანვარზე ადრე. შესრულება მომახსენეთ" (თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, გვ. 391). — **295.**

299 1919 წლის 6 ნოემბერს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ შესაძლებლად მიიჩნია, რომ წითელ არმიას გადაელახა ესტონეთის საზღვრები იუდენიჩის თეთრგვარდიული ჯარების განადგურების დასამთავრებლად. მაგრამ უკვე 14 ნოემბერს პოლიტბიუროს სხდომაზე ეს გადაწყვეტილება გააუქმეს. პოლიტბიურომ აღნიშნა, რომ მშრომელი მოსახლეობის ზეგავლენით ესტონეთის მთავრობა თანახმაა განაახლოს საზავო მოლაპარაკება და, როგორც ჩანს, არ დაეხმარება იუდენიჩს.

1919 წლის 5 დეკემბერს ქალაქ იურიევში (ტარტუ) გაიხსნა რუსეთის სფსრ და ესტონეთის საზავო კონფერენცია, რომელზეც დაიდო ხელშეკრულება რუსეთის სფსრ და ესტონეთის რესპუბლიკის არმიებს შორის საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ (1919 წლის 31 დეკემბერს). 1920 წლის 2 თებერვალს საბჭოთა რუსეთსა და ესტონეთს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება. — **300.**

300 ამ წერილის მეორე მხარეზე ტორფის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ი. რადჩენკომ დაწერა: „1919 წლის 11 ნოემბერს დღის პირველ საათზე ამხ. ლენინს გაეგზავნა ანგარიში 1919 წლის ტორფის კამპანიის შესახებ. ამის პასუხად იმავე დღეს საღამოს 11 საათზე მიღებული იყო ეს წერილი". — **301.**

301 სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში არის რ. კილისადმი ვ. ი. ლენინის შემდეგი წერილის რუსულად თარგმნილი მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტი, რომელიც ნაპოვნი იყო კილის ქაღალდებში. ეს ქაღალდები რუსულ ენაზე ითარგმნა 1920 წელს, როცა ისინი საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატიდან გაგზავნეს სამხედრო ტრიბუნალის საგამოძიებლო კომისიაში:

„მოსკოვი, 1919 წლის 20 ნოემბერი.

ძვირფასო ამხანაგო კილი!

ბოდიში უნდა მოვიხადო ჩემი ცუდი ინგლისური ენისათვის. მე გითხარით, როცა მოგინდებათ ჩემი ნახვა, პირადად უნდა მომმართოთ, იმიტომ რომ ჩვენ დიდი ნაკლი გვაქვს წესრიგსა და აკურატულობაში და ჩემს ჩაურევლად მეტისმეტად საეჭვოა, რომ მიიღოთ მალე და

კარგად ყველაფერი ის, რაც გჭირდებათ თქვენს განსაკუთრებულ მდგომარეობაში. მე მივხვდი, რომ ოთახი ცუდი და ცივი გაქვთ, ცუდად იკვებებით და ა. შ. გთხოვთ მაპატიოთ. ახლავე ვუბრძანებ მოგცენ უკეთესი ოთახი და უკეთესი სადილი. ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვართ (სურსათისა და სათბობის მხრივ), მაგრამ ჩვენი სტუმრებისათვის (ჩვენ ძალიან ცოტა საზღვარგარეთელი სტუმარი გვყავს) ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ს ვიშოვით, რაც საჭიროა. ერთხელ კიდევ გთხოვთ მომმართოთ პ ი რ ა დ ა დ მ ე დაუყოვნებლივ. კონვერტს დააწერეთ პირადად ლენინს კილისაგან" (თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, გვ. 393).

26 ნოემბრის საპასუხო წერილში კილი მადლობას უხდიდა ვ. ი. ლენინს მზრუნველობისათვის და ატყობინებდა, რომ მიიღო „საუცხოო თბილი და კომფორტული ოთახი", აგრეთვე სურსათი (პური, ყველი, კარაქი, მურაბა, შოკოლადი და ა. შ.).

იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 473. —**301**.

302 დეპეშა დაწერილია თავდაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელმაც თავის 1919 წლის 20 ნოემბრის სხდომაზე განიხილა ურალში სამთო ქარხნების მუშების სურსათით უზრუნველყოფის საკითხი. მოგვიანებით, 15 დეკემბერს, ვ. ი. ლენინმა იმავე მისამართით გაგზავნა კიდევ ერთი დეპეშა: „... ურალის მუშების სურსათით მომარაგების შესახებ პასუხი მიღებულია მხოლოდ ერთხელ—15 დეკემბერს. ანგარიშები (რამდენი ფუთი მოაქვთ) უნდა გამოგზავნოთ თვეში ორჯერ" (ლენინის XXXIV კრებული, გვ. 245). 1920 წლის 14 იანვარს ვ. ი. ლენინის და ა. ი. რიკოვის ხელმოწერით აღმოსავლეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს, უფის სურსათის საგუბერნიო კომისარს, სამარა-ზლატოუსტის რკინიგზის კომისარს, მე-5 არმიის ცალკე სასურსათო კომისარს გაეგზავნათ დეპეშა, რომელშიც აგრეთვე აღნიშნული იყო, რომ საჭიროა სამხრეთ ურალის ქარხნების, მაღაროებისა და შახტების ყველა მუშის მომარაგება სურსათით (იხ. ლენინის XXXIV კრებული, გვ. 253). — **302**.

303 ლენინს მხედველობაში აქვს ბ. ს. ვეისბროდის 1919 წლის 20 ნოემბრის დეპეშა. დეპეშაში ნათქვამი იყო, რომ ორენბურგში პარტახტიანი ტიფის ეპიდემიის გავრცელებასთან დაკავშირებით შეიქმნა ძალზე მძიმე მდგომარეობა. ეპიდემიასთან ბრძოლას აძნელებს შეშის უქონლობა, მედიცინის ძალების ნაკლებობა. პარტახტიან ტიფთან ბრძოლის მიზნით, აღნიშნავდა ვეისბროდი, ორენბურგის საავადმყოფოებში ადგილების რაოდენობა უნდა ავიყვანოთ ხუთი ათასამდე და გადავგზავნოთ დამატებით ორი ჰოსპიტალი. — **303**.

304 დაწერილია ბ. ს. ვეისბროდის 1919 წლის 5 ნოემბრის მოხსენებით ბარათთან დაკავშირებით ექიმთა კადრებით წითელი არმიის უზრუნველ-

ყოფის შესახებ. თავის ბარათში ვეისბროდი აღნიშნავდა ექიმთა ზედმეტ რაოდენობას მოსკოვის სამკურნალო დაწესებულებებში და წერდა, რომ საჭიროა განხორციელდეს ექიმების მობილიზაცია და მათი გაგზავნა ფრონტზე. ვ. ი. ლენინმა ხაზი გაუსვა მოხსენებითი ბარათის იმ ადგილს, სადაც ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ზოგიერთმა დაწესებულებამ, მაგალითად, მოსკოვის მე-2 სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკამ დაჯავშნა მეტი ექიმები, ვიდრე მათ ჰყავდათ იმპერიალისტურ ომამდე, გაუკეთა აღნიშვნა „NB“ და სქოლიო, ხოლო ქვემოთ დაწერა: „შეამოწმეთ ეს ფაქტი ზუსტად და ახლავე“. მეორე გვერდზე, სადაც ვეისბროდი წერდა, რომ მოსკოვში არის ზედმეტი სამკურნალო დაწესებულებები, ლენინმა აღნიშნა: „რამდენია ასეთი?“ (თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, გვ. 394). **304**.

305 ვ. ი. ლენინი წინადადებას იძლევა შეიყვანონ სრულიად რუსეთის ცაკის შემადგენლობაში კიევის გუბერნიის წარმომადგენელი. ლენინის წინადადება მიიღეს (კიევის გუბერნიის წარმომადგენლად სრულიად რუსეთის ცაკში არჩეული იყო კ. ტოლკაჩოვი). — **305**.

306 ეს ბარათი დაწერილია ს. მ. კიროვისა და ი. პ. ბაბკინის 1919 წლის 9 დეკემბრის წერილზე კავკასიის მდგომარეობის შესახებ. კერძოდ, მასში ნათქვამი იყო, რომ არ არის ზუსტი ცნობები, ჩავიდა თუ არა კამო ბაქოში.

კამო მებრძოლთა ჯგუფთან ერთად, იარაღით, საომარი მასალით და ლიტერატურით 1919 წლის შემოდგომაზე კონსპირაციულად გაიგზავნა მოსკოვიდან კავკასიაში არალეგალური მუშაობისათვის. გადალახა რა ყველა სიძნელე, ჯგუფი მშვიდობიანად ჩავიდა ბაქოში და ჩაება ბრძოლაში დენიკინელთა წინააღმდეგ. — **305**.

307 თურქესტანის კომისიის წევრებთან პირდაპირი მავთულით ლაპარაკის დროს მ. ვ. ფრუნზე ამბობდა: „პასუხისმგებელ პოლიტმუშაკთა გამოგზავნაზე უარი გამოწვეულია სამხრეთის ფრონტისა და უკრაინის დიდი მოთხოვნებით... ჩვენი ძალებით მოვახერხეთ მოგვეზიდა... ზოგი ვინმე როგორც პოლიტიკურ ნაწილში, ისე ტექნიკურ ნაწილში“ („მ. ვ. ფრუნზე სამოქალაქო ომის ფრონტებზე. დოკუმენტების კრებული“. მ., 1941, გვ. 259). — **306**.

308 ლაპარაკია ნაშრომზე „დამფუძნებელი კრების არჩევნები და პროლეტარიატის დიქტატურა“ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 30, გვ. 296—325), რომელიც ვ. ი. ლენინმა დაამთავრა 1919 წლის 16 დეკემბერს. — **308**.

309 ბარათი, როგორც ჩანს, დაწერილია იმასთან დაკავშირებით, რომ 1919 წლის 17 დეკემბერს თავდაცვის საბჭოს სხდომაზე განხილული იყო ლ. ბ. კრასინის მოხსენება „ანგარიშგების ფორმების გამომუშავების შესახებ, რომელიც საშუალებას იძლევა თვალყური ვადევნოთ რკინიზგების მუშაობის მდგომარეობას". ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა გადატანილი იყო შემდეგ სხდომაზე; მოხსენება ციფრობრივი მონაცემებით ანგარიშგების ფორმების შესახებ თავდაცვის საბჭომ დაავალა წარმოედგინა გზათა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრს ი. ვ. ლომონოსოვს (ამასთან „ანგარიშგების ფორმები,—აღნიშნული იყო გადაწყვეტილებაში, — უფრო მოკლე უნდა იყოს, ვიდრე ისინი, რომლებიც ამხ. კრასინმა წარმოადგინა"). 24 დეკემბერს თავდაცვის საბჭომ დაამტკიცა ლომონოსოვის მიერ ჩამოყალიბებულ ღონისძიებათა პროგრამა და დაავალა გზათა სახალხო კომისარიატს „წარუდგინოს იგი ხვალ ხელმოსაწერად ამხ. ლენინს მთელ რიგ დადგენილებათა სახით" (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, გვ. 396).

დოკუმენტზე არის უცნობის ხელით გაკეთებული აღნიშვნა „შესრულებულია 19. XII". — **309.**

310 1919 წლის შემოდგომაზე უკრაინის კომპარტიაში ჩამოყალიბდა „ფედერალისტთა" ჯგუფი გ. ლაპჩინსკის, პ. პოპოვისა და ი. ლანდერის მეთაურობით, რომელიც დაადგა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის პოზიციას და დაიწყო ფრაქციული გამთიშველი საქმიანობა. 1919 წლის 13 დეკემბერს ფედერალისტებმა მოიწვიეს თავიანთი 32 მომხრის თათბირი, რომელზეც გაილაშქრეს უკრაინის მიმართ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკის წინააღმდეგ. პოპოვმა და ლანდერმა 32 უკრაინელი მუშაკის სახელით ხელი მოაწერეს განცხადებას, რომელშიც გაკრიტიკებული იყო უკრაინის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს შემადგენლობა და მისი მუშაობის მეთოდები, აგრეთვე გამოთქმული იყო პროტესტი უკრაინისათვის რუსეთის გუბერნიებიდან პარტიული და საბჭოთა მუშაკების მობილიზაციის წინააღმდეგ.

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიურომ 1919 წლის 18 დეკემბერს განიხილა უკრაინელ მუშაკთა განცხადება და დაადგინა „გამოეცხადოს საყვედური იმისათვის, რომ სრულიად უკრაინის რევკომისა და უკრაინის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მითითებით დადებითი მუშაობის ნაცვლად დროსა და ძალებს ხარჯავენ ჭორებსა და უპასუხისმგებლო პოლიტიკანობაზე, რაც წარმოადგენს პარტიული დისციპლინის დარღვევას..." — **309.**

311 ლაპარაკია პ. ნ. ლეპეშინსკის გაგზავნაზე თურქესტანში. ლეპეშინსკი თურქესტანში მუშაობდა განათლების სახალხო კომისრის მოადგილედ. — **310.**

312 1919 წლის 21 დეკემბერს ვ. ი. ლენინის ხელმოწერილი წერილი გაეგზავნა აგრეთვე პარტიის ტულის საგუბერნიო კომიტეტსა და საგუბერნიო აღმასკომს, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ საჭიროა ათი დღის ვადაში გაეგზავნოს მოსკოველ მშრომელებს სულ ცოტა ოთხასი ვაგონი კარტოფილი. „თქვენს წარმატებაზე, — ნათქვამი იყო წერილში, — ენერგიასა და სიმტკიცეზე დამოკიდებულია მუშათა კლასის ხსნა, რევოლუციის მონაპოვართა განმტკიცება, მისი შემდგომი წარმატებანი და მისი საბოლოო გამარჯვება“ (ლენინის XXIV კრებული, გვ. 146).—**311**.

313 ბარათი დაწერილია, როგორც ჩანს, იმასთან დაკავშირებით, რომ მცირე სახკომსაბჭომ 1919 წლის 18 დეკემბრის სხდომაზე განიხილა მოსკოვის საგუბერნიო აღმასკომის შუამდგომლობა გაეუქმებინათ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ცირკულარი სასკოლო მეცადინეობისათვის ეკლესიების შენობების უტილიზაციის შესახებ. მცირე სახკომსაბჭომ დაადგინა მოსკოვის საგუბერნიო აღმასკომის შუამდგომლობა უარყოს და დაავალოს განათლების სახალხო კომისარიატს, იუსტიციის სახალხო კომისარიატსა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს შეიმუშაონ შესაბამისი ინსტრუქცია და წარუდგინონ იგი მცირე სახკომსაბჭოს 1919 წლის 29 დეკემბრისათვის. — **312**.

314 დაწერილია რკინიგზებზე სამხედრო წესების განხორციელების განსაკუთრებული კომიტეტის თავმჯდომარის ი. ხ. პეტერსის დეპეშაზე რუზაევკიდან, რომელიც მიღებული იყო 1919 წლის 25 დეკემბერს გვიან საღამოს და რომელიც შეიცავდა წინადადებას გამოეწვიათ არმიიდან რკინიგზის სახელოსნოებისა და დეპოების კვალიფიციური მუშები, რადგან ორთქლმავლების შეკეთება თითქმის ყველგან შემცირდა, ზოგან კატასტროფულ მინიმუმამდე.

31 დეკემბერს თავდაცვის საბჭოს სხდომაზე მას შემდეგ, რაც განიხილეს ლ. ბ. კრასინის მიერ წარმოდგენილი პროექტი დადგენილებისა „არმიიდან რკინიგზების კვალიფიციური ხელოსნებისა და მუშების გამოწვევის შესახებ“, დაადგინეს, რომ კრასინის განცხადებით საკითხი ამოწურულია და პრაქტიკულად იგი უკვე გადაჭრილია. — **313**.

315 დაწერილია პასუხად ი. ნ. სმირნოვის დეპეშაზე ვ. ი. ლენინისადმი, რომელშიც ნათქვამი იყო, თუ როგორ მიმდინარეობდა მუშაობა კოლჩაკის ჩიტიდან და კუზნეცკის აუზიდან ქვანახშირის გასაგზავნად.

ლენინის დეპეშაში არის მითითება, რომ წითელი არმიის ჯარებმა ომსკში და ირკუტსკამდე რკინიგზების გაყოლებით უნდა დაიცვან კოლჩაკის უკან დახეული არმიის ქონება. — **314**.

316 ლაპარაკია რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1919 წლის 27 დეკემბრის სხდომაზე. ამ სხდომამ განიხილა: გ. ვ. ჩიჩერინის

შეკითხვა, შეუძლია თუ არა მას გაუგზავნოს საქართველოს მთავრობას წინადადება დენიკინის წინააღმდეგ გაერთიანებული სამხედრო მოქმედების შესახებ ისე, რომ არ ცნონ ეს მთავრობა; ჩიჩერინის ცნობა, რომ ესტონელები თანახმა არიან მოგვცენ სამხედრო გარანტიები იმ პირობით, თუ მათ მიეცემათ უფლება ააგონ სიმაგრეები ნაროვის მარცხენა ნაპირზე; ჩიჩერინის განცხადება რუსეთის დეპეშათა სააგენტოს პეტროგრადის განყოფილების შესახებ, რომელმაც გამოაქვეყნა სამხედრო ხასიათის ცნობა, რაც ანტანტასა და ფინეთს შეეძლოთ გაეგოთ როგორც საბჭოთა რუსეთის განზრახვა დაეწყო შეტევა ფინეთის წინააღმდეგ და სხვ. — **815**.

317 **საგიტაციო პუნქტების ცენტრალური კოლეგია** შეიქმნა თავდაცვის საბჭოს 1919 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებით იმისათვის, რომ სააგიტაციო-საგანმანათლებლო პუნქტები მოეწყოთ რკინიგზის საკვანძო სადგურებსა და ჯარების ჩასხდომის ადგილებში. — **815**.

318 წინა დღეს, 1919 წლის 29 დეკემბერს, ვ. ი. ლენინმა კრემლში თავის კაბინეტში მიიღო მ. ს. მოვშოვიჩი, რომელიც ფრონტიდან ჩამოვიდა მოსკოვში, რადგან მის ქმარს ტიფი შეეყარა, ხოლო ქალიშვილი უპატრონოდ დარჩა; ესაუბრა წითელ არმიაში მისი მუშაობის შესახებ, ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ. მეორე დღეს ლენინმა ინახულა მოვშოვიჩი და დაპირდა დახმარებას მისი პირადი საქმეების მოწყობაში. — **816**.

319 წარწერილია ოლონეცის გუბერნიის სოფელ ოშტიდან გამოგზავნილ ვ. იუშინის დეპეშაზე, რომელიც ჩიოდა, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებმა გაწერის წესით ჩამოართვეს სამიდან ერთი ძროხა. იუშინი აღნიშნავდა, რომ მისი ოჯახი 9 კაცისაგან შედგება, ვაჟიშვილი წითელარმიელია. დეპეშის პირი ს. ბ. ბრიჩკინამ გაუგზავნა სურსათის სახალხო კომისარიატში ა. დ. ციურუპას. — **817**.

320 წარწერილია სურსათის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრის ვ. ნ. იაკოვლევას ტელეფონოგრამაზე ვ. ი. ლენინისადმი, რომელიც სახკომსაბჭოს მდივანმა მ. ი. გლასერმა მიიღო 1920 წლის 1 იანვარს 16 საათსა და 25 წუთზე, იმის შესახებ, რომ 1919 წლის 30 და 31 დეკემბერს მოვიდა ცნობები სასურსათო მარშრუტების დატვირთვისა და მოსკოვში გაგზავნის მიმდინარეობის თაობაზე. იაკოვლევა იტყობინებოდა აგრეთვე, რომ არ არის ცნობები ყაზანიდან და სიმბირსკიდან, რადგან პირდაპირი მავთული არ მუშაობდა არც 30, არც 31 დეკემბერს,

და რომ სამარაში ვაგონებს სურსათისათვის იძლევიან გაცილებით ნაკლებს, ვიდრე საჭიროა.

1920 წლის 2 იანვარს თავდაცვის საბჭოს სხდომაზე ვ. ი. ლენინმა გააკეთა მოხსენება „სამხედრო ანგარიშგება ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატისა და გზათა სახალხო კომისარიატის უწყებაში". — **317**.

321 „*Die Freiheit*" („თავისუფლება") — ყოველდღიური გაზეთი, გერმანიის დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანო; გამოდიოდა ბერლინში 1918 წლის 15 ნოემბრიდან 1922 წლის 30 სექტემბრამდე. — **319**.

322 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს გერმანიის დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის საგანგებო ყრილობა, რომელიც ლაიფციგში მიმდინარეობდა 1919 წლის 30 ნოემბრიდან 6 დეკემბრამდე. პარტიის მემარცხენე წევრების ზეგავლენით ყრილობამ მიიღო მოქმედების პროგრამა, რომელიც ცნობდა პროლეტარიატის დიქტატურის იდეას და საბჭოების სისტემას. პარტიის პროლეტარულმა ფრთამ წინადადება შეიტანა ყრილობაზე „III ინტერნაციონალთან დაუყოვნებლივ და უდავო შეერთების შესახებ" (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 31, გვ. 74). — **319**.

323 ა. ი. სვიდერსკისადმი ბარათი დაწერილია ბალაშინის ფაბრიკის მუშების წერილზე ვ. ი. ლენინისადმი. წერილში ნათქვამი იყო: „ჩვენ, მუშები, სურსათს, მხოლოდ და მხოლოდ პურს, ვიღებთ 5 და 14 დღის შუალედებით, და არავითარ სხვა პროდუქტს არ ვიღებთ. თუ ცენტრმა კარტოფილი გამოგვიგზავნა, ისიც დაახლოებით ერთი თვეა რელსებზე დგას... გთხოვთ, ამხანაგო ლენინ, დაგვეხმაროთ მდგომარეობის გაუმჯობესებაში, რათა უფრო გავაძლიეროთ შრომისუნარიანობა ჩვენი რევოლუციური რუსეთის კეთილდღეობისა და აყვავებისათვის".— **321**.

324 1920 წლის 5 იანვარს ა. დ. ციურუპამ წერილით მიმართა რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს. წერილში აღნიშნული იყო, რომ სახკომსაბჭოს 1920 წლის 3 იანვრის დადგენილება, რომელიც ნებას რთავდა სმუს-ის ორგანოებს შეეძინათ ფურაჟი თავისუფალ ფასად იმ შემთხვევებში, როცა სახელმწიფო კონტროლი დაადგენს, რომ სურსათის სახალხო კომისარიატის ორგანოებს არ შეუძლიათ მოამარაგონ ფურაჟით სმუს-ის საწარმოები, არღვევს სურსათის სახალხო კომისარიატის სასურსათო პოლიტიკის საფუძვლებს და აუქმებს ფურაჟის დამზადებაზე მონოპოლიას. იგი თხოულობდა განეხილათ ეს საკითხი რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში. — **321**.

325 დაწერილია პასუხად მე-3 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს 1920 წლის 10 იანვრის დეპეშაზე ვ. ი. ლენინისადმი, რომელიც შეიცავდა წინადადებას გადაეყვანათ არმიის ჯარები სახალხო მეურნეობის აღდგენაზე. 1920 წლის 13 იანვარს სახკომსაბჭო თავის გადაწყვეტილებაში 1-ლი შრომის არმიის შექმნის შესახებ ლენინის მოხსენების გამო მიესალმა მე-3 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წინადადებას. მე-3 არმიის ყველაზე მიზანშეწონილი გამოყენების შესახებ წინადადებათა შესამუშავებლად შეიქმნა კომისია ვ. ი. ლენინის, ლ. ბ. კრასინის, ა. ი. რიკოვის, მ. პ. ტომსკის, ლ. დ. ტროცკის, ა. დ. ციურუპას შემადგენლობით. თავდაცვის საბჭომ თავისი 1920 წლის 15 იანვრის დადგენილებით მე-3 არმია გარდაქმნა 1-ლ შრომის არმიად და შექმნა 1-ლი შრომის არმიის რევოლუციური საბჭო რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრებისა და სურსათის, მიწათმოქმედების, გზათა, შრომის სახალხო კომისარიატებისა და სმუს-ის წარმომადგენლებისაგან. 17 და 18 იანვარს სამეურნეო ფრონტზე ჯარის ნაწილების გამოყენების საკითხი განხილული იყო რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში. პოლიტბიურომ მოიწონა თავდაცვის საბჭოს დადგენილება მე-3 არმიის 1-ლ შრომის არმიად გარდაქმნის შესახებ და მიიღო გადაწყვეტილება ყუბან-გროზნოს, უკრაინის, ყაზანისა და პეტროგრადის შრომის არმიების შექმნის პროექტების მომზადების შესახებ. 21 იანვარს რუსეთის სფსრ სახკომსაბჭომ სრულიად უკრაინის რევკომთან შეთანხმებით მიიღო გადაწყვეტილება სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის რაიონში უკრაინის შრომის არმიის შექმნის შესახებ. 10 თებერვალს თავდაცვის საბჭომ დაადგინა მე-7 არმიისათვის დაერქმია პეტროგრადის შრომის რევოლუციური არმია. იანვრის დამლევსა და თებერვლის დამდეგს სამეურნეო მშენებლობაში ჩააბეს რესპუბლიკის სათადარიგო არმია და მე-2 არმიის ნაწილები, მარტში—მე-8 არმიის ჯარები, ხოლო ცოტა მოგვიანებით—ზოგიერთი სხვა ჯარის შენაერთიც. ბურჟუაზიულმემამულურ პოლონეთთან და ვრანგელთან დაწყებულმა ომმა გვაიძულა შრომის არმიები საბრძოლო მდგომარეობაში გადაგვეყვანა. — **321**.

326 1920 წლის 15 იანვარს ა. დ. ციურუპამ აცნობა სამხრეთის ფრონტის განსაკუთრებული სასურსათო კომისიის თავმჯდომარეს მ. კ. ვლადიმიროვს ვ. ი. ლენინის რეზოლუცია და შეეკითხა მას, თუ როგორია დონის ოლქში სასურსათო მუშაობის მდგომარეობა. — **323**.

327 დაწერილია პ. ნ. სოლონკოს ცნობაზე ბრიანსკის რაიონში ქვანახშირის, გოგირდის კოლჩედანის და ფაიფურის ჭურჭლისათვის თეთრი სილის ბუდობების შესახებ. „ფართობი, რომელზეც აღმოჩენილია ქვანახშირი, — აღნიშნავდა სოლონკო, — უდრის დაახლოებით 40 ვერსს კვად-

რატში. ქვანახშირის ამოღება შეიძლება უდრიდეს ახლანდელი საშუალებებისა და შრომის პროდუქტიულობის დროს 3 500 000 ფუთამდე წელიწადში, ხოლო თუ წარმოებას კარგად დავაყენებთ.... მაშინ ამოღება შეიძლება 10 000 0000 ფუთზე მეტი იყოს“. პ. ნ. სოლონკოს კონვერტს, რომელშიც ცნობა იყო, ვ. ი. ლენინმა წააწერა: „**პ. ნ. ს о л о н к о с а г а н ქვანახშირის შესახებ** მ ა ლ ც ე ვ ო ს **რაიონში**“.

1920 წლის 15 იანვარს ვ. ი. ლენინმა მთავარქვანახშირისაგან მიიღო ცნობა ბრიანსკის მახლობლად ქვანახშირის საბადოს შესახებ. „გიგზავნით,—წერდა ა. ლომოვი,—ამ ცნობას. ამ ადგილას წასვლას დაგვპირდა ერთ-ერთი საუკეთესო გეოლოგ-მემადნეო“ (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, გვ. 403.) — **324**.

328 1920 წლის 17 იანვარს სახკომსაბჭოს სხდომაზე დამტკიცდა დადგენილება თეთრგვარდიული ლიტერატურის შეგროვების შესახებ. დადგენილება გამოქვეყნდა (შემოკლებით) „პრავდაში“ და „იზვესტია ვციკში“ № 15, 1920 წლის 24 იანვარს. — **324**.

329 ლაპარაკია „იზვესტია ვციკში“ (№ 8, 1920 წლის 14 იანვარი) გამოქვეყნებულ შენიშვნაზე „ნავთობის პროდუქტების სიმდიდრე“. შენიშვნაში ნათქვამი იყო, რომ ბერჩოგურის მახლობლად, ჟილოი კოსის მიდამოებში, ნავთობის სარეწებში არის 20 მილიონი ფუთი ნავთობი, 300 ათასი ფუთი ნავთი, 200 ათასი ფუთი ბენზინი. გარდა ამისა, 4 ჭაბურღილიდან ამოდის ნავთობი. — **325**.

330 ვ. ი. ლენინმა მინაწერი გაუკეთა ლ. დ. ტროცკის დეპეშას თურქესტანის ფრონტის სარდლის მ. ვ. ფრუნზესადმი. დეპეშაში იყო მითითებები მე-4 არმიის ძალების განლაგების შესახებ, რომელიც, როგორც შრომის არმია, გადაყვანილი იყო ალექსანდროვ-გაი—ემბის რკინიგზის მშენებლობასა და კრასნი კუტ—ალექსანდროვ-გაის რკინიგზის ხაზის ფართოლიანდაგად გადაკეთებაზე.

19 იანვარს მ. ვ. ფრუნზემ ხელი მოაწერა ბრძანებას მე-4 არმიის ძალებით ემბის გზის მშენებლობის შესახებ. — **326**.

331 ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი ნ. ა. სემაშკო 1919 წლის 18 იანვრის ტელეფონოგრამით იტყობინებოდა, რომ ეშელონი ბ. ს. ვეისბროდის სანიტარული კომისიით, რომელიც სამხრეთის ფრონტზე და უკრაინაში გაიგზავნა პარტახტიან ტიფთან საბრძოლველად, ძალიან ნელა მიიწევს წინ. „გთხოვთ, — წერდა სემაშკო, — 1) დაუყოვნებლივ განკარგულებას ეშელონის წინსვლის შესახებ, 2) მის აყვანას განსაკუთრებულ მეთვალყურეობაში, 3) შეფერხების მიზეზების გამოკვლევას

და ამ შეფერხების დამნაშავეთა მიცემას რევოლუციური ტრიბუნალის სამართალში“ (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, გვ. 404). — **826**.

332 ბარათში ვ. ი. ლენინისადმი ლ. ბ. კამენევი პროტესტს აცხადებდა მცირე სახკომსაბჭოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ ნიკიტის თეატრის დახურვის შესახებ. კამენევის აზრით, ამ საკითხის გადაჭრა შეადგენდა ხელისუფლების არა ცენტრალური, არამედ ადგილობრივი ორგანოების კომპეტენციას, ამ შემთხვევაში სახალხო განათლების მოსკოვის განყოფილების კომპეტენციას. 1920 წლის 20 იანვარს სახკომსაბჭოს სხდომაზე განხილული იყო ნიკიტის თეატრის დახურვის საკითხი. სახკომსაბჭომ დაადასტურა მცირე სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება და დაავალა მცირე სახკომსაბჭოს „იმ საქმეებზე, რომლებიც მოსკოვს შეეხება, გამოიწვიოს ხოლმე მოსკოვის დეპუტატთა საბჭოს წარმომადგენლები“ (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, გვ. 405). — **827**.

333 ვ. ი. ლენინის დეპეშა დაკავშირებულია ბაშკირ ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა ცდასთან მოეხდინათ ბაშკირეთში გადატრიალება 1920 წლის იანვარში. ბურჟუაზიულ ნაციონალისტს ა.-ზ. ა. ვალიდოვს და მის თანამოაზრეთა ჯგუფს, თუმცა 1919 წლის თებერვალში მშრომელთა ზეგავლენით გადავიდნენ საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე, არ უღალატნიათ თავიანთი შეხედულებებისათვის, უარი არ უთქვამთ თავიანთ მიზანზე მიეღწიათ ბაშკირეთის ბურჟუაზიული ავტონომიისათვის.

1919 წლის ზაფხულში ვალიდოველებმა შექმნეს „ბაშკირეთის კომუნისტთა დროებითი ცენტრალური ბიურო“ ხ. ი. იუმაგულოვის მეთაურობით, რომელიც ამავე დროს იყო ვალიდოველთა მიერ შექმნილი რევკომის თავმჯდომარე. ვალიდოველთა „ბიურო“ ცდილობდა ეხელმძღვანელა ბაშკირეთის პარტიული ორგანიზაციებისათვის, თუმცა იგი არ დაუმტკიცებია რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს. 1920 წლის იანვარში ვალიდოველ კ. მ. რაკაის წინადადებით ბაშკირეთის რევკომმა შექმნა რევკომის საგარეო ურთიერთობის განყოფილება. როცა პარტიის საოლქო კომიტეტმა 13 იანვარს დაგმო ეს ნაბიჯი და დაადგინა გაეწვია რაკაი დაკავებული პოსტებიდან, რევკომის თავმჯდომარე იუმაგულოვმა სცადა გადატრიალება მოეხდინა. 1920 წლის 15 იანვრს ღამით მისი ბრძანებით დააპატიმრეს პარტიის საოლქო კომიტეტის წევრები და სხვა კომუნისტები და გამოუშვეს მოწოდება, რომელიც დაპატიმრებულებს ბრალად სდებდა შეთქმულებას ბაშკირეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ.

სრულიად რუსეთის ცაკის 1920 წლის 20 იანვრის დეპეშაში, რომელიც ციტირებულია ვ. ი. ლენინის მიერ, ნათქვამი იყო: „ბაშკირე-

თის რევკომსა და უფის საგუბერნიო რევკომს შორის უთანხმოებათა და იმის გამო, რომ თქვენ ამხანაგ ელცინს ბრალად დასდეთ გადახრა ცენტრალური ხელისუფლების ხაზიდან, სრულიად რუსეთის ცაკმა რკპ ცენტრალურ კომიტეტთან შეთანხმებით სტერლიტამაყში გაგზავნა ამხანაგები არტემი (სერგეევი), პრეობრაჟენსკი და სამოილოვი, რომლებისთვისაც უცხოა უფის ადგილობრივი ინტერესები და რომლებიც არ აწარმოებენ კუთხურ, შოვინისტურ პოლიტიკას. სრულიად რუსეთის ცაკს უმართებულოდ და სრულიად გამორიცხულად მიაჩნია, რომ მათ შეეძლოთ ეწარმოებინათ აგიტაცია ბაშკირეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ. ამიტომ სრულიად რუსეთის ცაკი წინადადებას გაძლევთ დაუყოვნებლივ გაათავისუფლოთ ამხანაგ არტემის მითითებით საოლქო კომიტეტის ყველა დაპატიმრებული წევრი და სხვა კომუნისტები, გააუქმოთ თქვენ მიერ გაკეთებული განცხადება შეთქმულების შესახებ და გამოუცხადოთ მოსახლეობასა და ჯარის ნაწილებს, რომ დაპატიმრება გაუგებრობით მოხდა" („ბაშკირეთის ასსრ შექმნა". დოკუმენტებისა და მასალების კრებული. უფა, 1959, გვ. 444).

მალე ვალიდოვი, იუმაგულოვი და რაკაი გაიწვიეს ბაშკირეთიდან და გარიცხეს პარტიიდან. — **327**.

334 ლაპარაკია ციმბირის რევკომისა და მე-9 არმიის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს პოზიციაზე იმ მოლაპარაკების გამო, რომელიც შედგა 1920 წლის 19 იანვარს ეგრეთ წოდებული „პოლიტიკური ცენტრის" დელეგაციასთან. ეს „ცენტრი" შეიქმნა ირკუტსკში 1919 წლის 12 ნოემბერს სრულიად ციმბირის ერობებისა და ქალაქების თათბირზე ესერების, მენშევიკების, ერობებისა და კოოპერატორთა წარმომადგენლებისაგან. მას შემდეგ, რაც 1920 წლის 5 იანვარს ირკუტსკი გადავიდა აჯანყებულ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა ხელში, „პოლიტიკურმა ცენტრმა" გამოაცხადა, რომ იღებს ქალაქში ძალაუფლებას. მაგრამ ირკუტსკში რეალური ხელისუფლება იყო მუშათა და გლეხთა რაზმების შტაბი და სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი, რომლებიც მოქმედებდნენ რკპ (ბ) ირკუტსკის კომიტეტის ხელმძღვანელობით. „პოლიტცენტრის" ლიკვიდაციის საკითხი ერთბაშად როდი დაისვა, რადგან იგი სარგებლობდა ერთგვარი ნდობით მოსახლეობის ნაწილში და ეყრდნობოდა ირკუტსკის გუბერნიასა და იმიერბაიკალში მყოფ ინტერვენტთა მნიშვნელოვანი ძალების მხარდაჭერას. „პოლიტცენტრი" მიზნად ისახავდა აღმოსავლეთ ციმბირში „დემოკრატიული" ბურჟუაზიული სახელმწიფოს შექმნას. მისმა დელეგაციამ ციმბირის რევკომთან მოლაპარკებისას წინადადება შეიტანა შეჩერებულიყო მე-5 არმიის შემდგომი წინსვლა აღმოსავლეთისაკენ და შექმნილიყო აღმოსავლეთ ციმბირში ბუფერული სახელმწიფო, მაგრამ ციმბირის რევკომმა თავისი პირობები გაიტანა:

წითელი არმია მიიწევს ბაიკალამდე, ხოლო ბუფერული სახელმწიფო ეწყობა იმიერბაიკალში.

ამასობაში ძალთა თანაფარდობა ირკუტსკში ძირეულად შეიცვალა — და არა „პოლიტცენტრის" სასარგებლოდ. 21 იანვარს მთელი ძალაუფლება ირკუტსკში გადავიდა რევკომის ხელში. — **328**.

335 იგულისხმება წითელი არმიის დარტყმების შედეგად უკანდახეული ეშელონები ჩეხოსლოვაკიის კორპუსისა, რომელიც 1918 — 1919 წლებში ანტანტის იმპერიალისტებმა და რუსმა თეთრგვარდიელებმა გამოიყენეს როგორც დამკვრელი ანტისაბჭოთა ძალა. 1920 წლის 19 იანვარს ჩეხოსლოვაკიის ჯარების სარდლობამ გამოაცხადა, რომ იგი წყვეტს საომარ მოქმედებას და მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება დაზავების შესახებ საბჭოთა ჯარების სარდლობასთან. საბჭოთა პარლამენტიორები წავიდნენ სადგურ ტაიშეტში დაზავების პირობების გადასაცემად, მაგრამ თეთრჩეხთა სარდლობამ თავი აარიდა მოლაპარაკებას. დაზავებას ხელი მოაწერეს მხოლოდ 7 თებერვალს.

იხ. აგრეთვე შენიშვნა 71. — **329**.

336 წარწერილია ვ. ი. ლენინისადმი ფინანსების საკითხზე რეზოლუციის თეზისების შესახებ ნ. ნ. კრესტინსკის ბარათის მეორე მხარეზე. თეზისები ი. ლარინმა დაწერა სახალხო მეურნეობის საბჭოების სრულიად რუსეთის III ყრილობისათვის (1920 წლის 23—29 იანვარი). „მიმაჩნია ისინი განუხორციელებლადაც, — წერდა კრესტინსკი, — და პოლიტიკურად მავნედაც".

23 იანვარს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ, გაითვალისწინა რა ლარინის არაერთგზისი გამოსვლები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ პარტიის პოლიტიკას, მიიღო გადაწყვეტილება გამოეყვანა იგი სმუს-ის პრეზიდიუმის შემადგენლობიდან. — **329**.

337 ვ. ს. ერმაკოვის დეპეშაში აღძრული საკითხები განიხილა თავდაცვის საბჭომ 1920 წლის 16 და 23 იანვარს. ვ. ი. ლენინის მიერ მოყვანილი დადგენილება თავდაცვის საბჭომ მიიღო 23 იანვარს. — **330**.

338 ბარათი დაწერილია საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის გ. ვ. ჩიჩერინის მოხსენებაზე. მოხსენებაში ლაპარაკი იყო რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის იმ დადგენილების დარღვევების შესახებ, რომლითაც მთელ ინფორმაციას საგარეო პოლიტიკის საკითხებზე უნდა გაევლო წინასწარი ცენზურა. კერძოდ, აღნიშნული იყო ვ. პ. ზატონსკის ინტერვიუ (იხ. 1920 წლის 26 იანვრის „ვეჩერნიე იზვესტია" № 450). რუსეთის დეპეშათა სააგენტოს რომ გაუგზავნა დოკუმენტი, ლენინმა წააწერა:

„დამიბრუნეთ". იმავე დღეს რუსეთის დეპეშათა სააგენტოს პასუხისმგებელმა ხელმძღვანელმა პ. მ. კერჟენცევმა უპასუხა ვ. ი. ლენინს, რომ ზომები იმ კორესპონდენციების გაგზავნის შესახებ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში განსახილველად, რომლებიც საგარეო ურთიერთობას შეეხება, მიღებულია. ვ. ი. ლენინმა წერილს წააწერა: „შეინახეთ საქაღალდეში რუსეთის დეპეშათა სააგენტოს შესახებ". 1920 წლის 21 თებერვალს ლენინმა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის წერილთან დაკავშირებით იმის გამო, რომ ერთ-ერთი მოსკოველი ჟურნალისტი უპასუხისმგებლოდ გამოვიდა რადიოთი საბჭოთა საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, კვლავ მიმართა კერჟენცევს: „რატომ არ გაგზავნეთ ცენზურისათვის? ვინ არის ამაში დამნაშავე?" (ლენინის XXXIV კრებული, გვ. 267). — **331**.

339 ლაპარაკია გ. მ. კრჟიჟანოვსკის ბროშურაზე „რუსეთის ელექტროფიკაციის ძირითადი ამოცანები". ბროშურის ხელნაწერი ვ. ი. ლენინმა პირდაპირ სტამბაში გაგზავნა, რათა სასწრაფოდ გამოეცათ სრულიად რუსეთის ცაკის VII მოწვევის პირველი სესიისათვის. — **331**.

340 ა. თ. შორინი, კონსტრუქტორ-გამომგონებელი, მუშაობდა ნიჟნი ნოვგოროდის რადიოლაბორატორიაში, დააპატიმრეს გაუგებრობის გამო და მალე გაათავისუფლეს.— **333**.

341 ს. ტ. კოვილკინი ამ დროს იყო სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინიგზის უფროსი. მ. მ. არჟანოვი, რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს სამხედრო მიმოსვლის ცენტრალური სამმართველოს უფროსი, გაიგზავნა სარატოვში სამხრეთის ფრონტზე ჯარების წინ წაწევის დასაჩქარებლად — **333**.

342 ე. ო. ბუმაჟნი 1920 წელს იყო პარტიის ცენტრალური კომიტეტის ურალის ბიუროს მდივანი; კ. გ. მაქსიმოვი—სმუს-ის ურალის სამრეწველო ბიუროს თავმჯდომარე და შრომისა და თავდაცვის საბჭოს რწმუნებული ურალის მრეწველობის აღდგენის დარგში. უთანხმოებანი შრომის არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოსა და უწყებათა წარმომადგენლებს შორის უმთავრესად ეხებოდა რევოლუციური სამხედრო საბჭოს რწმუნებათა ფარგლების საკითხს. ლენინის დეპეშა, როგორც ჩანს, პასუხი იყო შეკითხვაზე, თუ როგორ გადაეჭრა რევოლუციურ სამხედრო საბჭოს უწყებებთან სადავო საკითხები.— **334**.

343 სტატია მოითხოვდა, მუშათა მომარაგების გაუმჯობესების მიზნით, გამოეყენებინათ საგარეუბნო მიწის ფართობები კოლექტიური მებოსტ-

ნეობისა და მეცხოველეობის განვითარებისათვის, დამხმარე მეურნეობათა შექმნისათვის. — 335.

344 1920 წლის თებერვლის დამდეგს მზადდებოდა წითელი არმიის ახალი შეტევა კავკასიის ფრონტზე. ამავე დროს ფრონტის არმიებს შორის არ იყო საკმაო შეთანხმებულობა. ცხენოსანთა არმია შესუსტებული იყო წინა ბრძოლებში, მწვავედ იგრძნობოდა ჯარების დაღლა, ნაკლებობა მატერიალურ მომარაგებაში. ნაწილებში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შესუსტების შედეგად იყო სამხედრო დისციპლინის დარღვევის შემთხვევები.

მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა 1-ელ ცხენოსანთა არმიასთან თანამოქმედი ნაკრები ცხენოსანთა კორპუსი. კორპუსის შტაბში მოქმედებდნენ კონტრრევოლუციური ელემენტები. 2 თებერვალს ღამით კონტრრევოლუციონერებმა მოკლეს კორპუსის კომისარი ვ. ნ. მიქელაძე. ყველა ეს გარემოება უაღრესად რთულ სამხედრო ვითარებასთან ერთად იწვევდა ვ. ი. ლენინის შეშფოთებას, რადგან საფრთხეს უქმნიდა წითელი არმიის შეტევას ჩრდილოეთ კავკასიაზე, რომლის მიზანი იყო მოწინააღმდეგის საბოლოოდ განადგურება.— 336.

345 ლაპარაკია შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის, ეგრეთ წოდებული ბუფერული სახელმწიფოს შექმნაზე. შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკა შეიქმნა 1920 წლის აპრილში იმიერბაიკალის, ამურის, ზღვისპირეთის, კამჩატკის ოლქებისა და ჩრდილოეთ სახალინის ტერიტორიაზე. შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის, როგორც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ფორმის სახელმწიფოს შექმნა, რომელიც არსებითად ახორციელებდა საბჭოთა პოლიტიკას, შეესაბამებოდა საბჭოთა რუსეთის ინტერესებს, რომელიც ისწრაფოდა უზრუნველეყო თავისთვის ხანგრძლივი შესვენება აღმოსავლეთის ფრონტზე და თავიდან აეცილებინა ომი იაპონიის წინააღმდეგ.

ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელებისაგან შორეული აღმოსავლეთის ტერიტორიის (ჩრდილოეთ სახალინის გარდა) გაწმენდის შემდეგ შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის სახალხო კრებამ 1922 წლის 14 ნოემბერს მიიღო გადაწყვეტილება შეერთებოდა რუსეთის სფს რესპუბლიკას. 1922 წლის 15 ნოემბერს სრულიად რუსეთის ცაკმა გამოაცხადა, შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის ტერიტორიის რუსეთის სფს რესპუბლიკაში შესვლის შესახებ — 337.

346 1920 წლის 18 თებერვალს ი. ბ. სტალინი დეპეშაში ვ. ი. ლენინისადმი წერდა, არ ეთანხმება მთავარსარდლის განკარგულებას გამოიყოს უკრაინის შრომის არმიის შემადგენლობიდან ნაწილები ფრონტის გა-

სამაგრებლად და თხოულობდა გამოეძახათ იგი მოსკოვში საქმის გამოსარკვევად. 19 თებერვალს სტალინს ლენინის ხელმოწერით გაეგზავნა საპასუხო დეპეშა ტექსტით, რომელიც მოყვანილია ამ ბარათში.—**338**.

347 დაწერილია პასუხად ი. ბ. სტალინის დეპეშაზე ვ. ი. ლენინისადმი. დეპეშაში სტალინი წერდა: „ჩემთვის გაურკვეველია, კავკასიის ფრონტისათვის ზრუნვა რატომ მეკისრება უწინარეს ყოვლისა მე... ზრუნვა კავკასიის ფრონტის განმტკიცებისათვის მთლიანად ეკისრება რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს, რომლის წევრები, ჩემი ცნობებით, სავსებით ჯანმრთელნი არიან, და არა სტალინს, რომელიც ისედაც დატვირთულია სამუშაოთი“ (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, გვ. 409). — **338**.

348 ვ. ი. ლენინის დეპეშაზე, რომელიც მიღებულია სარატოვში, არის აღნიშვნა: „პირველი ცნობა იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა, გაეგზავნა ლენინს 6/III“. — **341**.

349 ვ. ი. ლენინის წერილის მეორე მხარეზე ა. ი. სვიდერსკის მიერ მოცემულია ცნობა ლუბერცის ქარხნის მუშების სურსათით მომარაგების შესახებ. ცნობას თავზე ლენინმა წააწერა: „შევამოწმოთ ხვალ ტელეფონით და შევინახოთ ა რ ქ ი ვ შ ი“. — **342**.

350 მოგვიანებით ე. მ. იაროსლავსკი წერდა ამ წერილის გამო: „იგი გაეგზავნა სამ ამხანაგს, რომლებიც მაშინ პერმის საგუბერნიო კომიტეტის წევრები იყვნენ. მდგომარეობა უსოლიეში მაშინ საკმაოდ მძიმე იყო. ცოტა ხნით ადრე იქ შეიქმნა ახალი ფრონტი—კაი-ჩერდინის ფრონტი. კოლჩაკოველთა და ჩრდილოეთის ინტერვენტთა ნაშთებმა მოაწყვეს ბანდები ჩერდინზე, გამოიყენეს რა ახლად ლიკვიდირებულ კოლჩაკელთა კავშირი და დაეყრდნენ რა უკმაყოფილებას, რაც გამოწვეული იყო პარტიის ზოგიერთი ადგილობრივი მუშაკის უთავბოლობით, რომლებმაც გაამწვავეს თავიანთი ურთიერთობა ზირიანებთანაც. რამდენადაც მახსოვს, პერმის საგუბერნიო კომიტეტმა, ლენინის წერილი რომ მიიღო, უსოლიეში გაგზავნა ამხანაგი ადგილზე საქმის მდგომარეობის გასაცნობად, რის შემდეგ შეიქმნა კომისია, რომელმაც გადასინჯა ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობა და შეცვალა იგი სპეციალურად მოწვეულ პარტკონფერენციაზე“ („პრავდა“, № 274, 1929 წლის 24 ნოემბერი). — **342**.

351 იგულისხმება „განაწესი განათლებისა და სოციალისტური კულტურის მუშაკთა ვესიეგონის II სამაზრო ყრილობის დელეგატს ამხ. ვინოგრა-

დოვს“, რომელშიც ლაპარაკი იყო სკოლის მუშაკთა მძიმე მატერიალური მდგომარეობის შესახებ. 1920 წლის 27 თებერვალს ა. ა. ვინოგრადოვი მიიღო ვ. ი. ლენინმა. საუბრის დროს, რომელიც 45 წუთს გაგრძელდა, ლენინმა დაწერა ეს წერილი. ვესიეგონელ მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხი დადებითად გადაიჭრა. — 343.

352 სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში არის ვ. ი. ლენინის ბარათი კ. ა. ალფეროვისადმი: „დამპირდით ცნობას ნავთობსადენის შესახებ და არ მომეცით!“ და ალფეროვის საპასუხო ბარათი ემბის ნავთობსადენის მშენებლობის შესახებ აღნიშვნით: „27. II. ალფეროვი“.

ემბის ნავთობსადენის მშენებლობის საკითხი განხილული იყო თავდაცვის საბჭოს სხდომაზე 1920 წლის 5 მარტს. თავდაცვის საბჭომ დაადგინა დაევალოს სმუს-ის პრეზიდიუმს განიხილოს ემბის ნავთობსადენის აგების პროექტი და შეიტანოს იგი საბოლოო სახით სახკომსაბჭოში; გამოარკვიოს, გაგზავნილია თუ არა საზღვარგარეთ შეკვეთა ნავთობსადენისათვის საჭირო მილებზე. — 344.

353 თავისუფალი ეკონომიური საზოგადოება — საზოგადოება, რომელიც შეიქმნა 1765 წელს, როგორც აღნიშნული იყო წესდებაში, „სახელმწიფოში მიწათმოქმედებისა და მრეწველობისათვის სასარგებლო ცნობების გავრცელების“ მიზნით. თავისუფალი ეკონომიური საზოგადოება აწარმოებდა საანკეტო გამოკვლევებს, აწყობდა ექსპედიციებს რუსეთის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისა და რაიონების შესასწავლად. საზოგადოებას ჰქონდა საკუთარი დიდი ბიბლიოთეკა, რომლის წიგნის ფონდი იყო 200 ათასი ტომი. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ბიბლიოთეკა შეუერთდა ლენინგრადის მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკას.— 345.

354 დაწერილია მოსკოვის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოში მენშევიკების თ. ი. დანისა და ლ. მარტოვის არჩევის გამო.

მოსკოვის საბჭოს არჩევნებზე, რომელიც მიმდინარეობდა 1920 წლის თებერვლის მეორე ნახევარში — მარტის პირველ რიცხვებში, არჩეული იყო 1566 დეპუტატი, მათ შორის კომუნისტები — 1316 (84%), კომუნისტთა თანამგრძნობნი—52 (4%), მენშევიკები—46 (3%).— 346.

355 ჯ. ლენსბერი, ინგლისური გაზეთის „The Daily Herald“ („ყოველდღიური მოამბე“) დირექტორი, რომელიც საბჭოთა რუსეთში ჩამოვიდა 1920 წლის თებერვალში, ვ. ი. ლენინმა მიიღო 21 თებერვალს და

ვრცელი საუბარი ჰქონდა მასთან, კერძოდ რელიგიისადმი ბოლშევიკების დამოკიდებულების საკითხზე. ინგლისში რომ ბრუნდებოდა, ლენსბერიმ ლენინს გაუგზავნა წერილი, რომელშიც წერდა: „ძლიერ მადლობელი ვარ თქვენი და თქვენი კოლეგებისა იმ დახმარებისათვის, რაც გამიწიეთ ჩემს ცდებში გამეგო თქვენი რევოლუცია“ (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, გვ. 412). — **347**.

356 მე-6 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრი ნ. ნ. კუზმინი სთხოვდა ვ. ი. ლენინს მიეცა მითითება, როგორ მოქცეოდა თეთრგვარდიელ ოფიცრებს, რომლებმაც დაყარეს იარაღი და განაცხადეს, რომ მზად არიან იმუშაონ საბჭოთა რუსეთში.— **348**.

357 ლაპარაკია სახკომსაბჭოს კომისიაზე, რომელსაც სათავეში ედგა გ. ი. ოპოკოვი (ა. ლომოვი). ეს კომისია გაიგზავნა არხანგელსკში, რათა მიეღო ზომები და აღედგინა ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება საბჭოთა რუსეთის ჩრდილოეთ რაიონებში, რომლებიც გაათავისუფლეს თეთრგვარდიელებისა და ინტერვენტებისაგან, აგრეთვე აღერიცხა და გაენაწილებინა იქ ხელში ჩაგდებული ქონება. — **348**

358 იგულისხმება ნაციონალიზებული ანტიკვარული ფასეულობანი, ფუფუნების საგნები, ხელოვნების ნაწარმოებები. 1919 წლის თებერვალში პეტროგრადში ამ ნივთების შესარჩევად და შესაფასებლად ა. მ. გორკიმ შექმნა საექსპერტო კომისია. 1920 წლის 1 ოქტომბრამდე საექსპერტო კომისიამ, რომელიც 80 კაცის შემადგენლობით მუშაობდა, შეარჩია, როგორც გორკი წერდა, „120 000 სხვადასხვა საგანი“ („ვ. ი. ლენინი და ა. მ. გორკი, წერილები, მოგონებები, დოკუმენტები“, 1961, გვ. 164). მაგრამ ეს მუშაობა ძალზე ნელა მიმდინარეობდა. გორკის წერილს ლენინმა წააწერა: „გარჩეულია მხოლოდ 8 საწყობი 33-დან“ (იქვე). — **349**.

359 დაწერილია პასუხად ლ. დ. ტროცკის 1920 წლის 5 მარტის დეპეშაზე ეკატერინბურგიდან, რომელშიც იგი იტყობინებოდა ურალისა და ციმბირის რაიონებში სასურსათო დამზადებათა მნიშვნელოვანი გაძლიერების შესახებ, უჩიოდა იმას, რომ ცენტრალური უწყებები პასუხსაც არ იძლევიან ციმბირისა და ურალის ორგანიზაციათა შეკითხვებზე, და ამტკიცებდა, რომ მხოლოდ ფართო რწმუნებების მქონე საოლქო ცენტრების შექმნა დაეხმარება მუშაობის მოწყობას. ამ დეპეშის ტექსტში ვ. ი. ლენინმა გააკეთა აღნიშვნები იშიმის მაზრის შესახებ გადაწყვეტილების თაობაზე და ბრუნოვსკის სასურსათო სამუშაოზე დატოვების თხოვნის თაობაზე, აგრეთვე ციმბირში ხორცის დამზადების შესახებ:

„1) დარჩება ტიუმენის გუბერნიაში.

2) არაფერი აქვთ ბრუნოვსკის საწინააღმდეგო (სურსათის სახალხო კომისარიატისათვის).

3) სურსათის კომისარმა გასცა ბრძანება მოაწყონ დასამარილებელი პუნქტები" (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, გვ. 413). — **349**.

360 1920 წლის 8 მარტს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე განხილული იყო გზათა სახალხო კომისრის საკითხი საზღვარგარეთ ლ. ბ. კრასინის გამგზავრებასთან დაკავშირებით. დაადგინეს: „წინადადება მიეცეს ამხ. ლენინს დაუკავშირდეს ამხ. ტროცკის" (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, გვ. 413); 20 მარტს პოლიტბიურომ მიიღო დადგენილება გაატაროს სრულიად რუსეთის ცაკისა და სახკომსაბჭოს მეშვეობით ტროცკის დანიშვნა გზათა სახალხო კომისრის მოვალეობის შემსრულებლად. — **351**.

361 დაწერილია პასუხად ციმბირის რევკომის თავმჯდომარის ი. ნ. სმირნოვის დეპეშაზე იმის შესახებ, რომ მენშევიკებმა და ესერებმა ბუფერულ მთავრობაში თავიანთი (იხ. შენიშვნა 345) მონაწილეობის პირობად წამოაყენეს უარი რაიმე ტერიტორიულ დათმობაზე შორეულ აღმოსავლეთში. „აცნობეთ თქვენი გადაწყვეტილება უშუალოდ იანსონს კარახანის შიფრით და მე ციმბირის რევკომში", — წერდა სმირნოვი. ამ დეპეშას ლენინმა წააწერა პროექტი პასუხისა სმირნოვისადმი, რომელზეც არის აღნიშვნა: „თანახმა ვართ. ნ. კ რ ე ს ტ ი ნ ს კ ი, ლ. კ ა მ ე ნ ე ვ ი". ამავე დროს ლენინმა გაუგზავნა დეპეშა ი. იანსონს ირკუტსკში: „მენშევიკები და ესერები უნდა შევიდნენ ბუფერულ მთავრობაში რაიმე პირობის დაუდებლად. თუ არ დაგვემორჩილებიან ყოველგვარი პირობის დაუდებლად, დავაპატიმრებთ" (თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, გვ. 413). — **351**.

362 1920 წლის 10 მარტს ვ. ი. ლენინმა მიიღო ივანოვო-ვოზნესენსკის გუბერნიის წარმომადგენლები ვ. ს. სმირნოვი (მალკოვი) და მ. ზ. მანუილსკი, აგრეთვე სრულიად რუსეთის ცაკის წევრი ა. ს. კისელიოვი (წარსულში ივანოვო-ვოზნესენსკის პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკი). პარტიის საგუბერნიო კომიტეტის 6 მარტის დადგენილების შესაბამისად ისინი სთხოვდნენ ლენინს გაეძლიერებინა ივანოვო-ვოზნესენსკის გუბერნიის მომარაგება სურსათით, მოეხსნა გადამღობავი რაზმები ვლადიმირის გუბერნიის იურიევ-პოლსკის მაზრაში და შეეერთებინა ეს მაზრა ივანოვო-ვოზნესენსკის გუბერნიისათვის, ნაოსნობის გახსნის შემდეგ მიეცა ივანოვო-ვოზნესენსკის გუბერნიისათვის გემები და კარჯაპები სურსათისა და სათესლე მასალის ტრანს-

პორტისათვის,. და ა. შ. იმავე დღეს თავდაცვის საბჭოს სხდომაზე განიხილეს სურსათის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრის ა. ბ. ხალათოვის მოხსენება ივანოვო-ვოზნესენსკელ მუშათა სურსათით მომარაგების შესახებ და ივანოვო-ვოზნესენსკის გუბერნიისათვის იურიევპოლსკის მაზრის შეერთების საკითხი. თავდაცვის საბჭომ დაადგინა: „დაევალოს მთავარწყალს მიიღოს უაღრესად სასწრაფო ზომები იმისათვის, რომ 400 000 ფუთი რაოდენობის ტონაჟით მოამარაგოს ივანოვო-ვოზნესენსკის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი, რათა სასწრაფოდ ჩამოიტანოს სათესლე კარტოფილი სიმბირსკის, ყაზანისა და იაროსლაველის გუბერნიებიდან“ (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, გე. 414). — **852**.

363 დაწერილია ი. ბერზინის 1920 წლის 11 მარტის წერილზე ვ. ი. ლენინისადმი, რომელშიც იყო ცნობა, რომ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ცენზურამ გაუშვა საზღვარგარეთ მენშევიკ აბრამოვიჩის წერილი გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი ოპორტუნისტი ლიდერის რ. ჰილფერდინგისადმი. ბერზინი წინადადებას იძლეოდა გაეწმინდათ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი მტრული ელემენტებისაგან. — **853**.

364 *უკრაინის ბოროტბისტთა წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტია* წარმოიშვა 1918 წლის მაისში უკრაინის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის გათიშვის შემდეგ. მას ეწოდებოდა პარტიის ცენტრალური ორგანოს — გაზეთ „ბოროტბის“ სახელი. ბოროტბისტებმა ორჯერ მიმართეს თხოვნით კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომს მიეღოთ ისინი კომინტერნში. 1920 წლის 26 თებერვალს კომინტერნმა სპეციალური გადაწყვეტილებით ბოროტბისტების შესახებ წინადადება მისცა მათ გაეუქმებინათ თავიანთი პარტია და შეერთებოდნენ უკრაინის კპ (ბ)-ს.

გლეხთა მასებში ბოლშევიკების გავლენის ზრდასთან და უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების წარმატებებთან დაკავშირებით ბოროტბისტები იძულებული იყვნენ თავიანთ კონფერენციაზე 1920 წლის მარტის შუა რიცხვებში მიეღოთ გადაწყვეტილება თვითდაშლის შესახებ. გადაწყვეტილება უკრაინის კპ (ბ)-ში ბოროტბისტების მიღების შესახებ გამოტანილი იყო უკრაინის კპ (ბ) IV სრულიად უკრაინის კონფერენციაზე, რომელიც მიმდინარეობდა 1920 წლის 17—23 მარტს. — **854**.

365 სახალხო კომისართა საბჭომ 1920 წლის 16 მარტის სხდომაზე განიხილა ლ. ბ. კრასინის მიერ მომზადებული პროექტი დადგენილებისა საზღვარგარეთ ორთქლმავლებისა და რკინიგზის ტრანსპორტის შეკეთებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების შეკვეთის შესაძლებლობის

უზრუნველყოფის შესახებ. ამ მიზნით დაჯავშნული იყო სამასი მილიონი მანეთი ოქროთი. როგორც ჩანს, ეს ბარათი დაწერილი იყო ამ სხდომაზე. — **355**.

366 ბარათი დაწერილია ლ. ბ. კრასინის წერილზე ვ. ი. ლენინისადმი, რომელიც შეიცავდა ცნობას ამერიკის ტრესტებისაგან ორთქლმავლების შესყიდვის შესახებ. კრასინი წერდა, რომ ამერიკაში არის სულ 3 ტრესტი, რომელთაგანაც შეიძლებოდა ორთქლმავლების მიღება. განზრახული იყო დაუყოვნებლივ დაეწყოთ მათთან მიმოწერა რადიოთი სკანდინავიიდან ან ლონდონიდან. მაგრამ კრასინი გამოთქვამდა შიშს, რომ, თუ მივეცით ასეთი პუბლიკაცია, მაშინ მასსა და ამ ტრესტებს, როგორც ძირითად მიმწოდებლებს შორის, ჩადგება „უამრავი" შუამავალი, რომლებიც არა მარტო გაზრდიან ფასს, არამედ აგრეთვე გაადიდებენ მიწოდების ვადებს. — **355**.

367 ი. ვ. ლენინის მიერ საკითხის დაყენება, რომ საჭიროა ინტენსიური და განუწყვეტელი მუშაობა ორთქლმავლების შესაკეთებლად, დაკავშირებული იყო რკინიგზის ტრანსპორტის კატასტროფულ მდგომარეობასთან, რამაც გამოიწვია ამ საკითხის არაერთხელ განხილვა სახკომსაბჭოსა და თავდაცვის საბჭოს მიერ. მაგალითად, 1920 წლის 5 თებერვალს სახკომსაბჭომ მოისმინა ლ. ბ. კრასინის მოხსენება შეღავათების შესახებ იმ მუშებისათვის, რომლებიც მუშაობდნენ ორთქლმავლების შეკეთებასა და ტრანსპორტის სათადარიგო ნაწილების წარმოებაზე. 27 თებერვალს თავდაცვის საბჭომ განიხილა საკითხი იმის შესახებ, რომ სურსათის სახალხო კომისარიატი არ ასრულებს დადგენილებას იმ მუშების პრემირების შესახებ, რომლებმაც არასამუშაო დროს შეაკეთეს სამარშრუტო მატარებლები. 16 მარტს სახკომსაბჭომ გ. ნ. მელნიჩანსკის (მოსკოვის პროფკავშირთა საგუბერნიო საბჭოს თავმჯდომარე) მოხსენების გამო მიიღო დადგენილება, რომ ორთქლმავლების შეკეთება მოეწყოს საუკეთესო სახელოსნოებში და იქ შემოიღონ სამ ცვლად 24 საათის მუშაობა. ამავე სხდომაზე სახკომსაბჭომ განიხილა მთელი რიგი სხვა საკითხები, რომელთა გადაჭრას უნდა გაეუმჯობესებინა რკინიგზის ტრანსპორტის მდგომარეობა. — **356**.

368 1920 წლის 5 მარტის წერილში ა. მ. გორკიმ თხოვნით მიმართა ვ. ი. ლენინს დაეტოვებინა 1800 ულუფა პეტროგრადის მეცნიერთათვის, რაც შეიძლება მალე გამოეშვა საპყრობილიდან ცნობილი მეცნიერი ქიმიკოსი ა. ვ. საპოჟნიკოვი და საშუალება მიეცა ექიმ ი. ი. მანუხინისათვის ემუშავა პარტახტიანი ტიფის საწინააღმდეგო შრატის მისაღებად (იხ. „ვ. ი. ლენინი და ა. მ. გორკი. წერილები, მოგონებები, დოკუმენტები". მ., 1961, გვ. 146—147). — **356**.

369 ბარათი კ. ბ. რადეკისადმი დაწერილია იმ ცნობასთან დაკავშირებით, რომ კარლ ლიბკნეხტის ცოლი უაღრესად აღგზნებულ მდგომარეობაში იყო, რის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენდა როსტოვში მცხოვრები მისი ნათესავი ინჟინრების გადაყვანა ბერლინში, რის შესახებაც იგი სწერდა წერილში ა. ვ. ლუნაჩარსკის. — **858**.

370 ლაპარაკია უკრაინის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის არჩევნების შესახებ უკრაინის კპ (ბ) IV სრულიად უკრაინის კონფერენციაზე, რომელიც ხარკოვში მიმდინარეობდა 1920 წლის 17—23 მარტს.

კონფერენციის მუშაობა მიმდინარეობდა ლენინელთა გააფთრებული ბრძოლის პირობებში „დემოკრატიული ცენტრალიზმის" ოპოზიციური ჯგუფის („დეცისტების") წინააღმდეგ, რომელსაც სათავეში ედგნენ ტ. საპრონოვი, ვ. ბოგუსლავსკი, ი. დრობნისი, მ. ფარბმანი (რაფაილი) და სხვები. უკრაინის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის არჩევნების დროს „დეცისტებმა" მოახერხეს ფრაქციული მაქინაციების (სიებით ხმის მიცემა და სხვ.) გზით გაეყვანათ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში თავიანთ მომხრეთა უმრავლესობა, აგრეთვე გაეგზავნათ დელეგატები რკპ (ბ) IX ყრილობაზე.

კონფერენციის 105 დელეგატმა, რომლებიც იცავდნენ ლენინურ ხაზს, უარი თქვა მონაწილეობა მიეღო უკრაინის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის არჩევნებში და გააპროტესტა არჩევნები როგორც უკანონო. იმის გამო, რომ კონფერენციის მიერ არჩეული ცენტრალური კომიტეტი არ გამოხატავდა უკრაინის კომუნისტთა უმრავლესობის ნებას, რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება მისი დაშლისა და უკრაინის კპ (ბ) დროებითი ცენტრალური კომიტეტის შექმნის შესახებ ვ. პ. ზატონსკის, ფ. ი. კონის, ს. ვ. კოსიორის, დ. ზ. მანუილსკის, გ. ი. პეტროვსკის, ფ. ა. სერგეევის (არტემის), ვ. ი. ჩუბარისა და სხვათა შემადგენლობით. უკრაინაში „დეცისტების" ფრაქციული საქმიანობის ალსაკვეთად მიღებულ ღონისძიებათა ახსნა-განმარტების მიზნით რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა უკრაინის ყველა პარტიულ ორგანიზაციას მიმართა ღია წერილით, რომელიც გამოქვეყნდა 1920 წლის 16 აპრილს. ეს წერილი მოიწონეს რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა. უკრაინის პარტიული ორგანიზაციების განსამტკიცებლად პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უკრაინის კომპარტის (ბ) ცენტრალური კომიტეტის განკარგულებაში გაგზავნა გამოცდილ პარტიულ მუშაკთა დიდი ჯგუფი. მარტო 1920 წლის მაისში უკრაინაში გაიგზავნა 674 კომუნისტი. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1920 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებით წარმოებდა უკრაინის კომპარტიის წევრთა ხელახალი რეგისტრაცია. — **858**.

371 ვ. პ. მილიუტინის ცნობა 1-ელ ჯგუფში გამოყოფილ საწარმოთა სიის შესახებ მოისმინა სახკომსაბჭოს 1920 წლის 23 მარტის სხდომამ. კომისიის მიერ შემუშავებული სია 1920 წლის 24 მარტს სახკომსაბჭომ შეიტანა სრულიად რუსეთის ცაკის დასამტკიცებლად. —**359**.

372 ვ. ი. ლენინმა დაწერა იმასთან დაკავშირებით, რომ თურქესტანის კომისია სისტემატურად არღვევდა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას ბუხარასთან, ხივასთან, სპარსეთთან და ავღანეთთან ურთიერთობისადმი საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობის შესახებ. რკპ (ბ) ცკ-ის ორგბიურომ 1919 წლის 29 სექტემბრის დადგენილებით დააკისრა თურქესტანის კომისიას საგარეო ურთიერთობის ხელმძღვანელობა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ინსტრუქციებით და კონტროლით. მაგრამ თურქესტანის კომისია არ ასრულებდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ინსტრუქციებს. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მოთხოვნას ჩამოეშორებინათ საგარეო ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელობისათვის გ. ი. ბროიდო და შეექმნათ განყოფილება ა. ნ. გოლუბის, ა. ა. მაშიცკის, დ. ი. გოპნერის და თურქესტანის ცაკის ერთი წარმომადგენლის შემადგენლობით, რომელსაც დაამტკიცებდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი, თურქესტანის კომისიამ უარით უპასუხა და საგარეო ურთიერთობის განყოფილების გამგედ დანიშნა გელერი.

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1920 წლის 17 მარტის დადგენილებით საგარეო პოლიტიკის ფუნქციები ჩამოერთვა თურქესტანის კომისიას და საგარეო ურთიერთობის განყოფილება დაექვემდებარა უშუალოდ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს. მაგრამ თურქესტანის კომისიამ გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ იგი ჩამოაშორეს საგარეო პოლიტიკას. გოლუბი, მაშიცკი და გოპნერი ჩამოაშორეს საქმეებს და მათ აეკრძალათ ურთიერთობა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატთან. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის შეკითხვები უპასუხოდ რჩებოდა.

უკანასკნელი ფრაზა ხელნაწერში წაშლილია და ადრესატებისათვის გაგზავნილ დეპეშაში არ არის. — **360**.

373 ბარათი რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს დაწერილია სრულიად უკრაინის პროფსაბჭოს თავმჯდომარის ვ. ვ. კოსიორის წერილზე, რომელშიც აღნიშნული იყო მუშაობის სიძნელეები დონბასისა და სამხრეთის დიდ სამრეწველო ცენტრებში (ხარკოვი, ეკატერინოსლავი, ტაგანროგი და სხვ.) ხალხის უყოლობის გამო. მუშაობის განმტკიცების მიზნით წინადადება იყო გადაეყვანათ მოწინავე პიტერელი და მოსკოველი მუშების ნაწილი დონბასში შახტების, მაღაროების, მეტალურგიული და დამმუშავებელი ქარხნების აღსადგენად. — **361**.

374 ქალაქი გროზნო წითელმა ჯარებმა გაათავისუფლეს 1920 წლის 25 მარტს ქალაქ მაიკოპთან ერთად. ნავთობსარეწები მთელი და სრულ წესრიგში იყო. — **361**.

375 რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს რომელ დადგენილებაზეა ლაპარაკი, ამის დადგენა ვერ მოხერხდა. — **362**.

376 უ რ ა ტ ა ძ ე — საქართველოს მენშევიკური მთავრობის წარმომადგენელი, რომელიც როსტოვში ჩავიდა, რათა იქიდან წასულიყო მოსკოვში საბჭოთა მთავრობასთან დიპლომატიური მოლაპარაკებისათვის — დააკავეს როსტოვში კავკასიის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს განკარგულებით, რაც ვ. ი. ლენინს აცნობა გ. კ. ორჯონიკიძემ. — **366**.

377 ლაპარაკია სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის მიერ პეტროგრადის ცრუკოოპერატივის საქმის გამოძიებაზე. ერთ-ერთი გამომცემლობისა და სტამბის ყოფილმა მფლობელებმა, რათა არ დაეშვათ მათი ნაციონალიზაცია, 1918 წელს მოაწყვეს ცრუკოოპერატივი, რომელიც ატყუებდა სახელმწიფოს და იღებდა შეკვეთებს დაწესებულებებისაგან. ვ. ი. ლენინის მითითების შესაბამისად სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიამ გამოიძია ეს საქმე. ცრუკოოპერატივი ლიკვიდირებულ იქნა, სტამბა გადაეცა პეტროგრადის სახალხო მეურნეობის საბჭოს, გამომცემლობა — სახელმწიფო გამომცემლობის პეტროგრადის განყოფილებას. — **367**.

378 ბარათი დაწერილია ვ. ი. ლენინის შოფრის ს. კ. გილის მიერ შრომის დისციპლინის დარღვევის გამო. — **367**.

379 დაწერილია პასუხად 1920 წლის 17 აპრილის დეპეშაზე, რომელშიც 1-ელი შრომის არმიის საბჭო შუამდგომლობდა საზღვრების შეცვლის შეწყვეტისა და იმის შესახებ, რომ მისთვის ნება დაერთოთ შეედგინა ურალისა და ურალისპირა გუბერნიებისა და მაზრების რუკა. ეს საკითხი ვ. ი. ლენინის წინადადებით გამოტანილი იყო სახკომსაბჭოს განსახილველად 1920 წლის 20 აპრილს, რომლის გადაწყვეტილებითაც გაეგზავნა ეს დეპეშა 1-ელი შრომის არმიის საბჭოს.

ამავე სხდომაზე განიხილეს „1-ელი შრომის არმიის საბჭოს პროტესტი ტიუმენისა და ჩელიაბინსკის გუბერნიების ახალი დაყოფის საკითხზე". სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება, რომელიც მოყვანილია მეორე დეპეშაში. — **368**.

380 ბარათი დაწერილია პროფესორ ს. პ. კოსტიჩევის წერილზე ა. მ. გორკისადმი, რომელშიც იტყობინებოდა პეტროგრადის უნივერსიტეტის

მცენარეთა ფიზიოლოგიის ლაბორატორიის ნაშრომთა შესახებ, რომლებიც დიდ მეცნიერულ და პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენდნენ. წერილში მოყვანილი იყო ყველაზე საარსებო საგნებისა და მასალების სია, რომელთა ნაკლებობის გამო ძლიერ ფერხდებოდა ლაბორატორიის მუშაობა. 1920 წლის 22 აპრილს ა. მ. გორკიმ ეს წერილი გადასცა ვ. ი. ლენინს და სთხოვა მიეცა საჭირო მასალები პროფესორ კოსტიჩევისათვის.

ვ. ი. ლენინის ბარათის ბოლოს არის ჯანმრთელობის სახალხო კომისრის მინაწერი: „სავსებით ვუერთდები ამხ. ლენინის ამ წინადადებას და ჩემი მხრივ გთხოვთ აღმოუჩინოთ ყოველგვარი დახმარება ამხ. გორკის. ნ. ს ე მ ა შ კ ო". — **369**.

381 საპასუხო ბარათში ვ. ი. ლენინისადმი ა. ი. რიკოვი წერდა, რომ იგი ხვალ მისცემს განკარგულებას გაზეთ „ეკონომიჩესკაია ჟიზნს" შეწყვიტოს ცნობების ბეჭდვა სათბობის დატვირთვისა და გამოზიდვის შესახებ და დატოვოს მხოლოდ ცნობები დამზადების შესახებ.—**370**.

382 დეპეშის ხელნაწერში სიტყვა „დეტალებზე" წაშლილია უცნობის ხელით და დაწერილია: „მთავრობის საქმიანობაში ვინიჩენკოს ჩაბმის ფორმაზე".

1920 წლის გაზაფხულზე ვ. კ. ვინიჩენკომ, რომელიც ვენაში იყო ემიგრაციაში, განაცხადა, რომ წყვეტს კავშირს უკრაინელ მენშევიკებთან და დგება უკრაინის კომუნისტური პარტიის პლატფორმაზე. ვინიჩენკომ თხოვნით მიმართა რუსეთის სფსრ მთავრობას ნება დაერთო მისთვის ჩასულიყო უკრაინაში და საშუალება მიეცა აქტიური მონაწილეობა მიეღო ბრძოლაში თეთრპოლონელებისა და ვრანგელის წინააღმდეგ, აგრეთვე საბჭოთა უკრაინის მშენებლობაში.

გათვალისწინებული იყო რა, რომ ვინიჩენკოსა და სხვა ნაციონალისტი ბელადების ზურგს უკან იდგა მრავალრიცხოვანი უკრაინული ემიგრაცია და იმ მიზნით, რომ მისთვის ჩამოეცილებინათ გზას გადაცდენილი მშრომელი ელემენტები, გადაწყდა ვინიჩენკო ჩაებათ საბჭოთა სამუშაოში. ეს საკითხი რამდენჯერმე განიხილეს რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტსა და უკრაინის კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტში.

6 სექტემბერს უკრაინის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გადაწყვეტილებით ვინიჩენკო მიღებული იყო უკრაინის კომუნისტური პარტიის წევრად, დაინიშნა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრად. იმავე დღეს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ ვინიჩენკოს შესახებ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: „პოლიტბიურო აღნიშნავს ამხ. ვინიჩენკოს განწყობილების ცვალებადობას, და ამიტომ პოლიტბიურო, არ არის რა წინააღმდეგი პარტიაში

მისი დაუყოვნებლივ მიღებისა, წინადადებას იძლევა არ მისცენ მას არავითარი პოსტი, ჯერ გამოსცადონ საქმიან სამუშაოზე" (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, გვ. 424).

1920 წლის ოქტომბერში ვინიჩენკო კვლავ წავიდა ემიგრაციაში საზღვარგარეთ. — **371**.

383 ბარათი ლ. დ. ტროცკისადმი დაწერილია გ. ვ. ჩიჩერინის 1920 წლის 4 მაისის წერილზე ვ. ი. ლენინისადმი, რომელშიც აცნობებდა კერზონის რადიოს შესახებ. კერზონის რადიო მოითხოვდა საერთო ამნისტიას და შემრიგებლურ დამოკიდებულებას დამარცხებული თეთრგვარდიელებისადმი. მასში ნათქვამი იყო, რომ შეჩერებულიყო საომარი მოქმედება ყირიმსა და კავკასიაში. გ. ვ. ჩიჩერინის აზრით, წინადადება, რომ უშუალო მოლაპარაკება აწარმოონ ვრანგელთან ინგლისელი ოფიცრის მონაწილეობით, საჩოთირო იქნება ყველა ჭეშმარიტი თეთრგვარდიელისათვის, და წარმოადგენს ნაბიჯს ინგლისის მიერ ჩვენი ფაქტობრივი ცნობის გზაზე. გ. ვ. ჩიჩერინი მოითხოვდა „დავეთანხმოთ ვრანგელის ამნისტიას და შევაჩეროთ შემდგომი წინსვლა კავკასიაში, სადაც ჩვენ ყველაფერი ძვირფასი უკვე ხელთ ვიგდეთ, და შეიძლება დაუყოვნებლივ ვუპასუხოთ თანხმობით". — **371**.

384 დაწერილია ე. ა. პრეობრაჟენსკის წერილზე ვ. ი. ლენინისადმი, რომელშიც არის წინადადება „შეწყდეს უხამსობა „პატრიოტიზმის" გარშემო" და აღნიშნულია კ. ბ. რადეკის ერთ-ერთი სიტყვა „ეროვნული" ომის შესახებ" და ბერგმანის შოვინისტური სტატია „აგიტროსტაში". პრეობრაჟენსკი თხოულობდა ნებართვას სათანადო მითითებები მიეცათ გაზეთების, განსაკუთრებით პროვინციული გაზეთების რედაქციებისათვის. პრეობრაჟენსკის თხოვნაზე ვ. ი. ლენინმა უპასუხა: „სავსებით **ვეთანხმები**" — და წარადგინა ეს დირექტივა. — **372**.

385 როგორც ჩანს, დაწერილია პასუხად გ. კ. ორჯონიკიძისა და ს. მ. კიროვისაგან 1920 წლის 7 მაისს მიღებულ დეპეშაზე, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ საქართველო იღებს მთელ რიგ აგრესიულ ზომებს საბჭოთა აზერბაიჯანის წინააღმდეგ და რომ საჭიროა მშვიდობის პირობებში აუცილებლად წამოვაყენოთ მოთხოვნა—„საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება საქართველოში" (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, გვ. 426). — **373**.

386 ვ. ი. ლენინის ამ წერილის პირი სრულიად რუსეთის ცაკის საინსტრუქტორო-სააგიტაციო მატარებლების განყოფილებამ 1920 წლის 12 ივნისს გაუგზავნა რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს თხოვნით სასწრაფოდ დაენიშნა თავისი წარმომადგენლები, ყველაზე გამოცდილი და პასუხისმგებელი ინსტრუქტორები, მატარებელ „სოვეტსკი კავკაზზე" და გემ „კრასნაია ზვეზდაზე". — **376**.

387 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს სახკომსაბჭოს 1920 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება პურის რესურსების საკითხზე, რომელშიც მოსკოვისა და პეტროგრადის საბჭოებს ევალებოდათ „მიექციათ გაძლიერებული ყურადღება დედაქალაქისპირა ადგილებიდან ამ წელს ბოსტნეული პროდუქტების მიღების გადიდების საჭიროებისათვის და თავისი მოსაზრებანი შესაძლო ღონისძიებათა შესახებ შეეტანათ სახკომსაბჭოში ორი კვირის შემდეგ" (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, გვ. 427). — **376**.

388 კავკასიის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს დეპეშაში (რომელიც რესპუბლიკის რევოლუციურმა სამხედრო საბჭომ მიიღო 1920 წლის 27 მაისს) დასმული იყო სამხედრო ტყვეთა ბანაკებიდან ტყვე კაზაკების — ყუბანის თეთრების არმიის რიგითი ჯარისკაცებისა და უნტერ-ოფიცრების განთავისუფლებისა და შინ გაშვების საკითხი; ოფიცრები კი გაეგზავნათ ფრონტის შტაბის განკარგულებაში. — **377**.

389 1920 წლის 11 ივნისს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა გ. ვ. ჩიჩერინმა საბჭოთა მთავრობის ნოტა გაუგზავნა დიდი ბრიტანეთის მთავრობას ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის კერზონის სახელზე, რომელშიც მოყვანილი იყო ფაქტები, რომ ინგლისის მთავრობა ეხმარებოდა თეთრგვარდიელ გენერალ ვრანგელს. ნოტაში ნათქვამი იყო, რომ თვით ვრანგელი 6 მაისის ბრძანებაში ჯარებისადმი „აშკარად და პირდაპირ იმოწმებს დიდი ბრიტანეთის დიპლომატიურ ჩარევას მის სასარგებლოდ, როგორც საშუალებას უზრუნველყოს თავისთვის ყირიმი და მოამზადოს ახალი დარტყმა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ". ეს ნოტა გამოქვეყნდა 1920 წლის 13 ივნისს გაზეთში „იზვესტია ვციკ" № 127. ამ საკითხზე იხ. აგრეთვე ვ. ი. ლენინის 1920 წლის 11 ივნისის წერილი გ. ვ. ჩიჩერინისადმი (ეს ტომი, დოკუმენტი 610.) — **377**.

390 იგულისხმება რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1920 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება ყირიმსა და კავკასიაში საომარ მოქმედებათა შეწყვეტის შესახებ. იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 584. — **379**.

391 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს „დებულება სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კომისიის (მცირე სახკომსაბჭოს) შესახებ", რომელიც დაამტკიცა სახკომსაბჭომ 1920 წლის 1 ივნისს. ვ. ი. ლენინის დამატება ეხება „დებულების" პირველ ოთხ პუნქტს, რომლებშიც აღნიშნულია, რომ „მცირე სახკომსაბჭოს მიზანია დეტალურად მოამზადოს საკითხები, რომლებიც სახკომსაბჭოს გამგებლობაში შედის და მოითხოვს წინასწარ დამუშავებას. სახკომსაბჭოში მიღებულ საქმეთა განაწილებას განსაზღვრავს მცირე სახკომსაბჭო, გარდა საბიუჯეტო საქმეებისა, რომლებიც აუცილებლად გაივლიან მცირე სახკომსაბჭოს, და იმ

საქმეებისა, რომლებსაც მცირე სახკომსაბჭო იღებს სახკომსაბჭოს დადგენილებით“ (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, გვ. 428).

დოკუმენტზე მდივნის ხელით დაწერილია სახკომსაბჭოს ქვემოთ ჩამოთვლილი დაკითხული წევრების გვარები, რომლებიც დაეთანხმნენ ვ. ი. ლენინის დამატებას: ვლადიმირსკი, ავანესოვი, კურსკი, კამენევი, სემაშკო, მილიუტინი, პოკროვსკი, ნიკოლაევი, სერედა, კრესტინსკი, სკლიანსკი. — 879.

392 წარწერილია ნავთობის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარის ზ. ნ. დოსერისა და აზერბაიჯანის ნავთობის კომიტეტის თავმჯდომარის ა. პ. სერებროვსკის 1920 წლის 1 ივნისის დეპეშაზე ვ. ი. ლენინისადმი. დეპეშაში აღნიშნული იყო ბაქოს ნავთობის მრეწველობის მუშათა მძიმე სასურსათო მდგომარეობა, რაც შეიქმნა იმის შედეგად, რომ ფრონტის განსაკუთრებული სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარე ა. ი. ბელენკი არ ასრულებდა ჩრდილოეთ კავკასიიდან ბაქოში სურსათის გაგზავნის ვალდებულებებს და ამავე დროს უკრძალავდა მენავთობეებს თვითონ დაემზადებინათ სურსათი ჩრდილოეთ კავკასიაში. — 880.

393 სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში დაცული ამ დეპეშის მანქანაზე დაბეჭდილი პირის მინდორზე არის გ. კ. ორჯონიკიძის აღნიშვნა: „დეპეშა მივიღე 1920 წლის ზაფხულში. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე“. ლენინის რა შეკითხვაზეა ლაპარაკი, ამის დადგენა ვერ მოხერხდა.—880.

394 წარწერილია ვ. ი. ლენინისადმი ი. ბ. სტალინის 1920 წლის 3 ივნისის დეპეშაზე, რომლითაც სტალინი წინადადებას იძლეოდა ან დაედოთ დაზავება ვრანგელთან და საშუალება მიეღოთ წამოეყვანათ ყირიმის ფრონტიდან ერთი-ორი დივიზია, ან ხელი აეღოთ ყოველგვარ მოლაპარაკებაზე ვრანგელთან, დაერტყათ მისთვის და ვრანგელის დამარცხების შემდეგ გაეთავისუფლებინათ ძალები პოლონეთის ფრონტისათვის. — 880.

395 წარწერილია ი. ბ. სტალინის 1920 წლის 4 ივნისის დეპეშაზე კრემენჩუგიდან, რომელიც ვ. ი. ლენინმა, როგორც ჩანს, მიიღო შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომის დროს. დეპეშაში ნათქვამი იყო, რომ გენერალ ვრანგელს განზრახული აქვს ჯარების ერთი ჯგუფით შეუტიოს ალეშკა — ხერსონის რაიონს, ხოლო მეორე ჯგუფი გადასხას ოდესის რაიონში მისი ორივე მხრიდან შემოსავლელად.

როცა ლ. დ. ტროცკის საპასუხო ბარათი მიიღო იმის შესახებ, რომ სტალინის მიმართვა უშუალოდ ლენინისადმი არღვევს დადგენილ წესს (რადგან ასეთი ცნობები მთავარსარდალს უნდა გაუგზავნოს სამხრეთ-

დასავლეთის ფრონტის ჯარების სარდალმა ა. ი. ეგოროვმა), ლენინმა მეორე ბარათი მისწერა ტროცკის. — 382.

396 ვ. ი. ლენინის ბარათების გაცვლა ქ. ა. ალფეროვთან მოხდა შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1920 წლის 4 ივნისის სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდა ტახტამიშევი. — 383.

397 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს ს. ი. ბოტინის ცდები, რომელიც მუშაობდა ელექტრომაგნიტური ტალღების დახმარებით შორ მანძილზე თოფისწამლის აფეთქების პრობლემაზე. 1921 წლის ოქტომბერში სპეციალისტთა კომისიამ წინადადება შეიტანა შეწყვეტილიყო შემდგომი ცდები მათი მოუმზადებლობის გამო. — 383.

398 წარწერილია ლონდონში რუსეთის სავაჭრო დელეგაციის თავმჯდომარის ლ. ბ. კრასინის დეპეშაზე გ. ვ. ჩიჩერინისადმი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ 1920 წლის 10 ივნისს მას ეწვია უაიზი და ოფიციალურად, ლოიდ ჯორჯის სახელით, განუცხადა, რომ ვრანგელის შეტევა დაიწყო ინგლისის მთავრობის სურვილის საწინააღმდეგოდ.

რუსეთის სფსრ მთავრობის საპასუხო ნოტაში დიდი ბრიტანეთის მთავრობისადმი, რომელიც შედგენილი იყო ვ. ი. ლენინის მითითებათა მიხედვით და რადიოთი გადასცეს 11 ივნისს, ნათქვამი იყო: „მართალია, ამჟამად რუსეთს კვლავ თავს ესხმიან ვრანგელი და მისი თეთრგვარდიელები და არა ბრიტანელი გენერალი, მაგრამ იარაღი, ამუნიცია, რომლითაც იგი სარგებლობს, მისცეს ბრიტანეთის მთავრობამ და სხვა მოკავშირე მთავრობებმა; მის სტრატეგიულ გადაადგილებას იცავდა ბრიტანეთის და სხვა მოკავშირეთა ხომალდები; მან მიიღო საჭირო ქვანახშირი დიდი ბრიტანეთისაგან, ხოლო მოკავშირეთა ფლოტი ნაწილობრივ ეხმარებოდა მას და ნაწილობრივ უშუალოდ მონაწილეობდა მის სადესანტო ოპერაციებში. ამიტომ რუსეთის მთავრობას არ შეუძლია გაიზიაროს ბრიტანეთის მთავრობის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ეს უკანასკნელი არ არის პასუხისმგებელი საბჭოთა რუსეთზე ამ ახალი თავდასხმისათვის" („სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები", ტომი II, 1958, გვ. 567). — 385.

399 შრომისა და თავდაცვის საბჭომ 1920 წლის 11 ივნისს მოისმინა კომისიის მოხსენება სათბობის მაქსიმალური შემოტანის, განსაკუთრებით მოსკოვში სარეალიზაციოდ შეტანის ღონისძიებათა შესახებ და დაადგინა: „დაევალოთ მოსკოვსათბობსა და გზათა სახალხო კომისარიატს აუცილებლად გამოზიდონ სამი კვირის ვადაში მთელი შეშა, რომელიც არის რკინიგზების სადგურებში მოსკოვის გარშემო 30-ვერსიან ზოლში, დაახლოებით 8000 კუბური საჟენის რაოდენობით" (ლენინის XXXIV კრებული, გვ. 321). — 386.

400 ბარათი დაწერილია კომინტერნის II კონგრესის მომზადებასთან დაკავშირებით. გელერს, რომელიც დანიშნული იყო რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთ წარმომადგენლად იტალიის დელეგაციასთან, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ დაავალა „შეაგროვოს იტალიის პრესიდან ციტატები ტურატისა და სხვა რეფორმისტების წინააღმდეგ, აგრეთვე საერთოდ შეარჩიოს მთელი საჭირო მასალა“ იტალიის სოციალისტური პარტიის რიგებში რეფორმიზმის სამხილებლად (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, გვ. 431).

*„Avanti!“* („წინ!“) — ყოველდღიური გაზეთი, იტალიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური ორგანო; დაარსდა 1896 წლის დეკემბერში რომში. პირველი მსოფლიო ომის დროს გაზეთს ეკავა არათანმიმდევრული ინტერნაციონალისტური პოზიცია, კავშირი არ გაუწყვეტია რეფორმისტებთან. 1926 წელს გაზეთი დახურა მუსოლინის ფაშისტურმა მთავრობამ, მაგრამ გამოდიოდა საზღვარგარეთ; 1943 წლიდან კვლავ გამოდის იტალიაში.

*„Komunismo“* („კომუნიზმი“) — იტალიის სოციალისტური პარტიის ორკვირეული ჟურნალი; გამოდიოდა მილანში 1919-დან 1922 წლამდე, რედაქტორობდა დ. -მ. სერატი.

*„Il Soviet“* („საბჭო“) — იტალიის სოციალისტური პარტიის გაზეთი; გამოდიოდა ნეაპოლში 1918-დან 1922 წლამდე; 1920 წლიდან გამოდიოდა როგორც იტალიის სოციალისტური პარტიის კომუნისტ-აბსტენციონისტთა ფრაქციის ორგანო. — **887**.

401 იგულისხმება იტალიის სოციალისტური პარტიის ბოლონიის ყრილობა, რომელიც მიმდინარეობდა 1919 წლის ოქტომბერში; ყრილობამ გამოიტანა გადაწყვეტილება კომინტერნში იტალიის სოციალისტური პარტიის შესვლის შესახებ. — **888**.

402 დავალება წარწერილია საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ჩრდილოეთ კავკასიის განყოფილების 1920 წლის 18 ივნისის დეპეშაზე, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო პირობები ხელშეკრულების პროექტისა განყოფილებისა და ამერიკის კორპორაციის წარმომადგენლებს შორის. დეპეშაზე არის ვ. ი. ლენინის აღნიშვნები და ხაზგასმები. — **889**.

403 წერილი რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ებრაელთა სექციების ცენტრალური ბიუროს წევრს ა. ნ. მერეჟინს ვ. ი. ლენინმა მისწერა იმასთან დაკავშირებით, რომ კომინტერნის II კონგრესისათვის მზადდებოდა პროექტი თეზისებისა ეროვნულ და კოლონიურ საკითხებზე.

„რ ა ფ ე ს ი ს  მ ო ნ ა ც ე მ ე ბ ი“ — ეს, როგორც ჩანს, არის მ. გ. რაფესის წერილი „შერეული მოსახლეობის ოლქებში ეროვნულ უმცი-

რესობათა უფლებების დაცვა (უკრაინელ ებრაელთა და პოლონელ ებრაელთა ურთიერთობის გამოცდილების გათვალისწინება)", რომელიც მან ლენინს გაუგზავნა 1920 წლის 21 ივნისს. — **390**.

404 ვ. ი. ლენინის წერილზე არის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის აღნიშვნა: „შესაბამისი წინადადება უკვე გავუგზავნე საგუბერნიო მიწათმოქმედების განყოფილებას. ს. ს ე რ ე დ ა". — **391**.

405 1920 წლის 14 ივნისს ვ. ი. ლენინმა სანატორიუმ „გორკის" გამგეს ე. ი. ვევერს სასჯელი დაადო—ერთი თვის პატიმრობა სანატორიუმის პარკში სრულიად ჯანსაღი ნაძვის მოჭრისათვის. განაჩენის სისრულეში მოყვანა ევალებოდა პოდოლსკის სამაზრო აღმასკომს (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 41, გვ. 151). — **391**.

406 ბარათი დაწერილია გ. ვ. ჩიჩერინის 1920 წლის 23 ივნისის წერილზე, რომელიც შეიცავდა საჩივარს, რომ არ სრულდება რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებები საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საკითხებზე. მიუხედავად პარტიის ცენტრალური კომიტეტის განმეორებითი გადაწყვეტილებებისა, წერდა ჩიჩერინი, არაფერი არ გაკეთებულა არც ულუფების, არც სახალხო კომისარიატისათვის ახალი შენობის გადაცემის, არც უცხოელთა დელეგაციებისათვის ავტომობილების მიცემის და სახალხო კომისარიატის სხვა საჭიროებათა გამო. — **391**.

407 ვ. ი. ლენინი დიდად აფასებდა დიდ რუს მეცნიერ-ფიზიოლოგს, ცხოველთა და ადამიანის უმაღლესი ნერვული სისტემის შესახებ მატერიალისტური მოძღვრების შემქმნელს, აკადემიკოს ი. პ. პავლოვს, ყურადღებით და მზრუნველობით ეკიდებოდა მას, ყოველგვარ დახმარებასა და მხარდაჭერას უწევდა.

მხედველობაში მიიღო რა აკადემიკოს ი. პ. პავლოვის სრულიად განსაკუთრებული მეცნიერული დამსახურება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი მსოფლიოს მშრომელთათვის, საბჭოთა მთავრობამ ვ. ი. ლენინის ინიციატივით სამეურნეო ნგრევისა და უდიდეს სიძნელეთა მძიმე წლებში, რაც გამოწვეული იყო სამოქალაქო ომის და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის შედეგებით, მიიღო სპეციალური გადაწყვეტილება ისეთი პირობების შექმნის შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფდნენ აკადემიკოს პავლოვისა და მისი თანამშრომლების მეცნიერულ მუშაობას (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 32, გვ. 67—68).

აღნიშნავდა რა უდიდეს შესაძლებლობებს, რასაც საბჭოთა სოციალისტური სისტემა იძლევა კულტურისა და მეცნიერების განვითა-

რებისათვის, ი. პ. პავლოვი ფართოდ ცნობილ სიკვდილისწინა მიმართვაში ახალგაზრდობისადმი წერდა: „ჩვენი სამშობლო დიდ ჰორიზონტებს უშლის მეცნიერებს, და სამართლიანად უნდა ვთქვათ — მეცნიერება უხვად შედის ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. უაღრესად უხვად!

რაღა უნდა ითქვას ახალგაზრდა მეცნიერის მდგომარეობაზე ჩვენში? აქ ხომ ყველაფერი ისედაც ნათელია. მას ბევრი ეძლევა, მაგრამ ბევრიც მოეკითხება. და ახალგაზრდობისთვისაც, ისევე როგორც ჩვენთვის, ღირსების საკითხია გაამართლოს ის დიდი იმედი, რასაც ჩვენი სამშობლო მეცნიერებაზე ამყარებს“ („პრავდა“, № 58, 1936 წლის 28 თებერვალი). — **393.**

408 წარწერილია პეტროგრადის აღმასკომის მდივნის დ. ა. ტრილისერის ტელეფონოგრამაზე სახკომსაბჭოსადმი, რომელიც შეიცავდა თხოვნას გადაედოთ საანგარიშო ცნობების წარდგენის ვადა საგარეუბნო მეურნეობათა განვითარების საკითხზე, აგრეთვე მებოსტნეებისათვის ზედმეტი ბოსტნეულის აღრიცხვისა და ჩამორთმევის საკითხზე. ვ. ი. ლენინის წინადადებით სახკომსაბჭომ 1920 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით მიუთითა პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს, რომ „შეუწყნარებლად აჭიანურებდა საქმეს“ (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, გვ. 434). — **393.**

409 იგულისხმება ს. ი. ბოტინი და მისი ცდები ელექტრომაგნიტური ტალღების დახმარებით შორ მანძილზე თოფისწამლის აფეთქების ხერხის გამოსაძებნად (იხ. შენიშვნა 397). — **395.**

410 ვ. ი. ლენინის მიერ ნახსენებ ამონაწერში ნათქვამია, რომ „...მოსკოვის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს სასურსათო განყოფილებამ გამოაცხადა კონკურსი დიდი და პატარა ზომის თერმოსებზე. დაწესებულია სამი პრემია: ნახევარვედროიანი აპარატებისათვის 10 000 მანეთის, 5000 მანეთის და 3000 მანეთის ოდენობით, 5-ვედროიანი აპარატების ნახაზებისათვის—5000 მანეთი და 3000 მანეთი. აპარატებისა და ნახაზების წარდგენის ვადაა 1918 წლის 20 ოქტომბერი (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, გვ. 434).

ვ. ი. ლენინისათვის 1920 წლის 16 ივლისს წარდგენილ ცნობაში მოსკოვის სამომხმარებლო საზოგადოების გამგეობა იტყობინებოდა, რომ კონკურსი თერმოსებზე დამთავრდა 1918 წლის 1 ოქტომბერს. საკონკურსო კომისიის მუშაობასთან ერთად კვების განყოფილებამ დაიწყო მხოლოდ და მხოლოდ ხისაგან (ფანერისა და ბურბუშელისაგან) დამზადებული თერმოსების გამოყენება. ამ კონსტრუქციის თერმოსები გამოირჩეოდა სიმსუბუქით — დაახლოებით 32 გირვანქა სამვედროიანი ქურქლისათვის, ცხლად ინახავდა საჭმელს 18—20 საათის განმავლობაში. — **396.**

411 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1920 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება ბაქოში აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობის მოწვევის შესახებ. გადაწყვეტილებაში ნათქვამია: „დაევალოს ამხ. ორჯონიკიძესა და ამხ. სტასოვას მათ მიერ კოოპტირებულ ამხანაგებთან ერთად შექმნან ბაქოში აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობის მომწყობი ბიურო. დაევალოს ამხ. ზინოვიევს დღესვე აცნობოს ეს ორჯონიკიძეს პირდაპირი მავთულით" (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, გვ. 435).

როცა ამბობდა, რომ გ. კ. ორჯონიკიძე ინარჩუნებს „ყველა უფლებასა და რწმუნებას", ვ. ი. ლენინს მხედველობაში ჰქონდა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1920 წლის 29 და 30 ივნისის გადაწყვეტილებანი, რომლებითაც ორჯონიკიძე დანიშნული იყო კავკასიის შრომის არმიის საბჭოს წევრად კავკასიის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოსაგან. — **396**.

412 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1920 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება ჩრდილოეთ კავკასიის საკითხზე, რომელშიც ჩაწერილია: „დაევალოს ორგბიუროს შეუთანხმდეს ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს ამ უკანასკნელის შემადგენლობიდან ვიწრო, მუდმივ მომუშავე კოლეგიის გამოყოფის საკითხზე... რომლის საქმიანობის რაიონი იქნება მთელი კავკასია. თუ ვიწრო კოლეგიის შემადგენლობაში არ შევა ამხ. ორჯონიკიძე, მაშინ ყველა საკითხი, რომლებიც შეეხება საქართველოს, აზერბაიჯანს, სომხეთს, თურქეთსა და სხვ., უნდა გადაიჭრას აუცილებლად მისი თანდასწრებით" (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, გვ. 435). — **396**.

413 ვ. ი. ლენინის ბარათის პასუხად ლ. ბ. კრასინმა აცნობა, რომ მიღებულია ღონისძიებანი საზღვარგარეთთან ვაჭრობისათვის განკუთვნილი საქონლის უსწრაფესად გასაგზავნად, აგრეთვე მისი რეალიზაციისა და მიღებული ვალუტით იმ საქონლის შესასყიდად, რომელიც საბჭოთა რუსეთს სჭირდებოდა. — **397**.

414 ლაპარაკია კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესზე, რომელიც გაიმართა 1920 წლის 19 ივლისს—7 აგვისტოს.

კონგრესის მოწვევის მთელ მოსამზადებელ მუშაობას ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინი. მან დაწერა თეზისები ეროვნულ და კოლონიურ საკითხებზე, აგრარულ საკითხზე, კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესის ძირითადი ამოცანების, კომუნისტურ ინტერნაციო-

ნალში მიღების პირობების შესახებ, და გეგმა თეზისებისა საერთაშორისო და ეკონომიური მდგომარეობის შესახებ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 31, გვ. 113—189, 213—235, 243—249, 250; ტომი 35, გვ. 477—478).

ვ. ი. ლენინი კონგრესზე გამოვიდა მოხსენებით საერთაშორისო მდგომარეობის და კომუნისტური ინტერნაციონალის ძირითადი ამოცანების შესახებ, სიტყვით კომუნისტური პარტიის როლის შესახებ, ეროვნულ და კოლონიურ საკითხთა კომისიის მოხსენებით, სიტყვებით კომუნისტურ ინტერნაციონალში მიღების პირობების შესახებ, პარლამენტარიზმის შესახებ, ბრიტანეთის მუშათა პარტიაში შესვლის შესახებ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 31, გვ. 251—315). ვ. ი. ლენინის თეზისები დამტკიცდა კონგრესის დადგენილებათა სახით.—**398**.

415 ვ. ი. ლენინის შეკითხვაზე პირველ ბარათში, ვის დაევალოს ამ წიგნის თარგმანი, ზინოვიევი უპასუხებდა, რომ წიგნი უკვე გადათარგმნილია პეტროგრადში გერმანულ და ფრანგულ ენებზე და რედაქტირების სტადიაშია.

წიგნის ახალი წინასიტყვაობა ვ. ი. ლენინმა დაწერა 1920 წლის 6 ივლისს და პირველად დაიბეჭდა 1921 წლის ოქტომბერში სათაურით: „იმპერიალიზმი და კაპიტალიზმი" ჟურნალ „კომუნისტიჩესკი ინტერნაციონალში" № 18 (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 22, გვ. 233—240). ლენინის სიცოცხლეში ცალკეული გამოცემები წიგნისა „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია" გამოვიდა გერმანულ ენაზე 1921 წელს და ფრანგულ და ინგლისურ ენებზე (შემოკლებით) — 1923 წელს.

ლენინის მესამე ბარათი პასუხია ზინოვიევის ბარათის შემდეგ ადგილზე: „ერთგვარი სიძნელეებია ციტატების მხრივ (გერმანული და ინგლისური გამოცემებიდან)" (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, გვ. 437). — **399**.

416 იხ. შენიშვნა **414**. — **399**.

417 როცა დ. ვაინკოპის განცხადებაზე ლაპარაკობს, ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს მისი 1920 წლის 30 ივნისის წერილი წიგნის გამო „„მემარცხენეობის" საყმაწვილო სენი კომუნიზმში", რომელსაც ჰოლანდიის დელეგაცია კომინტერნის II კონგრესზე გაეცნო უცხო ენებზე მისი თარგმანის გამოქვეყნებამდე. ვაინკოპის წერილი და ლენინის პასუხი პირველად გამოქვეყნდა წიგნში „„მემარცხენეობის" საყმაწვილო სენი კომუნიზმში" ინგლისურ ენაზე, რომელიც მოსკოვში გამოვიდა 1920 წელს, რუსულ ენაზე — 1930 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა კრებულის მე-2 გამოცემაში (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 31, გვ. 129—130). — **401**.

418 დაწერილია განსახკომის ფოტოკინოგანყოფილების წერილთან დაკავშირებით, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ვ. ი. ლენინის დავალება—კინოსურათ „კოლჩაკელი მინისტრების გასამართლების“ დადგმა ბრკოლდება ფირის უქონლობის გამო.

ჯანსახკომში გაგზავნილ წერილთან ერთად ვ. ი. ლენინმა ანალოგიური წერილები გაუგზავნა ცენტროსოიუზს, მოსკოვის საგანგებო კომისიას, სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატსა და სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიას. სახკომსაბჭოს მდივნის ლ. ა. ფოტიევას სახელზე სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიიდან 9 ივლისს მიღებული იყო შემდეგი შინაარსის პასუხი: „პატივცემულო ამხ. ფოტიევა! გთხოვთ გადასცეთ ვ. ილიჩს, რომ სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიაში არ არის და არც ყოფილა კინემატოგრაფიული ფ ი რ ე ბ ი, არამედ არის მზა კონტრრევოლუციური შინაარსის ფირები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება. როგორც ჩანს, ვლადიმერ ილიას ძე ვიღაცა საქმის უცოდინარმა შეცდომაში შეიყვანა“ (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, გვ. 437—438). — **401**.

419 იგულისხმება ლ. ბ. კრასინის მეთაურობით რუსეთის სავაჭრო დელეგაციის ლონდონის მოლაპარაკება ინგლისის მთავრობის წევრებთან (იხ. „სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები“, ტომი II, მ., 1958, გვ. 695—705). — **402**.

420 იგულისხმება ლ. ბ. კამენევის 1920 წლის 9 ივლისის წერილი ინგლისრუსეთის მოლაპარაკების ხასიათის შესახებ, რომელშიც იგი წერდა, რომ უნდა ვაწარმოოთ პოლიტიკური მოლაპარაკება „უაღრესად ფართო სააგიტაციო სულისკვეთებით“ და აღვწეროთ „ფართოდ და სახალხოდ ინტერვენციის მთელი ისტორია, კოლჩაკის, დენიკინის, პოლონეთის, ვრანგელის, ლიტვის, ესტონეთისა და სხვ. და სხვ. ჩათვლით, და შევეხოთ და აღვძრათ თურქეთიდან ჩინეთამდე აღმოსავლური პოლიტიკის ყველა საკითხი“. გ. ვ. ჩიჩერინმა თავის მინაწერში წერილზე მხარი დაუჭირა კამენევს, რომელმაც, თავის მხრივ, კვლავ წამოაყენა წინადადება, — „მოლაპარაკების ჩაუშლელად და რბილი ტონით, — გავეცნოთ ლოიდ ჯორჯისათვის ინგლისის მძარცველობის ისტორია მსოფლიო მასშტაბით“. წერილს რომ გაეცნო, ვ. ი. ლენინმა წააწერა მას: „პრინციპულად არ ვეთანხმები. 10/VII. ლ ე ნ ი ნ ი“ (თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, გვ. 438).

ვ. ი. ლენინის წერილი პასუხი იყო ამ წინადადებებზე. — **402**.

421 1920 წლის 11 ივლისს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ნ. კრესტინსკი ატყობინებდა ვ. ი. ლენინს, რომ გ. ვ. ჩიჩერინი მოითხოვს, რათა ინგლისში მიმავალი საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელი ყოფილი-

ყო ლ. ბ. კამენევი და არა ლ. ბ. კრასინი. კრესტინსკის წერილს ლენინმა წააწერა: „თანახმა ვარ: კამენევი თავმჯდომარედ, კრასინი—თავმჯდომარის მოადგილედ“ (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, გვ. 438). — **403**.

422 იგულისხმება ი. ბ. სტალინის 1920 წლის 11 ივლისის წერილი, რომლითაც იგი ატყობინებდა ვ. ი. ლენინს, რომ მთავარსარდალი ს. ს. კამენევი შეჰპირდა გაეძლიერებინა ყირიმის მიმართულება მთელი რიგი ჯარის ნაწილებითა და შენაერთებით და საბრძოლო ტექნიკით..

15 ივლისს ე. მ. სკლიანსკიმ ვ. ი. ლენინს გაუგზავნა ცნობა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტისათვის დახმარების ოდენობის შესახებ.—**404**.

423 იგულისხმება დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის კერზონის ნოტა, რომელიც 1920 წლის 11 ივლისს გაეგზავნა საბჭოთა მთავრობას სპადან (ბელგია), სადაც იმ დროს მიმდინარეობდა ანტანტის ქვეყნების კონფერენცია გერმანიის წარმომადგენლებთან ერთად. სპას კონფერენციაზე მიღებულ გადაწყვეტილებებში კერზონმა დამატებით შეიტანა წინადადება, რომ საბჭოთა მთავრობამ ხელი მოაწეროს დაზავებას გენერალ ვრანგელთან. — **404**.

424 იგულისხმება პასუხი კერზონის 1920 წლის 11 ივლისის ნოტაზე. ეს პასუხი განხილული იყო რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1920 წლის 11 ივლისის პლენუმზე. პასუხი გამოქვეყნდა გაზეთ „იზვესტია ვციკში“ № 157 1920 წლის 18 ივლისს. — **405**.

425 ბარათი დაწერილია დეკრეტის პროექტზე რესპუბლიკაში საბიბლიოთეკო საქმის ცენტრალიზაციის შესახებ, რომელიც მცირე სახკომსაბჭომ მიიღო 1920 წლის 22 ივნისს. პროექტში გათვალისწინებული იყო, რომ მუშაობაში პარალელიზმის მოსპობისა და წიგნის მთელი არსებული სიმდიდრის სწორად გამოყენებისა და მისი თანაბარი განაწილების მიზნით „ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და დაწესებულების ბიბლიოთეკები შეუერთდება სახალხო განათლების განყოფილებათა საერთო საბიბლიოთეკო ქსელს“. საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ახლად გახსნილი ყველა ბიბლიოთეკა უნდა შევიდეს აუცილებლად „საზოგადოებრივი ბიბლიოთეკების საერთო ქსელში“.

დეკრეტის პროექტზე არის აგრეთვე ნ. კ. კრუპსკაიას ბარათი განსახკომისადმი: „თუ გამომიგზავნით ჩემს სტატიას საბიბლიოთეკო საქმის ცენტრალიზაციის შესახებ და დამიბრუნებთ ამ პროექტს, შევეცდები შევადგინო ახალი პროექტი და დავწერო ინსტრუქცია. იქნებ, იგი უკვე დაწერილია? მაშინ ისიც გამომიგზავნეთ“. — **406**.

426 ეს დეპეშა დაწერილია პასუხად ი. ბ. სტალინის შემდეგი დეპეშისა, რომელიც ლოზოვაიადან იყო გამოგზავნილი 1920 წლის 2 აგვისტოს: „სასტიკი ბრძოლები გრძელდება მზარდი ძალით, ალბათ, დღეს დავკარგავთ ალექსანდროვსკს. თქვენი ბარათი ფრონტების გაყოფის შესახებ მივიღე, პოლიტბიურო დროს არ უნდა კარგავდეს უბრალო რამეებზე. შემიძლია ფრონტზე ვიმუშაო კიდევ მაქსიმუმ ორი კვირა, მჭირდება დასვენება, მოძებნეთ მოადგილე. მთავარსარდლის დაპირებებისა არ მჯერა არც ერთ წუთს, იგი თავისი დაპირებებით მხოლოდ გვატყუებს. რაც შეეხება ცენტრალური კომიტეტის განწყობილებას პოლონეთთან ზავის სასარგებლოდ, არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ჩვენი დიპლომატია ზოგჯერ ძალიან მოხერხებულად ფუშავს ჩვენი სამხედრო წარმატებების შედეგებს“ (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, გვ. 441). — **411**.

427 იგულისხმება პოლონეთის აღმოსავლეთი საზღვრები, რომლებიც ნებისმიერად განსაზღვრა 1914—1918 წლების იმპერიალისტური ომის დამთავრების შემდეგ ანტანტის უმაღლესმა საბჭომ 1919 წლის 8 დეკემბერს. ეს საზღვრები უნდა გასულიყო შემდეგ ხაზზე: გროდნო—იალოვკა—ნემიროვი — ბრესტ-ლიტოვსკი — დოროგუსკი — უსტილუგი — კრილოვი, გადაეკვეთა გალიცია პერემიშლსა და რავა-რუსკაიას შორის კარპატის მთებამდე. ეს ხაზი დასახელებულია აგრეთვე კერზონის 1920 წლის 11 ივლისის ნოტაში; შემდეგში უფრო ცნობილია როგორც „კერზონის ხაზი“.

საბჭოთა მთავრობა, როცა ზავს სთავაზობდა პოლონეთს, მზად იყო ეცნო პოლონეთ-საბჭოთა საზღვრად ხაზი „კერზონის ხაზის“ აღმოსავლეთით.

ეს ბარათი არის ვ. ი. ლენინის მითითება საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარისადმი, რომელიც ლონდონს გაემგზავრა ინგლისის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად. — **412**.

428 საპასუხო დეპეშაში ვ. ი. ლენინისადმი კავკასიის შრომის არმიის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. გ. ბელობოროდოვი 1920 წლის 13 აგვისტოს წერდა: „თქვენი დეპეშა № 402 მიღებულია მხოლოდ 13-ში, 20 საათზე. ჩრდილოეთი კავკასია, ყუბანის გარდა, აჯანყებათა წარმოშობის მხრივ ჯერჯერობით შიშს არ იწვევს...“ (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, გვ. 444). — **415**.

429 ეს ბარათი დაწერილი იყო მაშინ, როცა ვ. ი. ლენინმა მიიღო ჩინეთის სოციალისტური პარტიის წევრი და რუსეთში ჩინელ მუშათა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ლიუ ძე-

ჟუნი (ლაუ სიუ-ჟაუ), რომელთანაც ვ. ი. ლენინს საუბარი ჰქონდა 1920 წლის 11 აგვისტოს. ვ. ი. ლენინის ბარათის მეორე მხარეზე არის ნ. ნ. კრესტინსკის პასუხი: „ხვალ 3 $^{1}/_{2}$ საათზე". — **416**.

430 ბარათი დაწერილია წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის ხელმძღვანელის ი. ბრიხნიჩევის 1920 წლის 11 აგვისტოს წერილზე სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ვ. ი. ლენინისადმი. წერილი შეიცავდა თხოვნას განემტკიცებინათ კომისია საჭირო კადრებით, მიეცათ შენობა სამუშაოდ, უზრუნველეყოთ სატრანსპორტო საშუალებებით და სასურსათო ულუფით. წერილის „ბ" პარაგრაფში აღნიშნული იყო: „საჭიროა ადამიანები, თხუთმეტიოდე კვალიფიციური და არაკვალიფიციური მუშაკი. გამოიწვიეთ ადგილებიდან, მობილიზაცია უყავით მოსკოვში." — **416**.

431 ლაპარაკია 1919 წელს მოქმედი დეკრეტების კრებულზე. საპასუხო წერილში დ. ი. კურსკი იტყობინებოდა, რომ ეს კრებული გამოცემულია კოზლოვსკის რედაქციით და წარმოადგენს „1919 წლის კანონების კრებულის" გადანაბეჭდს, რომ დასაბეჭდად მზადდება რუსეთის სფსრ სამი წლის (1917—1920) უმნიშვნელოვანესი დეკრეტების სხვა კრებული. ლენინმა კურსკის წერილის კონვერტზე გააკეთა აღნიშვნა: „არქივში (VIII. 1920) |კანონების გამოცემის შესახებ|" (თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, გვ. 444). — **417**.

432 ბარათი დაწერილია საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის აღმოსავლეთის განყოფილების ყოფილი გამგის ა. ნ. ვოზნესენსკის წერილთან დაკავშირებით, რომელსაც სწორად არ მიაჩნდა თავისი განთავისუფლება სამუშაოდან. ეს საკითხი 1920 წლის 19 აგვისტოს განიხილა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ, რომელმაც დაავალა გ. ვ. ჩიჩერინს გამოეყენებინა ვოზნესენსკი საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის რომელიმე ქვეკომისიაში, როგორც აღმოსავლეთის საკითხის სპეციალისტი და ისეთი ადამიანი, რომელმაც იცის აღმოსავლური და ინგლისური ენები. — **417**.

433 ლაპარაკია საზავო კონფერენციაზე ომის შეწყვეტისა და, ერთი მხრივ, რუსეთის სფსრ და უკრაინის სსრ და, მეორე მხრივ, პოლონეთის მშვიდობიანი მეგობრული ურთიერთობის დამყარების საკითხზე. საზავო კონფერენციამ, მიუხედავად იმპერიალისტთა ყველა ცდისა ჩაეშალათ იგი, მუშაობა დაიწყო 1920 წლის 17 აგვისტოს მინსკში, სადაც გრძელდებოდა 3 სექტემბრამდე. 21 სექტემბრიდან კონფერენციამ განაახლა მუშაობა რიგაში. საზავო მოლაპარაკება დამთავრდა 1920 წლის 12 ოქ-

ტომბერს რიგაში „დაზავებისა და ზავის პრელიმინარული პირობების ხელშეკრულების“ ხელმოწერით, ერთი მხრივ, საბჭოთა რუსეთსა და საბჭოთა უკრაინას და, მეორე მხრივ, პოლონეთს შორის (იხ. „სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები“, ტომი III, მ., 1959, გვ. 245—258). — **418**.

434 იხ. შენიშვნა 427. — **419**.

435 იგულისხმება რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1920 წლის 19 აგვისტოს გადაწყვეტილება ი. ბ. სტალინისა და ლ. ბ. ტროცკის მოხსენებათა გამო პოლონეთისა და ვრანგელის ფრონტებზე სამხედრო მდგომარეობის შესახებ. გადაწყვეტილებაში ჩაწერილია: „ა) მიჩნეულ იქნეს ვრანგელის ფრონტი მთავარ ფრონტად... ბ) ხვალ მოწვეულ იქნეს ორგბიურო კომუნისტთა ახალი მობილიზაციის საკითხის გადასაწყვეტად. გ) მიღებულ იქნეს გაძლიერებული ღონისძიებანი ბელორუსთა საერთო მობილიზაციის დასაჩქარებლად. დ) I ცხენოსანი არმიის მე-6 დივიზია მოიხსნას ვრანგელის ფრონტზე... ე) მობილიზებულ კომუნისტთა 55% გაიგზავნოს ვრანგელის ფრონტზე, დანარჩენები — დასავლეთის ფრონტზე“ (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, გვ. 446). — **421**.

436 1920 წლის ზაფხულში წითელმა არმიამ დაიწყო დასავლეთ უკრაინის მიწების განთავისუფლება. აღმოსავლეთ გალიციის 16 მაზრაში ლიკვიდირებულ იქნა ბურჟუაზიისა და მემამულეთა ხელისუფლება და დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ტერნოპოლში შეიქმნა აღმოსავლეთ გალიციის საბჭოთა ხელისუფლების დროებითი სამხარეო ორგანო — გალიციის რევოლუციური კომიტეტი ვ. პ. ზატონსკის მეთაურობით. მაზრებში იქმნებოდა ადგილობრივი რევკომები, რომლებიც იბრძოდნენ სახალხო ხელისუფლების დეკრეტების განხორციელებისათვის. ვ. ი. ლენინი მხურვალედ მიესალმა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას აღმოსავლეთ გალიციაში და დახმარებას უწევდა გალიციელ კომუნისტებს პარტიულ და საბჭოთა მშენებლობაში. — **423**.

437 პ რ ო ლ ე ტ კ უ ლ ტ ი — კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია, შეიქმნა 1917 წლის სექტემბერში როგორც დამოუკიდებელი მუშათა თვითმოქმედი ორგანიზაცია, რომლის ხელმძღვანელობა თავმოყრილი იყო ა. ა. ბოგდანოვისა და მის მომხრეთა ხელში. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კვლავ იცავდა თავის „დამოუკიდებლობას“, რითაც უპირისპირდებოდა პროლეტარულ სახელმწიფოს. ამის შედეგად პროლეტკულტში გაძვრნენ და გადამწყვეტ გავლენას ახდენდნენ მის პოზიციაზე ბურჟუაზიული ინტე-

ლიგენტები. პროლეტკულტელები ფაქტობრივად უარყოფდნენ წარსულის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას, ცდილობდნენ გამიჯნოდნენ მასობრივი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ამოცანებს და ცხოვრებას მოწყვეტილებს „ლაბორატორიული გზით" შეექმნათ განსაკუთრებული „პროლეტარული კულტურა". ვ. ი. ლენინმა რეზოლუციის პროექტში „პროლეტარული კულტურის შესახებ" (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 31, გვ. 380—382), ისევე როგორც თავის მთელ რიგ სხვა ნაშრომებში, სასტიკად გააკრიტიკა პროლეტკულტის მცდარი მითითებები. 20-იანი წლების დამდეგს პროლეტკულტის ორგანიზაციები დაქვეითებას განიცდის, ხოლო 1932 წელს პროლეტკულტმა შეწყვიტა არსებობა. — **423**.

438 იგულისხმება თეთრგვარდიელთა დესანტი, რომელიც ანტანტის მხარდაჭერითა და თანხმობით მოაწყო ვრანგელმა და გადასხა ყუბანში 1920 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში, რათა საბჭოთა რესპუბლიკისათვის მოეჭრა რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე პურმოსავლიანი რაიონი. შეუპოვარი და გააფთრებული ბრძოლების შედეგად წითელმა არმიამ გაანადგურა თეთრგვარდიელთა ნაწილები და სექტემბრის დამდეგს დესანტის ნაშთები უკუაგდეს ყირიმში. — **424**.

439 დაწერილია ლიტვა-ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის ვ. ს. მიცკევიჩ-კაპსუკასის მიერ 1920 წლის 19 აგვისტოს ვილნოდან ვ. ი. ლენინისათვის გაგზავნილი დეპეშის პირის ტექსტის ქვეშ. აცნობებდა რა, რომ რევოლუციური განწყობილება ლიტვაში იზრდება და „ვილნოდან ჩვენი წასვლის დღისათვის შეიძლება გადაიქცეს მასობრივ შეიარაღებულ გამოსვლად ლიტველ თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ", მიცკევიჩ-კაპსუკასი ეკითხებოდა: „შესაძლებლად მიგაჩნიათ თუ არა, რომ ვემზადოთ გადამწყვეტი ბრძოლისათვის".

დეპეშის იმავე პირზე ლენინმა მისწერა ლ. დ. ტროცკის: „ამხ. ტროცკი! თუ თანახმა ხართ, გაგზავნეთ ან დამიბრუნეთ დასაშიფრავად. ლ ე ნ ი ნ ი". დოკუმენტზე არის აგრეთვე ლენინის წარწერა: „სტალინი თანახმაა" და ტროცკის აღნიშვნა თანხმობის შესახებ. — **426**.

440 რუსეთის სფსრ სახკომსაბჭოს საზღვარგარეთის რწმუნებულის მ. მ. ლიტვინოვის 1920 წლის 30 ივლისის დეპეშაში საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის გ. ვ. ჩიჩერინისადმი ნათქვამი იყო, რომ კოპენჰაგენში ჩამოვიდა ამერიკის საქმიანი წრეების წარმომადგენელი ვანდერლიპი, რომელსაც სურს მიიღოს ზღვისპირეთის ოლქისა და კამჩატკის ნავთობის, ქვანახშირის და თევზჭერის ექსპლოატაციის კონცესია.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში არის ვ. ი. ლენინის ბა-

რათი, დაწერილი გ. ვ. ჩიჩერინის 1920 წლის 21 აგვისტოს წერილზე, რომელშიც ლენინი თანხმობას იძლევა მოსკოვში ვანდერლიპის ჩამოსვლაზე.

1920 წლის 17 სექტემბერს ვანდერლიპი ჩამოვიდა მოსკოვში მოსალაპარაკებლად საკონცესიო ხელშეკრულების დადების თაობაზე. იმავე დღეს გ. ვ. ჩიჩერინმა მიმართა ვ. ი. ლენინს წერილით, რომელშიც წინადადებას იძლეოდა დაუყოვნებლივ დაეწყოთ მოლაპარაკება ვანდერლიპთან და ჩამოაყალიბა თავისი მოსაზრებანი ამ საკითხზე. ამ წერილს ლენინმა დააწერა: „ამხ. ჩიჩერინ! სავსებით **ვუჭერ მხარს** მოლაპარაკებას. დააჩქარეთ. მოიფიქრეთ, რა უნდა გაკეთდეს კიდევ კრასნოშჩეკოვისათვის დირექტივების მისაცემად" (თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, გვ. 448).

მოლაპარაკების საწარმოებლად შეიქმნა საუწყებათშორისო კომისია სმუს-ის, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისა და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლებისაგან. საბჭოთა მთავრობა, როცა დაეთანხმა მიეცა კონცესია ვანდერლიპის სინდიკატისათვის, მიზნად ისახავდა არა მარტო დაემყარებინა ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა ამერიკის საქმიან წრეებთან, არამედ მოეწესრიგებინა კიდევაც საბჭოთა რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობა. გ. ვ. ჩიჩერინის 1920 წლის 1 ნოემბრის წერილში ვანდერლიპის სინდიკატისადმი აღნიშნული იყო: „მიუხედავად საკონცესიო ხელშეკრულების ხელმოწერისა, რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობა გულისხმობს, რომ ხელშეკრულება ძალაში შევა მხოლოდ მას შემდეგ, როცა დე-ფაქტო აღდგენილი იქნება რუსეთის მთავრობასა და შეერთებული შტატების მთავრობას შორის ნორმალური ურთიერთობა და იმ პირობით, თუ ასეთი ურთიერთობა დამყარდება 1921 წლის 1 ივლისამდე". მაგრამ ეს პირობა არ განხორციელებულა, ამიტომ საკონცესიო ხელშეკრულება ვანდერლიპთან საბოლოოდ არ გაფორმებულა და არ შესულა ძალაში.—**427**.

441 ლაპარაკია რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ცირკულარული წერილის პროექტზე, რომელიც დაწერა ე. ა. პრეობრაჟენსკიმ მისი მოხსენების საფუძველზე პარტიაში გახრწნის ნიშნების შესახებ. ნ. ნ. კრესტინსკი თავის გამონათქვამში ამ პროექტის შესახებ წერდა: „ჩემი აზრით, შენიშვნა, რომელიც არის V პუნქტის ბოლოში, სადაც ლაპარაკია ცხოვრების უთანასწორო პირობების მოსპობის შესახებ, „რამდენადაც ისინი არ არის გამოწვეული საქმის მოთხოვნილებებით", უნდა განვითარდეს ცალკე პუნქტად ან, იქნებ, შესაძლოა, ცირკულარის ცალკე ნაწილადაც.

საქმე ის არის, რომ საგუბერნიო პარტიული და საბჭოთა მუშაკების ცხოვრების პირობები, განსაკუთრებით ახლა, როცა ვაწარმოებთ

მასობრივ გადაყვან-გადმოყვანას და ვწყვეტთ ამხანაგების უმრავლესობას იმ ადგილებს, სადაც მათ აქვთ ყოველგვარი ოჯახური კავშირი და კავშირი სოფელთან, ძალიან მძიმეა.

ამხანაგები შიმშილობენ და, რადგან, გარდა ამისა, მუშაობენ ძალღონის დაუშურებლად, ძალიან მალე იფიტებიან და დიდი ხნით ან სამუდამოდ გამოდიან მწყობრიდან. საჭიროა ჩავუნერგოთ პარტიის მასობრივ წევრებს იმის შეგნება, რომ რევოლუციური კადრის პატარა აქტივისათვის უნდა შეიქმნას ცხოვრების რამდენადმე უკეთესი, ნაკლებად მშიერი პირობები.

თუ ზემოთ აღნიშნული აზრი საკმაოდ იქნება ხაზგასმული და განვითარებული ცირკულარში, პროექტის უკანასკნელი ორი სტრიქონი, რომლებიც ძალიან ფრთხილად და არც ძალიან გასაგებად გმობს დემაგოგიას უთანასწორობის ნიადაგზე, ზედმეტი ხდება.

კომისიაში განხილვის დროს ამხ. პრეობრაჟენსკი არ უარყოფდა, რომ საჭიროა ცირკულარში გატარდეს აზრი ზოგიერთი გარდუვალი დროებითი უთანასწორობის შესახებ, მაგრამ ეს მას რაღაც არ გამოუვიდა" (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, გვ. 449).

ორგბიუროს მიერ დამუშავებული ტექსტი რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წერილისა „ყველა პარტიულ ორგანიზაციას, პარტიის ყველა წევრს" ნ. ნ. კრესტინსკის ხელმოწერით შესათანხმებლად გაეგზავნა ვ. ი. ლენინს. ამ წერილს ვ. ი. ლენინმა დააწერა, რომ ეთანხმება ტექსტს და წინადადება წამოაყენა შეეტანათ წერილში „ციტატი პარტიის პროგრამიდან იმის შესახებ, რომ ჯერჯერობით თანასწორობა არ შეიძლება იყოს" (იგულისხმება პროგრამის ეკონომიური ნაწილის მე-8 პუნქტი. — იხ. „სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში". ნაწ. I, 1954, გვ. 538—539).

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ცირკულარული წერილი გამოქვეყნდა 1920 წლის 4 სექტემბერს გაზეთ „იზვესტია ცკ რკპ (ბ)"-ში № 21. — **428**.

442 1920 წლის 27 აგვისტოს გ. კ. ორჯონიკიძემ მიიღო ვ. ი. ლენინის ეს წერილი და თანდართული ამონაწერები ა. ს. სერაფიმოვიჩის წერილიდან, რომელიც 1920 წლის ზაფხულში იყო კავკასიაში. ა. ს. სერაფიმოვიჩმა, რომელიც სწორად არ იყო ინფორმირებული კავკასიაში პარტიული და საბჭოთა მუშაკების პოლიტიკური მუშაობის შესახებ, წერილში მოიყვანა მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც ჩირქს სცხებდნენ კავკასიის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრის გ. კ. ორჯონიკიძის რევოლუციურ მუშაობას. დაუბრუნა რა ეს ამონაწერები ვ. ი. ლენინს, გ. კ. ორჯონიკიძემ გააბათილა მის წინააღმდეგ წაყენებული ყველა ბრალდება, როგორც მცდარი და დამახინჯებული.

როცა ეს პასუხი მიიღო, ვ. ი. ლენინმა წააწერა: „ვფიქრობ, სერგოს (=ორჯონიკიძეს) ტყუილი არ შეუძლია“ (თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, გვ. 450). — **428**.

443 დაწერილია პასუხად რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ნ. ნ. კრესტინსკის 1920 წლის 27 აგვისტოს წერილზე ვ. ი. ლენინისადმი ა. კოლეგაევის სტატიის გამო „თავის ქალაზე მონადირენი“, რომელიც დაბეჭდილი იყო გაზეთ „გუდოკში“ № 77. სტატიის ავტორი თავს ესხმოდა სურსათის სახალხო კომისარიატს იმ პურის რეკვიზიციისათვის, რომელიც მოსკოვში ჩამოიტანა გზათა სახალხო კომისარიატის ერთ-ერთმა განყოფილებამ. ნ. ნ. კრესტინსკიმ მოითხოვა შენიშვნა მიეცათ სტატიის ავტორისა და „გუდოკის“ რედაქციისათვის ასეთი პუბლიკაციების შეუწყნარებლობის გამო. 1920 წლის 1 სექტემბერს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიუთითა კოლეგაევსა და გაზეთ „გუდოკის“ რედაქციას და წინადადება მისცა რედაქციას „არავითარ შემთხვევაში არ დაებეჭდათ გაზეთში სმუს-ის, სურსათის სახალხო კომისარიატისა და სხვა კომისარიატების წინააღმდეგ მიმართული უწყებრივ-პოლემიკური ხასიათის სტატიები“ (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, გვ. 450). — **429**.

444 კავკასიის შრომის არმიის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ა. გ. ზელობოროდოვის დეპეშაში ნათქვამი იყო, რომ უახლოეს დროში მოსალოდნელია ყუბანში თეთრგვარდიელთა კონტრრევოლუციური დესანტის ლიკვიდაცია (იხ. შენიშვნა 438). — **429**.

445 წარწერილია გზათა სახალხო კომისრის მოადგილის ვ. მ. სვერდლოვის დეპეშის პირზე, რომელიც სარატოვიდან გამოგზავნა 1920 წლის 27 აგვისტოს და თხოულობდა მიეცათ მანუფაქტურა, ფეხსაცმელი და სხვა საოჯახო ნივთები რკინიგზელთა 345 ოჯახისათვის, რომლებიც ხანძრით დაზარალდნენ. ტანსაცმლის უქონლობის გამო, წერდა სვერდლოვი, ისინი ვერ გადიან სამუშაოდ, რასაც შეიძლება მოჰყვეს შეფერხებები რკინიგზის მუშაობაში. — **430**.

446 იხ. შენიშვნა 442. — **431**.

447 ლაპარაკია სახელმწიფო ნიშნების დამამზადებელი ფაბრიკების სამმართველოს მიერ ბროშურის „სპეციალური დანიშნულების ქაღალდის სახელმწიფო ფაბრიკის აგების საკითხისათვის“ გამოცემაზე. მ., 1920. ბროშურა დაიბეჭდა „ვერჟეს“ მაღალხარისხოვან ქაღალდზე და ბროშურის შინაარსის 36 გვერდზე იყო 11 ჩაწებებული ცარცის ფურცელი. — **431**.

448 კრემლის ყოფილი შოფრის ს. კ. გილის მოგონების მიხედვით თხოვნა ვ. ი. ლენინს გლეხებმა გადასცეს 1920 წლის 5 სექტემბერს, როცა სანადიროდ მიმავალი ლენინი გაჩერდა სოფელ ბოგდანოვოში. გლეხები უჩიოდნენ ადგილობრივ სასოფლო საბჭოს, რომელმაც ღარიბებს სასურსათო გაწერის სახით ჩამოართვა მთელი პური და სათესლე მასალა, უხეშად ამახინჯებდა პარტიისა და მთავრობის პოლიტიკას.

ამ თხოვნის გამო ვ. ი. ლენინმა მეორე დღესვე მიიღო ზომები, მოეწყო გამოძიება, და დამნაშავენი სასტიკად იქნენ დასჯილი. — **482.**

449 ბარათი ლ. ა. ფოტიევასადმი დაწერილია ფლოტის ინჟინერ-მექანიკოსის ა. ა. დამის წერილზე ვ. ი. ლენინისადმი, რომელიც აცნობებდა ოქროს მოპოვების ახალ ხერხს. — **483.**

